Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

34

ᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ
ᲠᲙᲙ(Ბ) IX ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲡᲡᲠᲙ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ
II ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1950

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ
კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის
საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1953

ვ. ი. ლენინი

ტომი

34

1895 ნოემბერი — *1911* ნოემბერი

წინასიტყვაობა

ოცდამეთოთხმეტე და ოცდამეთხუთმეტე ტომები, რომლებითაც მთავრდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-4 გამოცემა, შეიცავენ ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერას ორგანიზაციებთან და პირებთან — წერილებს, დეპეშებსა და ბარათებს — 1895-დან 1922 წლამდე. ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი: წიგნები, ბროშურები, სტატიები, მოხსენებები, სიტყვები, რეზოლუციები, წერილები ი. ბ. სტალინისადმი, აგრეთვე განსაკუთრებული თეორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე სხვა წერილები შესულია წინა ოცდაცამეტ ტომში.

34-ე და 35-ე ტომებში შეტანილი დოკუმენტები შეადგენენ ლენინის მიწერ-მოწერის მნიშვნელოვან ნაწილს და წარმოადგენენ ლენინის იმ ნაწარმოებთა უძვირფასეს დამატებას, რომლებიც დაბეჭდილია თხზულებათა წინა ტომებში. ამ დოკუმენტებში ასახულია ლენინის უდიდესი მრავალმხრივი მოღვაწეობა ბოლშევიკური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად, მისი შეურიგებელი ბრძოლა ყველა ჯურის ოპორტუნისტებთან, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსადმი ხელმძღვანელობა.

ოცდამეთოთხმეტე ტომში შედის ვ. ი. ლენინის წერილები, რომლებიც დაწერილია 1895 წლის ნოემბრიდან 1911 წლის ნოემბრამდე.

1895 — 1901 წლების წერილები ახასიათებს ლენინის მოღვაწეობას რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შესაქმნელად, მის ბრძოლას ნაროდნიკობის, «ლეგალური

მარქსიზმის», «ეკონომიზმის» წინააღმდეგ. ტომში მოთავსებული წერილები გ. ვ. პლეხანოვისადმი, ლ. მ. კნიპოვიჩისადმი, ნ. ე. ბაუმანისა და სხვებისადმი გვიჩვენებენ, თუ როგორ ხორციელდებოდა რევოლუციურ მარქსისტთა პირველი საერთო-რუსული გაზეთის — «ისკრის» შექმნის ლენინური გეგმა, გვიჩვენებენ ლენინის ხელმძღვანელ როლს «ისკრაში», მის ბრძოლას გაზეთის რედაქციის შიგნით.

ტომის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ 1901 — 1904 წლების წერილები. ამ პერიოდის წერილთა ჯგუფი, რომლებიც მიმართულია გ. ვ. პლეხანოვისადმი, მიძღვნილია პროლეტარული პარტიის რევოლუციური პროგრამის შექმნის საკითხებისადმი. მიწერ-მოწერაში ხარკოვისა და ნიჟნი-ნოვგოროდის ადგილობრივ კომიტეტებთან, პეტერბურგის ორგანიზაციასთან (წერილი ი. ვ. ბაბუშკინისადმი და სხვ.), პარტიის II ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტთან ლენინი მოუწოდებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს დაირაზმონ «ისკრის» პროგრამული და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე, იძლევა კონკრეტულ მითითებებს პარტიული მუშაობის გასაჩაღებლად და პარტიის ყრილობის მოსამზადებლად. პარტიის II ყრილობის შემდეგ დაწერილ მთელ რიგ წერილებში ლენინი ამხილებს გამთიშველ საქმიანობას, რასაც მენშევიკები ეწეოდნენ, შეურიგებლად ებრძვის ზოგიერთ გახრწნილ ბოლშევიკს (კრასინი, ნოსკოვი, გალპერინი), რომლებიც მენშევიკების მხარეზე გადავიდნენ და ეხმარებოდნენ მათ ხელში ჩაეგდოთ უმრავლესობა ცენტრალურ კომიტეტში. ასეთია წერილები: ცენტრალური კომიტეტის, ციმბირის კომიტეტის, ნ. ე. ვილონოვის, ა. მ. სტოპანის, რ. ს. ზემლიაჩკასადმი და სხვ.

ტომში მოთავსებული წერილები კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი ასახავენ ლენინის ხელმძღვანელობას კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი, რომლებსაც სათავეში ედგა ამხანაგი სტალინი.

რუსეთის პირველი რევოლუციის (1905 — 1907 წწ.) პერიოდის წერილები ასახავენ ლენინის ბრძოლას პარტიის

III ყრილობის მოწვევისა და მის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ბოლშევიზმის ტაქტიკური პრინციპებისათვის. მათ რიცხვს ეკუთვნის წერილები ცენტრალური კომიტეტისადმი, ს. ი. გუსევისადმი, რ. ს. ზემლიაჩკასადმი და სხვ.

სტოლიპინის რეაქციის პერიოდის მიწერ-მოწერა გვიჩვენებს ლენინის ბრძოლას ლიკვიდატორობის, ტროცკიზმის, ოტზოვიზმ-ულტიმატიზმის, შემარიგებლობის წინააღმდეგ, რევოლუციური მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების დამახინჯების წინააღმდეგ. ტომში იბეჭდება წერილი გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციისადმი. ამ წერილში ლენინმა დაგმო ტროცკი როგორც უსაზიზღრესი კარიერისტი და ფრაქციონერი. ტომში დაბეჭდილ მთელ რიგ წერილებში მხილებული არიან საერთაშორისო რევიზიონისტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ რუს ოპორტუნისტ-მენშევიკებს.

ვ. ი. ლენინის 1908 — 1911 წლების მიწერ-მოწერაში დიდი ადგილი უჭირავს წერილებს ა. მ. გორკისადმი.

ოცდამეთოთხმეტე ტომში შეტანილი წერილები გვიჩვენებენ ლენინის ბრძოლას მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, პარტიული ძალების დარაზმვისათვის, იმისათვის, რომ ბოლშევიკები ჩამოყალიბებულიყვნენ დამოუკიდებელ პარტიად, ახალი ტიპის პარტიად, ლენინიზმის პარტიად, ბოლშევიკურ პარტიად, რაც დამთავრდა პრაღის კონფერენციის მოწვევით 1912 წლის იანვარში.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად არის შეტანილი შემდეგი წერილები, რომლებიც წინათ გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა გამოცემაში: რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციისადმი, 1904 წ. 26 თებერვალი; მ. კ. ელადიმიროვისადმი, 1904 წ. 15 აგვისტო; კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი, 1904 წ. 20 დეკემბერი; რსდმ პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციისადმი, 1904 წ. ოქტომბერი — დეკემბერი; წერილი ამხანაგისადმი რუსეთში, 1905 წ. 6 იანვარი; ხუთი წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი, 1905, 1907 და 1908 წლები; ა. მ. გორკისადმი, 1908 წ. 7 თებერვალი;

პ. იუშკევიჩისადმი, 1908 წ. 10 ნოემბერი; ორი წერილი ა. ი. ლიუბიმოვისადმი, 1909 წ. აგვისტო და სექტემბერი; წერილი გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციისადმი, 1909 წ. 24 აგვისტო; მონახაზი წერილისა «შემნახველებისადმი», 1910 წ. თებერვალი — მარტი; ნ. გ. პოლეტაევისადმი, 1910 წ. 7 დეკემბერი; ა. რიკოვისადმი, 1911 წ. 25 თებერვალი.

ამ ტომში პირველად ქვეყნდება წერილი გ. დ. ლეიტეიზენისადმი, 1902 წლის 24 ივლისის თარიღით, სადაც ლენინი აღნიშნავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დარაზმვას «ისკრის» გარშემო.

* *
*

34-ე და 35-ე ტომებში შესული წერილები დალაგებულია ქრონოლოგიური რიგით; რუსეთიდან გაგზავნილი წერილები აღნიშნულია ძველი სტილით, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი — ახალი სტილით. ლენინის მიერ დათარიღებულ წერილებში თარიღების ადგილი და დაწერილობა დატოვებულია ხელნაწერის მიხედვით. იმ შემთხვევებში, როცა ლენინის ხელნაწერში თარიღი არ არის, იგი მოცემულია რედაქციის მიერ წერილის ბოლოს. თვითეული წერილისათვის ნაჩვენებია რიგითი ნომერი, ვის და სად გაეგზავნა წერილი, დაწერის თარიღი და გამგზავნის მისამართი.

მოკლე შენიშვნებს გარდა, წერილთა ტომებში მოთავსებულია იმ ფსევდონიმების, მეტსახელებისა და ინიციალების გაშიფრვის მაჩვენებლები, რომლებიც წერილების ტექსტში გვხვდება.

1895 წ.

I

პ. ბ. აქსელროდს

თქვენ, ალბათ, მლანძღავთ დაგვიანებისათვის. იყო ზოგიერთი საპატიო მიზეზი.

მოგიყვებით თანმიმდევრობით. ვიყავი უწინარეს ყოვლისა ვილნოში *. ვესაუბრე ხალხს კრებულზე [2]. უმრავლესობა ეთანხმება იმ აზრს, რომ ასეთი გამოცემა საჭიროა, და გვპირდება მხარდაჭერას და მასალის მოწოდებას. საერთოდ უნდობლად არიან განწყობილნი (გამახსენდა თქვენი გამოთქმა პალ. [3] პროვინციების შესახებ): ვნახოთ, სააგიტაციო ტაქტიკის, ეკონომიური ბრძოლის ტაქტიკის შესაბამისი იქნება თუ არაო. მე უფრო მეტად იმას ვუსვამდი ხაზს, რომ ეს ჩვენზეა დამოკიდებული-მეთქი.

შემდეგ. ვიყავი მოსკოვში. არავინ არ მინახავს, რადგან «ცხოვრების მოძღვარზე» სრულებით არაფერი ისმის. გადარჩა თუ არა? თუ იცით რამე მის შესახებ და მისამართი გაქვთ, მისწერეთ, რომ მისამართი გამოგვიგზავნოს, თორემ უამისოდ იქ კავშირი ვერ გაგვიბამს. იქ უდიდესი რბევა იყო [4], მაგრამ, ვგონებ, ზოგი ვინმე დარჩა, და მუშაობა არ წყდება. ჩვენ იქიდან მასალა გვაქვს — რამდენიმე გაფიცვის აღწერილობა. თუ თქვენ არ მიგიღიათ, მოგვწერეთ და გამოგიგზავნით.

შემდეგ ვიყავი ორეხოვო-ზუევოში. უაღრესად ორიგინალურია ეს ადგილები, რომლებიც ხშირად გვხვდება ცენტრალურ სამრეწველო რაიონში: წმინდა საფაბრიკო ქალაქი,

* გასაღები იგივეა, რომელსაც ჩვენ ვიყენებდით [1].

ათეული ათასობით მცხოვრებით, ქალაქი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ფაბრიკით არსებობს. ფაბრიკის ადმინისტრაცია ერთადერთი მმართველობაა. ქალაქს ფაბრიკის კანტორა «მართავს». ხალხის გათიშვა მუშებად და ბურჟუებად უალრესად მკვეთრია. ამიტომ მუშები განწყობილი არიან საკმაოდ ოპოზიციურად, მაგრამ ამას წინათ იქ მომხდარი დარბევის შემდეგ ისე ცოტა ხალხი დარჩა და თანაც მთლად იმდენად ეჭვმიტანილი, რომ ურთიერთობა ძალიან ძნელია. ლიტერატურის მიწოდებას კი მაინც მოვახერხებთ.

შემდეგ. დაგვიანება გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივ საქმე კარგად ვერ არის. ამითვე აიხსნება, რომ გამოგზავნილი მასალა მცირეა.

მე არ მომწონს ციურიხის მისამართი. ხომ არ შეგიძლიათ იშოვნოთ სხვა — არა შვეიცარიაში, არამედ გერმანიაში. ეს გაცილებით უკეთესი და ნაკლებად საშიში იქნებოდა.

შემდეგ. როცა გამოგვიგზავნით პასუხს — **ტექნოლოგიის** წ ი გ ნ ს, მისამართი: პიტერი, ალექსანდროვის **თუჯის ქარ**ხანა, ქიმიური ლაბორატორია ბატონ ლუჩინსკის, — დაუმატეთ, თუ ადგილი იქნება, სხვა მასალა: ჟენევაში გამოსული ბროშურები, საინტერესო ამონაჭრები «Vorwärts»-იდან * და სხვ.. უფრო დაწვრილებით მოგვწერეთ კრებულის შესახებ: რა მასალაა უკვე, რა არის ნავარაუდევი, როდის გამოვა 1-ლი ნაკვეთი, სახელდობრ რა გაკლიათ მე-2-სათვის. ფულს, ალბათ, გამოგიგზავნით, მაგრამ უფრო გვიან. გვიპასუხეთ მ ა ლ ე, რათა ვიცოდეთ, რომ ეს წესი ვარგა.

გადაეცით პოლონელს მისამართი პირადად გამოცხადებისათვის. სასურველია რაც შეიძლება მალე, ვინაიდან ტრანსპორტი გვესაჭიროება. მისამართი: იგივე ქალაქი, ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სტუდენტი მიხეილ ლეონტის-ძე ზაკლადნი, იკითხონ ივანოვი. — იმისათვის, რომ მისი «Geschichte etc.» ** რუსულად გამოიცეს, ფულზე დაპირება არსებობს.

---

* — «წინ». რ ე დ.

** — «ისტორიის და ა. შ.». რ ე დ.

შემდეგ. ასეთი სათხოვარი მაქვს: ძლიერ გვჭირდება საღებავი — თუ როგორი, შეგიძლიათ შეიტყოთ Mögli-სთან, რომელსაც იგი აქვს. ხომ არ შეიძლება როგორმე მოგვაწოდოთ? ეგებ არის შემთხვევა? გთხოვთ მოიფიქროთ ეს ან დაავალოთ თქვენს «პრაქტიკოსებს», რომ მოიფიქრონ. ჰო, თქვენ მთხოვდით პირდაპირ მათთვის მიგვემართა. მაშინ გვაცნობეთ 1) იცნობენ თუ არა ისინი ჩვენს წესსა და გასაღებს; 2) იციან თუ არა, ვისგან მოდის ეს წერილები.

ახლა გეგზავნებათ 1) ცნობა დუხობორცების გასახლების შესახებ; 2) ნაამბობი სამხრეთის სოფლის მუშებზე და 3) ტორნტონის ფაბრიკის აღწერილობა — აქედან ჯერჯერობით გეგზავნებათ მხოლოდ დასაწყისი — დაახლოებით ¼.

უნდა წეროთ ჩინური ტ უ შ ი თ. უკეთესია, თუ დაუმატებთ ქ რ ო მ პ ი კ ი ს ($K_2Cr_2O_7$) პატარა კრისტალს: მაშინ აღარ გადაირეცხება. ქაღალდი აიღეთ რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა თ ხ ე ლ ი. ხელს გართმევთ. თქვენი...

სალამი ამხანაგს.

დაწერილია 1895 წ. ნოემბრის დამდეგს
გაგზავნილია პეტერბურგიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

2

პ. ბ. აქსელროდს

მივიღეთ ბრესლავლის ანგარიში [5]. წარმოუდგენლად გაგვიჭირდა გახსნა, ამასთან მეტი ნაწილი დავხიეთ (წერილი კარგი ქაღალდის მეოხებით სრულად გადარჩა). ჩანს, ჯერ კიდევ არ მიგიღიათ მეორე წერილი. საჭიროა იხმაროთ ძალიან თხელი წებო: არა უმეტეს ერთი ჩაის კოვზი სახამებლისა (თანაც კარტოფილის და არა ხორბლისა, რომელიც მეტად მაგარია) ჭიქა წყალზე. მხოლოდ ზედა ფურცლისა და ფერადი ქაღალდისათვის საჭიროა ჩვეულებრივი (კარგი) წებო, ქაღალდი კი კარგად ეწებება, წნეხის გავლენით, თუნდაც რომ წებო მთლად თხელი იყოს. ყოველ შემთხვევაში ეს ხერხი ვარგა, და პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ.

გიგზავნით ტორნტონის დასასრულს. ჩვენ გვაქვს მასალა გაფიცვაზე 1) ტორნტონთან, 2) ლაფერმთან, 3) ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცვაზე, 4) იაროსლავლის გაფიცვაზე (მუშის წერილი, ძალიან საინტერესო), ფეხსაცმლის მექანიკური წარმოების პეტერბურგის ფაბრიკაზე. არ გიგზავნით მას, იმიტომ რომ ჯერ კიდევ ვერ მოვიცალე გადასაწერად და იმიტომ რომ არა მგონია მოვასწრო კრებულის 1-ლი ნაკვეთისათვის. — ჩვენ დამყარებული გვაქვს ურთიერთობა ნაროდოვოლცების სტამბასთან, რომელმაც უკვე გამოუშვა 3 რამ (არა ჩვენი) და კისრულობს ერთს ჩვენსას *. ვვარაუდობთ გამოვცეთ

---

* გამოგვიგზავნეთ, თუ გაქვთ, მასალა მუშათა ბროშურებისათვის. ისინი სიხარულით დაბეჭდავენ.

გაზეთი[6], და მასალაც იქ მოთავსდება. ეს საბოლოოდ გამოირკვევა დაახლოებით 1½ — 2 თვეში. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ მასალა 1-ლი ნაკვეთისათვის მოესწრება, — ახლავე გვაცნობეთ.

თქვენი ი ლ ი ნ ი

ადვილად სძლევთ თუ არა ჩვენს ამანათებს? საჭიროა ერთად გავაუმჯობესოთ ხერხი.

დაწერილია 1895 წ. შუა ნოემბერში
გაგზავნილია პეტერბურგიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1897 წ.

8

პ. ბ. აქსელროდს

ძვირფასო პავლე ბორისის-ძევ! ძალიან და ძალიან მოხარული ვარ, რომ როგორც იქნა მეღირსა თქვენი წერილის მიღება (მივიღე გუშინ, ე. ი. 15 აგვისტოს) და შევიტყვე თქვენი და გ. ვ — ის ამბავი. თქვენმა და მისმა აზრებმა ჩემი ლიტერატურული ცდების შესახებ[7] (მუშებისათვის) ფრიად გამამხნევა. არაფერი ისე არ მინდა, არაფერზე იმდენი არ მიოცნებია, როგორც იმის შესაძლებლობაზე, რომ ვწერო მუშებისათვის. მაგრამ როგორ გავაკეთო ეს აქედან? ძალიან და ძალიან ძნელია, მაგრამ, ჩემი აზრით, შეუძლებელი არ არის. როგორ არის ვ. ივ.?

ხერხი მხოლოდ ერთი ვიცი, — ის, რომლითაც ამ სტრიქონებს ვწერ[8]. საკითხავი ის არის, შეიძლება თუ არა მოინახოს გადამწერი, რომელსაც იოლი შრომა როდი დაეკისრება. თქვენ, როგორც ჩანს, ეს შეუძლებლად მიგაჩნიათ და საერთოდ ეს ხერხი შეუფერებლად. სხვა კი მე არ ვიცი... ძალიან სამწუხაროა, მაგრამ სასოწარკვეთილებას როდი ვეძლევი: თუ ახლა არ მოხერხდა, — შეიძლება შემდეგ მოხერხდეს. ჯერ-ჯერობით კი ისიც კარგი იქნებოდა, რომ თქვენ ზოგჯერ იწერებოდეთ თუნდაც იმ ხერხით, რომელსაც თქვენ და თქვენი «ძველი მეგობარი» ხმარობთ[9]. მაშინ შეიძლება ურთიერთობა აღარ გავწყვიტოთ, ეს კი უმთავრესია.

ჩემ შესახებ, რა თქმა უნდა, საკმაოდ გიამბობდნენ, ასე რომ დასამატებელი არაფერია. აქ განმარტოებით ვცხოვრობ. სავსებით ჯანსაღად ვარ და ცოტ-ცოტას ვმუშაობ ჟურნალისთვისაც და ჩემი დიდი სამუშაოსთვისაც[10].

მაგრად გართმევთ ხელს. გულითადი სალამი ვ. ივ — ს და გ. ვ — ს. რაიჩინი თვეზე მეტია არ მინახავს. იმედი მაქვს მალე ჩავალ მინუსინსკში მის სანახავად.

16. VIII. თქვენი ვ. ულ.

დაწერილია 1897 წ. 16 აგვისტოს
გაგზავნილია სოფ. შუშენსკოედან
ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერი
პირის მიხედვით

1898 წ.

4

ა. ნ. პოტრესოვს

2. IX. 98.

გუშინ მივიღე თქვენი 11. VIII-ს წერილი წიგნების სიით და ბანდეროლი — «Archiv» [11]. «გამოჩენილი პოლიტიკო-ეკონომის» სტატია უაღრესად საინტერესოა და ჩინებულად არის შედგენილი. ჩანს, ავტორს ჰქონია უმდიდრესი მასალა, რომელიც საბედნიეროდ ჩავარდნია ხელში. საერთოდ პუბლიცისტიკის დარგში იგი შეიძლება უკეთესი მწერალიც კი გამოდის, ვიდრე წმინდა-ეკონომიურ სფეროში. «Archiv», საერთოდ, საინტერესო ჟურნალია, და მომავალი წლისათვის მას აუცილებლად გამოვიწერ. მინდოდა აგრეთვე გამომეწერა რაიმე პერიოდული ინგლისური გამოცემა, ჟურნალი, ან გაზეთი (ყოველკვირეული); ხომ ვერ მირჩევთ, რა ავირჩიო. მე სრულებით არ ვიცი, რა არის ინგლისურ ჟურნალისტიკაში ყველაზე საინტერესო, რომელიც ხელმისაწვდომია რუსეთში.

სტრუვეს სტატიის შესახებ, რომლის შეფასებაშიც ჩვენ ერთმანეთს ვერ ვეთანხმებით, რასაკვირველია, უნდა ვთქვათ, რომ მარტო ამ სტატიის მიხედვით არ შეიძლება ზუსტად ვიმსჯელოთ ავტორის შეხედულებებზე. მე, მაგალითად, მეჩვენა და ახლაც მეჩვენება, რომ იგი ისახავდა სწორედ «ზოგად საკლასიფიკაციო ამოცანებს» (უკვე მარტო სათაური მიუთითებს ამაზე), თქვენ კი მიგაჩნიათ, რომ «სრულებითაც არ ისახავდა»... რომ «საჭიროა დავიცვათ ჩვენი შინამრეწველობა ეგრეთწოდებული ხალხური წარმოებისაგან», ამას მე, ცხადია, სავსებით და უთუოდ ვეთანხმები, და მე ვფიქრობ, რომ ეს ამოცანა ჯერ კიდევ გადაუჭრელი დგას ჩვენი «მოწაფეების» [12] წინაშე. სტრუვეს სტატიაში მე სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტის გ ე გ მ ა დავინახე.

მიაქციეთ თუ არა ყურადღება «რუსსკოე ბოგატსტვოში» ნ. გ — ს სტატიებს (2 უკანასკნელ წიგნაკში) «მატერიალიზმისა და დიალექტიკური ლოგიკის» წინააღმდეგ. ძალიან საინტერესო კია — უარყოფითი თვალსაზრისით. უნდა ვაღიარო, რომ კომპეტენტური არა ვარ ავტორის მიერ წამოყენებულ საკითხებში, და მეტად მაკვირვებს, «Beiträge zur Geschichte des Materialismus»-ის [13] ავტორს რატომ გადაჭრით არ გამოუთქვამს აზრი რუსულ ლიტერატურაში და არ გამოთქვამს. მას ნეოკანტიანელობის წინააღმდეგ, სტრუვესა და ბულგაკოვს ანებებს იკამათონ ამ ფილოსოფიის კერძო საკითხებზე, თითქოს იგი უკვე შევიდა რუს მოწაფეთა შეხედულებების შემადგენლობაში. ფილოსოფიური სტატიებისათვის ყოველ შემთხვევაში აღმოჩნდებოდა ადგილი ჩვენს არა ერთ ჟურნალში, და წიგნიც თავისუფლად გავიდოდა. მისი პოლემიკა ბერნშტეინთან და კონრად შმიდტთან მეტად მაინტერესებს, და ძალიან ვწუხვარ, «დროება» [14] რომ ვერ მიშოვნია. თქვენი ფრიად მადლობელი ვიქნებოდი, რომ შეძლებდეთ დამეხმაროთ ამაში. ცხადია, სავსებით საკმარისი იქნებოდა ამ გაზეთის მიღება თუნდაც მცირე ვადით. ხომ არა გაქვთ «ახალი დროების» ის ნომერი, სადაც დაბეჭდილი იყო (რამდენიმე წლის წინათ) იმავე ავტორის სტატია ჰეგელზე (გარდაცვალების 30-ე წლისთავი — რაღაც ამგვარი)? «ახალ დროებას» ვერ ვიღებთ ვერც მე და ვერც რომელიმე აქაური ამხანაგი, თუმცა პიტერიდან დაგვპირდნენ გამოგზავნას! ეშმაკსაც წაუღია ყველა ეს ტყუილად დამპირებელი და აღმოქმელი!

საინტერესოა კიდევ «რუსსკოე ბოგატსტვოში» (ივლისისა) რატნერის სტატია «კაპიტალის» შესახებ. ჩემს აღშფოთებას ყველაზე მეტად იწვევენ ოქროს შუაგულის ასეთი მოყვარულნი, რომელნიც ვერ ბედავენ პირდაპირ გამოვიდნენ მათთვის არასიმპათიური დოქტრინების წინააღმდეგ, მიკიბ-მოკიბვას მიმართავენ, შეაქვთ «შესწორებანი», გვერდს უვლიან ძირითად პუნქტებს (როგორიც არის მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის შესახებ) და გარს უტრიალებენ კერძო საკითხებს.

მეორე ავტორის სტატიები «ახალ დროებაში» რუსეთის საზოგადოებრივ მიმდინარეობათა შესახებ, ჩანს, აგრეთვე

უაღრესად საინტერესოა: თქვენ მთლად გამაღიზიანეთ მათი მოხსენიებით. «თვალი კი ხედავს, მაგრამ...». თუ მე სწორად გაგიგეთ, ეს ავტორი გამოთქვამს იმ აზრებს, რომლებიც უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა სხვა ადგილას (einer politischen Isolierung des russischen Proletariats * საშიშროების შესახებ). მე მგონია, რომ «საზოგადოებისაგან განკერძოება» ჯერ კიდევ სრულებითაც არ ნიშნავს აუცილებლად ამ «იზოლირებას» **, ვინაიდან საზოგადოებაც არის და საზოგადოებაც: ეომებიან რა ნაროდნიკობას და მთელ მის ნაშიერებს, მოწაფენი ამით უახლოვდებიან იმ gauches ***, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ გადაჭრით გაწყვიტონ კავშირი ნაროდნიკობასთან და თანმიმდევრულად დაიცვან თავიანთი შეხედულებანი. არა მგონია, რომ ასეთ ადამიანებს მოწაფენი აუცილებლად მოერიდონ. უფრო კი პირიქით. ასეთ ადამიანებთან «შემარიგებლური» (ან, უკეთ რომ ვთქვათ, ალიანსისტური****) დამოკიდებულება, ჩემი აზრით, სავსებით შეიძლება შეთავსებულ იქნეს ნაროდნიკობისა და ყველა მის გამოვლინებათა წინააღმდეგ ომთან.

მოიწერეთ ხოლმე. ხელს გართმევთ. ვ. ულიანოვი

ოო, თქვენ უკვე ომობთ, ისე რომ შორიდანაც კი შიში იპყრობს კაცს: ჯოხებით და სხვ.! საბედნიეროდ, აღმოსავლეთი ციმბირი, ვგონებ, ბევრად როდი ჩამორჩა ვიატკის გუბერნიას საომარი განწყობილებით.

გაგზავნილია სოფელ შუშენსკოედან
ვიატკის გუბერნიის ორლოვში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკური იზოლირების. — რ ე დ.

** ხოლო ამ «იზოლირების» დაშვება სრულებით რომ არ შეიძლება, ამაში, ჩემი აზრით, ავტორი სავსებით და 1 000-გზის მართალია, განსაკუთრებით «ეკონომიკის» ვიწრო მომხრეთა წინააღმდეგ.

*** — მემარცხენეებს. რ ე დ.

**** — სამოკავშირეო (სიტყვიდან «alliance» — კავშირი). რ ე დ.

1899 წ

5

ა. ნ. პოტრესოვს

26. I. 99.

მივიღე თქვენი 24. XII-ის წერილი. ძალიან მიხარია, რომ თქვენ, ბოლოს, თავიდან მოგიშორებიათ თქვენი ავადმყოფობა. მის შესახებ ხმებმა უკვე ჩვენამდეც მოაღწია: მე გავიგე ჯერ კიდევ დღესასწაულების დროს, როცა მინუსინსკში ვიყავი, და სულ ვფიქრობდი, სად და როგორ გამეგო თქვენი ამბავი. (პირდაპირ თქვენთვის მოწერა უხერხულად მიმაჩნდა, ვინაიდან ამბობდნენ, ავადმყოფობა სერიოზულიაო.) ახლა კი თქვენ სწორედ დროზე აღსდექით, როცა მკვდრეთით დგება აგრეთვე ერთი ლიტერატურული წამოწყება. რა თქმა უნდა, თქვენ უკვე გეცოდინებათ «ნაჩალოს» შესახებ, რომელიც შუა თებერვლიდან უნდა დაიწყოს [15]. იმედი მაქვს, რომ თქვენ ახლა უკვე სავსებით განიკურნეთ, — უკვე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელი წერილი მომწერეთ, — და რომ მუშაობას შეძლებთ. წიგნების მხრივ ალბათ ცუდად როდი ხართ უზრუნველყოფილი: იწერთ მთავარ ახალ წიგნებს? თუ წიგნების გამოსაწერად კაცმა ძალიან არ შეიზღუდა თავი სახსრების მხრივ, მე ვფიქრობ, შეიძლება მიყრუებულ ადგილასაც იმუშაო, — მე ყოველ შემთხვევაში ჩემი თავის მიხედვით ვმსჯელობ, რომ ვადარებ 7 წლის წინათ სამარაში ცხოვრებას, როცა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სხვის წიგნებს ვკითხულობდი, და ახლანდელს, როცა ჩვეულებად შემოვიღე წიგნების გამოწერა.

«მემკვიდრეობის» შესახებ უნდა დავთანხმებოდი თქვენს აზრს, რომ მისი ერთიან რაიმედ მიჩნევა ცუდი (80-იანი)

წლების ცუდი ტრადიციაა. მართლაც, შეიძლება ითქვას, ისტორიულ-ლიტერატურულ თემებს მე ხელს არ უნდა ვკიდებდე... მხოლოდ ის მამართლებს, რომ სკალდინისაგან მემკვიდრეობის მიღების წინადადებას სწორედ მე არსად არ ვიძლევი[16]. მემკვიდრეობა სხვა ადამიანებისაგან რომ უნდა მივიღოთ, — ეს უდავოა. მე მგონია, რომ თავდასაცავად (მოწინააღმდეგეთა შესაძლო თავდასხმისაგან) გამომადგება შენიშვნა 237 გვერდზე, სადაც მხედველობაში მყავდა სწორედ ჩერნიშევსკი და ვასაბუთებდი იმის მიზეზებს, თუ რატომ იყო უხერხული მასთან პარალელის გატარება[17]. იქვე აღიარებულია, რომ სკალდინი არის liberalkonservativ *, რომ იგი «ტიპიური არ არის» 60-იანი წლებისათვის, რომ «ტიპიური» მწერლების დასახელება «უხერხულია», — მე არ მქონდა და არცა მაქვს ჩერნიშევსკის სტატიები, ხელახლა ჯერ არც გამოცემულა მთავარი მათგანი, და საეჭვოც არის ამასთან მომეხერხებინა წყალქვეშა ქვებისათვის გვერდის ავლა. შემდეგ კი თავის დაცვას დაავიწყებდი აგრეთვე იმით, რომ აკი ზუსტად განვსაზღვრე ის, თუ რას ვგულისხმობ «მემკვიდრეობად», რომელზეც ვლაპარაკობ. რა თქმა უნდა, თუ სტატია მაინც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ავტორი წინადადებას იძლევა მივიღოთ მემკვიდრეობა სწორედ სკალდინისაგან, მაშინ ამ ნაკლს ვერაფრით ვერ გამოასწორებ. დამავიწყდა ჩემი კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, მთავარი «თავდასაცავი საბუთი»: თუ სკალდინი «რარიტეტია» **, მაშინ ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, ცოტად თუ ბევრად თანმიმდევრული და ნაროდნიკობისაგან სუფთა, — რარიტეტი კი არ არის, არამედ 60-იანი და 70-იანი წლების ძალიან ფართო სიოა. თქვენ მედავებით: «თანადამთხვევიდან მემკვიდრეობითობამდე უდიდესი მანძილიაო». მაგრამ სტატიის არსი ხომ ის არის, რომ საჭიროა გაიწმინდოს ბურჟუაზიული ლიბერალიზმი ნაროდნიკობისაგან. თუ ეს სწორია და თ უ ა მ ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირობა!),

* — ლიბერალური კონსერვატორი. რ ე დ.
** — ოშვიათობაა. რ ე დ.

მაშინ გაწმენდის შედეგი, ნაშთი გაწმენდის შემდეგ იქნება სწორედ ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, რომელიც არა მარტო დაემთხვევა სკალდინისას, არამედ მემკვიდრეობითიც იქნება მის მიმართ. ასე რომ, უკეთუ მე გამტყუნებას დამიწყებენ, რომ სკალდინისაგან მ ე ვიღებ მემკვიდრეობას, უფლება მექნება ვუპასუხო, რომ ვალდებულებას ვკისრულობ მხოლოდ გ ა ვ წ მ ი ნ დ ო იგი მინარევებისაგან, თვითონ კი განზე ვდგავარ და, ავგიოსის სხვადასხვა თავლის წმენდის გარდა, კიდევ მაქვს უფრო სასიამოვნო და უფრო დადებითი საქმეები... მაგრამ მე, ვგონებ, უკვე გამიტაცა ამ ამბავმა და თავი წარმოვიდგინე მართლაც «თავის დამცველად»!

ჩვენი მიწერ-მოწერა ისე დიდხანს იყო შეწყვეტილი, რომ, უნდა გამოვტყდე, უკვე დამავიწყდა, სახელდობრ როდის გწერდით უკანასკნელად სტატიებზე «Die historische Berechtigung» *. ვგონებ, გწერდით მანამდე, სანამ მათ მივიღებდი? ახლა გავეცანი მათ და მიმაჩნია, რომ ავტორის ძირითადი აზრი სავსებით მისაღებია (განსაკუთრებით ბოლოში ორი უკიდურესობის ან წყალქვეშა ქვების შესახებ, რომლებსაც უნდა ვერიდებოდეთ). დასაბუთებაში კი მართლაც საჭირო იყო უფრო მკვეთრად წამოეყენებინა Klassencharakter ** იმ Bewegung-ისა ***, რომელზეც ლაპარაკობს ავტორი (მან ეს თქვა, მაგრამ მხოლოდ გაკვრით და ძალიან მოკლედ), შემდეგ კი ასე კეთილგანწყობილი არ ყოფილიყო ფრონდიორ აგრარიების მიმართ: მათს ლიბერალიზმში სწორედ ფრონდიორობა და einundsechzig-ის **** გამო «წყენა» უფრო მეტია, ვიდრე ქვეყნის «უსწრაფესი ინდუსტრიალიზების» სურვილი. საკმარისია გავიხსენოთ მათი დამოკიდებულება გარესამუშაოებისადმი, გადასახლებისადმი და სხვ.. ავტორს უფრო ზუსტად უნდა ჩამოეყალიბებინა ამოცანა: გავათავისუფლოთ ყველა და ყოველგვარი fortschrittliche Strömungen *****

* — «ისტორიული გამართლება». რ ე დ.
** — კლასობრივი ხასიათი. რ ე დ.
*** — მოძრაობისა. რ ე დ.
**** — სამოცდაერთი (1861 წლის გამო). რ ე დ.
***** — პროგრესული მიმდინარეობანი. რ ე დ.

ნაროდნიკობისა და აგრარიერობის ნაგვისაგან და ასეთი, გაწმენდილი, სახით გამოვიყენოთ ისინი ყველანი. ჩემი აზრით, «გამოყენება» გაცილებით უფრო ზუსტი და შესაფერი სიტყვაა, ვიდრე Unterstützung und Bundesgenossenschaft *. ეს უკანასკნელი მიგვითითებს ამ Bundesgenossen ** თანასწორუფლებიანობაზე, ხოლო ისინი (ამაში მე თქვენ სავსებით გეთანხმებით) კუდში უნდა მოგვჩანჩალებდნენ, ზოგჯერ «კბილთა ღრჭენითაც» კი; თანასწორუფლებიანობისათვის მათ აბსოლუტურად არ მიუღწევიათ და ვერც ვერასოდეს მიაღწევენ, მათი სიმხდალის, დაქუცმაცებულობის გამო და ა. შ.. ხოლო Unterstützung შორს იქნება არა მარტო Intelligenz und fortschrittliche Grundbesitzer-ისაგან ***, არამედ ბევრი სხვისაგანაც, სემიტებისაგანაც და fortschrittliche Kaufleute und Industrielle-საგანაც **** (ავტორმა სულ ტყუილად აუარა მათ გვერდი: ჯერ კიდევ საკითხავია, ნაკლებ %-ს შეადგენენ ისინი თუ არა თავიანთ წრეში, ვიდრე Grundbesitzer-თა ***** წრეში) და ის Bauern ******, რომელთაც მიდრეკილება აქვთ წარმოადგენდნენ თავიანთი კლასის Urteil, და არა Vorurteil, Zukunft, და არა Vergangenheit *******, და ბევრი და ბევრი სხვა. ავტორმა ორგვარად გადახარა ჯოხი მეორე მხარეს: ჯერ-1, ომობს რა ეკონომისტების წინააღმდეგ, მან განზე დატოვა praktische ********, უახლოესი Forderungen *********, რომლებიც მნიშვნელოვანია industriellen Arbeiter-ისთვისაც,

---

* — მხარდაჭერა და კავშირი. რ ე დ.

** — მოკავშირეთა. რ ე დ.

*** — ინტელიგენციისა და პროგრესული მიწათმფლობელებისგან. რ ე დ.

**** — პროგრესული ვაჭრებისა და მრეწველებისგან. რ ე დ.

***** — მიწათმფლობელთა. რ ე დ.

****** — გლეხები. რ ე დ.

******* — გონებას და არა ცრურწმენას, მომავალს და არა წარსულს. რ ე დ.

******** — პრაქტიკული. რ ე დ.

********* — მოთხოვნები. რ ე დ.

Hausindustrielle-სთვისაც, Landarbeiter-ისთვისაც* და სხვ.. მე-2-ც, იგი ომობდა gemässigten fortschrittlichen** ელემენტებისადმი აბსტრაქტული, უგულებელმყოფელი დამოკიდებულების წინააღმდეგაც (ეს მართალია, რომ მათი სავსებით უგულებელყოფა სრულებითაც არ არის მიზანშეწონილი, რომ საჭიროა მათი გამოყენება) და ამით თითქოს მიაფუჩეჩა დამოუკიდებელი და უფრო გადამწყვეტი მდგომარეობა, რაც უჭირავს იმ Bewegung-ს, რომელსაც იგი წარმოადგენს. ისტორიულ-ფილოსოფიური თვალსაზრისით უდავოა ის დებულება, რომელსაც იგი აყენებს (და კიდევ უფრო ადრე წამოაყენა Inorodzew-მა «Soziale Praxis»-ში [18]), რომ ჩვენი Genossen*** ახლანდელ შემადგენლობაში ცოტანი როდი არიან verkleideten Liberalen****. რამდენადმე ხომ ამის თქმა შეიძლებოდა აგრეთვე Deutschland versus England*****. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი ბედნიერებაა; ეს საშუალებას გვაძლევს ვიქონიოთ უფრო იოლი და სწრაფი დასაწყისის იმედი; ეს გვაიძულებს სწორედ გამოვიყენოთ მთელი ეს verkleideten. ხოლო ავტორის ფორმულირებას, ვგონებ, შეუძლია გამოიწვიოს ერთი მხრივ ერთგვარი უკუღმა გაგება (ერთი ძველმოსავი მეუბნებოდა: ეს ხომ დაკნინება და გაუპიროვნებაა...), და უნდობლობისა და შეცბუნების ერთგვარი გრძნობა Genossen შორის. ამ მხრივ Inorodzew-მაც, ჩემი აზრით, უხერხული ფორმულირება იხმარა.

მაგრამ არსებითად, ვფიქრობ, ავტორთან უთანხმოება არ არის.

Parvus-ის შესახებ — მე ოდნავი წარმოდგენაც არა მაქვს მის პირად ხასიათზე და სრულებითაც არ უარვყოფ მის დიდ ნიჭს. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა წამიკითხავს მისი ნაწარმოებნი.

---

* — სამრეწველო მუშებისთვისაც, შინამრეწველებისთვისაც, სასოფლო-სამეურნეო მუშებისთვისაც. რ ე დ.

** — ზომიერ-პროგრესული. რ ე დ.

*** — ამხანაგების. რ ე დ.

**** — გადაცმული ლიბერალები. რ ე დ.

***** — გერმანიაზე ინგლისთან შედარებით. რ ე დ.

იმედი გაქვთ თუ არა იშოვნოთ კაუცკის «Die Agrarfrage» *, რომელიც ამას წინათ გამოვიდა?

ვერტის, ევგ. სოლოვიოვისა და ვ. ფილიპოვის შესახებ უნდა ვთქვა, რომ პირველს სრულებით არ ვიცნობ, მეორენი კი ძალიან ცოტა წამიკითხავს. «გამოქარვა» რომ არის და იქნება, ამაში მე ოდნავაც არ მეპარება ეჭვი. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა არა მარტო verkleidete Literatur **...

ხელს გართმევთ. ვ. უ.

გაგზავნილია სოფელ შუშენსკოედან
ვიატკის გუბერნიის ორლოვში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «აგრარული საკითხი». რ ე დ.
** — გადაცმული ლიტერატურა. რ ე დ.

6

ა. ნ. პოტრესოვს

27. IV. 99.

ძალიან გამახარა, ა. ნ., თქვენმა 27. III-ის წერილმა, რომელმაც როგორც იქნა შეწყვიტა თქვენი ხანგრძლივი და ჯიუტი დუმილი. საკითხები საუბრისათვის მართლაც უამრავი დაგროვდა, ხოლო დაწვრილებით მოლაპარაკება, უმთავრესად ლიტერატურული ხასიათის თემებზე, აქ არ ხერხდება. ახლა კიდევ ჟურნალი [19]: კოლეგებთან საუბარი რომ ვერ მოგიხერხებია, წერისათვის თავს მეტად მოწყვეტილად გრძნობ. აქ კი მარტო იული ეხმაურება ყოველივე ამას სავსებით გულმხურვალედ და ა ქ ტ ი უ რ ა დ, მაგრამ მასთან საკმაოდ დაწვრილებით საუბარს ხელს უშლის წყეული «დიდი მანძილი».

დავიწყებ იმით, რაც ახლა ყველაზე მეტად მაინტერესებს და მაღელვებს, — ბულგაკოვის სტატიით «ნაჩალოს» 1 — 2 და 3 წიგნაკებში. მის შესახებ თქვენი მოსაზრება რომ წავიკითხე, წარმოუდგენლად გამეხარდა, რომ თანაგრძნობა ვპოვე ყველაზე არსებითში, — მით უფრო გამეხარდა, რომ რედაქციის მხრივ, ეტყობა, ძალიან როდი უნდა ველოდე თანაგრძნობას... თუ თქვენზე ბულგაკოვის სტატიამ «საზიზღარი» და «უბადრუკი» სტატიის შთაბეჭდილება მოახდინა, მე მან პირდაპირ აღმაშფოთა. დღემდე, თუმცა ბევრჯერ და ბევრჯერ წამიკითხავს ბულგაკოვი, პირდაპირ ვერ გამიგია, როგორ დაწერა მან ასეთი თავიდან ბოლომდე სულელური და ყოვლად უმართებულო ტონის სტატია და როგორ ჩათვალა რედაქციამ შესაძლებლად არ დაეზღვია თავი თუნდაც

ერთი შენიშვნით, რომ არ თანაუგრძნობს კაუცკის ასეთ «განქიქებას». მე ისევე, როგორც თქვენ, «დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი სავსებით (მართლაც!) თავგზააბნეული და გაკვირვებულია». ან კი მართლაც როგორ არ უნდა იყოს გაკვირვებული, როცა მას უცხადებენ — «თანამედროვე მეცნიერების» სახელით (№ 3, გვ. 34), კაუცკის წიგნში ყველაფერი არასწორად, თვითნებურად არის გადმოცემული, ამ წიგნში სოციალური სასწაული, «თანაბრად მცირე ნამდვილი აგრონომია და ნამდვილი ეკონომია» არისო (№ 1—2) და სხვ., ამასთან კაუცკის წიგნის შინაარსი გადმოცემული კი არ არის, არამედ პირდაპირ დამახინჯებულია, ხოლო ბულგაკოვის საკუთარი შეხედულებანი, როგორც ოდნავ მაინც დალაგებული სისტემა, სრულებით არ ჩანს. ამ კაცს ოდნავ მაინც რომ ჰქონოდა პარტიულობის გრძნობა, ყველა Genossen* წინაშე და მთელი მათი პროგრამული და პრაქტიკული საქმიანობის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნება, — ვერ გაბედავდა ასე «ჯირითს» (თქვენი სწორი გამოთქმით), როცა თვითონ არაფერს იძლევა, არამედ მხოლოდ გვპირდება... მეცნიერულ შრომას «ოსტელბიაზე»!! ჩანს, თავს გრძნობს ყოველგვარი ამხანაგური მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან თავისუფლად, პროფესორული მეცნიერების «თავისუფალ» და ინდივიდუალურ წარმომადგენლად. მე, რა თქმა უნდა, არ მავიწყდება, რომ რუსეთის პირობებში ჟურნალს არ შეიძლება მოვთხოვოთ მარტო Genossen დაუშვას და დანარჩენები გამორიცხოს, — მაგრამ ისეთი ჟურნალი, როგორიც არის «ნაჩალო», ხომ მაინც მიმართულების ორგანოა და არა ალმანახი, რომელსაც მარქსიზმი დაუშვია არსებითად მოდის გულისათვის (à la** «მირ ბოჟი», «ნაუჩნოე ობოზრენიე» და სხვ.). ამიტომ ასეთი ჟურნალისათვის სავალდებულო უნდა იყოს ერთგვარი ლაგამი ამოსდოს მეცნიერ მოჯირითეებს და საერთოდ ყველა «გარეშეს». «ნოვოე სლოვოს»

* — ამხანაგების. რ ე დ.
** — როგორც. რ ე დ.

უდიდესი წარმატება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ რედაქცია მას უძღვებოდა სწორედ როგორც მიმართულების ორგანოს და არა როგორც ალმანახს.

მე კაუცკის წიგნი ჯერ კიდევ ბულგაკოვის სტატიის გამოსვლამდე წავიკითხე და ამ უკანასკნელთან ვერ ვიპოვე ვერც ერთი რამდენადმე გონივრული მოსაზრება კაუცკის წინააღმდეგ, კაუცკის აზრებისა და თეზისების დამახინჯება კი უამრავია. მაგალითად, რა სისულელეა ბულგაკოვის მტკიცება, რომ კაუცკი თითქოს ერთმანეთში ურევს ტექნიკასა და ეკონომიკას, თითქოს ამტკიცებს «მიწათმოქმედების დაღუპვას» (№ 3, გვ. 31. კაუცკი პირდაპირ წინააღმდეგს ამბობს: S. 289), თითქოს იგი უარყოფს, რომ მიწათმოქმედებას განვითარების ტენდენცია აქვს (№ 3, გვ. 34) და სხვ.!

მე უკვე დავწერე და 2 კვირის წინათ გავუგზავნე რედაქციას პირველი სტატია «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში (კაუცკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)» და ახლა ვიწყებ მეორეს ბულგაკოვის სტატიის დასასრულის გამო[20]. ძალიან მეშინია, რომ პ. ბ. უარყოფს მას, მოიმიზეზებს ან დიდ მოცულობას (სტატია ბულგაკოვისაზე მეტი გამოდის, იმიტომ რომ მე, ჯერ-1, დასაბუთებულად უნდა უარვყო ისეთი ლიტონი და დაუდევრად წამოსროლილი ვერდიქტები, როგორიც არის, მაგალითად, განცხადება, რომ მარქსი ცდებოდა, როცა გვასწავლიდა მიწათმოქმედებაში $\frac{v}{c}$ შეფარდების შემცირებას; მე-2-ც, იმიტომ რომ აუცილებლად საჭიროა გადმოცემა კაუცკის წიგნის შინაარსისა), ან იმას, რომ პოლემიკა არასასურველიაო (მე, რა თქმა უნდა, სტატიაში არ მიხმარია არც ერთი იმის მსგავსი სალანძღავი გამოთქმა, როგორიც ზემოთ არის, და საერთოდ ვეცადე, რომ ბულგაკოვის წინააღმდეგ პირადული არაფერი ყოფილიყო. საერთოდ ტონი სრულებითაც არ არის უფრო მკვახე, ვიდრე ჩემს სტატიაში ტუგან-ბარანოვსკის წინააღმდეგ ბაზრების თეორიის შესახებ[21]). ძალიან მოხარული ვიქნებოდი მომესმინა თქვენი აზრი, როცა თქვენ

წაიკითხავთ კაუცკის წიგნს და ბოლომდე ჩაიკითხავთ ბულგაკოვს: სახელდობრ რა მიგაჩნიათ ბულგაკოვის სტატიაში «სწორად»? და ფიქრობთ თუ არა, რომ შეიძლებოდა ბულგაკოვის სტატია ჟურნალში უპასუხოდ დაგვეტოვებინა?

საერთოდ მთელი ეს «ახალი კრიტიკული ნაკადი» მარქსიზმში, რითაც გატაცებული არიან სტრუვე და ბულგაკოვი (პ. ბ. ალბათ ბულგაკოვის მ ხ ა რ ე ზ ე ა), მე ძალიან საეჭვოდ მეჩვენება: მაღალფარდოვანი ფრაზები «კრიტიკაზე» «დოგმის» წინააღმდეგ და სხვ. — და კრიტიკის სრულებით არავითარი დადებითი შედეგი. თუმცა რომ შედგენილიყო სტატია à la ბულგაკოვის სტატიისა, გარდა «კრიტიციზმისა» და პროფესორული «თანამედროვე მეცნიერებისადმი» სიმპათიისა საჭირო იყო კიდევ nec plus ultra * უტაქტობა.

სტრუვეს სტატიაზე ბაზრების შესახებ მე მას გავუგზავნე პასუხი [22]. ჩემი და [23] მწერს, რომ ეს პასუხი მოთავსდება «ნაუჩნოე ობოზრენიეში» და რომ იქვე პ. ბ — ც აპირებს პასუხის გაცემას. მე ვერ დაგეთანხმებით, რომ «საკითხის სიმძიმის ცენტრი მდგომარეობს აბსტრაქტულად წარმოსადგენი მდგომარეობის კონკრეტულ შეუძლებლობაში» და უმთავრესად სწორედ იმაში ვეწინააღმდეგები პ. ბ — ძეს, რომ იგი ერთმანეთში ურევს აბსტრაქტულ-თეორიულ და კონკრეტულ-ისტორიულ საკითხებს. «კონკრეტულად შეუძლებელია» არა მარტო მარქსის მიერ წარმოდგენილი რეალიზაცია, არამედ აგრეთვე მის მიერ წარმოდგენილი მიწის რენტა და მის მიერ წარმოდგენილი საშუალო მოგება და ხელფასის თანასწორობა სამუშაო ძალის ღირებულებასთან და ბევრი სხვა რამ. მაგრამ წ მ ი ნ დ ა სახით განხორციელების შეუძლებლობა სრულებითაც არ არის პასუხი. მე სრულებით ვერ ვხედავ წინააღმდეგობას ჩემს მტკიცებებს შორის «ეტიუდებში» [24] და «ნაუჩნოე ობოზრენიეში», აგრეთვე «ბურჟუაზიულ აპოლოგეტიზმს», რომლითაც სტრუვემ ასე დაიფრთხო მკითხველები. რაც ყველაზე მეტად არ მომეწონა მის სტატიაში — ესაა კრიტიკული ფილოსოფიის უადგილოდ

* — უაღრესი. რ ე დ.

მოთრევა და ისეთი შენიშვნა, რომ მარქსის მოძღვრება ღირებულებისა და მოგების შესახებ «უ დ ა ვ ო დ წინააღმდეგობრივობით ხასიათდებაო». პ. ბ — ძემ ხომ მშვენივრად იცის, რომ ეს ს ა დ ა ვ ო ა, — რაღა საჭიროა ბუნდოვანების თესვა ხალხში, რომელსაც ჯერჯერობით «ახალი კრიტიკული ნაკადის» არც ერთი წარმომადგენლისაგან ა რ მ ი უ ღ ი ა ამ წინააღმდეგობრივობისა და მისი გამოსწორების სისტემატური დამტკიცება?

ხოლო ბულგაკოვის გამოხდომა (№ 3, გვ. 34, შენიშვნა) Zusammenbruch-ის * თეორიის წინააღმდეგ!! — ბერნშტეინის სრულიად მოუხსენიებლად და «მეცნიერული» დეკრეტის უბოდიშობით! ბერნშტეინის ახალი წიგნი რომ გამოვიდა, ვიცი, და კიდევაც გამოვიწერე, მაგრამ არა მგონია გამომიგზავნონ. მის შესახებ «Frankfurter Zeitung»-ში ** და «ჟიზნში» (ცუდი ჟურნალი როდია! ბელეტრისტიკა პირდაპირ კარგია და ყველაზე უკეთესიც კი!) მოთავსებული სტატიით სავსებით დავრწმუნდი იმაში, რომ ბერნშტეინის ნაწყვეტ-ნაწყვეტი სტატიები არასწორად მქონდა გაგებული და რომ მან პირდაპირ შეუწყნარებლად შეტოპა სიცრუეში, იმდენად, რომ საჭირო ხდება მისი სწორედ b̊ e g r a b e n ***. როგორც გამოთქვა «Beiträge zur Geschichte des Materialismus»-ის **** ავტორმა ღია წერილში კაუცკისადმი. ჩემთვის ახალი მოსაზრებანი ბერნშტეინისა ისტორიის მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ ***** და სხვ. («ჟიზნის»

---

* — კრახის, დამსხვრევის (კაპიტალიზმისა). რ ე დ.

** — «ფრანკფურტის გაზეთი». რ ე დ.

*** — დამარხვა, დასამარება. რ ე დ.

**** — «მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევები». რ ე დ.

***** სხვათა შორის. გახსოვთ, ერთი ჩვენი საერთო ნაცნობი «მშვენიერ შორეთში» რა ღვარძლიანად დამცინოდა და მაცამტვერებდა იმისათვის, რომ ისტორიის მატერიალისტურ გაგებას მე «მეთოდი» ვუწოდე? ხოლო თურმე კაუცკისაც იმდენადვე მძიმე ცოდვა ჩაუდენია, სიტყვა «მეთოდს» რომ ხმარობს («ჟიზნი», იანვარი, II, გვ. 53). გაქვთ თუ არა ცნობები ამ ნაცნობზე? უკეთ არის თუ არა? არის თუ არა იმედი, რომ იგი წერას შეძლებს?

მიხედვით) გასაოცარია თავისი სისუსტით. თუ პ. ბ. ბერნშტეინის ისეთი გულმხურვალე დამცველია, რომ თითქმის «ილანძღება» მისი გულისათვის, ეს ძალიან და ძალიან სამწუხაროა, ვინაიდან მისი «თეორია» Zusammenbruch-ის წინააღმდეგ, რომელიც მეტად ვიწროა დასავლეთი ევროპისათვის, მთლად უვარგისი და საშიშია რუსეთისათვის. იცით თუ არა თქვენ, რომ ამ თეორიას უკვე იყენებენ ჩვენი «ახალგაზრდები» (ულტრაეკონომისტები), რომლებმაც ერთ გამოცემაში ისე გადმოსცეს შტუტგარტის კამათი, რომ მათ მიხედვით ბერნშტეინი, პეუსი და სხვ. «ეკონომიკის და არა პოლიტიკის» დამცველნი აღმოჩნდნენ? რას ფიქრობს პ. ბ. ასეთ «მოკავშირეებზე»? თუ ულტრაეკონომისტთა წარმატებებად თქვენ გულისხმობთ ვოლგინისა და მისი უახლოესი ამხანაგების გამოსვლას, მაშინ მე ვიცი მის შესახებ [25]; მე ამან მეტად შემაწუხა, და ახლა ვერ მივმხვდარვარ, როგორია იქ საქმის ვითარება, და რას გვიქადის მომავალი. ჩემი აზრით, საშინლად მავნეა, რომ ეს დავა ულტრაეკონომისტებთან მთლიანად და სავსებით არ მოხვდა პრესაში: ეს ერთადერთი სერიოზული საშუალება იქნებოდა საქმის გამოსარკვევად და ცნობილ ზუსტ პრინციპულ დებულებათა დასადგენად. თორემ ახლა სრული ქაოსია!

ჩემი წიგნი გამოვიდა [26], და ვთხოვე გამოგიგზავნონ თქვენ (თვითონ ჯერ კიდევ არ მიმიღია). გავიგე, რომ P. S-მა წინასიტყვაობაში დაიგვიანა, წინასწარ ცენზურაში მოხვდა და, ვგონებ, «დაზიანდა». ინტერესით ველი თქვენს შენიშვნებს.

კარელინის წიგნი გამოვიწერე და უფრო ადრე წავიკითხე, ვიდრე თქვენგან მივიღებდი. ძალიან მომეწონა; მეტად სამწუხაროა, რომ იგი შეუკვეცია! ხომ არ დაწერთ რეცენზიას მის შესახებ?

ერთმა ნაცნობმა გამომიგზავნა ა. პ — ის «საჟურნალო შენიშვნები» («მემკვიდრეობისა» და «მემკვიდრეთა» შესახებ). საინტერესოა: გაგრძელებაში ნავარაუდევი იყო თუ არა შემდგომი პოლემიკა ჩემთან? ა. პ — ის სტატია ძალიან მომეწონა. მისი ამოჭრით ნომერმა ბევრი რამ დაკარგა. უთანხმოებას ჩვენ შორის მე, უნდა გამოვტყდე, ვერ ვხედავ:

თქვენ იღებთ სხვა საკითხს — არა იმაზე, თუ როგორ ეპყრობიან მოწაფეები საერთოდ რუსულ დემოკრატიზმს, უარს ამბობენ თუ არა მასზე (მე მხოლოდ და მხოლოდ ამაზე ვწერდი), არამედ იმაზე, თუ როგორი იყო ურთიერთობა სხვადასხვა სახის დემოკრატებს შორის კეთილსახსოვარ ძველ დროებაში. მე მაინტერესებდა მიხაილოვსკის მხოლოდ ის შეცდომა, რომ თითქოს ჩვენ უარს ვამბობთ საერთოდ დემოკრატიზმზე, — თქვენ კი იღებთ — მის სხვა შეცდომას, «მემკვიდრეობაში» არსებითად მნიშვნელოვან განსხვავებათა «მიფუჩეჩებას». «ნაუჩნოე ობოზრენიეს» № 3-ში ვნახე მასლოვის შენიშვნა, რომელიც მომართულია ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ მან მე, უნდა გამოვტყდე, არ დამაინტერესა. აქვე უნდა ვთქვა: ა. პ — ის სტატიის ამონაჭერმა დაადასტურა ჩემი აზრი, რომ უფრო მკაფიო მემკვიდრის დასახელება, ვიდრე სკალდინია, «უხერხულია» (სავალალო დადასტურებაა!!). საერთოდ კი, ჩემი აზრით, ჟურნალის ტონი «სიკვდილის მოახლოების მაუწყებელია». თუ ასეა, აღსასრული და სიკვდილი მხოლოდ დროის საკითხია. ეს ხომ მხოლოდ სპეკულაციაა Ratlosigkeit-ით * და საქმის გაჭიანურებით იმ უწყებაში, რომელიც და ა. შ.. შეეძლო ენა დაემოკლებინა, ეს საქმეს არ ავნებდა, სარგებლობას კი მოუტანდა. გარწმუნებთ, ახლანდელ ტონთან შედარებით ჩვენი «მასალები» «ზომიერებისა» და «სიდარბაისლის» ნიმუშად გამოდგებოდა... [27]

ხელს გართმევთ. ვ. უ.

უფრო ხშირად მოიწერეთ, თუ არ გეზარებათ, თორემ მე სრულებით არავინ მყავს ისეთი, რომ მისგან შევიტყო, რა არის ახალი ჟურნალ-გაზეთებში.

გიგზავნით შეკვეთილი ბანდეროლით «Historische Berechtigung»-ს **. გთხოვთ არ იფიქროთ, რომ ბე წესიერი არა ვარ წიგნების დაბრუნებაში: თქვენ ხომ ვადა არ მოგიწერიათ, და ამიტომ ამხანაგებს უარს ვერ ვეუბნებოდი,

* — უმწეობა. რ ე დ.

** — «ისტორიული გამართლება». რ ე დ.

როცა წასაკითხავად მთხოვდნენ. ძალიან მადლობელი ვიქ-ნები კარელინის დასასრულისათვის.

ხომ არა გაქვთ რაიმე გერმანული გამოხმაურება კაუცკიზე? მე მხოლოდ «Frankfurter Zeitung»-ში წავიკითხე — წერენ გაბრაზებულად და უშინაარსოდ à la ბულგაკოვი.

ჟურნალის [28] წიგნაკები, საერთოდ და მთლიანად, ძალიან ჰომწონს. მათ რედაქცია მშვენივრად უკეთდება. წაიკითხეთ თუ არა გვოზდიოვის წიგნი და რას ფიქრობთ მის შესახებ?

ჯაგზავნილია სოფელ შუშენსკოედან
ვიატკის გუბერნიის ორლოვში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

7

ა. ნ. პოტრესოვს

27. VI. 99.

გასულ პარასკევს, 18-ს, მივიღე თქვენი 2. VI-ის წერილი, მაგრამ არც Mehring* და არც კარელინი, რომლებზეც მწერთ, გიგზავნითო, ა რ მ ი მ ი ღ ი ა. ჯერ ველოდებოდი, ვფიქრობდი, რომ ფოსტაში მოხდა შეფერხება, ახლა კი უნდა ვიფიქროთ, რომ ამანათი ან დაიკარგა ან თქვენ გადადევით გამოგზავნა. თუ პირველია სწორი, მაშინ დაუყოვნებლივ შეიტანეთ განცხადება.

თქვენმა აზრმა ჩემს წიგნზე[29] ძალიან გამახარა. მაინც ვფიქრობ, რომ მისი თარგმნის თაობაზე თქვენ ცოტა გაგაზვიადეთ: საეჭვოა, რომ გერმანელებმა წაიკითხონ ისეთი რამ, რომელიც აღსავსეა, ასე ვთქვათ, წმინდა-ადგილობრივი და წვრილმანი ფაქტებით. მართალია, აი ნ. — ონი თარგმნეს (მაგრამ მას უკვე ჰქონდა ძალიან დიდი რეპუტაცია და ალბათ ენგელსის რეკომენდაცია, თუმცა ენგელსი მის წიგნს, მონისტის სიტყვით, გაცამტვერებას უპირებდა). შეგხვედრიათ თუ არა მისი შეფასება გერმანულ ლიტერატურაში? თუ არ ვცდები, იგი ფრანგულადაც თარგმნეს. რამდენადმე გამაკვირვა თქვენმა სიტყვებმა, რომ თქვენ «როგორც იქნა მოახერხეთ გეშოვნათ» ჩემი წიგნი... განა არ მიგიღიათ მოსკოვიდან ან პიტერიდან? მე ვთხოვე გამოეგზავნათ იგი თქვენთვის, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ნაცნობისათვის, და ყველამ მიიღო. თუ თქვენ არ მიგიღიათ, მაცნობეთ, და კიდევ მივწერ მოსკოვში. პრესაში დღემდე არ მინახავს

* — მერინგი. რ ე დ.

მისი შეფასება, და შემოდგომამდე არც ველი შევხვდე, — თუმცაღა გაზეთებიდან ვკითხულობ მარტო «რუსსკიე ვედომოსტის», რომელიც «ტაქტით დუმილს» განაგრძობს...

ბულგაკოვის სტატია «Archiv»-ში წავიკითხე. მე არ ვაპირებ ვუპასუხო მას კიდევ გერმანელი საზოგადოებისთვისაც: ჯერ-1, გერმანულად ვერ დავწერ; მე-2-ც, — და ეს მთავარია, ვინაიდან რუსულიდან მთარგმნელის შოვნა იქნებ კიდევაც მოხერხდებოდა, — გერმანელი საზოგადოებისათვის სრულებით არ ვარგა იმგვარი სტატია, როგორც მე რუსი საზოგადოებისათვის დავწერე, ე. ი. კაუცკის წიგნის შინაარსის დაწვრილებით გადმოცემით. ბულგაკოვის სპეციალურ მითითებებზე (გერმანიის სტატისტიკის მონაცემების მიხედვით) პასუხის გაცემა არ შემიძლია, რადგან მასალები არა მაქვს. მის ზოგად თვალსაზრისზე (კანტიანურსა და... ბერნშტეინულზე, თუ შეიძლება ასე ითქვას) აგრეთვე ვერ ვიკისრებ წერას გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ვფიქრობ, რუს მოწაფეებზე გერმანელთა წარმოდგენაში შესწორების შეტანა მართლაც საჭიროა, მაგრამ ამისათვის (თუ ცალკე სტატიის დაწერას არავინ იკისრებს) საკმარისი იქნება უბრალო შენიშვნა ჩემს სტატიაზე ბულგაკოვის წინააღმდეგ, როცა ეს სტატია რუსულ ჟურნალში დაიბეჭდება[30]. ხოლო თუ იგი სულ არ დაიბეჭდება... «ნაჩალოს» სიკვდილის ან «ჟიზნის» უარის თუ ცენზურის მიზეზით... მაშინ საქმე არსებითად სხვა სახეს მიიღებს.

რუს მოწაფეთა «თავბრუდამხვევი აღმოჩენებისა» და მათი ნეოკანტიანელობის გამო მე სულ უფრო და უფრო მეტად აღშფოთებული ვარ. წავიკითხე ტუგან-ბარანოვსკის სტატია «ნაუჩნოე ობოზრენიეში» № 5... ეშმაკმა იცის, რა სულელური და პრეტენზიებით აღსავსე ლაყბობაა! მარქსის დოქტრინის ყოველგვარი ისტორიული შესწავლის გარეშე, ყოველგვარი ახალი გამოკვლევის გარეშე, სქემებში შეცდომების საფუძველზე (ზედმეტი ღირებულების ნორმის ნებისმიერი შეცვლა), სრულიად გამონაკლისი შემთხვევის საერთო წესად მიჩნევის საფუძველზე (შრომის ნაყოფიერების გადიდება პროდუქტის ღირებულების შ ე უ მ ც ი რ ე ბ ლ ა დ:

აბსურდია, თუ ამას საერთო წესად მიიჩნევ), ამის საფუძველზე აცხადებდე «ახალი თეორიის», მარქსის შეცდომის, გარდაქმნის შესახებ... ვერა, ვერ დავიჯერებ თქვენს ცნობას, რომ ტუგან-ბარანოვსკი სულ უფრო Genosse * ხდება. მარტალი იყო მიხაილოვსკი, როცა მას «ეხოს ადამიანი» უწოდა: მისი უბადრუკი სტატია «მირ ბოჟიში» («ბელტოვის მიხედვით», გახსოვთ? 95 წელს) და ეს სტატია ადასტურებს მიკერძებული კრიტიკოსის ამ მკაცრ აზრს. ადასტურებს იმასაც, რაც მე მსმენია მისი პირადი თვისებების შესახებ თქვენგან და ნადიასგან[31]. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ კმარა საბოლოო დასკვნისათვის, და სავსებით შესაძლებელია მე ვცდებოდე. საინტერესო იქნება შევიტყო თქვენი აზრი მისი სტატიის შესახებ.

ჰო, «სოციოლოგიური» და «ეკონომიური» კატეგორიების განსხვავების კიდევ ეს იდეა, რომელიც სტრუვემ წამოაყენა («ნაუჩნოე ობოზრენიეს» № 1-ში) და რომელსაც პ. ბერლინი («ჟიზნში») და ტუგან-ბარანოვსკი იმეორებენ. ჩემი აზრით, არაფერს არ მოგვცემს, გარდა დეფინიციის ყოვლად უშინაარსო და ყოვლად სქოლასტიკური თამაშისა, რომელსაც კანტიანელები მაღალფარდოვნად უწოდებენ «ცნებათა კრიტიკას» ან «გნოსეოლოგიასაც» კი. სრულებით არ მესმის, რა ა ზ რ ი შეიძლება ჰქონდეს ასეთ განსხვავებას?? როგორ შეიძლება ეკონომიური სოციალურის გარეშე??

აქვე ნეოკანტიანელობის შესახებ. ვის მხარეზე დგებით თქვენ? მე დიდი სიამოვნებით წავიკითხე და გადავიკითხე «Beiträge zur Geschichte des Materialismus» **, წავიკითხე იმავე ავტორის სტატიები «Neue Zeit»-ში *** ბერნშტეინისა და კონრად შმიდტის წინააღმდეგ (98 — 99 წ. «Neue Zeit»-ში № 5; შემდეგი ნომრები აღარ მინახავს), წავიკითხე ჩვენი კანტიანელების მიერ (ბ. სტრუვე და ბულგაკოვი) შექებული Stammler («Wirtschaft und Recht») **** და

* — ამხანაგი. რ ე დ.

** — «მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევები». რ ე დ.

*** — «ახალი დროება». რ ე დ.

**** — შტამლერი («მეურნეობა და სამართალი»). რ ე დ.

გადაჭრით დავდექი მონისტის მხარეზე. განსაკუთრებით აღმაშფოთა Stammler-მა, რომელშიც რაიმე ახლის, შინაარსიანის ნატამალსაც ვერ ვხედავ... თავიდან ბოლომდე erkenntnistheoretische Scholastik *! სულელური «განსაზღვრებანი» სრულიად ჩვეულებრივი იურისტისა, ამ უკანასკნელი სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით, და იქიდან არა ნაკლებ სულელური «დასკვნები». გადავიკითხე, Stammler-ის შემდეგ, სტრუვესა და ბულგაკოვის სტატიები «ნოვოე სლოვოში» და დავასკვენი, რომ საჭიროა ნეოკანტიანელობას მართლაც სერიოზულად გაეწიოს ანგარიში. ველარ მოვითმინე და ჩავაწებე შენიშვნები და გამოხდომები მის წინააღმდეგ სტრუვესადმი პასუხშიც (მის სტატიაზე «ნაუჩნოე ობოზრენიეში» [32]. რატომ და ვინ აფერხებს ამ პასუხის დაბეჭდვას, — ვერ გამიგია. ამბობდნენ, «ნაუჩნოე ობოზრენიეს» № 6-ში იქნებაო. არც იქ არის. ხოლო ჩემი დუმილი უკვე იწვევს ჩემთვის უხერხულ ამბებს: მაგალითად, ნეჟდანოვის სტატიას «ჟიზნის» № 4-ში) და ბულგაკოვისადმი პასუხშიც. ვამბობ: «ველარ მოვითმინე», ვინაიდან ძალიან კარგად მესმის ჩემი ფილოსოფიური გაუნათლებლობა და არ ვაპირებ ვწერო ამ თემებზე, სანამ უფრო არ ვისწავლი. ახლა სწორედ ამას ვაკეთებ, დავიწყე ჰოლბახითა და ჰელვეციუსით და ვაპირებ გადავიდე კანტზე. ფილოსოფიის უმთავრეს კლასიკოსთა უმთავრესი თხზულებანი ვიშოვნე, მაგრამ ნეოკანტიანური წიგნები არა მაქვს (გამოვიწერე მხოლოდ ლანგე). გთხოვთ მაცნობოთ, ხომ არა გაქვთ თქვენ ან თქვენს ამხანაგებს და ხომ არ შეგიძლიათ მათხოვოთ.

იმავე საკითხზე ძალიან დამაინტერესა რეცენზიამ «ნაჩალოს» № 5-ში (მაისი, — უკიდურესად დაავადებული ჭლექით) ბოგდანოვის წიგნზე. არ მესმის, როგორ გამომრჩა განცხადება ამ წიგნის გამოსვლის შესახებ. მხოლოდ ახლა გამოვიწერე იგი. ბოგდანოვის პირველივე წიგნის მიხედვით ეჭვი მივიტანე, რომ ის მონისტია, ხოლო მეორე წიგნის სათაური და შინაარსი ამ ეჭვს მიძლიერებს. და რა უმართე-

* — თეორიულ-შემეცნებითი სქოლასტიკა. რ ე დ.

ბულოდ უშინაარსო და უმართებულოდ ქედმაღლურია ეს რეცენზია! არც ერთი სიტყვა არსზე და... საყვედურის გამოცხადება კანტიანელობის უგულებელყოფისათვის, თუმცა თვით რეცენზენტის სიტყვებიდან ჩანს, რომ ბოგდანოვი კი არ უგულებელყოფს კანტიანელობას, არამედ უარყოფს მას, ფილოსოფიაში სხვა თვალსაზრისზე დგას... მე ვფიქრობ (თუ ბოგდანოვის შესახებ არ შევცდი), რომ ეს რეცენზია არ შეიძლება უპასუხოდ დავტოვოთ. მხოლოდ ერთი რამ არ მესმის, როგორ შეეძლო კამენსკის უპასუხოდ დაეტოვებინა სტრუვესა და ბულგაკოვის სტატიები «ნოვოე სლოვოში» ენგელსის წინააღმდეგ! ხომ ვერ ამიხსნით ამას?

თქვენი ცნობა, რომ პიტერში რეაქცია დაიწყო მარქსიზმის წინააღმდეგ, ახალი ამბავი იყო ჩემთვის. მიკვირს. «რეაქცია» — მაშასადამე, მარქსისტების წრიდან? როგორი მარქსისტების? იმავე პ. ბ — ის? ის და მისი კომპანია ავითარებენ ლიბერალებთან ერთობის ტენდენციას?? დიდი მოუთმენლობით ველი თქვენს განმარტებებს. «კრიტიკოსები» რომ მხოლოდ აბნევენ ხალხს და სრულებით არაფერს იძლევიან, ამაში სავსებით გეთანხმებით, აგრეთვე იმაში, რომ მათთან (განსაკუთრებით ბერნშტეინის გამო) საჭირო იქნება სერიოზული ომი (ოღონდ გვექნება თუ არა საომარი ასპარეზი?...). თუ პ. ბ. «სრულებით აღარ იქნება Genosse», — მით უარესი მისთვის. ეს, რა თქმა უნდა, მეტად დიდი დანაკლისი იქნება ყველა Genossen-ისათვის, ვინაიდან იგი ძალიან ნიჭიერი და მცოდნე კაცია, მაგრამ, ცხადია, «მეგობრობა მეგობრობაა და სამსახური — სამსახური» და ამით ომის საჭიროება არ გაქრება. სავსებით მესმის და ვიზიარებ თქვენს «გააფთრებას» (რაც გამოწვეულია ეპითეტით «საზიზღარი» (sic!!! *) მონისტის მიმართ — რისთვის? «Neue Zeit»-ში მოთავსებული სტატიისათვის? კაუცკისადმი ღია წერილისათვის იმის შესახებ, თუ ვინ ვის begraben **?) და ძალიან მაინტერესებს

* — ასე!!! რ ე დ.

** — დამარხავს. რ ე დ.

მისი პასუხი თქვენს წერილზე, რომელიც ამ გააფთრებას აფრქვევს. (Bernstein-ი ჯერ კიდევ არ მინახავს.) Gründliche Auseinandersetzung *, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ «ნაჩალოში» ან «ჟიზნში» იგი არ გამოვა და არც შეიძლება გამოვიდეს: გამოვა მხოლოდ კერძო სტატიები მარქსიზმის «კრიტიკოსების» წინააღმდეგ. ამ გამიჯვნისათვის კი საჭიროა სწორედ მესამენაირი ლიტერატურა[33] და Platform ** (თუ მე სწორად გაგიგეთ). მხოლოდ მაშინ Genossen გამიჯნული იქნებიან «გარეშე» «მოჯირითეებისაგან» და მხოლოდ მაშინ ვერავითარი პირადი უცნაურობანი და თეორიული «თავბრუდამხვევი აღმოჩენანი» ვეღარ შექმნიან არევ-დარევასა და ანარქიას. ყოველივე ეს წყეული რუსული დეზორგანიზაციის ბრალია!

როგორ იყო მიმართული თქვენი სტატია მემკვიდრეობის შესახებ (მე მხოლოდ 1-ლი წავიკითხე) პიტერელების წინააღმდეგ, — ჩემთვის ნათელი არ არის. სტატია «რიგს გარეშე» არ მინახავს. გამომიგზავნეთ.

Blitzableiter-ის *** შესახებ ძალიან მინდა უფრო დაწვრილებით და უფრო საფუძვლიანად გესაუბროთ. მაგრამ ჩანს ეს შემდეგ უნდა გავაკეთოთ. მე ვადა მითავდება 29. I. 1900. ოღონდ კი ვადა არ მომიმატონ და — ეს უდიდესი უბედურებაა, რომელიც ხშირად ეწვევა ხოლმე აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლებულებს. ვოცნებობ ფსკოვზე. თქვენ რაზე?

ნადია სალამს გიძღვნით.

მაგრად გართმევთ ხელს. ვ. უ.

P. S. ახლა გადავიკითხე შავად დაწერილი დასასრული ჩემი სტატიისა ბულგაკოვის წინააღმდეგ... და აღმოვაჩინე, რომ ჩემი ტონი იქ შემარიგებელია: ... მე «კრიტიკოსების» «ორტოდოქსალური» და მტკიცე მოწინააღმდეგე ვარ (ეს პირდაპირ ვთქვი), მ ა გ რ ა მ არ უნდა გავაზვიადოთ ეს

* — ძირითადი გამიჯვნა, გათიშვა. რ ე დ.
** — პლატფორმა. რ ე დ.
*** — მეხთამრიდი. რ ე დ.

უთანხმოება [როგორც ამას სჩადის ბ-ნი ბულგაკოვი], როცა საერთო მტრები გვყავს-მეთქი. სავსებით შესაძლოა, რომ ეს «შემარიგებელი» ტონი [მე მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი თავი შემეკავებინა და მეკამათნა როგორც Genosse-ს] უადგილო და სასაცილოც კი აღმოჩნდეს, თუ გამოყენებულ იქნა ისეთი გამოთქმები, როგორიც არის «საზიზღარი», თუ «კრიტიკოსებმა» საბოლოო გამიჯვნა გამოიწვიეს. მე მაშინ «უდანაშაულო დამნაშავე» აღმოვჩნდებოდი: რაკი ბერნ-შტეინის წიგნი არ მინახავს, «კრიტიკოსების» ყ ვ ე ლ ა შეხედულებას არ ვიცნობდი და «კარგა დიდ მანძილზე» ვიმყოფებოდი, მე მაშინ [როცა ამ სტატიას ვწერდი] ჯერ კიდევ მთლად «ძველებურად» ვუყურებდი საქმეს, მხოლოდ როგორც «ნაჩალოს» თანამშრომელი... ვგონებ, ჩემი მტკიცება, რომ «კრიტიკა» კლასობრივი ბრძოლის თეორიას არ შეხებია, — სწორი არ არის?

გაგზავნილია სოფელ შუშენსკოედან
ვიატკის გუბერნიის ორლოვში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

8

***[34]

5 სექტემბერი 1900. ნიურენბერგი.

დიდად პატივცემულო ამხანაგო! ამრიგად, ჩვენ ალბათ ვერ მოვახერხებთ ერთმანეთთან შეხვედრას: ჩვენ არც მაინცში, არც პარიზში წასვლას არ ვაპირებთ, აქედან ხვალ მივდივართ[35]. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ამას უნდა შევურიგდეთ და დავჯერდეთ წერილებში საუბარს.

ჯერ-1, ვისწრაფვი შევიტანო შესწორება თქვენი პირველი წერილის ერთ შენიშვნაში, — შესწორება, რომელიც გთხოვთ გადასცეთ იმასაც, ვინც გადმოგცათ, თითქოს მე «შეხვედრას დავპირდი». ეს მართალი არ არის. მე შეხვედრას არ დავპირებივარ, არამედ ვთქვი, რომ ჩვენ ოფიციალურად (ე. ი. ჩვენი ჯგუფის სახელით) დავუკავშირდებით კავშირს[36], როცა საზღვარგარეთ ვიქნებით, თუ ეს საჭირო გახდება. ტყუილად დავიწყებია გ—ს ეს პირობა, აგრეთვე დავიწყებია დამატებით ეთქვა თქვენთვის, რომ მე მას ველაპარაკებოდი პირადად ჩემი სახელით და, მაშასადამე, დანამდვილებით რაიმეს დაპირება, ჩვენი ჯგუფის გადაწყვეტილების წინასწარ მიღებით, არ შემეძლო. როცა აქ მეორე მხარეს[37] მოვუსმინეთ და შევიტყვეთ ყრილობისა და გათიშვის შესახებ, დავინახეთ, რომ ოფიციალურად დაკავშირება ახლა საჭირო აღარ არის. ეს არის და ეს. მაშასადამე, კავშირს ჩემ მიმართ «პრეტენზიის განცხადების» სრულიად არავითარი უფლება არა აქვს, მე კი პრეტენზიას ვაცხადებ იმის გამო, რომ

გ — ს ჩვენი საუბარი გადაუცია ზედმეტი ადამიანებისათვის, თუმცა ფორმალურად დამპირდა, რომ, კავშირთან ჩვენი ჯგუფის დაკავშირებამდე, არ აცნობებდა არავის დაპატიმრებული პირის მეტს. რაკი თქვენ მაცნობეთ მისი პრეტენზია, — იმედი მაქვს უარს არ მეტყვით იმაზე, რომ როცა პარიზში იქნებით, მასაც აცნობოთ ჩემი ეს პრეტენზია. თუ «ხმები საშინლად ფართოდ ვრცელდება» [38], ამაში ბრალი მიუძღვის სწორედ გ — ს *.

შემდეგ, გადავიდეთ საქმის არსზე. შეერთება შეუძლებელია. ფედერაციაც შეუძლებელია, თუ ამ სიტყვას გავიგებთ მისი ნამდვილი აზრით, ე. ი. ერთგვარი შეთანხმება, ხელშეკრულება, ურთიერთვალდებულებანი და სხვ.. «მისწრაფება — გავუწოთ ერთმანეთს შესაძლო დახმარება» — ეს, მე ვფიქრობ, დაკავშირებული არ არის ფედერაციასთან, ეს შესაძლებელია უფედერაციოდაც და ეს შესაძლებელია საერთოდ, თუმცა არ ვიცი, ადვილი განსახორციელებელია თუ არა ეს. კავშირს რომ ეს გულწრფელად სურდეს, იგი თავიდანვე არ წამოგვიყენებდა ულტიმატუმებს და არ დაგვემუქრებოდა ბოიკოტით (სწორედ ასეთი იყო თქვენი წერილის მომტანის სიტყვების აზრი): ურთიერთობის გაუმჯობესებას ეს ხელს ვერ შეუწყობს.

ჩვენ დამოუკიდებელ ლიტერატურულ ჯგუფს წარმოვადგენთ. ჩვენ გვსურს დამოუკიდებელი დავრჩეთ. ჩვენ შესაძლებლად არ მიგვაჩნია ვაწარმოოთ საქმე ისეთი ძალების გარეშე, როგორიც არიან პლეხანოვი და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, მაგრამ არავის უფლება არა აქვს აქედან ის დასკვნა გამოიყვანოს, რომ ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობის თუნდაც ნატამალს ვკარგავთ. აი ეს არის ყველაფერი,

* მეორეც, კიდევ ერთი პატარა გადახვევა არსისაგან: მე მოვუსმინე გ—საც, რომელსაც რამდენიმე დღეს ვხედავდი, და მეორე მხარესაც. თქვენ კი მხოლოდ და მხოლოდ კავშირელებს; მეორე მხარის საკმაოდ გავლენიანი და ავტორიტეტიანი წარმომადგენლებისათვის თქვენ არ მოგისმენიათ. ამიტომ მე მგონია, რომ წესი «audiatur et altera pars» («უნდა მოუსმინო მეორე მხარესაც». რ ე დ.) უფრო თქვენ დაარღვიეთ.

რაც ჩვენ შეგვიძლია ამჟამად ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ უწინარეს ყოვლისა შეიტყონ, როგორ ვეპყრობით ჩვენ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს. ვინც ამას არ სჯერდება, მას ჩვენ ვერაფერს ვეტყვით იმის მეტს, რომ: იმსჯელეთ ჩვენ შესახებ ჩვენი საქმეების მიხედვით, თუ ჩვენი სიტყვები არ გჯერათ. ხოლო თუ ვილაპარაკებთ არა ახლანდელ მომენტზე, არამედ ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალზე, ჩვენ, რა თქმა უნდა, უარს არ ვეტყვით იმ ადამიანებს, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა გვექნება, ვაცნობოთ უფრო დაწვრილებითი მონაცემები ჩვენსა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს შორის ურთიერთობის ფორმის შესახებ.

თქვენ იკითხავთ: რა ურთიერთობა გვექნება ჩვენ კავშირთან? ჯერჯერობით არავითარი ურთიერთობა არ გვექნება, არ გვექნება იმიტომ, რომ ჩვენი უცვლელი გადაწყვეტილებაა დავრჩეთ დამოუკიდებელ ჯგუფად და ვისარგებლოთ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის უახლოესი თანამშრომლობით, ეს გადაწყვეტილება კი უნდობლობას იწვევს კავშირის მხრივ, რომელსაც ეშინია, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ დავიცვათ ჩვენი სრული დამოუკიდებლობა, რომ ჩვენ პოლემიკის «აუტანელ» (თქვენი გამოთქმა) ტონს შევითვისებთ. თუ ჩვენი საქმიანობა გაფანტავს კავშირის ამ უნდობლობას, ჩვენ შორის შეიძლება კარგი ურთიერთობა დამყარდეს; თუ არა და, არა. Voilà tout *. თქვენ წერთ: «კავშირის თვალი თქვენდამია მოპყრობილიო»; მაგრამ აშკარაა, რომ ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ კავშირს მხოლოდ ლიტერატურულად, და არა ნაკლებ აშკარაა, რომ ამჟამად, როცა მთელი ჩვენი ძალ-ღონე ჩვენი დასაბადებელი ჩვილი ბავშვის [39] კვებას უნდა ხმარდებოდეს, ჩვენ არ შეგვიძლია სხვისი ბავშვების კვება ვიკისროთ.

თქვენ წერთ, რომ 1) პრინციპული უთანხმოება არ არის და რომ 2) კავშირი მზად არის საქმით დაამტკიცოს თავისი გადაწყვეტილება — აწარმოოს ბრძოლა «ეკონომიურ მიმარ-

* — ეს არის და ეს. რედ.

თულებასთან». ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე ამ პუნქტში თქვენ ცდებით. ჩვენი დარწმუნება ეყრდნობა ისეთ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, როგორიც არის Anti-Credo-ს[40] **ბოლოსიტყვაობა, პასუხი** Vademecum-ზე, **«რაბოჩეე** დელო»-ს № 6, **წინასიტყვაობა** ბროშურისა «მობრუნების პუნქტი ებრაელ მუშათა მოძრაობაში» და სხვ.. ჩვენ განზრახული გვაქვს ლიტერატურულადვე გამოვიდეთ და უარვყოთ ის აზრი, თითქოს პრინციპული უთანხმოება არ არსებობს (ასე რომ კავშირთან გვექნება ერთგვარი ურთიერთობა: მოკამათეთა ურთიერთობა).

ახლა უკანასკნელი და მთავარი: მართალი ვართ თუ არა, როცა მიგვაჩნია, რომ თქვენ «ძალიან, ძალიან მკვეთრად შეიცვალეთ შეხედულებანი»? გავიხსენოთ, რა იყო რუსეთში: თქვენ იცოდით, რომ ჩვენ გვსურს დავაარსოთ დამოუკიდებელი ლიტერატურული წამოწყება, თქვენ იცოდით, რომ ჩვენ პლეხანოვის მხარეზე ვართ. მაშასადამე, თქვენ ყველაფერი იცოდით და არათუ უარს არ ამბობდით მონაწილეობაზე, არამედ, პირიქით, თვითონ ხმარობდით ისეთ გამოთქმას, როგორიც არის «ჩვენი» წამოწყება (გახსოვთ ჩვენი უკანასკნელი საუბარი თქვენთან ბინაზე en trois*?), და ამით საფუძველს გვაძლევდით მოლოდინი გექონოდა, რომ თქვენ უახლოეს მონაწილეობას მიიღებდით. ახლა კი ირკვევა, რომ მონაწილეობაზე თქვენ კრინტსაც არა სძრავთ, რომ თქვენ გვისახავთ «ამოცანას» «რადაც უნდა დაგვიჯდეს მოვაგვაროთ საზღვარგარეთ წამოჭრილი კონფლიქტი», ე. ი. ისეთ ამოცანას, რომელსაც ჩვენ არ ვკისრულობდით და არც ვკისრულობთ, — თუმცა, რა თქმა უნდა, იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენ მიერ დამოუკიდებელი წამოწყების შექმნამ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის თანამშრომლობით შეიძლება შექმნას ნიადაგი კონფლიქტის მოგვარებისათვის. ახლა თქვენ, ჩანს, ეჭვი გეპარებათ იმის მიზანშეწონილობაში, რომ ჩვენი ჯგუფი

* — სამნი რომ ვიყავით. რედ.

დამოუკიდებელ წამოწყებას ქმნიდეს, ვინაიდან წერთ, რომ საქმისათვის მავნე იქნება 2 ორგანიზაციის არსებობა, რომლებიც «ერთიმეორეს უფლებას აძლევენ იმოქმედონ როგორც მოეპრიანებათო». ჩვენ უეჭველი გვგონია, რომ თქვენი შეხედულებანი მკვეთრად შეიცვალა. ჩვენ ახლა სავსებით გულახდილად მოგახსენებთ, როგორ არის ჩვენი საქმე, და ძალიან მოხარული ვიქნებით, რომ ჩვენი აზრთა გაცვლა-გამოცვლა «მომავალი ამოცანების შესახებ» ამით არ ამოიწუროს.

მისამართი: Nürnberg, Ph. Roegner.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

9

ნ. კ. კრუპსკაიას

უკვე დიდი ხანია ვაპირებ მოგწერო საქმეებზე, მაგრამ სხვადასხვა გარემოება სულ ხელს მიშლის. ვცხოვრობ საკმაოდ დიდ აურზაურში, რომელიც მეტისმეტიც კია — და ეს (NB *) მიუხედავად განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი ზომებისა აურზაურის თავიდან ასაცილებლად! შეიძლება ითქვას, თითქმის განმარტოებული ვცხოვრობ — და მაინც აურზაურია! თუმცაღა, ეს გარდუვალი, ყოველი ახალი მდგომარეობის დროს აუცილებელი აურზაურია და ღმერთს არ უნდა ვემდუროდე, კიდევ კარგი, რომ სრულებითაც არა ვარ ისე ნერვებაშლილი, როგორც ჩვენი საყვარელი წიგნით მოვაჭრე, რომელიც შავ მელანქოლიასა და უეცარ პროსტრაციას ეძლევა ამ აურზაურის გამო. ბევრი რამ კარგიც არის ამ აურზაურთან ერთად! ჰო, ახლა მოგიყვები საზღვარგარეთული «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» საქმეებზე, მოგიყვები ფაქტების და მ ე ო რ ე მხარის ნაამბობის საფუძველზე...

ჯერ-ერთი, რუსეთში გამეფებულია სრულიად არასწორი წარმოდგენა Vademecum-ზე «რაბოჩეე დელოს» მომხრეთა ლაყბობის გავლენით. მათ რომ ყური დაუგდო, — ესაა თავიდან ბოლომდე შეტევა პიროვნებებზე და სხვ., თავიდან ბოლომდე გენერლობა და უბრალო რამეების გაზვიადება პიროვნებათა აბუჩად აგდებისათვის, თავიდან ბოლომდე გამოყენება

* — Nota bene — დაიხსომეთ. რ ე დ.

«დაუშვებელი» ხერხებისა etc. ნამდვილად კი ამ საქმეში ჭარბობს, უაღრესად ჭარბობს პრინციპული მხარე, და პიროვნებებზე თავდასხმები მხოლოდ დანამატია, გარდუვალი დანამატია იმ არეულ-დარეული და წარმოუდგენლად გამწვავებული ურთიერთობისა, რომლის შექმნასაც «ახალგაზრდები» შეეცადნენ. Vademecum — ესაა გმინვა, პირდაპირ გმინვა უხამსი ეკონომიზმის წინააღმდეგ, სოციალ-დემოკრატიის «შერცხვენისა და თავმოჭრის» წინააღმდეგ. «მე არასოდეს არ მიფიქრია, თუ ასეთი შერცხვენა მომელოდა» — ამბობს პლეხანოვი მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების წინასიტყვაობის ბოლოს. «ჩვენ რადაც უნდა დაგვიჯდეს თავი უნდა დავაღწიოთ ამ ქაოსურ და სამარცხვინო მდგომარეობას. ვაი იმ პარტიას, რომელიც მოთმინებით იტანს ასეთ არევ-დარევას!». და პლეხანოვის წინააღმდეგ მიმართული ყველა ბრალდების პასუხად საჭიროა უწინარეს ყოვლისა მტკიცედ იქნეს დადგენილი, რომ მისი ბროშურის მთელი არსი სწორედ ომის გამოცხადებაა «კრედიზმისა» და «კუსკოველობის» «სამარცხვინო» პრინციპებისათვის, სწორედ პრინციპული გათიშვაა, «კავშირში» გათიშვა და «ჩხუბი» კი მხოლოდ თანმხლები შედეგია ამ პრინციპული უთანხმოებისა.

თუ პრინციპული გათიშვა შეუერთდა ასეთ «ჩხუბს» (საზღვარგარეთულ «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» აპრილის (1900) ყრილობაზე საქმე პირდაპირ იქამდე მიდიოდა, რომ იმართებოდა ჩხუბი, ისტერიკები და სხვ. და სხვ., რამაც გამოიწვია პლეხანოვის წასვლა), — თუ ეს ასე გამოვიდა, ამაში ბრალი მიუძღვით ახალგაზრდებს. სწორედ ეკონომიზმის თვალსაზრისით ეწეოდნენ ახალგაზრდები სისტემატურ, თავგამოდებულ და უპატიოსნო ბრძოლას «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წინააღმდეგ 1898 წლის განმავლობაში, — «უპატიოსნოს» იმიტომ, რომ მათ აშკარად არ წამოაყენეს თავიანთი დროშა, რომ ისინი ხელაღებით აკისრებდნენ ყველაფერს «რუსეთს» (დუმილით უვლიდნენ გვერდს რუსეთის ანტი-«ეკონომიურ» სოციალ-დემოკრატიას), რომ ისინი თავიანთ კავშირურთიერთობას და

თავიანთ პრაქტიკულ რესურსებს იყენებდნენ იმისათვის, რომ გაერიყათ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, იმისათვის რომ ამ ჯგუფის სურვილი — გასაქანი არ მიეცა «სამარცხვინო» იდეებისა და სამარცხვინო მოუსაზრებლობისათვის, გამოეცხადებინათ ისეთ სურვილად, რომ მას თითქოს საერთოდ არ სურდა გასაქანი მიეცა რაიმე «ახალგაზრდა ძალებისათვის». ეს ბრძოლა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის წინააღმდეგ, ეს მისი გარიყვა წარმოებდა ჩუმად, ფარულად, «კერძო» სახით, «კერძო» წერილებისა და «კერძო» საუბრების საშუალებით, — მარტივად და პირდაპირ რომ ვთქვათ: ინტრიგების საშუალებით, იმიტომ რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის როლის საკითხი არასოდეს არ ყოფილა, არასოდეს არ იქნება და არასოდეს არ შეიძლება იყოს კერძო საქმე. «ახალ» შეხედულებებს აცხადებდნენ ახალგაზრდები მოხუცების წინააღმდეგ, მაგრამ ახალგაზრდები ისე ოსტატურად და დიპლომატურად მალავდნენ ამ შეხედულებებს (რითაც ამტკიცებდნენ, რომ მათთვის თვით საკითხი შეხედულებათა შესახებ კერძო საქმე იყო), რომ დავის შინაარსის გადმოცემა მოხუცებს მოუხდათ. «ჩვენ სპბ-ში გავგზავნეთ ახალგაზრდებთან ჩვენი დავის შინაარსი» — წერს პლეხანოვი (Vademecum-ის გვ. XLVII). ამრიგად ჯერ კიდევ 1898 წელს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა დაამტკიცა, რომ მისთვის მთელი საკითხი მდგომარეობს სწორედ ახალგაზრდების პრინციპულ მერყეობაში, ახალგაზრდებისა, რომლებსაც შეუძლიათ იქამდე დაეცნენ, რომ სრულებით უარყონ სოციალიზმი, — ჯერ კიდევ 1898 წელს «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი გამოვიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისადმი მოწოდებით აზრის მერყეობის წინააღმდეგ, — მაგრამ ეს მოწოდება აღმოჩნდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, ვინაიდან 1898 წლის ზაფხულში მომხდარი ჩავარდნების შემდეგ პარტიის ყველა გამოჩენილი მოღვაწე აღგვილ იქნა ბრძოლის ველიდან, და მოწოდების პასუხად მარტო «ეკონომისტების» ხმა გაისმა.

გასაკვირველი არ არის, რომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი ამის შემდეგ რედაქციიდან გავიდა, გასაკვირველი არ არის, რომ აშკარა ომი «ეკონომიზმის» წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო აუცილებელი და გარდუვალი ხდებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს «ეკონომიური» მიმართულების პირებს მიეშველნენ ადამიანები, რომლებსაც ამ ეკონომისტებთან ერთებდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისადმი ძველი მტრობა, და ეს ადამიანები არ მოერიდნენ იმის ცდას, რომ მფარველობა გაეწიათ «ეკონომიზმისათვის», საჯაროდ არ გამოეტანათ შინაური უთანხმოება, საშუალება მიეცათ «ეკონომიზმისათვის» განეგრძო — შეუდარებლად უფრო მოხერხებულადაც — ტაქტიკა თავისი იდეების «კერძო» პროპაგანდისა სოციალ-დემოკრატიზმის დროშით და ახალი რედაქციის ორაზროვანი განცხადებების საფარველით, რედაქციისა, რომელსაც სურს იმ ალერსიან ხბოს მიბაძოს, ორ დედას რომ სწოვს ძუძუს.

ახალმა რედაქციამ «რაბოჩეე დელოს» პირველ ნომერშივე განაცხადა, რომ მან «არ იცის, რომელ ახალგაზრდა ამხანაგებზე ლაპარაკობს პ. ბ. აქსელროდი», როდესაც «ეკონომისტების» წინააღმდეგ გამოდის; — მან ეს განაცხადა მიუხედავად იმისა, რომ «ახალგაზრდებთან» ბრძოლა შეადგენდა საზღვარგარეთული კავშირის მთელ ისტორიას უკანასკნელ წლებში, მან ეს განაცხადა იმის მიუხედავადაც კი, რომ «რაბოჩეე დელოს» რედაქციის შემადგენლობაში იყო პიროვნება, რომელიც თ ვ ი თ ო ნ ე მ ხ რ ო ბ ა «ეკონომიურ» მიმართულებას (ბ-ნი ვ. ი — ნი). ადამიანს, რომელიც საქმეს განზე უდგას, ადამიანს, რომელიც არ აკვირდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიისა და საზღვარგარეთული სოციალ-დემოკრატიული კავშირის ისტორიას უკანასკნელ წლებში, შეიძლება სრულიად გაუგებარი და უცნაური ეჩვენოს, თუ რატომ გახდა «რაბოჩეე დელოს» რედაქციის ეს პატარა და (ა ლ ბ ა თ) გაკვრით წამოსროლილი შენიშვნა («ჩვენ არ ვიცით, რომელ ახალგაზრდა ამხანაგებზე ლაპარაკობს პ. ბ. აქსელროდი») ნაპერწკალი, რომლისგანაც გაჩაღდა ხანძარი, გაჩაღდა მეტად ცხარე პოლემიკა, და საქმე დამთავრდა

საზღვარგარეთული კავშირის გათიშვით და მისი დაშლით. ამ ვითომცდა უცნაურ გარემოებაში კი უცნაური არაფერია. «რაბოჩეე დელოს» რედაქციის პატარა შენიშვნამ ამ რედაქციის მიერ ბ-ნ ვ. ი — ნის სტატიების მოთავსებასთან დაკავშირებით სრული სიცხადით დაგვანახვა ძირეული განსხვავება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის უახლოესი ამოცანებისა და ყველაზე არსებითი მოთხოვნების ორ გაგებას შორის. პირველი გაგება შეიძლება გამოიხატოს სიტყვებით laissez faire, laissez passer * «ეკონომიზმის» მიმართ, ეს არის მისდამი შემარიგებელი მოპყრობის ტაქტიკა, ეკონომიზმის «უკიდურესობათა» დაფარვის ტაქტიკა, ტაქტიკა ეკონომიზმის დაცვისა მის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლისგან, ტაქტიკა «თავისუფალი კრიტიკისა», ე. ი. მარქსიზმის თავისუფალი კრიტიკისა ბურჟუაზიის ყოველნაირი პირდაპირი და გადაცმული იდეოლოგების მხრივ. მეორე გაგება მოითხოვდა გადამწყვეტ ბრძოლას ეკონომიზმის წინააღმდეგ, აშკარა პროტესტს მარქსიზმის საშიში გაუხამსებისა და შეკვეცის წინააღმდეგ, ბურჟუაზიულ «კრიტიკასთან» საბოლოოდ კავშირის გაწყვეტას.

დაწერილია 1900 წ. სექტემბერში
გაგზავნილია მიუნხენიდან უფაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — დაე საქმე თავისი გზით წარიმართოს. რ ე დ.

10

ა. ა. იაკუბოვას

26. X.

გუშინ მივიღე თქვენი 24. X-ის წერილი და, თქვენი თხოვნის თანახმად, ახლავე გიპასუხებთ.

წერილის გაგზავნა ახლა არ შემიძლია: იმ მისამართით, რომელიც მე მაქვს, ჩაწებებით არ ვგზავნი, არამედ მხოლოდ ქიმიით, ამ წესით წერილის გადასაწერად კი დრო არა მაქვს. გუშინ მივწერე ადრესატს, თუ რა არის წერილის არსი, და იმედი მაქვს ახლო მომავალში მთელი წერილიც ვაცნობო. თუ არა და, იქნებ თქვენ გადაწეროთ იგი აუკინძავ წიგნში ქიმიით, — და მე მაშინვე გავუგზავნი.

ჩემს დას მისამართს ვაცნობებ: იგი სექტემბერში პარიზში არ ყოფილა, ასე რომ საეჭვოა თქვენ იქ ერთდროულად ყოფილიყავით. ვიმედოვნებ, თქვენ თვითონ მისწერეთ მას ორიოდე სიტყვა ჩემ მიერ თქვენთვის მოცემული მისამართით?

ახლა საქმეზე.

უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენი წერილი ჩემდამი. თუ გამოვრიცხავთ ცნობებს მისამართებისა და გადაცემების შესახებ, წერილში საყვედურებიღა რჩება, — შიშველი საყვედურები, რომლებიც არსებითად რაიმე განმარტებას არ იძლევიან. საყვედურებით თქვენ იმასაც კი ცდილობთ, რომ გესლიანი სიტყვები მითხრათ («დარწმუნებული ხართ თუ არა, რომ ეს თქვენ გააკეთეთ რუსეთის მუშათა მოძრაობის სასარგებლოდ თუ პლეხანოვის სასარგებლოდ?»), — მაგრამ, რა თქმა უნდა, მეც ხომ გესლიანად არ გიპასუხებთ.

თქვენ მისაყვედურებთ იმისათვის, რომ მე «არ გირჩიეთ»[41]. თქვენ ძალიან არაზუსტად გადმოსცემთ ჩემს სიტყვებს. კარგად მახსოვს, რომ მე კატეგორიულად, უთუოდ როდი გამოვთქვი: «ჩვენ ამჟამად გვიძნელდება გირჩიოთ»- მეთქი — გწერდით მე, ე. ი. პირდაპირ ვსახავდი ჩვენი გადაწყვეტილების პირობად საქმის წინასწარ გამორკვევას. თუ რა უნდა ყოფილიყო ჩვენი გამორკვევა, — ცხადია ჩემი წერილიდან: ჩვენთვის აუცილებელი იყო სავსებით გავრკვეულიყავით იმაში, ნამდვილად მოხდა თუ არა «მობრუნება» «რაბოჩაია მისლში» (როგორც ჩვენ გვაცნობეს და როგორც უფლება გვქონდა დაგვესკვნა იმის მიხედვით, რომ თქვენ პლეხანოვს მიმართეთ წინადადებით — მონაწილეობა მიეღო) და სახელდობრ როგორი მობრუნება.

ამ, ძირითად და მთავარ საკითხზე თქვენ კრინტსაც არა სძრავთ.

ჩვენ «რაბოჩაია მისლს» რომ ვუყურებთ როგორც იმ განსაკუთრებული მიმართულების ორგანოს, რომელთანაც უაღრესად სერიოზული უთანხმოება გვაქვს, — ეს თქვენ დიდი ხანია იცოდით. ასეთი მიმართულების ორგანოში მონაწილეობაზე მეც და თქვენი დიდი წერილის ადრესატმაც[42] პირდაპირი უარი განვაცხადეთ რამდენიმე თვის წინათ, და გასაგებია, თვითონ ასე რომ ვიქცეოდით, ჩვენ არ შეგვეძლო იგივე არ გვერჩია სხვებისთვისაც.

მაგრამ ჩვენ «საძნელო მდგომარეობაში» ჩაგვაყენა ცნობამ «რაბოჩაია მისლში» მომხდარი «მობრუნების» შესახებ. ნ ა მ დ ვ ი ლ ი მობრუნება არსებითად შეცვლიდა საქმეს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ჩემს წერილში უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა სწორედ სურვილი გამოვთქვი დაწვრილებით შემეტყო ყველაფერი მ ო ბ რ უ ნ ე ბ ი ს შესახებ, — თქვენ კი ამაზე ერთი სიტყვითაც არ მიპასუხეთ.

თუმცა, იქნებ თქვენ მიგაჩნიათ, რომ პასუხს ჩემს კითხვაზე მობრუნების შესახებ შეიცავს თქვენი წერილი მეგობრისადმი? იქნებ, თუ თქვენ პლეხანოვს მიმართავდით «რაბოჩაია მისლის» რედაქციის სახელით, — თქვენი წერილიც მეგობრისადმი შეიძლება რედაქციის შეხედულებათა

ავთენტიკურ გამოხატულებად ჩაითვალოს? თუ ასეა, მაშინ მე ის დასკვნა უნდა გამოვიყვანო, რომ არავითარი მობრუნება არ არის. თუ მე ვცდები, — გთხოვთ განმიმარტოთ ჩემი შეცდომა. ამ დღეებში პლეხანოვის კიდევ ერთი ახლობელი მომხრე მწერდა «რაბოჩაია მისლში» მომხდარი მობრუნების შესახებ. მაგრამ, რაკი თქვენთან მიწერ-მოწერა მაქვს, მე, რა თქმა უნდა, არ შემიძლია დავუჯერო ამ «ხმებს» მობრუნების შესახებ, რომლებიც არაფრით არ არის დადასტურებული თქვენი მხრივ.

სჯობს ისევ ერთბაშად ვთქვა პირდაპირ (თუნდაც იმის რისკით, რომ ახალი საყვედურები დავიმსახურო) — რაკი სავსებით თანავუგრძნობ ჩემს მეგობარს (რომელსაც თქვენ წერილს სწერთ), ვუერთდები მის სიტყვებსაც: «ჩვენ თქვენთან ბრძოლა მოგვიხდება» — თუ მობრუნება არ არის. ხოლო თუ არის, — საჭიროა საფუძვლიანად გამოვარკვიოთ, სახელდობრ როგორია ეს მობრუნება.

თქვენ სწერთ მეგობარს: «გვებრძოლეთ, თუ არ გრცხვენიათო». იგი, რა თქმა უნდა, თვითონ გიპასუხებთ, მაგრამ მე გთხოვთ ნება მიბოძოთ ჩემდათავადაც გიპასუხოთ ამაზე. ბრძოლა სრულებითაც არ არის სირცხვილი, — რაკი საქმე იქამდე მივიდა, რომ უთანხმოება შეეხო ყველა ძირითად საკითხს, რომ შეიქმნა ურთიერთგაუგებლობის, ურთიერთუნდობლობის, სრული უთანხმოების ატმოსფერო (მე ვლაპარაკობ არა მარტო «რაბოჩაია მისლზე»: მე ვლაპარაკობ ყველაფერზე, რაც დავინახე და მოვისმინე და თანაც არა იმდენად აქ, რამდენადაც შინ), რაკი ამ ნიადაგზე უკვე წარმოიშვა მთელი რიგი «გათიშვები». ამ სულისშემხუთავ ატმოსფეროს რომ თავი დავაღწიოთ, შეიძლება (და საჭიროა) საშინელ ქარიშხალსაც კი მივესალმოთ, და არა მარტო პოლემიკას ლიტერატურაში.

მაინცდამაინც არც უნდა გვეშინოდეს ბრძოლისა: ბრძოლამ, შესაძლოა, რამდენიმე პიროვნების გაღიზიანებაც გამოიწვიოს, მაგრამ სამაგიეროდ იგი ჰაერს გაწმენდს, ზუსტად და პირდაპირ გაარკვევს ურთიერთობას, — გაარკვევს რა უთანხმოებაა არსებითი და რა მეორეხარისხოვანი, გაარკვევს,

სად არიან ის ადამიანები, რომლებიც ნამდვილად სულ სხვა გზით მიდიან, და სად არიან პარტიული ამხანაგები, რომლებსაც უთანხმოება კერძოობითში აქვთ.

თქვენ წერთ, რომ «რაბოჩაია მისლში» შეცდომები იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ვცდებით. მაგრამ უბრძოლველად როგორ გამოვყოთ ეს კერძო შეცდომები იმ მიმართულებისაგან, რომელიც გარკვეულად ისახება «რაბოჩაია მისლში» და კულმინაციურ პუნქტს აღწევს «Credo»-ში *. უბრძოლველად არც გარკვევა შეიძლება, ხოლო გაურკვევლად შეუძლებელია წარმატებითი წინსვლა, შეუძლებელია აგრეთვე მტკიცე ერთიანობა. და ისინი, ვინც ამჟამად ბრძოლას იწყებს, სრულებითაც არ ანგრევენ ერთიანობას. ერთიანობა აღარ არის, იგი უკვე დანგრეულია, დანგრეულია მთელი ხაზით. რუსეთის მარქსიზმი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია დაქცეული შენობებია, და აშკარა, პირდაპირი ბრძოლა ერთიანობის აღდგენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

---

* შენიშვნა. მაგალითად, თქვენს წერილში მეგობრისადმი გაუგებრობაც არის და «ეკონომიური» მიმართულებაც. თქვენ მართალი ხართ, როცა ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ საჭირო ეკონომიური ბრძოლა, რომ უნდა შეგვეძლოს გამოვიყენოთ ლეგალური საზოგადოებანი, რომ საჭიროა ყოველნაირი გამოხმაურება და სხვ., რომ ზურგი არ უნდა შევაქციოთ საზოგადოებას. ყოველივე ეს კანონიერი და სწორია. და თუ თქვენ გგონიათ, რომ რევოლუციონერები სხვანაირად ფიქრობენ, ეს გაუგებრობაა. რევოლუციონერები მხოლოდ ამბობენ, რომ მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ლეგალური საზოგადოებანი და სხვ. არ აშორებდნენ მუშათა მოძრაობას სოციალ-დემოკრატიასა და რევოლუციურ პოლიტიკურ ბრძოლას, არამედ, პირიქით, რაც შეიძლება მჭიდროდ და განუყრელად აერთიანებდნენ მათ. თქვენს წერილში კი არათუ არ არის გაერთიანებისადმი მისწრაფება, არამედ არის მისწრაფება დააშოროთ, ე. ი. არის «ეკონომიზმი» ანუ «ბერნშტეინელობა», მაგალითად — განცხადებაში: «მუშათა საკითხი რუსეთში, როგორც იგი სინამდვილეში დგას, პირველად «რაბოჩაია მისლმა»» დააყენა — მსჯელობაში უფლებრივი ბრძოლის შესახებ და სხვ.

მე ბოდიშს ვიხდი, თუ ჩემი მითითება თქვენს წერილზე მეგობრისადმი არ მოგეწონებათ: მე მინდოდა მხოლოდ ნათელმეყო ჩემი აზრი.

დიახ, ა ღ დ გ ე ნ ი ს! ისეთი «ერთიანობა», როცა ჩვენ ამხანაგებს საიდუმლო ავადმყოფობასავით ვუმალავთ «ეკონომიურ» დოკუმენტებს, როცა ჩვენ გვწყინს იმის გამოქვეყნება, თუ რა შეხედულებებს ქადაგებენ სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებათა დროშით — ასეთი «ერთიანობა» გროშად არა ღირს, ასეთი შეხედულება არის ნამდვილი cant-ი *, იგი იწვევს ავადმყოფობის მხოლოდ გაღრმავებას, მის გადასვლას გამჯდარ, ავთვისებიან ფორმად. აშკარა, პირდაპირი და პატიოსანი ბრძოლა კი ამ ავადმყოფობას რომ მოარჩენს და ნამდვილად ერთიან, მხნე და ძლიერ სოციალ-დემოკრატიას შექმნის, — ამაში მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი.

შესაძლოა, ძალიან უადგილო იყოს, რომ სწორედ ო ქ ვ ე ნ დ ა მ ი წერილში ასე ხშირად მიხდება ლაპარაკი ბრძოლაზე (ლიტერატურულ ბრძოლაზე). მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ძველი მეგობრობა ყველაზე მეტად გვავალებს ს რ უ ლ პ ი რ დ ა პ ი რ ო ბ ა ს.

ხელს გართმევთ. Petroff

P. S. ორიოდე კვირის შემდეგ სხვა მისამართი მექნება: Herrn Philipp Roegner Cigarrenhandlung. Neue Gasse Nürnberg (მხოლოდ წერილებისათვის და აგრეთვე 2 კონვერტში). [გთხოვთ ნურავითარ ინიციალებს ნუ დაწერთ წერილებში — ღმერთმა უწყის, სავსებით სანდოა თუ არა აქ ფოსტა.]

დაწერილია 1900 წ. 26 ოქტომბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ფარისევლობა. რ ე დ.

1901 წ.

11

გ. ვ. პლეხანოვს

30. I. 01.

ეს არის მივიღე წერილი, ძვირფასო გ. ვ., იუდასთან «საბოლოო» საუბრის შემდეგ რომ დავბრუნდი. საქმე მოგვარებულია, და მე საშინლად უკმაყოფილო ვარ ასეთი მოგვარებით. ვისწრაფვი მოგწეროთ, შთაბეჭდილების სიახლე რომ არ დავკარგო.

«დემოკრატიული ოპოზიციის» შესახებ იუდა არ დავობდა: იგი რომანტიკოსი როდია, და სიტყვებით მას ვერ დააშინებ. ხოლო «მე-7 პუნქტის» შესახებ («ისკრისათვის» მასალის გამოყენება, მასალისა, რომელიც «სოვრემენნოე ობოზრენიეში» მოდის) მან მარჯვედ გააცურა ჩვენები, რომლებიც ყველანი, და პ. ბ. y compris *, მის მხარეზე დადგნენ, ჩემ წინააღმდეგ. იგი, იუდა, — თურმე ნუ იტყვით, — მოელოდა, რომ «ისკრა» უფრო პოპულარული, უფრო «მუშური» იქნებოდა, მას მიაჩნია, რომ «სოვრემენნოე ობოზრენიეში» მოსული მასალის ჩვენ მიერ თავისუფლად გამოყენებამ შეიძლება კონკურენცია შექმნას... იგი მოითხოვს, რომ «ისკრისათვის» მასალის გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ «სოვრემენნოე ობოზრენიეს» წარმომადგენელთან შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ, — შეთანხმება მოიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ წარმომადგენელთან დაკავშირება შეუძლებელი იქნება, — ეს პირობა, აშკარაა, ძალიან იშვიათია,

* — მათ შორის. რ ე დ.

ვინაიდან იუდა პირდაპირ ამბობს, რომ ვარაუდობს ან წარმომადგენლის ყოფნას im Auslande * («არა უმეტეს 12 საათისა მიუნხენიდან»), ან ყოვლად წესიერ მიწერ-მოწერას. მას სურს გამოუშვას ყ ო ვ ე ლ თ ვ ი უ რ ა დ ხ უ თ-ხ უ თ ი ფურცელი — ანუ დაახლოებით 200 ათასი ასო, — სწორედ იმდენი, რამდენიც «ისკრის» 2 ფურცელშია. იგი ამდენი მასალის მ ი წ ო დ ე ბ ა ს რომ შეძლებს, ამაში დაეჭვება ძნელია, ვინაიდან იგი უზრუნველყოფილი ადამიანია, ბევრს წერს, კარგი კავშირურთიერთობა აქვს. აშკარაა: კონკურენცია მიმართულია არა იმდენად «ზარიას» წინააღმდეგ, რამდენადაც «ისკრის» წინააღმდეგ: იგივე სიჭარბე პოლიტიკური მასალისა, იგივე საგაზეთო ხასიათი — მიმდინარე ამბების მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა, მოკლე სტატიები (იუდა მეტად სწორი ტაქტით უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პატარა სტატიებიანი თხელი წიგნაკების ხშირად გამოსვლას). ჩვენ მოგვაყრიან ამგვარ მასალას, ჩვენ ვირბენთ იუდას დავალებათა შესასრულებლად, რომელიც «სოვრემენნოე ობოზრენიეში» თავისი პარპაშით (აშკარაა, რომ ბატონ-პატრონი, სრული ბატონ-პატრონი იქ იგი იქნება, ვინაიდან მას ფული აქვს და 99% მასალები — ჩვენ იშვიათად თუ შეგვეძლება ცოტა რამე მივაწოდოთ იქ) ჩინებულ ლიბერალურ კარიერას გაიკეთებს და შეეცდება გარიყოს არა მარტო მოუქნელი «ზარია», არამედ «ისკრაც». ჩვენ ვირბენთ, ვიდავიდარაბებთ, კორექტურას გავასწორებთ, გადავზიდავთ, მისი ბრწყინვალება ბ-ნი იუდა კი იქნება rédacteur en chef ** ყველაზე გავლენიანი (ფართო so genannten*** «საზოგადოებრივი» აზრის მიხედვით) ჟურნალისა. «რომანტიკული» ნუგეში კი შეიძლება მიეცეთ ამ rechtgläubigen ****: დაე ეწოდებოდეს «სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალ «ზარიას» დამატება», დაე თავი ინუგეშონ ლათაიებით, მე კი ჯერ თვით საქმეს ჩავიგდებ ხელშიო. საკითხავია, ნუთუ სოციალ-დემოკრატიის ყბადაღებული «ჰეგე-

* — საზღვარგარეთ. რ ე დ.
** — მთავარი რედაქტორი. რ ე დ.
*** — ეგრეთწოდებული. რ ე დ.
**** — მართლმორწმუნეებს. რ ე დ.

მონია» ამასთან უბრალო cant-ი * არ აღმოჩნდება? რით იქნება იგი გამოხატული გარდა სიტყვისა: «სოციალ-დემოკრატიულის დამატება»? მასალით რომ დაგვჩაგრავს,— ეს უეჭველია, ვინაიდან ჩვენ «ზარიასა» და «ისკრისთვისაც» ვერ ვასწრებთ წერას.

ორში ერთი: ან «სოვრემენნოე ობოზრენიე» არის დ ა მ ა ტ ე ბ ა ჟ ურ ნ ა ლ «ზარიასი» — (როგორც დათქმულია) — და მაშინ იგი «ზარიაზე» უფრო ხშირად არ. უნდა გამოდიოდეს, «ისკრისათვის» მასალის გამოყენების ს რ უ ლ ი თავისუფლებით. ან ჩვენი პირმშოობის უფლებას ჩვენ ოსპის შეჭამანდზე ვყიდით და აღმოვჩნდებით genasführt ** იუდას მიერ, რომელიც ლათაიებით გვიმასპინძლდება.

თუ ჩვენ გვიწერია და შეიძლება მივაღწიოთ ნამდვილ ჰეგემონიას, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური გაზეთის დახმარებით (რომელსაც დაეხმარება მეცნიერული ორგანო), და როცა ჩვენ აღმაშფოთებელი თავხედობით გვიცხადებენ, რომ ჩვენი გაზეთის პოლიტიკური განყოფილება კონკურენციას არ უნდა უწევდეს ბ-ნ ლიბერალთა პოლიტიკურ წამოწყებას, მაშინ ჩვენი უბადრუკი როლი დღესავით ნათელია.

ამ წერილის პირი გადავიღე და ვურთავ დღევანდელი სხდომის «ოქმს», როგორც ჩემი პროტესტისა და ჩემი «განსაკუთრებული აზრის» გამოცხადებას, და მოგიწოდებთ თქვენც აღმართოთ აჯანყების დროშა. უმჯობესია განხეთქილება, ვიდრე ეს ფაქტიური დამორჩილება Credo-ს პროგრამისადმი cred-იზმის წინააღმდეგ მაღალფარდოვან ფრაზებთან ერთად.

თუ უმრავლესობა მხარს დაუჭერს, — მე, რა თქმა უნდა, დავემორჩილები, ოღონდ წინასწარ ხელი დამიბანია.

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება მანქანაზე გადაწერილ პირის მიხედვით, რომელსაც აქვს ჩამატებანი ვ. ი. ლენინის ხელით

---

* — ფარისეველობა. რ ე დ.

** — გაბრიყვებულნი. რ ე დ.

12

პ. ბ. აქსელროდს

20. III. 01.

ძვირფასო პ. ბ.! მივიღე ყველა თქვენი წერილი და ტიოტკას გადავეცი მისი ძველი მეგობრის[43] ამბავი. ტყუილად გქონიათ ჯავრი მისამართების გამო და გიფიქრიათ, რომ რაიმე შეიცვალა. მე კვლავ იქვე ვცხოვრობ, და უნდა მომწეროთ იმავე მისამართით:

Herrn Georg Rittmeyer, Kaiserstrasse 53/0 München. შიგნით: für Meyer.

ჩემს ცოლს ჯერ კიდევ კარგა ხანს დააგვიანდება: ვადა მხოლოდ კვირას უთავდება, შემდეგ კიდევ აქა-იქ უნდა შეიაროს, ასე რომ საეჭვოა აპრილის მეორე ნახევარზე ადრე ჩამოვიდეს. როცა ჩამოვა, მაშინაც მოწერა შესაძლებელი იქნება რიტმეიერის სახელზე, ვინაიდან ის ყოველთვის გადმომცემს, მე კი, ჩემი მხრივ, დროზე გაცნობებთ მისამართის გამოცვლას.

«ზარიასთან» უსიამოვნება გვაქვს. ამ ჭირვეულმა ბატონკაცმა Dietz-მა გადაჭრით უარყო თქვენი სარედაქციო სტატია, რადგან შეეშინდა «ისკრის» დამოწმებისა, მიიჩნია, რომ აქ «ჯგუფების» etc. სუნი დისო, მოიმიზეზა, რომ ბებელსაც და ზინგერსაც (მისი G. m. b. H. მეპაიეებს) ეშინიათო[44] და სხვ.. ჩვენთვის დიდად სამწუხაროდ, იძულებული გავხდით უარი გვეთქვა თქვენს სტატიაზე და მის ნაცვლად მოგვეთავ-

სებინა ორიოდე სიტყვა «მკითხველებისადმი». საშინლად არასასიამოვნოა ეს ახალი ცენზურა! გარეკანიც დაზარალდა: «რამდენიმე რუსი სოციალ-დემოკრატიც» კი ამოშალეს. როდის დავაღწევთ თავს ამ Dreck-Genoss-ების * «მეურვეობას»?!

ტელიონოკთანაც (იუდასთან) სასიამოვნო ამბავი შეგვემთხვა: მოგვივიდა წერილი მისი მეგობრისაგან (=ფულის ნავარაუდევი წყაროსაგან = goldene Wanze [45]), ძალიან ჰწყრალი, აქაოდა 200 (ორას!) მანეთს «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ო ე ო ბ ო ზ რ ე ნ ი ე ს თ ვ ი ს» ვგზავნი და მხედველობაში იქონიეთ, რომ ა რ ა თქვენი, არამედ სწორედ ამ წამოწყებისათვისო. ჩვენ ყველანი აღშფოთებული ვართ, და გადაწყდა: 1) არ დავბეჭდოთ განცხადება კოალიციის შესახებ, 2) ტელიონოკს და «მეგობარს» გავუგზავნოთ უ ლ ტ ი მ ა ტ უ მ ი, რომ ან ჩ ვ ე ნ ი წამოწყების მტკიცედ დაფინანსება, ან ჩვენ უარს ვამბობთ, 3) ვიტეს ბარათი [46] დავამთავროთ.

დახეთ, განა კვლავ არ გაგვაბრიყვა იუდამ??

ერთი სანუგეშოა: «ისკრის» № 2-მა მშვიდობიანად მიაღწია რუსეთში, წარმატება აქვს, კორესპონდენციები უხვად მოდის. რუსეთში ეშმაკმა იცის რა ხდება: დემონსტრაციები სპბ-ში, მოსკოვში, ხარკოვში, ყაზანში; მოსკოვში სამხედრო წესებია (იქ დაიჭირეს, სხვათა შორის, ჩემი უმცროსი და და სიძეც [47] კი, რომელიც არასოდეს არაფერში არ მონაწილეობდა!), ცემა-ტყეპა, საპყრობილეები გაჭედილია და სხვ.

ამ დღეებში მოველით უკვე წამოსულ (როგორც იქნა!) ძმას [48] და ჩვენს საერთო მეგობარს — ფელდს, რომელმაც მშვიდობიანად (დ ღ ე მ დ ე) შეასრულა ყველაფერი, რაც საჭიროა.

ვბეჭდავთ მაისის ფურცელს [49], შემდეგ კი შევუდგებით «ისკრის» № 3-ს და შესაძლოა ერთბაშად № 4-საც — მასალა უამრავია.

«ზარია» — ამბობენ — შაბათს გამოვა და პირდაპირ შტუტგარტიდან გამოგეგზავნებათ.

---

* — **უხეირო ამხანაგების. რ ე დ.**

სალაროს საქმე ძალიან ცუდად გვაქვს. ამიტომ ჯერჯერობით იძულებული ვხდებით უთუოდ თავი შევიკავოთ კაცის გამოსაწერად (რომელსაც თქვენ გადამზიდავად ვარაუდობთ) რაიმე ხარჯის გაწევისაგან.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი მეიერი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

13

პ. ბ. აქსელროდს

25. IV. 01.

ძვირფასო პ. ბ.! კარგა ხანია აღარ მისაუბრია თქვენთან, სულ მოუცლელი ვიყავი, თანაც ალექსი გწერდათ ყველაფერს, რაც საქმეს შეეხება *, — მაგრამ საუბრის საჭიროება მეტად დიდი გახდა და მეტი ვეღარ გადავდევი. მინდა მოგეთათბიროთ პარიზელებზეც და ციურიხელებზეც [50] და საერთოდ საქმეებზე.

იცით-თუ არა თქვენ, რომ პარიზელებმა «დაშალეს (უკვე დიდი ხანია, 2 — 3 კვირის წინათ) «ისკრის» ხელშემწყობი ჯგუფი» და უარი განაცხადეს (ხელმეორედ) თანამშრომლობაზე, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ ჩვენ «დავარღვიეთ» «ორგანიზაციული ნეიტრალობა» (sic! ** სამართლიანი არა ვართ კავშირისადმი და ტყუილად დავესხით მას თავს «ზარიაში»). ამას წერდა ავტორი «შენიშვნებისა «რაბოჩეე დელოს» პროგრამაზე» [51], თანაც სრულიად არაორაზროვნად გადაკვრით მიუთითებდა, რომ «რაბოჩეე დელო» გამოსწორების გზას ადგას («ფურცლის» № 6-ში იგი გადაჭარბებულადაც გამოსწორდა, ჩვენი აზრით!) და მაშასადამე... მაშასადამე... Vivrons verrons *** — ამთავრებდა ეს «ძვირფასი ამხანაგი». აშკარაა (ზოგიერთი «ახალგაზრდა ძალის» მსგავსად, რომლებზეც გ. ვ. წერდა), «რაბოჩეე დელოში» უკეთეს ადგილს უმიზნებს. ჩვენ ისე ალგვაშფოთა ამ გაიძვერობამ,

---

* მე აქ ერთი კვირა ავად ვიყავი ინფლუენცით.

** — ასეა! რ ე დ.

*** — თუ ვიცოცხლებთ, ვნახავთ. რ ე დ.

რომ მათ არც ვუპასუხეთ რამე. «რაბოჩეე დელოს» «ისკრის» № 4-ში ვუპირებთ (№ 3 მზად იქნება, როგორც გვპირდებიან, 1. V-სათვის. გვინდა მაშინვე შევუდგეთ № 4-ს) გალანძღვას ფლუგერობისათვის.

ჰო და მე ალარ ვიცი, საბოლოოდ მივაფურთხო ამ ინტრიგანებს თუ... მაინც კიდევ ვცადო. უეჭველია, უნარიანი ადამიანები არიან, წერდნენ, გვაწვდიდნენ (ორივენი) მასალებს (აგრეთვე დანევიჩიც), ოსტატურად აგროვებდნენ ფულს (მთელი 350 frs *: საზღვარგარეთ ამდენი ჯერ არსად არ შეუგროვებიათ «ისკრისათვის»). და ჩვენც, არსებითად, უდანაშაულო როდი ვართ მათ წინაშე: საკმაო ყურადღებას არ ვიჩენდით, არც ერთ სტატიას არ ვუგზავნიდით გადასათვალიერებლად და «ამხანაგური რჩევისათვის», არ შევთავაზეთ არავითარი «განყოფილება» (თუნდაც უცხოეთის მიმოხილვა «ისკრაში» ან შენიშვნები საზოგადოებრივ ქრონიკაში გარკვეულ საკითხებზე). ეტყობა, საზღვარგარეთის ურთიერთობაში არ შეიძლება, პირდაპირ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა რაიმე ამის მსგავსი არ გააკეთო. აი ბერლინელებსაც [52] (იქ ამას წინათ არსენიევი იყო) სურთ ერთგვარი პოზიცია: «ისკრისათვის» უბრალო დახმარება სტუდენტსაც შეუძლია, ჩ ვ ე ნ კ ი ან ა ი დ ვ ი ნ ს კ ა ი ა ს (ის და მისი ქმარი გადიან კავშირიდან, რომელშიც წევრებისადმი შეკითხვის დროს მხოლოდ სამმა — **გრიშინმა y compris** **! — დაუჭირა მხარი კონფერენციას. Vive camarade G. ***!) — მოგეხსენებათ, რაღაც ისეთი რამ გვინდაო...

პირდაპირ უბედურებაა! უნდა «გამოვიგონოთ» ორგანიზაცია — უამისოდ **es geht nicht** ****.

მე აზრი დამებადა, ხომ არ შეიძლება ვცადოთ ორგანიზაციის შემდეგი გეგმა: ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი», «ზარიას» რედაქცია და ესა და ეს ჯგუფები (მაგალითად, ბერლინელები, — შ ე ს ა ძ ლ ო ა, პარიზელები და სხვ.) ან ესა

* — francs — ფრანკი. რ ე დ.
** — მათ შორის. რ ე დ.
*** — გაუმარჯოს ამხანაგ გ — ს! რ ე დ.
**** — არაფერი გამოვა. რ ე დ.

და ეს პირები ერთიანდებიან, ვთქვათ, ერთ ლ ი გ ა დ [53]. ლიტერატურული გამგებლობა სამმაგია: «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი თავის სტამბას განაგებს, «ზარია» — თავისას, ხოლო ა რ ჩ ე ვ ი თ ი სალიტერატურო კომისია უახლოესი თანამშრომელია, მონაწილეობს პერიოდულ საერთოსარედაქციო ყრილობებში და ბეჭდავს (სალიტერატურო კომისიის ხელმოწერით) ბროშურებს და სხვ. «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ს ა» და «ზ ა რ ი ა ს» სტამბებში, — eventuell *, მესამე სტამბაშიც, თუ კი ლ ი გ ა მოაწყობს მას (ამის ერთგვარი იმედებია). ლიგაში ლიტერატურული საკითხების უ მ ა ღ ლ ე ს ი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა ეკუთვნის კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ს ს ა მ ი წ ე ვ რ ი ს ა გ ა ნ: «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის, «ზარიას» და სალიტერატურო კომისიის წარმომადგენლებისაგან. ადმინისტრაცია საერთო, არჩევითია.

ასეთია ჩემი პროექტის არსი («ისკრა», როგორც რუსული გამოცემა, რა თქმა უნდა, ლიგაში ფორმალურად ა რ შ ე დ ი ს). პრინციპულად აქ მას იწონებენ, უფროსი დაც. მე მგონია, ასეთი «კონსტიტუცია» («ავსტრიული», როგორც ალექსი ოხუნჯობს) ჩვენთვის სრულებით არ არის საშიში; ხოლო რაიმე ასეთი აუცილებლად საჭიროა, თორემ მთელი ხალხი უკმაყოფილოა და შეიძლება მთლად გაიფანტოს. ამრიგად ჩვენ სავსებით უზრუნველვყოფთ თავს არეულობისა და კინკლაობისაგან, სავსებით ვინარჩუნებთ ჩვენს სტამბებსა და რედაქციებს, ხალხს კი ვაძლევთ იმ აუცილებელ გასაქანს, ურომლისოდაც იგი თანახმა არ არის დაგვეხმაროს.

გთხოვთ მომწეროთ, როგორ უყურებთ ასეთ იდეას, და მოელაპარაკეთ მის შესახებ გ. ვ — ს (რომელსაც არა ვწერ, ვინაიდან იგი მალე აქ უნდა ჩამოვიდეს, გზად კი, რა თქმა უნდა, შემოივლის თქვენთან). კერძო საკითხებს არ ვსახავ: მათი მოგვარება ადვილია. თუ ჩვენ ყველანი (ე. ი. მთელი «სოციალ-დემოკრატი») შევთანხმდებით ამაში, ძალიან ბევრი შანსია, რომ ბერლინელები (რომლებსაც სტამბა აქვთ და

* — საგარაუდოდ. რ ე დ.

სწყურიათ «მუშაობა» გარკვეული «პოზიციით») შემოგვიერთ-დებიან, და მაშინ ჩვენ შეგვეძლება დავუპირდაპიროთ კავშირს ერთიანი «ლიგა», რომელიც ფართო საქმიანობას გააჩაღებს.

არჩევითი ადმინისტრაციისა არ უნდა გვეშინოდეს, ვინაიდან მან უნდა განაგოს მხოლოდ გადაზიდვა და საზღვარგარეთ ფულის შეგროვება, რაც განსაზღვრული პროპორციით განაწილდება «სოციალ-დემოკრატს», «ზარიასა» და სხვებს შორის, «ისკრას» კი არ შეეხება, — «ისკრა» არაფორმალურად იდგება «ზარიას» უკან და «ზარიასთან» ერთად. ფორმალურად ლიგა შეიძლება გამოვაცხადოთ საზღვარგარეთელ მოკავშირედ «ი ს კ რ ი ს» რ უ ს ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ, რომელსაც ჩვენ უკვე ვაწყობთ.

ლიტერატურული სისულელეებისა აგრეთვე არ უნდა გვეშინოდეს, ვინაიდან (1) სალიტერატურო კომისია წესდებით შეიძლება შეზღუდულ იქნეს დამოუკიდებლად ბეჭდვაში; (2) იგი ბეჭდავს თავისი ხელმოწერით: «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი და «ზარია» მასთან არ აირევიან; (3) იქ შეიძლება ჩვენი ადამიანებიც იყვნენ; (4) იგი ემორჩილება კონფერენციას, სადაც ჩვენ უმრავლესობა გვყავს.

არ ვიცი, რა თქმა უნდა, დაკმაყოფილდებიან თუ არა პარიზელები: ისინი მეტისმეტად ამაყები არიან. ჩვენ კიდევაც გვეუხერხულება მათ მივმართოთ. თუ თქვენ მოიწონებთ გეგმას, ხომ ვერ იკისრებთ მისწეროთ და ნიადაგი მოსინჯოთ: ისინი ხომ ჯერ კიდევ პარიზში გელაპარაკებოდნენ თქვენ თავიანთ სავალალო მდგომარეობაზე — აი თქვენც შესთავაზებდით ასეთ გამოსავალს. თუ თქვენ მოიწონებთ იდეას, ჩვენ შევეკითხებით კოლცოვს და ვთხოვთ მას შეიმუშაოს «ლიგის» წესდების პროექტი *.

ახლა ციურიხელ-ლატვიელებზე. არ ვიცი, გაიგონეთ თუ არა, რომ მათი დახმარებით მოწყობილი ტრანსპორტი საბოლოოდ ჩ ა ი ფ უ შ ა: 3 000 «ისკრა» (№ 1) დ ა ი ჭ ი რ ა

* ხალხის წინაშე კარგი იქნებოდა გამოსვლა უკვე «სოციალ-დემოკრატისა» და «ზარიას» საერთო პროექტით.

პოლიციამ, რომელმაც კონტრაბანდისტიც შეიპყრო. შემდეგ ერთი მათგანი გვწერდა და კიდევ გვთხოვდა ფულს წასასვლელად. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ კიდევ ამ გზისათვის ფულის მიცემა არ შეგვიძლია — ვერ ვბედავთ ჩვენი ორგანიზაციის წინაშე, ხოლო თუ იგი კისრულობს სპეციალურად გადაიტანოს 1 ფუთი (როგორც ჩემთან საუბარში კისრულობდა), მაშინ შემოიაროს-თქო.

პასუხად კრინტიც არ დაუძრავთ. ხომ არ იცით, იწყინეს თუ რაა? როგორია მათი საქმეები და გეგმები? თუ რომელიმე მათგანს ხვდებით, გთხოვთ მოელაპარაკოთ, რომ საქმე გამოარკვიოთ.

ვიწყებთ ფიქრს «ზარიას» № 2-ზე — დროა. ვიტეს ბარათი მალე დამთავრდება, 2 — 3 კვირის შემდეგ (Dietz-ი რაღაც წარმოუდგენლად აჭიანურებს მას: ჯერჯერობით მზად არის მხოლოდ 9 ფურცელი). მასალები ჯერ არ არის, გარდა ნევზოროვის თქვენთვის უკვე ცნობილი სტატიისა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიული მომზადების შესახებ. იმედი გვაქვს გ. ვ — ის მოწინავისა ახალი მოვლენების შესახებ, მისივე contra Struve *, თქვენი სტატიისა (რედაქციის შენიშვნიდან) — ხომ ასეა?; დაპირებულია სტატიას ლუქსემბურგიც (ახალი შესავალი მისი სტატიებისა «Die sozialistische Krise in Frankreich» **; ეს სტატიები გვინდა ვთარგმნოთ), კაუცკი დაგვპირდა სტატიას აკადემიკოსებსა და პროლეტარებზე.

უცხოეთის მიმოხილვები არა გვაქვს. როგორ არის «ავსტრიული» სტატიის საქმე? ხომ არაფერს მოგვცემენ ამერიკიდან? — შვეიცარიიდან? დანევიჩი ავად არისო, ამბობენ. გერმანიაზე დაწერას ვერავის ვთხოვთ — შესაძლოა პარვუსს, რომელიც დაგვპირდა (?) უცხოეთის მიმოხილვას, მაგრამ ეს ის არ არის, რაც ჩვენ გვინდა.

«ისკრის» მეოთხე ნომერში ნავარაუდევია სტატია ტერორზე (ალექსისა), გვაქვს: «თვითმპყრობელობა და ერობა»

---

* — სტრუვეს წინააღმდეგ. რ ე დ.

** — «სოციალისტური კრიზისი საფრანგეთში». რ ე დ.

(გაგრძელება), «თვითმპყრობელობა და ფინანსები» (Parvus-ისა), ზოგი რამ საზოგადოებრივი ქრონიკისა (არის დამატებითი მასალები დემონსტრაციების შესახებ) და მუშათა მოძრაობისათვის. ვფიქრობთ № 4 გამოვუშვათ ერთ ფურცლად (№ 3 მაინც გაიბერა 2 ფურცლამდე, 8 გვერდამდე (შვიდი გვერდი უკვე მზად არის), ისევე როგორც № 1, — და ისიც კიდევ ნაწილის გამოტოვება მოგვიხდა!). საჭიროა მთელი ძალ-ღონე ვიხმაროთ, რომ დავაჩქაროთ «ისკრის» გამოსვლა — ყოველთვიური გავხადოთ.

ნახვამდის! მაგრად გართმევთ ხელს და სალამს ვუძღვნი ყველა თქვენიანს. ასევე ჩემი ცოლიც.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

P. S. მომწერეთ Rittmeyer-ის სახელზე.

არ დამავიწყდეს: უფროსი დის დავალებით გაცნობებთ, რომ 250 frs მიღებულია. ამ ფულის ანგარიში იბეჭდება «ისკრის» № 3-ში («ამერიკიდან აქსელროდის ხელით»). გიგზავნით შტუტგარტის გზით 10 ეგზემპლარ «ზარიას» — გაუგზავნეთ ინგერმანს, მოკრიევიჩს etc. გერმანელებისათვის სტატიას დემონსტრაციების შესახებ უფროსი და წერს.

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

11

ნ. ე. ბაუმანს

24. V. 01.

მივიღეთ თქვენი წერილი იანვრის, თებერვლის, მარტისა და აპრილის ანგარიშით. გმადლობთ შემოსავალ-გასავლის ნუსხის საფუძვლიანობისა და მკაფიობისათვის. მაგრამ რაც შეეხება თქვენს საქმიანობას საერთოდ, ჩვენთვის გაურკვეველია, როგორია არსებითად ეს საქმიანობა და როგორია მისი შედეგები. თქვენ იწერებოდით, რომ საქმეს გაჭირვებით ართმევთ თავს და თქვენი შემცვლელი არავინ არის, მაგრამ იმის დაპირება, რომ ამ საქმიანობას აგვიწერდით, ჯერაც არ შეგისრულებიათ. განისაზღვრება თუ არა თქვენი მუშაობა ლიტერატურის გადაცემით იმ პუნქტებში, რომლებიც აღნიშნულია ანგარიშში? თუ თქვენ ჯგუფის respective * ჯგუფების შედგენაზე მუშაობთ? თუ ასეა, სად, რა ჯგუფებისა, რა გაკეთდა უკვე და რისთვის არის ეს ჯგუფები, ადგილობრივი მუშაობისათვის, ჩვენთან გამოსაგზავნად, რომ ლიტერატურა მიიღონ, თუ სხვა რამესთვის?

ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. საქმე კარგად ვერა გვაქვს. ფინანსები — მთლად წასულია ხელიდან, რუსეთი თითქმის არაფერს არ იძლევა. გადაზიდვა კვლავ სრულებით მოუგვარებელი და შემთხვევითია. მთელი ჩვენი «ტაქტიკა» ასეთ პირობებში მ თ ლ ი ა ნ ა დ მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ 1) «ისკრის» სახელით რუსეთში შეგროვებული ფული რაც შეიძლება სრულად იგზავნებოდეს აქ, ხოლო ადგილობრივი ხარჯები

* — თუ. რ ე დ.

minimum-ამდე იქნეს დაყვანილი; 2) ფული იხარჯებოდეს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ გადაზიდვაზე, ვინაიდან მისაღებად ჩვენში უკვე მოქმედებენ შედარებით ძალიან იაფი აგენტები ფსკოვსა და პოლტავაში, რომლებიც სალაროს ტვირთად არ აწვებიან.

კარგად იფიქრეთ ამაზე. პური ჩვენი არსობისა, რომლითაც ჩვენ ძლივს ვღაფავთ სულს, მხოლოდ მარტო ჩემოდნებია. წყვილში ვაძლევთ ას მანეთამდე, ამასთან გაგზავნილ ადამიანთა შემთხვევითობა იწვევს უამრავ გაჭიანურებას, დაგვიანებით მიწოდებას, დაკარგვას და სხვ.. რიგიდან მეჩემოდნეების გაგზავნის მოწყობა (რაც შესაძლებელია რაზნოცვეტოვის სიტყვითაც და ერნსტის სიტყვითაც) ადგილიდან არ იძვრის. ლეოპოლდისაგან[54] არავითარი ცნობა არა გვაქვს. ფინეთში არაფერი არ არის მოგვარებული, თუმცა ესეც შესაძლებელია, როგორც სხვადასხვა მხრიდან გვარწმუნებენ. განა რაციონალურია, საქმის ასეთ ვითარებაში, ოთხ თვეში 400 მანეთი დაიხარჯოს ლიტერატურის ადგილობრივ მიღებისა და მის გადასაცემად შუამავლობის საქმეზე?

ჩვენი აზრით, საჭიროა თქვენ დასახლდეთ საზღვრის უშუალო სიახლოვეს იმისათვის, რომ თვეში თუნდაც 2 — 4 ჩემოდანი და 10 — 20 გირვანქა თვითონ გადაიტანოთ?

გაგზავნილია მიუნხენიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

15

პ. ბ. აქსელროდს

25. V. 01.

ძვირფასო პ. ბ.! თქვენ, რასაკვირველია, უკვე მოისმენდით გ. ვ—საგან ჩვენი ორგანიზაციის პროექტისა[55] და ნევზოროვის, დანევიჩისა და რიაზანოვის (რომლებმაც მიიღეს «ბრძოლის» ჯგუფის სახელწოდება) ახალი «შემარიგებელი» წამოწყების შესახებ. მათს შეკითხვაზე (თანახმა ვართ თუ არა მოწვეულ იქნეს «სოციალ-დემოკრატის», კავშირისა და «ზარიას», ე. ი. მათი წარმომადგენლების წინასწარი კონფერენცია) ჩვენ თ ა ნ ხ მ ო ბ ი თ ვუპასუხეთ. გ. ვ. აქ ამბობდა, რომ, რა თქმა უნდა, დათანხმება საჭიროა და რომ მან უკვე მოგწერათ თქვენ ამის შესახებ. დღეს რიაზანოვმა (რომელიც უკვე ორი დღეა აქ იმყოფება) მაცნობა, რომ მიიღო წერილი გურევიჩისაგან, რომელიც ატყობინებს მას, რომ ოფიციალური თანხმობა მიღებულია მხოლოდ ჩვენგან, რომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისაგან დღემდე არაფერი არ არის, რომ მან ინახულა კრიჩევსკი და ივანშინი და თითქმის დარწმუნებულია, რომ ისინი თანახმა არიან მოწვეულ იქნეს კონფერენცია, რომ დასახულია ბრიუსელი და რიცხვი — დაახლოებით 4 ივნისი, რომ ბუნდის საზღვარგარეთული ორგანიზაციაც თხოულობს კონფერენციაში მონაწილეობას.

გთხოვთ, რაც შეიძლება მ ა ლ ე მისწეროთ მათ, რომ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი (როგორც «სოციალ-დემოკრატის» წარმომადგენელი) ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ თანახმაა კონფერენციაზე, და იმაზე, თუ როგორ უყურებთ

თქვენ ადგილისა და დროის საკითხს *. პირველის შესახებ ჩვენ მივწერეთ, რომ მხარს ვუჭერთ ციურიხს ან მის უახლოეს ადგილს (რომ შვეიცარია, რა თქმა უნდა, «შრომის განთავისუფლების» ჯგუფისთვისაც ყველაზე მოხერხებულია) და გვსურს, რომ კონფერენცია დაინიშნოს რაც შეიძლება მალე, თუ შეიძლება მაისში, ვინაიდან ივნისში ჩვენ ისე თავისუფლად აღარ შეგვიძლია განვაგებდეთ ჩვენს დროს. (ჩვენი სურვილი — დაჩქარდეს კონფერენცია, სინამდვილეში იმით აიხსნება, რომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია უფრო მალე გავთავისუფლდეთ, რათა უფრო მალე შევუდგეთ ჩვენს ორგანიზაციას და გვექნეს დრო იმისათვის, რომ მოვამზადოთ გადამწყვეტი ომი კავშირთან — განხეთქილების შემთხვევისათვის. ომი კი ზაფხულში ალბათ რუსეთშიც უნდა გადავიდეს.)

გთხოვთ მხარი დაუჭიროთ ჩვენს სურვილს, რომ კონფერენცია დაჩქარდეს ** (წამოაყენეთ რაიმე მოტივი) და იგი შვეიცარიაში დაინიშნოს. მე მგონია, მათთვის ძნელია დავა შვეიცარიის წინააღმდეგ: ჯერ 1) ორი მხარე 4-დან («ზარია» და «სოციალ-დემოკრატი» კავშირისა და «ბრძოლის» წინააღმდეგ) შვეიცარიის მომხრეა; მე-2) შვეიცარიის, გერმანიისა და საფრანგეთის ჯგუფების წარმომადგენელთა თავმოყრისათვის ბუნებრივი ადგილი უნდა იყოს შვეიცარია. იქნებ შეიძლება დავთანხმდეთ არა ციურიხზე, არამედ, მაგალითად, ბაზელზე? გთხოვთ მაცნობოთ თქვენ მიერ ოფიციალური თანხმობის გაგზავნა.

ახლა გიამბობთ რიაზანოვზე. ჩ ვ ე ნ ი ორგანიზაციის («ისკრის» საზღვარგარეთული ორგანიზაციის) საკითხზე იგი ჯერ გაწიწმატდა, როცა შეიტყო, რომ ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ გავაფართოოთ რედაქციის შემადგენლობა და მათ მხოლოდ სათათბირო ხმით მონაწილეობას ვთავაზობთ. პათოსით ლაპარაკობდა იმაზე, რომ ნევზოროვი დიდი წარსულისა და დამსახურების მქონე კაცია (ზუსტად ისე, როგორც ნევზოროვი წარსულ ზაფხულს რიაზანოვზე ლაპარაკობდა!),

* ვიმეორებ, ყოველი შემთხვევისათვის, გურევიჩის მისამართს: Mr. E. Gourevitsch. 38 bis. Rue Gassendi. 38 bis. P a r i s.

** ამბობენ, დაახლოებით 10. VI-ს უნდათო. ასეც შეიძლება.

აღშფოთებას გამოთქვამდა, ირონიას მიმართავდა და სხვ. და სხვ.. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა დაინახა, რომ ყოველივე ეს ჩვენზე ოდნავაც არ მოქმედებს, — დათმობებისაკენ გადაიხარა, განაცხადა, რომ იგი შესაძლოა ჩვენს პროექტსაც დაეთანხმოს («ნევზოროვი არასგზით არ დაეთანხმება»), მაგრამ ყველაზე უმჯობესი იქნებოდა ფედერაცია «სოციალ-დემოკრატს», «ზარიასა» და «ბრძოლას» შორის, — რომ თავისი ორგანოს გამოცემაზე «ბრძოლა» მზად არის ხელი აიღოს (ჩვენ არც არასოდეს გვჯეროდა, რომ ისინი შეძლებენ თავიანთი ორგანოს გამოცემას) და დასჯერდეს ბროშურათა სერიას.

საერთოდ, ეტყობა, მათთან მუშაობა შესაძლებელი იქნება: ცოტა გაჯიუტდებიან, მაგრამ მაინც წამოვლენ.

რაც შეეხება კავშირთან დაახლოებას, რიაზანოვმა ჯერ განაცხადა, რომ კონფერენციაზე აბსოლუტურად არავითარ იმედს არ ამყარებს, რომ მხოლოდ გურევიჩი გამოდის ასეთი იდეით და ა. შ.. მაგრამ როცა შეიტყო, რომ ჩვენ არ ვაყენებთ conditio sine qua non * კავშირის მოსპობას, რომ ჩვენ მზადა ვართ დავუშვათ პოპულარული კრებულის ან მუშათა ჟურნალის («რაბოჩეე დელოს») შეთავსება მეცნიერულ ორგანოსთან («ზარიასთან») და პოლიტიკურ გაზეთთან («ისკრასთან»), — მან გადაჭრით იცვალა ფრონტი და განაცხადა, რომ იგი უკვე დიდი ხანია ეუბნებოდა ამას კრიჩევსკის, რომ მას ეს მიაჩნია შუღლის ბუნებრივ ფინალად და ახლა თვითონ არის მზად იმუშაოს ასეთი პროექტის განსახორციელებლად. — დაე იმუშაოს! იქნებ, მართლაც გაერთიანება ა ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ა ასეთ საფუძველზე შედგეს — ეს იქნებოდა უდიდესი ნაბიჯი წინ.

დავსძენ, რომ ციურიხს ჩვენ მხარს ვუჭერთ, რა თქმა უნდა, იმიტომაც, რომ ალექსის ძალიან სურს მეტი დრო ჰქონდეს, რომ მოგელაპარაკოთ თქვენ ყოველგვარ საქმეებზე.

თუ «სოციალ-დემოკრატის» ყველა წევრისადმი შეკითხვა («ბრძოლის» ჯგუფისათვის ოფიციალური პასუხის გასაცემად) ბევრ დროს მოითხოვს, — ეცადეთ, გთხოვთ, თუ შეიძლება,

* — „უცილებელ პირობად. რ ე დ.

როგორმე შეამციროთ ეს დრო. კონფერენციის მოწვევის გაჭიანურება მეტად არასასურველია.

რაც შეეხება კონფერენციაში ბუნდის საზღვარგარეთული ორგანიზაციის მონაწილეობას, ჩვენ ვფიქრობთ უარვყოთ ეს (თუმცა უკიდურეს შემთხვევაში ამით casus belli-ს * არ შევქმნით) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1898 წლის ყრილობის გადაწყვეტილებათა 1 პ. საფუძველზე. (ამ პუნქტის ძალით ბუნდი ავტონომიურია მხოლოდ იმ საკითხებში, რომლებიც ეხება სპეციალურად ებრაელ პროლეტარიატს, — და, მაშასადამე, მოლაპარაკებაში არ შეიძლება გამოდიოდეს როგორც დამოუკიდებელი მხარე.)

რა მდგომარეობაშია თქვენი სტატია «ისკრისათვის»? განზრახული გაქვთ თუ არა მოგვცეთ რაიმე «ზარიას» მეორე წიგნაკისათვის, რომლის შესახებაც თქვენ, რა თქმა უნდა, გიამბოთ გ. ვ — მ?

მაგრად გართმევთ ხელს და ყველასაგან გიძღვნით გულითად სალამს.

თქვენი პეტროვი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ომის საბაბს. რედ.

16

ლ. მ. კნიპოვიჩს

როგორ ფიქრობთ მოაწყოთ «ისკრის» ბეჭდვა რუსეთში? საიდუმლო სტამბაში თუ ლეგალურში? თუ უკანასკნელია, მომწერეთ დაუყოვნებლივ, გაქვთ თუ არა გარკვეული იმედები: ჩვენ მზად ვიქნებით ორივე ხელი ჩავჭიდოთ ამ გეგმას (რომელიც, როგორც გვარწმუნებდნენ, შესაძლებელია კავკასიაში) და სახსრებიც ბევრი არ დასჭირდებოდა *. თუ პირველია, მიიღეთ მხედველობაში, რომ ჩვენს ფურცელში (4 გვ.) 100 ათასამდე ასოა [და ეს თვეში!]: თავს გაართმევს თუ არა ამას საიდუმლო სტამბა?? ხომ არ შეიწირავს იგი მეტისმეტად დიდი რისკით უამრავ ფულსა და ადამიანებს?? უმჯობესი ხომ არ არის, რომ ეს ფული და ძალები მოვახმაროთ ტრანსპორტს, ურომლისოდაც რუსეთი სულ ერთია იოლად ვერ გავა.

დაწერილია 1901 წ. 28 მაისს
გაგზავნილია მიუნხენიდან ასტრახანში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* თუ რამდენადმე რიგიანი კავშირი გაქვთ ლეგალურ სტამბებთან, აუცილებლად მოითათბირეთ მათთან ამ საქმეზე და მოგვწერეთ: საამისოდ ჩვენ გვაქვს ჩვენი, ძალიან პრაქტიკული (და ნაცადი) გეგმა ნგ.

17

«ISKRIS» ხელშემწყობ ჯგუფს

ექიმი უნდა დასახლდეს საზღვარზე, მაგალითად, პოლანგენში[57] (ჩვენ იმ ადგილებში კავშირი გვაქვს არარუსული მხრიდან, გვაქვს ჩვენი საწყობიც), შეისწავლოს ადგილობრივი პირობები (იქ კარგია ლატვიური და გერმანული ენების ცოდნა, მაგრამ იქნებ შესაძლო იყოს ისედაც იოლად წასვლა), ეცადოს გამონახოს რაიმე კეთილსაიმედო საქმიანობა (ირწმუნებიან, რომ იქ შეიძლება კერძო პრაქტიკითაც იცხოვრო), კარგი ურთიერთობა დაამყაროს ადგილობრივ პატარა მოხელეებთან და მიაჩვიოს ისინი საზღვრის ხშირად გადასვლას. საზღვარზე იქ გადადიან არა პასპორტით, არამედ Grenzkarte-თი * (მისი ვადა 28 დღეა). ასე ხშირად გადასვლისას შეიძლება გადაიტანოს (ტანზე ან ჩემოდანში ჩვენი ხერხით, რისთვისაც საჭიროა პატარა ჩემოდანი საექიმო ინსტრუმენტებისათვის) ცოტ-ცოტა, რამდენიმე გირვანქა ლიტერატურა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გადაჰქონდეთ რეგულარულად და ხშირად, თუნდაც ძალიან ცოტ-ცოტა. თუ კაცი იკისრებს მოაწყოს ეს და თ ვ ი თ ო ნ იმუშაოს, თ ვ ი თ ო ნ გადაიტანოს ხოლმე, ჩვენ მას მივცემთ ფულს ჩასასვლელად და ერთ-ორ თვეს საცხოვრებლად, სანამ გაერკვეოდეს.

დაწერილია 1901 წ. 5 ივნისს
გაგზავნილია მიუნხენიდან ბერლინში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — სასაზღვრო მოწმობით (საზღვრისპირა ზოლის მცხოვრებლების მიერ საზღვარზე გადასვლის უფლების დოკუმენტი). რ ე დ.

18

ლ. ე. გალპერინს

ზ/ვ

სპარსეთში ცოტა ხნის წინათ კიდევ გავგზავნეთ ვენის გზით, ასე რომ მარცხზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. შესაძლოა კიდევაც მოხერხდეს. აცნობეთ ადრესატს თავრისში, რომ მან ბერლინიდან წიგნები უნდა მიიღოს, და მოგვწერეთ, როდესაც მიიღებს.

კავკასიაში «ი ს კ რ ი ს» ბეჭდვის მოწყობის შესახებ ჩვენ უკვე გავუგზავნეთ X-ს **დაწვრილებითი** შეკითხვა და ჯერ პასუხი არ მიგვიღია [58]. საჭიროა ზუსტად ვიცოდეთ, როგორია გეგმა (ლეგალური თუ არალეგალური სტამბა), რამდენად «ახლოა განხორციელებასთან», დასაბეჭდი მასალის რა რაოდენობისათვის არის გაანგარიშებული (შეიძლება თუ არა «ი ს კ რ ა» ყოველთვიურად?), სახელდობრ რამდენი ფულია საჭირო ერთდროულად და რამდენი თვეში. ჩვენი სალარო ახლა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, და დაპირება არ შეგვიძლია, სანამ უაღრესად დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს. გამოგვიგზავნეთ ეს ცნობები დაუყოვნებლივ.

ყველა ღონე იხმარეთ, რომ ფული იშოვნოთ: ჩვენ უკვე მივწერეთ ამის შესახებ X-ის მეშვეობით ერთ თქვენს ნაცნობს და გირჩევთ ამაზე ზრუნვა სთხოვოთ ZZ-საც, რომელსაც «ი ს კ რ ი ს» ჯგუფის ერთ-ერთი წევრი უკვე ელაპარაკა ფულზე გასული წლის დამდეგს (მოაგონეთ მას საუბარი დედაქალაქის ერთ-ერთ თეატრში) [59].

შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის შესახებ აუცილებლად უძიეთ გზები. განსაკუთრებით ეცადეთ საფრანგეთის გემებზე — ჩვენ იმედი გვაქვს აქედან მივუდგეთ მათ.

დაწერილია 1901 წ. 18 ივნისის შემდეგ
გაგზავნილია მიუნხენიდან ბაქოში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

19

ნ. ე. ბაუმანს

გრაჩს

ახლა მივიღეთ ცნობა ნიკოლოზისაგან (=ერნსტისაგან), რომ მას გადატანილი აქვს და საიმედო ადგილას უწყვია 4½ ფუთი; ეს ერთი. მეორე — რომ მასთან ყოველთვის არის შესაძლებლობა — საზღვარზე გადავიდეს ჩვენი კაცი კონტრაბანდისტთან ერთად და რომ ასეთი ადამიანები საჭირო არიან. ამრიგად, აი რა წინადადებას გაძლევთ ჩვენ: ახლავე წადით ადგილზე, ჩადით ერთ-ერთი თქვენი პასპორტით ნიკოლოზთან მემელში, გაიგეთ მისგან ყველაფერი, შემდეგ გადადით საზღვარზე Grenzkarte-თი* ან კონტრაბანდისტთან ერთად, აიღეთ ლიტერატურა, რომელიც აქეთა მხარეს (ე. ი. რუსეთში) აწყვია, და მიაწოდეთ იგი ყველგან. აშკარაა, რომ საქმის წარმატებისათვის აუცილებელია ნიკოლოზის დასახმარებლად და მისთვის კონტროლის გასაწევად კიდევ ერთი კაცი რუსეთის მხრიდან, რომელიც ყოველთვის მზად იქნება ფარულად გადავიდეს საზღვარზე, უმთავრესად კი მუშაობდეს ლიტერატურის მისაღებად რუსეთის მხარეს და მის წასაღებად ფსკოვში, სმოლენსკში, ვილნოში, პოლტავაში. [ჩვენ სრულებით გაგვიტყდა გული ნიკოლოზსა და მის კომპანიაზე, გადავწყვიტეთ ერთი გროშიც აღარ მივცეთ მათ და მხოლოდ იმ პირობით, რომ ტრანსპორტში უშუალო მონაწილეობას მიიღებს სავსებით ჩვენი კაცი, შეგვიძლია ვიქონიოთ ამ გზის გამოყენების იმედი.] თქვენ ამისათვის შესაფერი იქნებოდით, ვინაიდან (1) უკვე იყავით

* — საზღვრო მოწმობით. რედ.

ერთხელ ნიკოლოზთან და (2) ორი პასპორტი გაქვთ. ძნელი და სერიოზული საქმეა, მოითხოვს ადგილსამყოფელის გამოცვლას, მაგრამ სამაგიეროდ უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. კარგად მოიფიქრეთ და გვიპასუხეთ დაუყოვნებლივ, ისე რომ ერთი დღეც არ გადასდოთ. თუ ამ დავალებას თქვენ ვერ იკისრებთ, ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გადავცეთ ეს მოვალეობა სხვას. ამიტომ ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გთხოვთ ახლავე გვიპასუხოთ.

დაწერილია 1901 წ. 26 ივნისს
გაგზავნილია მიუნხენიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

20

ბ. ვ. პლეხანოვს

7. VII. 01.

ძვირფასო ბ. ვ.! როგორ მიდის თქვენი მუშაობა? ვერა და ვერ მოვიცალე მომეწერა თქვენთვის ორტოდოქსის სტატიის დასასრულზე, ე. ი. შემდეგ გამოგზავნილ დამატებაზე ბერდიაევის სტატიის შესახებ «მირ ბოჟის» № 6-ში. ჩვენმა Struvefreundliche Partei-მ [60] უ ა რ ყ ო ეს დასასრული ხმების $2^3/_4$ უმეტესობით $1^1/_4$-ის წინააღმდეგ (ეს ალექსი «გაიყო» $^3/_4$ და $^1/_4$-ად), — მე უმცირესობაში დავრჩი ჩემი «მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი თ». მათ არ მოეწონათ არც შენიშვნა რომანტიკული სიყვარულის შესახებ და არც დამატების საერთო ხასიათი. ჩემი აზრით კი ამ დამატებამ მოკლედ, მკვეთრად, მკაფიოდ და საქმიანად ჩააწყვეტინა ხმა ამ ვაუბატონს, განსაკუთრებით კარგია დასკვნითი ლექსი!

რუსეთიდან კვლავ გვწერენ, რომ იკრიბება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობა — ერთ ქალაქში მიწვევაც კია მიღებული. მეტად საჭიროა დავაჩქაროთ პროგრამა. გთხოვთ მომწეროთ, ფიქრობთ თუ არა მოჰკიდოთ ხელი და შეგიძლიათ თუ არა მოჰკიდოთ ხელი ამ სამუშაოს. თქვენსა და პ. ბ — ს გარდა ხომ არავის შეუძლია: აქ საჭიროა ფორმულირების უდიდესი მოფიქრებულობა, ხოლო, მაგალითად, აქაურ აურზაურში დაკვირვება და კარგად მოფიქრება სრულიად შეუძლებელია. საეჭვოა, რომ პროგრამისა და სტატიის იმ ძველმა პროექტებმა (ე. ი. 1 პროექტმა და 1 სტატიამ), რომლებიც თქვენ ალექსიმ ჩამოგიტანათ — და

რომლებიც მან სულ ტყუილად უკან წამოიღო, — ბევრი სარგებლობა მოიტანოს? თქვენ როგორ ფიქრობთ? თუ ისინი გჭირდებათ, ჩვენ დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით.

შახოვსკოი და ტეზიაკოვი გამოვიწერე [61]. რატომ დაგჭირდათ ისინი პროგრამისათვის? განა ფიქრობთ მათ საფუძველზე შეადგინოთ მოთხოვნები სასოფლო-სამეურნეო მუშების სასარგებლოდ? როგორ უყურებთ მოთხოვნებს გლეხობის სასარგებლოდ? საერთოდ ცნობთ ასეთი მოთხოვნების შესაძლებლობას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პროგრამაში თუ არა?

თქვენი სტატიის კორექტურა ჯერ კიდევ არ მოსულა. «ზარიას» № 2-ში წერენ: სტაროვერი — «რუსსკოე ბოგატსტვოზე», ვ. ი. — ბერდიაევზე, მე დავწერე ვიტეს ბარათის შესახებ და გავლანძღე წინასიტყვაობა [62] (ვფიქრობ გამოგიგზავნოთ იმისათვის, რომ მოგეთათბიროთ, მაგრამ არ ვიცი, მეყოფა თუ არა დრო), ალექსის რეფერატი გვაქვს — «სოციალისტური ინტელიგენციის ამოცანები» — თქვენ ხომ ნახეთ იგი, როგორ მიგაჩნიათ? მე კიდევ დავწერ ჩერნოვის წინააღმდეგ. თქვენ ხომ ვერ მოგვცემთ რეცენზიას კრებულისა «სასახელო პოსტზე»?

«ისკრისათვის» (№ 6 იწყობა და ივლისში გამოვა, № 7 აგვისტოში უნდა იქნეს) თქვენგან მოველით სტატიებს მუშის წერილის გამო და «რუსეთში რევოლუციონიზმის აღორძინების» შესახებ.

Parvus-ი სულ თავის «ორგანიზაციას» იცავს!!

აქ გავლით იყო კაუცკი. დასასვენებლად მიდის და ახლა არაფრის დაწერას არ გვპირდება.

ნევზოროვმა «ისკრაში» გამოგზავნა «საზიზღარი» (ვ. ი — სა და პუტმანის შეფასება) სტატია წინააღმდეგ სტატიისა «რით დავიწყოთ?» [63] — ესაა ხოტბის შესხმა კომიტეტებისადმი, «რაბოჩეე დელოს» დაცვა (მიკიბულ-მოკიბული) და სხვ.. დავუბრუნებთ ავტორს (პირს გადავიღებთ და, თუ გსურთ, გამოგიგზავნით).

ჰო, კავშირთან ფედერაციის ან გაერთიანების შესახებ — იმედი მაქვს, თქვენ ნახავდით ჩვენს კონტრპროექტს? თუ არ

გინახავთ, კოლცოვს სთხოვეთ გამოართვას დვინსკაიას. საეჭ-ვოა, რომ ყოველივე ამისაგან რაიმე გამოვიდეს.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი...

ჰო, ჩვენი მოძრაობისათვის ბელგიელების მიერ მოცემული ფულის შესახებ. ჩემი აზრით, მესამედი მივცეთ «რაბოჩეე დელოს»: არ ღირს 50 — 100 ფრანკისათვის თუნდაც მარტო ლაპარაკის საბაბი მივცეთ.

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

21

ს. ო. ცედერბაუმს

ეს არის მივიღეთ წერილი პახომის ძმის, იაბლოჩკოვისა და ბრუსკოვის გეგმით. არ შეგვიძლია დავმალოთ, რომ ჩვენ არა თუ ვერ დავეთანხმებით ამ გეგმის ვერც ერთ ნაწილს (თუმცა პირველზე კიდევ შეიძლება დავა), არამედ პირდაპირ გაგვაკვირვა კიდევაც ამ გეგმამ, განსაკუთრებით მეორე ნაწილმა: 1) ყველა წავიდეს პიტერში, 2) მოეწყოს «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის რაიონული ორგანო. იმდენად გაოცებული ვართ, რომ წინასწარ ვიხდით ბოდიშს, თუ შემდგომ გადმოცემაში მეტად მკვახე სიტყვა წამოგვცდება.

ეს რაღაც წარმოუდგენელია! მთელი წლის საშინელი ღონისძიებების შემდეგ ძლივძლივობით ვახერხებთ დავიწყოთ ამ უდიდესი და უაღრესად არსებითი ამოცანისათვის ხელმძღვანელთა და ორგანიზატორთა შტაბის შედგენა რუსეთში (ეს შტაბი ჯერ კიდევ საშინლად მცირეა, ვინაიდან ჩვენ, მოხსენიებული სამი პირის გარდა, კიდევ 2—3 კაცი გვყავს, საერთო-რუსული ორგანოსათვის კი საჭიროა არა ერთი ათეული ასეთი ენერგიული თანამშრომელი, ამ სიტყვის **არა მარტო** ლიტერატურული გაგებით), და უცებ კვლავ დავაქციოთ შენობა და დავუბრუნდეთ ძველ კუსტარულობას! უფრო თვითმკვლელური ტაქტიკა «ისკრისათვის» მე ვერც წარმომიდგენია! რაიონული ორგანო არსებული «იუჟნი რაბოჩის»[64] მსგავსად — ეს იმას ნიშნავს, რომ ხელახლა დავხარჯოთ უამრავი სახსრები და ადამიანები რედაქციაზე, ტექნიკაზე, ექსპედიციაზე და სხვ., და მერე რისთვის? წელიწად-

ნახევარში ხუთი ნომრისთვის! და ამასაც იგი ახლა ვერასგზით ვერ მიაღწევს წელიწადნახევარში, ვინაიდან «იუჟნი რაბოჩის» ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მას ქმნიდა განვითარების აპოგეაში მდგომი უკვე ჩამოყალიბებული კომიტეტი, ე. ი. მთელი ორგანიზაცია. თქვენ ჯერჯერობით მხოლოდ სამნი ხართ. იმის გულისათვის, რომ ნაცვლად იმ შეზღუდულობასთან ბრძოლისა, რომელიც პიტერელს აიძულებს დაივიწყოს მოსკოვი, მოსკოველს პიტერი, კიეველს ყველაფერი, გარდა კიევისა, ნაცვლად იმისა, რომ ვასწავლოთ ადამიანებს (მათ წლობით უნდა ვასწავლოთ ეს, თუ გვსურს შევქმნათ ამ სახელწოდების ღირსი პოლიტიკური პარტია) საერთო-რუსული საქმის გაძღოლა, — ნაცვლად ამისა კვლავ კუსტარული მუშაობის, ადგილობრივი შეზღუდულობის წახალისება და საერთო-რუსულის ნაცვლად რაღაც პოშეხონური სოციალ-დემოკრატიის განვითარება, — ეს მხოლოდ პოშეხონურობა იქნება, ეს არ შეიძლება სხვა რამე იყოს. გამოცდილებით დავრწმუნდით, თუ რა მცირე ძალები მოგვეპოვება ნამდვილად პოლიტიკური ორგანოს შესაქმნელად, რა ცოტა გვყავს თანამშრომლები, რეპორტიორები, რა ცოტა გვყავს პოლიტიკური კავშირურთიერთობის მქონე ადამიანები, რა ცოტა გვყავს ტექნიკისა და ექსპედიციის პრაქტიკოსები.

ისინი მთელი რუსეთისათვის ც ო ტ ა ნ ი არიან, ხოლო ჩვენ ახალი ადგილობრივი წამოწყების დაარსების გულისათვის კიდევ დავქსაქსავთ მათ და მივატოვებთ უკვე დაწყებულ საერთო-რუსულ წამოწყებას, რომელსაც ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროება. უკეთეს შემთხვევაში, ამ ახალი გეგმის ბრწყინვალე წარმატების შემთხვევაში, ეს გამოიწვევს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ტიპის დაკნინებას, მისი პოლიტიკური მნიშვნელობის დაკნინებას, იმიტომ რომ «ადგილობრივი» პოლიტიკური გაზეთი შეუძლებელია, ვინაიდან ადგილობრივ ორგანოში საერთო-პოლიტიკური განყოფილება ყოველთვის უფრო სუსტი იქნება. თქვენ წერთ: «მასობრივი» ორგანო. ჩვენ სრულებით ვერ გაგვიგია, რა მხეცია ეს. ნუთუ ჰახომის ძმაც უკვე იმას ფიქრობს, რომ უფრო დაბლა უნდა დავეშვათ, მოწინავეებიდან მასამდე, ვწეროთ რაც შეიძლება

მარტივად და ცხოვრებასთან რაც შეიძლება უფრო ახლოს?? ნუთუ ჩვენი მიზანი ის არის, რომ «მასას» მივუახლოვდეთ, და არა ის, რომ ეს უკვე ამოძრავებული მასა ავამაღლოთ ორგანიზებული პოლიტიკური მოძრაობის დონემდე? ნუთუ გვაკლია წერილები ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან, და არა პოლიტიკური მხილებანი, პოლიტიკური ცოდნა, პოლიტიკური განზოგადებანი? და აი ჩვენი პოლიტიკური განზოგადებების გასაფართოებლად და გასაღრმავებლად მოდით დავაქუცმაცოთ საერთო საქმე რაიონულ საქმეებად! და გარდა პოლიტიკური დაკნინებისა ისინი გარდუვალად ტექნიკურად დააკნინებენ საქმეს რაიონული ორგანოს გეგმით. მთელი ძალების «ისკრაზე» შეერთებით ჩვენ შეგვიძლია მოვაწყოთ (ეს ახლა უკვე დამტკიცებულია ერთი წლის გამოცდილების შემდეგ) ყოველთვიური გაზეთის გამოცემა, მართლაც პოლიტიკური მასალით, რაიონული ორგანოს პირობებში კი ახლა წელიწადში 4 ნომერზეც არ შეიძლება ფიქრი. ხოლო თუ მოუთმენლად არ მივაწყდებით ერთი გეგმიდან მეორეს და თუ არ შეგვაკრთობს დროებითი წარუმატებლობანი და საერთო-რუსული წამოწყების ნელი ზრდა, სავსებით შესაძლებელი იქნება ½ — 1 წლის შემდეგ ორკვირეულ ორგანოსაც მივაღწიოთ (რაზედაც ჩვენ უკვე დაჟინებით ვფიქრობთ). ჩვენ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ, რომ პახომის ძმა, იაბლოჩკოვი და ბრუსკოვი წინანდელ გზაზე დგანან, იწონებენ «ისკრის» მიმართულებასაც და ორგანიზაციულ გეგმასაც, — ხოლო თუ მათ შეიცვალეს შეხედულება ამ საკითხებზე, მაშინ, რა თქმა უნდა, სულ სხვა საქმეა. საერთოდ, ჩვენ პირდაპირ გაოცებული ვართ, რატომ გაუტყდათ ამ პირებს გული ამ გეგმაზე და ასე მალე? (იმიტომ, რომ არ შეიძლება ისინი არ ხედავდნენ, რომ ახალი გეგმა სპობს ძველს). ტრანსპორტის გამო? მაგრამ თავისი გზის მოწყობა დღემდე მხოლოდ ერთხელ ცადეს და ეს ცდა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სრული კრახით, — ჩვენ კი 2 — 3 წარუმატებლობის შემდეგაც არ უნდა მივატოვოთ საქმე. ახლა ეს პირები უფრო იმას ხომ არ თანაუგრძნობენ, რომ გამოცემა რუსეთში მოეწყოს, და არა

საზღვარგარეთ? მაგრამ მათ ხომ იციან, რომ პირველისათვის ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გაკეთდა და 1 000 მანეთამდე დაიხარჯა, შედეგი კი ჯერ არ არის. უნდა ვთქვათ, რომ «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის მიერ რაიმე რაიონული ან ადგილობრივი ორგანოს გამოცემის საერთოდ ყოველი გეგმა ჩვენ უთუოდ არასწორად და მავნედ მიგვაჩნია. «ისკრის» ორგანიზაცია არსებობს ამ უკანასკნელის დახმარებისა და განვითარებისათვის და ამით პარტიის გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, და არა ძალების დ ა ქ ს ა ქ ს ვ ი ს ა თ ვ ი ს, რაც ამ ორგანიზაციის გარეშეც საკმარისზე მეტია. პიტერში ყველას წასვლის შესახებ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩვენ ისეთი მუშაკები, როგორიც პ., ბ. და პახომის ძმა არიან, სულ ცოტა გვყავს და მათ უნდა გავუფრთხილდეთ. ერთ ადგილას ცხოვრების დროს კი საერთო ჩავარდნის საფრთხე ასჯერ მეტია. თუ მათ მიაჩნიათ, რომ იქ ერთი არ კმარა (ამას კი ისინი უკეთ ხედავენ), შეუერთონ მას ის, ვინც შემოდგომაზე თავისუფლდება (პახომის ძმა), და არა ორივენი. და შემდეგ, როგორც მათი უშიშროების მიზნით, ისე გამაერთიანებელი მუშაობის მიზნით, ნუ დ=ივიწყებენ, რომ მეტად სასურველია დროდადრო გამოიცვალონ საცხოვრებელი ადგილი. ბოლოს, რომ მოხერხდებოდეს პიტერში კომიტეტის დაპყრობა, მაშინ, რა თქმა უნდა, იგი უნდა აიძულონ ორივე ხელი ჩასჭიდოს «ისკრას», მის გახშირებას, და იბრძოლოს ყოველგვარ ახალ კუსტარულ წამოწყებათა წინააღმდეგ. კუსტარულობა გაცილებით უფრო ბოროტი მტერია, ვიდრე «ეკონომიზმი», ვინაიდან ეკონომიზმის უღრმესი ს ა ა რ ს ე ბ ო ფესვები, ჩვენი უღრმესი რწმენით, სწორედ კუსტარულობაშია. და არასოდეს არ იქნება პოლიტიკური (არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით პოლიტიკური, ე. ი. მთავრობაზე პირდაპირი გავლენის მომხდენი და საერთო იერიშის მომამზადებელი) მოძრაობა, სანამ ჩვენ არ დავძლევთ ამ კუსტარულობას და ძირს არ გამოვუთხრით ყოველგვარ ნდობას მისდამი. თუ სპბ. 400 ეგზემპლარ «იუჟნი რაბოჩის» ყიდულობდა, ჯგუფი «სოციალისტი»[65] კისრულობდა 1 000 ეგზემპლარი «ისკრის» გავრცელებას. დაე მოაწყონ ამდენი ეგზემპლარის გავრცელება, დაე მოაწყონ, რომ

მასში იყოს პეტერბურგის საფუძვლიანი განყოფილება (საჭიროების შემთხვევაში იგი განსაკუთრებული დამატება გახდება) და მაშინ მიღწეული იქნება იგივე ამოცანა, რომელმაც თქვენ წინაშე პიტერის დაპყრობის ყველა სხვა ამოცანა დაჩრდილა. საჭიროდ მიგვაჩნია მოგაგონოთ, რომ ყველა «პრაქტიკოსი» თანახმაა, რომ მუშებისათვის მისაწვდომობის მხრივ «იუჟნი რაბოჩის» უპირატესობა არა აქვს «ისკრის» წინაშე, ასე რომ ეს საბუთიც მოხსნილია. უაზრობა და დანაშაულია ძალებისა და სახსრების დაქსაქსვა, — «ისკრა» უფულოდ ზის, არც ერთი რუსი აგენტი ერთ გროშსაც არ აწვდის მას, ამავე დროს კი თვითეული რაღაც ახალს იწყებს, რომელიც ახალ სახსრებს მოითხოვს. ყოველივე ეს მოწმობს სიმტკიცის ნაკლებობას. უფრო მომთმენი უნდა ვიყოთ: ჩვენი გეგმის საშუალებით ჩვენ ჩვენსას მივაღწევთ, თუნდაც არც ისე მალე, ხოლო რის იმედი შეიძლება გვქონდეს წამოყენებული გეგმის განხორციელებით, ეს ჩანს «რაბოჩეე ზნამიას» სავალალო გამოცდილებიდან. ჩვენი ნაცნობები ისე ნაჩქარევად შეუდგნენ თავიანთი გეგმის განხორციელებას, რომ იაბლოჩკოვი, მიუხედავად პირობისა, სპბ-ში წავიდა და მიატოვა ოდესა, სადაც ჩვენი აგენტის ყოფნა აუცილებელია. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ახალი გეგმა მიტოვებულ იქნეს. თუ ჩვენი მოსაზრებანი დამაჯერებლად არ ეჩვენებათ, გადადონ ყოველგვარი ახალი გეგმები ჩვენს ყრილობამდე, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში მოვიწვევთ, როცა საქმე როგორმე მოგვარდება. რაც შეეხება პოპულარულ ლიტერატურას, აკი განზრახულია გაფართოებულ იქნეს პოპულარული ბროშურების გამოცემა. ეს წერილი გამოხატავს არა მარტო ჩვენი ჯგუფის, არამედ აგრეთვე «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის აზრს.

დაწერილია 1901 წ. ივლისის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია მიუნხენიდან ვილნოში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება მანქანაზე გადაწერილი
პირის მიხედვით

22

გ. ვ. პლეხანოვს

25. VII. 01.

ძვირფასო გ. ვ.! გუშინ მივიღე წიგნები აგრარულ საკითხზე. გმადლობთ მათი გამოგზავნისათვის. მე ძალიან გამიტაცა მუშაობამ ჩემს «აგრარულ» სტატიაზე ჩერნოვის (ნაწილობრივ გერცისა და ბულგაკოვის) წინააღმდეგ. ვფიქრობ, საჭიროა ამ ჩერნოვის ულმობლად გაცამტვერება [66].

ახლა იყო აქ ველიკა, წაგვიკითხა მისდამი თქვენი წერილის ნაწყვეტები. კორექტურის შესახებ უკვე გავაკეთეთ «ყოველივე რაც ჩვენზეა დამოკიდებული», ე. ი. დიტცს გავუგზავნეთ შესწორებანი, რომ ტექსტში შეიტანოს, თუ გვიან არ არის; ხოლო თუ გვიან არის, ჩვენ აუცილებლად მოვიხსენიებთ მათ წიგნის ბოლოში, ასე რომ, გარწმუნებთ, მაინცდამაინც დიდი უბედურება არ იქნება. კორექტურა ჩემმა ცოლმა გაასწორა და შეადარა ხელნაწერს (ის, რასაც თქვენ გაუკეთეთ შენიშვნა: «მე ეს არა მქონიაო!» თქვენი შეცდომა აღმოჩნდა, ვინაიდან თქვენ, როგორც მე სწორედ ახლა შევამოწმე ხელნაწერში, მართლაც გიწერიათ «მაისის აჯანყება». ესეც გავასწორეთ). ვინაიდან კორექტორის შეცდომები გარდუვალი რამეა, ჩვენ ამიერიდან მართლაც მივიღებთ თქვენ მიერ წამოყენებულ «ტაქტიკას»: გავუგზავნით ხოლმე ავტორს **პირველ** კორექტურას (მეორე გვიან იქნება) იმ ანგარიშით, რომ ცალკეული ასოები და ნიშნები კი არ გაასწოროს, ვინაიდან ამას კორექტორიც გააკეთებს, და ამას არცა აქვს მნიშვნელობა, არამედ გაასწოროს მხოლოდ **აზრის დამამახინჯებელი**

გამოტოვება ფრაზებისა, სიტყვებისა, ან ერთი სიტყვის შეცვლა მეორით.

მივიღე ჩემი სტატია[67] პ. ბ — საგან მისი წერილით. პ. ბ — ს შერბილების მომხრეა. და მე, ცხადია, უკვე შ ე ვ ი ტ ა ნ ე ყველა ის შერბილება, რაც კონკრეტულად აღნიშნეთ თქვენ და პ. ბ — მ. რაც შეეხება სტატიის მთელი ტონის შეცვლას respective * ყველა თავდასხმის შეცვლას გესლიანი დარიგებით ზემოდან, — თუმცა თქვენი ეს გეგმა მომწონს, მაგრამ მეეჭვება, რომ მე შ ე მ ე ძ ლ ო ს ამის გაკეთება. ავტორის წინააღმდეგ ასე «გაჯავრებული» რომ არ ვიყო, არც დავწერდი ასე. ხოლო რაკი «გაჯავრებული» ვარ (რაც გასაგებია არა მარტო ჩვენთვის, არამედ წინასიტყვაობის ყველა სოციალ-დემოკრატი მკითხველისათვისაც), მე ამას ვეღარ დავმალავ და ვეღარ ვიცუღლუტებ. ვეცდები კიდევ და კიდევ შევარბილო და კიდევ და კიდევ შევნიშნო: იქნებ, ზოგი რამ კიდევაც მოვახერხო.

ალექსის გადავცემ თქვენს აზრს (რომელსაც იგი დიდი ხანია მოუთმენლად ელოდა) მისი რეფერატის შესახებ. ალექსის ალბათ დაავიწყდა ეთქვა თქვენთვის, რომ მ ა ნ თ ვ ი თ ო ნ ვ ე გადასცა თავისი თემა მიხაილოვსკის შესახებ რიაზანოვს (რომელიც კიდევაც წერს ამ თემაზე). მ ე ისე მესმოდა, რომ თქვენ წერთ რეცენზიას კრებულის შესახებ — «სახელოვან პოსტზე», რომელიც ჩვენ გამოგიგზავნეთ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი...

თუ კოლცოვს შეხვდეთ, გადაეცით ჩემი დიდი მადლობა «ვოლნოე სლოვოსათვის».

ჰო, კინალამ დამავიწყდა. მინდოდა კიდევ რჩევა მეთხოვა თქვენთვის ასეთ საკითხზე. ამ არამზადა ჩერნოვს ციტატი მოჰყავს ფრ. ენგელსის სტატიიდან «გერმანელი გლეხი» 1900 წ. «რუსსკოე ბოგატსტვოში» № 1 — სადაც ბ ო ლ ო შ ი ენგელსი ამბობს, რომ საჭიროა «აღდგენილ იქნეს მარკა». მე ვიპოვე ეს სტატია. აღმოჩნდა, რომ ეს თარგმანია Entwick-

* — ანუ. რ ე დ.

lung des Sozialismus von der Utopie zur Wissenschaft — «Die Mark»-ის Anhang-ისა[68], ამასთან **«რუსსკოე ბოგატსტვოში» ბოლოში** ჩართულია ორი აბზაცი (18 სტრიქონი), **რომლებიც ორიგინალში არ არის.** მთელი დანარჩენი თარგმანი მე აბზაცობით შევადარე, ეს ორი აბზაცი კი ეშმაკმა უწყის საიდან არის მიტმასნილი. საჭიროა ვამხილოთ ეს უდიდესი უმსგავსობა, მაგრამ... ხომ არ არის აქ გაუგებრობა? ხომ არ არსებობს ენგელსის ამ სტატიის სხვა ტექსტი? რუსული თარგმანის შენიშვნაში «რუსსკოე ბოგატსტვოს» რედაქცია ამბობს:

«მისი (ენგელსის) ეს სტატია გამოქვეყნდა 80-იან წლებში» [1882 წელს? Entwicklung-ის წინასიტყვაობას აქვს თარიღი 21. IX. 82] «ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალში» [?? «Neue Zeit» *? თუ «ციურიხის სოციალ-დემოკრატი»? თქვენ ხომ არ იცით?] «მის ხელმოუწერლად» [???]. «მაგრამ მის ანაბეჭდში, რომელიც ენგელსმა გამოუგზავნა თავის ერთ-ერთ მეგობარს» [sic!! ** დანიელსონს? ხომ არ გაგიგონიათ რამე ამის შესახებ ენგელსისაგან?] «მან თავისი ინიციალები მოაწერა». თანაც სტატიის ისტორიული ნაწილი ემთხვევა «Schlesische Milliarde»-ს *** წინასიტყვაობას და სტატიას «Neue Rheinische Zeitung»-ში **** (აპრილი — მარტი, 1849).

ხომ არ შეგიძლიათ დამეხმაროთ გავერკვე ამაში? ხომ არ ყოფილა «Neue Rheinische Zeitung»-ში ან სადმე სხვაგან სტატია «Die Mark»-ის კიდევ სხვა ტექსტი? ხომ არ შეიძლებოდა, რომ ენგელსს შემდეგ ამოეგდო ბოლო «მარკის აღდგენის» შესახებ??

გაგზავნილია მიუნხენიდან ქენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — «ახალი დროება». რედ.

** — ასეა!! რედ.

*** — «სილეზიის მილიარდი». რედ.

**** — «რაინის ახალი გაზეთი». რედ.

23

პ. ბ. აქსელროდს

26. VII. 01.

ძვირფასო პ. ბ.! მივიღე და ყურადღებით წავიკითხე თქვენი წერილი (ალექსიმაც). ძალიან გამეხარდა, რომ თქვენ ასე დაწვრილებით ჩამოაყალიბეთ თქვენი შენიშვნები. მხოლოდ ტყუილად ფიქრობთ, რომ მეტისმეტი («გვარიანი») «ჯიუტი» ვარ. **ყველა** თქვენი მითითება გარკვეული ადგილების შერბილების შესახებ (ისევე როგორც გ. ვ — ს ყველა შენიშვნა) მხედველობაში მივიღე, ე. ი. ყველგან შევარბილე. «მანეთზე კაპიკი» ყველა მუშას გააერთიანებს: მე დავუმატე «ეკონომისტების აზრით» ფრჩხილებში. ნაცვლად «თვითმპყრობელობის შეზღუდვისა» ჩავსვი «მოსპობისა», როგორც თქვენ მიმითითეთ. გვ. 82 — 83, რომლებიც ფრთხილი ვერ იყო ჩვენ მიერ ლიბერალების გამოყენების თვალსაზრისით (ე. ი. აზრები, რომლებიც ფრთხილად არ იყო გამოთქმული), სრულებით ა მ ო ვ შ ა ლ ე, როგორც თქვენ მირჩევდით. ჩავუმატე აგრეთვე შენიშვნა თქვენს ბროშურაზე — «ისტორიული მდგომარეობა» — მითითებით და იმის აღნიშვნით, რომ საკითხი, რომელსაც მე შევეხე, თქვენ მიერ საფუძვლიანად გარჩეულია. ჩავუმატე ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, რომ სასიხარულოა ლიბერალების მიერ (რ. ნ. ს — ს სახით) მუშათა მოძრაობის მეტი გაგება. სრულებით ამოვშალე «სინანული» იმის გამო, რომ ვიტეს ბარათი ასეთი წინასიტყვაობით გამოქვეყნდა. ამოვშალე კიდევ რამდენიმე მკვახე ადგილი სტატიის როგორც პირველ, ისე მეორე ნახევარში. საერთოდ მე არც ისე ჯიუტი

ვარ კერძოობითის შერბილებაში, მაგრამ პრინციპულად არ შემიძლია ხელი ავიღო იმ აზრზე, რომ ჩვენ უფლება გვაქვს (და მოვალენი ვართ) სასტიკად დავგმოთ რ. ნ. ს. მისი პოლიტიკური ჟონგლიორობისათვის. იგი სწორედ პოლიტიკური ჟონგლიორია — ამაში საბოლოოდ დამარწმუნა წინასიტყვაობის კვლავ და კვლავ წაკითხვამ, და ჩემს კრიტიკაში შევიტანე ყველაფერი, რაც უკანასკნელმა თვეებმა მოგვცა (ე. ი. Verhandlungen * «ტელიონოკთან», შეთანხმების ცდები etc. [69]), — ასე ვთქვათ, გული მოვიოხე, ამ სუბიექტს ანგარიშს რომ ვუსწორებდი. ერობის კონსტიტუციურობის საკითხის გამორკვევა მთელი სტატიის სიმძიმის ცენტრად მიმაჩნდა. «საერობო» ლიბერალიზმი — ეს საზოგადოებაზე ზემოქმედების დარგში იგივეა, რაც ეკონომიზმი მუშებზე ზემოქმედების დარგში. ჩვენ უნდა ვდევნიდეთ როგორც ერთ, ისე მეორე შეზღუდულობას.

ჩვენთან ალბათ ხვალ გადაწყდება სტატიის საკითხი. თუ იგი ახლა დაიბეჭდა, ვეცდები გამოგიგზავნოთ პირველი კორექტურის ერთი ეგზემპლარი: შესაძლოა, თქვენ კიდევ ზოგი რამე აღნიშნოთ, და მაშინ კიდევ მოვასწრებთ გასწორებას (სანამ პირველი და მეორე კორექტურა სწორდება).

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ კარგად დაისვენოთ და კარგად განიკურნოთ. იქნებ ამისათვის სჯობდეს დროებით არაფერი არ გამოგიგზავნოთ? ვაკატი და მკურნალობა არ გაგიფუჭოთ?

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

მოიწერეთ Herrn Dr. Med. Carl Lehmann
Gabelsbergerstrasse 20 a/II.
München (**für Meyer** შიგნით).

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ვაჭრობა. რ ე დ.

24
გ. ვ. პლეხანოვს

30. VII. 01.

ძვირფასო გ. ვ.! მივიღე თქვენი წერილი აგარაკიდან და ახალი წიგნები («Final Report», Blondel et Vandervelde et Destrée *), რომლებისათვისაც დიდად გმადლობთ.

ტეზიაკოვი არ მიმიღია, და ალბათ ვერც მივიღებ, ვინაიდან იგი გამოწერილი იყო კალმიკოვას საწყობიდან [70], ხოლო კალმიკოვა სამი წლით გადაუსახლებიათ პიტერიდან და საწყობი იხურება (უკანასკნელი და სავსებით ზუსტი ცნობებია!).

კულემანს [71] დღესვე გიგზავნით.

«რუსსკოე ბოგატსტვოში» ენგელსის მიმართ ჩადენილი სიყალბის გამო [72] ვეცდები ყველა ზომა მივიღო.

რეცენზიების შესახებ ცოტა გვაქვს გამორკვეული. ახლა ყველა გართულია თავისი სტატიებით (ველიკა — ბერდიაევის წინააღმდეგ, პუტმანი — საჟურნალო შენიშვნებით = «რუსსკოე ბოგატსტვოს» წინააღმდეგ, მე — აგრარულით [73] etc.). ჯერ დროცა გვაქვს რეცენზიებისათვის.

ჩემი სტატია რ. ნ. ს — ს წინააღმდეგ დასაბეჭდად გავგზავნე, ამასთან მთელი რიგი მკვახე ადგილები შევარბილე. დავწერე კიდევ მისი პატარა ბოლოსიტყვაობა, რომელშიც პარალელი გავატარე დრაგომანოვის ერთ სტატიასა («ირეკდით და განგეღოს») და რ. ნ. ს — ს შორის პირველის სასარგებლოდ.

---

* — («დასკვნითი მოხსენება», ბლონდელი და ვანდერველდე და დესტრე). რ ე დ.

იქაც შევარბილებ (ველიკას დაჟინებით) ზოგიერთ გამოთქმას. მაგრამ ჩემი სასტიკად განმაქიქებელი საერთო ტონის ძირეული გადაკეთება აღარ შეიძლება.

რუსეთიდან იწერებიან, რომ ხალხი საშინლად გატაცებულია ბ ე რ დ ი ა ე ვ ი თ. აი ვინ უნდა დავგმოთ სასტიკად ა რ ა მ ა რ ტ ო სპეციალურ-ფილოსოფიურ დარგში! მართალია, ველიკა წერს სტატიას ბერდიაევის მიერ «მირ ბოჟიში» მოთავსებული უკანასკნელი სტატიის გამო.

ძალიან გამახარა ცნობამ, რომ თქვენ პ. ბ — ს შეხვდებით და პროგრამას შეუდგებით. უდიდესი ნაბიჯი იქნება წინ, თუ ჩვენ ისეთი პროექტით გამოვალთ ხალხის წინაშე, როგორიც არის თქვენი და პ. ბ — ის პროექტი. და ეს საქმე სრულიად გადაუდებელია.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან
ვოს კანტონში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

— — — — — —

25

გ. ვ. პლეხანოვს

21. X. 01.

ძვირფასო გ. ვ.! ამ დღეებში გამოგიგზავნეთ № 1 «Neue Zeit» * ენგელსის სტატიით პროგრამის შესახებ [74]. ვფიქრობ, იგი თქვენთვის ინტერესს მოკლებული არ იქნება თქვენს სამუშაოსთან დაკავშირებით, ე. ი. პროგრამის პროექტის შესადგენად.— შემდეგ, დღეს გამოგიგზავნეთ კორექტურები: გთხოვთ გადათვალიერების შემდეგ რაც შეიძლება მალე გაუგზავნოთ ისინი პირდაპირ დიტცს წარწერით «Druckfertig!» **.

მე შევარჩიე ზოგიერთი მასალა საშინაო მიმოხილვისათვის [75] და ამ დღეებში უშუალოდ შევუდგები მას (ახლა წეუძლოდ ვარ: რაღაც ინფლუენციის მსგავსი შემეყარა მგზავრობის შემდეგ [76]). ვინაიდან ამ სამუშაოს შემდეგ საჭირო იქნება შევუდგე მუშაობას «ისკრისათვის», შემდეგ კი ბროშურას, რომელსაც დიდი ხანია ვერ შევდგომივარ [77], პროგრამისათვის სრულებით არ მეყოფა დრო, და იმედი მარტო თქვენზეა.

ხომ ვერ გვირჩევთ რომელიმე ფრანგს წერილებისათვის საფრანგეთიდან? (დანევიჩი ალბათ უარს იტყვის.)

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — «ახალი დროება». რ ე დ.
** — «მზად არის დასაბეჭდად!». რ ე დ.

26

გ. ვ. პლეხანოვს

2. XI.

ძვირფასო გ. ვ.! თქვენი წერილი მივიღეთ. თქვენი სტატია, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, დაიბეჭდება «ისკრის» № 10-ში.

მეცხრე ამ დღეებში გამოვა: დაიგვიანა იმის გამო, რომ გაიბერა 8 გვერდამდე.

მიიღეთ თუ არა №№ 1 და 3 «Neue Zeit» (გთხოვთ გამოყენების შემდეგ დ ა გ ვ ი ბ რ უ ნ ო თ)? მე გამოგიგზავნეთ ისინი, ვინაიდან იქ ენგელსისა და კაუცკის სტატიებია პროგრამის შესახებ, რომლებიც, შესაძლოა, გამოგადგეთ. როდის ვარაუდობთ დაამთავროთ პროგრამაზე მუშაობა?

მარქსის თხზულებათა კრებულზე რეცენზიის შესახებ თქვენ არაფერს იწერებით [78]. ჩვენ ისე ვფიქრობთ, რომ თქვენ მაინც გამოგვიგზავნით მას — იგი აუცილებლად საჭიროა «ზარიას» № 2 — 3-სათვის. 4. XI-ს გამოვა ტომი IV: ლასალის წერილები მარქსისადმი, მაგრამ მის შესახებ რეცენზიის დაწერა აღარ ღირს, გამოსვლა რომ არ დავაგვიანოთ.

მე ვამთავრებ საშინაო მიმოხილვას. ალექსიმ დაწერა ლიუბეკზე. რეცენზიები გვაქვს: თქვენი ფრანკზე, სამი ალექსისა + + თქვენი მარქსის თხზულებათა კრებულის შესახებ + შესაძლოა ველიკა დმიტრიევნასი «სვობოდას» შესახებ. ეს საკმარისია.

Also * «ზარიას» № 2 — 3 მზად არის, და ახლა საქმე მხოლოდ ბეჭდვაზეა, რომელიც შუა ნოემბერში შესაძლოა დავამთავროთ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი...

---

* — ამრიგად. რ ე დ.

P. S. პროგრამის შესახებ ასე გულმოდგინედ გეკითხებით, ვინაიდან უნდა ვიცოდეთ, იქნება თუ არა, «ზარიას» № 2 — 3-ის გამოსვლისთანავე, მასალა № 4-სათვის, რომ ასოთამწყობებს მივცეთ. მე Dietz-ი ჩამციებია ამის შესახებ.

თუ ჯერ კიდევ არ გამოგიგზავნიათ რიაზანოვის სტატია, — გამოგზავნეთ **დაუყოვნებლივ,** თორემ იგი მთლად შეჭამს ალექსის. რიაზანოვმა (და Parvus-მა მასთან ერთად და მის მაგიერ) საშინლად იწყინა სტატიის გადადება და, ვგონებ, სურს ჩამოგვშორდეს. «არა გაქვთ რედაქტორობის უნარიო!» გვეუბნებოდა Parvus-ი.

როგორია?

დაწერილია 1901 წ. 2 ნოემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან ქენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

27

ისკრულ ორგანიზაციებს რუსეთში

1) იაკობის
2) მოსკოვის კომიტეტი
3) სპბ. + ნიჟნი
4) ბაკუნინის?
5) «წერილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებს» [79].

ეს არის ახლა შევიტყვეთ, რომ კავშირელები აწყობენ უმნიშვნელოვანესი კომიტეტების კონფერენციას საზღვარგარეთ მომხდარი კონფლიქტის საკითხის გადასაწყვეტად [80].

საჭიროა **მთელი** ძალ-ღონის დაძაბვა, რათა რაც შეიძლება მეტ კომიტეტსა და ჯგუფში გატარდეს ასეთი ზომები:

1) კონფერენცია აუცილებლად გადაიდოს minimum გაზაფხულამდე (აღდგომამდე და სხვ.). მოტივები: a) საჭიროა გვყავდეს დელეგატები **«ისკრისგანაც»** და საზღვარგარეთის ლიგისგანაც, ეს კი მოითხოვს დროსა და ფულს. კონფერენცია კი, რომელზეც **«ისკრისა»** და ლიგის დელეგატები არ იქნებიან, უკანონოა და აზრი არა აქვს. b) საჭიროა დაველოდოთ ორივე მხარის ბროშურების გამოსვლას, რომლებშიც ჩამოყალიბებული იქნება უთანხმოების არსი. ამ ბროშურების გამოსვლამდე კონფერენცია ვერ განსჯის საქმის ცოდნით, და ამიტომ მისი თათბირები ჰაერში გამოკიდებული იქნებოდა. «ი ს კ რ ა» № 12-ში (1901 წლის 5 დეკემბერს გამოდის) დანამდვილებით გვპირდება გამოუშვას ეს ბროშურა ძალიან მალე (დაახლოებით თვენახევრის შემდეგ) [81]. იქ ძალიან

დაწვრილებით იქნება გარჩეული მთელი უთანხმოება. ჩვენ იქ ვაჩვენებთ «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო ს» მიმართულების მ თ ე ლ მ ა ვ ნ ე ო ბ ა ს, გამოვააშკარავებთ მთელ მათს სამარცხვინო მერყეობასა და უმწეობას ბერნშტეინელობისა და ეკონომიზმის წინაშე. ეს ბროშურა ნაწილობრივ უკვე მზად არის და სწრაფად უახლოვდება დასასრულს. შემდეგ ამჟამად (½ დეკემბერი ახ. სტ.) საზღვარგარეთ იკითხება რეფერატები უთანხმოებაზე: ერთი — «რაბოჩეე დელოს» წარმომადგენლისა, მეორე — ლიგის წარმომადგენლისა. ეს რეფერატებიც ძალიან მალე გამოქვეყნდება და, მათ რომ არ დაველოდოთ და ისე მოვიწვიოთ კონფერენცია, ეს ნიშნავს ფუჭად ფულის გადაყრასა და მსხვერპლის გაღებას.

2) კონფერენციაზე, თუ იგი შედგება, ჩვენ **სპეციალურ** წარმომადგენელს გავგზავნით. ამიტომ **აუცილებელია** ახლავე გვაცნობოთ, (1) დანიშნულია თუ არა კონფერენცია; (2) სად; (3) როდის და (4) პაროლი და სახვედრი კონფერენციაზე. საჭიროა ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ მოსთხოვოთ კომიტეტებსა და ჯგუფებს ამ ცნობების მოწოდება იმის მუქარით, **რომ კონ**ფერენციას უკანონოდ გამოვაცხადებთ და დაუყოვნებლივ **გ**ამოვაქვეყნებთ იმას, რომ მათ სურთ გადაწყვიტონ საქმეები ორივე მხარის მოუსმენლად-თქო.

3) **თუ** კომიტეტები ან ჯგუფები კონფერენციისათვის აირჩევენ «რაბოჩეე დელოს» სასარგებლოდ **გ**ანწყობილ წარმომადგენლებს, — საჭიროა დაუყოვნებლივ და ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ განაცხადოთ პროტესტი ამის წინააღმდეგ და **მ**ოითხოვოთ წარმომადგენლები რ ო გ ო რ ც «რაბოჩეე დელოს» მომხრეებისაგან, ი ს ე **«ისკრის»** მომხრეებისაგან (respective *: უმრავლესობისა და უმცირესობისაგან).

4) **ი**მ შემთხვევისათვის, თუ კონფერენცია აზრს გამოთქვამს **«ისკრის»** წინააღმდეგ, საჭირო იქნება **გახვიდეთ** იმ კომიტეტებიდან და ჯგუფებიდან, რომლებიც არ დასთანხმდებიან საჯაროდ განაცხადონ პროტესტი ამის წინააღმდეგ, — გახვიდეთ და მაშინვე გამოაქვეყნოთ «ი ს კ რ ა შ ი» ამ გასვლისა და

* — შესაბამისად. რ ე დ.

მისი მოტივების შესახებ. ასეთი ნაბიჯის შესახებ ჩვენი ადამიანები ახლავე უნდა შეუდგნენ ერთმანეთთან შეთანხმებას.

5) საჭიროა დაუყოვნებლივ გვაცნობოთ შედეგი და ყ ვ ე ლ ა ნაბიჯის შესახებ მაშინვე შეგვატყობინოთ ხოლმე. დაძაბეთ მ თ ე ლ ი ძ ა ლ-ღ ო ნ ე, რათა «ისკრის» მომხრეები შეთანხმდნენ და ერთსულოვნად იმოქმედონ.

დაწერილია 1901 წ. შუა დეკემბერში
მიუნხენში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

28

Ი. ბ. სმიდოვიჩს

ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ აკიმი ბეჭდავს «ვპერიოდს» [82]. ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ ეს და გთხოვთ განგვიმარტოთ, გაუგებრობა ხომ არ არის ეს. რომ ის ადამიანები, რომლებიც ასობით და ათასობით მანეთს აგროვებდნენ «ისკრის» სახელით «ისკრის» სტამბისათვის, — ადამიანები, რომლებიც «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციას შეადგენენ, — ფარულად გადაბარგდნენ სხვა წამოწყებაში და ისიც სწორედ ჩვენთვის განსაკუთრებით კრიზისულ მომენტში, როცა გადაზიდვა შეწყდა, როცა მთელმა ჩრდილოეთმა და ცენტრმა (სამხრეთმაც კი!!) საჩივრები მოგვაყარეს «ისკრის» უქონლობის გამო და როცა მთელი ხსნა იქნებოდა «ისკრის» გადაბეჭდვა რუსეთში, — რომ ადამიანებმა ეს ჩაიდინონ ამასთან მოტყუების გზით, ვინაიდან აკიმი გვწერდა, რომ № 10-ს ბეჭდავს, და ჩვენ ამაში დარწმუნებული ვიყავით, კრასავეცს კი ერთი სიტყვითაც არ უცნობებია ჩვენთვის თავისი შესანიშნავი გეგმები, — ასეთი ქცევა, რომელიც არღვევს არა მარტო ორგანიზაციის ყველა წესს, არამედ ზოგ უფრო მარტივ წესებსაც, ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ.

ხოლო თუ ეს წარმოუდგენელი ცნობა სწორია, ჩვენ მ ო ვ ი თ ხ ო ვ თ დაუყოვნებლივ შეხვედრას ამ უმაგალითო

გარყვნილების მოსაგვარებლად და, ჩვენი მხრივ, დაბეჯითებით ვთხოვთ იაკობსა და ორშას მოჩხრიკონ მთელი და ყოველნაირი ფული და დაუყოვნებლივ განახორციელონ აქ ჩამოსვლის თავიანთი გეგმა.

დაწერილია 1901 წ. 18 დეკემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1902 წ.

29

ლ. ი. გოლდმანს

საჭიროდ მიგაჩნიათ თუ არა საიდუმლოდ შევინახოთ ის ფაქტი, რომ «ისკრას» რუსეთში აქვს სტამბა? ე. ი. წინააღმდეგი ხართ თუ არა იმისა, რომ საზღვარგარეთ ფართოდ ვაჩვენოთ რუსეთში დაბეჭდილი ეგზემპლარი [83]?

რაც შეეხება ჩვენი საქმის საერთო მოუგვარებლობას, რასაც თქვენ იმ პირის სიტყვით, რომელმაც ამას წინათ გნახათ [84], ასე მწარედ უჩივით, — აქ ჩვენ დიდი დახმარება არ შეგვიძლია. საჭიროა «ისკრის» ორგანიზაციის რუსმა წევრებმა მტკიცე ბირთვი შეადგინონ და მიაღწიონ «ისკრის» წესიერად გავრცელებას მ თ ე ლ რუსეთში. ეს მთლიანად რუსეთის ორგანიზაციის საქმეა. თუ ჩვენ ამას მივაღწევთ, მაშინ საქმე უზრუნველყოფილია. უამისოდ მოუგვარებლობა გარდუვალია *. წესიერი გავრცელებისა და პ რ ე ს ტ ი ჟ ი ს ინტერესებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა გვეგზეჭდა «ისკრა» რუსეთში 2 — 3 ნომრის შემდეგ, რისთვისაც შეგვერჩია უფრო მუდმივი ინტერესის მქონე ნომრები. მაგალითად, № 13 [85], შესაძლოა, საჭირო იქნებოდა.

მაგრამ რაკი უკვე ბეჭდავთ, ბეჭდეთ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ მეტი ეგზემპლარი: ერთხელ მაინც უნდა სცადოთ მთელი

---

* ხომ არ ფიქრობთ, რომ დემენტიევი შეძლებდა გამავრცელებლის ფუნქციის შესრულებას?

რუსეთი აავსოთ. გახსოვთ, თვითონ თქვენვე როგორ უჩიოდით მცირე გავრცელებას?

კიდევ ერთხელ გულითადი სალამი და მოლოცვა წარმატების გამო!!

დაწერილია 1902 წ. 3 იანვარს
გაგზავნილია მიუნხენიდან კიშინიოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

30

გ. ვ. პლეხანოვს

7. II. 02.

ძვირფასო გ. ვ.! გიგზავნით პროგრამის პროექტს ბერგის შესწორებებით. გთხოვთ მომწეროთ, შესწორებებს შეიტანთ თუ მთელ კონტრპროექტს წარმოადგენთ. მინდა აგრეთვე ვიცოდე, რა ადგილებმა ვერ დაგაკმაყოფილათ.

რელიგიის თაობაზე კ. მარქსის წერილში გოთას პროგრამის შესახებ წავიკითხე Gewissensfreiheit-ის * მოთხოვნის მკაცრი კრიტიკა და მტკიცება, რომ სოციალ-დემოკრატებმა პირდაპირ უნდა თქვან თავიანთ ბრძოლაზეც religiösem Spuk-ის ** [86] წინააღმდეგ. შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა ასეთი რამ და რა ფორმით? ჩვენ ხომ გერმანელებთან შედარებით რელიგიაზე იმდენადვე ნაკლები მოსაზრება გვაქვს სიფრთხილის შესახებ, როგორც «რესპუბლიკაზე».

კ ო ლ ც ო ვ ს, გ თ ხ ო ვ თ, თ ქ ვ ე ნ ი ე გ ზ ე მ პ ლ ა რ ი დ ა ნ გ ა დ ა ა წ ე რ ი ნ ო თ: ამას ხომ ბევრი დრო არ დასჭირდება.

როგორ მიდის თქვენი მუშაობა (თუ თქვენ «ზარიასათვის» წერთ სტატიას, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ)? როდის ფიქრობთ დაამთავროთ?

«Neue Zeit» (№№ 1 და 3) და **წერილი აგრარული პროგრამის შესახებ** თქვენ კიდევ არ გამომიგზავნეთ!! ძალიან გთხოვთ, გამომიგზავნეთ ან მომწერეთ, რამ გამოიწვია შეფერხება.

---

* — **სინდისის თავისუფლების. რ ე დ.**

** — რელიგიური ჯანდაბის. რ ე დ.

«Conrad's Jahrbücher» * გამოგიწერეთ 1902 წლისათვის. 1901 წლის «Wirtschaftliche Chronik» ** თებერვალში გამოვაო, — მაშინ გამოგიგზავნიან. გამოიწერეთ თუ არა «ტორგოვო-პრომიშლენნაია გაზეტა» და უკვე იღებთ თუ არა?

ახალი ხომ არაფერი ისმის თქვენთან რაბოჩედელოელებზე? ჩვენთან სრულებით არაფერი ისმის.

ჩემი ბროშურა იწყობა.

«Vorwärts»-მა *** შემოკლებული პასუხის მოთავსებაზეც კი უარი განაცხადა, და საქმე Vorstand-ში **** გადავიდა. ბებელი ჩვენ გვიჭერს მხარსო. ვნახოთ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ფ რ ე ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — «კონრადის წელიწდეულები». რ ე დ.

** — «ეკონომიური ქრონიკა». რ ე დ.

*** — «წინ». რ ე დ.

**** — გამგეობა, ანუ ც. კ. (გერმანიის ს.-დ-ოისა). რ ე დ.

31

გ. ვ. პლეხანოვს

4. IV. 02.

ძვირფასო გ. ვ.! გიგზავნით ჩემს სტატიას ჩამონაჭრების შესახებ[87]. წაკითხვის შემდეგ გთხოვთ გაუგზავნოთ პ. ბ-ს ამ წერილთან ერთად, ვინაიდან თუ თქვენ დატოვებთ იმ გეგმას, რომელსაც მე თავდაპირველად ვაყენებდი (ე. ი. რომ ეს სტატია ჩვენი საერთო პროექტის, ასე ვთქვათ, საერთო დაცვა იყოს), მაშინ საჭიროა ერთად შევთანხმდეთ აუცილებელ შესწორებათა შესახებ. ხოლო თუ თქვენ თვით ამ გეგმას უარყოფთ, მაშინ როგორღაც სხვანაირად უნდა მოეწყოს საქმე.

აქა-იქ პროგრამის ზოგადი ნაწილიდან (პრინციპული განცხადებიდან) ციტატები მე ჩემი პროექტის მიხედვით მოვიყვანე: თავისთავად იგულისხმება, რომ ეს შეიცვლება, თუ ჩემი პროექტი უარყოფილ იქნა. (ზოგიერთი ციტატის მოყვანა ერფურტის პროგრამიდან შემეძლო, თუ თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გექნებოდათ.)

ველიკა დმიტრიევნამ აქა-იქ არშიებზე გააკეთა თავისი შენიშვნები, თუმცა ყოველთვის როდი იძლევა წინადადებას გარკვეული ცვლილებების შესახებ. გთხოვთ მომწეროთ თქვენი აზრი ამ პუნქტებზე. ერთ-ერთ ამ პუნქტზე მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა თავის დასაცავად. ველიკა დმიტრიევნა წინადადებას იძლევა ამოვაგდო გვერდები 79 — 82[88] — მე, რა თქმა უნდა, ამ გვერდების განსაკუთრებით დაცვას არ შევუდგებოდი. მაგრამ მან იქ დაინახა კიდევ «უფაქიზობის ხელშეწყობა» პროექტში, რომ უპირატესობა

არ მიენიჭოთ წვრილ მოიჯარეებს (ნაციონალიზებული მიწისას), არამედ ერთნაირად მიეცეთ იჯარით მსხვილ და წვრილ მოიჯარეებს **იმ პირობით**, რომ აგრარული კანონები შეასრულონ და (NB) რაციონალურად მოუარონ მიწასა და პირუტყვს.

იგი ამის წინააღმდეგია: ეს «ბოროტმოქმედება» იქნება, ვინაიდან «ყველაფერს ბობოლები ჩაიგდებენ ხელში», გაუმჯობესებული კულტურა კი სამუშაოს დაუკარგავს მუშების $^{9}/_{10}$-ს, რომლებსაც ვერავითარი აგრარული კანონები ვერ უშველითო.

მე ვფიქრობ, ეს მოსაზრება სწორი არ არის, ვინაიდან (1) აქ იგულისხმება უკვე ძალიან განვითარებული ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელშიც მუშების დაუქირავებლად იშვიათად თუ გავა იოლად რომელიმე გლეხი; (2) მაშინ «ბობოლებს» შეუძლიათ მიიღონ მიწა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად და ეკონომიურად «მოწესრიგებულია» მსხვილი მეურნეობა, ეს კი ერთბაშად არ შეიძლება გაკეთდეს, ასე რომ უეცარი გადასვლა, რაც ველიკა დმიტრიევნას აშინებს, შეუძლებელია; (3) მანქანებით მუშების გამოდევნა, რა თქმა უნდა, მსხვილი წარმოების გარდუვალი შედეგია, მაგრამ ჩვენ ხომ იმედებს ვამყარებთ კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა განვითარების არა შეფერხებაზე, არამედ მათს სრულ განვითარებაზე; მიწის გაუმჯობესებული კულტურა ამასთან გულისხმობს მრეწველობის გიგანტურ ზრდას და მიწისაგან მოსახლეობის გაძლიერებულ ჩამოშორებას; (4) წამოყენებული ღონისძიება არათუ არ ეხმარება არც ერთ «ბოროტმოქმედს», არამედ, პირიქით, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ერთადერთი წარმოსადგენი ღონისძიებაა «ბოროტმოქმედებისადმი» წინააღმდეგობის გაწევისა, ვინაიდან იგი პირდაპირ ზღუდავს მომუშავის ექსპლოატაციასაც, მიწის გაძარცვასაც და პირუტყვის გაუარესებასაც. სწორედ წვრილი მწარმოებელი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით ეწევა როგორც ადამიანების, ისე მიწისა და პირუტყვის ძალების დატაცებას.

თუ თქვენც მხარს დაუჭერთ იმას, რომ ამოვაგდო გვ. 79 — 82, მაშინ გთხოვთ მირჩიოთ, როგორ შევცვალო შენიშვნა 92 გვერდზე [89].

რა აზრისა ხართ იმაზე, რომ შეიძლება თუ არა საერთოდ დაიბეჭდოს პროგრამის აგრარული ნაწილი (და მისი კომენტარი) მთელი პროგრამისაგან განცალკევებით, მთელი პროგრამის დაბეჭდვამდე?

ვ. ი — ს სტატიის კორექტურა გუშინ მივიღე და გავუგზავნე დიტცს. გუშინვე გამოვგზავნე თქვენი მისამართით მისი სტატიის კორექტურის გაგრძელება. (დასაჩქარებლად მას შეუძლია გასწორებული კორექტურა პირდაპირ გაუგზავნოს დიტცს.)

საწყალ ცვეტოვზე სრულებით არაფერი ისმის აგერ უკვე სამი კვირაა. ალბათ დაიღუპა. ეს უდიდესი დანაკლისი იქნება ჩვენთვის!

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ფ რ ე ი

5. IV. P. S. ახლა მივიღე თქვენი წერილი. გადავეცი ხალხს. გიპასუხებთ ამ დღეებში.

გთხოვთ **ახლავე** გაგზავნოთ ბერგის პროექტი (რასაც თქვენ კომისიისას უწოდებთ) [90] შემდეგი მისამართით: **Frau Kiroff,** S c h r a u d o l f s t r a s s e, 29, III I. bei T a u r e r. **ძალიან საჩქაროა,** ვინაიდან მათ **ასლი არა აქვთ** და არ ესმით თქვენი შენიშვნები. (მე პირადად ვამჯობინებდი ორივე პროექტის გამოქვეყნებას, ყველას მიერ წამოყენებული «მესამე გზის» ფორმით, მაგრამ უმრავლესობა, ეტყობა, ახლა სხვანაირად არის განწყობილი.) აგრარულ წიგნებს გამოგიგზავნით. ველიკა დმიტრიევნა, ვგონებ, მზად არის შეარბილოს ლეგალური მარქსისტების «ძაგება».

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

32

პ. ბ. აქსელროდს

3. V. 02.

ძვირფასო პ. ბ.! ამ დღეებში გამოგიგზავნეთ «წერილი კ-სათვის» [91], ხოლო თქვენთვის ერთი სტრიქონიც არ დამიმატებია უკიდურესი მოუცლელობის გამო. იმედი მაქვს, მომიტევებთ ამას?

ახლა მინდა ცოტა გესაუბროთ სტატიაზე ჩამონაჭრების შესახებ. მე გავასწორე იგი, მივიღე რა მხედველობაში მაღალი კოლეგიის ყ ვ ე ლ ა მითითება და მოთხოვნა. ახლა იგი ეგზავნება გ. ვ — ს თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს გ ა დ მ ო ს ა გ ზ ა ვ ნ ა დ: არ დაგავიწყდეთ მოსთხოვოთ მას, თუ მან დააგვიანა (თორემ დიტცის სტამბა ცარიელია!). ბერგი კმაყოფილია ჩემი შესწორებებით, მაგრამ მან გადმომცა, რომ სტატიის განსაკუთრებით წინააღმდეგი იყავით თქვენ. თუ ეს ძალიან არ მოგწყვეტთ მუშაობას, — გთხოვთ მომწეროთ, რა არის თქვენი უკმაყოფილების მიზეზი. მე ეს ძალიან მაინტერესებს. (თუ სტატიას წერთ, გთხოვთ ნუ მოსწყდებით, ვინაიდან ეს საუბარი სრულებითაც არ არის «საქმიანი», არამედ მნიშვნელოვანწილად post festum *.)

მე, მაგალითად, კარგად ვერ გავიგე თქვენი ჩამატებაც «...რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს გლეხობას...» (ბატონყმობის ნაშთები). ჯერ-1, იგი ზედმეტია, არაფერს არ მატებს ა ზ რ ს. მე-2, იგი ზუსტი არ არის (ეს ნაშთები მძიმე ტვირთად აწევს არა მარტო გლეხობას, და არც მარტო ის

* — დღესასწაულის შემდეგ. რ ე დ.

არის მათი მავნებლობა, რომ «ძძიმე ტვირთად აწევს» ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფენას).

პროგრამა უკვე გაიგზავნა გადასაწერად და მოწინავის სახით დაიბეჭდება «ისკრის» № 21-ში. ის საკითხი, — კეწერო თუ არა კრიტიკა (რომელიც ნებადართულია მაღალი კოლეგიის მიერ), ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია, ვინაიდან მინდა კვლავ და კვლავ გადავიკითხო დაბეჭდილი პროგრამა «დამშვიდებულმა», ახლა კი ჯერ მთლად არა მაქვს მოხდილი ლონდონში გადატანილი გაოგნება[92].

როგორ არიან ლ. გრ. და ბორის ნიკოლოზის-ძე? როგორ მიდის პირველის მუშაობა? როგორია მეორის ჯანმრთელობა? **მასზე ჩვენ იმედს ვამყარებთ მალე** (ალბათ), და ამიტომ უფრო საფუძვლიანად და მალე გამომჯობინდეს.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობას.

თქვენი...

P. S. გადაეცით ბ. ნ — ს, რომ ვორონეჟში დაუპატიმრებიათ 40 კაცი (ამბობენ), ამასთან დღევანდელ წერილებში მოყვანილია შემდეგი გვარები: «კარპოვი, ლიუბიმოვი, კოროსტენევი, კარდაშევი, ბუტკოვსკი, მახნოვეცი და გუბარევა, უკანასკნელი 4 ისე გამოუშვეს, რომ დასაკითხავად არ გამოუძახებიათ. უფაში 8 გაჩხრიკეს, 2 დააპატიმრეს: ბოიკოვი და საზონოვი, სტუდენტები». ვორონეჟელები დაუპატიმრებიათ (1. IV) თითქოს «პიტერ-კიევიდან მოწერილობით» (sic!). აი მთელი შინაარსი ერთი პირდაპირი წერილისა ჩვენდამი.

საერთოდ უამრავი დაპატიმრებაა! თითქმის დანამდვილებით დაპატიმრებულია ჩვენი ნადიოჟაც, რომელიც თქვენ ნახეთ და იცანით ციურიხშიც და ჩვენთანაც, — დიახ, დიახ, სწორედ ის! ეს ძალიან, ძალიან ცუდია!

N B ლ. გრ — მ ახლავე გამოგზავნოს თქვენ მიერ მიღებული ნომერი «პრიდნეპროვსკი კრაისა» თეთრი ადგილებით.

გაგზავნილია ლონდონიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

33

Ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

6. V.

წერილი მივიღეთ. დერევო, ეტყობა, დააპატიმრეს. კლერი აუცილებლად საჭიროა გადარჩეს და ამისათვის დაუყოვნებლივ გადავიდეს არალეგალურ მდგომარეობაზე. საშასთან[93] შეხვედრას (დერევომ კიდევ მოასწრო მოეწერა ჩვენთვის მის შესახებ) მოჰყვა ის, რომ დაინიშნა კომისია ყრილობის მოსაწვევად ხუთი თვის შემდეგ.

ახლა ჩვენი მ თ ა ვ ა რ ი ამოცანაა მოვამზადოთ ეს, ე. ი. რომ ს ა ვ ს ე ბ ი თ ჩვენი ადამიანები შევიდნენ რაც შეიძლება მეტ კომიტეტში და ეცადონ ძირი გამოუთხარონ სამხრეთის კომიტეტების სამხრეთ ცენტრალურ კომიტეტს (=იულა). ეს «იულა», რომელსაც ატრიალებს Genosse (რომელსაც ზოგი ვინმე პროვოკატორობაშიც კი სდებს ბრალს, რაც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული) — მთავარი დაბრკოლებაა (და კიდევ პიტერი). ამიტომ უახლოესი ამოცანაა: რომ კურცი + ემბრიონი ორივენი ახლავე შევიდნენ კომიტეტებში. შემდეგ რომ კლერმა და ბროდიაგინმა ამა თუ იმ ფორმით მიბაძონ მათს მაგალითს. ეს მთავარი ამოცანაა, ვინაიდან სხვანაირად ჩვენ უთუოდ გაგვრიყავენ: ყოველივე დანარჩენი დაუმორჩილეთ ამ ამოცანას, გახსოვდეთ მეორე ყრილობის უდიდესი მნიშვნელობა! ამასვე შეუფარდეთ... * და მოიფიქრეთ იერიში ცენტრზე, ივანოვოზე და სხვ., ურალსა

* ხელნაწერში წაშლილი სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

და სამხრეთზე. ახლა ფორმალურ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ბროდიაგინს ეჭვი აქვს, რომ პროვოკაციაა. აქ პროვოკაცია არ შეიძლება იყოს, ჩვენ უკვე ლონდონში ვართ. სავსებით შესაძლებელია, რომ ბევრი რამ შეიტყვეს ჩვენი რამდენიმე დაპატიმრებული ადამიანისაგან — ამით აიხსნება ყველაფერი. თვალისჩინივით გაუფრთხილდით თავს — «მთავარი ამოცანის» [94] გულისათვის. თუ ჩვენ (ესე იგი თ ქ ვ ე ნ) ვერ დაეუფლეთ მას, ეს მთლად უბედურება იქნება.

დაუყოვნებლივ გადაუგზავნეთ ეს წერილი მთლიანად ბროდიაგინს და უთხარით, რომ უთუოდ მოგვწეროს ჩვენ და რაც შეიძლება ხშირად: ყველა მისმა წერილმა ჩინებულად მოაღწია.

თუ დადასტურდება, რომ დერევო დაიღუპა, ჩვენ და კლერი ან ბროდიაგინი რაც შეიძლება მალე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს ან უაღრესად დაწვრილებით მივწეროთ ერთმანეთს, თუ არის კარგი მისამართები (?) იმისათვის, რომ გამოგიგზავნოთ მ თ ე ლ ი დაწვრილებითი ცნობები საშას შესახებ (მისამართი ყდისათვის — საჩქაროდ გამოგვიგზავნეთ).

პასპორტზე თვითონ იზრუნეთ, ჩვენი იმედი ნუ გექნებათ. ხომ არ გაუცვალოს კლერმა ბროდიაგინს, რაკი მას უკვე ყველა იცნობს?

ვინ იქნება დელეგატი მოსკოვიდან? აბსოლუტურად საიმედოა თუ არა? ჰყავს თუ არა კარგი მემკვიდრე? ამრიგად: კვლავ და კვლავ: შედით კომიტეტებში. საიმედოა თუ არა ნიჟნი?

დაწერილია 1902 წ. 6 მაისს
გაგზავნილია ლონდონიდან სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

34

Გ. ვ. პლეხანოვს

მივიღე სტატია თქვენი შენიშვნებით [95]. კარგი წარმოდგენა კი გქონიათ ტაქტზე რედაქციის კოლეგებთან ურთიერთობაში! თქვენ ყოვლად დამამცირებელ გამოთქმებსაც კი არ ერიდებით, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ წინადადებებისათვის «კენჭისყრაზე», რომლების ჩამოსაყალიბებლადაც კი არ შეგიწუხებიათ თავი, და სტილის შესახებ «კენჭისყრაზეც». მინდა ვიცოდე, რას იტყვით, მე რომ ასევე გიპასუხოთ თქვენს სტატიაზე პროგრამის შესახებ? თუ თქვენ მიზნად დაისახეთ შეუძლებელი გახადოთ ჩვენი ერთად მუშაობა, — მაშინ თქვენ მიერ არჩეული გზით შეგიძლიათ ძალიან მალე მიაღწიოთ ამ მიზანს. რაც შეეხება არა საქმიან, არამედ პირად ურთიერთობას, თქვენ ეს ურთიერთობა უკვე საბოლოოდ გააფუჭეთ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ: მის სრულ შეწყვეტას მიაღწიეთ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1902 წ. 14 მაისს
გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

35

გ. ვ. პლეხანოვს

23. VI. 02.

ძვირფასო გ. ვ.! დიდი შვება ვიგრძენი, როცა მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც ბოლო მოუღო ფიქრებს «შინაომის» შესახებ. რაც უფრო გარდუვალი გვეჩვენებოდა ეს უკანასკნელი, მით უფრო მძიმე იყო ასეთი ფიქრები, ვინაიდან პარტიული შედეგები უაღრესად საკვალალო იქნებოდა...

ძალიან მოხარული ვიქნები მოგელაპარაკოთ შეხვედრისას მიუნხენის «ისტორიის» [96] დასაწყისზე, — რა თქმა უნდა, არა იმისათვის, რომ ძველი ვქექოთ, არამედ იმისათვის, რომ გავიგო, რა იყო მაშინ თქვენთვის საწყენი. რომ მე აზრადაც არ მქონია მეწყენინებინა თქვენთვის, ეს, რა თქმა უნდა, იცით.

ვ. ი — მ მაჩვენა აგრეთვე თქვენი წერილი სტატიის შესახებ, ე. ი. თქვენი წინადადება — საშუალება მოგეცეთ გამოთქვათ თქვენი შეხედულება თქვენს საპროგრამო სტატიაში. პირადად მე ასეთი გადაწყვეტა საუკეთესოდ მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ 25% განსხვავების აღნიშვნის შესაძლებლობა (თუ უკვე სრულიად აუცილებლად არის აღიარებული მისი აღნიშვნა) ყოველთვის აქვს და ჰქონდა თვითეულ თანარედაქტორს (როგორც თქვენ უკვე აღნიშნეთ ნაციონალიზაციის საკითხის რამდენადმე სხვანაირი დაყენება ამავე სტატიაში, — ან ლიბერალების შესახებ «ზარიას» № 2 — 3-ის რეცენზიაში). მე, რა თქმა უნდა, მზადა ვარ ახლა კიდევ ერთხელ განვიხილო თქვენთან ერთად სასურველი ცვლილებანი ჩემს სტატიაში და ამისათვის გამოგიგზავნით კორექტურას. აირჩიეთ

რომელიც გნებავთ. სასურველია რაც შეიძლება მალე დავამთავროთ «ზარია», თორემ მოლაპარაკება საშინ-ლად ჭიანურდება. ყოველ შემთხვევაში მე ახლავე ვაცნობებ თქვენს ვარაუდს ა. ნ-საც და იულისაც.

ჯერ კიდევ არა მაქვს თქვენი სტატიის კორექტურა და ამიტომ არ შემიძლია გიპასუხოთ თქვენს შეკითხვაზე იმ ადგილის შესახებ, რომელიც მარქსს ეხება.

სოციალისტ-რევოლუციონერების წერილის მოთავსება მე მგონია არა ღირს: ხომ აქვთ თავისი ორგანო— იქ გასწიონ პოლემიკა (მათ კი პირდაპირ პოლემიკა აქვთ). ბელგიის შესახებ კარგი იქნებოდა როზა ლუქსემბურგის სტატიის დაბეჭდვა, ამის მალე გაკეთება რომ შეიძლებოდეს.

მაგრად გართმევთ ხელს. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ამ დღეებში მე გერმანიაში მივდივარ, რომ დედა ვინახულო და დავისვენო [97]. ნერვები მთლად აშლილი მაქვს, და თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. იმედი მაქვს, მალე შევხვდებით ერთმანეთს ლონდონში?

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

36

გ. დ. ლეიტეიზენს

24. VII. 02.

ძვირფასო ლ.! ჩემი დის მისამართია: M-me Elizaroff. Loguivy (par Ploubazlanec). Côtes du Nord. ან. და დედას აქაურობა მართლაც არცთუ ძალიან მოსწონთ, და შესაძლოა გადავიდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ არ იციან, სად (შეიძლება წერილზე დასვათ მისამართი Expédition *). მე ხვალ მივდივარ შინ. საერთოდ აქაურობა ძალიან მომწონდა და ცუდად როდი დავისვენე, მაგრამ სამწუხაროდ ნაადრევად წარმოვიდგინე თავი ჯანმრთელად, დავივიწყე დიეტა და ახლა ისევ მაწუხებს კატარი. მაგრამ ეს არაფერია.

დიდხანს დარჩებით თუ არა კიდევ თქვენს სოფელში? კარგი იქნება ისარგებლოთ შემთხვევით, რომ სასიამოვნო და სასარგებლო (თანამდებობა) შეაერთოთ და კარგად, რაც შეიძლება მეტ ხანს დაისვენოთ. როცა დაბრუნდებით, მომწერეთ თქვენ შესახებ.

რამდენად კმაყოფილი ხართ ლ. გრ. და იურიევთან მოლაპარაკებით? სავსებით შეთანხმდით თუ არა და გაქვთ თუ არა ახლა უკეთესი შედეგების იმედი.

რუსეთიდან კარგი ამბები მოდის, რომ კომიტეტები, პიტერისაც კი (sic! **) «ისკრისაკენ» მობრუნდნენ. აი კურიოზული ფაქტი. ერთი ბროშურა გაგზავნეს «რაბოჩეე დელოში». იქ (მე-9 გვერდზე: ზუსტად გვწერენ!) შენიშვნაა:

---

* — ექსპედიცია. რ ე დ.

** — ასეა! რ ე დ.

«იხ. ლენინის საუცხოო წიგნი[98]». აქაურმა კავშირელებმა ლრიანცელი ასტეხეს და პიტერში სწერენ: ნება მოგვეცით ამოვშალოთ, ამით თქვენს თავსაც ურტყამთ და ჩვენცო. პასუხი: ხელს ნუ გვიშლით იმაში, რომ საქმე ახლებურად დავაყენოთ, ბრიშურა კი «ისკრას» მიეცითო.

ეს entre nous *, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით. დამახასიათებელი კი არის!

არ ვიცი, გაძლებს თუ არა პიტერი ახალ პოზიციაზე.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მე მომწერეთ ლონდონში.

P. S. კინაღამ დამავიწყდა. «Socialiste»-მა ** გამომიგზავნა განცხადება, რომ ჩემი აბონემენტი 1901 წ. დეკემბრით დამთავრდა. მართლა ასეა? ხომ არ ეშლება? მახსოვს, თქვენ ხომ იყავით მასთან ერთხელ იურდანოვის ბარათით? თუ ასეა, ხომ არ დარჩენილა თქვენთან რაიმე ქაღალდი ან ისე ხომ არ გახსოვთ?

გაგზავნილია ლოგივიდან (საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაპირი) პარიზში

იბეჭდება პირველად, ხელნაწერის მიხედვით.

---

* — ჩვენ შორის. რ ე დ

** — «სოციალისტმა». რ ე დ.

37

ჩ — ს [99]

2. VIII. 02.

მივიღე თქვენი წერილი, ძვირფასო ჩ., და გიპასუხებთ ჯერჯერობით ორი სიტყვით, საშინლად შეუძლოდ ვარ, სულ ვწევარ.

იმ პუნქტის შესახებ, რომელიც თქვენ აღძარით, მე არ ერთი წერილი არ მინახავს. და მე მგონია, რომ თქვენ გაუგებრობა მოგსვლიათ. ვის შეიძლებოდა ეფიქრნა მუშათა წრეების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების «განორგანიზებაზე» ნაცვლად მათი გამრავლებისა და განმტკიცებისა? თქვენ იწერებით, რომ მე არ აღვნიშნე, თუ როგორ შეუძლია სასტიკად კონსპირირებულ ორგანიზაციას დაუკავშირდეს მუშათა მასებს. არა მგონია ეს ასე იყოს, ვინაიდან (თუმცა ეს vient sans dire *) 96-ე გვერდზე თქვენვე მოგყავთ ადგილი იმის შესახებ, რომ საჭიროა «რაც შეიძლება მეტი რაოდენობით (ხაზგასმა ლენინისაა) სულ სხვადასხვაგვარი ფუნქციების მქონე» «უამრავი (NB!) [უამრავი!!] სხვა ორგანიზაცია» (ე. ი. გარდა პროფესიონალ რევოლუციონერთა ცენტრალური ორგანიზაციისა) [100]. მაგრამ თქვენ ტყუილად დაგინახავთ უეჭველი წინააღმდეგობა იქ, სადაც მე მხოლოდ გრადაციას ვადგენ და ამ გრადაციის უკიდურესი რგოლების საზღვრებს აღვნიშნავ. ერთ მუჭა პროფესიონალ რევოლუციონერთა მეტად კონსპირაციული

* — თავისთავად იგულისხმება. რედ.

და ვიწრო ბირთვით (ცენტრით) დაწყებული და **მასობრივი** «უწევრებო ორგანიზაციით» დამთავრებული — ხომ რგოლთა მთელი წყებაა. მე აღვნიშნავ მხოლოდ მიმართულებას რგოლების ცვალებად ხასიათში: რაც უფრო მეტად «მასობრივი» იქნება ორგანიზაცია, მით უფრო ნაკლებად გაფორმებული, მით უფრო ნაკლებად კონსპირაციული უნდა იყოს იგი — აი ჩემი თეზისი. თქვენ კი გინდათ ისე გაიგოთ იგი, რომ მასასა და რევოლუციონერებს შორის საჭირო არ არის შუამავლები!! როგორ გეკადრებათ! მთელი არსი სწორედ ამ შუამავლებშია. და რაკი მე აღვნიშნავ უკიდურესი რგოლების თვისებებს და ხაზს ვუსვამ (მე კი სწორედ ხაზს ვუსვამ) შუალედი რგოლების საჭიროებას, თავისთავად ცხადია, რომ ეს შუალედი რგოლები «რევოლუციონერთა ორგანიზაციასა» და «მასობრივ ორგანიზაციას» **შუა** იდგებიან, შუა — წყობის ტიპის მიხედვით, ე. ი. ისინი უფრო ნაკლებად ვიწრო და კონსპირაციული იქნებიან, ვიდრე ცენტრი, — მაგრამ უფრო მეტად, ვიდრე «ფეიქართა კავშირი» და სხვ.. მაგალითად, «საფაბრიკო წრეში» **(იგულისხმება,** უნდა ვცდილობდეთ იმის მიღწევას, რომ ყოველ ფაბრიკაში იყოს შუამავალთა წრე) აუცილებელია მოინახოს «შუა» ადგილი: ერთი მხრივ, მთელი ან თითქმის მთელი ფაბრიკა აუცილებლად უნდა იცნობდეს აი ამა და ამ მოწინავეს და ენდობოდეს, უჯეროდეს მას. მეორე მხრივ, «წრემ» ისე უნდა დააყენოს საქმე, რომ ყველა მისი წევრი ვერ იცნონ, რომ ის, ვისაც ყველაზე მეტი კავშირი აქვს მასასთან, ადგილზე ვერ დაიჭირონ, საერთოდ ვერ ამხილონ. განა ეს თავისთავად არ გამომდინარეობს იქიდან, რაც ნათქვამი აქვს ლენინს?

«საფაბრიკო წრის» იდეალი სავსებით ნათელია: ოთხიხუთი (ვიტყვი მაგალითისათვის) რევოლუციონერი მუშა, — ყველა მათგანს არ უნდა იცნობდეს მასა. ერთს ალბათ უნდა იცნობდეს, და მას უნდა ვიცავდეთ მხილებისაგან: მის შესახებ ილაპარაკონ — ჩვენი კაცია, თავიანი ბიჭია, თუმცა რევოლუციაში არ მონაწილეობს (არ

ჩანსო). ერთს კავშირი აქვს ცენტრთან. ორივეს თითო კანდიდატი ჰყავს. ისინი აწყობენ რამდენიმე წრეს (პროფესიულს, საგანმანათლებლოს, დამტარებელთა, ჯაშუშების დამჭერთა, შეიარაღებულს და სხვ. და სხვ.), ამასთან, ცხადია, მაგალითად, ჯაშუშების დამჭერთა ან იარაღის მშოვნელთა წრის კონსპირაციულობა სულ სხვა იქნება, ვიდრე «ისკრის» საკითხავი წრისა ან ლეგალური ლიტერატურის საკითხავი წრისა და სხვ. და ა. შ.. კონსპირაციულობა წრის წევრთა მრავალრიცხოვნობის უკუპროპორციული და იმის პირდაპირ პროპორციული იქნება, თუ რამდენად დაშორებულია წრის მიზნები უშუალო ბრძოლას.

არ ვიცი, ღირს თუ არა ამაზე ცალკე წერა: თუ ფიქრობთ, რომ ღირს, — დამიბრუნეთ ეს წერილი, ვიფიქრებ მასზე, თქვენს წერილთან ერთად, როგორც მასალაზე. პიტერელ ამხანაგს იმედი მაქვს შევხვდე და დაწვრილებით მოველაპარაკო აქ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

დაწერილია ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

38

ვ. ა. ნოსკოვს

4. VIII. 02.

ძვირფასო ბ. ნ.! მივიღე თქვენი ორივე წერილი და ძალიან გამახარა მათი საშუალებით იმის გაგებამ და დანახვამ, რომ ვითომდა «გაუგებრობანი» მართლაც კ ვ ა მ ლ ი აღმოჩნდა, როგორც მე უკვე ვწერდი პოვარს (მე მას ვწერდი, რომ დარწმუნებული ვარ ამაში).

თქვენ აი ჩვენს «აგენტებს» უჩივით. და სურვილი მომივიდა ამ თემაზე გესაუბროთ — მეც ძალიან მაწუხებს იგი. «აგენტებს მეტისმეტად ქარაფშუტულად აგროვებდითო»... ვიცი, მშვენივრად ვიცი ეს, არასოდეს არ მავიწყდება, მაგრამ ჩვენი მდგომარეობის ტრაგიკულობა (ღმერთმანი ტრაგიკულობა, ძლიერად როდია ნათქვამი!) სწორედ იმაშია, რომ ჩვენ ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ვ ა რ თ ასე მოვიქცეთ, რომ ჩვენ უ ძ ლ უ რ ი ვ ა რ თ გადავლახოთ ჩვენს საქმეში გამეფებული მთელი უპატრონობა. მშვენივრად ვიცი, რომ თქვენი სიტყვები სამდურავს როდი შეიცავდა ჩვენდამი. მაგრამ ეცადეთ სავსებით შეხვიდეთ ჩვენს მდგომარეობაში და ი ს ე დ ა ი კ ა ვ ე თ თ ა ვ ი, რომ თქვათ არა «თქვენი აგენტები», არამედ «ჩ ვ ე ნ ი აგენტები». თქვენ შეგიძლიათ ასე დაიკავოთ თავი და (ჩემი აზრით) ასეც უნდა მოიქცეთ — მხოლოდ მაშინ ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრება გაუგებრობის ყ ო ვ ე ლ ი შესაძლებლობა. შეცვალეთ მეორე პირი

პირველით, თვითონაც ადევნეთ თვალყური «ჩვენს» აგენტებს, დაგვეხმარეთ მათს ძებნაში, გადაყენებასა და შეცვლაში, — და მაშინ ილაპარაკებთ არა ჩვენი აგენტების «ანტიპათიურობაზე» (ასეთი ლაპარაკი არ შეიძლება გაუგებარი არ იყოს: მას ხვდებიან როგორც განკერძოებულობის გამოხატულებას, ხვდებიან საერთოდ, ხვდებიან ჩვენი სარედაქციო კოლეგიის წევრები, რომლებსაც შესაძლებლობა არ ჰქონიათ თქვენთან გამოერკვიათ საკითხი), — არამედ ჩ ვ ე ნ ი ს ა ე რ თ ო საქმის ნაკლოვანებებზე. ეს ნაკლოვანებანი უამრავია და რაც დრო გადის, უფრო მეტად მაწუხებს. ახლა სწორედ ის დრო ახლოვდება (მე ვგრძნობ), როცა საკითხი პირდაპირ დაისმება: ან რუსეთი დააყენებს თავის ადამიანებს, წამოაყენებს ისეთებს, რომლებიც დაგვეხმარებიან და საქმეს გამოასწორებენ, ან... და თუმცა მე ვიცი და ვხედავ, რომ ასეთი ადამიანები უკვე ჩნდებიან და მათი რიცხვი მატულობს, მაგრამ ეს ისე ნელა და ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხდება, ხოლო მანქანის «ჭრიჭინი» ისე მიწყვეტს ნერვებს, რომ... ზოგჯერ ძალიან მიჭირს.

«აგენტებს მეტისმეტად ქარაფშუტულად აგროვებდითო». დიახ, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიქმნით «ადამიანთა მასალას», არამედ ვიყენებთ და არ შეგვიძლია არ ავიყვანოთ, რ ა ს ა ც გ ვ ა ძ ლ ე ვ ე ნ. უამისოდ ჩვენ ვერ ვიარსებებთ. კაცი რუსეთში მიდის, — გვეუბნება «ისკრისათვის» მუშაობა მინდაო — პატიოსანია და საქმის ერთგულია. ჰოდა, რასაკვირველია, მიდის, და მიდის «აგენტად», თუმცა არც ერთ ჩვენგანს ა რ ა ს ო დ ე ს არ დაურიგებია ეს წოდება. ან კი რა საშუალება გვაქვს შევამოწმოთ «აგენტები», ვუხელმძღვანელოთ მათ, სხვა ადგილებზე დავაყენოთ? ძალიან ხშირად ხომ წერილებიც კი ვერ მიგვიღია, — და 10-დ ა ნ 9 შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი (გამოცდილებით ვამბობ) მთელი ჩვენი აქაური ვარაუდები «აგენტის» მომავალი საქმიანობის შესახებ ს ა ზ ღ ვ რ ი ს გ ა დ ა ს ვ ლ ი ს მ ე ო რ ე დ ღ ე ს ვ ე ქარწყლდება, და აგენტი ისე მუშაობს, როგორც მოეპრიანება. მერწმუნეთ, მე პირდაპირ ყოველგვარ რწმენას ვკარგავ აქაური ვარაუდების, მარშრუტების, გეგმებისადმი და სხვ.,

რადგან წინასწარ ვიცი, რომ აქედან არაფერი გამოვა. ჩვენ «იძულებული ვართ» წელებზე ფეხი დავიდგათ და ვაკეთოთ (რადგან სხვა ადამიანები არა გვყავს) ის, რაც ჩვენი საქმე არ არის. აგენტები რომ დანიშნო, მათ თვალყური რომ ადევნო, პასუხი აგო მათთვის, გააერთიანო და ნამდვილად უხელმძღვანელო, — ამისათვის ხომ საჭიროა ყველგან იყო, იფრინო, ყველას ხედავდე თვით საქმეზე, სამუშაოზე. ამისათვის საჭიროა **პრაქტიკულ** ორგანიზატორთა და წინამძღოლთა არტელი, ხოლო ისინი ხომ ჩვენ არა გვყავს, ე. ი. რა თქმა უნდა, გვყავს, მაგრამ ცოტა, ცოტა, ცოტა... მთელი ჩვენი უბედურება ხომ ეს არის. ჩვენს პრაქტიკულ უთადარიგობას რომ ხედავ, — ხშირად ხომ ისე ბრაზდები, რომ მუშაობის უნარს კარგავ, და მხოლოდ ერთი რამ განუგეშებს: ჩანს, სიცოცხლისუნარიანი საქმე ყოფილა, რომ იზრდება და აშკარად **იზრდება** მთელი ამ ქაოსის მიუხედავად. მაშასადამე, დადუღდება — და კარგი ღვინო დადგება.

გესმით თუ არა ახლა თქვენ, თუ რატომ არის, რომ ისკრელის მარტო ერთმა შენიშვნამ: ««თქვენ» ხომ ქარაფშუტა აგენტები გყოლიათო» — შეიძლება თითქმის სასოწარკვეთილებამდე მიგვიყვანოს? მაშ თვითონ დაიკავეთ რაც შეიძლება მალე «ქარაფშუტათა» ადგილები — გვინდა გითხრათ. ჩვენ ხომ ვამბობთ, გავიძახით, წიგნებშიც კი ვწერთ, რომ მთელი უბედურებაა: «ადამიანები უამრავია და **ადამიანები არა გვყავს**», ჩვენ კი სულ სწორედ ამ უკაცურობას გვიკიჟინებენ. აქ გამოსავალი ერთია, გამოსავალი სავსებით აუცილებელი, გადაუდებელი, ამ სიტყვის სრულიად პირდაპირი, ოლტისოდნად გაუზვიადებელი მნიშვნელობით, — ვინაიდან დრო არ იცდის და მტრებიც იზრდებიან, «ოსვობოჟდენიეც», სოციალისტ-რევოლუციონერებიც, ყოველგვარი ახალი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებიც, «ჟიზნის» მოფუსფუსე ქარაფშუტებით დაწყებული და ინტრიგანი «ბორბელებით» [101] დამთავრებული. ეს გამოსავალი ის არის, რომ რუსმა ისკრელებმა, ბოლოს, თავი მოიყარონ, **ადამიანები გამონახონ**

და **«ისკრის» მეურნეობა თავიანთ ხელში აიღონ,** ვინაიდან ჭეშმარიტად: ქვეყანა ჩვენი დიდი და უხვია, მაგრამ იქ წესრიგი არ არის. უნდა მოვნახოთ ადამიანები, ვინაიდან არიან ადამიანები, მაგრამ კიდევაც უნდა გავუფრთხილდეთ მათ თვალისჩინზე მეტად, არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით დავიცვათ პოლიციისაგან, არამედ კიდევაც გავუფრთხილდეთ მათ ამ გადაუდებელი საქმისთვის, არ დავანებოთ მათ, რომ ისინი გაიტაცოს სხვა, საერთოდ სასარგებლო, მაგრამ არადროულმა ამოცანებმა. როცა ჩვენ იძულებული ვართ სრული უკაცურობის გამო ხელი ჩავჭიდოთ ყველაზე «ქარაფშუტასაც», — გასაკვირველი არ არის, რომ არ შეგვიძლია გულდამშვიდებით ვუცქიროთ, როგორ გადადებენ «შემდეგისათვის» ჩვენს საქმეს სხვები.

ყველა ახლანდელი, არსებული ისკრელი ერთბაშად, გადაუდებლად რომ მოჰკიდებდეს ხელს «ისკრის» მეურნეობას, მის დამოუკიდებლად უზრუნველყოფას გადაგზავნით, დატარებით, მასალით და სხვ., — ჰაშინ ჩვენ უკვე გვეყოლებოდა **ფაქტიური ცენტრალური კომიტეტი,** ცენტრალური კომიტეტი, რომელიც იქნებოდა «აგენტების» de facto * განმკარგულებელი (ვინაიდან აგენტების განმკარგულებელი უნდა იყოს ცენტრალური კომიტეტი და არა რედაქცია) და მთელი პრაქტიკული საქმის გამგე.

ამბობენ: თუ ადამიანები არ არის, ცენტრალურმა კომიტეტმა საიდან გამონახოსო? მაგრამ ჩვენ ხომ ვპოულობთ, თუნდაც ქარაფშუტებს, მაგრამ ვპოულობთ. 10 ქარაფშუტას შორის ერთ დინჯს საქმე ვერ მიჰყავს, მაგრამ გამოცდილება მაინც ფუჭად როდი იკარგება. მუშაობაში ადამიანები სწავლობენ: ზოგი ჩამოგვშორდა, სხვები მათ სცვლიან და რაკი საქმე დაწყებულია, — სხვები უკვე ათჯერ უფრო ადვილად **ჩაებმებიან** ამ მოგვარებულ საქმეში. ჩვენ ახლა რომ შევქმნათ ცენტრალური კომიტეტი (არა ფორმალური) — ხვალ

* — ნამდვილად. რედ.

იგი ფორმალური იქნება და უკვე მ ო ი ზ ი დ ა ვ ს უნარიან ადამიანებს თვითეული ადგილობრივი ორგანიზაციიდან ათჯერ უფრო ენერგიულად, ვიდრე ახლა. და მხოლოდ «ადგილობრივი ორგანიზაციებიდან ამ მოზიდვას» შეუძლია გამოიწვიოს საქმის ისე დაყენება, რომ ამ ადგილობრივ ორგანიზაციებს ჯეროვანი მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ე წ ე ო დ ე ს.

აი ამიტომ მე სემიონ სემიონიჩისადმიც[102] ე ჭ ვ ი ა ნ ი, საშინლად ეჭვიანი ვარ, და ყოველ შეხედვას (შეხედვასაც კი) «გარეშე პიროვნებაზე» აღელვებით ვეკიდები. და არც შემიძლია სხვანაირად მოვეკიდო, ვინაიდან თუ ისკრელებმა არ თქვეს: ეს **ჩემი** საქმეაო, თუ არ თქვეს ეს ხმამაღლა, თუ ამ საქმეს მტკიცედ არ შეუდგნენ, თუ ხელი და კბილები არ ჩასჭიდეს, თუ არ დაიწყეს დანარჩენთა ლანძღვა სიმტკიცის ნაკლებობისათვის [თქვენ ერთხელ მითხარით: ისკრელები ლანძღეთო! მე კი გიპასუხეთ: ამას მე კი არა, თ ქ ვ ე ნ უნდა შვრებოდეთ-მეთქი, ვინაიდან ლანძღვის უფლება მხოლოდ იმასა აქვს, ვინც პრაქტიკულად მონაწილეობს თ ვ ი თ მუშაობაში და მისი ასავალ-დასავალი იცის], თუ ისკრელები ამას არ გააკეთებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ს უ რ თ «მხოლოდ ქარაფშუტების» ამარა დაგვტოვონ, ეს კი დასასრულის დასაწყისი იქნებოდა.

დროა დავამთავრო. ძალიან მინდა, რომ თქვენ და პოვარმა რაც შეიძლება უფრო კონკრეტულად წარმოიდგინოთ ჩვენი მდგომარეობა, შეხვიდეთ ამ მდგომარეობაში და ილაპარაკოთ არა თქვენ, არამედ ჩ ვ ე ნ. ყოველ შემთხვევაში საჭიროა, რომ პოვარმა ძალიან ხშირადაც გვწეროს და გ ვ წ ე რ ო ს უ შ უ ა ლ ო დ და უფრო **მტკიცედ** დაგვაკავშიროს ჩვენ სემიონ სემიონიჩთან და სემიონ სემიონიჩი ჩვენთან.

რაც შეეხება თქვენს ჩამოსვლას, თუ კიდევ გიხდებათ ციურიხში ყოფნა, მაშინ სხვა საქმეა. რატომ გრძნობთ თავს ცუდად? სრულიად ჯანმრთელად ხართ თუ არა? დასვენება ხომ არ გჭირდებათ?

მე სულ შეუძლოდ ვარ, ასე რომ გამგზავრებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

მომწერეთ თქვენი აზრი ზერნოვასა და სანინის შესახებ. ამ უკანასკნელზე სხვადასხვა პირებისაგან ზოგი რამ მსმენია და ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იგი მუშაკი არ არის, მეტისმეტად ველურია («wild»).

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

39

ე. ი. ლევინს

ძვირფასო ამხანაგებო! მეტად გაგვახარა თქვენმა წერილმა, რომელშიც გვაცნობებთ «იუჟნი რაბოჩის» დარჩენილი რედაქციის შეხედულებებსა და გეგმებს. სულით და გულით ვუერთდებით თქვენს წინადადებას, რომ «იუჟნი რაბოჩისა» და «ისკრას» შორის უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა დამყარდეს. საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ უაღრესად ენერგიული ზომები, რომ განვამტკიცოთ ეს მჭიდრო ურთიერთობა და გადავიდეთ ერთიან მოქმედებაზე, რაც ჩვენი შეხედულებების ერთიანობიდან გამომდინარეობს. ჯერ-ერთი, ამისათვის ჩვენ ვისარგებლებთ თქვენი წინადადებით ვაწარმოოთ მოლაპარაკება ჩერნიშევთან. მოგვეცით მისი მისამართი. ხომ არ იქნება იგი საზღვარგარეთ (როგორც ამას ყური მოვკარით) და ხომ არ გვინახულებს *? მეორე, მიგვითითეთ თქვენს ოფიციალურ წარმომადგენელზეც. ახლავე მოგვეცით პირდაპირი მისამართი თქვენთვის წერილების გამოსაგზავნად საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან, აგრეთვე მისამართი თქვენთან გამოსაცხადებლად. ჩვენ უკვე გადავდგით ნაბიჯები იმისათვის, რომ «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის წევრებმა გინახულონ თქვენ და დაწვრილებით მოგელაპარაკონ ყველაფერზე. დრო

* საზღვარგარეთიდან უნდა მოიწეროთ დიტცის სახელზე ორ კონვერტში და სთხოვოთ მას დაუყოვნებლივ გადმოგზავნოს «ისკრის» რედაქციაში.

ჟუჭად რომ არ დაიკარგოს, თქვენც რაც შეიძლება დაწვრილებით მოგვწერეთ საქმეებზე. როგორია «იუჟნი რაბოჩის» რედაქციის უახლოესი პრაქტიკული გეგმები? აქვს თუ არა მას კავშირი სამხრეთის კომიტეტებთან და ფორმალური ურთიერთობა მათთან? თქვენი სიტყვებიდან — რომ თქვენ განზრახული გაქვთ ისე აწარმოოთ საქმე, როგორც იგი წარმოებდა «სამხრეთის კომიტეტებისა და ორგანიზაციების კავშირის» შ ე ქ მ ნ ა მ დ ე, — ჩვენ გამოგვყავს დასკვნა, რომ «იუჟნი რაბოჩის» ახლანდელი რედაქციის შემადგენლობაც და მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ც განსხვავდება იმ რედაქციის შემადგენლობისა და მიმართულებისაგან, რომელიც იყო გაზაფხულზე, კონფერენციის დროს? სახელდობრ რა განსხვავებაა ამ მიმართულებათა შორის და რა პოზიცია უჭირავთ აქ სამხრეთის კომიტეტებს, ე. ი. რომელი მათგანი უჭერს მხარს «სამხრეთის კომიტეტებისა და ორგანიზაციების კავშირის» მიმართულებას და რომელი თქვენს მიმართულებას? როგორია თქვენი შეხედულება იმაზე, ღრმა არის თუ არა ეს განსხვავება, ხომ არ შეუშლის იგი ხელს პარტიულ გაერთიანებას და რა ზომებია სასურველი, რომ რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ სოლიდარობას? რა ურთიერთობა აქვს სამხრეთის კომიტეტებთან (და ორივე მიმართულებასთან, რომლებზეც თქვენ ლაპარაკობდით) იმ 6 პროვინციულ ჯგუფს, რომლებზეც იწერებოდით? ჩვენთვის ძალიან სასურველი იქნებოდა, თუ თქვენ დაგვეხმარებოდით სავსებით გაგვერკვია ყველა ეს საკითხი, ვინაიდან ეს ძალიან შეუწყობდა ხელს დაახლოებას თქვენს მეგობრებსა და «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის იმ წევრებს შორის, რომლებიც სამხრეთში მუშაობენ.

დაწერილია 1902 წ. 22 აგვისტოს
გაგზავნილია ლონდონიდან ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

40

ვ. პ. კრასნუხას და ე. დ. სტასოვას

წერილი ვანიასა და ვარვარა ივანოვნასადმი პ ი რ ა დ ი ა. გთხოვთ ახლავე გადასცეთ მათ და მხოლოდ მათ.

ცნობამ ვიშიბალოს «გამარჯვების» შესახებ გაგვაოცა[108]. ნუთუ საკმარისი იყო კასიანისა და შპილკის წასვლა, რომ ისკრელებს მოქმედების უნარი დაჰკარგოდათ? ვიშიბალოს პროტესტს მხოლოდ იმის გამოწვევა შეეძლო, რომ თქვენ მისთვის წინადადება მიგეცათ ხ მ ა მ ი ე ც ა და იქვე დაუ-ყოვნებლივ გამოგეცხადებინათ უმრავლესობით, ჯერ-1, რომ იგი საკითხის არსის მხრივ სრულიად უმნიშვნელო უმცირე-სობაშია; მე-2, რომ მისი ჩივილი წესდების დარღვევაზე სისულელეა და შარის მოდებაა (ვინაიდან წესდების მიხედვით უნდა შეეკითხოთ ყველას, ვინც პიტერში იმყოფება, და არ დავაყოვნოთ საქმე, სანამ წასულებს შეეკითხებოდეთ).

ხოლო თუ ვიშიბალომ წამოაყენა (გაბედა წამოეყენებინა) გამიჯვნის საკითხი, აუცილებელი იყო მაშინვე მიგეღოთ უმრავლესობით გადაწყვეტილება კავშირიდან მისი გარიცხვის შესახებ.

ყველაფრით ჩანს, რომ ვიშიბალო უტიფრად ცდილობს «ომი» გამოიწვიოს, და ისკრელები სამუდამოდ შეირცხვენენ თავს, თუ ამას უაღრესად გადამწყვეტი და გააფთრებული ომით არ უპასუხეს. არ შეუშინდეთ ვიშიბალოს არავითარ მუქარას, არავითარი გამჟღავნება თქვენთვის საშიში არ არის, საქმე დაუყოვნებლივ დააყენეთ საომარ ყაიდაზე, როგორც ჩვენ ზემოთ მოგწერეთ, და რაც შეიძლება მალე მიიღეთ

ზემოთ წამოყენებული გადაწყვეტილებანი. ვიშიბალომ თუნდაც რომ გაიყოლიოს კიდევ ზოგი ვინმე (თუნდაც რომ თქვენ მხოლოდ ნახევარი ან ნახევარზე ნაკლები დარჩეთ), თქვენ მაინც ბოლომდე უნდა მისდიოთ და მოითხოვოთ ვიშიბალოს აუცილებლად განდევნა, ოდნავაც არ შეუშინდეთ კავშირის «გათიშვას».

შემდეგ მუშების წინაშეც უნდა დააყენოთ ულტიმატუმი: ან კავშირის გათიშვა და ომი, ან ვიშიბალოს გადაჭრით დაგმობა მუშების მიერ და მისი მოშორება.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, ახლავე ვწერთ 2ა3ბ. «ისკრაში» პიტერის მოწოდების დაბეჭდვას გადავდებთ[104].

ვიმეორებთ: საკითხი უკვე ახლა დგას პიტერელ ისკრელთა ღირსების შესახებ... რა თქმა უნდა, თქვენ ახლა ყველაფერი უნდა გააკეთოთ მხოლოდ და მხოლოდ საერთო კრებაზე, რომელზეც აუცილებლად უნდა მიიწვიოთ ვიშიბალოც და შეადგინოთ გადაწყვეტილებათა ოქმები. ოქმები მაშინვე გამოგვიგზავნეთ ხოლმე.

დაწერილია 1902 წ. 24 სექტემბერს
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

41

ვ. ა. კრასიკოვს

ძვირფასო მეგობარო! ჩემი შენიშვნები ჩვენი აქაური კრების შესახებ ვერ მიპოვნია[105]. და არც არის საჭირო. კრებას სათათბირო ხასიათი ჰქონდა, და თქვენ ორს[106], რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ გახსოვთ, რაც იყო. ოფიციალურად იმის აღდგენა, რაც იყო, მე არ შემიძლია და ვერ შევძლებდი, კიდევაც რომ მქონდეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი შენიშვნები, რომლებიც ჩაწერილი მქონდა მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის ზოგჯერ არა სიტყვებით, არამედ ნიშნებით. თუ საჭიროა რაიმე სერიოზული გადავწყვიტოთ, — მოგვწერეთ გარკვეული წინადადება, ოფიციალური შეკითხვა ჩვენდამი (რედაქციაში), და მაშინვე გიპასუხებთ, ხოლო თუ ამისათვის ჯერ საბაბი არ არის, საერთო ტაქტიკაზე ხომ დიდი ხანია სავსებით შევთანხმდით.

ძალიან, ძალიან გამეხარდა, როცა შევიტყვე, რომ თქვენ სწრაფად წაგიწევიათ წინ საორგანიზაციო კომიტეტის[107] საქმე და ექვსისაგან შეგიდგენიათ იგი. გაკვირვებული ვარ მხოლოდ იმით, რომ კოოპტაციის წესით მიგიწვევიათ სხვები ფორმალურ კ ო ნ ს ტ ი ტ უ ი რ ე ბ ა მ დ ე, ბუნდის მ ი წ ვ ე ვ ა მ დ ე? ხომ პირიქით იყო დასახული? თუმცა, ამას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ თქვენ დარწმუნდით, რომ უხერხულობა არ შეიძლება წარმოიშვას.

უფრო მკაცრად დაიჭირეთ თავი ბუნდთან! საზღვარგარეთაც რაც შეიძლება მკაცრად მისწერეთ (ბუნდსა და «რაბოჩეე დელოს»), საზღვარგარეთის ფუნქცია დაიყვანეთ ისეთ

მინიმუმამდე, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიპოვებს მნიშვნელობას. ყრილობის ტექნიკა ხომ შეგიძლიათ დაავალოთ თქვენს განსაკუთრებულ დელეგატებს ან თქვენს განსაკუთრებულ აგენტებს: არავის არ გადასცეთ ეს საქმე და არ დაივიწყოთ, რომ საზღვარგარეთის ხალხი კონსპირაციის საქმეში მოიკოჭლებს.

ყრილობის ordre du jour * მხოლოდ ზოგადად დასახეთ. ჩვენ გამოგვიგზავნეთ შეკითხვა თხოვნით, — გაცნობოთ ჩვენი (რედაქციის) ordre du jour და ვინ გვყავს ჩვენ რეფერენტებად და რამდენი დელეგატი შეიძლება ჩვენგან (რედაქციისაგან). დააჩქარეთ ყრილობა მთელი ძალ-ღონით.

ეცადეთ უშოვნოთ მანდატები გამოქცეულებს: ეს ხარჯების ეკონომიას მოგცემთ.

აუცილებლად ზუსტად, უაღრესად ზუსტად შეგვატყობინეთ საორგანიზაციო კომიტეტის ყოველი და თვითეული ოფიციალური ნაბიჯი. კიდევ ერთი რამ: «რაბოჩეე დელო» კვდება, და მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ თქვენ (საორგანიზაციო კომიტეტისაგან) გამოუგზავნიდეთ მას არა ლანძღვის, მაგრამ სურიოზულ დარიგებას შეერთების მნიშვნელობის, თავმდაბლობის სარგებლიანობის შესახებ და სხვ.

ამრიგად იჩქარეთ! ფულს, თუ საჭირო იქნება, ცოტაოდენს გიშოვნით როგორმე.

დაწერილია 1902 წ. ნოემბერში
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — დღის წესრიგი. რედ.

42

ე. ი. ლევინს

გწერთ ლენინი. ძალიან გვახარებს საორგანიზაციო კომიტეტის წარმატებები და ენერგია. მეტად მნიშვნელოვანია დაუყოვნებლივ მიიღოთ ყველა ღონისძიება, რათა ბოლომდე მიიყვანოთ საქმე და რაც შეიძლება სწრაფად. ეცადეთ რაც შეიძლება მალე შეცვალოთ წევრი პიტერიდან (კარგი იქნება იგნატით) და დაწვრილებით მოგვწერეთ იმის შესახებ, თუ როგორ მოეპყრნენ საორგანიზაციო კომიტეტს სხვადასხვა ადგილებში (კომიტეტებში). მალე ნახავს თუ არა იგნატი თეკლეს[108]? უნდა ვიცოდეთ უფრო ზუსტად და მალე.

საკითხთა სია ჩვენ დასახული გვქონდა დაახლოებით ასეთი (რიგი განხილვის ჯერის მიხედვით): 1) დამოკიდებულება ბორისისადმი[109]? (თუ მხოლოდ ფედერაცია, მაშინვე დავიშალოთ და სხდომები ცალ-ცალკე მოვაწყოთ. ყველა უნდა მოამზადოთ ამისათვის.) 2) პროგრამა. 3) პარტიის ორგანო (გაზეთი. ახალი ან ერთ-ერთი არსებულთაგანი. აუცილებლად აღიარებულ იქნეს ამ წინასწარი საკითხის დიდი მნიშვნელობა). 4) პარტიის ორგანიზაცია (ძირითადი პრინციპი: ერთმანეთისადმი დაუქვემდებარებელი ორი ცენტრალური დაწესებულება. a) ცენტრალური ორგანო — იდეური ხელმძღვანელობა. საზღვარგარეთ? b) ცენტრალური კომიტეტი — რუსეთში. მთელი პრაქტიკული გამგებლობა. რეგულარული და ხშირი შეხვედრები მათ შორის და გარკვეული უფლებები ურთიერთმონაწილეობისა ან ზოგჯერ ურთიერთკოოპტირებისა. მეტად მნიშვნელოვანია წინასწარ მოამზადოთ ნიადაგი

იმისათვის, რომ გატარდეს ეს ძირითადი პრინციპი და ყველა სავსებით გაერკვეს მასში. შემდეგ: რაც შეიძლება მეტი ცენტრალიზაცია. ადგილობრივი კომიტეტების ავტონომია ადგილობრივ საქმეებში — განსაკუთრებულ შემთხვევებში კი ცენტრალურ კომიტეტს veto-ს * უფლება უნდა ჰქონდეს. რაიონული ორგანიზაციები მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის თანხმობითა და დამტკიცებით). 5) ტაქტიკის სხვადასხვა საკითხი: ტერორი, პროფესიული კავშირები, მუშათა მოძრაობის ლეგალიზაცია, გაფიცვები, დემონსტრაციები, აჯანყება, აგრარული პოლიტიკა და გლეხობასა და ჯარში მუშაობა, აგიტაცია საერთოდ; ფურცლები და ბროშურები და სხვ. და ა. შ., აქ რიგი დაცული არ არის. 6) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან («ოსვობოჟდენიე», სოციალისტ-რევოლუციონერები, პოლონელები, ლატვიელები და სხვ.). 7) დელეგატთა ანგარიშები (**მეტად მნიშვნელოვანია,** რომ ანგარიშები იყოს თვითეული კომიტეტისაგან და რაც შეიძლება უფრო სრული (მოამზადეთ **ახლავე** და უშიშროებისათვის ასლები ჩაბარეთ საორგანიზაციაო კომიტეტს ჩვენთვის გამოსაგზავნად). ეცადეთ ანგარიშებში ყოველთვის დაახასიათოთ ადგილობრივი **ს.-რ.** და შეაფასოთ მათი ძალა და ურთიერთობა). 8) საზღვარგარეთის ჯგუფები და ორგანიზაციები («რაბოჩეე დელო», «ბორბა», «ჟიზნი», «სვობოდა». დაევალოს კომისიას ან ცენტრალურ კომიტეტს შეიმუშაონ მათი გაერთიანების გეგმა). 9) 1 მაისი. 10) 1903 წ. კონგრესი ამსტერდამში [110]. 11) შინაგანი საორგანიზაციო საკითხები: ფინანსები, კომიტეტების ორგანიზაციის ტიპი, ცენტრალური კომიტეტის მიერ დავალება ლიტერატურის ტრანსპორტისა და განაწილებისა და ა. შ.. ამის ნაწილის განხილვა ალბათ კომისიებში მოგვიხდება.

ვიმეორებ, რომ ეს მხოლოდ დაახლოებითი დასახვაა, და რიგი აქ ერთად განხილულ იქნა მხოლოდ 1 — 5 პუნქტების შესახებ. ამასთან რედაქციის წევრთაგან მე იმის მომხრე ვიყავი, რომ მე-3 პუნქტი დავსვათ ერთ-ერთ პირველ

* — აკრძალვის. **რ ე დ.**

ადგილზე (ე. ი. სწორედ მესამე პუნქტად), მეორე წევრი კი (პახომი) — იმისა, რომ იგი მე-5 პუნქტის შემდეგ დავსვათ. მე საჭიროდ მიმაჩნია ჯერ გადავწყვიტოთ მე-3 პუნქტი, რომ ერთბაშად გავუმართოთ ბატალია ყველა მოწინააღმდეგეს ძირითად და ფართო საკითხში და გავარკვიოთ ყრილობის მთელი სურათი (respective *: უთანხმოება განვაცხადოთ სერიოზული საბაბით).

გამოარკვიეთ, გეყოლებათ თუ არა რეფერენტები და რა საკითხებზე (ad 5 ** — დეტალურად).

რა ბროშურის გამოცემას თხოულობს იგნატი? ერიომასადმი წერილისას ხომ არა [111]?

აუცილებლად მიაღწიეთ იმას, რომ **თვითეული** კომიტეტისაგან (და ჯგუფისაგან) მიიღოთ ოფიციალური და წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი პასუხი, ცნობენ თუ არა საორგანიზაციო კომიტეტს. ეს საჭიროა დაუყოვნებლივ.

გირჩევთ ცნობა საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ რუსეთშიც გამოსცეთ (ე. ი. არა მარტო «ისკრაში» დაიბეჭდოს): თუნდაც ჰექტოგრაფით გაამრავლეთ, ოღონდ გამოეცით.

საკითხების საერთო-სარედაქციო პროექტს და ჩვენი რეფერენტების სიას გამოგიგზავნით, როცა ამის შესახებ დავუკავშირდებით რედაქციის ყველა იმ წევრს, რომლებიც ახლა სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ.

ახლავე დანიშნეთ საორგანიზაციო კომიტეტის წევრები მთავარ ცენტრებში (კიევი, მოსკოვი, სპბ.), და მოგვეცით განსაკუთრებული სახვედრები ამ წევრებთან, რათა შეგვეძლოს ყველა წამოსული გამოვგზავნოთ მხოლოდ და მხოლოდ საორგანიზაციო კომიტეტის სრულ განკარგულებაში. ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანია.

დასასრულ, კიდევ აი რა: იგნატის შეხვედრა თეკლესთან საჭიროა მოეწყოს მ ა ს შ ე მ დ ე გ, რაც იგნატი 1) ნახავს შეძლებისდაგვარად ყველას და ყოველივეს; 2) რაც თქვენ

* — ანუ. რ ე დ.
** — მე-5 პუნქტისათვის. **რ ე დ.**

მიიღებთ ყველასაგან საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალურ აღიარებას; 3) რაც თქვენ ოფიციალურად აუწყებთ «რაბოჩეე დელოსაც», რომ მათ საორგანიზაციო კომიტეტის სრულუფლებიანი წევრი ეყოლებათ. მხოლოდ ასეთ პირობებში იგნატის შეხვედრამ თეკლესთან შეიძლება ხელი შეუწყოს შემდგომ სერიოზულ საქმიან ნაბიჯებს. ამიტომ იგნატმა დააჩქაროს ეს წინასწარი ღონისძიებანი და არ დაივიწყოს, რომ თეკლესთან იგი შეიარაღებული უნდა იყოს უკვე ფორმალურად აღიარებული და უაღრესად ფართო (დაიხსომეთ!) რწმუნებებით.

დაწერილია არა უადრეს
1902 წ. 11 დეკემბრისა
გაგზავნილია ლონდონიდან ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

43

გ. ვ. პლეხანოვს

14. XII. 02.

ძვირფასო გ. ვ.! თქვენგან დიდი ხანია არავითარი ამბავი არ მიგვიღია, საქმეები და საკითხები კი ბლომად დაგროვდა.

უწინარეს ყოვლისა «ისკრისათვის» სტატიების შესახებ. ჩვენ № 30-სათვის (№ 29 ხვალ ან ზეგ გამოდის) გვაქვს იულის სტატია «შემოდგომის შედეგები». კიდევ ერთი სტატია ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი იქნებოდა. როგორ გაქვთ თქვენ საქმე ამ მხრივ? მომწერეთ, გთხოვთ, წერთ რამეს თუ არა და როდის ფიქრობთ გამოგზავნოთ, — აგრეთვე ფელეტონის შესახებ: ძალიან კარგი იქნებოდა № 30-ში — ის ფელეტონი ტარასოვის «გვერდის» წინააღმდეგ, რომელსაც თქვენ გვთავაზობდით [112]. ველი პასუხს.

შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონერების საწინააღმდეგო ბროშურის შესახებ. ლ. გრ. მეუბნებოდა და თქვენც გწერდათ, რომ უმჯობესი იქნება ამ ბროშურას თქვენ მოჰკიდოთ ხელი, ვინაიდან თქვენ შეძლებთ გარდა «დოგმატური» კრიტიკისა მოგვცეთ ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პ ა რ ა ლ ე ლ ი ც 70-იან წლებთან. მე სავსებით ვეთანხმები ლ. გრ — ს, რომ ასეთი პარალელი ძალიან და ძალიან მნიშვნელოვანია; მე კი ამაზე, რა თქმა უნდა, ფიქრიც არ შემიძლია. და საერთოდ ძალიან მოხარული ვიქნებოდი, რომ თქვენ ხელს მოჰკიდებდეთ ამ ბროშურას. მე მისკენ არც გული მიმიწევს ძალიან, და თანაც ახლა, მიმდინარე საქმეების გარდა, მომელის მუშაობა პარიზში ლექციებისათვის მოსამზადებლად (როგორც იული მატყობინებს, უნდათ იქ გამიწვიონ 3 — 4 ლექციისათვის

აგრარულ საკითხზე). ამრიგად, ყველაფერი და ყოველივე იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ ბროშურა თქვენ გხვდეთ წილად, — იგი კი აუცილებლად საჭიროა სოციალისტ-რევოლუციონერების წინააღმდეგ, ისინი უთუოდ საფუძვლიანად და ყოველმხრივ უნდა გავარჩიოთ. ჩვენცა და საქმესაც ისინი საშინელ ზიანს აყენებენ. მაშ მოგვწერეთ, როგორ გადაწყვეტთ.

ლ. გრ — ის პასუხი «რევოლუციონნაია როსსიასადმი» № 29-ში დაიბეჭდა: მაშასადამე, თქვენ მას მიიღებთ კვირის ბოლოს — კორექტურაში კი უკვე ნახული გაქვთ.

დღეს გავიგე, რომ თქვენ ბრიუსელში იქნებით საერთაშორისო კონფერენციაზე (ალბათ დეკემბრის დამლევს ან იანვრის დამდეგს) და იქ რეფერატს კითხულობთ. იმედი მაქვს, აუცილებლად შემოივლით ჩვენთანაც? აქ ძალიან ახლოა და დღესასწაულების დროს სულ იაფი დაჯდება. აქ კი, ჯერ-1, ძალიან და ძალიან საჭირო იქნება თქვენი რეფერატი, ვინაიდან აქ ბევრია ანარქიზმით დაავადებული მ უ შ ა (მე ამაში დავრწმუნდი, როცა აქ ვკითხულობდი ჩემს რეფერატს სოციალისტ-რევოლუციონერებზე, რომელიც აქაური ხალხისათვის საინტერესო არ არის). მათზე თქვენ უთუოდ მოახდენდით გავლენას. ხოლო შემდეგ, და ეს მთავარია, დაგვიგროვდა მნიშვნელოვანი თემები საუბრისათვის, განსაკუთრებით რუსეთის საქმეებზე: იქ როგორც იქნა შეიქმნა «საორგანიზაციო კომიტეტი», რომელიც დიდი ხანია მზადდებოდა და რომელსაც შეუძლია უ დ ი დ ე ს ი როლი შეასრულოს. და უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ჩვენ ერთად გავცემდეთ მას პასუხს მ თ ე ლ რ ი გ კითხვებზე, რომლებითაც მან უ კ ვ ე მ ო გ ვ მ ა რ თ ა (კითხვები ეხება პარტიის გაერთიანების ღონისძიებებს, დღის წესრიგს, Tagesordnung, საერთო ყრილობაზე, იმას, თუ რა რეფერატები იქნება ჩ ვ ე ნ გ ა ნ და ა. შ. — ეს საკითხები საერთოდ უაღრესად მნიშვნელოვანია, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ახლა). გთხოვთ მოგვწეროთ, სახელდობრ როდის იქნება კონფერენცია ბრიუსელში, რამდენ დღეს გაგრძელდება და შეგიძლიათ თუ არა შემოიაროთ აქ. შემდეგ, შესაძლოა უადგილო

არ იქნეს, რომ თქვენ უკვე ამ კონფერენციაზე ასე თუ ისე გამოიყენოთ საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის ფაქტი? მოგვწერეთ რაც შეიძლება მალე, და ჩვენ შევეკითხებით რუსეთს: იქნებ მოხერხდებოდა იქიდანაც კი რაიმე განცხადება ან წერილი თქვენდამი, თუ ეს საჭირო იქნება.

ხვდებით თუ არა ჟიზნელებს[113]? როგორ მიდის მათთან «დაახლოება» და როგორია შანსები? როგორ არიან რაბოჩედელოელები? იცით, ჩემი აზრით, კარგი იქნება, რომ მათაც მიიღონ მონაწილეობა თქვენს «მარქსისტულ წრეში» და რომ დავიწყოთ მათთან (არაფორმალურად) დაახლოება. ახლანდელი დროების მიხედვით მათთან წაკიდება ხელსაყრელი არ არის, და არც საჭიროა: «რაბოჩეე დელო» «კრასნოე ზნამიით» რომ შეცვალეს, მათ არსებითად მიიღეს ჩვენი გეგმა «ლიტერატურული ფუნქციების განაწილებისა», ხოლო მარტინოვის ბროშურაში «მუშები და რევოლუცია» არაფერი მ ა ვ ნ ე (გარდა ს უ ლ ე ლ უ რ ი «ნათელმჭვრეტისა») არ არის.

მაგრად გართმევთ ხელს.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

ბულგარელის საკითხში კი მე მიმიძღვის ბრალი[114]. ვნანობ. არ გწერდით, ვინაიდან დავალებები არ იყო, და ვერ ვხვდებოდი, რომ თქვენ სწუხდით.

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

44

ვ. ი. ლავროვს და ე. დ. სტასოვას

27. XII.

მივიღეთ ვლასის წერილი. დახმარებას, როგორიც შეგვიძლია, გაგიწევთ. დიდი ხანია ვხედავთ თქვენს გაჭირვებულ მდგომარეობას და ვფიქრობთ დაგეხმაროთ.

მაგრამ თქვენ აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა მოგვწეროთ პიტერში გათიშვის ზუსტი ისტორია. გვიპასუხეთ პუნქტობრივ: 1) საორგანიზაციო კომისია (ზაფხულისა) არჩეული იყო მხოლოდ ბრძოლის კავშირის მიერ (= ინტელიგენტური კომიტეტი?) თუ აგრეთვე მუშათა ორგანიზაციის მიერაც? 2) სახელდობრ როდის აირჩიეს იგი? 3) ზუსტადაა თუ არა ჩაწერილი მისი რწმუნებანი (ე. ი. რა დაევალა მას)? 4) რაში მდგომარეობს მისი არჩევის არასისწორე, ვიშიბალოს და კომპანიის აზრით? 5) იყვნენ თუ არა საორგანიზაციო კომისიაში დელეგატები მუშათა ორგანიზაციისაგან (ორნი?) და ვის მიერ იყვნენ არჩეულნი? 6) საიდან აგდებდნენ და გამოაგდეს ვიშიბალო: საორგანიზაციო კომისიიდან თუ ინტელიგენტური კომიტეტიდან თუ მუშათა ორგანიზაციიდან? 7) რა მუშათა ორგანიზაციაა, ახლა რომ თავის განცხადებებს წერს? ახალი? რეორგანიზებული? როდის? როგორ? 8) რატომ არ გამოგვიგზავნეთ მუშათა ორგანიზაციის კომიტეტის სექტემბრის ფურცელი? 9) რატომ არ გამოუშვით თუნდაც ხელით დაწერილი ფურცელი მათ წინააღმდეგ? — ან ჩვენ გამოგვიგზავნიდით კონტრგანცხადებას? არ შეიძლება უპასუხოდ დავტოვოთ თუნდაც ერთი მათი სვლა. 10) რა ცენტრალური კომიტეტია ახლა? არის თუ არა კიდევ საორგანიზაციო

კომისია? არიან თუ არა თქვენს მხარეზე მუშები? რატომ არ იქმნება მათგან კონტრორგანიზაცია? რატომ არ აცხადებენ თქვენი მუშები პროტესტს ვიშიბალოელი მუშებისა და მათი კომიტეტის წინააღმდეგ?

დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნეთ ახალი, მთლად სუფთა სახვედრები მოსულთათვის. სხვას არავის მისცეთ ეს (ჩვენი) სახვედრები. წინასწარ გამონახეთ ბინა ერთი პიროვნების დასამალავად. ეცადეთ განსაკუთრებით წაშალოთ კვალი მისი ურთიერთობისა ძველ წევრებთან (ცაპლია და სხვ.), რომლებიც ალბათ ეჭვმიტანილი არიან.

დაწერილია 1902 წ. 27 დეკემბერს
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

45

ფ. ვ. ლენგნიკს

27. XII.

მივიღეთ წერილი coup d'état-ს * შესახებ და ახლავე გიპასუხებთ. ჩვენ გაოცებული ვართ, როგორ დაუშვა ზარინმა ასეთი სკანდალი!! აი ნაყოფი მისი შეცდომისა, — კომიტეტში რომ არ შევიდა! — ჩვენ დიდი ხანია მოვითხოვდით ამას. განცხადების შესახებ ჯერჯერობით არ დავბეჭდავთ, ვინაიდან არც განცხადება მიგვიღია და არც საწინააღმდეგო წერილი. აუცილებლად გაუმართეთ ომი, აიძულეთ ზარინი შევიდეს, შეადგინეთ ოქმი კავშირის გაწყვეტის შესახებ (ან pro და contra ** ხმების რიცხვის შესახებ) და გამოუშვით ადგილობრივი ფურცელი გათიშვის (respective *** უთანხმოების) მიზეზების შესახებ. განცხადების ისე დაბეჭდვას, თუ არ ჯექნა ასეთი ოფიციალური დოკუმენტები ყოველი თქვენი ნაბიჯის შესახებ, — აზრი არა აქვს. აუცილებლად გააფორმეთ რაბოჩედელოელების ყოველი ნაბიჯი და თქვენი ნაბიჯები მათ წინააღმდეგ და იოტისოდნად არ დაუთმოთ მათ. ისინი აუცილებლად უნდა დაიჭიროთ იმაში, რომ საორგანიზაციო კომიტეტის წინააღმდეგი არიან, თქვენ კი მომხრენი. სწორედ საორგანიზაციო კომიტეტის ცნობის (respective არცნობის) ნიადაგზე ყ ვ ე ლ გ ა ნ და ყ ო ვ ე ლ გ ა ნ მაშინვე უნდა გაუმართოთ გენერალური ბრძოლა: გადაეცით

---

* — გადატრიალების («ეკონომისტების», რაბოჩედელოელების მიერ კიევის კომიტეტის ხელში ჩაგდების შესახებ). რ ე დ.

** — მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა. რ ე დ.

*** — ანუ. რ ე დ.

ეს ზარინს და მის უახლოეს გენოსეებს * რაც შეიძლება უფრო მტკიცედ.

მაშ ასე: ზარინმა სამმაგი ენერგია გამოიჩინოს და დაიცვას კიევი, — ეს მისი პირველი მოვალეობაა.

ლიტერატურა რუსეთშია და მალე თქვენთან უნდა იქნეს. აუცილებლად გაუგზავნეთ არა ნაკლებ 2 ფუთისა პიტერში ჩვენებს, უსათუოდ.

დაწერილია 1902 წ. 27 დეკემბერს
გაგზავნილია ლონდონიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — ამხანაგებს. რედ.

1903 წ.

46

ი. ვ. ბაბუშკინს

ნოვიცკაიასთვის ლენინისაგან

ძვირფასო მეგობარო! «გამოცდის»[115] შესახებ უნდა ვთქვა, რომ საგამოცდო პროგრამის აქედან მოცემა არ შეიძლება. დაწეროს ყველა და ყოველმა პროპაგანდისტმა იმ პროგრამის შესახებ, რომლის მიხედვითაც ისინი კითხულობენ ან სურთ იკითხონ — მაშინ დაწვრილებით გიპასუხებთ. თქვენ გვთხოვთ რაც შეიძლება მეტი კითხვა დავაყენოთ. კარგი. მხოლოდ იცოდეთ, ყველაზე გვიპასუხეთ: 1) როგორია სპბ. კომიტეტის ახლანდელი წესდება? 2) არის თუ არა «დისკუსია»? 3) მისი ადგილი ცენტრალური კომიტეტისა და მუშათა ორგანიზაციის მიმართ? 4) ცენტრალური კომიტეტის დამოკიდებულება რაიონული ორგანიზაციისა და მუშათა ჯგუფებისადმი? 5) ისკრელმა მუშებმა რატომ დაანებეს ხმამოუღებლივ ვიშიბალოელ მუშებს თავისი თავისათვის ეწოდებინათ «მუშათა ორგანიზაციის კომიტეტი»? 6) მიღებულია თუ არა ზომები იმისათვის, რომ თვალყური ადევნოთ პიტერელ ზუბატოველთა ყოველ ნაბიჯს? 7) იკითხება თუ არა მუშათა წრეებში სისტემატური ლექციები (ან იმართება თუ არა საუბრები) თემაზე ორგანიზაციის შესახებ, «რევოლუციონერთა ორგანიზაციის» მნიშვნელობის შესახებ? 8) ფართოდ ქადაგებთ თუ არა მ უ შ ე ბ შ ი, რომ ისინი და სწორედ ისინი რაც შეიძლება უფრო ხშირად და ფართოდ უნდა გადადიოდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე? 9) მიღებულია თუ არა ზომები იმისათვის, რომ გაათკეცდეს კორესპონდენციები პიტერიდან, რომლებიც ჩვენ სამარცხვინოდ დიდი ხანია არა

გვქონია? 10) უნერგავთ თუ არა ყველა მუშას იმ აზრს, რომ სწორედ მათ უნდა მოაწყონ სტაჰბა ფურცლებისათვის და მათი სწორად გავრცელება?

აი ესეც ათეული კითხვა. ველი პასუხს და მაგრად გართმევთ ხელს. იცოდეთ, აუცილებლად გაქრით, როგორც კი შეამჩნიოთ, რომ ჯაშუშები გითვალთვალებენ.

დაწერილია 1903 წ. 6 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

47

ე. დ. სტასოვას

მივიღეთ (საიდანღაც საზღვარგარეთიდან) ვიშიბალოელთა ახალი დოკუმენტი, 1902 წლის ოქტომბრისა, ორგანიზაციის პროგრამა და პრინციპები — აბნეულია და მავნეა. საშინლად გაბრაზებული ვართ და გვწყინს, რომ მაშინვე და დაუყოვნებლივ არ გვიგზავნით (2 ეგზემპლარად სხვადასხვა მისამართით) პიტერის მთელ პროდუქტებს. ეს ხომ პირდაპირ სკანდალია, რომ ვიშიბალოელთა პირველი ფურცელი (ივლისი— «პროტესტი» «ისკრის» აღიარების წინააღმდეგ) ჩვენ დღემდე არ მიგვიღია და მის შესახებ «ოტკლიკი»-დან შევიტყვეთ!! ნუთუ ძნელია გადმოგვიგზავნოთ ფურცლები, როცა ყველა წერილი ჩინებულად მოდის?? კიდევ უფრო დიდი სკანდალია, რომ ასე აჭიანურებთ თქვენს პასუხებს: იგნატმა გვაცნობა, რომ ვიშიბალოელთა აბდაუბდის საპასუხო ფურცელი მას ძალიან დიდი ხანია დაწერილი ჰქონდა, თქვენ კი ის დაგიმჟავებიათ და არა მარტო სხვა, უფრო გაჭიანურებული, უნიათო და წყალწყალა პასუხით შეგიცვლიათ, არამედ ბოლოს და ბოლოს არც ერთიც აღარ გამოგიციათ!!! და თუ გამოცემა არ შეიძლებოდა, ნუთუ ძნელი იყო წერილში ჩაგედოთ და აქ გამოგეგზავნათ?

რაშია აქ საქმე, აგვიხსენით, ღვთის გულისათვის: კომიტეტის რომელიმე წევრის (თუ მთელი კომიტეტის?) სრულ უუნარობაში თუ შეგნებულ ოპოზიციასა და ინტრიგაში კომიტეტის შიგნიდან?

ჩვენ ვერ მოგვიშორებია შთაბეჭდილება, რომელიც ულმობლად გამომდინარეობს ყოველივე ამიდან: სახელდობრ,

რომ ვიშიბალოელები განუწყვეტლივ გრიყავენ თქვენ, გატყუებენ და დღეს თუ არა ხვალ ნამდვილად და საბოლოოდ «გაგაგდებენ».

ძალიან გირჩევთ საორგანიზაციო კომიტეტიდან გასული პიტერელი წევრის ნაცვლად [116] აირჩიოთ ბოგდანი: იგი სავსებით ღირსია ამისა. და საერთოდაც, ეტყობა, თუ პროფესიონალი რევოლუციონერები არა, საქმე ვერასოდეს ერთი გოჯითაც ვერ წაიწევს წინ.

დაწერილია 1903 წ. 15 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

48

ხარკოვის კომიტეტს

(ლენინისაგან.) ძვირფასო ამხანაგებო! დიდად გმადლობთ დაწვრილებითი წერილისათვის საქმის ვითარების შესახებ: ჩვენ ძალიან იშვიათად გვწერენ ასეთ წერილებს, თუმცა ისინი საშინლად გვესაჭიროება და ისინი აუცილებელია ერთიანად მეტი რაოდენობით, თუ კი ნამდვილად გვინდა დავამყაროთ საზღვარგარეთის რედაქციის ცოცხალი კავშირი ადგილობრივ მუშაკებთან და გავხადოთ «ისკრა» მთელი ჩვენი მუშათა მოძრაობის სრულ ამსახველად, როგორც მთლიანად ამ მოძრაობის, ისე მისი კერძო მხარეების ამსახველად. ამიტომ ძალიან გთხოვთ ასევე განაგრძოთ, მოგვცეთ თუნდაც ზოგჯერ მუშებთან საუბრების პირდაპირი სურათებიც (რაზე ლაპარაკობენ წრეში? რას უჩივიან? რა აწუხებთ, რა მოთხოვნილებები აქვთ? საუბრების თემები? და სხვ. და სხვ.).

თქვენი ორგანიზაციის გეგმა, ჩანს, შეესაბამება რევოლუციონერთა რაციონალურ ორგანიზაციას, რამდენადაც შეიძლება «რაციონალურზე» ვილაპარაკოთ ადამიანთა ასეთი ნაკლებობის დროს და რამდენადაც გეგმა ნათელია მოკლე ნაამბობიდან.

დამოუკიდებლებზე გვიამბეთ უფრო დაწვრილებით. შემდეგ კიდევ კითხვები: ხომ არ დარჩენილან ხარკოვში «ივანოვო-ვოზნესენსკის» სკოლისა და ტრადიციის მუშები? არიან თუ არა პიროვნებანი, რომლებიც ოდესღაც პირდაპირ იყვნენ ამ «ეკონომიურ» და «ანტიინტელიგენტურ» კომპანიაში ან მხოლოდ მათი მემკვიდრენი? რატომ ერთ სიტყვასაც არ იწერებით «მუშათა სალაროების ფურცლის» შესახებ და არ გვი-

გზავნით? ჩვენ აქ ამ ფურცლის № 2-ის მხოლოდ ხელნაწერი პირი ვნახეთ. რა კომპანია სცემს? თავგამოდებული ეკონომისტები არიან თუ მხოლოდ გამოუცდელი ახალგაზრდობა? წმინდა მუშური ორგანიზაციაა თუ ეკონომისტ-ინტელიგენტების გავლენაში იმყოფება?

დარჩა თუ არა «ხარკოვსკი პროლეტარის»[117] კომპანიის კვალი?

იკითხება თუ არა მუშათა წრეებში «ისკრა»? სტატიების ახსნა-განმარტებით? რა სტატიებს უფრო ხალისით კითხულობენ და რა ახსნა-განმარტებაა საჭირო?

ფართო მასშტაბით წარმოებს თუ არა მუშათა შორის კონსპირაციული ხერხებისა და არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლის პროპაგანდა?

ეცადეთ რაც შეიძლება მეტად ისარგებლოთ პიტერის ზუბატოველობით და გვიგზავნეთ მუშათა კორესპონდენციები.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1903 წ. 15 იანვაოს
გაგზავნილია ლონდონიდან

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

49

ე. დ. სტასოვას

16. I. 03.

ეს არის მივიღეთ «რაბოჩაია მისლის» № 16[118] (ჟენევიდან) და პიტერიდან ««რაბოჩაია მისლის» ფურცლები» № 2 და 3. ახლა უკვე დღესავით ნათელია, რომ ვიშიბალოელები გატყუებენ და გაბრიყვებენ თქვენ, როცა გარწმუნებენ, რომ ეთანხმებიან «ზარიასა» და «ისკრას». დაუყოვნებლივ გამოდით საბრძოლო პროტესტით (თუ გამოცემა არ ძალგიძთ, ახლავე გამოგზავნეთ აქ, პირი კი ყოველ შემთხვევაში), აწარმოეთ გადამწყვეტი ომი და უფრო ფართოდ გადაიტანეთ იგი მუშათა წრეში. ყოველგვარი გაჭიანურება და ვიშიბალოელებთან ყოველგვარი შემარიგებლობა ახლა არა მარტო უდიდესი სისულელე იქნებოდა, არამედ პირდაპირ სამარცხვინოც. და სანამ ბოგდანი გყავთ, არც ადამიანთა უყოლობაზე ჩივილი გმართებთ (დახმარება გამოგზავნილია). დაუყოვნებლივ გვიპასუხეთ, რა ნაბიჯებს დგამთ.

გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

50

ი. ვ. ბაბუშკინს

16. I.

ჟენევიდან მივიღეთ «რაბოჩაია მისლის» № 16 (ჩანს, დაბეჭდილია და დაწერილიც კი «სვობოდას», ე. ი. ნადეჟდინის მიერ), რომელსაც გაკეთებული აქვს აღნიშვნა უკვე როგორც «სპბ. კომიტეტის» ორგანოს. იქვეა ვიშიბალოელების წერილი-გასწორება, წვრილმანი გასწორება, არსებითად არა გასწორება, არამედ ქ ა თ ი ნ ა უ რ ი «სვობოდასადმი». თუ ვიშიბალოელები ირწმუნებიან, რომ ეთანხმებიან «ზარიასა» და «ისკრას», ეს აშკარა მოტყუება, ნამდვილი გაბრიყვებაა: მათ სურთ დრო მოიგონ, რომ გაძლიერდნენ. ამიტომ მტკიცედ და დაბეჯითებით გირჩევთ ახლავე გამოუშვათ (ხოლო თუ გამოშვება არ შეიძლება, აქ გამოგზავნოთ) საპროტესტო ფურცელი კომიტეტის სახელით და საერთოდ უარყოთ ყოველგვარი შემარიგებლური კეკლუცობა და ლაქუცი, დაიწყოთ გადამწყვეტი ომი, ულმობელი ომი ვიშიბალოელებთან, ამხილოთ მათი გადასვლა სოციალ-დემოკრატიიდან «რევოლუციურ-სოციალისტური» «სვობოდისაკენ». მივესალმებით ნოვიცკაიას ენერგიულ ქცევას და კიდევ ერთხელ ვთხოვთ განაგრძოს ისევე მებრძოლურად, არ დაუშვას ოდნავი მერყეობა. ომი ვიშიბალოელებთან, ჯანდაბას ყველა შემარიგებელნი, «გაურკვეველ შეხედულებათა» ადამიანები და ზოზინები!! პატარა თევზი სჯობია დიდ ხოჭოს. 2 — 3 ენერგიული

და სავსებით ერთგული ადამიანი სჯობია ათეულ დონდლოს. მოიწერეთ რაც შეიძლება ხშირად და **დაუყოვნებლივ**, მოგვეცით თქვენს მუშებთან მისადგომი (და მათი დახასიათება), რათა ჩავარდნის შემთხვევაში უმწეოდ არ დავრჩეთ.

დაწერილია 1903 წ. 16 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

51

Გ. მ. კრჟიჟანოვსკის

27. I.

გწერთ სტარიკი. წავიკითხე 3. I-ის თქვენი მწყრალი წერილი და გიპასუხებთ დაუყოვნებლივ. მიწერ-მოწერის, ძაღლების[119] შესახებ etc. ქვემოთ გიპასუხებთ მდივანი[120]: ველარ გამირკვევია, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ ჩვენ აუცილებლად მუდმივი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, თვეში 2-ჯერ მაინც, დღემდე კი ეს არ ყოფილა, და ჩვენ დიდხნობით არაფერი ვიცოდით თქვენზე. ნუ გავიწყდებათ, რომ როცა წერილები არა გვაქვს, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, არ ვიცით, ცოცხლები არიან თუ არა ადამიანები, იძულებული ვართ, პირდაპირ იძულებული ვართ თითქმის არარსებულად ჩავთვალოთ ისინი. თქვენ არ მიპასუხეთ ჩემს კითხვაზე ბრუტის გადასვლის შესახებ: ჩანს, ნაკლები იმედია იმისა, რომ საქმე კარგად მოეწყოს, სანამ ეს გადასვლა არ მოხდება. ახლა საქმეზე. რომ გვლანძღავთ, ჩვენს ძალასა და გავლენას აზვიადებთ: ჩვენ შევთანხმდით აქ საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ, მივაღწიეთ იმას, რომ მოწვეულ იქნეს მისი ყრილობა, მიწვეულ იქნეთ თქვენ, მოგწერეთ თქვენ. მეტის არაფრის, სრულიად არაფრის გაკეთება არ შეგვეძლო და არაფერზე პასუხს არ ვაგებთ. უბედურების ფესვი ის არის, რომ ბრუტი არ ყოფილა საორგანიზაციო კომიტეტთან, და ყოველივე შემდგომი უმისოდ (ისევე როგორც უჩვენოდ) გაკეთდა. ჩვენ არ მიგვიღია უცნობი წევრი (ეს ვიღაც დონდლო და უჭკუოა, მე პირადად ვიცნობდი მას ფსკოვში, ოჯახითა და ადგილით

შებოჭილი და ჩამორჩენილია, ყოვლად უვარგისია, იმის გამო უკვე გალანძღეს პანკრატი), ჩვენ არ გადაგვიტანია ბიურო, ჩვენ აბსოლუტურად არავითარი «ძალაუფლება» არ მიგვიცია პანკრატისათვის. მაგრამ როცა ისე გამოვიდა, რომ პანკრატი საორგანიზაციო კომიტეტის ერთადერთი (NB NB) მოძრავი ადამიანი აღმოჩნდა, მაშინ შედეგად არ შეიძლებოდა ძალაუფლებაც არ ყოფილიყო. თქვენ იწერებით: ადამიანები არიან, ჩვენ კი ისინი არა გვყავს, მათ ვერ ვიცნობთ, ვერ ვხედავთო. ჩვენ ისე გავბრაზდით, რომ ნევრასტენიამ შეგვიპყრო იმის გამო, რომ სრულებით არა გვყავს ადამიანები საორგანიზაციო კომიტეტისათვის, რომლისთვისაც საჭიროა მოძრავი, მფრინავი, თავისუფალი და არალეგალური ადამიანები. ნარტო პანკრატი გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაზე, წავიდა, დაიწყო ფრენა, დაიწყო ყველაფრის გაგება — და თავისთავად აიღო კაპრალის ხარისხი. ჩვენ, გასაგებია, ხელს არ ვუშლიდით, ვინაიდან არც შეგვეძლო ხელი შეგვეშალა და არც გვინდოდა ხელი შეგვეშალა: სხვა არავინ არის!!! გაიგეთ ეს, ბოლოს და ბოლოს. პანკრატი ზარმაცი და დაუდევარია, მაგრამ ჭკვიანია, თავიანია, საქმე იცის, ჩხუბი შეუძლია, მასთან საქმის დაჭერა შესაძლებელია. ახლა იგი გაურკვეველი დროით ჩარჩა [პარიზში], და ჩვენ ვლანძღავთ მას, კინწისკვრით ვაგდებთ, რუსეთისაკენ, ვინაიდან სხვანაირად საორგანიზაციო კომიტეტი ნამდვილად ნულია. მალე მიდის «ონა» (აკიმის ძმა), შევეცდებით შევიყვანოთ იგი საორგანიზაციო კომიტეტში, «ონა» ვგონებ ენერგიულია. «პეროს» არ სურს წასვლა. პასპორტები არ არის, ასლები არ არის. თუ ბრუტი გადავა ახლობელ, ცოცხალ ადგილას, მაშინ ჩვენ მას დავეხმარებით დაიბრუნოს ბიურო[121], და ეგებ ყველაფერი მოგვარდეს. თორემ ყველაფერი ალაჰის ნებაზე, პანკრატის ნებაზე და «ონას» ნებაზე წავა (თუ წავიდა), და ჩვენ აქ უძლური ვართ.

ლიტერატურა წავიდა. გადატანილია 40 ფუთზე მეტი. საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებას ვბეჭდავთ № 32-ში, რომელიც ზეგ გამოდის.

დიადენკაც ჯერ განზე დგას (ისევე როგორც ბრუტი) და ვერსადაც ვერ მიაღწია; ის და ბრუტი თუნდაც პოლტავაში რომ დასახლებულიყვნენ, ისინი ბიუროს აიღებდნენ.

ზარინზე ფრიად გაჯავრებული ვარ: დალაგებულად არ იწერება, დონდლოა, არაფერი არ იცის კიევზე, გათიშვა დაუშვა თავის ცხვირწინ. ადგილობრივი საქმეებისაგან ამდენად ჩამოშორება პირდაპირ ველურობაა!! და რა ჩვენი ბრალია, რომ საორგანიზაციო კომიტეტის 2 «თანასწორუფლებიანი წევრიდან» ზარინი «ზის და დუმს», პანკრატი კი ინძრევა მაინც? მე ვფიქრობ (დანამდვილებით არ ვიცი), რომ ზარინი მცირე ინიციატივის მქონე კაცია და თანაც შებოჭილია ლეგალობითა და ადგილით. ახლა კი ასეთი ადამიანები თავისთავად განზე რჩებიან და, გარწმუნებთ, ეს ჩვენი ბრალი როდია, ჩვენს ნებაზე როდია დამოკიდებული.

დაწერილია 1903 წ. 27 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

52

რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირს საზღვარგარეთ

რუს. ს.-დ. კავშირს

პასუხად რსდ კავშირის წერილისა რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლიგისადმი, რაც ჩვენ მივიღეთ 4. II. 03, ვისწრაფვით ვაცნობოთ რსდ კავშირს, რომ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მის აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა შეიქმნას რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილება. მართალია, ჩვენ ვერასგზით ვერ დავეთანხმებით «რსდ კავშირის» აზრს, რომ საორგანიზაციო კომიტეტი «არასწორად ან არაზუსტად მიაწერს თავის წარმოშობას კერძო ინიციატივას», ვინაიდან საორგანიზაციო კომიტეტი პირდაპირ იმოწმებს კონფერენციის დადგენილებას (რა დადგენილების შესასრულებლადაც ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტი). თანაც საორგანიზაციო კომიტეტი შექმნეს იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც კონფერენციაში მონაწილეობდნენ. თუ საორგანიზაციო კომიტეტი ერთბაშად და დანარჩენი პარტიული ორგანიზაციების უკითხავად არ აცხადებს თავს ოფიციალურ პარტიულ დაწესებულებად, ეს, ჩვენი აზრით, მოწმობს საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ამოცანების სწორად გაგებას, მის ტაქტსა და სიფრთხილეს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სერიოზულ საქმეში.

თუმცა ვისწრაფვით შევნიშნოთ, რომ სრულებითაც არ ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას აღნიშნულ ჩვენს უთანხმოებას რსდ კავშირთან; პირიქით, ჩვენ სავსებით ვიმედოვნებთ, რომ

ეს უთანხმოება ადვილად გაიფანტება, როცა საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობა განვითარდება.

შემდეგ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ «საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების ჩამოყალიბების დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დაწყება» რაციონალური არ არის და ჩვენი მხრივ სავსებით კანონზომიერიც კი ვერ იქნება, სანამ რუსეთიდან არ მომხდარა პირდაპირი მიწვევა საორგანიზაციო კომიტეტის მხრივ. ჩვენ გვატყობინებენ, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე მისწერა ბუნდსაც რუსეთში და რსდ კავშირსაც საზღვარგარეთ. ჩვენ არც ერთი წერილის ტექსტი გვაქვს და არც მეორისა. მაგრამ ამ ფაქტიდან ყოველ შემთხვევაში გამომდინარეობს, რომ საორგანიზაციო კომიტეტი რუსეთში უკვე დგამს ნაბიჯებს აღნიშნული მიმართულებით. არა გვგონია რაციონალური იქნეს, რომ ჩვენ მოქმედება დავიწყოთ ისე, რომ არ დაველოდოთ საორგანიზაციო კომიტეტის ამ ნაბიჯების შედეგს.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ ვაცნობოთ რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტს რსდ კავშირის წერილი და ამასთან ერთად შევატყობინებთ საორგ. კ-ტს ჩვენს აზრს, რომ სასურველია რუსეთის საორგ. კ-ტმა დაუყოვნებლივ შექმნას თავისი განყოფილება საზღვარგარეთ. ჩვენი წინადადება იქნებოდა დაველოდოთ რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტის პასუხს. მაგრამ თუ ამხანაგებს ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტიდან და რსდ კავშირიდან სასარგებლოდ მიაჩნიათ მოეწყოს, ამ პასუხის მიღებამდე, ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტის, რსდ კავშირისა და რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლიგის წარმომადგენელთა კ ე რ ძ ო თ ა თ ბ ი რ ი, ჩვენ, რა თქმა უნდა, ამაზე უარს არ ვიტყვით.

რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლიგა

დაწერილია 1903 წ. 4 ან 5 თებერვალს
გაგზავნილია ლონდონიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

53

ი. ო. მარტოვს

5. II. 03.

გიგზავნით კავშირის წერილისა და ჩვენი პასუხის პროექტის[122] პირს. პასუხი გაეგზავნა პლეხანოვს, რათა იგი დაელოდოს შენს წერილს პარიზიდან. დაუყოვნებლივ მოაწყვე თათბირი პ. ანდრ. და ბორისთან და უპასუხე პლეხანოვს რაც შეიძლება მალე, ეთანხმება იგი პასუხს თუ საჭიროა ცვლილებანი. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა არ შეფერხდეს პასუხი კავშირელებისადმი, ცვლილებებისათვის კენჭისყრის შემთხვევაში კი კარგა დიდი შეფერხება გამოვა: იქნებ შეიძლებოდეს უმნიშვნელო ცვლილებებს გვერდი ავუაროთ. მაგრამ, რა თქმა უნდა, თუ არის არსებითი უთანხმოება, პასუხი უნდა შევაჩეროთ (მე პლეხანოვსაც ვწერ ამის შესახებ) და კენჭი ვუყაროთ ყველამ.

ჩემი აზრით (ვ. ი. და ლ. გრ. ამ აზრს ეთანხმებიან), აქ ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ 1) საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილება სწორედ **რუსეთის** საორგანიზაციო კომიტეტის განყოფილება იყოს. კავშირელები, ვგონებ, ვარაუდობენ ორ თანასწორუფლებიან განყოფილებას: რუსეთისას და საზღვარგარეთულს; ასეთი გაგების მიღება ან დაშვება ჩვენ არამც და არამც, არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია. რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტი უნდა გამოდიოდეს ფრთხილად (ამ მხრივ მისი ცნობა სანიმუშოდ არის შედგენილი), მაგრამ ყველა საქმეში და მისდამი ყველა მიმართვის დროს თავი

უ ნ დ ა ე ჭ ი რ ო ს უაღრესად დარბაისლურად და უაღ-
რესად სასტიკად, ე. ი. ისე, რომ იგი, რუსეთის საორგანიზა-
ციო კომიტეტი, განაგებს ყველაფერს და პარტიაში არავის არ
შეუძლია აკეთებდეს რ ა ი მ ე საერთო-პარტიულს, რაიმე სა-
ერთო-სავალდებულოს ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ, თ უ ა რ ა რ უ-
ს ე თ ი ს ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს დ ა ვ ა-
ლ ე ბ ი თ.

თავიანთი წერილით კავშირელები მაინც ცნობენ (ან თით-
ქმის $^3/_4$-ით ცნობენ) საორგანიზაციო კომიტეტს და რაც უფრო
ცნობენ მას, მით უფრო სასტიკად და მტკიცედ უნდა ეჭიროს
თავი საორგანიზაციო კომიტეტს. უაღრესად მნიშვნელოვანია
თავიდანვე აიღოს სწორი ტონი და ისე დაიჭიროს თავი, რომ
პარტიული პოზიცია მკაფიოდ გამოირკვეს: ა ნ ა მ საორგა-
ნიზაციო კომიტეტის ცნობა და მისდამი დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა,
ა ნ ო მ ი. Tertium non datur *. და ახლა ბევრი შანსია მოი-
პოვოს ს ა ე რ თ ო ალიარება, ისე რომ არავის არ აწყენინოს
და არავინ არ გააღიზიანოს, მაგრამ **იოტისოდნადაც** არ
დაუთმოს.

2) საჭიროა, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა თ ა ვ ი ს ი
საზღვარგარეთული განყოფილების ფუნქციები minimum-
ამდე დაიყვანოს. საზღვარგარეთული განყოფილება მხოლოდ
«განაგებს» (გაერთიანების მომზადების თვალსაზრისით) **სა-
ზღვარგარეთის** საქმეებს და ე ხ მ ა რ ე ბ ა რუსეთისას.
ყოველ სხვა საკითხში, რომელიც თუნდაც ოდნავ სცილდება
ამ ფარგლებს, საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარე-
თული განყოფილება უ ნ დ ა კ ი თ ხ უ ლ ო ბ დ ე ს რ უ ს ე-
თ ი ს ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ა ზ რ ს ა **და
გადაწყვეტილებას**. ამიტომ მე მტკიცედ მოვითხოვ, რომ რუსე-
თის საორგანიზაციო კომიტეტმა რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა
მ ა ლ ე მისწეროს წერილი კავშირს, ლიგასა და ბუნდს და
წინადადება მისცეს მათ შექმნან თ ა ვ ი ა ნ თ ი გ ა ნ ყ ო ფ ი-
ლ ე ბ ა **ამა და ამ ფუნქციების შესასრულებლად**. საჭიროა,
რომ სწორედ რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტმა მიუთითოს

* — მესამე მოცემული არ არის. რ ე დ.

«უწყების ფარგლებზე» თავის საზღვარგარეთულ განყოფილებას, და მე ქვემოთ ვაყენებ პროექტს, რომ ეს ფუნქციები განისაზღვროს **სამი** და მხოლოდ სამი, ზუსტად შემოფარგლული, პუნქტით. ძალიან გთხოვთ მალე განიხილოთ ეს პროექტი პ. ა. და ბორისთან და დაამტკიცოთ იგი (respective* კენჭის საყრელად დააყენოთ მისი ცვლილებანი). (ჩვენ ყველა ამ მონაცემს იურისაც[123] გავუგზავნით **და** ვთხოვთ მას დაელოდოს პ. ა. და ბორისის ჩასვლას, რომლებმაც მთელი ძალ-ღონით უნდა დააჩქარონ თავისი ეს ჩასვლა.)

(რა თქმა უნდა, პ. ა — ს შეეძლო აქვე მიეწერა წერილი ლიგისა, კავშირისა და ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტისათვის, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს უაღრესად არასასურველია, ვინაიდან იფიქრებენ, თითქოს განზრახ ვუწყობთ ამას ან რომ ეს ფიქციაა. უმჯობესია დაელოდოთ ერთი-ორი კვირა, მაგრამ მიაღწიოთ, რომ წერილი აუცილებლად რუსეთიდან გაიგზავნოს.)

მე აგრეთვე ვფიქრობ, რომ უნდა ვიფიქროთ საორგანიზაციო კომიტეტის (საზღვარგარეთული განყოფილების) წევრის ჩვენგანაც არჩევაზე და წინასწარ ვუყაროთ კენჭი, ვინაიდან კოლეგიის სხვადასხვა ადგილას განლაგების გამო ამას შეიძლება ბევრი დრო დასჭირდეს და სასიამოვნო არ იქნება ამისთვის ვალოდინოთ. ჩემი მხრივ, ხმას ვაძლევ ლ. გრ — ს.

პლეხანოვსაც რომ მივწერო, ამისათვის სრულებით არა მაქვს დრო. შენ პირდაპირ გადაუგზავნე მას **ახლავე** ეს წერილიც და კავშირისადმი პასუხიც, მე კი ჯერჯერობით ორ სიტყვას მივწერ.

ხელს გართმევ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

54

ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტს

ნ ი ჟ ნ ი ს

კასაციის შესახებ მე (ლენინს) თქვენი გადაწყვეტილება გონივრულად მიმაჩნია[124], — ვერ მოვასწრე (ნაწილობრივ ჯერ კიდევ ვერ შევძელი) მოვთათბირებოდი ამხანაგებს კოლეგიაში *. მამაცობა ნიჟნი-ნოვგოროდის მუშებისა, რომლებმაც ითხოვეს მხედველობაში არ მივიღოთ მათი პირადი სიკეთე, აღსანიშნავია «ისკრაში»: სასურველი იქნებოდა, რომ თქვენ დაწერდეთ წერილს რედაქციისადმი ამ ფაქტის შესახებ.

ჩვენ ბერლინის მეშვეობით მივიღეთ «წერილი «ისკრის» რედაქციისადმი ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტისაგან», წერილი დიდია, ტერორის შესახებაა და შეიცავს ტერორის დაცვას (ნაწილობრივსა და პირობითს); დაუმთავრებელია (როგორც ეტყობა). მოგვწერეთ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ:

1) გამოგზავნა თუ არა ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტმა ოფიციალურად ეს წერილი?

2) გაიმეორეთ მისი ბოლო (წერილში 7 პარაგრაფია, მთავრდება სიტყვებით: «ისინი წმენდენ ატმოსფეროს, ხშირად მეტისმეტად დაძაბულს, ისინი ასწავლიან მთავრობას უფრო ფრთხილად მოეპყროს რევოლუციონერებს»).

3) გვაცნობეთ, ნებას გვაძლევთ თუ არა შევიტანოთ სტილისტური შესწორებანი (ადგილ-ადგილ სტილი ძალიან ცუდია, შესაძლოა არასწორად, საჩქაროდ, გაურკვევლად გადაწერის გამო).

ჩვენ ალბათ დავბეჭდავთ წერილს ჩვენი პასუხით.

---

* შესაძლოა, მოვახერხო კიდევ დავუბრუნდე ამ საკითხს.

გულმოდგინედ და დაბეჯითებით გთხოვთ აუცილებლად გვაცნობოთ ხოლმე წერილებში, დაუგვიანებლად, კომიტეტის ყოველი ოფიციალური ნაბიჯი (დოკუმენტის გამოგზავნა ლიტერებით..., ფურცლების ნუსხა, პასუხი სხვა კომიტეტებისადმი ან საზღვარგარეთული ჯგუფისადმი და სხვ. და სხვ.). უამისოდ გარდუვალია გაუგებრობანი *, შეცდომები და საქმის გაჭიანურება. ისკრელები შეხმატკბილებულად უნდა მოქმედებდნენ და სწრაფად და ყოველმხრივ აწვდიდნენ ინფორმაციას «ისკრას».

მაგრად გართმევთ ხელს.

დაწერილია 1903 წ. 25 თებერვალზე ადრე
გაგზავნილია ლონდონიდან

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* მაგალითად, ჩვენ ბევრი ჭორი და ლანძღვა გვსმენია კომიტეტის იმ ფურცელზე, რომელიც მიმართული იყო გასამართლების დღეს დანიშნული დემონსტრაციის წინააღმდეგ. თვით ეს ფურცელი ამ ცოტა ხნის წინათ შემთხვევით მივიღეთ ბერლინიდან და დაგვიანებით. როგორ გეკადრებათ! ეს ხომ სკანდალია! ნუთუ გაუჭირდა კომიტეტს მოეწერა ჩვენთვის ფურცლის შესახებ და გამოეგზავნა ფურცელი გამოსვლისთანავე. ღვთის გულისათვის, მიიღეთ ყველა ზომა ამ დეფექტების გამოსასწორებლად.

55

საორგანიზაციო კომიტეტს

ჩვენი აზრით, «ordre du jour»-ის * საკითხი შემდეგნაირად დგას. ამ საკითხს, «დღის ordre»-ს საბოლოოდ წ ყ ვ ე ტ ს თ ვ ი თ ყ რ ი ლ ო ბ ა და მხოლოდ იგი. მაშასადამე, ამ პუნქტზე გადამწყვეტი ხმების შესახებ დავა სრულიად უსარგებლოა. შემდეგ, კომიტეტების მ ა ს ა მ უკვე აღიარა, რომ **«მხოლოდ და მხოლოდ»** საორგანიზაციო კომიტეტს ეკუთვნის ყრილობის მოწვევის «ინიციატივა». აქედან გამომდინარეობს, რომ ყრილობის წ ი ნ ა ს წ ა რ ი მომზადება, მათ შორის ordre du jour-ის წ ი ნ ა ს წ ა რ ი მ ო მ ზ ა დ ე ბ ა (respective ** პროპაგანდა) მინდობილი აქვს მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ საორგანიზაციო კომიტეტს. ამიტომ წინადადების წამოყენება, რომ კიდევ ვინმემ კ ე ნ ჭ ი უ ყ ა რ ო ს «წ ი ნ ა ს წ ა რ» ordre du jour-ს, სრულიად ზედმეტია: გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი მნიშვნელობა ამას არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ჰქონდეს. შემდეგ, ეს მხოლოდ გაჭიანურებასაც გ ა მ ო ი წ ვ ე ვ ს და უკმაყოფილებასაც, ვინაიდან იქნებიან ნ ა წ ყ ე ნ ე ბ ი (დაუკითხავი კომიტეტები), გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ იქნებიან უკმაყოფილონი და მომჩივანნი. მაშასადამე, ფორმალური ლოიალობის თვალსაზრისითაც მიღებულ არ უნდა იქნეს ა რ ა ვ ი თ ა რ ი ფ ო რ მ ა ლ უ რ ი გადაწყვეტილება კომიტეტების ან ვისიმე სხვისი ხმების შეგროვების შესახებ. ეს მხოლოდ ავტორიტეტს შეულახავს

* — დღის წესრიგის. რ ე დ.
** — ანუ. რ ე დ.

საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც უარს ამბობს მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ მისთვის მინიჭებულ ინიციატივაზე.

თუ მეტად უხერხულია მიღებული (და ფორმალურად უნაკლო) გადაწყვეტილებისათვის სახის შეცვლა, იქნებ გამოინახებოდა ასეთი გამოსავალი: გადააქციოთ კენჭისყრა (კომიტეტებისა) მათთან თ ა თ ბ ი რ ა დ, ე. ი. დაადგინოთ, რომ საორგანიზაციო კომიტეტი შეძლებისდაგვარად ეცდება თ ა თ ბ ი რ ი ს ა თ ვ ი ს გამოიყენოს შეხვედრები და საუბრები.

დასასრულ გირჩევთ დააჩქაროთ ყრილობა. რაც უფრო მალე მოიწვევთ, მით უკეთესია. და დაუყოვნებლივ და რაც შეიძლება აქტიურად შეუდექით კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ს, დელეგატების წამოყენებას, ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი ს ა და ოდესის მიმხრობას. მთავარია: უზრუნველვყოთ სრული რწმენა, რომ მტკიცე ისკრელებს უეჭველი უმრავლესობა ეყოლებათ.

დაწერილია 1903 წ. 5 ან 6 მარტს
გაგზავნილია პარიზიდან ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

56

საორგანიზაციო კომიტეტს

წერილი საორგანიზაციო კომიტეტს

ეს არის მივიღეთ ყრილობის წესდება. ამრიგად, ჩვენ ვერ გაგიგეთ და გიპასუხეთ ordre du jour-ის* შესახებ, როცა თქვენ გვეკითხებოდით ყრილობის წესდებაზე. ვიჩქარით გაცნობოთ, რომ საერთოდ ძალიან კმაყოფილი ვართ თქვენი პროექტით, რომელიც გულდასმით და გონივრულად არის შედგენილი. მე-19 პარაგრაფი, რომელმაც დავა გამოიწვია, ჩვენ რაციონალური გვეჩვენება: ყრილობიდან ზოგიერთი ორგანიზაციის გარიცხვა (ხოლო წესდება, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ზოგის გარიცხვისა და ზოგის უფლებამოსილების წესდებაა) მართლაც უხერხულია და არ შეიძლება, თუ კომიტეტების უმრავლესობის თანხმობა არ იქნა. ჩვენ მხოლოდ გირჩევდით დანიშნოთ სავალდებულო და ფორმალური ვადა, რაც შეიძლება მოკლე (მაგალითად, არა უმეტეს ერთი კვირისა), რომლის განმავლობაშიც კომიტეტები და ორგანიზაციები ვალდებული არიან შეიმუშაონ და გამოგზავნონ წესდების პროექტის თავიანთი ცვლილებანი. ეს მეტად საჭიროა, რომ თავიდან ავიცილოთ გაჭიანურება, რისაც ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს. (ალბათ გაჭიანურების შიშით განაცხადა პროტესტი იგნატმაც. მისი

* — დღის წესრიგის. რედ.

შიში ჩვენთვის გასაგებია, მაგრამ თუ თქვენ შეძლებთ სწრაფად დაამთავროთ გამოკითხვა, საქმის გამოსწორება შეიძლება.)

ჩვენი მხრივ ისკრულ ორგანიზაციებს მივწერთ, რომ ვურჩევთ დაუყოვნებლივ და მთლიანად მიიღონ თქვენი პროექტი. დაბეჯითებით გთხოვთ აამოქმედოთ მთელი არსებული ძალები, რომ ერთ თვეში მაინც დაამთავროთ პროექტის დაგზავნა და შეტყობინებაც (§ 19-ის საფუძველზე), სამედიატორო სასამართლოების «სესიაც» და დეპუტატთა შემადგენლობის განსაზღვრაც.

არაფორმალურად გირჩევთ ამასთან რეკომენდაცია მისცეთ ყველა სრულუფლებიან ორგანიზაციას — დანიშნონ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ ერთი (ან ორი) დელეგატი იმ ამხანაგთაგან, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი წარსული მუშაობით და იმყოფებიან საზღვარგარეთ, — იმისათვის, რომ თავიდან აცილებულ იქნეს ხარჯების გადიდება და საზღვარგარეთ დელეგატების გაგზავნის სიძნელენი.

ფორმალურად წინადადებას გაძლევთ 1) შეავსოთ თქვენი პროექტი მხოლოდ § 19-ისადმი შენიშვნით: «ის ორგანიზაციები, რომლებიც პროექტის მიღების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში შენიშვნებს არ გამოგზავნიან, მიჩნეულ იქნებიან ისეთებად, რომლებიც ყრილობის წესდების პროექტს დაეთანხმნენ»; 2) შეავსოთ შენიშვნით დელეგატთა კანდიდატების შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუ დელეგატებს ყრილობამდე დააპატიმრებენ.

დაწერილია 1903 წ. 6 და 9 მარტს შუა
გაგზავნილია პარიზიდან ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

57

გ. ვ. პლეხანოვს

15. III. 03.

ძვირფასო გ. ვ.! თქვენი წერილი მივიღე. «მარტის იდები» დაწერეთ, ეს ჩინებულია. ზ ღ ვ რ უ ლ ი ვადა — 25. III. 03 სტატია აქ უნდა იყოს. ვ ე ლ ი თ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ.

მასლოვს ამ დღეებში გამომიგზავნიან პარიზიდან (დავაჩქარებინებ), და მ ა შ ი ნ ვ ე გამოგიგზავნით. იქ საინტერესო მასალებია თემის მავნებლობაზე, — რომლებიდანაც ციტატები პარიზში მოვიყვანე [125].

დავიდი უკვე გამოვიწერე და ახლა ვკითხულობ. საშინლად წყალწყალა, უფერული და უხამსია. ვეცდები მალე დავამთავრო, რომ თქვენ გამოგიგზავნოთ. ნახეთ კაუცკის სტატიები ამ «ახალ პრუდონისტზე»?

მე ახლა ჩავუჯექი პოპულარულ ბროშურას გლეხებისათვის ჩვენი აგრარული პროგრამის შესახებ [126]. ძალიან მინდა ჩვენი იდეა სოფლად კლასობრივი ბრძოლის შესახებ განვმარტო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მონაცემებით სოფლის მოსახლეობის ოთხი ფენის შესახებ (მემამულეები, გლეხური ბურჟუაზია, საშუალო გლეხობა და ნახევრადპროლეტარები პროლეტარებთან ერთად). თქვენ რას ფიქრობთ ასეთ გეგმაზე?

პარიზიდან ისეთი შთაბეჭდილებით წამოვედი, რომ მხოლოდ ასეთი ბროშურით შეიძლება გავფანტოთ გაუგებრობა ჩამონაჭრების შესახებ etc.

26 თებერვლის მანიფესტის შესახებ დაიწერე სტატია, რომელიც ჯერ კიდევ № 34-ში დაიბეჭდება [127]. მე მტკიცედ

მოვითხოვდი, რომ ეს სტატია მოწინავედ დაბეჭდილიყო მანიფესტის უ დ ი დ ე ს ი მნიშვნელობის გამო. მაგრამ, ვგონებ, ვ. ი. ყ ო ყ მ ა ნ ო ბ ს (!) და ი. ო — სთან ერთად წყვეტს პირიქით: ჯერ მარქსზე.

ჩემი აზრით, ეს უცნაურობაა.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

58

საორგანიზაციო კომიტეტს

ჩვენ გირჩევთ დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები იმისათვის, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიასთან ერთად გამოუშვას ფორმალური განცხადება (რაც შეიძლება უფრო დაწვრილებითი და ზუსტი) რუს. სდმ პარტიასთან სრული სოლიდარობისა და პარტიაში შესვლის სურვილის შესახებ. ასეთი ფორმალურად გამოქვეყნებული განცხადების საფუძველზე საორგანიზაციო კომიტეტი შეძლებდა პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მიწვევას ყრილობაზე. მაშინ ალბათ არავინ არ განაცხადებს პროტესტს [128].

შემდეგ (კერძოდ) გულმოდგინედ გთხოვთ ყველგან და ყველას შორის ამზადოთ ნიადაგი ყრილობაზე ბუნდთან საბრძოლველად. ბუნდი შეუპოვარი ბრძოლის გაუმართავად არ დათმობს თავის პოზიციას. ჩვენ კი არასოდეს არ შეგვიძლია მივიღოთ მისი პოზიცია. მხოლოდ ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება — მივყვეთ ბოლომდე, იქამდე, რომ ბუნდი პარტიიდან განვდევნოთ, — უეჭველად აიძულებს მას დათმოს.

დააჩქარეთ სია: ეს მეტად მნიშვნელოვანია და ეს მალე უნდა გააკეთოთ, არ უნდა დაელოდოთ კომიტეტების პასუხს. ჰო: დაუნიშნეთ თუ არა კომიტეტებს მოკლე ვადა პასუხისათვის? ადგენთ თუ არა უკვე დანიშნულ დელეგატთა სიას? (ჩვენ გამოგვიგზავნეთ, რომ უფრო საიმედო იყოს).

დაწერილია 1903 წ. 31 მარტს
გაგზავნილია ლონდონიდან ხარკოვში

მთლიანად პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

59

Გ. მ. კრჟიჟანოვსკის

(სტარიკი.)

ამჯერად ბევრს ვერაფერს გაცნობებთ. ჩემი **აზრით,** ახლა მთავარია მთელი ძალ-ღონით დავაჩქაროთ ყრილობა და უზრუნველვყოთ საქმიანი (და «ჩვენი») დელეგატების უმრავლესობა. თითქმის მთელი იმედი ბრუტზეა. საჭიროა, რომ მან, შეძლებისამებრ, თვითონ მიადევნოს თვალყური ყ ვ ე ლ ა-ფ ე რ ს, განსაკუთრებით დელეგატებს და შეეცადოს რაც შეიძლება მეტი გაიყვანოს ჩვენები. კომიტეტებისაგან ორ-ორი ხმის სისტემა ამას ძალიან უწყობს ხელს. შემდეგ მეტად მნიშვნელოვანია ბუნდის საკითხი. საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ პოლემიკა ჩვენ მასთან შევწყვიტეთ, მაგრამ პრინციპული, რა თქმა უნდა, არ შეგვიწყვეტია. ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. და საჭიროა ყველას და თვითეულს შეასმინოთ, «თავში ჩაუჭედოთ», რომ ბუნდთან ომი უნდა ამზადო, თუ მასთან მშვიდობა გსურს. ომი ყრილობაზე, ომი გათიშვამდეც — რადაც უნდა დაგვიჯდეს. მხოლოდ მაშინ დაგვნებდება იგი უეჭველად. უაზრო ფედერაციის მიღება კი ჩვენ აბსოლუტურად არ შეგვიძლია და არც მივიღებთ როდისმე. სულ ბევრი: ავტონომია 1898 წლის ძველი წესდების მიხედვით ცენტრალური კომიტეტისაგან ბუნდის ცენტრალურ კომიტეტში დანიშნული დელეგატის მონაწილეობით, ეს სულ ბევრი. უნდა ვამზადოთ ხალხი, განვუმარტოთ უაზრობა, ვუჩვენოთ უხამსობა ეკატერინოსლავის წინააღმდეგ გამოხდომისა[129] და სხვ.. გთხოვთ მალე მომწეროთ, როგო-

რია ხალხის განწყობილება ამ მხრივ, როგორ მიდის თქვენი პროპაგანდა და არის თუ არა იმედი, რომ უმრავლესობა სწორ თვალსაზრისზე დგას. ჩვენ გვინდა გამოვუშვათ ბროშურა ებრაელი მუშებისადმი მჭიდრო ერთიანობის აუცილებლობის შესახებ, ფედერაციისა და «ეროვნული» პოლიტიკის უაზრობის შესახებ.

დაწერილია 1903 წ. 3 აპრილს
გაგზავნილია ლონდონიდან სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

60

საორგანიზაციო კომიტეტს

6. IV. 03.

ვგზავნით რა საორგანიზაციო კომიტეტში საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების შეკითხვას, ჩვენი მხრივ, დაბეჯითებით გირჩევთ, არამც და არამც არ გააფართოოთ საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების ფუნქციები და არ დაანებოთ მას თუნდაც ერთი გოჯით გააფართოოს თავისი ჩარჩოები, რისკენაც იგი მთელი ძალ-ღონით მიისწრაფვის. საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების ფუნქციები საქმის ინტერესებისათვის არამც და არამც არ უნდა გასცილდეს ყრილობის კონსპირაციული ნაწილის მომზადებას, ფულის შეგროვებას და, სულ ბევრი, კიდევ საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანების პირობების განხილვას ამ საკითხის წინასწარი მომზადების სახით. 1 ა) პუნქტის შესახებ ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების მისამართი კომიტეტებს დაურიგდეს. ეს სრულებით ზედმეტია, საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული განყოფილების ახლანდელი ფუნქციების დროს. ეს საკმაოდ საშიშია საქმის გაჭიანურებისა და არევ-დარევის მხრივ. გამოქვეყნების შესახებ საჭიროა პირდაპირ განვაცხადოთ, რომ ყველაფერი გამოქვეყნდება «ისკრაში» (ამის ფორმალური საფუძველია კომიტეტების უმრავლესობის აღიარება). სხვა ორგანიზაციებს ფორმალურად უნდა ვურჩიოთ «ისკრი-

დან» გადაბეჭდონ საორგანიზაციო კომიტეტის ყველა განცხადება. საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთულ განყოფილებასთან საორგანიზაციო კომიტეტის კავშირის შესახებ ჩვენ გირჩევთ ასე მოაწყოთ საქმე: საორგანიზაციო კომიტეტი თავისი გზით უკავშირდება **დეიჩს (დეიჩი** მდივანია საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთული კომიტეტისა, სადაც კიდევ **ალექსანდრე და ლოხოვი** შევიდნენ). ხოლო დეიჩს დაუკავშირდებით ხოლმე ჩვენი საშუალებით, როგორც წინათ. ეს სავსებით ბუნებრივია: საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთულმა განყოფილებამ მდივანი აირჩია, და თქვენ დაამტკიცეთ იგი.

მე-2 კითხვაზე გირჩევთ თანხმობით უპასუხოთ, ხოლო მე-3-ზე — განმარტებით, რომ დღის წესრიგი წარმოდგენილი იქნება და უკვე მუშავდება.

გაგზავნილია ლონდონიდან ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

61

ე. მ. ალექსანდროვას

პირადად ლენინისაგან

წავიკითხე თქვენი ვრცელი წერილი. დიდად გმადლობთ მისთვის. სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. თქვენ მთხოვთ ძალიან არ გაგბრაზდე. გულახდილად გეტყვით, რომ ძალიან როდი ვბრაზობდი, უფრო მეღიმებოდა, როცა ვიგონებდი ჩემს უკანასკნელ საუბარს «ბუნაგის» კარის წინ ვინმე ქაკთან [130], რომელიც მაშინ (მაშინ!) ფიქრობდა, რომ ჩვენ ძალიან ნაკლებად ვმბრძანებლობთ. საორგანიზაციო კომიტეტის შიგნით საქმეები ერთბაშად რომ არ გვარდება, ჯერ კიდევ უამრავი არეულობა და ანარქია რომ არის, ეს მე ვიცოდი და სხვას არაფერს მოველოდი. ამის წინააღმდეგ სხვა წამალი არ არის გარდა ერთი ბეჯითი მკურნალობისა (დრო და გამოცდილება) და ერთი ძლიერ მოქმედი საშუალებისა (პარტიის საერთო ყრილობა). უკვე დიდი ხანია ვწერდი და ვიმეორებ: დააჩქარეთ, ღვთის გულისათვის, ეს საშუალება რამდენადაც კი შეიძლება, თორემ თქვენი გამოცდილება შესაძლოა სულ დაიკარგოს.

საკითხებზე 1) იურის [131], 2) ბიუროს და 3) ბუნდისტთან იგნატის დავის შესახებ არაფერს მოგწერთ. ეს ნაწილობრივ მოძველდა, ნაწილობრივ ადგილზე გადასაწყვეტია, და ჩემი რჩევა ამ უკანასკნელი ნაწილის შესახებ (მიუხედავად ჩემი მეგობრის, ქაკის აზრისა) უკეთეს შემთხვევაში უშედეგო იქნებოდა. ეს ნაწილი თქვენ (თქვენ ყველამ) თვითონ

უნდა გადაწყვიტოთ, გადაწყვიტოთ არა sollen * აზრით, არამედ müssen ** აზრით.

გესაუბრებით ბუნდზე, P. P. S-ზე *** და «ერესზე».

ფორმალურად, ჩემი აზრით, ბუნდს უნდა ვეპყრობოდეთ თავაზიანად და ლოიალურად (ცხვირ-პირში პირდაპირ არ ვცემდეთ), მაგრამ ამავე დროს უაღრესად ცივად, სავსებით ოფიციალურად და კანონიერ ნიადაგზე ულმობლად და ყოველ საათს ჩიხში ვიმწყვდევდეთ მას, უშიშრად მივდიოდეთ ბოლომდე. დაე წავიდნენ, თუ კი სურთ, — მაგრამ ჩვენ ხელში არ უნდა მივცეთ მათ განხეთქილების თუნდაც ოდნავი საბაბი, თუნდაც საბაბის ნატამალი. ფორმალობა ყრილობამდე, რა-საკვირველია, უნდა დავიცვათ, მაგრამ გამჟღავნება საჭირო არ არის. თქვენ იწერებით: ბუნდისტმა კიდევაც იცის, რომ ჩვენ «ისკრისათვის» ვცდილობთ, მაგრამ დუმს, თუმცა საორგანიზაციო კომიტეტის სახელით ჩვენ უფლება არა გვაქვს ამას ვაკეთებდეთო. ჩემი აზრით, ეს არც უნდა კეთდებოდეს საორგანიზაციო კომიტეტის სახელით, არამედ უნდა კეთდებოდეს პ ი რ ა დ ა დ თვითეული წევრის სახელით, ამასთან უნდა იმოწმებდნენ არა საორგანიზაციო კომიტეტს, არამედ ი მ კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ს, რ ო მ ლ ე ბ მ ა ც «ი ს კ რ ა» ს ც ნ ე ს. შედეგი იგივეა და ბევრად უფრო ძლიერიც (არავითარი «აგენტი» არ არის), ფორმალური მხარე კი უნაკლოა. ბუნდის წინააღმდეგ კომიტეტების მომზადება მომენტის ერთ-ერთი ყ ვ ე ლ ა ზ ე მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა მ ო ც ა ნ ა ა, და ესეც სავსებით შესაძლებელია ფორმის დაურღვევლად.

სწორედ ასევე ამაო იყო P. P. S-თან ლაპარაკი «საორგანიზაციო კომიტეტის წ ე ვ რ თ ა რწმენაზე». საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ უნდა გეთქვათ: ყრილობას ვამზადებთ, ი გ ი გადაწყვეტს, ხოლო «რწმენის» საკითხს დუმილით არ უნდა აუაროთ გვერდი, მაგრამ დაიმოწმოთ არა საორგანიზაციო კომიტეტი, არამედ «ისკრა» და კ ი დ ე ვ უ ფ რ ო მ ე ტ ა დ ის კომიტეტები, რომლებმაც «ისკრა» ცნეს. შემდეგ

* — მოვალეობის. რ ე დ.

** — აუცილებლობის. რ ე დ.

*** — პპს (პოლონეთის სოციალისტური პარტია). რ ე დ.

უნდა მიაღწიოთ იმას, რომ P. P. S-ისაგან მიიღოთ თუნდაც პატარა, მაგრამ ფორმალური ქაღალდი (წერილი), და არ ეუბნებოდეთ მათ, «ჩვენ ანტინაციონალისტები» ვართო (რა საჭიროა ტყუილად დააფრთხოთ ხალხი?), არამედ რბილად არწმუნებდეთ, რომ ჩვენი პროგრამა (ეროვნული თვითგამორკვევის უფლების აღიარება) მათთვისაც საკმარისია, გამოიწვიოთ ისინი იმისათვის, რომ გააკეთონ გარკვეული კონტრგანცხადებანი და ფორმალური მიმართვა საორგანიზაციო კომიტეტისა ყრილობისადმი. ჩვენი მთავარი საბუთი P. P. S-ის წინააღმდეგ ის არის, რომ ჩვენ პრინციპულად ვაღიარებთ ეროვნულ თვითგამორკვევას, მაგრამ გონივრულ ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ერთიანობით.

არ დამავიწყდეს: დანამდვილებით არ ვიცი, ვინ არის «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის წარმომადგენელი საორგანიზაციო კომიტეტში. აგრეთვე არ ვიცი, რად უნდა ვიცოდე ეს? და რად უნდა იყვნენ «წარმომადგენლები»?? საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე დიდი ხანია კოოპტაციის წესით მიიწვია ყველა და ყოველი კარგი ადამიანი და სრულებითაც არა «წარმომადგენლები»? თუ ეს მართალი არ არის?

«ისკრის» რუსეთის ორგანიზაციისა და საორგანიზაციო კომიტეტის განსხვავებით საჭიროა, ჩემი აზრით, ვისარგებლოთ სწორედ ფორმალური უნაკლობის მიზნით.

ახლა «ერესის» შესახებ. ან მე სწორად ვერ გაგიგეთ, ან ეს დიდი შეცდომაა. რადგან თქვენი წერილი ამ (უმნიშვნელოვანეს) პუნქტზე მეტად მოკლეა, მე მხოლოდ ის დამრჩენია, რომ თქვენი სიტყვები მივიღო à la lettre*. ოთხი არჩეული «აწყობს» ცენტრალურ კომიტეტსაც და ცენტრალურ ორგანოსაც!! ეს, მაპატიეთ გულახდილობა, პირდაპირ სასაცილოა, ვინაიდან თქვენ ხომ უნდა იცოდეთ, რომ ცენტრალური ორგანოს «მოწყობის» კომპეტენცია აქვთ (ე. ი. შეუძლიათ საქმის ცოდნით და საამისოდ აუცილებელი

* — სიტყვასიტყვით. რედ.

გამოცდილებით) მხოლოდ რედაქციის წევრებს + ერთეული ადამიანები გარედან სათათბიროდ, ცენტრალური კომიტეტის მოწყობის კომპეტენცია კი აქვთ აგრეთვე მხოლოდ გამოცდილ პრაქტიკოსებს + ერთეული ადამიანები სათათბიროდ (თუ თქვენ იცნობთ ასეთ ადამიანებს). ანდა, იქნებ, თქვენ ისეთ «ოთხსაც» იცნობდეთ, რომლებსაც **გამოცდილებაცა** აქვთ და ცოდნაც ყოველივე ამისათვის??? თუ ასეა, დაასახელეთ — ამას სერიოზულად ვამბობ და არა ხუმრობით, ვინაიდან ჩემი წერილი პირადი ხასიათისაა და თქვენი აზრის გარკვევა ჩემთვის დიდმნიშვნელოვანია.

თქვენ, თუ არ ვცდები, ერთხელისუფლებიანობა და «მტკიცე ხელი» გსურთ. კარგი საქმეა, და თქვენ ათასგზის მართალი ხართ, რომ ჩვენ სწორედ ეს გვჭირდება. მაგრამ ისე პირდაპირ, როგორც თქვენ გგონიათ, ამას ვერავინ ვერ მიაღწევს. მიმდინარე საქმეთა $^{9}/_{10}$-სათვის 2 ცენტრი უთუოდ საჭიროა, ისინი მაშინვე თვითონ შეიქმნებიან, ჩვენ კიდევაც რომ არ გვსურდეს ეს. წესრიგისათვის კი საჭიროა 1) ფორმალური გზა ამ 2 ცენტრის გასაერთიანებლად (მაგალითად, კომისია, რომელშიც იქნებიან ორივე მათგანის დელეგატები), 2) წევრთა რიცხვის შემცირება ორივე ცენტრში, ან აღმასრულებელი კომისიების გამოყოფა ორივე ცენტრს შიგნით და — რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — 3) ფუნქციების ზუსტი და ფორმალური განაწილება ცენტრების ცალკეულ წევრებს შორის, ისე რომ ორივე ცენტრის მთელმა შემადგენლობამ ზუსტად იცოდეს, რომელ წევრს რის გამგებლობა დაევალა, რომელ წევრს (ორივე ცენტრისას) აქვს უფლება გადაწყვიტოს საქმე (და კიდევაც ილაპარაკოს) საკითხთა თვითეულ დარგში და როგორია ერთი ან ორივე ცენტრის საერთო კრებაზე საქმის გადატანის გზა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კიდევ და კიდევ შეარბილებთ თქვენს მოთხოვნებს და დამეთანხმებით, რომ ეს უახლოესი სურვილების maximum-ია. და ეს ძალიან, ძალიან ძნელია, და ფუნქციების ამ განაწილებისათვის მე ვერ ვხედავ სავსებით ვარგის, მცოდნე, გამოცდილ ადამიანებს. უთადარიგობა თქვენ **და ჩვენ** (მარტო თქვენს თავზე ნუ

ფიქრობთ, ბ-ნო საორგანიზაციო კომიტეტის წევრებო, თქვენ ხომ მთელ პარტიას «აწყობთ») ურიცხვი, უამრავი, აურაცხელი გვაქვს, და საჭიროა გამოვიგონოთ არა pia desideria *, არამედ პრაქტიკული, მტკიცე, «პირველი ნაბიჯები».

მე გულახდილად გადმოგეცით ჩემი შეხედულება და ძალიან მოხარული ვიქნები, რომ კიდევ გვექნებოდეს მიწერ-მოწერა. ასეთ საკითხებზე თქვენ, ღმერთმანი, უფრო ხშირად და დაწვრილებით უნდა იწერებოდეთ. არაფერი არა მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ეს წერილი გააცნოთ მთელ საორგანიზაციო კომიტეტს, კიდევაც მსურს ეს, მაგრამ გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია. კარგი ჰქენით, რომ აღნიშნეთ, ვის ეგზავნებოდა თქვენი წერილი.

გისურვებთ ყოველივე კარგს. შეარბილეთ მოთხოვნები და დააჩქარეთ, დააჩქარეთ, დააჩქარეთ «ძლიერ მოქმედი საშუალების» გამოყენება. მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1903 წ. 22 მაისის შემდეგ
გაგზავნილია ჟენევიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — კეთილი სურვილები. რედ.

62

ა. მ. კალმიკოვას

7. IX. 03.

ეს არის მივიღე თქვენი წერილი და ვიჩქარი გიპასუხოთ. დიახ, მე ვხედავ, რომ თქვენ უკვე იცით საქმის ვითარება და რომ ის ცნობები, რომლებმაც ეს ცოდნა მოგცათ, შეფერადებულია გარკვეული იერით, — სხვანაირად ეს, რა თქმა უნდა, არც შეიძლებოდა ყოფილიყო. აგრეთვე მესმის, რომ ის, რაც მოხდა, არ შეიძლება არ გაწუხებდეთ.

მაგრამ ერთია ცოდნა და სულ სხვაა გაგება, სამართლიანად იწერებით თქვენ, და მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც მოხდა, არ შეიძლება გაგებულ იქნეს «საშინელი ნერვული მოქანცულობის გავლენის» თვალსაზრისით. ნერვულ მოქანცულობას შეეძლო გამოეწვია მხოლოდ მწვავე გაბოროტება, გააფთრება და განუსჯელი დამოკიდებულება შედეგებისადმი, თვით შედეგები კი სრულიად გარდუვალია, და მათი დადგომა დიდი ხანია მხოლოდ დროის საკითხი იყო.

«შპანა» და «პრეტორიანელებიო» — ამბობთ თქვენ. ეს ასე არ არის. პოლიტიკური დაჯგუფება im Grossen und Ganzen * ასეთი იყო: 5 ბუნდელი, 3 რაბოჩედელოელი, 4 იუჟნირაბოჩელი, 6 «ჭაობი» ანუ გაუბედავი, 9 ისკრელი რბილი ხაზისა (ანუ Zickzackkurs-ისა **) და 24 ისკრელი მტკიცე ხაზისა:

---

* — საერთოდ და მთლიანად. რ ე დ.

** — ზიგზაგის კურსისა. რ ე დ.

ეს გადამწყვეტი ხმებია და, რა თქმა უნდა, მიახლოებითი. ყოფილა შემთხვევები, როცა ყველაფერი სხვანაირად გადაიხლართებოდა ხოლმე, მაგრამ à vol d'oiseau *, საერთო შედეგად, ჯგუფები სწორედ ასეთია. არევ-დარევის ყველაზე დიდმა შემთხვევამ (ენათა თანასწორუფლებიანობა), როცა ბევრი ისკრელი შეირყა, ჩვენ დაგვიტოვა არა ნაკლებ 23-ისა (ისკრელთა საერთო რიცხვიდან — 33-დან) და ამ 23-შიც კი «მარტოველები» უმცირესობას შეადგენდნენ. თუ იცით თქვენ ვოტის შედეგები 16-ის კრებაში? «ი ს კ რ ი ს» ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს 1 6 წ ე ვ რ ი ს და არა «შპანის», არა «პრეტორიანელების» კრებაში? იცით თუ არა, რომ აქაც მარტოვი უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა შ ი ი ყ ო იმ პირის საკითხშიც, რომელიც განხეთქილების საბაბს წარმოადგენდა, და **სიების საკითხშიც?**

რბილი ანუ ზიგზაგის კურსის ისკრელთა უმცირესობამ დაამარცხა უმრავლესობა (წესდების საკითხში, და არა ერთხელ) ბუნდის + ჭაობის + იუჟნირაბოჩელების კოალიციით. ხოლო როცა ბუნდი და «რაბოჩეე დელო» წავიდნენ, ისკრელთა უმრავლესობამ რევანში აიღო. Voilà tout **. და არც ერთ ადამიანს არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ თუ ბუნდი არ წავიდოდა, მარტოვი დაგვამარცხებდა ცენტრების საკითხში. და ასეთი ფინალიდან გამოიყვანო შეურაცხყოფა, წყენა, პარტიის გათიშვა! ეს სიგიჟეა. იგონებენ, რომ «პრეტორიანელები» ცილისმწამებლურად აბრალებდნენ იპორტუნიზმს და ერეკებოდნენ, რომ ჩირქსა სცხებდნენ და იშორებდნენ საქმიან ადამიანებს etc. ყოველივე ეს სისულელეა, შეურაცხყოფილი ფანტაზიის ნაყოფია და rien de plus ***. არავის, აბსოლუტურად არავის არა «სცხებდნენ ჩირქს» და არ იშორებდნენ სამუშაოდან, საქმეში მონაწილეობიდან. მხოლოდ ზოგი ვინმე მოიშორეს ც ე ნ ტ რ ი დ ა ნ — და ეს უნდა იწყინონ? ამისათვის პარტია გათიშონ? ამისათვის ჰიპერცენტრალიზმის თეო-

* — ფრინველის ფრენის სიმაღლიდან. რ ე დ.
** — ეს არის და ეს. რ ე დ.
*** — მეტი არაფერი. რ ე დ.

რია შექმნან? ამისათვის იყვირონ სასტიკად მოპყრობაზე etc.? არასოდეს ერთი წუთითაც არ შემპარვია და არ შეიძ-ლება შემეპაროს ეჭვი იმაში, რომ რედაქტორთა სამეული ერთადერთი ჭეშმარიტად საქმიანი სამეულია, რომელიც არაფერს არ ამსხვრევს, არამედ ძველ «ძმაბიჭურ» კოლეგიას ამზადებს თანამდებობის პირის როლისათვის. ექვსე-ულის სწორედ ძმაბიჭურობა გვღრღნიდა მთელ 3 წელიწადს, თქვენ ხომ ეს ჩინებულად იცით, და იმ მომენ-ტიდან, რაც «ისკრა» პარტია გახდა და პარტია «ისკრა» გახდა, თქვენ მოვალე იყავით, ვალდებული იყავით კავ-შირი გაგეწყვიტათ 6-ეულთან, კავშირი გაგეწყვიტათ ძმაბი-ჭურობასთან. სწორედ ამიტომ მე უკვე ყრილობის წინ გან-ვაცხადე, რომ მოვითხოვ თავისუფლად არჩეულ იქნეს რედაქ-ცია — respective * სამეული, რომელიც ერთადერთი ბაზი-სია საქმიანი კოოპტაციისთვისაც.

«ძმაბიჭურობასთან» კავშირის გაწყვეტა უთუოდ საჭირო იყო საქმისათვის, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ექვსეული მშვიდობიანად მიიღებდა ამ სამეულს, ამას რომ არ დართოდა ჩხუბი 1 §-ისა და ცენტრალური კომიტეტის გო-ლისათვის. მხოლოდ ამ ჩხუბმა მისცა მათს თვალში 3-ეულს ეს «საშინელი» აბსოლუტურად არასწორი ელფერი. «საშინელი» სრულებით არაფერია, Zickzackkurs-ის შეზღუდვა კი აუცილებელი იყო, და ისკრელების უმრავლესობას (ყრილობაზეც და «ისკრის» ორგანიზაციის შიგნითაც) ეს მშვენივრად ესმოდა.

არა, ვიმეორებ, ფინალი «გაუთვალისწინებელი უბე-დურება» არ არის, ფინალი «მთელის დაქუცმაცება» არ არის. მართალი არ არის. მართალი არ არის, რომ შეიძლება დავწყევლოთ «ხარისხში ამაღლების» დღე — ანდა მთელი ჩვე-ნი ძველი მუშაობა სამუდამოდ დარჩებოდა ტანტალოსის ტანჯვად. და პარტიაში, მის ფორმალურ ბაზისზე, როცა

* — ანუ. რედ.

ყველაფერი ექვემდებარება წესდებას * (რომლის გულისათვის ჩვენ ტყუილად როდი ვებრძოდით გააფთრებით, ყოველი წვრილმანისთვისაც კი ვებრძოდით მარტოვს, რომელმაც აქ გაიმარჯვა), ასეთ პარტიაში ძველი ძმაბიჭური რედაქცია (რომელიც 3 წელიწადში ერთხელაც — ფაქტია — არ შეკრებილა 6-ის რაოდენობით) შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ პარტიაში მაშინვე შევიდნენ, უფლების თანახმად, ფორმალურ საფუძველზე შევიდნენ მთელი გროვა არაისკრელები. და ეს მოითხოვდა სწორედ მტკიცე ხაზს და თანმიმდევრულ, და არა მიკიბულ-მოკიბულ პოლიტიკას. ძველს ვერ დავუბრუნდებით, და მხოლოდ მოშლილ ფანტაზიას შეუძლია დახატოს სურათი, რომ მარტოვი სამსხვერპლოზე მიჰყავთ და არა საერთო მუშაობისათვის ამხანაგებთან, რომელთაგან თვითეულს აქვს პოლიტიკური ხაზის რაღაც ელფერი. De facto, კიდევ ვიტყვი, გადამწყვეტი, პოლიტიკურად გადამწყვეტი (და არა ლიტერატურული) ცენტრი იყო ეს სამეული ყოველთვის წინათაც, მთელ ამ 3 წელიწადს, 99 შემთხვევაში ასიდან.

ახლა მე სასაცილოდ მეჩვენება «მათი» ჩივილი შპანაზე, პრეტორიანელებზე, სამდურავი «ისკრის» რედაქციის «კრისტალზე» — მას შემდეგ, რაც მარტოვი ამარცხებდა ისკრელთა უმრავლესობას ბუნდთან კავშირით და ყველაფერი მოამზადა მათი დამარცხებისათვის ამ კავშირით ცენტრების საკითხშიც. კავშირით ამარცხებდა-მეთქი, და არა გარიგებით, და აზრადაც არ მომდის ბრალად დავდო მათ გარიგება ჭაობთან და ბუნდთან, სრულებითაც არა. როცა «ისინი» გაიძახიან, რომ მათ წინააღმდეგ ავრცელებდნენ «ჩირქმომცხებ ხმებს» (ბუნდისტების მოკავშირეები არიანო), «ისინი» იმეორებენ თავიანთ ჩვეულებრივ შეცდომას — პირადისა და პოლიტიკურის აღრევას. პირადად გარიგება ულამაზო იქნებოდა. კავშირი დამოკიდებული იყო არა

* აი ამიტომ «კონსტიტუციები ერთმანეთს შორის» შეუძლებელია ახლა, სრულიად შეუძლებელია იურიდიულადაც და მორალურადაც.

მ ა თ ს ნ ე ბ ა ზ ე, მათი კავშირი მათი შეცდომით განისაზღვრა; ისინი კი არ წასულან ბუნდთან + ჭაობი, არამედ ბუნდი + ჭაობი + «იუენი რაბოჩი» etc. გაჰყვნენ მათ, ერთბაშად მოისაზრეს, რომელი ისკრელისათვის უნდა დაეჭირათ მხარი ანტიისკრელთა თვალსაზრისით. ბუნდმა + ჭაობი etc. პოლიტიკურად გ ა მ ო ა მ ე ღ ა ვ ნ ე ს მარტოვის მხოლოდ ორგანიზაციული და ტაქტიკური შეცდომა.

ვინც იცნობს ყრილობის ყველა ფაქტს და განსაკუთრებით ისკრელთა ხმების განაწილებას (ყრილობაზეც და «ისკრის» ფარულ ორგანიზაციაშიც), მისთვის არ შეიძლება საეჭვო იყოს, რომ უკან დაბრუნება არ შეიძლება. ი ს კ რ ე ლ ე ბ ი გაითიშნენ, ხოლო «ისკრას» ხომ არ შეეძლო უისკრელებოდ ყოფილიყო. და, ვიმეორებ, ი ს კ რ ე ლ ე ბ ს შ ო რ ი ს მარტოვი უთუოდ უმცირესობაში იყო, და პარტიაში გ ა თ ი შ ვ ა (საითკენაც მარტოვი ფ ა ტ ა ლ უ რ ა დ, დღითი დღე უფრო მეტად მიდის) აღმოჩნდება აჯანყება უმცირესობისა, რომელიც მართალი არ არის არც იურიდიულად და არც **მით უმეტეს საქმის არსის მიხედვით.**

შეცდომისათვის ჩვენ არც მარტოვს, არც სხვა ვისმე «ჩირქს არა ვცხებთ», არამედ ყ ვ ე ლ ა ს მუშაობისაკენ მოვუწოდებთ.

«მატერიალური სახსრების» მხრივ, რომლებსაც თქვენ იხსენიებთ, უდავოა, ჩვენ ახლა საქმე კარგად ვერა გვაქვს, და კალიფორნიული წყაროები ჩაფლავდა. მაგრამ შემთხვევამ რომ მოიტანოს, უკიდურეს გაჭირვებასაც ავიტანთ, ოღონდ ც ე ნ ტ რ ე ბ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ი ს გ ა მ ო (ვინაიდან ობიექტურად **მხოლოდ** ამით განისაზღვრება «მათი» უკმაყოფილება) მთელი მრავალი წლის მუშაობა არ დავარღვევინოთ.

«ვედროც ხომ არ გავიყოთო?» [132], კითხულობთ თქვენ. არა მგონია შემეძლოს ამ კითხვაზე პასუხი მოგცეთ, ვინაიდან «გაყოფაში» მიუკერძოებლობის პრეტენზია არა მაქვს, მიკერძოებული პასუხი კი თქვენ არ გესაჭიროებათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ არავითარი «დაქუცმაცებული ნაწილები» **არ არის,**

არამედ არის უგუნური ც დ ა დააქუცმაცონ, დაშალონ და დაამსხვრიონ მთლიანობა (ახალი კერა გააჩაღონ, თქვენი თქმისა არ იყოს) ე რ თ საკითხში დამარცხების გამო, რომელშიც დამარცხებული ისკრელები სრულებით არ იყვნენ მართალი.

ხელს გართმევთ.

გაგზავნილია ჟენევიდან დრეზდენში
პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას
მიერ დაწერილი პირის მიხედვით

68

ა. ნ. პოტრესოვს

ალექსი ნიკოლოზის-ძეს

13. IX. 03.

მე ვცადე მესაუბრა ი. ო — სთან ამ დღეებში, როცა მოახლოებული გათიშვის ატმოსფერო უკვე სავსებით გამოირკვა, და მინდა კიდევ ვცადო გესაუბროთ თქვენ, რადგან იმედი მაქვს, რომ თქვენ ისევე, როგორც ი. ო., წინააღმდეგი არ იქნებით ვცადოთ საქმის გარკვევა. თუ ეს იმედი უსაფუძვლოა, — თქვენ, რა თქმა უნდა, მაცნობებთ ამას, მე კი ჯერჯერობით მაინც გავაკეთებ იმას, რაც საჭიროდ მიმაჩნია.

მარტოვის უარი რედაქციაში მუშაობაზე, მისი და პარტიის სხვა ლიტერატორების უარი თანამშრომლობაზე, მთელი რიგი პირების უარი ცენტრალური კომიტეტისათვის მუშაობაზე, ბოიკოტის ან პასიური წინააღმდეგობის იდეის პროპაგანდა, — ყოველივე ეს უსათუოდ გამოიწვევს, მარტოვისა და მისი მეგობრების ნების წინააღმდეგაც კი გამოიწვევს პარტიის გათიშვას. მარტოვი კიდევაც რომ ეცადოს დარჩეს ლოიალურ ნიადაგზე (რომელზეც იგი ასე გადაჭრით დადგა ყრილობაზე), სხვები ვერ დარჩებიან, — და ჩემ მიერ ნაჩვენები შედეგი გარდუვალი იქნება. (ამასთანავე, ტიოტკაც ტყუილად ხომ არ წერს «ახალი კერის გაჩაღებაზე».)

და აი, ვეკითხები ჩემს თავს: მართლაც და რისი გულისათვის უნდა დავშორდეთ ერთმანეთს სამუდამო მტრებად? ვარჩევ ყრილობის ყველა მოვლენასა და შთაბეჭდილებას, მესმის, რომ ხშირად საშინლად გაბრაზებულად, «გააფთრებულად» ვიქცეოდი და ვმოქმედებდი, სიამოვნებით მზად ვარ

ვის წინაშეც გნებავთ ვაღიარო **ჩემი ეს დანაშაული,** — თუ დანაშაული უნდა ეწოდოს **იმას,** რაც ბუნებრივად გამოწვეული იყო ატმოსფეროთი, რეაქციით, რეპლიკით, ბრძოლით etc. მაგრამ ახლა სრულიად გაუბრაზებლად რომ ვუყურებ მიღწეულ შედეგებს, იმას, რაც გააფთრებული ბრძოლის **გზით** განხორციელდა, ვერაფერს, სრულიად ვერაფერს ვერ ვხედავ შედეგებში რაიმე ისეთს, რაც მავნე **იყოს** პარტიისათვის, და აბსოლუტურად ვერაფერს ისეთს, რაც საწყენი ან შეურაცხმყოფელი იყოს უმცირესობისათვის.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება საწყენი არ ყოფილიყო ის, რომ უმცირესობაში დარჩენა მოუხდათ, მაგრამ მე კატეგორიულად ვაცხადებ პროტესტს იმ ფიქრის წინააღმდეგ, რომ ჩვენ ვინმეს «ჩირქსა ვცხებდით», რომ ჩვენ გვინდოდა შეურაცხყოფა მიგვეყენებინა ვინმესთვის ან დაგვემცირებინა ვინმე. სრულებითაც არა. და არ უნდა დავუშვათ, რომ პოლიტიკური უთანხმოება იწვევდეს მოვლენათა განმარტებას მეორე მხარისათვის ბრალის დადებით არაკეთილსინდისიერებაში, ყალთაბანდობაში, ინტრიგანობასა და სხვა საამურ რამეებში, რაც სულ უფრო და უფრო ხშირად გესმის მოახლოებული გათიშვის ატმოსფეროში. არ უნდა დავუშვათ ეს, ვინაიდან ეს, ყოველ შემთხვევაში, nec plus ultra * უგუნურებაა.

ჩვენ პოლიტიკურად (და ორგანიზაციულად) უთანხმოება მოგვიხდა მარტოვთან, — როგორც გვქონია მასთან უთანხმოება რამდენიმე ათეულჯერ. რაკი დამარცხებული აღმოვჩნდი საკითხში წესდების § 1-ის შესახებ, მე არ შემეძლო მთელი ენერგიით არ ვცდილიყავი რევანშის მიღწევას იმაში, რაც მე დამრჩენოდა (და ყრილობას დარჩენოდა). მე არ შემეძლო არ მქონოდა მისწრაფება ერთი მხრივ მკაცრად ისკრული ცენტრალური კომიტეტისაკენ, — მეორე მხრივ რედაქციის სამეულისაკენ, რომელიც აღმოფხვრის ჩვენი ძველი, გამოუვალი ჩხუბის თვით ნიადაგს, შეაერთებს იმ ადამიანებს, რომელთაგან თვითეულს აქვს თავისი პოლიტიკური ხაზი,

* — უკიდურესი. რედ.

რომელთაგან თვითეული წყვეტს და ყოველთვის გადაწყვეტს «არა პიროვნებათა მიხედვით», არამედ თავისი უკიდურესი რწმენის მიხედვით.

მე ვამბობდი (თქვენთან და ი. ო — სთან საუბრის დროს სამეულის შესახებ ყრილობის წინ), რომ საქმისათვის ყველაზე მავნედ მიმაჩნია ექვსეულში ერთი ისეთი წევრის ყოფნა, რომელიც არასოდეს არ არის[133], მე აღშფოთებული ვიყავი მაშინაც, უაღრესად აღშფოთებული ვიყავი ზასულიჩის უზომოდ პიროვნული დამოკიდებულებით (თუმცა ი. ო — ს ეს დაავიწყდა), მე სავსებით გარკვეულად ვთქვი (როცა თქვენ დაასახელეთ ყ ვ ე ლ ა ზ ე შ ე ს ა ძ ლ ო არჩევითი სამეული), რომ მეც იგი ყველაზე შესაძლოდ მიმაჩნია და რომ ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, თუნდაც რომ იგი მ ა რ ტ ო დ ა რ ჩ ე ს, ვერ შეთანხმდეს ვერავითარ კოოპტაციაზე (თუმცა ჩვენ მაშინ ვსახავდით ერთ-ერთ შესაძლო კოოპტაციას). იული ოსიპის-ძეს დაავიწყდა ჩემი ეს უკანასკნელი განცხადებაც, რომელიც მე ძალიან კარგად მახსოვს. მაგრამ აქ დავა, რა თქმა უნდა, უსარგებლოა. საქმე ეს კი არ არის, საქმე ის არის, რომ ასეთი სამეულის დროს არც ერთი ის მტანჯველი, გაჭიანურებული, გამოუვალი ჩხუბი, . რითაც ჩვენ დავიწყეთ «ისკრის» მუშაობა 1900 წელს და რაც არა ერთხელ მეორდებოდა და თ ვ ე ო ბ ი თ გვისპობდა მუშაობის უნარს, — ა რ ც ე რ თ ი ა ს ე თ ი ჩხუბი შესაძლებელი აღარ იქნებოდა. და ეი რატომ მიმაჩნია, რომ ეს სამეული ე რ თ ა დ ე რ თ ი საქმიანია, ე რ თ ა დ ე რ თ ს შესწევს უნარი იყოს თანამდებობრივი დაწესებულება, და არა ძმაბიჭურობასა და დაუდევრობაზე დაფუძნებული კოლეგია, ე რ თ ა დ ე რ თ ი ნამდვილი ცენტრია, რომელშიც, ვიმეორებ, ყველა და ყოველთვის შეიტანდა და დაიცავდა თავის პარტიულ თვალსაზრისს, ა რ ც ე რ თ ი ბ ე წ ვ ი თ მ ე ტ ს და irrespective * ყოველივე პიროვნულისა, ყ ო ვ ე ლ ი ვ ე მოსაზრებისა წყენის შესახებ, წასვლის შესახებ etc. etc.

---

* — დამოუკიდებლად. რ ე დ.

ეს სამეული, ყრილობაზე მომხდარი ამბების შემდეგ, უეჭველად აკანონებდა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს, ე რ თ ი მ ხ რ ი ვ მიმართულს მარტოვის წინააღმდეგ. უეჭველია. ამისათვის კავშირის გაწყვეტა? ამისათვის პარტიის რღვევა?? და განა დემონსტრაციების საკითხში მარტოვი და პლეხანოვი ჩემ წინააღმდეგ არ იყვნენ? და განა პროგრამის საკითხში მე და მარტოვი პლეხანოვის წინააღმდეგ არ ვიყავით? განა ყ ო ვ ე ლ ი სამეული თავისი ერთი მხარით ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მიმართული არ არის თვითეული მონაწილის წინააღმდეგ?

თუ ისკრელების უმრავლესობამ «ისკრის» ორგანიზაციაშიც და ყრილობაზეც მცდარად მიიჩნია მარტოვის ხაზის აი ეს სპეციალური ელფერი ორგანიზაციულად და პოლიტიკურად, ნუთუ, მართლაც, გიჟური არ არის ცდა — ეს იმით ახსნან, რომ რაღაცას «გვიწყობენ», «გვისისიანებენო» და სხვ.?? ნუთუ სიგიჟე არ იქნებოდა ამ ფაქტისათვის გვერდის ავლა იმით, რომ ეს უმრავლესობა გ ა ლ ა ნ ძ ღ ო — «შპანა» უწოდო მას??

ვიმეორებ: მე, ისევე როგორც ყრილობის ისკრელთა უმრავლესობა, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ მარტოვი არასწორ ხაზს დაადგა და რომ საჭირო იყო გაგვესწორებინა მისთვის. ამ გასწორების გამო განაწყენება, აქედან შეურაცხყოფის გამოყვანა etc. — გონივრული არ არის. არავისთვის და არაფერში ჩვენ «ჩირქი არ მოგვიცხია», არ ვცხებთ და **მუშაობას** არ ვაშორებთ. ხოლო ც ე ნ ტ რ ი დ ა ნ მოშორებისათვის გათიშვის მოწყობა ისეთი სიგიჟე იქნებოდა, რომელიც ჩემთვის წარმოუდგენელია.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებულად 1904 წელს ბროშურაში: ვ. ი. ლენინი. «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან», მთლიანად — 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

64

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

მადლობა სმიტს ვრცელი წერილისათვის. მისწეროს ეგორს და უკანასკნელად მოუწოდოს გონიერებისაკენ. ზარინი დაუყოვნებლივ წავიდეს ეგორთან, მიიღოს ყველა (საერთოდ ყველა) რწმუნება ეგორის ქვეყნებში საქმეების გასაძღოლად. გააფორმეთ ყოველივე ეს უფრო სრულად, მკაცრად და ზუსტად. საჭიროა თქვენ ფორმალურად გამოდიოდეთ, და ეგორელების[134] შესახებ უნდა ემზადოთ გადამწყვეტი ომისათვის, აუცილებლად უნდა მიაღწიოთ, რომ მათი ცდა — თავი შეჰყონ კომიტეტებში — ერთბაშად წააწყდეს მტკიცე წინააღმდეგობას. ამას ფხიზლად უნდა ადევნოთ თვალყური და ამზადოთ ყველა კომიტეტი. ეგორელები სულ ეწევიან და ა ფ ა რ თ ო ე ბ ე ნ ბოიკოტს, საშინლად გაბრაზებული არიან, წარმოიდგინეს უამრავი წყენა და შეურაცხყოფა. ჰგონიათ, რომ პარტიას ტირანებისაგან იხსნიან, წაღმაუკუღმა გაჰყვირიან ამას, აბნევენ ადამიანებს. მათმა ჯანყმა უკვე წაგვართვა (არ ვიცი დიდი ხნით თუ არა, მაგრამ, შ ე ს ა ძ ლ ო ა, ს ა მ უ დ ა მ ო დ ა ც) ფულის ჩვენი ორი უდიდესი წყარო. თავგამოდებით ეცადეთ იშოვნოთ ფული — ეს არის მთავარი.

ამრიგად, სმიტი ძველებურად ნუღარ უყურებს ეგორს. მეგობრობა აქ გათავდა. ძირს ყოველგვარი სირბილე! მოამზადეთ უაღრესად მტკიცე წინააღმდეგობა, ახლავე გაგზავნეთ ზარინი, დანიშნეთ კანდიდატები (სმიტის სიკვდილის შემთხვევისათვის[135]), იმავე შემთხვევისათვის მასაც, სმიტს,

მოუმზადეთ გასეირნება «ეგორთან», დანიშნეთ წევრები საბჭოში[136], ყველაფერი უფრო ფორმალურად დააყენეთ და იმოქმედეთ მთელი ძალით. ლიტერატურულ მხარეს ჩვენ დავძლევთ. დიდ იმედს ვამყარებთ ვადიმზე.

დაწერილია 1903 წ. 10
და 14 სექტემბერს შუა
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

65

ა. მ. კალმიკოვას

30. IX.

...თქვენ იწერებით: «მეტად დიდი ხანი მიცხოვრია ამ ქვეყნად, და არ შეიძლება არ ვიცოდე, რომ ასეთ შემთხვევებში სიმართლე მარტო ერთ მხარეზე კი არ არის, არამედ ორივეზეო». სავსებით დასაშვებად მიმაჩნია. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ის «მხარე» არ ინაღდებს ახალ მდგომარეობას, ახალ ბაზისს და მოითხოვს იმას, რაც ძველებურად ადვილად მისაღწევი იყო ხოლმე (თუნდაც თვეობით ჩხუბის შემდეგ), ახლა კი განუხორციელებელია. ბაზისი ს ხ ვ ა გახდა, ეს fait accompli *; ისინი კი ჯერაც ყველაზე მეტად იმით ხელმძღვანელობენ, თუ რა შეურაცხმყოფელი გამოვიდა ყრილობაზე ესა და ეს, რა გააფთრებულად ეჭირა თავი ლენინს etc. ასე იყო, თქმა არ უნდა, და მე პირდაპირ ვაღიარე ჩემი «გააფთრება» წერილში სტაროვერისადმი [137]. მაგრამ საქმეც ის არის, რომ «გააფთრებული», დიდი ბრძოლით მიღწეულია ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ ა დ ი დ ი შედეგები, ის მხარე კი ომობს და ომობს გააფთრების გამო თვით შედეგების წინააღმდეგ, გარდუვალი და აუცილებელი შედეგების წინააღმდეგ. თქვენ ხომ უკვე დიდი ხანია იცით, საითაც მიდიოდა საქმე. თქვენ იცით, როგორ გამოთქვამდით თქვენს მტკიცე რწმენას ზოგიერთი «მოხუცის» მხრივ ხელის შეშლის შესახებ, და თქვენ, რა თქმა უნდა, ეჭვი არ შეგეპარებათ, რომ ავბედითი «სამეული» ხრიკი კი არ არის,

* — მომხდარი ფაქტია. რ ე დ.

იაკობინური გადატრიალება კი არ არის, არამედ პირდაპირი, ბუნებრივი და საუკეთესო, ღმერთმანი, საუკეთესო გამოსავალია სამი წლის «წეწვა-გლეჯიდან». სამეული 3 კუთხედ არის აგებული და ჩხუბის ყოველგვარ ნიადაგს სპობს. თქვენ იცით, სადამდე მიჰყავდა შთაბეჭდილებიანობასა და საქმისადმი «პირადულ» (პოლიტიკურის ნაცვლად) დამოკიდებულებას მარტოვი + სტაროვერი + ზასულიჩი, როცა მათ, მაგალითად, თითქმის მთლად «დასაჯეს» კაცი პოლიტიკურად წმინდა პირადი ხასიათის ამბისათვის. თქვენ მაშინ უყოყმანოდ დადექით «დაუნდობელთა და გულქვათა» მხარეზე. ეს შემთხვევა კი მთლად, მთლად ტიპიურია. ახლაც ხომ ძირი იგივეა, იგივე აღრევა პირადულისა და პოლიტიკურისა, იგივე ეჭვის მოტანა ჩვენზე, რომ გვსურს პირადად მოვცხოთ ჩირქი, თუმცა ჩვენ მხოლოდ პოლიტიკურად გადაწევას (და ადგილგადანაცვლებას) ვეწევით. და როცა თქვენ მაგონებთ: ბრალი თქვენც უნდა მიგიძღოდეთო, — მე გიპასუხებთ: პირადის უარყოფას არც ვფიქრობ, მაგრამ ამისათვის პოლიტიკური კორექტივის მოთხოვნა ზედმეტია. მდგომარეობის გამოუვალობა, სრული გამოუვალობა სწორედ იმაშია, რომ პირადი წყენის სამაგიეროდ, ცენტრების შემადგენლობის გამო პირადი უკმაყოფილების სამაგიეროდ ისინი მოითხოვენ პოლიტიკურ კორექტივს. Tout ce que voulez, mais pas de ça! * ხოლო თუ მიზეზად ჩავთვლით (როგორც ზოგს სურს) პოლიტიკურ უთანხმოებას, განა სასაცილო არ არის მაშინ «ზავისათვის» მეტი ან თუნდაც თანაბარი რაოდენობის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა კოოპტაციის მოთხოვნა?? სასაცილოა nec plus ultra! **

და ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი პატარა შემთხვევა მრავალი წეწვა-გლეჯიდან ტიპიურია არა მარტო არსებითად, არამედ შედეგის ფორმითაც. იცით, როგორ ვაჯობეთ მაშინ? ჩვენ უმცირესობა ვიყავით, ხოლო გავიტანეთ

* — ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ არა ეს! რედ.

** — უკიდურესად! რედ.

შეუპოვრობით, «საყოველთაოდ» გამოტანის მუქარით. ჰოდა ისინიც ფიქრობენ: ჩვენც ახლა ასე გავაკეთებთო. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ა ხ ლ ა ყოველთვის როდია მ ა შ ი ნ. ახლა ფორმალური ბაზისის მ ო შ ო რ ე ბ ა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ეს ფორმალური ბაზისი რომ არა, — რატომ ექვსიც არ იყოს, რაკი ასე საშინლად გაბრაზდნენ? 3 წელიწადს ვწვალობდით, 3-საც კიდევ ვიწვალებთ; ხმებით კი არა ვწყვეტდით, არამედ შეუპოვრობით, — ახლაც შეუპოვრობით გადავწყვიტოთ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ა ხ ლ ა ეს აღარ შეიძლება. ამ ცვლილების დანახვა და გაგება არასგზით არა სურთ. სწორედ ეს გამოუვალს ხდის მდგომარეობას. ახლა დილემა ულმობლად დგას: ა ნ უთანხმოება პიროვნებათა საკითხში, და მაშინ სასაცილოა ამისათვის პოლიტიკური სკანდალის მოწყობა და მუშაობის მიტოვება. ა ნ პოლიტიკური უთანხმოება — და მაშინ კიდევ უფრო სასაცილოა მისი «გასწორება» იმით, რომ თავს მოგვახვიონ, ვთქვათ, სხვა ნიუანსის გარკვეული პირები.

ისინი ახლა იღებენ (ვითომც იღებენ) მეორეს. მაშინ შედი, მარტოვ, სამეულში და დ ა ა მ ტ კ ი ც ე პარტიის წინაშე **შენი** კოლეგიიდან 2-ის შეცდომა: თუ კოლეგიაში მონაწილეობით არა, ისე ვერ იშოვნი მონაცემებს ამ შეცდომების სამხილებლად და მათ წინააღმდეგ პარტიის გასაფრთხილებლად. სხვანაირად შენი ბრალდებანი ფუჭი Parteiklatsch-ია * მომავლის ანგარიშში.

თუ პირველს იღებ — მაშინ შენს განაწყენებას ნუ გაავრცელებ მუშაობის მიტოვებამდე, და მუშაობა მალე დაგავიწყებინებს «გააფთრებას». არ არსებობს იმაზე უფრო გამოუვალი ჩიხი, ვიდრე მუშაობისაგან ჩამოშორების ჩიხია.

დაწერილია 1903 წ. 30 სექტემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან დრეზდენში

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას
მიერ დაწერილი პირის მიხედვით

---

* — პარტიული კინკლაობა. რ ე დ.

66

ოდესის კომიტეტს

2. X. 03.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენც ასევე სულით და გულით ვნანობთ, რომ ოდესის კომიტეტსა და «ისკრას» შორის უთანხმოება შეიქმნა საფაბრიკო მამასახლისთა საკითხში. ოდესის კომიტეტის წერილზე ჩვენი პასუხის დაგვიანება უმთავრესად იმან გამოიწვია, რომ რედაქცია მაშინ წასული იყო. ხოლო საერთოდ რომ ვთქვათ, აქ ხელის შემშლელი აღმოჩნდა (რა უცნაურიც უნდა გვეჩვენოს) პარტიის მორიგი II ყრილობა.

რაც შეეხება საქმის არსს, ყრილობაზე, სხვათა შორის, მიღებულია რეზოლუცია, რომელიც რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა ს ი ძ ლ ე ვ ა მონაწილეობა მივიღოთ საფაბრიკო მამასახლისების არჩევნებში.

[მოყვანილ იქნეს ტექსტი: რეზოლუცია № 28.[138]]

ეს რეზოლუცია მიღებულია დიდი უმრავლესობით, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმის გამოსწორება შეიძლება, თუმცა არა ერთბაშად. საჭირო იქნებოდა, რომ ოდესის კომიტეტმა მთელ ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ძუშებში ა ხ ლ ა ვ ე გაავრცელოს (გამოუქვეყნებლად) ამ რეზოლუციის ტექსტი და მისი გაგება. შემდეგ, როცა რეზოლუცია გამოქვეყნდება, სასურველია ოდესის კომიტეტის ხელმოწერით გამოშვებულ იქნეს ფურცელი, რომელშიც გადმოცემული იქნება პ ა რ ტ ი უ ლ ი შეხედულება საკითხზე და რომელიც მოუწოდებს მუშებს დაადგნენ მთელი პარტიის მიერ მოწონებულ ტაქტიკას.

საქმის არსის გამო, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მ უ დ მ ი ვ აგიტაციას მამასახლისთა არჩევნების თაობაზე გაცილებით მეტი აღმზრდელობითი და მაორგანიზებელი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე ე რ თ დ რ ო უ ლ ს — არჩევაზე უარის თქმის თაობაზე. თქვენი საკუთარი ცნობებიც პატრიარქალური ხერხების შესახებ ადასტურებენ ამას, მიგვითითებენ რა ჯაშუშური კანონებისა და ჯაშუშური ხერხების წინააღმდეგ მ უ დ მ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს საჭიროებაზე.

სავსებით ვუერთდებით თქვენს სურვილს — უფრო ხშირად ხდებოდეს აზრთა ურთიერთგაზიარება იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნეს უთანხმოება და სხვადასხვაობა აგიტაციაში. უფრო ხშირად მოიწერეთ არა მარტო პრესისათვის და თვალყური ადევნეთ იმას, რომ მისამართები (თქვენთვის გამოსაგზავნი წერილებისათვის) რეგულარულად მოქმედებდნენ.

ვეცდებით დავწეროთ ფურცელი ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის კავშირის შესახებ, თუ სხვა სამუშაოებმა საშუალება მოგვცა.

«რაბოჩაია ვოლიას»[139] მანიფესტს მთლიანად ვბეჭდავთ, როგორც თქვენ გსურდათ.

ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

67

ი. ო. მარტოვს

ამხანაგ მარტოვს რუს. სდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან.

პატივცემულო ამხანაგო! ცენტრალური ორგანოს რედაქციას თავის მოვალეობად მიაჩნია ოფიციალურად გამოთქვას მწუხარება იმის გამო, რომ თქვენ ხელი აიღეთ «ისკრაში» და «ზარიაში» მონაწილეობაზე («ზარიას» № 5 ამჟამად მზადდება დასაბეჭდად). მიუხედავად მრავალგზისი მოწვევისა, რომ გეთანამშრომლათ, მოწვევისა, რომლითაც ჩვენ მოგმართავდით პარტიის II ყრილობის დამთავრებისთანავეც, «ისკრის» № 46-ის წინაც, და არა ერთხელ ვიმეორებდით მას შემდეგაც, — თქვენგან არ მიგვიღია არც ერთი ლიტერატურული ნაწარმოები.

უფრო მეტიც. თქვენი ბროშურის «წითელი დროშის» მეორე გამოცემის გამოშვებაც კი მრავალი კვირაა ფერხდება იმის გამო, რომ ხელნაწერის ბოლო ნაწილი არ გამოგიგზავნიათ.

ცენტრალური ორგანოს რედაქცია აცხადებს, რომ თანამშრომლობაზე თქვენ მიერ ხელის აღება მის მხრივ არაფრით არ არის გამოწვეული.

რაიმე პირადი გაღიზიანება, რასაკვირველია, არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას პარტიის ცენტრალურ ორგანოში მუშაობისათვის.

ხოლო თუ თქვენი ჩამოშორება გამოწვეულია თქვენსა და ჩვენს შორის შეხედულებათა ამა თუ იმ უთანხმოებით, ჩვენ

პარტიის ინტერესებისათვის უაღრესად სასარგებლოდ მიგვაჩნია ასეთი უთანხმოების საფუძვლიანად ჩამოყალიბება. უფრო მეტიც. ჩვენ უაღრესად სასურველად მიგვაჩნია, რომ ამ უთანხმოების ხასიათი და სიღრმე გარკვეულ იქნეს რაც შეიძლება მალე პარტიის წინაშე სწორედ იმ გამოცემათა ფურცლებზე, რომლებსაც ჩვენ ვრედაქტორობთ.

დასასრულ, საქმის ინტერესებისათვის, ჩვენ ერთხელ კიდევ მიგითითებთ, რომ ამჟამად მზად ვართ კოოპტაციის წესით შეგიყვანოთ ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრად, რათა სრული შესაძლებლობა მოგცეთ ოფიციალურად განაცხადოთ და დაიცვათ მთელი თქვენი შეხედულებანი უმაღლეს პარტიულ დაწესებულებაში.

ჟენევა, 1903 წ. 6 ოქტომბერი.

გაგზავნილია ჟენევაში

სრულად პირველად დაიბეჭდა 1927 წელს

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას მიერ დაწერილი პირის მიხედვით

68

გ. დ. ლეიტეიზენს

10. X. 03.

ძვირფასო ლეიტეიზენ! მივიღე თქვენი წერილი და, თქვენი თხოვნით, გიპასუხებთ დაუყოვნებლივ. იქნება თუ არა ყრილობა და როდის, მე არ ვიცი. მე ყური მოვკარი, რომ ლიგის ადმინისტრაციის აქაურმა სამმა წევრმა უმრავლესობით აზრი გამოთქვა ყრილობის წინააღმდეგ, რომ გადაწყდა შეეკითხონ ორ არადამსწრე წევრს, თქვენ და ვეჩესლოვს; ამრიგად საკითხის გადაწყვეტა გადაიდო.

რაც შემეხება მე, პირადად მე ყრილობის წინააღმდეგი ვარ. თქვენ ფიქრობთ, რომ ლიგამ აზრი უნდა გამოთქვას და რომ ლიგაში გათიშვა სულ ერთია გარდუვალია, რომ უმჯობესია ორი აქტიურად მებრძოლი ნაწილი, ვიდრე ერთიანი უმოქმედო ლიგა. მაგრამ საქმე ის არის, რომ გათიშვა ლიგაში არა მარტო გარდუვალია, არამედ თითქმის უკვე დამთავრებულია; ორი აქტიური მებრძოლი ნაწილი უკვე შეიქმნა და, სანამ პარტიის გათიშვა არ მომხდარა, ეს მებრძოლი ნაწილები გარდუვალად დარჩებიან ერთიან ლიგაში. მეორე მხრივ, პარტიის ყრილობამ თავდაყირა დააყენა ლიგის მთელი ორგანიზაციული ბაზისი: მისი ძველი წესდება, რომელიც, რა თქმა უნდა, თქვენთვის კარგად ცნობილია, არსებითად თავისთავად ზედმეტი ხდება პარტიის ყრილობის შემდეგ. ლიგა უნდა გადახალისდეს და, რა თქმა უნდა, გადახალისდება ახალ საწყისებზე, გადახალისებულ იქნება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, რომელსაც დავალებული აქვს პარტიის კომიტეტებისა და საერთოდ პარტიული დაწესებულებების ორგანიზაციის საქმე.

მაშასადამე, ყრილობას, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ის დარჩენია, რომ შეიკრიბოს, რათა დაიშალოს. ორი მნიშვნელობით დაიშალოს: ჩვენსა და «მარტოველებს» შორის ლანძღვის მნიშვნელობით და ძველი ლიგის ლიკვიდაციის მნიშვნელობით. განა ღირს ამისათვის შეკრება? «გათიშვას» (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამამოძრავებელ ჩამოშორებას) ამით ვერ განკურნავ, არამედ მხოლოდ კიდევ უფრო გააბრაზებ ერთ მხარესაც და მეორესაც. რა საჭიროა ეს? რა საჭიროა სიტყვათა ტურნირი, როცა უკვე ახლა თითქმის უეჭველია, რომ ლიგის დაახლოებით 35 წევრმა მთელი რიცხვიდან — ორმოციდან — უკვე დაიკავა პოზიცია?

იქნებ ერთი რამ — «გენერალური რეპეტიცია» მოვაწყოთ? ე. ი., მაგალითად, შევხედოთ, როგორ ვიჩხუბებთ, თუ საქმე პარტიაში გათიშვამდე მივა? ყრილობის ამ მნიშვნელობის უარყოფა მე არ შემიძლია, მაგრამ ასეთი ჩიტი ბდღვნად არა ღირს.

ლიგის დანარჩენი ხუთი (ან დაახლოებით ხუთი) წევრის საბოლოო განაწილების გაგება გაცილებით უფრო მარტივად შეიძლება.

ხოლო ლიგის მუშაობა საზღვარგარეთ სულ ერთია მაინც წავა ახალ საფუძვლებზე, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი შექმნის: ლიგის ყრილობა ახლა ყველაფერს მოგვცემს ჩხუბისათვის და არაფერს არ მოგვცემს საქმისათვის, ე. ი. საზღვარგარეთ მუშაობისათვის.

ძალიან გამეხარდა, როცა შევიტყვე, რომ თქვენ აქ მოდიხართ და რომ ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით. წინასწარ მაცნობეთ, ვინაიდან სულ ვაპირებ 3 — 4 დღით დასასვენებლად წავიდე. სამუშაო უამრავია.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

გაგზავნილია ჟენევიდან ბომონში
(საფრანგეთი)

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

69

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

კლერს

ძვირფასო მეგობარო! თქვენგან მიღებულმა უკანასკნელმა ცნობებმა ძალიან გამახარა იმით, რომ გეგმა გქონიათ ტყავი გახადოთ[140] ლანს — დიდი ხანია, დიდი ხანია დროა! მაგრამ, მეორე მხრივ, წერილებიდან ჩანს, რომ ლანსა და ვადიმს არასწორად წარმოუდგენიათ პოზიცია, რომ ჩვენს შორის ურთიერთგაგება არ არის. ეს ძალიან სამწუხაროა (კიდევაც რომ სერიოზულად არ მივიჩნიოთ ვადიმის უკანასკნელი წერილი ულტიმატური რჩევით — კოლი თვითონ გიპასუხებთ ამაზე, ვინაიდან მე, ვიმეორებ, მიჭირს სერიოზულად მივიჩნიო ა ს ე თ ი რამ). დემონის, სოკოლის etc. კოოპტაცია, ჩემი აზრით, მცდარი ნაბიჯია, ვინაიდან ეს ადამიანები ჯერ კიდევ ვერ არიან საკმაოდ გამოცდილნი და დამოუკიდებელნი. ფუნქციების განაწილებაც ფრიად საშიშია, ვინაიდან დაქუცმაცებას გვიქადის. ამავე დროს კი კომიტეტები უმეთვალყურეოდ რჩებიან: კიევში სისულელეს სჩადიან, და, უცნაურია, არც ანდრეევსკი, არც დიადინი, არც ლებედევი არ შევიდნენ იქ საბრძოლველად. ხარკოვი, ეკატერინოსლავი, დონი, სამთამადნო რაიონი აგრეთვე მეამბოხეთა ხელშია[141]. საჭიროა რადაც უნდა დაგვიჯდეს ყველგან და ყოველგან დავიკავოთ პოზიციები ჩვენი ადამიანებით. თუნდაც თითო ჩვენი კაცი, სავსებით ჩვენი კაცი შევჩაროთ უთუოდ თვითეულ კომიტეტში. კავკასია წყლის ამღვრევას იწყებს[142], — იქაც საჭიროა ჩვენიანების დახმა-

რება. ნაცვლად იმისა, რომ ფუნქციებს ვანაწილებდეთ, განა უფრო მნიშვნელოვანი არ არის ადგილები დავიკავოთ თვითეულ კომიტეტში, შემდეგ კი მთელი ძალები წარვმართოთ ტრანსპორტსა და დატარებაზე.

ხომ ტრანსპორტშია, ბოლოს და ბოლოს, მთელი არსი და მთელი ძალა. არ უნდა დავჯერდეთ ერთ გზას, არამედ ორი-სამი გვქონდეს, რომ მუდმივი შეწყვეტები აღარ იქნეს.

მეტად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მალე გამოვიდეთ ცნობით [143], სწორედ რუსეთში გამოვიდეთ და გავავრცელოთ იგი ყველგან. ღვთის გულისათვის, დააჩქარეთ ეს და მოგვწერეთ ამის შესახებ რაც შეიძლება მალე და ზუსტად. საბჭოში საჭიროა ფორმალურად არჩეულ იქნეს ბრუტი და მან ფორმალურადვე გადასცეს ხმა კოლს. ეს გადაუდებელი საქმეა.

ჩემი აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა აქ ლანის გამოგზავნა თუნდაც ორიოდე კვირით, თუნდაც ერთი კვირით. ეს ძალიან, ძალიან ბევრ რამეს მოგვცემდა, à vol d'oiseau * დაგვანახვებდა ყველაფერს, დაგვანახვებდა დუღილის კერას, მიგვაღწევინებდა სრულ ურთიერთგაგებას. ნუთუ ამისათვის დასანანებელია რაღაც 200 მანეთი და 2 ან სამი კვირა? ნუთუ არ შეიძლება ლანისათვის საზღვარგარეთის ლეგალური პასპორტის შოვნა?? კარგად იფიქრეთ ამაზე. მე ძალიან გირჩევთ ამ ნაბიჯს, რომელიც განსაკუთრებით მოსახერხებელია ლანის გეგმებთან დაკავშირებით. მერწმუნეთ, თუ ბოლომდე არ შევთანხმდით, ძნელია შეწყობილად სიარული. ხოლო ლანის მსჯელობა «სტარიკზე ზნეობრივი ზემოქმედების» შესახებ მოწმობს (თუ ღმერთი გწამთ, არ გეწყინოთ!) სრულ და უსრულეს ურთიერთგაუგებლობას. და რატომ არაფერს არ იწერება ლანი ა მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ? მარტოვის კოოპტაციის გეგმა პირდაპირ სასაცილოა, ეს უკვე ისეთი გაუგებლობაა, რომ აქ გარდუვალად იქნება შემთხვევები, როცა თქვენ ჩაფლავდებით და სკანდალითაც. ღმერთმანი, მე სერიოზულად

* — ფრინველის ფრენის სიმაღლიდან. რ ე დ.

არც კი შემიძლია ვილაპარაკო თქვენ მიერ მარტოვის კოოპ-ტაციაზე, და თუ თქვენ ამას სერიოზულად აპირებთ, მაშინ ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ! ჩვენ ყველანი სიცილით დაგვხოცა (აგრეთვე კოლიც) ამ «გეგმამ»!!

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1903 წ. 20 ოქტომბერს
გაგზავნილია ჟენევიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

•ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით•

70

კავკასიის კავშირის კომიტეტს

კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ მივიღეთ ცნობა თქვენი საქმეების შესახებ პირადად რუბენისგანაც და წერილობით რაშიდ-ბეგისგანაც. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ თქვენს გადაწყვეტილებას — დროებით, ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს მიერ საქმის გარჩევამდე, ჩამოიშოროთ ისარი. მთელი მონაცემები ყრილობაზე მისი ქცევის შესახებ უთუოდ მის წინააღმდეგ მეტყველებენ. ყრილობამ ცხადყო მისი სრული მერყეობა; ერთგვარი ყოყმანის შემდეგ ისარმა გადამწყვეტ მომენტში მაინც უმრავლესობას მისცა ხმა და ხელი შეუწყო ცენტრალური ორგანოს რედაქციისა და ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი შემადგენლობის გაყვანას. მაგრამ შემდეგ ისარი უეცრად მეორე მხარეზე გადაბარგდა, და ახლა არცთუ ლოიალური საშუალებებით უმრავლესობის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ ომობს!! ეს ღმერთმა იცის რა არის. ასეთი მოღვაწე პოლიტიკური ნდობის ღირსი არ არის. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ფრთხილად მაინც მოეპყროთ მას, არ მისცეთ პასუხსაგები პოსტები, — ასეთია ჩვენი ღრმა რწმენა ჩემიც (ლენინის) და პლეხანოვისაც.

დაე კავკასიელი ამხანაგები მტკიცედ იდგნენ იმ გზაზე, რომელსაც ისინი დაადგნენ. ნუ უგდებენ ყურს ჭორებს უმრავლესობის წინააღმდეგ. მალე გამოვა ყრილობის სრული ოქმები, და მაშინ საქმე ყველასთვის ნათელი იქნება. განაგრძონ შეწყობილი მუშაობა ამხანაგური ნდობით ცენტრალური კომიტეტისადმი, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლანდელი პარტიული «არეულობა» მალე დაცხრება.

ჩვენ ახლა ძალიან ვფიქრობთ იმაზე, რომ მოვაწყოთ აქ ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემა. ამას კომპეტენტურმა ამხანაგებმა მოჰკიდეს ხელი; იმედი გვაქვს ფულს ვიშოვნით. საჭიროა დახმარება ლიტერატურითაც და სახსრებითაც.

სალამს ვუძღვნით კავკასიელ ამხანაგებს და მხურვალედ ვუსურვებთ წარმატებებს მუშაობაში.

ლ ე ნ ი ნ ი. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი

დაწერილია 1903 წ. 20 ოქტომბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

71

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲡ

ამხანაგებო! მივიღეთ თქვენი წერილი რეზოლუციით[144]. ძალიან გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგი: 1) როგორც უმცირესობის ისე უმრავლესობის მოხსენებები მოისმინეთ (ერთ-ერთი თქვენი დელეგატი, როგორც ალბათ მოგეხსენებათ, უმრავლესობის მხარეზე იყო) თუ მხოლოდ უმცირესობისა? 2) რას გულისხმობთ თქვენ სიტყვა «წასვლით»? წასვლა — სად? გულისხმობთ თუ არა ამით, რომ ვინმე ჩამოშორებულ იქნა მუშაობას ან თვითონ ჩამოშორდა რაიმე მიზეზით და სახელდობრ რა მიზეზებით? 3) რას უწოდებთ თქვენ «არანორმალურ პირობებს არჩევნების დროს»? 4) თქვენი აზრით, სახელდობრ ვინ უნდა იქნეს კოოპტირებული ცენტრალურ კომიტეტში? და 5) სახელდობრ ვინ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში?

დაწერილია 1903 წ. ოქტომბერში
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1904 წელს
ბროშურაში: ნ. შახოვი.
«ბრძოლა ყრილობისათვის»

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით

72

სამთამადნო მუშათა კავშირს

ამხანაგებო! მივიღეთ თქვენი რეზოლუცია[145] და გთხოვთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე. გთხოვთ განიხილოთ ეს კითხვები კომიტეტის ყველა წევრთა საერთო კრებაზე (ან გადაუგზავნეთ ყველა წევრს, თუ ისინი ერთად არ არიან), როგორც შეკითხვა პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციისაგან.

1) მოისმინა თუ არა კომიტეტმა პარტიის ყრილობაზე უმრავლესობის წარმომადგენლის მოხსენება?

2) ნორმალურად მიაჩნია თუ არა კომიტეტს რეზოლუციის გამოტანა ყრილობის მოქმედებისა და გადაწყვეტილებების შეფასებით მანამდე, სანამ გამოვიდოდეს ოქმები და მანამდეც კი, სანამ კომიტეტი ცენტრალურ კომიტეტს ან უმრავლესობის წევრებს შეეკითხებოდეს, თუ რა არის მისთვის გაურკვეველი?

3) როგორ შეიძლებოდა, რომ ამ უთანხმოებას ორგანიზაციულ საკითხებში დ ა ე ნ გ რ ი ა ყველაფერი, რაც წინათ «ისკრამ» და საორგანიზაციო კომიტეტმა გააკეთეს? რით იჩინა თავი დ ა ნ გ რ ე ვ ა მ? ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ა დაინგრა? ჩვენთვის ეს სრულებით არ არის ნათელი, ამავე დროს კი, თუ თქვენ გინდათ თავიდან ააცილოთ ცენტრალურ ორგანოს რაიმე შეცდომა, თქვენი ვალია განგვიმარტოთ, რაში ხედავთ ჩვენს შეცდომას. ჩამოაყალიბეთ საქმე სავსებით საფუძვლიანად, და ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ თქვენს აზრს.

4) სახელდობრ როგორია «მ კ ვ ე თ რ ი უთანხმოება ორგანიზაციულ საკითხებში»? ჩვენ არ ვიცით. (ჩვენ ვთხოვეთ მარტოვს და «ისკრის» რედაქციის ყოფილ წევრებს ჩამოეყალიბებინათ ეს უთანხმოება ჩ ვ ე ნ მ ი ე რ რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ გ ა მ ო ც ე მ ა თ ა ფ უ რ ცლ ე ბ ზ ე, მაგრამ ჩვენი თხოვნა ჯერჯერობით დაკმაყოფილებული არ არის [146].)

5) რით გამოიხატება პოლიტიკანობისა და უნდობლობის ატმოსფერო? ვისი მხრივ? თქვით უფრო გარკვევით. (მარტოვს რომ არ ვენდობოდეთ, «ისკრაში» სამუშაოდ არ მივიწვევდით.)

6) თუ მართლაც არის «მკვეთრი უთანხმოება ორგანიზაციულ საკითხებში» ჩვენსა და ყოფილ რედაქტორებს შორის, როგორღა შეიძლება, რომ ჩვენ ორმა კოოპტაციით მივიწვიოთ ისინი — ოთხნი? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გაბატონებული გავხადოთ მათი ელფერი? მაგრამ ყრილობამ მხარი დაუჭირა ჩ ვ ე ნ ს ა ს? ამრიგად თქვენ გსურთ, რომ ყრილობის გადაწყვეტილება ახლა კერძო შეთანხმების საფუძველზე გადაისინჯოს?

7) მიგაჩნიათ თუ არა ნორმალურად, რომ გათიშვის, ბოიკოტის მუქარით და სხვ. სურთ პარტიის თანამდებობის პირები (ცენტრალური ორგანოს რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი) აიძულონ აკეთონ არა ის, რაც ამ ცენტრებს სასარგებლოდ მიაჩნიათ პარტიის ინტერესებისათვის?

8) მიგაჩნიათ თუ არა ნორმალურად და დასაშვებად, რომ პარტიის წევრებმა, რომლებიც უმცირესობაში დარჩნენ, თავი აარიდონ ცენტრალურ ორგანოში მუშაობას, ცენტრალური კომიტეტისათვის მხარდაჭერას და მისდამი დამორჩილებას, პარტიისათვის ფულადი სახსრებით დახმარებას და ასე შემდეგ?

დაწერილია 1903 წ. ოქტომბერში
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1904 წელს
ბროშურაში: ნ. შახოვი.
«ბრძოლა ყრილობისათვის»

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით

73

გ. ვ. პლეხანოვს

1. XI. 03.

ძვირფასო გიორგი ვალენტინის-ძევ! ვერა და ვერ დავმშვიდებულვარ იმ საკითხების გამო, რომლებიც ჩვენ გვაღელვებს. გადაწყვეტილების ეს დაყოვნება, გადადება რაღაც საშინელია, წამებაა...

მერწმუნეთ, სავსებით, სავსებით მესმის თქვენი მოტივები და მოსაზრებანი მარტოველებისადმი დათმობის სასარგებლოდ. მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ამჟამად დათმობა ყველაზე განწირული ნაბიჯია, რომელიც გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო დ ა ნ ა მ დ ვ ი ლ ე ბ ი თ გამოიწვევს ქარიშხალსა და აურზაურს, ვიდრე მარტოველებთან ომი. ეს პარადოქსი როდია. მე არათუ არ ვურჩევდი კურცს წასულიყო, არამედ, პირიქით, ვარწმუნებდი დარჩენილიყო, მაგრამ იგი (და რუ) გადაჭრით ამბობს უარს იმუშაოს ახლა მარტოვის რედაქციასთან. რა გამოვა? რუსეთში ათობით დელეგატმა უკვე ყველაფერი შემოიარა, ნიჟნიდანაც კი იწერებიან, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ბევრი რამ გააკეთა, მოგვარებულია ტრანსპორტი, დაყენებული არიან აგენტები, **იბეჭდება** ცნობა[147], სამუშაოდ დასხდნენ სოკოლოვსკიც დასავლეთში, ბერგიც ცენტრში, ზემლიაჩკაც, და დანარჩენთა მთელი გროვა. ახლა — კურცის უარი. **შეწყვეტა** დიდი ხნით (ყრილობისა და მ თ ე ლ ი ცენტრალური კომიტეტის თათბირისა, ამასთან ცენტრალური კომიტეტი ახლა, ვგონებ, უკვე მნიშვნელოვნად გაფართოებულია). შემდეგ ან ცენტრალური კომიტეტის

ბრძოლა მარტოვის რედაქციასთან, ან მთელი ცენტრალური კომიტეტის გადადგომა. მაშინ თქვენ + ორმა მარტოველმა საბჭოში კოოპტაციის წესით უნდა შეადგინოთ ახალი ცენტრალური კომიტეტი, და ეს ყრილობის მიერ აურჩევლად, რუსეთელთა მასის მხრივ სრული მოუწონებლობის პირობებში, ამ უკვე წასულ-წამოსულ აგენტთა გაკვირვების, დრტვინვისა და უარის პირობებში. ეს ხომ ყრილობის სრული კომპრომეტაცია, სრული ჯანყი და სკანდალი იქნება **რუსეთში,** ასი ათასჯერ უფრო საშინელი და საშიში, ვიდრე საზღვარგარეთის პასკვილური ბროშურა.

მოგვბეზრდა დაქსაქსულობა! აი რას იწერებიან და ღაღადებენ რუსეთიდან. ხოლო მარტოველებისადმი დათმობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ ახლა დავაკანონოთ დაქსაქსულობა რუსეთში, ვინაიდან რუსეთში ურჩობისა და ამბოხების ჯერ ნატამალიც არა ყოფილა. ჩემი და თქვენი ვერავითარი განცხადება ვერ შეაჩერებს ახლა უმრავლესობის დელეგატებს პარტიულ ყრილობაზე. ეს დელეგატები რაღაც საშინელს ასტეხენ.

პარტიის ერთიანობისათვის, სიმტკიცისათვის — ნუ იკისრებთ ამ პასუხისმგებლობას, ნუ წახვალთ და ხელში ნუ ჩაუგდებთ ყველაფერს მარტოველებს.

თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

74

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

ძვირფასო მეგობარო! შენ ვერ წარმოიდგენ, რა ამბები მოხდა აქ, — ეშმაკმა იცის რა არის ეს, და გევედრები გაკეთო ყველაფერი, ყველაფერი შესაძლებელიც და შეუძლებელიც, რომ ჩამოხვიდე ბორისთან ერთად, თანაც უზრუნველყო დანარჩენთა ხმები. შენ იცი, მე უკვე საკმაოდ გამოცდილი ვარ პარტიულ საქმეებში, და მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ყოველი გადადება, ოდნავი დაყოვნება და ყოყმანი პარტიას დაღუპვას უქადის. შენ ალბათ დაწვრილებით გიამბობენ ყველაფერს. არსი ის არის, რომ პლეხანოვმა უეცრად პირი იბრუნა, ლიგის ყრილობაზე მომხდარი სკანდალების შემდეგ, და ამით საშინლად, სამარცხვინოდ დაგვაღალატა მეც, კურციც და ჩვენ ყველა. ახლა იგი, უჩვენოდ, შეუდგა მარტოველებთან ვაჭრობას, რომლებიც, რაკი ხედავენ, რომ მას გათიშვისა შეეშინდა, მოითხოვენ ორმაგად და ოთხმაგად, მოითხოვენ არა მარტო ექვსეულს, არამედ იმასაც, რომ მიღებულ იქნენ მათი ადამიანები ცენტრალურ კომიტეტში (ჯერ კიდევ არ ამბობენ, რამდენი და ვინ) და ორი მათი ადამიანი საბჭოში და დეზავუირებულ იქნეს ცენტრალური კომიტეტის მოქმედებაში ლიგაში (მოქმედება, რაც განხორციელებულია მთლიანად პლეხანოვის თანხმობით). პლეხანოვი უბადრუკად შეუშინდა გათიშვასა და ბრძოლას! საშინელი მდგომარეობაა, მტრები

ზეიმობენ და გათავხედდნენ, ჩვენები ყველანი გაბრაზებული არიან. პლეხანოვი იმუქრება, რომ დაუყოვნებლივ მიატოვებს ყველაფერს და შეუძლია ჩაიდინოს ეს. ვიმეორებ, თქვენი ჩამოსვლა აუცილებელია რადაც უნდა დაჯდეს.

დაწერილია 1903 წ. 4 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

75

ცენტრალურ კომიტეტს

მათი პირობები: 1) 4-ის კოოპტაცია რედაქციაში; 2) კოოპტაცია? ცენტრალურ კომიტეტში; 3) ლიგის კანონიერების აღიარება; 4) 2 ხმა საბჭოში. მე ცენტრალურ კომიტეტს წინადადებას მივცემდი წარუდგინოს მათ ასეთი პირობები: 1) 3-ის კოოპტაცია რედაქციაში; 2) status quo ante bellum * ლიგაში; 3) 1 ხმა საბჭოში. შემდეგ მე წინადადებას მივცემდი იქვე დაამტკიცოს (მაგრამ ჯერჯერობით არ აცნობოს მეომარ მხარეს) ულტიმატუმი: 1) 4-ის კოოპტაცია რედაქციაში; 2) 2-ის კოოპტაცია ცენტრალურ კომიტეტში ცენტრალური კომიტეტის არჩევანის მიხედვით; 3) status quo ante bellum ლიგაში; 4) 1 ხმა საბჭოში. თუ ულტიმატუმი მიღებულ არ იქნა, — ომი ბოლომდე. დამატებითი პირობა: 5) ყოველგვარი განსჯის, მითქმა-მოთქმისა და ლაპარაკის შეწყვეტა II ყრილობაზე და მის შემდეგ ატეხილი უთანხმოების შესახებ.

ჩემდათავად ვიტყვი, რომ მე რედაქციიდან წავალ და შემიძლია დავრჩე მხოლოდ ცენტრალურ კომიტეტში. მე **არაფერს** არ მოვერიდები და გამოვაქვეყნებ ბროშურას ისტერიით დაავადებულ სკანდალისტთა თუ დაწუნებულ მინისტრთა ბრძოლის შესახებ [148].

დაწერილია 1903 წ. 4 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — ომამდე არსებული მდგომარეობა. რ ე დ.

76

ვ. ა. ნოსკოვს და გ. მ. კრჟიჟანოვსკის

5. XI.

1) გუშინ თქვენთან წამოვიდა ლალაიანცი.

2) გუშინ უკვე გწერდით აქაურ სკანდალზე და იმაზე, რომ პლეხანოვი შეშინდა და მოლაპარაკება დაიწყო მათთან[149]. მათ წამოაყენეს პირობები: 1) ძველი რედაქციის აღდგენა, 2) რამდენიმე კაცის კოოპტაცია ცენტრალურ კომიტეტში, 3) 2 ხმა საბჭოში, 4) ლიგის ყრილობის კანონიერად აღიარება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი ზავზე თანახმა არიან მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენ სავსებით დავთმობთ პოზიციას, მოვახდენთ ვოლფის დეზავუირებას და «გავაუვნებლებთ» ახლანდელ ცენტრალურ კომიტეტს. ჩემი პირადი აზრია — რომ ცენტრალური კომიტეტის მხრივ ყოველი დათმობა დამამცირებელი იქნებოდა და სავსებით გაუტეხდა სახელს ახლანდელ ცენტრალურ კომიტეტს. საჭიროა, რომ ლანი და ნილი რაც შეიძლება მალე ჩამოვიდნენ აქ, ყველაფერი სასწორზეა დადებული — და თუ ცენტრალური კომიტეტი მზად არ არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის, ბოლომდე ბრძოლისათვის — უმჯობესია ერთბაშად ჩავუგდოთ მათ ყველაფერი ხელში. ასეთი დემორალიზაციის დაშვება, ასეთ გარიგებათა დადება მთელი საქმის დაღუპვას ნიშნავს. ვიმეორებ, ეს ჩემი პირადი აზრია. ყოველ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ჩამოდით, რომ ერთად გადავწყვიტოთ, რა ვაკეთოთ.

დაწერილია 1903 წ. 5 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერი
პირის მიხედვით

77

გ. ვ. პლეხანოვს

6. XI. 03.

დიდად პატივცემულო გიორგი ვალენტინის-ძევ! მე დიდ-ხანს ვფიქრობდი თქვენს გუშინდელ განცხადებაზე იმის შესახებ, რომ თქვენ იტოვებთ «მოქმედების სრულ თავისუფლებას», თუ მე არ დავთანხმდი ვურჩიო კონიაგინს გავიდეს პარტიის საბჭოდან. მე არასგზით არ შემიძლია დავთანხმდე ამას. აგრეთვე შესაძლებლად არ მიმაჩნია კვლავ დავრჩე ფაქტიური რედაქტორის არაოფიციალურ მდგომარეობაში, მიუხედავად ჩემი გადადგომისა, რაკი თქვენ ამბობთ, რომ მოქმედების სრული თავისუფლება ისე გესმით, რომ თქვენ მიერ მარტოველებისათვის რედაქციის გადაცემასაც არ გამორიცხავს. ამიტომ მე იძულებული ვარ თქვენ გადმოგცეთ ცენტრალური ორგანოს რედაქციის მთელი ოფიციალური ურთიერთობა და მთელი მასალები, რასაც კიდევაც გიგზავნით ცალკე პაკეტით. თუ საჭირო იქნება რაიმე ახსნა-განმარტება მასალების შესახებ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მოგცემთ. ზოგიერთი მასალა მიცემული აქვთ თანამშრომლებს (ლებედევს, შვარცს, რუბენს), და საჭიროა მათ ვუთხრათ, რომ ყველაფერი თქვენ გადმოგეცათ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გთხოვთ ნუ გაიგებთ რედაქციის გადმოცემას ყბადაღებული ბოიკოტის აზრით. ეს იმის საწინააღმდეგო იქნებოდა, რაც მე პირდაპირ ვთქვი ჩემს განცხადებაში თქვენდამი

ა. წ. 1 ნოემბერს [150]. რედაქციიდან ჩემს გასვლას მე, რა თქმა უნდა, ახლა შევატყობინებ ამხანაგებს.

P. P. S. პაკეტს გიგზავნით (ხვალ დილით შიკრიკის ხელით) სამს — აა, ბბ, გგ — მასალების მნიშვნელობის მიხედვით.

52-ე ნომრის გამოშვება ნავარაუდევი იყო 16. XI ცენტრალური კომიტეტის ცნობით [151]. ამისათვის ბეჭდვა ორშაბათიდან უნდა დაიწყოს, სამშაბათიდანაც კი მოესწრება.

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

78

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

8. XI. 03. სმიტს

ძვირფასო მეგობარო! ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გთხოვ ჩამოხვიდე შენ, სახელდობრ შენ, და შემდეგ კიდევ ერთი-ორი ცენტრალური კომიტეტიდან. ეს აუცილებელია უთუოდ და დაუყოვნებლივ. პლეხანოვმა გვიღალატა, ჩვენს ბანაკში საშინელი გააფთრებაა; ყველა აღშფოთებულია, რომ ლიგაში მომხდარი სკანდალების გამო პლეხანოვმა პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა გადაკეთება დაანება. მე საბოლოოდ გამოვედი რედაქციიდან. «ისკრა» შეიძლება შეჩერდეს. კრიზისი სრული და საშინელია. მხედველობაში იქონიე, რომ ახლა ვიბრძვი არა ცენტრალური ორგანოს რედაქციისათვის, მე სავსებით ვურიგდები იმას, რომ პლეხანოვმა შეადგინოს 5-ეული უჩემოდ. მაგრამ მე ვიბრძვი ცენტრალური კომიტეტისათვის, რომელიც პლეხანოვის ლაჩრული ღალატის შემდეგ გათავხედებულ მარტოველებს უნდათ აგრეთვე ჩაიგდონ ხელში, მოითხოვენ იქ თავიანთი კაცების კოოპტაციას და არც კი ამბობენ, რამდენისას!! ბრძოლა ცენტრალური ორგანოს რედაქციისათვის საბოლოოდ წაგებულია პლეხანოვის ღალატის გამო. ზავის ერთადერთი შანსია: ვცადოთ დავუთმოთ მათ ცენტრალური ორგანოს რედაქცია და შევინარჩუნოთ ცენტრალური კომიტეტი. — ეს სრულებითაც არ არის ადვილი (შესაძლოა ესეც კი უკვე გვიან იყოს), მაგრამ უნდა ვცადოთ. აქ აუცილებლად საჭიროა სახელდობრ სმიტი და ყველაზე უმჯობესია კიდევ ორი რუსი ცენტრალური

კომიტეტიდან, რომლებიც ყველაზე გავლენიანი უნდა იყვნენ (არა მანდილოსნები) (მაგალითად, ბორისი და დოქტორი). პლეხანოვი წასვლას იმუქრება, თუ ცენტრალურმა კომიტეტმა არ დათმო: ღვთის გულისათვის, არ დაიჯეროთ მისი მუქარა; იგი უნდა დატუქსოთ, დააფრთხოთ. საჭიროა, რომ რუსეთი მტკიცედ აღდგეს ცენტრალური კომიტეტისათვის, ცენტრალური ორგანოს რედაქციის გადაცემას კი შეურიგდეს. აქ აუცილებლად საჭიროა ახალი ადამიანები ცენტრალური კომიტეტიდან, თორემ აბსოლუტურად არავინ არის, რომ მარტოველებთან მოლაპარაკება აწარმოოს. სმიტი სამგზის საჭიროა. ვიმეორებ მარტოველთა «პირობებს»: 1) მოლაპარაკება ცენტრალური ორგანოს რედაქციისა და ცენტრალური კომიტეტის სახელით, 2) 6 ცენტრალური ორგანოს რედაქციაში; 3)? ცენტრალურ კომიტეტში. ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციის შეჩერება, 4) 2 ადგილი საბჭოში, 5) ცენტრალური კომიტეტის დეზავუირება ლიგის საკითხში, ლიგის ყრილობის კანონიერად აღიარება. ეს ხომ ზავის ისეთი პირობებია, რომლებსაც გამარჯვებულნი წაუყენებენ დამარცხებულთ!!

გაგზავნილია ჟენევიდან კიევში
პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

79

მ. ნ. ლიადოვს [152]

10. XI. 03.

ძვირფასო ლიდინ! მინდა მოგითხროთ ჩვენი «პოლიტიკური ახალი ამბები».

აი დასაწყისისათვის უკანასკნელი ამბების ქრონოლოგია. ოთხშაბათი (27. X თუ 28. X?) — ლიგის ყრილობის მესამე დღე. ისტერიკით შეპყრობილი მარტოვი გაჰყვირის იმ თემაზე, რომ ჩვენ მოსვრილი ვართ «ძველი რედაქციის სისხლით» (პლეხანოვის გამოთქმა) და რომ ლენინის მხრივ ყრილობაზე იყო ინტრიგების მსგავსი რამ და ა. შ.. მე მშვიდად ვიწვევ მას წერილობით (ყრილობის ბიუროსადმი განცხადებით) ა შ კ ა რ ა დ გამოვიდეს მთელი პარტიის წინაშე და ბრალდებები წამომიყენოს: მე ვკისრულობ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი დავბეჭდო. თორემ ეს მხოლოდ Skandalsucht * არის-მეთქი. მარტოვი, რა თქმა უნდა, «კეთილშობილურად უკან იხევს» და მოითხოვს (ახლაც კიდევ) სამედიატორო სასამართლოს; მე კვლავ მოვითხოვ, რომ მან გამბედაობა იქონიოს და აშკარად დამდოს ბრალი, — წინააღმდეგ შემთხვევაში მე ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს უ გ უ ლ ე ბ ე ლ ვ ყ ო ფ როგორც უბადრუკ ჭორებს.

პლეხანოვი უარს ამბობს ილაპარაკოს მარტოვის არასაკადრისი ქცევის გამო. ათიოდე ჩვენიანს ყრილობის ბიუროში შეაქვს განცხადება და გმობს მარტოვის «არასაკადრის ქცევას», მარტოვისა, რომელმაც დავა გადაიტანა კინკლაობის,

* — სკანდალის გამოწვევის ცდა. რ ე დ.

ეჭვის მიტანის etc. ნიადაგზე. ფრჩხილებში უნდა ვთქვა, ჩემს ორსაათიან სიტყვას «ამხ. მარტოვის ისტორიული შებრუნების შესახებ»[153] პარტიულ ყრილობაზე Versumpfung-ისაკენ* მარტოველებშიც კი არ გამოუწვევია ა რ ც ერთი პროტესტი საკითხის კინკლაობის ნიადაგზე გადატანისათვის.

პარასკევი. ჩვენ გადავწყვიტეთ შევიყვანოთ ლიგაში 11 ახალი წევრი; საღამოს კერძო კრებაზე ამ «გრენადერებთან» (როგორც ხუმრობით ვუწოდებდით მათ) პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი აკეთებს ყველა იმ ნაბიჯის **რეპეტიციას**, თუ რა სასტიკად ვამარცხებთ მარტოველებს. სცენა. მქუხარე ტაში.

შაბათი. ცენტრალური კომიტეტი კითხულობს თავის განცხადებას ლიგის წესდების არდამტკიცებისა და კრების უკანონობის შესახებ (განცხადებას, რომელიც წინათ დაწვრილებით, სიტყვასიტყვით განხილულ იქნა პლეხანოვთან ერთად). ჩვენები ყველანი მიდიან ყრილობიდან მარტოველთა ღრიალში: «ჟანდარმებო» etc.

შაბათი, საღამო. პლეხანოვი «გატყდა»: იგი გათიშვის თანახმა არ არის. საზავო მოლაპარაკების დაწყებას მოითხოვს.

კვირა (1. XI). მე პლეხანოვს ვაძლევ წერილობითს განცხადებას გადადგომის შესახებ (რადგან არა მსურს მონაწილეობა მივიღო ისეთ გარყვნილებაში, როგორიც არის პარტიული ყრილობის გადაკეთება საზღვარგარეთ მომხდარი სკანდალის გავლენით; აღარას ვამბობ იმაზე, რომ წმინდა სტრატეგიული თვალსაზრისითაც არ შეიძლებოდა დათმობისათვის მომენტის უფრო სულელურად შერჩევა).

3. XI. სტაროვერი წერილობით აცნობებს პლეხანოვს, რომელმაც მოლაპარაკება დაიწყო, ოპოზიციასთან ზავის პირობებს: 1) მოლაპარაკებას აწარმოებს ცენტრალური ორგანოს რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი. 2) «ისკრის» ძველი რედაქციის აღდგენა. 3) კოოპტაცია ცენტრალურ კომიტეტში იმ რაოდენობით, რაც მოლაპარაკების დროს განისაზღვრება. ცენტრალურ კომიტეტში კოოპტაციის შეწყვეტა მოლაპარაკების დაწყების მომენტიდან. 4) 2 ა დ გ ი ლ ი

* — ჭაობიანობისაკენ. რ ე დ.

(sic!) პარტიის საბჭოში და 5) ლიგის ყრილობის კანონიერების აღიარება.

პლეხანოვი არ შემკრთალა. იგი მოითხოვს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დაუთმოს (!!!). ცენტრალური კომიტეტი უარს აბობს და სწერს რუსეთში. პლეხანოვი აცხადებს, რომ წავა, თუ ცენტრალურმა კომიტეტმა არ დათმო. მე ვაბარებ პლეხანოვს (6. XI) რედაქციის მ თ ე ლ საქმეებს, რაკი დავრწმუნდი, რომ პლეხანოვს შეუძლია მუქთად მისცეს მარტოველებს არა მარტო გაზეთი, არამედ მ თ ე ლ ი ცენტრალური კომიტეტიც.

საქმის ვითარება: საეჭვოა, რომ «ისკრა» ვადაზე გამოვიდეს. მარტოველები ზეიმობენ თავიანთ «გამარჯვებას». ჩვენები ყველანი (ორი ქალიშვილის — აქსელროდების გარდა, რომლებიც პლეხანოვის ერთგულნი არიან მის Treulosigkeit-შიც * კი) შორდებიან პლეხანოვს და კრებაზე (6 თუ 7. XI) ეუბნებიან მას მწარე სიმართლეს (თემაზე «მეორე ისრის» შესახებ).

ხომ კარგი რამეა? მე რედაქციაში არ შევალ, წერით კი ვწერ. ჩვენებს სურთ დაიცვან, რამდენადაც კი შესაძლებელია, ცენტრალური კომიტეტი და განაგრძონ გაძლიერებული აგიტაცია მარტოველების წინააღმდეგ — გეგმა, ჩემი აზრით, სწორია.

წავიდეს პლეხანოვი: მაშინ პარტიის საბჭო «ისკრას» კომისიას გადასცემს და პარტიის სასწრაფო ყრილობას მოიწვევს. ნუთუ მართლაც უნდა დავანებოთ საზღვარგარეთულ ლიგას 3 — 4 ხმის უმეტესობით გ ა დ ა ა კ ე თ ო ს პარტიული ყრილობა?? ნუთუ მართებულია, რომ მაშინ როცა ბრძოლა მიყვანილ იქნა უდიდეს გახმაურებამდე და თითქმის განხეთქილებამდე, უკან დავიხიოთ და მივიღოთ ზავის პირობები, რომლებსაც მარტოველები გვიკარნახებენ??

მინდა ვიცოდე თქვენი აზრი.

მე ვფიქრობ, მოქცევა à la პლეხანოვი ნიშნავს პარტიული ყრილობის ჩაშლას და მისი უმრავლესობისადმი ღალატს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მთელი ძალ-ღონით უნდა გავწიოთ აქ და

* — მუხანათობაში. რ ე დ.

რუსეთში აგიტაცია პარტიული ყრილობისადმი და არა ლიგის ყრილობისადმი დამორჩილების სასარგებლოდ.

«ისკრის» ბოიკოტი (თუნდაც მარტოვის «ისკრისა»), რა თქმა უნდა, სისულელეა. თანაც იგი მარტოვისა კი არ იქნება, არამედ, შეიძლება ითქვას, პლეხანოვისა, ვინაიდან ზასულიჩი და აქსელროდი მალე მისცემენ პლეხანოვს სამ ხმას ხუთეულში. ამას ეწოდება რედაქცია!! დამატებით თქვენი გონებამახვილი შენიშვნისა საროვსკის წმინდა ნაწილების შესახებ მომყავს პატარა სტატისტიკა: ექვსეულის «ისკრის» 45 ნომერში სტატიები და ფელეტონები მარტოვის დაწერილია 39, ჩემი 32, პლეხანოვის 24, სტაროვერის 8, ზასულიჩის 6 და პ. ბ. აქსელროდის 4. ეს სამ წელიწადში! **არც ერთი №** (სარედაქციო-ტექნიკური აზრით) მარტოვის ან ჩემს მეტს არავის შეუდგენია. და ახლა — სკანდალისათვის ჯილდოდ, სტაროვერის მიერ ფულის ერთი დიდი წყაროს მოკვეთის ჯილდოდ — ისინი რედაქციაში შეიყვანო! ისინი იბრძოდნენ «პრინციპული უთანხმოებისათვის», — რაც სტაროვერის 3. XI-ის წერილში პლეხანოვისადმი ასე დამახასიათებლად გადაიქცა იმის გამოანგარიშებად, თუ რამდენი ადგილი უნდათ. და ჩვენ უნდა დავაკანონოთ ეს ბრძოლა ადგილებისათვის, გავურიგდეთ დაწუნებული გენერლების თუ მინისტრების ამ პარტიას (grève générale des généraux *, როგორც პლეხანოვი ამბობდა) ან ისტერიით დაავადებულ სკანდალისტთა პარტიას!! მაშინ რაღა საჭიროა პარტიული ყრილობები, თუ საქმეები საზღვარგარეთის ნათლიმამობით, ისტერიკითა და სკანდალებით წყდება??

კიდევ ყბადაღებული «სამეულის» შესახებ, რომელშიც ისტერიით დაავადებული მარტოვი ჩემი «ინტრიგანობის» ცენტრს ხედავს. თქვენ ალბათ ყრილობის დროიდანვე გახსოვთ ყრილობის ჩემი პროგრამა და ჩემი კომენტარი ამ პროგრამისადმი. ძალიან მინდა, რომ პ ა რ ტ ი ი ს ყ ვ ე ლ ა წ ე ვ რ ი ი ც ნ ო ბ დ ე ს ამ დ ო კ უ მ ე ნ ტ ს, და ამიტომ,

* — გენერლების საყოველთაო გაფიცვა. რ ე დ.

კიდევ ერთხელ, ზუსტად მოგიყვანთ მას. «პ. 23 (Tagesordnung-ისა*). პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს დ ა ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო ს რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი».

ჩემი კომენტარი: «ყრილობა ირჩევს 3 პირს ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და 3-ს ცენტრალურ კომიტეტში. ეს 6 პირი ე რ თ ა დ, $^2/_3$ უმრავლესობით, შეავსებს, თუ ეს აუცილებელია, ცენტრალური ორგანოს რედაქციასა და ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობას კოოპტაციით და სათანადო მოხსენებას უკეთებს ყრილობას. ყრილობის მიერ ამ მოხსენების დამტკიცების შემდეგ ცენტრალური ორგანოს რედაქცია და ცენტრალური კომიტეტი შემდგომ კოოპტაციას ცალ-ცალკე აწარმოებენ».

ნუთუ აქედან ცხადი არ არის, რომ აქ გატარებულია რედაქციის გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა, რომელიც შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, თუ ცენტრალური კომიტეტის თანხმობა არ იქნა (კოოპტაციისათვის 6-დან საჭიროა 4), ამასთან თავდაპირველი 3-ეულის გაფართოების თუ მისი დატოვების საკითხი **ღიად დგას** (კოოპტაციას მოახდენენ **«თუ ეს აუცილებელია»**)? ეს პროექტი მე ყრილობამდე ვაჩვენე ყ ვ ე ლ ა ს (პლეხანოვსაც, რა თქმა უნდა). ცხადია, განახლება საჭირო იყო, რადგან არსებობდა უკმაყოფილება ექვსეულით (და განსაკუთრებით პლეხანოვით, რომელსაც ფაქტიურად ჰქონდა თითქმის არასოდეს არ მონაწილე პ. ბ. აქსელროდისა და დამთმობი ვ. ი. ზასულიჩის ხმა), ცხადია კერძო საუბარში მარტოვთან მე მ კ ვ ე თ რ ა დ გამოვთქვამდი ამ უკმაყოფილებას, «ვლანძღავდი» პლეხანოვსაც (განსაკუთრებით) და აქსელროდსა და ზასულიჩსაც კაპრიზებისათვის, იმასაც ვვარაუდობდი, რომ 6-ეული 7-ეულამდე გაგვეფართოებინა და ა. შ.. მაგრამ განა ისტერიკა არ არის ახლა ამ კერძო საუბრების ქექვა და ყვირილი, რომ «სამეული მიმართული იყო პლეხანოვის წინააღმდეგ», რომ მე «მახეს» ვუგებდი მარტოვს etc.?? რა თქმა უნდა, როცა მე და მარტოვი ვეთანხმებით ერთმანეთს,

* — დღის წესრიგისა. რ ე დ.

სამეული პლეხანოვის წინააღმდეგ იქნებოდა, ხოლო როცა პლეხანოვი ეთანხმება მარტოვს (მაგალითად, დემონსტრაციების საკითხში), მაშინ ჩემ წინააღმდეგ და ა. შ.. ისტერიული ღრიანცელი მხოლოდ ფარავს უბადრუკ უუნარობას გაიგონ, რომ რედაქციაში მხოლოდ და მხოლოდ ნამდვილი და არა ფიქტიური რედაქტორები უნდა იყვნენ, რომ ეს საქმიანი და არა ობივატელური კოლეგია უნდა იყოს, რომ იქ თვითეულს თავისი აზრი უნდა ჰქონდეს თვითეულ საკითხზე (რაც არასოდეს არ ყოფილა აურჩეველთა სამეულში).

მარტოვმა მოიწონა 2 სამეულის ჩემი გეგმა, ხოლო როცა დაინახა, რომ ეს გეგმა ერთ საკითხში მის, მარტოვის, წინააღმდეგ შეტრიალდა, მაშინ მან ისტერიკა გამართა და ყვირილი ატეხა ინტრიგანობაზე! ტყუილად კი არ იყო, რომ პლეხანოვმა ყრილობის კულუარებში მას «უბადრუკი ადამიანი» უწოდა!

დიახ... ბილწმა საზღვარგარეთულმა კინკლაობამ, აი რამ აჯობა რუსეთელ მუშაკთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას. პლეხანოვმაც გვიღალატა, ნაწილობრივ საზღვარგარეთის სკანდალის შიშით, ნაწილობრივ იმიტომ, რომ გრძნობდა (შესაძლოა), რომ ხუთეულში იგი სამთა შორის იქნება...

ბრძოლა ცენტრალური კომიტეტისათვის, ახალი ყრილობის მალე (ზაფხულში) მოწვევისათვის — აი რა დაგვრჩენია ჩვენ.

ჩემი რვეული იშოვნეთ[154]. იგი პოლეტაევმა (ბაუმანმა) მხოლოდ და პირადად ვეჩესლოვს გაუგზავნა. შერგოვს მისი წაღება შეეძლო მხოლოდ ყალთაბანდურად, მხოლოდ ნდობის დარღვევით. წაუკითხეთ იგი ყველას, ვისაც გნებავთ, ხელზე არავის მისცეთ და დამიბრუნეთ.

ვეჩესლოვი ყველა პოზიციიდან უნდა განდევნოთ. აიღეთ თქვენთვის წერილი ცენტრალური კომიტეტისაგან,

გამოაცხადეთ თავი Parteivorstand-ის * წინაშე ცენტრალური კომიტეტის აგენტად და მ თ ლ ი ა ნ ა დ თქვენს ხელში აიღეთ მ თ ე ლ ი გერმანული კავშირურთიერთობა.

თქვენი ბროშურისათვის ძალიან დამნაშავე ვარ თქვენ წინაშე. მხოლოდ ერთხელ მოვასწრე მისი წაკითხვა. იგი საჭიროებს გადაკეთებას, რომლის გეგმის დასახვა ვერ მოვასწრე.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — პარტიის გამგეობის (გერმანიის ს.-დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის). რ ე დ.

80

გ. ვ. პლეხანოვს

18. XI. 03.

დიდად პატივცემულო გიორგი ვალენტინის-ძევ!

ძალიან ბოდიშს ვიხდი, რომ ერთი დღით დავაგვიანე სტატია[155]: გუშინ კარგად ვერ ვიყავი და საერთოდ საშინლად მიჭირს მუშაობა ამ დღეებში.

სტატია გრძელი გამომივიდა, ასე რომ საჭიროა 2 ნაწილად გაყოფა; მე-2-ში საფუძვლიანად გავარჩევ ნოვობრანცევს და შევაჯამებ შედეგებს.

ჩემი სტატიის ხელმოწერა აუცილებლად მიმაჩნია და ვიღებ ფსევდონიმს, ვინაიდან გამოცხადებამდე სხვანაირად თქვენთვის ალბათ უხერხულია.

«ისკრის» ნომერში, სადაც იქნება განცხადება ყრილობის შესახებ, გთხოვთ მოათავსოთ აგრეთვე ჩემი ამასთან დართული განცხადება[150]. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევისათვის, თუ პარტიაში სრული მშვიდობა დამყარდება (რის იმედიც მე მაქვს) და თუ თქვენ ამას საჭიროდ დაინახავთ, მე შემიძლია, ზავის სხვა პირობებს შორის, ისიც განვიხილო, რომ ასეთი განცხადება არ დაიბეჭდოს.

თქვენი ერთგული ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

მთლიანად პირველად დაიბეჭდა 1928 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

81

ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო მეგობრებო! ახალი პოლიტიკური პოზიცია სავსებით დაისახა «ი ს კ რ ი ს» 53-ე №-დან. ცხადია, რომ ხუთეულს ცენტრალურ ორგანოში სურს დევნა-წასისიანებით ბოლო მოუღოს ლენინსაც (იქამდეც კი, რომ ცილს სწამებს პარტიიდან იუნირაბოჩელების გაგდების შესახებ, იქამდეც კი, რომ გადაკვრით საზიზღრად უთითებს შვაიცერზე [167]), ცენტრალურ კომიტეტსაც და მთელ უმრავლესობასაც. პლეხანოვი პირდაპირ ამბობს, რომ ცენტრალური ორგანოს ხუთეულს არავითარი ცენტრალური კომიტეტისა არ ეშინია. ცენტრალურ კომიტეტზე იერიში მიაქვთ აქაც და რუსეთშიც (წერილი სპბ-დან მარტინის ჩასვლის შესახებ). საკითხი პირდაპირ არის დაყენებული. თუ ხელიდან გავუშვით დრო და ლოზუნგი ბრძოლისათვის, გარდუვალია ს რ უ ლ ი დამარცხება ჯერ 1) «ისკრაში» ხუთეულის გააფთრებული ბრძოლის გამო, 2) რუსეთში ჩვენი ადამიანების ჩავარდნის გამო. ხ ს ნ ა ე რ თ ი ა — ყ რ ი ლ ო ბ ა. მ ი ს ი ლ ო ზ უ ნ გ ი ა: დ ე ზ ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ ე ბ თ ან ბ რ ძ ო ლ ა. მხოლოდ ამ ლოზუნგით შეიძლება დავიჭიროთ მარტოველები, მოვიზიდოთ ფართო მასა და ვიხსნათ პოზიცია. ჩემი აზრით, ერთადერთი შესაძლებელი გეგმა ასეთია: ყ რ ი ლ ო ბ ი ს შესახებ ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ არავისთან კრინტი არ უნდა დავძრათ, სრული საიდუმლოება დავიცვათ. მ თ ე ლ ი ძალები, ყ ო ვ ე ლ ი ვ ე და ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, დავძრათ კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს ა კ ე ნ და შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ლ ა დ. ვიბრძოლოთ ზა-

ვისათვის, დეზორგანიზაციის შეწყვეტისათვის, ცენტრალური კომიტეტისადმი დამორჩილებისათვის. მთელი ძალ-ღონით განვამტკიცოთ კომიტეტები ჩვენი ადამიანებით. დეზორგანიზაციაზე დავიჭიროთ მარტოველები და იუჟნირაბოჩელები მთელი ძალ-ღონით, დოკუმენტებით, დეზორგანიზატორთა წინააღმდეგ რეზოლუციებით, კომიტეტების რეზოლუციები უნდა ვაფრინოთ ცენტრალურ ორგანოში. შემდეგ გავაძვრინოთ ადამიანები მერყევ კომიტეტებში. კომიტეტების დაპყრობა ლოზუნგით: დეზორგანიზაციის წინააღმდეგ — ასეთია უ მ თ ა ვ რ ე ს ი ამოცანა. ყ რ ი ლ ო ბ ა ა უ ც ი ლ ებ ელ ი ა ა რ ა უ გ ვ ი ა ნ ე ს ი ა ნ ვ რ ი ს ა, ამიტომ უფრო ენერგიულად შეუდექით საქმეს, ჩვენც მთელ ძალებს ავამოძრავებთ. ყ რ ი ლ ო ბ ი ს მ ი ზ ა ნ ი ა გ ა ნ ვ ა მ ტ კ ი ც ო თ ცენტრალური კომიტეტი და საბჭო, ხოლო შესაძლოა ცენტრალური ორგანოც ან სამეულის (იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდება გამოვგლიჯოთ პლეხანოვი, რაც ნაკლებად მოსალოდნელია), ან ექვსეულის გზით, ს ა დ ა ც მ ე შ ე ვ ა ლ ჩვენთვის საპატიო ზავის შემთხვევაში. ყველაზე უარესი: მ ა თ ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო, ჩ ვ ე ნ ი ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი დ ა ს ა ბ ჭ ო.

ვიმეორებ: ან ს რ უ ლ ი დამარცხება (დევნა-წასისიანებით დაგვამარცხებს ცენტრალური ორგანო) ან ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მ ო მ ზ ა დ ე ბ ა. ი გ ი უ ნ დ ა მ ო ვ ა მ ზ ა დ ო თ ჯ ე რ ფ ა რ უ ლ ა დ maximum ერთი თვის განმავლობაში, შ ე მ დ ე გ ს ა მ კ ვ ი რ ა ში შ ე ვ კ რ ი ბ ო თ ½ კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ი დ ა მ ო ვ ი წ ვ ი ო თ ყ რ ი ლ ო ბ ა. კ ვ ლ ა ვ დ ა კ ვ ლ ა ვ: ეს არის ერთადერთი ხსნა.

დაწერილია 1903 წ. 10 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

82

«ისკრის» რედაქციას [158]

ცენტრალური ორგანოს რედაქციას

12. XII. 03.

მე, როგორც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა, დღეს ამხ. მარტოვისაგან მივიღე შეკითხვა, შეიძლება თუ არა დაიბეჭდოს ცნობა ცენტრალური კომიტეტის მოლაპარაკებაზე ჟენევის ოპოზიციასთან [159]. მე ვფიქრობ, რომ შეიძლება, და ძალიან ვთხოვ ამხანაგებს ცენტრალური ორგანოს რედაქციაში ერთხელ კიდევ აწონ-დაწონონ პარტიაში მშვიდობის საკითხი.

ჯერ კიდევ გვიან არ არის უზრუნველვყოთ ეს მშვიდობა, ჯერ კიდევ გვიან არ არის არ შევატყობინოთ ხალხსა და მტრებს დაწვრილებითი ცნობები გათიშვაზე და სიტყვები არაწესიერებისა და ყალბი სიების შესახებ, — სიტყვები, რომლებსაც ალბათ «მოსკოვსკიე ვედომოსტიც» კი გამოიყენებს. მე გარანტიას ვიძლევი, რომ უმრავლესობა სიამოვნებით დათანხმდება დავიწყებას მისცეს მთელი ეს სიბინძურე, იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობა პარტიაში.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ცენტრალური ორგანოს რედაქციაზე, სადაც შედიან წარმომადგენლები ყოფილი ოპოზიციისა, რომელმაც უარყო ცენტრალური კომიტეტის 25. XI. 03 წინადადება ზავის შესახებ [160]. მე გთხოვთ, ამხანაგებო, მხედველობაში მიიღოთ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მას შემდეგ გააკეთა ორი შემდგომი ნებაყოფლობითი დათმობა, ურჩია ამხანაგ რუს გადამდგარიყო და სცადა «სიამტკბილობით» მოეგვარებინა საქმე ლიგასთან.

ამავე დროს კი ცენტრალური კომიტეტის ბოიკოტი, მის წინააღმდეგ აგიტაცია და რუსეთში პრაქტიკული მუშაობის დეზორგანიზაცია გრძელდება. რუსეთიდან გვწერენ, რომ ოპოზიცია იქ «ჯოჯოხეთს» აწყობს. ჩვენ გვაქვს სავსებით დანამდვილებითი ცნობები, რომ უმცირესობის აგენტები დადიან კომიტეტებში და სისტემატურად განაგრძობენ დეზორგანიზატორულ მუშაობას. პიტერიდან გვწერენ, რომ აღნიშნული მიზნით იქ ჩავიდა მარტინი. საქმე იქამდე მიდის, რომ ოპოზიცია აწყობს თავის ტრანსპორტს და, დანის მეშვეობით, საზიაროდ სთავაზობს მას ცენტრალურ კომიტეტს!

პარტიის წინაშე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია უკანასკნელად ვთხოვო ცენტრალური ორგანოს რედაქციას — ურჩიოს ოპოზიციას ხელი მოაწეროს ზავს იმ საფუძველზე, რომ ორივე მხარემ გულწრფელად ცნოს ორივე ცენტრი და შეწყვიტოს ურთიერთ შორის ქიშპობა, რომელიც შეუძლებელს ხდის რაიმე ერთობლივ მუშაობას.

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

83

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

ძვირფასო მეგობარო! ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა საფუძვლიანად გამოვარკვიოთ საკითხი, რომელშიც ჩვენ, ჩანს, უთანხმოება გვაქვს, და მე ძალიან გთხოვ გადასცე ჩემი ეს წერილი განსახილველად ცენტრალური კომიტეტის (ან აღმასრულებელი კომისიის[161]) ყველა წევრს. უთანხმოება აი რაშია: 1) შენ ფიქრობ, რომ შესაძლებელია ზავი მარტოველებთან (ბორისი კიდევაც გვილოცავს ზავს! სასაცილოც არის და სამწუხაროც!); 2) შენ ფიქრობ, რომ ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა ჩვენი უძლურების აღიარებაა. მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ორივე პუნქტში სასტიკად სცდები. 1) მარტოველებს ომი სურთ. მარტოვი ჟენევაში კრებაზე პირდაპირ გაჰყვიროდა, ჩვენ ძალა ვართო. გაზეთში ისინი გვდევნიან ჩვენ და საზიზღრად ცვლიან საკითხს, თავიანთ გაიძვერობას ფარავენ ღრიანცელით ბიუროკრატიზმის შესახებ თქვენი მისამართით. ცენტრალური კომიტეტის სრული უვარგისობის შესახებ მარტოვი კვლავ წაღმა-უკუღმა გაჰყვირის. ერთი სიტყვით, გულუბრყვილობაა და პირდაპირ შეუწყნარებელია იმაში დაეჭვება, რომ მარტოველები მიზნად ისახავენ ხელში ჩაიგდონ ცენტრალური კომიტეტიც ასეთივე გაიძვერობით, ბოიკოტითა და სკანდალით. ამ ნიადაგზე მათთან ბრძოლა არ ძალგვიძს, ვინაიდან ცენტრალური ორგანო საშინელი იარაღია და ჩვენი დამარცხება გარდუვალია, განსაკუთრებით ჩავარდნათა გამო. დროის ხელიდან გაშვებით თქვენ მიდიხართ მთელი უმრავლესობის დანამდვილებით და

სავსებით დამარცხებისაკენ, თქვენ ხმაამოუღებლად იტანთ ცენტრალური კომიტეტისათვის საზღვარგარეთ (ლიგის მიერ) გაწნულ სილებს და ითხოვთ ახალ სილებს. 2) ყრილობა დაამტკიცებს ჩვენს ძალას, დაამტკიცებს, რომ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მთელ მოძრაობას საზღვარგარეთელ სკანდალისტთა ხროვა მბრძანებლობდეს. ყრილობა საჭიროა სწორედ ახლა, როცა არის ლოზუნგი: ბრძოლა დეზორგანიზაციასთან. მხოლოდ ეს ლოზუნგი ამართლებს ყრილობას და სავსებით ამართლებს მთელი რუსეთის თვალში. დროის ხელიდან გაშვებით თქვენ ხელიდან უშვებთ ამ ლოზუნგს, ამტკიცებთ თქვენს უძლურ, პასიურ დამორჩილებას მარტოველებისადმი. იმაზე ოცნება, რომ პოზიცია გაიმაგროთ დადებითი მუშაობით ცენტრალური ორგანოს მხრივ დევნა-წასისიანების პირობებში, მარტოველთა მხრივ ბოიკოტისა და აგიტაციის პირობებში, პირდაპირ სასაცილოა. ეს ნიშნავს იმას, რომ ნელ-ნელა დავიღუპოთ თავი არასასახელო ბრძოლაში ინტრიგანებთან, რომლებიც შემდეგ იტყვიან (უკვე ახლაც ამბობენ): შეხედეთ, რა ქმედუუნაროა ეს ცენტრალური კომიტეტიო! ვიმეორებ: თავს ნუ იტყუებთ ილუზიებით. ან თქვენ უკარნახებთ ზავს მარტოველებს ყრილობაზე, ანდა თქვენ სამარცხვინოდ გამოგყრიან ან შეგცვლიან პირველი ჩავარდნისთანავე. ახლა ყრილობას მიზანი აქვს: ბოლო მოუღოს შეუწყნარებელ დეზორგანიზაციას, თავიდან მოიშოროს ლიგა, რომელიც აბუჩად იგდებს ყოველ ცენტრალურ კომიტეტს, მტკიცედ აიღოს თავის ხელში საბჭო და მოაგვაროს ცენტრალური ორგანო. როგორ მოაგვაროს? — უ ა რ ე ს შემთხვევაში ხუთეულის დატოვებითაც კი (ან ექვსეულის აღდგენით); მაგრამ ეს ორაზეი შემთხვევა მოსალოდნელი არ არის, თუ ჩვენ დიდი უმრავლესობა გვეყოლება. მაშინ ჩვენ ან საბოლოოდ დავამარცხებთ მარტოველებს (პლეხანოვი ა ხ ლ ა უ კ ვ ე ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს ახალ Vademecum-ზე *, რაკი ხედავს, რომ ზავი არ არის, და იმუქრება, რომ თავს დაესხმის ორივე მოდავე მხარეს. ჩვენც

* — გზის მაჩვენებელი. რ ე დ.

სწორედ ეს გვინდა!), ან აშკარად ვიტყვით, რომ ჩვენ ხელმძღვანელი ცენტრალური ორგანო არა გვაქვს, და გადავაქცევთ მას სადისკუსიო ორგანოდ უმრავლესობისა და უმცირესობის ხელმოწერილი სტატიებით (კიდევ უკეთესი: მარტოველებთან პოლემიკა ბროშურებში გადავიტანოთ, «ისკრაში» კი ვეომოთ მხოლოდ მთავრობას და სოციალ-დემოკრატიის მტრებს).

მაშ ასე: თავი დაანებეთ გულუბრყვილო იმედს — მშვიდობიანად იმუშაოთ ასეთ შეუწყნარებელ ატმოსფეროში. მთელი მ თ ა ვ ა რ ი ძალები წარმართეთ შემოვლაზე, წავიდეს ლანი, ახლავე საბოლოოდ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ა ვ ი თ ჩვენი კომიტეტები, შემდეგ იერიში მიიტანეთ სხვის კომიტეტებზე და... ყრილობა, ყრილობა არა უგვიანეს იანვრისა!

P. S. თუ მარტოვი შეეკითხება ლანს გამოქვეყნების შესახებ [162], — ლანმა აუცილებლად გადასცეს ხმა კოლს, აუცილებლად, თორემ უდიდესი სკანდალი გამოვა! მარტოვი და დანი შეხვედრების დროს კოლს შეუწყნარებლად კადნიერ რამეებს ეუბნებიან!

P. P. S. დღეს, 18, მარტოველებმა კიდევ ახალი საზიზღრობა ჩაიდინეს: უარი თქვეს დაბეჭდონ № 54-ში ჩემი წერილი, თუ რატომ გამოვედი რედაქციიდან [163], იმ საბაბით, რომ განსი დოკუმენტების გამოქვეყნების წინააღმდეგი იყო (სიცრუეში ჩაეფლნენ! განსი წინააღმდეგი იყო ზ ა ვ ი ს პირობით!). უარს თან ახლავს უამრავი სიბილწე, როგორც, მაგალითად, ის, რომ ცენტრალური კომიტეტი აპირებდა ხელში ჩაეგდო ცენტრალური ორგანო, რომ მოლაპარაკება წარმოებდა ცენტრალური კომიტეტისათვის ნდობის დაბრუნებაზე და სხვ.. ტაქტიკა ნათელია: ფარისევლურად დაფარონ დანების, მარტინების etc. ოპოზიცია ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და გაზეთში ჩუმ-ჩუმად ლაფი ასხან ცენტრალურ კომიტეტს. მე არაფრის გულისათვის არ დავტოვებ უპასუხოდ საზიზღარ № 53-ს. მიდეპეშეთ ახლავე: 1) თანახმა ხართ თუ არა ჩემი წერილის დაბეჭდვაზე «ისკრის» გ ა რ ე თ? Actien * 203; 2) თანახმა ხართ თუ არა ახლავე წარმართოთ

* — აქციები. რ ე დ.

მთელი ძალები ყრილობის მოსაწვევად? Actien 204. თუ ორივე კითხვაზე: კი, მაშინ Actien 407. თუ ორივე კითხვაზე არა, მაშინ Actien 45.

ზეგ გამოგიგზავნით ჩემს წერილს რედაქციიდან გამოსვლის შესახებ. თუ თქვენ თანახმა არა ხართ ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევაზე და აპირებთ ხმაამოუღებლად აიტანოთ მარტოვის სილები, მაშინ მე ალბათ მომიხდება მთლად გამოვიდე ცენტრალური კომიტეტიდანაც.

დაწერილია 1903 წ. 18 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

84

ნ. ე. ვილონოვს

ძვირფასო ამხანაგო! მე ძალიან გამახარა თქვენმა წერილმა, იმიტომ რომ აქ, საზღვარგარეთ, ძალიან ცოტა გვესმის იმათი გულახდილი და დამოუკიდებელი ხმები, ვინც ადგილებზე მუშაობს. საზღვარგარეთ მყოფი სოციალ-დემოკრატი მწერლისთვის მეტად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება ხშირად ჰქონდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოწინავე მუშებთან, რომლებიც რუსეთში მოქმედებენ, და თქვენი ნაამბობი იმაზე, თუ ჩვენი უთანხმოება რა ასახვას პოულობს კომიტეტებში, უაღრესად საინტერესო იყო ჩემთვის. თუ შემთხვევა მომეცა, შესაძლოა კიდევაც დავბეჭდო თქვენი წერილი [164].

თქვენს კითხვებზე ერთ წერილში პასუხის გაცემა შეუძლებელია, იმიტომ რომ დაწვრილებითს თხრობას უმრავლესობისა და უმცირესობის შესახებ მთელი წიგნი მოუნდებოდა. მე ახლა ცალკე ფურცლად დავბეჭდე «წერილი «ისკრის» რედაქციისადმი» (რატომ გამოვედი რედაქციიდან?) — იქ მოკლედ მაქვს მოთხრობილი, რის გამო მოგვივიდა უთანხმოება, და ვცდილობ ცხადვყო, თუ რა არასწორად არის წარმოდგენილი საქმე «ისკრის» № 53-ში (დაწყებული № 53-დან რედაქციაშია უმცირესობის ოთხი წარმომადგენელი და კიდევ პლეხანოვი). იმედი მაქვს, რომ ეს წერილი (პატარა დაბეჭდილი 8-გვერდიანი ფურცელი) მალე მოხვდება თქვენს ხელში, იმიტომ რომ რუსეთში ის უკვე წამოიღეს და ალბათ გავრცელება ძნელი არ იქნება.

ვიმეორებ: ამ წერილში საქმე ძალიან მოკლედ არის გადმოცემული. უფრო დაწვრილებით გადმოცემა ახლა ჯერ კიდევ არ შეიძლება, სანამ არ გამოსულა პარტიული ყრილობისა და ლიგის ყრილობის ოქმები («ისკრის» № 53-ში გამოცხადებულია, რომ ორივე ამ ყრილობის ოქმები მთლიანად და ძალიან მალე გამოვა. მე ვიცი, რომ პარტიული ყრილობის ოქმები გამოვა მთელ წიგნად, რომელშიც სამას გვერდზე მეტი იქნება; უკვე მზად არის თითქმის 300 გვერდი; ალბათ ერთ კვირაში, სულ ბევრი ორ კვირაში, ეს წიგნი გამოვა). სავსებით შესაძლებელია, რომ კიდევ მოგვიხდეს ბროშურის დაწერა [165], როცა მთელი ეს ოქმები გამოვა.

პირადად მე საქმეს ისე ვუყურებ, რომ გათიშვა გამოწვეულია უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უკმაყოფილებით ცენტრების (ცენტრალური ორგანოსა და ცენტრალური კომიტეტის) პირადი შემადგენლობის გამო. უმცირესობას სურდა ცენტრალურ ორგანოში ძველი ექვსეულის დამტკიცება, ყრილობამ კი აირჩია ექვსიდან სამი, რომლებიც, ჩანს, უფრო შესაფერად ჩათვალა პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის. სწორედ ასევე უმცირესობა დამარცხდა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის საკითხში, ე. ი. ყრილობამ აირჩია არა ისინი, ვინც უმცირესობას სურდა.

უკმაყოფილო უმცირესობა ამის გამო შეუდგა ძალიან წვრილმანი უთანხმოების გაბერვას, ცენტრებისათვის ბოიკოტის გამოცხადებას, თავისთვის მომხრეთა შერჩევას და პარტიის გათიშვის მომზადებასაც კი (აქ ძალიან დაჟინებული და, ეტყობა, სარწმუნო ხმები დადის, რომ მათ უკვე გადაწყვიტეს დაეარსებინათ თავიანთი გაზეთი «კ რ ა მ ო ლ ი ს» სახელწოდებით და კიდევაც შეუდგნენ მის აწყობას. ალბათ ტყუილად როდია, რომ «ისკრის» № 53-ში ფელეტონი აწყობილია ისეთი შრიფტით, რომელიც სრულებით არ არის პარტიულ სტამბაში!).

პლეხანოვმა გადაწყვიტა კოოპტაციით შეიყვანოს ისინი რედაქციაში, რათა თავიდან აიცილოს გათიშვა, და «ისკრის» № 52-ში დაწერა სტატია «რა არ უნდა ვაკეთოთ». მე № 51-ის შემდეგ რედაქციიდან წავედი, იმიტომ რომ საზღვარგარეთ

მომხდარი სკანდალების გავლენით ყრილობის ეს გადაკეთება არასწორად მიმაჩნდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მე არ მინდოდა პირადად შემეშალა ხელი ზავისათვის, თუ ზავი შესაძლებელია, და ამიტომ (რადგან ა ხ ლ ა შესაძლებლად არ მიმაჩნია ვიმუშაო ექვსეულში) რედაქციიდან წავედი, თუმცა უარს არ ვამბობ თანამშრომლობაზე.

უმცირესობას (ანუ ოპოზიციას) სურს კიდევ ძალით გააძვრინოს თავისი ადამიანები ცენტრალურ კომიტეტშიც. ცენტრალური კომიტეტი თანხმდებოდა ზავისათვის მიეღო ორი, — მაგრამ უმცირესობა მაინც არ დაკმაყოფილდა და განაგრძობს ცენტრალური კომიტეტის შესახებ ცუდი ხმების გავრცელებას, მაგალითად, იგი ქმედუნარიანი არ არისო. ჩემი აზრით, ეს დისციპლინისა და პარტიული მოვალეობის ყველაზე აღმაშფოთებელი დარღვევაა. და თანაც ყოველივე ეს ჭორია, ვინაიდან ცენტრალური კომიტეტი არჩეულია ყრილობის მიერ იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც მხარი დაუჭირა ««ისკრის» ორგანიზაციის» უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ. ««ისკრის» ორგანიზაციამ» კი, რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთ იცოდა, ვინ გამოდგება ამ დიდმნიშვნელოვანი როლისათვის. ცენტრალური კომიტეტი ყრილობაზე არჩეულია სამი კაცისაგან, — სამივე უკვე დიდი ხანია ««ისკრის» ორგანიზაციის» წევრი იყო; ორი მათგანი საორგანიზაციო კომიტეტის წევრი იყო; მესამე მიწვეული იყო საორგანიზაციო კომიტეტში, მაგრამ არ შევიდა, რადგან პირადად არ სურდა, ამასთან დიდხანს მუშაობდა საორგანიზაციო კომიტეტისათვის საერთო პარტიულ საქმეზე [166]. მაშასადამე, ცენტრალურ კომიტეტში არჩეული არიან ყველაზე საიმედო და ნაცადი ადამიანები, და მე ყველაზე ცუდ ხერხად მიმაჩნია ყვირილი მათს «ქმედუუნარობაზე», როცა თვით უმცირესობა ხ ე ლ ს უ შ ლ ი ს ცენტრალურ კომიტეტს მუშაობაში. ყველა ბრალდება ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ (ფორმალიზმის, ბიუროკრატიზმის შესახებ და სხვ.) მხოლოდ ღვარძლიანი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული გამოგონებაა.

რაღა თქმა უნდა, მე სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს იმის შესახებ, თუ რა უმართებულოა ყვირილი ცენტრალიზ-

მის წინააღმდეგ და ყრილობის წინააღმდეგ იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც წინათ სხვას ამბობდნენ და უკმაყოფილო არიან იმით, რომ ერთ კერძო საკითხში ყრილობამ ისე არ გააკეთა, როგორც მათ სურდათ. ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი შეცდომა აღიარონ, ეს ადამიანები ახლა პარტიის დეზორგანიზაციას ახდენენ! ჩემი აზრით, რუსი ამხანაგები გადაჭრით უნდა აღდგნენ ყოველგვარი დეზორგანიზაციის წინააღმდეგ და მიაღწიონ იმას, რომ ყრილობის დადგენილებები სრულდებოდეს, რომ იმისათვის კიხკლაობის გამო, თუ ვინ იყოს ცენტრალურ ორგანოსა და ცენტრალურ კომიტეტში, ხელს არ უშლიდნენ მუშაობას. საზღვარგარეთ კინკლაობა ლიტერატორებისა და ყოველნაირი სხვა გენერლებისა (რომლებსაც თქვენ მეტისმეტად მკაცრად უკვე პირდაპირ ინტრიგანებს უწოდებთ) მხოლოდ მაშინ აღარ იქნება საშიში პარტიისათვის, როცა რუსეთში კომიტეტების მუშაკებიხელმძღვანელები უფრო დამოუკიდებელი იქნებიან და შეძლებენ მტკიცედ მოითხოვონ იმის შესრულება, რასაც მათი წარმომადგენლები პარტიულ ყრილობაზე დაადგენენ.

ცენტრალური კომიტეტისადმი ცენტრალური ორგანოს დამოკიდებულების შესახებ თქვენ სავსებით მართალი ხართ, რომ საჭირო არ არის ერთხელ და სამუდამოდ მიეცეს უპირატესობა ან ერთს ან მეორეს. ჩემი აზრით, ყრილობამ თვითეულ შემთხვევაში თვითონ უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი. ახლაც წესდების მიხედვით ცენტრალურ ორგანოსა და ცენტრალურ კომიტეტზე მაღლა დგას პარტიის საბჭო. ხოლო საბჭოში 2 წევრია ცენტრალური ორგანოსაგან და ორი ცენტრალური კომიტეტისაგან. მეხუთე კი არჩეულია ყრილობის მიერ. მაშასადამე, სწორედ თვით ყრილობამ გადაწყვიტა, ვის უნდა მიეცეს ამჯერად უპირატესობა. იმაზე ლაყბობა, თითქოს ჩვენ გვინდოდა საზღვარგარეთის ცენტრალური ორგანოთი ჩაგვეხშო რუსეთის ცენტრალური კომიტეტი — თავიდან ბოლომდე ჭორია, რომელშიც ერთი სიტყვაც არ არის მართალი. როცა მე და პლეხანოვი ვიყავით რედაქციაში, მაშინ საბჭოშიც კი სამი რუსეთელი სოციალ-დემოკრატი გვყავდა და მხოლოდ ორი საზღვარგარეთელი.

მარტოველებთან კი ახლა პირიქით არის! — მოდით და განსაჯეთ ახლა ამის მიხედვით მათი სიტყვები!

მაგრად გართმევთ ხელს და ძალიან გთხოვთ მაცნობოთ, მიიღეთ თუ არა ეს წერილი, წაიკითხეთ თუ არა ჩემი წერილი რედაქციისადმი და «ისკრის» №№ 52 და 53 და საერთოდ როგორია ახლა თქვენთან საქმის ვითარება კომიტეტში.

ამხანაგური სალამით. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს 1903 წ. 22 დეკემბრისა
გაგზავნილია ჟენევიდან ეკატერინოსლავში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

85

ცენტრალურ კომიტეტს

22. XII. 03.

ცენტრალურ კომიტეტს ცენტრალური კომიტეტის წევრის ლენინისაგან. წავიკითხე ცენტრალური კომიტეტის ცნობა, რომელიც კომიტეტებისათვის დაგიგზავნიათ[167], და დამრჩენია ხელებიღა გავშალო. უფრო სასაცილო გაუგებრობას ვერც კი წარმოვიდგენდი. თავისი მიმნდობლობისა და შთაბეჭდილებიანობისათვის განსი ამით სასტიკად დაისაჯა. ამიხსნას, ღვთის გულისათვის, საიდან გაბედა მან ასეთი მოთაფლული ტონით ილაპარაკოს ზავზე, როცა ოპოზიციამ (და მარტოვმა მათ შორის!) ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ უ ა რ ყ ო ზ ა ვ ი პასუხში ცენტრალური კომიტეტის ულტიმატუმზე?? განა ბალღობა არ არის ზავის ამ ფორმალური უარყოფის შემდეგ დაეყრდნო მარტოვის ლაყბობას, რომელსაც, ჯერ-1, დღეს არ ახსოვს, რას ამბობდა გუშინ, და მე-2-ც, არ შეუძლია პასუხი აგოს მთელი ოპოზიციის მაგიერ? განა გულუბრყვილობა არ არის ზავზე ლაპარაკობდე და წერდე, როცა ოპოზიცია ახალი ომისათვის ემზადება, ჟენევაში კრებებზე გაჰყვირის, რომ იგი ძალას წარმოადგენს, იწყებს საზიზღარ დევნა-წასისიანებას «ისკრის» № 53-ში? და კომიტეტებს ისეთ რამეს ეუბნებოდე, რაც მართალი არ არის! — მაგალითად, თითქოს ლიგასთან კონფლიქტი «სავსებით ამოწურულია»?? არაფერს ამბობდე პირველ საბჭოზე (რუსთან)?

დასასრულ, ეს სულელური რჩევა, რომ მე აქედან წავიდე! კიდევ მესმის, როცა ამ რჩევას იძლევიან ოჯახის წევრები, ნათესავები, მაგრამ იმავე აბდაუბდის წერა ცენტრალური კომიტეტიდან!! ლიტერატურული ომი ხომ სწორედ ახლა

იწყება. ნომერი 53 და ცალკე ფურცლად გამოშვებული ჩემი წერილი[168] დაგანახვებენ თქვენ ამას.

ისე გაბრაზებული ვარ თქვენ მიერ კომიტეტებისთვის დაგზავნილი ცნობის გამო, რომ ერთბაშად ვერ მომიფიქრებია, როგორ უნდა დაალწიოთ თავი ამ სასაცილო მდგომარეობას. იქნებ ასე: განაცხადოთ, რომ «ისკრის» № 53-ის და განსაკუთრებით სტატიის «ჩვენი ყრილობა» შინაარსმა შეარყია მთელი თქვენი რწმენა, რომ შესაძლოა ზავი. სხვა გამოსავალს ყოველ შემთხვევაში მე ვერ ვხედავ.

უპასუხეთ კომიტეტებს (და თვით მარტოვს), რომ ალმაშფოთებლად ყალბმა სტატიამ «ჩვენი ყრილობა» პროვოკაციულად გამოიწვია ლიტერატურული პოლემიკა, თქვენ კი (ცკ) ეცდებით დადებითი მუშაობა აწარმოოთ. პლეხანოვი წინააღმდეგი იყო სტატიისა «ჩვენი ყრილობა» და წინააღმდეგი იყო იმისა, რომ მარტოვი რეფერატით გამოსულიყო.

გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

86

«ისკრის» რედაქციას [169]

ცენტრალური ორგანოს რედაქციას

პატივცემულო ამხანაგებო!

ცენტრალური ორგანოს რედაქციის 22. XII-ის რეზოლუციის გამო ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენელს საჭიროდ მიაჩნია მიუთითოს რედაქციას ამ რეზოლუციის უკიდურეს უმართებულობაზე, რომელიც აიხსნება მხოლოდ უზომო გაბრაზებით [170].

თუ ლენინმა, რომელიც გამოვიდა არა როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი, არამედ როგორც ყოფილი რედაქტორი, თქვენი აზრით რაიმე არასწორად ჩამოაყალიბა, ეს შეგიძლიათ გამოარკვიოთ ლიტერატურაში.

არავითარი შეთანხმება იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება არ გამოქვეყნებულიყო, ამხ. განსს ცენტრალური კომიტეტის სახელით არ დაუდვია და, ჩვენთვის შეუტყობინებლად, არც შეეძლო დაედო. რედაქციამ ეს არ შეიძლება არ იცოდეს. ალბათ ამხ. განსმა ვარაუდი გამოთქვა, რომ გამოქვეყნება არ მომხდარიყო ფორმალური ზავის დადების შემთხვევაში.

არა მიკიბულ-მოკიბულად, არამედ საესებით გარკვეულად ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენელმა ორჯერ აცნობა ცენტრალური ორგანოს რედაქციას, რომ იგი ნებას იძლევა გამოქვეყნდეს ლენინის წერილი.

რედაქცია უკიდურესად გაბრაზებული რომ არ მოქმედებდეს, იგი ადვილად დაინახავდა, რა უკიდურესად უადგილოა მისი შენიშვნები იმის შესახებ, თუ ცენტრალური

კომიტეტის რამდენი წევრი იმყოფება საზღვარგარეთ. რედაქციის ამ და სხვა უმართებულო გამოსვლებს (როგორიც არის სასაცილო მითითებანი რაღაც თითქოს «საიდუმლო» ბეჭდვაზე) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენელი უპასუხებს მხოლოდ მოწოდებით: გახსოვდეთ პარტიული მოვალეობა და შეწყვიტოთ ისეთი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, რომელსაც შეუძლია ლიტერატურული პოლემიკიდან გათიშვის საბაბთა შექმნა.

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის
წარმომადგენელი

დაწერილია 1903 წ. 27 დეკემბერს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

87

ცენტრალურ კომიტეტს

30. XII. 03.

მივიღეთ თქვენი 10. XII-ის წერილი (ძველი სტილით). ჩვენს განცვიფრებასა და აღშფოთებას იწვევს თქვენი დუმილი საბრძოლო საკითხებზე და ის, რომ მიწერ-მოწერას წესიერად არ აწარმოებთ. ასე ხომ შეუძლებელია საქმის გაძღოლა! აიყვანეთ კიდევ მდივანი, თუ მედვედსა და ლანიხას არ ძალუძთ ყოველკვირეულად წერონ. აბა იფიქრეთ, ლანისაგან დღემდე არაფერი მიგვიღია საფუძვლიანი! ჩვენს 10. XII-ის წერილზე (ახ. სტ.) [171] დღემდე (20 დღის შემდეგ) პასუხი არ არის. რადაც უნდა დაჯდეს ბოლო უნდა მოეღოს ამ უმსგავსოებას!

შემდეგ. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ საჭიროა სავსებით გავარკვიოთ პოზიცია მარტოველებთან ბრძოლაში, შევუთანხმდეთ ერთმანეთს და ავიღოთ სავსებით გარკვეული გეზი.

რატომ არ გამოგზავნეთ აქ ბორისი, როგორც აქ განსს უნდოდა? აქ რომ ჩამოსულიყო, ბორისი აღარ მოგვწერდა სასაცილო სიტყვებს ზავის შესახებ. რატომ არ შეასრულა განსმა თავისი დაპირება, რომ ზუსტად მოსწერდა სტარიკს ბორისის განწყობილების შესახებ? თუ ბორისი არ შეიძლება, გამოგზავნეთ მიტროფანე ან ზვერი, რომ საქმე გამოვარკვიოთ.

კვლავ და კვლავ ვიმეორებ: განსის ძირითადი შეცდომაა, უკანასკნელ შთაბეჭდილებას რომ დაენდო. ნომერ 53-ს უნდა გამოეფხიზლებინა იგი. მარტოველებმა ცენტრალური ორგანო

ომისათვის აიღეს, და ახლა ომი გაჩაღდა მთელი ხაზით: დევნა-წასისიანება «ისკრაში», ჩხუბი საჯარო რეფერატებზე (ამ დღეებში მარტოვმა გათიშვის შესახებ პარიზში წაიკითხა 100 კაცის წინაშე და ეჩხუბა ლებედევს), ყოვლად უსირცხვილო აგიტაცია ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. მიუტევებელი სიბეცე იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ეს შეიძლება არ გადავიდეს რუსეთში. აქ საქმე მივიდა ცენტრალურ ორგანოსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის ურთიერთობის გაწყვეტამდე (ცენტრალური ორგანოს 22. XII-ის რეზოლუცია, რომელიც თქვენ გამოგეგზავნათ), ცენტრალური ორგანოს ნაბეჭდ სიცრუემდე («ისკრის» № 55), თითქოს შედგა შეთანხმება, რომ მოლაპარაკება არ დაბეჭდილიყო.

მაშ, ბოლოს და ბოლოს, კარგად მოიფიქრეთ მთელი პოლიტიკური პოზიცია, უფრო ფართოდ შეხედეთ საქმეს, ჩამოშორდით გროშებსა და პასპორტებზე წვრილმან ყოველდღიურ ფუსფუსს, ფრთის ქვეშ ნუ იმალავთ თავს და გაერკვიეთ, საით მიდიხართ და რისი გულისათვის აჭიანურებთ?

ცენტრალურ კომიტეტში ორი მიმდინარეობა გვაქვს, თუ არ ვცდები (ან, იქნებ, სამი? როგორი?). ჩემი აზრით, ეს მიმდინარეობანი ასეთია: 1) გავაჭიანუროთ საქმე, არ მოვიწვიოთ ყრილობა, შეძლებისდაგვარად დუმილით ვუპასუხოთ თავდასხმას და უტიფრად სახეში მოფურთხებას და განვამტკიცოთ პოზიცია რუსეთში; 2) ავტეხოთ აურზაური ცენტრალური ორგანოს წინააღმდეგ რეზოლუციებით, **მთელი** ძალები წარვმართოთ მერყევი კომიტეტების დასაპყრობად და მოვამზადოთ ყრილობა ორი, maximum სამი თვის შემდეგ. და აი გეკითხებით, რაში მდგომარეობს თქვენი პოზიციების განმტკიცება? მხოლოდ იმაში, რომ თქვენ დროს კარგავთ, როცა მოწინააღმდეგე აქ ძალებს იკრებს (საზღვარგარეთი კი ძალიან ბევრს ნიშნავს!), და აჭიანურებთ გადაწყვეტილების გამოტანას თქვენ ჩავარდნამდე. ჩავარდნა გარდუვალია და საკმაოდ მალეც, — პირდაპირ ბალღობა იქნებოდა ამის უგულებელყოფა.

რაღას დაგვიტოვებთ ჩავარდნის შემდეგ? მარტოველებს ახალი და გაზრდილი ძალები ჰყავთ. ჩვენ — დაშლილი რიგები. მათ — გამაგრებული ცენტრალური ორგანო. ჩვენ — კომპანია, რომელსაც ცუდად გადააქვს ეს მათი მლანძღავი ცენტრალური ორგანო. ეს ხომ დამარცხების პირდაპირი გზაა, ეს ხომ გ ა რ დ უ ვ ა ლ ი დამარცხების მხოლოდ სამარცხვინო და სულელური გადაწევაა. თქვენ მხოლოდ თვალს ხუჭავთ ამაზე, სარგებლობთ იმით, რომ საზღვარგარეთ გაჩაღებული ომი ნელა გადმოდის თქვენში. თქვენი ტაქტიკა ხომ პირდაპირ იმით განისაზღვრება, რომ ჩვენ შემდეგ (ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი შემადგენლობის შემდეგ) თუნდაც წარღვნა მოხდესო (წარღვნა უმრავლესობისათვის).

მე ვფიქრობ, რომ თუ დამარცხება კიდევაც გარდუვალია, მაშინ უნდა წავიდეთ პირდაპირ, პატიოსნად და აშკარად, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ყრილობაზე. მაგრამ დამარცხება სრულებითაც არ არის გარდუვალი, ვინაიდან ხუთეული ა რ შემჭიდროებულა, პლეხანოვი მათთან არ არის, არამედ ზ ა ვ ი ს მ ო მ ხ რ ე ა, და ყრილობით შეიძლება დ ა ვ ი ჭ ი რ ო თ როგორც პლეხანოვი, ისე ისინიც მათი ვითომდა უთანხმოებითურთ. ერთადერთი სერიოზული მოსაზრება ყრილობის წინააღმდეგ ის არის, რომ იგი გარდუვალად დააკანონებს გათიშვას. და მე გიპასუხებთ: 1) ესეც კი უკეთესია ახლანდელზე, ვინაიდან მაშინ შეიძლება პატიოსნად წავიდეთ და არ გავაჭიანუროთ ეს სამარცხვინო მდგომარეობა, განუწყვეტლივ რომ გვაფურთხებენ; 2) გათიშვისათვის მარტოველებმა მომენტი ხელიდან გაუშვეს, და მათი წასვლა მე-3 ყრილობიდან მოსალოდნელი არ არის, ვინაიდან ახლანდელი ბრძოლა და სრული გამოქვეყნება მათ გათიშვის შესაძლებლობას უსპობს; 3) ხოლო მათთან ვაჭრობა, თუ შესაძლებელია, უმჯობესია სწორედ ყრილობაზე.

განიხილეთ ეს საქმე საფუძვლიანად და, ბოლოს და ბოლოს, გვიპასუხეთ, როგორია ცენტრალური კომიტეტის თვითეული (აუცილებლად თვითეული) წევრის აზრი.

ფურცლების თაობაზე ნუ ჩამციებიხართ: მე მანქანა როდი ვარ, და ახლანდელ უმსგავსო მდგომარეობაში მუშაობა არ შემიძლია.

გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1904 წ.

88

ცენტრალურ კომიტეტს

P. S.[172] 2. I. 04. ეს არის მივიღე კორექტურა აქსელროდის სტატიისა «ისკრის» № 55-ში (№ 55 ორიოდე დღეში გამოვა). გაცილებით უფრო ბილწია, ვიდრე მარტოვის სტატია («ჩვენი ყრილობა») № 53-ში. აქ «პატივმოყვარული ფანტაზიებიც» არის, რომლებიც «შთაგონებულია გადმოცემებით შვაიცერის დიქტატურის შესახებ». აქ კვლავ არის ბრალდებანი, რომ «ყოვლისმცოდნე ცენტრი» «პირადი (sic!*) შეხედულებისამებრ განაგებს» «პარტიის წევრებს, რომლებიც გადაქცეული არიან (!!) პატარა ხრახნებად და ბორბლებად». «აურაცხელ ყოველნაირ უწყებათა, დეპარტამენტთა, განყოფილებათა, კანცელარიათა, სახელოსნოთა დაარსება». რევოლუციონერების გადაქცევა (ღმერთმანი, ასეა!) «სტოლონაჩალნიკებად, კანცელარისტებად, ფელდფებლებად, უნტეროფიცრებად, ჯარისკაცებად, ჩაფრებად, ხელოსნებად» (sic!). ცენტრალური კომიტეტი (უმრავლესობის განზრახვით) «ამ ხელისუფლების («ისკრის» რედაქციის ხელისუფლების) მხოლოდ კოლექტიური აგენტი უნდა იყოს, მის სასტიკ მეურვეობასა და ფხიზელ კონტროლში უნდა იმყოფებოდესო». ასეთია «თეოკრატიული ხასიათის ორგანიზაციული უტოპიაო» (sic!). «ბიუროკრატიული ცენტრალიზმის ზეიმი პარტიულ ორგანიზაციაში — ასეთია შედეგი»... (ღმერთმანი,

* — ასეა. **რ ე დ.**

ასეა!). ამ სტატიის გამო მე კვლავ და კვლავ მივმართავ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრს: ნუთუ შეიძლება უპროტესტოდ და უბრძოლველად დავტოვოთ ეს? ნუთუ ვერა გრძნობთ, — ამას ხმაამოუღებლად რომ იტანთ, თქვენ იქცევით — არც მეტი არც ნაკლები — ჭორის დამტარებლებად (შვაიცერისა და მისი პაიკების შესახებ) და ცილისწამების გამავრცელებლებად (ბიუროკრატების, ე. ი. თვით თქვენი და მთელი უმრავლესობის შესახებ)? და ასეთი «იდეური ხელმძღვანელობით» შესაძლებლად მიგაჩნიათ «დადებითი მუშაობის» წარმოება? თუ თქვენ იცით პატიოსანი ბრძოლის რაიმე სხვა საშუალება გარდა ყრილობისა??

((მარტოველების მხარეზეა, როგორც ჩანს, კიევი, ხარკოვი, სამთამადნო რაიონი, როსტოვი და ყირიმი. ეს არის 10 ხმა + + ლიგა + ცენტრალური ორგანოს რედაქცია + 2 საბჭოში = = 16 ხმა 49-დან. ერთბაშად რომ წარვმაროოთ მთელი ძალები ნიკოლაევზე, ციმბირსა და კავკასიაზე, ს ა ვ ს ე ბ ი თ შეიძლება მათი დატოვება ½-ზე.))

გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

89

ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

4. I. 04. გწერთ სტარიკი. ეს არის მივიღე ლანის წერილი პასუხით ჩემს 10. XII-ის წერილზე და გიპასუხებ დაუყოვნებლივ. მე არ მჭირდება თხოვნა გავაკრიტიკო ლანის შეხედულებანი! მე პირდაპირ ვიტყვი, რომ საშინლად გაბრაზებული ვარ ლანის გაუბედაობითა და გულუბრყვილობით.

1) სწერო ცენტრალურ ორგანოს ცენტრალური კომიტეტისაგან რუსეთიდან — უდიდესი უტაქტობაა. სავალდებულოა ყველაფერი წარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენლის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ. ღმერთმანი, ეს აუცილებელია, თუ უდიდესი სკანდალი არ გინდა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა განუცხადოთ ცენტრალურ ორგანოს, რომ ცენტრალურ კომიტეტს საზღვარგარეთ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჰყავს, მორჩა და გათავდა.

2) მართალი არ არის, რომ ლიგის ოქმების შესახებ რაღაც შეთანხმება იყო. შენ პირდაპირ თქვი, რომ გამოქვეყნების თუ შემოკლების საკითხს ჩვენ გვანდობ. (არც შეგეძლო შ ე ნ «შეთანხმებულიყავ» აქ რაიმეზე. მ თ ე ლ ცენტრალურ კომიტეტსაც კი არ შეეძლო.) შენ აქ საშინლად ურევ და ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა თუ დასწერე, ყველაფერი პრესაში წავა უდიდესი სკანდალით.

3) თუ შენ ცენტრალური ორგანოსადმი წერილში № 53-ის გამო პროტესტის ერთი სიტყვა ვერ იპოვე შვაიცერის

შესახებ, ბიუროკრატიული ფორმალიზმის შესახებ და სხვა სისაძაგლეთა წინააღმდეგ, — მაშინ მე უნდა გითხრა, რომ ჩვენ ერთმანეთისა აღარაფერი გვესმის. მაშინ მე ვდუმდები და გამოვდივარ როგორც კერძო მწერალი ამ სისაძაგლეთა წინააღმდეგ. მე ამ ვაჟბატონებს პრესაში დავარქმევ ისტერიით დაავადებულ გაიძვერებს.

4) სანამ ცენტრალური კომიტეტი დადებითს მუშაობაზე ბუტბუტებს, ერიომა და მარტინი მას ხელიდან აცლიან ნიკოლაევს. ეს ყოვლად სამარცხვინოა და მეასე, თუ მეათასე არა, გაფრთხილებაა თქვენდამი. ან დავიპყროთ კომიტეტები და მოვიწვიოთ ყრილობა, ან სამარცხვინოდ მოვცილდეთ ასპარეზს იმ საძაგელი თავდასხმების ვითარებაში, რასაც მიმართავს ცენტრალური ორგანო, რომელიც მე «ისკრაში» არ მიშვებს.

5) ლაპარაკი კომიტეტების რაღაც კონფერენციაზე და «ულტიმატუმზე» (მას შემდეგ, რაც მათ უკვე ს ა ს ა ც ი ლ ო დ ა ი გ დ ე ს ჩვენი ულტიმატუმი!!) პირდაპირ სასაცილოა. მარტოველები ხომ სიცილით დაიხოცებიან ამ «მუქარის» პასუხად!! რას წარმოადგენს მათთვის ულტიმატუმები, როცა ისინი პირდაპირ აკავებენ ფულს, დევნა-წასისიანებას ეწევიან ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და ა შ კ ა რ ა დ ამბობენ: «პირველ ჩავარდნას ველითო».

ნუთუ ლანს უკვე დაავიწყდა, რომ მარტოვი ჩვარია გაიძვერების ხელში? და ამის შემდეგ კიდევ ლაპარაკი მარტოვისა და ჟორჟის დამოკიდებულებაზე ლანთან და ნილთან! საწყენია, ასეთ გულუბრყვილობას რომ კითხულობ. ჯერ-1. მარტოვსაც და ჟორჟსაც ფეხებზე ჰკიდიათ მთელი ლანები და ნილები. მე-2, ჟორჟი მთლად გარიყულია მარტოველების მიერ და პირდაპირ ამბობს, რომ ისინი არ უსმენენ მას (ეს ისეც ნათლად ჩანს «ისკრიდან»). მე-3, მეასედ ვიმეორებ, მარტოვი ნულია. რატომ მოხდა, რომ საყვარელი, გულკეთილი განსი არ დაუმეგობრდა აქ ტროცკის, დანსა და ნატალია ივანოვნას? ტყუილად გაგიშვია ხელიდან, ჩემო კეთილო, ეს «შანსი» (უკანასკნელი შანსი) «გულწრფელი» «კარგი ზავის» მისალწევად... განა უფრო ჭკვიანური არ იქნება პირდა-

პირ მისწერო წერილები ამ «პატრონებს», ვიდრე ფუჭად ღვრიდე ცრემლს ჩვარ მარტუშას უბეში? აბა სინჯე, მისწერე, ეს გამოგაფხიზლებს! ხოლო სანამ არ მიგიწერია მათთვის და სანამ პირადად არ შემოუფურთხებიათ შენთვის სახეში, მანამდე ნუ ჩაგვციებიხარ ჩვენ (ან მათ) «ზავით». ჩვენ აქ ცხადად ვხედავთ, ვინ ლ ა ყ ბ ო ბ ს და ვინ მ ე-თ ა უ რ ო ბ ს მარტოველებში.

6) მოსაზრებანი ყრილობის სასარგებლოდ უკვე წინა წერილში მოვიყვანე. ღვთის გულისათვის, შენივე თავის წინაშეც ნუ მელაკუდობ: ყრილობის გადადება სწორედ ჩვენს უძლურებას დაამტკიცებდა. და თუ თქვენ წინანდებურად გააბით ჭიანური ზავის შესახებ, მტრები ხელიდან გამოგაცლიან არა ერთ ნიკოლაევს.

ორში ერთი: ომი ან ზავი. თუ ზავი, — მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ იარაღს ყრით მარტოველების წინაშე, რომლებიც ენერგიულად და მარჯვედ ეწევიან ომს. მაშინ თქვენ ხმაამოუღებლად იტანთ იმას, რომ ლაფს გასხამენ ცენტრალურ ორგანოში (= პარტიისადმი იდეური ხელმძღვანელობა!). მაშინ ჩვენ სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს. მე პრესაში უკვე ვთქვი და ვიტყვი **ყველაფერს**, ყველაფერს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ჩემთვის ცხადია, რომ ის დევნა-წასისიანება, რომლისაც ჩვენ გვეშინოდა, თუ მარტო მე ავიღებდი «ისკრას», ახლაც ატყდა, მაგრამ მე კი ჩამჩრიან პირში ბურთს. და ლენინის სახელის გავლენის შესახებ ანდრეევსკის სიტყვებზე დანდობა ბალღობაა.

ან ომი, და მაშინ გთხოვთ ამიხსნათ, ნ ა მ დ ვ ი ლ ი და პატიოსანი ომის რა საშუალება არსებობს, ყრილობის მეტი?

ვიმეორებ, რომ ახლა ყრილობა არ არის უმიზნო, ვინაიდან პლეხანოვი მარტოველებთან არ არის. გამოქვეყნება (რასაც მე აუცილებლად მივაღწევ)[173] მას საბოლოოდ ჩამოაშორებს. ის კი უკვე ახლა წაჩხუბებულია მარტოველებთან.

ექვსეულის შესახებ მარტოველები არც კი ილაპარაკებენ მე-3 ყრილობაზე. გათიშვა უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ის,

რაც ახლა არის, როცა მათ ჭორით შებილწეს «ისკრა». მაგრამ გათიშვაზეც არა მგონია წავიდნენ ისინი მე-3 ყრილობაზე, და ჩვენ შეგვიძლია მივცეთ «ისკრა» ნეიტრალურ კომისიას, წავართმევთ რა მას ორივე მხარეს.

7) მე მთელი ძალ-ღონით ვეცდები გადამწყვეტი ომი გაეაჩაღოთ ლიგასთან.

8) თუ ნილი ჯერ კიდევ ზავის მომხრეა, ჩამოვიდეს და ერთი ორჯერ ელაპარაკოს დანს. ღმერთმანი, ეს საკმარისი იქნება!

9) ჩვენ ფული გვჭირდება. 2 თვეს გვეყოფა, მერე კი ხახამშრალი დავრჩებით. ჩვენ ხომ ახლა «ვინახავთ» არამზადებს, რომლებიც ცენტრალურ ორგანოში ჩვენ გვაფურთხებენ და გვარწყევენ. ამას ჰქვია «დადებითი მუშაობა». Ich gratuliere *!

გაგზავნილია ჟენევიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — მოგილოცავთ! რ ე დ.

90

«ისკრის» რედაქციას [174]

როგორც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს, საჭიროდ მიმაჩნია მივუთითო რედაქციას, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს აღვძრათ საკითხი კანონიერების შესახებ და სხვ. რეფერატებზე წარმოთქმული ცხარე სიტყვების საფუძველზე ან ლიტერატურული პოლემიკის საფუძველზე. ცენტრალურ კომიტეტს, როგორც ასეთს, ოდნავაც არ ეპარება ეჭვი და არასოდეს არ ეპარებოდა ეჭვი რედაქციის კანონიერებაში, რომელიც კოოპტირებულია, როგორც სავსებით სამართლიანადაა ნათქვამი «ისკრის» № 53-ში, პარტიის წესდების § 12-ის სრული შესაბამისობით. ცენტრალური კომიტეტი მზად არის საჯაროდაც განაცხადოს ეს, თუ საჭიროა. თუ პოლემიკაში რედაქცია თავის წინააღმდეგ თავდასხმას ხედავს, მას ხომ პასუხის გაცემის სრული და ყოვლად სრული შესაძლებლობა აქვს. განა გონივრულია გაცხარება პოლემიკის ამა თუ იმ სიმკვეთრის (რედაქციის თვალსაზრისით) გამო, როცა არსად კრინტიც არ არის დაძრული არც ბოიკოტზე და არც რაიმე სხვა არალოიალურ (ცენტრალური კომიტეტის თვალსაზრისით) მოქმედებაზე? მოვაგონებთ რედაქციას, რომ ცენტრალური კომიტეტი მ რ ა ვ ა ლ გ ზ ი ს გამოთქვამდა სრულ მზადყოფნას და პ ი რ დ ა პ ი რ ი ძ ლ ე ო დ ა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ს გ ა მ ო ი ც ე ს დაუყოვნებლივ დანის წერილიც და «კიდევ ერთხელ უმცირესობაში» მარტოვისა, ამასთან სრულებითაც არ უნდა შეგვაკრთოს უაღრესად მკვეთრმა თავდასხმებმა, რომლებსაც

ეს ნაწარმოებნი შეიცავენ. ცენტრალური კომიტეტის აზრით, საჭიროა პარტიის ყველა წევრს მიეცეს ცენტრების კრიტიკისა და ცენტრებზე თავდასხმის რაც შეიძლება უფრო სრული თავისუფლება: ასეთ თავდასხმებში ცენტრალური კომიტეტი საშიშს ვერაფერს ხედავს, თუ მათ თან არ ახლავს ბოიკოტი, დადებითს მუშაობას ჩამოშორება და ფულადი სახსრების აღკვეთა. ცენტრალური კომიტეტი ახლაც აცხადებს, რომ იგი გამოსცემდა მის წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკას, მიაჩნია რა, რომ თავისუფალი გაცვლა...[175]

დაწერილია 1904 წ. 8 იანვარს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

91

პარტიის საბჭოს თავმჯდომარეს
გ. ვ. პლეხანოვს [176]

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

ჩვენი წინადადება იქნებოდა შევიკრიბოთ საბჭოს სხდომაზე ორშაბათს 25. I, დღის 4 საათზე, რესტორან Landolt-ში. თუ თქვენ სხვა ადგილსა და დროს დანიშნავთ, გთხოვთ გვაცნობოთ არა უგვიანეს კვირისა, ვინაიდან ერთი ჩვენგანი ჟენევიდან შორს ცხოვრობს.

რაც შეეხება მდივნობას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეიძლება დაკჯერდეთ ამხ. მარტოვის სამსახურს, რომელიც საბჭოს პირველ სხდომაზე უკვე დანიშნულია მის მდივნად.

ამხ. ბლიუმენფელდის მდივნობის წინააღმდეგ ჩვენ მტკიცე პროტესტს განვაცხადებდით, ვინაიდან იგი, ჯერ-1, კონსპირაციას ვერ იცავს (დრუიანს აცნობა, რომ ლენინი ცენტრალურ კომიტეტს ეკუთვნისო), მე-2, მეტად ექსპანსიურია, ასე რომ სიდინჯე და საქმიანობა არაფრით არ არის გარანტირებული, — სკანდალისა და ჩაკეტვის საშიშროებამდეც კი. მე-3, ჩვენ, შესაძლოა, მოგვიხდეს საბჭოში საკითხის აღძვრა სწორედ პირადად მის, როგორც პარტიული ლიტერატურის მყიდველის შესახებ.

თუ განსაკუთრებული პირის მდივნობა თქვენ აუცილებლად მიგაჩნიათ, მაშინ ჩვენ საამისოდ ვასახელებთ ამხ. ბიჩკოვს, რომელიც ეკუთვნის «ისკრის» ორგანიზაციის ძველ წევრებს და პარტიის გამოჩენილ მოღვაწეებს (საორგანიზაციო-

კომიტეტის წევრი), ამასთან ყველაზე მიუკერძოებელია და უნარი შესწევს მშვიდად აწარმოოს ყველაფრის ჩაწერა.

საბჭოს წევრები...

P. S. მე მომიხდება სპეციალურად ჩამოვიდე ჟენევაში საბჭოს სხდომაზე, ფოსტა კი Mornex-ში საკმაოდ გვიან მოდის. ამიტომ ძალიან გთხოვთ ან გამომიგზავნოთ წერილი არა უგვიანეს კვირისა **(დღისით)**, თუ ორშაბათისათვის დავნიშნავთ, თორემ სხვანაირად მე ვერ მოვასწრებ ცნობის მიღებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში გთხოვთ გადავდოთ სხდომა ოთხშაბათისათვის.

ჩემი მისამართი: Mornex...

დაწერილია 1904 წ. 23 იანვარს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

92

პარტიის საბჭოს თავმჯდომარეს
გ. ვ. კლეხანოვს

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

სამწუხაროდ, ჩვენ იძულებული ვართ მტკიცე პროტესტი განვაცხადოთ რედაქციის მიერ მდივნად დასახელებულ ამხ. გურვიჩის წინააღმდეგ.

ჯერ-1, მასთან ცენტრალურ კომიტეტს მთელი რიგი კონფლიქტები ჰქონდა.

მე-2, მან წერილობით (ჩვენ შეგვიძლია მოგცეთ ასლი) გამოთქვა ისეთი დამოკიდებულება პარტიის უმაღლესი დაწესებულებისადმი, საბჭოსადმი, რომ საბჭოს სხდომაში მისი მონაწილეობა სრულიად შეუძლებელია.

მე-3, — და ეს მთავარია — ჩვენ ალბათ მოგვიხდება აღვძრათ საბჭოში საკითხი პირადად ამხ. გურვიჩზე, როგორც ლიგის ადმინისტრაციის წარმომადგენელზე, რომელმაც, ჩვენი შეხედულებით, არასწორი დამოკიდებულება გამოიჩინა ცენტრალური კომიტეტისადმი. უხერხულია მდივნად იყოს ის ადამიანი, რომლის მოქმედების სისწორე მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ აგრეთვე იმას, რომ, ვაფასებთ რა საბჭოს მნიშვნელობას როგორც გაერთიანებისა და შეთანხმების (და არა გათიშვისა და კინკლაობის) იარაღისას, ჩვენ თავიდანვე დავასახელეთ ისეთი მდივანი, რომელსაც კინკლაობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და რომლის წინააღმდეგ არც მეორე მხარეს განუცხადებია პროტესტი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეორე მხარესაც, ცენტრალური ორგანოს რედაქციას, ადვილად შეუძლია დაასახელოს კანდიდატი, რომელიც მონაწილეობას არ იღებდა კინკლაობაში და რომელიც არ შეიძლება საბჭოში განხილვის ო ბ ი ე ქ ტ ი იყოს.

თქვენი ერთგული
ლ.

დაწერილია 1904 წ. 27 იანვარს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

93

ცენტრალურ კომიტეტს

ცენტრალური კომიტეტისათვის (გადაეცით NN-ს [177])

გუშინ დამთავრდა პარტიის საბჭოს სესიის სხდომები (სამი). ეს სხდომები საბოლოოდ ფენენ შუქს პარტიის მთელ პოლიტიკურ სიტუაციას. პლეხანოვი მარტოველებთან ერთად მიდის და გვეუფროსება ყველაფერში, რაც კი ოდნავ მნიშვნელოვანია. ჩვენს რეზოლუციას ბოიკოტის დაგმობის შესახებ და სხვ. (ბოიკოტისა ორივე მხრიდან) კენჭი არ უყარეს; მხოლოდ პრინციპულადაა მიღებული ბრძოლის დაუშვებელი ფორმების გამოყოფა დასაშვებისაგან. სამაგიეროდ მიღებულია პლეხანოვის რეზოლუცია: სასურველია, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა კოოპტაციის წესით შეიყვანოს შესაბამისი (sic! *) რაოდენობა უმცირესობისგანო. ამის შემდეგ ჩვენ უკან ვიბრუნებთ ჩვენს რეზოლუციას და შეგვაქვს პროტესტი, ვილაშქრებთ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ — საბჭოს შიგნიდან ადგილუფროსობის ანგარიშების პოლიტიკის წინააღმდეგ. საბჭოს სამი წევრი (მარტოვი, აქსელროდი და პლეხანოვი) გვიპასუხებს, რომ ამ პროტესტის გარჩევა «მათს ღირსებას არ შეეფერება». ჩვენ ვაცხადებთ, რომ ერთადერთი პატიოსანი გამოსავალია ყრილობა. საბჭო ფუშავს ამას. სამი წევრი იღებს რეზოლუციებს, რომლებიც აკანონებს (!) რედაქციის მიერ თავის რწმუნებულთა დაგზავნას ცენტრალური კომიტეტისაგან განცალკევებით,

* — ასეა! რედ.

ცენტრალურ კომიტეტს ავალებს მისცეს რედაქციას ლიტერატურა გასავრცელებლად საჭირო რაოდენობით (!!). ეს იმას ნიშნავს, რომ ვაძლიოთ მათ თავიანთი ლიტერატურის გადატანისა და დაგზავნისათვის, ვინაიდან მათგან ახლა ერთიმეორის მიყოლებით მოდის «აგენტი», რომელიც უარს ამბობს შეასრულოს დავალებანი ცენტრალური კომიტეტისათვის. გარდა ამისა, მათ მზადა აქვთ ტრანსპორტიც (წინადადებას გვაძლევდნენ საზიაროდ ზიდონ).

«ისკრაში» (№ 57) იბეჭდება პლეხანოვის სტატია, რომელიც ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს ექსცენტრიკულს უწოდებს (იქ უმცირესობა არ არის) და მოუწოდებს მას კოოპტაციით მიიწვიოს. რამდენი — გამოურკვეველია; კერძო ცნობებით, არა ნაკლებ სამისა ძალიან ვიწრო სიიდან (ეტყობა, 5 — 6-დან), და შესაძლოა კიდევ იმის მოთხოვნით, რომ ზოგი ვინმე ცენტრალური კომიტეტიდან წავიდეს.

ახლა მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს, რაშია საქმე. საბჭო ყველაფრით და ყოველნაირად შეავიწროებს ცენტრალურ კომიტეტს, მოსთხოვს სრულ დათმობას მარტოველებისადმი. ან დაუყოვნებლივ ყრილობა, დაუყოვნებლივ შეკრება 11 — 12 კომიტეტის რეზოლუციებისა ყრილობის შესახებ, დაუყოვნებლივ მთელი ძალების წარმართვა ყრილობისათვის სააგიტაციოდ. ან — მთელი ცენტრალური კომიტეტის გადადგომა, ვინაიდან ცენტრალური კომიტეტიდან არავინ არ დათანხმდება სამარცხვინო და სასაცილო როლი შეასრულოს: მიიღოს ადამიანები, რომლებიც ძალად გვეტმასნებიან, რომლებიც მანამდე არ დამშვიდდებიან, სანამ ყველაფერს ხელში არ ჩაიგდებენ, რომლებიც ყოველ წვრილმანს საბჭოში გაარბენინებენ, რომ თავისი გაიტანონ.

მე და კურცი დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ ცენტრალური კომიტეტი აუცილებლად დაუყოვნებლივ შეიკრიბოს და გადაწყვიტოს საქმე, ამასთან, რა თქმა უნდა, მხედველობაში მიიღოს ჩვენი ხმებიც. ჩვენ დაბეჯითებით და მეასედ ვიმეორებთ: ან ახლავე ყრილობა, ან გადადგომა, — ვინც ჩვენ არ გვეთანხმება, ვთხოვთ აქ ჩამობრძან-

დეს, რომ ადგილზე განსაჯოს. ლიტონ ფრაზებს კი ნუ გვწერენ ზავის სარგებლობის შესახებ, არამედ **სინჯონ საქმით** შეეწყონ მარტოველებს!

ფული არა გვაქვს. ცენტრალური ორგანო თავს გვახვევს უამრავ ხარჯებს, აშკარად გვიბიძგებს გაკოტრებისაკენ, აშკარად ამყარებს ანგარიშს ფინანსურ კრახზე, რათა მიიღოს სასწრაფო ღონისძიებანი, რომლებიც ცენტრალურ კომიტეტს არარად გადააქცევს.

ორი-სამი ათასი მან. საჭიროა დაუყოვნებლივ და რადაც უნდა დაჯდეს. აუცილებლად და დაუყოვნებლივ, თორემ ერთი თვის შემდეგ **სრული** კრახი მოგველის!

ვიმეორებ: კარგად იფიქრეთ, **გამოგზავნეთ დელეგატები** და პირდაპირ შეხედეთ საქმეს. ჩვენი უკანასკნელი სიტყვაა: ან ყრილობა, ან მთელი ცენტრალური კომიტეტის გადადგომა. ახლავე გვიპასუხეთ, გვაძლევთ თუ არა ხმებს. თუ არა, გვაცნობეთ, როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, რომ მე და კურცი გადავდგებით, აუცილებლად გვაცნობეთ.

დაწერილია 1904 წ. 31 იანვარს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

94

Ბ. მ. კრჟიჟანოვსკის

განსს სტარიკისაგან

ძვირფასო მეგობარო! ვნახე ზ ვ ე რ ი და მხოლოდ მისგან შევიტყვე თქვენი საქმის ვითარება. ჩემი აზრით, შენ აუცილებლად უნდა აიძულო ლანი ახლავე წავიდეს და ტყავი ვამოიცვალოს. სისულელე და სასაცილოა ელოდოს დარტყმას. არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა და მისვლა-მოსვლა — აი ერთადერთი გამოსავალი. და, მერწმუნე, მას მხოლოდ ეჩვენება, რომ ასეთი ნაბიჯი ძნელი და მძიმეა. უნდა სინჯოს ამ ნაბიჯის გადადგმა, და მალე აღმოჩნდება, რომ ახალი მდგომარეობა ლანისათვის ნორმაში შევა. (სრულებით არ მესმის და ვერ გამიზიარებია კონიაგას მოსაზრებანი ამის წინააღმდეგ.)

შემდეგ მთელი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. საქმე საშინლად არის აწეწილი. პლეხანოვი მარტოველებთან წავიდა და საბჭოში გვავიწროებს. საბჭომ სურვილი გამოთქვა, რომ ცენტრალური კომიტეტი შეივსოს (ეს «ისკრის» № 58-ში იბეჭდება). საბჭომ რედაქციას ნება მისცა გზავნოს აგენტები და მიიღოს ხოლმე ლიტერატურა გასავრცელებლად.

მარტოველებს, ცხადია, თავიანთი საომარი ფონდი აქვთ და მხოლოდ მარჯვე მომენტს ელიან coup d'état-სთვის * (ისეთ მომენტს, როგორიც არის ფინანსური კრახი — ჩვენ უფულოდ ვართ, — ან ჩავარდნას რუსეთში და სხვ.). მე ამაში ეჭვი არ მეპარება, და მე და კურცი მოვითხოვთ, რომ

* — გადატრიალებისათვის. რ ე დ.

ცენტრალური კომიტეტის ის წევრები, რომლებსაც ამაში ეჭვი ეპარებათ, აქ ჩამოვიდნენ და დარწმუნდნენ, — თორემ სასაცილო და არასაკადრისია ვეწეოდეთ ზოგი ალთას, ზოგი ბალთას.

ჩემი აზრით, ახლა საჭიროა 1) კომიტეტებში ატეხოთ აურზაური ცენტრალური ორგანოს წინააღმდეგ უაღრესად მებრძოლი რეზოლუციებით; 2) კომიტეტების ფურცლებში პოლემიკა გაუმართოთ ცენტრალურ ორგანოს; 3) კომიტეტებში მიიღოთ და ადგილობრივ ბეჭდოთ რეზოლუციები ყრილობის შესახებ; 4) შვარცი, ვაკარი და სხვ. დასვათ და აწერინოთ ფურცლები ცენტრალური კომიტეტისათვის.

განსი უნდა გააფრთხილოთ, რომ მას უთუოდ გამოიყვანენ ცრუ მოწმედ ჩემ წინააღმდეგ, უთუოდ. თუ განსს ეს არ უნდა, ახლავე გამოგზავნოს წერილობითი კატეგორიული განცხადება: 1) რომ შეთანხმება მოლაპარაკების გამოუქვეყნებლობის შესახებ არ ყოფილა; 2) რომ საბჭოში 29. XI. 03 განსს დაპირება არ მიუცია ცენტრალურ კომიტეტში კოოპტირების შესახებ; 3) რომ განსს ისე ესმოდა, რომ მარტოველები ცენტრალურ ორგანოს ზავისათვის იღებენ და რომ მათ მოლოდინი გაუცრუეს მას, როდესაც № 53-დან ომი ატეხეს. ამ განცხადებას ჩვენ მ ხ ო ლ ო დ ი მ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი დავბეჭდავთ, როცა პროვოკაციულად გამოგვიწვევენ.

დაწერილია 1904 წ. 2 და 7 თებერვალს შუა
გაგზავნილია ჟენევიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

95

ცენტრალურ კომიტეტს

გწერთ სტარიკი. წავიკითხე ზემლიაჩკას და კონიაგინის წერილები. ალაჰმა უწყის, საიდან მოეჩვენა კონიაგინს, რომ მე ახლა დავინახე ყრილობის უსარგებლობა. პირიქით, მე წინანდებურად ვამტკიცებ, რომ ეს ერთადერთი პატიოსანი გამოსავალია, რომ მხოლოდ სიბეცეს ან სილაჩრეს შეუძლია ემალებოდეს ამ დასკვნას. მე წინანდებურად მოვითხოვ, რომ აქ აუცილებლად გამოგზავნონ ბორისი, მიტროფანი და ლოშადი, აუცილებლად, რადგან საჭიროა ადამიანებმა თვითონ დაინახონ მდგომარეობა (რომელიც განსაკუთრებით საბჭოს სხდომების შემდეგ შეიქმნა), და არა შორიდან ედებოდნენ ღობე-ყორეს, თავი ფრთას ჰქონდეთ ამოფარებული და სარგებლობდნენ იმით, რომ ცენტრალური კომიტეტი აქედან ცხრა მთას იქით არის.

იმ აზრზე უგუნური არაფერია, რომ ყრილობის მოწვევისათვის მუშაობა, აგიტაცია კომიტეტებში, აზრიანი და გადამწყვეტი (და არა უბადრუკი) რეზოლუციების გატარება კომიტეტებში გ ა მ ო რ ი ც ხ ა ვ ს «დადებითს» მუშაობას ან ეწინააღმდეგება მას. ეს აზრი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ უნარი არ შესწევთ მიხვდნენ პარტიაში ამჟამად შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას.

პარტია ფაქტიურად გათიშულია, წესდება ჩვრად არის გადაქცეული, ორგანიზაცია გალანძღულია, — მხოლოდ გულკეთილ პოშეხონელებს შეუძლიათ კიდევ ვერ ხედავდნენ ამას. ხოლო ვინც მიხვდა ამას, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ

მარტოველთა შემოტევას უნდა ვუპასუხოთ შეტევითვე (და არა უხამსი ჩიფჩიფით მშვიდობის შესახებ და სხვ.). სწორედ შეტევისათვის უნდა გამოვიყენოთ მთელი ძალები. ტექნიკას, ტრანსპორტს, მიღებას დაე ხელი მოჰკიდონ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ დამხმარე ძალებმა, თანაშემწეებმა, აგენტებმა. ამ საქმეზე ცენტრალური კომიტეტის წევრების დაყენება უდიდესი უგუნურებაა. ცენტრალური კომიტეტის წევრებმა უნდა დ ა ი კ ა ვ ო ნ ყველა კომიტეტი, დარაზმონ უმრავლესობა, მოიარონ რუსეთი, შეაკავშირონ თავიანთი ხალხი, დაიწყონ შეტევა (მარტოველების გამოლაშქრებათა პასუხად), შეტევა ცენტრალური ორგანოს წინააღმდეგ, შეტევა რეზოლუციებით, რომლებიც 1) მოითხოვენ ყრილობას; 2) ე კ ი თ ხ ე ბ ი ა ნ ცენტრალური ორგანოს რედაქციას, დაეშორჩილება თუ არა იგი ყრილობას რედაქციის პირადი შემადგენლობის საკითხში; 3) სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ახალ «ისკრას» «ობივატელური გრძნობების» გამოუჩენლად, როგორც ეს მოიმოქმედეს ამ დღეებში ასტრახანმა, ტვერმა და ურალმა. ეს რეზოლუციები რუსეთში უნდა იბეჭდებოდეს, ჩვენ ეს უკვე ასჯერ გვაქვს ნათქვამი.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ცენტრალურ კომიტეტში მართლაც ბიუროკრატები და ფორმალისტები არიან და არა რევოლუციონერები. მარტოველები მათ სახეში აფურთხებენ, ისინი კი იწმენდენ და მე მარიგებენ ჭკუას: «ბრძოლა უსარგებლოაო!»... მხოლოდ ბიუროკრატებს შეუძლიათ ვერ ხედავდნენ ახლა, რომ ცენტრალური კომიტეტი არ არის ცენტრალური კომიტეტი და მისი ცდები — იყოს ცენტრალურ კომიტეტად — სასაცილოა. ან ცენტრალური კომიტეტი გახდება ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ო რ გ ა ნ ო ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მ ი ს ორგანიზაცია, ომისა საქმით და არა სიტყვით, ომისა კომიტეტებში, ან ცენტრალური კომიტეტი უვარგისი ჩვარია, რომელსაც მართებულად გადააგდებენ იქით.

შეიგნეთ, ღვთის გულისათვის, რომ ცენტრალიზმი მარტოველების მიერ საბოლოოდ არის დარღვეული. მიაფურთხეთ იდიოტურ ფორმალობას, დაიკავეთ კომიტეტები, ასწავლეთ მ ა თ პარტიისათვის ბრძოლა საზღვარგარეთული წრეობანის

წინააღმდეგ, უწერეთ მათ ფურცლები (ეს ხელს კი არ შეუშლის აგიტაციას ყრილობის სასარგებლოდ, არამედ ხელს შეუწყობს მას!), ტექნიკა ჩააბარეთ დამხმარე ძალებს. უხელმძღვანელეთ ცენტრალური ორგანოს წინააღმდეგ ომს ან სულაც მიატოვეთ იმის სასაცილო პრეტენზიები, რომ «უხელმძღვანელოთ»... ფურთხის მოწმენდას.

კლერის საქციელი სამარცხვინოა, ხოლო კონიაგას მიერ მისი წაქეზება ამაზე უფრო უარესი. ისე არაფერი არ მაგულისებს ახლა, როგორც ჩვენი «ეგრეთწოდებული» ცენტრალური კომიტეტი. Addio *.

სტარიკ

დაწერილია 1904 წ. თებერვლის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* — მშვიდობით. რედ.

96

რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციას

ცენტრალური კომიტეტი აუწყებს ცენტრალური ორგანოს რედაქციას, რომ განკარგულება მისთვის განკუთვნილი წერილების ცენტრალური ორგანოს ხელში გადაცემის შესახებ მას მიაჩნია უკანონო და არაკეთილსინდისიერ მიტაცებად და ნდობის დარღვევად.

ცენტრალური კომიტეტი აგრეთვე აცხადებს, რომ მან უკვე სავსებით შეაფასა ამხ. ბლიუმენფელდი, რომელსაც ახლა გადაცემული აქვს წერილების გარჩევა, მისი არაკონსპირაციულობისა და სკანდალების მოწყობისათვის მზადყოფნის გამო.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტი პარტიის ყველა წევრს აცნობებს ასეთ მიტაცებას და საქმისათვის საზიანო მის გარდუვალ შედეგს.

ცენტრალური კომიტეტი

დაწერილია 1904 წ. 26 თებერვალს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

97

ცენტრალურ კომიტეტს

ამხანაგებო! მივიღეთ რა ცნობა თქვენი, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის, კოლექტიური გადაწყვეტილების შესახებ, რომ არ მოეწყოს ყრილობა და რომ სასურველია შეწყდეს «კინკლაობა», ჩვენ სამმა (კურცმა, ზვერმა და ლენინმა) განვიხილეთ ეს ცნობა და ერთხმად მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება:

1) კურცი და ლენინი დროებით ხელს იღებენ საბჭოს წევრის თანამდებობაზე (ამავე დროს რჩებიან ცენტრალური კომიტეტის წევრებად), სანამ გამოირკვეოდეს ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობასთან ჩვენი უთანხმოების ჭეშმარიტი ხასიათი. (საბჭოში ჩვენ განვაცხადეთ, რომ აბსოლუტურად ვერ ვხედავთ კინკლაობიდან სხვა პატიოსან გამოსავალს, გარდა ყრილობისა, და ხმა მივეცით ყრილობას.) ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მივდივართ დროებით და პირობითად, ამასთან საერთოდ უარს არ ვამბობთ და ძალიან გვსურს ამხანაგურად გამოვარკვიოთ ჩვენი უთანხმოება და გაუგებრობანი.

2) იმის გამო, რომ (ა) საჭიროა საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ საბჭოს წევრები ცენტრალური კომიტეტისაგან; (ბ) საჭიროა პირადი თათბირი ცენტრალური კომიტეტის რუსეთელ წევრებთან; (გ) საჭიროა საზღვარგარეთ იმყოფებოდეს ცენტრალური კომიტეტის წევრი კურცის, ზვერისა და ლენინის წასვლის შემდეგ (კურცი და ზვერი რუსეთს მიემგზავრებიან, ლენინი იღებს სულ მცირე ორი თვის ფორმა-

ლურ და სრულ შვებულებას); (დ) საჭიროა მოეწყოს ისე, რომ აქაურ საქმეებს, რომლებიც «კინკლაობას» წარმოშობენ, აწარმოებდნენ ცენტრალური კომიტეტის ის წევრები, რომლებიც ჩვენ არ გვეთანხმებიან, ვინაიდან ჩვენ არ ძალგვიძს სხვანაირად ვებრძოლოთ კინკლაობას, ვიდრე ვებრძვით,

— ყოველივე ამის გამო ჩვენ უაღრესი დაჟინებით ვთხოვთ ცენტრალურ კომიტეტს დაუყოვნებლივ და აუცილებლად გამოგზავნოს აქ ერთი რუსეთელი წევრი მაინც.

გთხოვთ სასწრაფოდ გვაცნობოთ ამ წერილის მიღება და თქვენი პასუხი.

P. S. ჭორებისა და ნაადრევი მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად ჩვენი გადადგომა საბჭოს ვაცნობეთ ასეთი ფორმით: (სრული პირი).

«პარტიის საბჭოს თავმჯდომარეს

პატივცემულო ამხანაგო! გაცნობებთ, რომ ერთი ჩვენგანი მიემგზავრება, ხოლო მეორეს შვებულება აქვს აღებული და ამიტომ, სამწუხაროდ, იძულებული ვართ დროებით დავტოვოთ თანამდებობა საბჭოში ცენტრალური კომიტეტისაგან წარმოგზავნილი წევრებისა. ამის შესახებ ცნობა გაგზავნილი გვაქვს ცენტრალურ კომიტეტში.

სოციალ-დემოკრატიული სალამით

კურცი
ლენინი»

დაწერილია 1904 წ. 13 და 14 მარტს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

98

პპს-ს ცენტრალურ კომიტეტს

პატივცემულო ამხანაგებო!

გთხოვთ უფრო დაწვრილებით მაცნობოთ, თუ რა ხასიათის კონფერენციას, რომელ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან, როდის და სად ვარაუდობთ. შემდეგ კეთილინებეთ და შემატყობინეთ, რა აზრისა იქნებოდით თქვენ პოლონელი სოციალ-დემოკრატების მონაწილეობაზე კონფერენციაში.

თქვენგან ყველა დამატებითი ცნობის მიღების შემდეგ თქვენს წინადადებას, ჩვენი პარტიის წესდების თანახმად, პარტიის საბჭოში შევიტანთ.

ამხანაგური სალამით

ცენტრალური კომიტეტის მაგიერ...

დაწერილია 1904 წ. 7 აპრილს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

99

ფ. ვ. ლენგნიკს

პირადად ჩემგან დავსძენ კოლის მიმართ, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ გამოვიდეს[178]. თუ ვალენტინი არ ისურვებს ეთათბიროს ყველაფერზე და გადასცეს ყველა, უკლებლივ ყველა ცნობა კოლს, დაე ვალენტინი წავიდეს. ახსოვდეს კოლს, რომ ამბების მთელი მსვლელობა ახლა ჩვენთვის ხელსაყრელია, კიდევ ცოტა მოთმინება და სიმტკიცე, და ჩვენ გავიმარჯვებთ. აუცილებლად ყველას გააცანით ბროშურა, განსაკუთრებით ბრუტს. ბროშურის შემდეგ ბრუტზე კიდევ უნდა მივიტანოთ იერიში, ბრუტი ჩვენი იქნება, მის წასვლას მე ჯერჯერობით არ ვეთანხმები, თქვენც ნუ დაეთანხმებით, ჯერჯერობით ჯიბეში ჩაიდეთ მისი გადადგომა. ზემლიაჩკას გადადგომაზე კრინტს არავინ ძრავს, დაიხსომეთ ეს: ნილი იმის პრეტენზიასაც კი არ აცხადებს, რომ ზემლიაჩკა გამოვიდეს. აცნობეთ ეს ზემლიაჩკას და უფრო მაგრად იყავით. ვიმეორებ, ცენტრალური კომიტეტის შიგნით ჩვენ გავიმარჯვებთ.

დაწერილია 1904 წ. 26 მაისს
გაგზავნილია ჟენევიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

100

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

ძვირფასო მეგობარო! ჩემი და ნილის ხელშეკრულებიდან[179] შენ, რა თქმა უნდა, მიხვდები საქმის არსს. ღვთის გულისათვის, ნუ აჩქარდები გადაწყვეტილებათა მიღებაში და გულს ნუ გაიტეხ. ჯერ აუცილებლად გაეცანი ჩემს ბროშურას და საბჭოს ოქმებს. ნუ გაფიქრებს, რომ დროებით ჩამოშორებული ხარ საქმეებს, და სჯობს თავი შეიკავო რამდენიმე კენჭისყრაში, მაგრამ სავსებით არ წახვიდე. მერწმუნე, რომ შენ ჯერ კიდევ ძლიერ და ძლიერ საჭირო იქნები და რომ ყველა მეგობარი იმედს ამყარებს შენს მოახლოებულ «მკვდრეთით აღდგომაზე». ჩვენს პარტიაში ბევრი კვლავ საგონებელშია ჩავარდნილი და დაბნეულია, ვერ ერკვევა ახალ სიტუაციაში, სულმოკლედ კარგავს საკუთარი თავისა და სამართლიანი საქმისადმი რწმენას. ჩვენთვის კი აქ სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ დროის გასვლით ჩვენ მოგებული ვრჩებით, რომ კინკლაობა თავისთავად ცხრება და სცენაზე გარდუვალად გამოდის საქმის არსის, პრინციპების საკითხი, ახალი «ისკრა» კი საშინლად სუსტია. არ დაუჯერო სულელურ ზღაპრებს, რომ ჩვენ გათიშვისაკენ ვისწრაფვით, მოიკრიბე ერთგვარი მოთმინება და მალე დაინახავ, რომ ჩვენი კამპანია საუცხოოა და რომ ჩვენ გავიმარჯვებთ დარწმუნების ძალით. აუცილებლად მიპასუხე ხოლმე. ყველაფერს ემჯობინებოდა, თუ მოახერხებდი და ერთი კვირით ჩამოხვიდოდი აქ, — საქმეებისათვის კი არა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ დასასვენებლად და სადმე მთებში ჩემთან შესა-

ხვედრად. მართალს გეუბნები, შენ კიდევ ძლიერ საჭირო იქნები, და თუმცა კონიაგამ შეცდომით გადაგათქმევინა ერთი შენი გეგმა, მაგრამ — რაც დაგვიანებულია, დაკარგული როდია! აუცილებლად მოიკრიბე ძალა, და ჩვენ კიდევ ვიომებთ!

შენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1904 წ.
26 მაისისა
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

101

ლ. ბ. კრასინს

სტარიკისაგან ლოშადს პირადად

იმ დოკუმენტების გამო (ნილთან ხელშეკრულება და ჩემი ოფიციალური წერილი ცენტრალური კომიტეტისადმი[180]), რომლებსაც გიგზავნით, მინდოდა ერთხელ კიდევ მესაუბრა თქვენთან, რადგან არ ვიცი, მოვახერხებთ თუ არა ერთმანეთის ნახვას. აქ ამას წინათ იყო თქვენი «მეგობარი» და დაგვაიმედა თქვენი ჩამოსვლის შესახებ, მაგრამ ნილმა უარყო ეს ცნობა. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ არ ჩამოხვალთ: ეს ყოველმხრივ უთუოდ საჭირო იქნებოდა, ვინაიდან გაუგებრობა აურაცხელია, ისინი უფრო და უფრო იმატებს და მთელ მუშაობას დააბრკოლებს, თუ ვერ მოვახერხებთ ერთმანეთის ნახვას და დაწვრილებით მოლაპარაკებას. აუცილებლად მომწერეთ, ჩამოხვალთ თუ არა და როგორია თქვენი აზრი ჩემი ბროშურის შესახებ. საერთოდ წერილების მხრივ თქვენ მიუტევებელ უმოქმედობას იჩენთ.

ბორისი (და, ჩანს, კონიაგაც), ჩემი აზრით, აშკარა ჩამორჩენილ თვალსაზრისზე გაიყინენ. ისინი კვლავ «ცხოვრობენ ნოემბერში», როცა ჩვენს პარტიულ ბრძოლაში ყველაფერი კინკლაობით იყო გამსჭვალული, როცა დასაშვები იყო იმედი გვქონოდა, რომ ყველაფერი «თავისთავად მოგვარდებოდა» ერთგვარი პირადი დამთმობლობის დროს და სხვ.. ახლა ეს თვალსაზრისი ანტიკვირებულია, და მისი დაცვა იმას ნიშნავს, რომ ან იყო თუთიყუში, რომელიც ერთსა და იმავეს უაზროდ იმეორებს, ან იყო პოლიტიკური ფლუგერი, ან უარი თქვა ყოველგვარ ხელმძღვანელ როლზე და გადაიქცე ყრუ-მუნჯ მეეტლედ, ნოქრად. ამბებმა საბოლოოდ გააცამტვერეს ეს ძველი თვალსაზრისი. «კოოპტაციაზე» მარტოველებიც კი

უარს ამბობენ; პრინციპულმა სისულელემ, რომლითაც სავსეა ახალი «ისკრა», უკვე de facto * შორს მოიტოვა ყოველგვარი კინკლაობა (ისე რომ კინკლაობის შეწყვეტისაკენ მოწოდება ახლა მხოლოდ თუთიყუშებს შეუძლიათ), საკითხი ი ს ღ ა ა რ ი ს, შეიგნეთ ეს ღვთის გულისათვის, ამბების გავლენით ისღა არის, კმაყოფილია თუ არა პარტია ახალი «ისკრით». თუ არ გვინდა პაიკები ვიყოთ, ჩვენ აუცილებლად უნდა შევიგნოთ ახლანდელი სიტუაცია და შევიმუშაოთ გეგმა თავშეკავებული, მაგრამ განუხრელი პრინციპული ბრძოლისა პარტიულობის გულისათვის წრეობანას წინააღმდეგ, ორგანიზაციის რევოლუციური პრინციპების გულისათვის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. დროა მივატოვოთ ძველი საფრთხობელები, თითქოს ყოველი ასეთი ბრძოლა გათიშვაა, დროა ფრთას აღარ ვაფარებდეთ თავს, არ გავურბოდეთ ჩვენს პარტიულ მოვალეობებს იმის მომიზეზებით, რომ ვეწევით «დადებითს მუშაობას»... მეეტლეებისას და ნოქრებისას, დროა უკუგდებულ იქნეს აზრი, რომელიც მალე ბავშვების სასაცილო გახდება, რომ ყრილობის სასარგებლო აგიტაცია ლენინის ინტრიგაა.

ვიმეორებ: ცენტრალური კომიტეტის წევრებს სავსებით ჩამორჩენილ ობროდებად გადაქცევის უაღრესად სერიოზული საფრთხე ემუქრებათ. ვისაც თუნდაც იოტისოდენა პოლიტიკური ღირსება და პოლიტიკური პატიოსნება აქვს, მან თავი უნდა დაანებოს გაძრომ-გამოძრომას და ცბიერებას (ეს თ ვ ი თ ო ნ პლეხანოვს არ გაუვიდა, არამც თუ ჩვენს კეთილ ბორისს!), მან გარკვეული პოზიცია უნდა დაიკავოს და თავის რწმენას უნდა იცავდეს.

მაგრად გართმევთ ხელს და ველი პასუხს

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1904 წ. 26 მაისისა
გაგზავნილია ჟენევიდან ბაქოში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — ფაქტიურად. რ ე დ.

102

ე. დ. სტასოვას და ფ. ვ. ლენგნიკს

ეს არის მივიღეთ აბსოლუტის წერილი ყრილობის შესახებ და ვერაფერი ვერ გავიგეთ. ვისი ინიციატივით იმართება ყრილობა? სახელდობრ ვინ იქნება ყრილობაზე, იქნება თუ არა ნიკიტიჩი, ლანი და ვალენტინი? საჭიროა ყველაფერი რაც შეიძლება დაწვრილებით ვიცოდეთ. ხომ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს: ლანი, ნიკიტიჩი და მიტროფანი თავიანთ ხმებს გადასცემენ ნილს ან ვალენტინს, მაშინ მათ უმრავლესობა ექნებათ და შეეძლებათ coup d'état * მოახდინონ; საზღვარგარეთ ამის გაკეთება უფრო ადვილია — იქვე გვერდით საბჭოა მათი დადგენილებების სანქციონირებისათვის. საერთოდ რბილ წევრთა [181] ყრილობა აქ ახლანდელ მომენტში მეტად სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორ უჭირავს თავი ნილს — მისგან ყველაფერი მოსალოდნელია. მაგალითად, პლეხანოვის წერილის გამო იგი ამბობს: «უნდა ვუპასუხოთ, რომ ლენინის პოლიტიკას არ ვეთანხმებით, მაგრამ მისი გაცემა არ გვინდაო». ალაჰმა უწყის, რას გულისხმობს იგი «ლენინის პოლიტიკად». სოკოლისათვის რაიმე ახსნა-განმარტების მიცემაზე მან უარი განაცხადა: «ჩემს აზრს ვალენტინისაგან შეიტყობთო». უმცირესობას ელაპარაკება ძლიერ მეგობრულად, სულ სხვანაირად, ვიდრე უმრავლესობას. სოკოლს უნდოდა დღეს გამგზავრებულიყო, მაგრამ ახლა საგონებელში ვართ ჩავარდნილი.

---

* — გადატრიალება. რ ე დ.

«რბილთა» ერთ ნაწილს შეუძლია დაადგინოს, თუ მათთვის ხელსაყრელი იქნება, რომ ხმების გადაცემა არ შეიძლება, და მაშინ სოკოლი არ უნდა წავიდეს, — ზედმეტი ხმა იქნება და ლენინსაც მხარდაჭერა ესაჭიროება. მაგრამ თუ საფუძველი არ არის ვიფიქროთ, რომ ყრილობა გადატრიალებით დამთავრდება, სოკოლს აქ არაფერი არ ესაქმება. თუ პირველი იქნება, გვიდეპეშეთ: «Geld folgt» * (მაშასადამე: სოკოლი დაუყოვნებლივ გამოემგზავროს); თუ მეორე — «Brief folgt» ** (მაშასადამე: სოკოლი საზღვარგარეთ დარჩეს). მისამართი დეპეშისათვის: ...

გვიპასუხეთ აგრეთვე წერილით დაუყოვნებლივ და რაც შეიძლება დაწვრილებით. უფრო ზუსტად განსაზღვრეთ ვადა. რას ნიშნავს: მოამზადეთ ბინა? აგრეთვე ფიქრობთ თუ არა, რომ ყველა «სალკლდოვანს» შეუძლია წავიდეს ისე, რომ ყველაფერი მაგარ-რბილ «მატრიოსელთა» ხელში არ მოხვდეს? მაგალითად, თუ ვალენტინი დარჩება, ხოლო სხვები წავლენ, მას შეუძლია ბევრი ოინი ჩაიდინოს. — მაშინ, იქნებ, სოკოლის ყოფნა რუსეთში აუცილებელი იყოს. ყველაფერი გულდასმით მოიფიქრეთ. თქვენს ოპტიმიზმს ცენტრალური კომიტეტის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით არ ვიზიარებთ, მაგრამ ჩვენი გამარჯვების საკითხში ოპტიმისტები ვართ.

თუ ყრილობა საერთო იქნა, დაე კოლმა ძალ-ღონის უაღრესი დაძაბვით ერთხელ კიდევ სცადოს წამოიყვანოს ლანი აქ და განუმარტოს ლანს, რომ მის (ლანის) მიერ ხმის გადაცემა კონიაგასთვის ან ბორისისთვის შეიძლება ნიშნავდეს coup d'état-ს და ლენინის გამოსვლას თავგანწირული ბრძოლისათვის.

დაწერილია 1904 წ. 19 ივნისს
გაგზავნილია ჟენევიდან მოსკოვში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას
მიერ დაწერილი პირის მიხედვით,
რომელსაც აქვს ვ. ი. ლენინის
შესწორებები და მინაწერი

* — «ფული გამოგზავნილია». რ ე დ.
** — «წერილი გამოგზავნილია». რ ე დ.

103

პარტიის საბჭოს მდივანს ი. ო. მარტოვს

ამხ. მარტოვს

პატივცემულო ამხანაგო! თქვენი უთარიღო წერილი მივიღე მოგზაურობის დროს, როცა ხელთ არ მქონდა საბჭოს ოქმები. ყოველ შემთხვევაში პრინციპულად სრულიად დაუშვებლად და უკანონოდ მიმაჩნია, რომ საბჭოს წევრები საბჭოს სხდომის გარეშე აძლევდნენ თავიანთ ხმას ანდა უთანხმდებოდნენ ერთმანეთს საბჭოს კომპეტენციაში შემავალ ამა თუ იმ საქმეზე. ამიტომ არ შეიძლია შევასრულო თქვენი წინადადება კანდიდატებისათვის ხმის მიცემის შესახებ. თუ არ ვცდები, საბჭომ გადაწყვიტა, რომ საბჭოს ყველა წევრი წარმოადგენს ჩვენს პარტიას კონგრესზე [182]. მაშასადამე, ეს საკითხი გადაწყვეტილია. თუ საბჭოს რომელიმე წევრს წასვლა არ შეუძლია, მას, ჩემი აზრით, შეიძლება შეენაცვლოს ვინმე: არ ვიცი, რა თქმა უნდა, დასაშვებია თუ არა ასეთი შენაცვლება საერთაშორისო კონგრესების ჩვეულებათა მიხედვით, მაგრამ ჩვენი პარტიის წესდებასა და ადათში არ ვიცი ასეთი შენაცვლების დაბრკოლება. პირადად მეც არ შეიძლია წასვლა და მინდა, რომ შეენაცვლონ ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული ამხ. ლიადოვი და მოსკოვის კომიტეტის წევრი ამხ. სერგეი პეტროვიჩი.

სოციალ-დემოკრატიული სალამით საბჭოს წევრი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ცენტრალურ კომიტეტში ცნობის გაგზავნის შესახებ მე მივწერ ჟენეველ აგენტებს, რომლებიც ჩემი არყოფნის დროს მთელ საქმეებს განაგებენ.

დაწერილია 1904 წ. 10 აგვისტოს
შვეიცარიის მთებში,
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

104

მ. კ. ვლადიმიროვს

ფ რ ე დ ი ს ა თ ვ ი ს

ძვირფასო ამხანაგო! თქვენი უკანასკნელი წერილი მივიღე. გწერთ ძველი მისამართით, თუმცა ვშიშობ, რომ წერილები თქვენამდე ვერ აღწევს, წინა წერილის პასუხი საკმაოდ დაწვრილებითი იყო. ის ამხანაგური ნდობა, რომელიც ყველა თქვენს წერილში ჩანს, მაფიქრებინებს პირადად თქვენ მოგწეროთ. ეს წერილი კოლეგიისაგან და კომიტეტისათვის როდი იწერება.

საქმის ვითარება თქვენს კომიტეტში, რომელსაც ტანჯავს ხალხის ნაკლებობა, ლიტერატურის უქონლობა, ცნობების სრული უქონლობა, ისეთივეა, როგორიც არის საქმის ვითარება მთელ რუსეთში. ყველგან საშინელი უკაცურობაა, უმცირესობის კომიტეტებში კიდევ უფრო მეტი, ვიდრე უმრავლესობის კომიტეტებში, სრული დაქსაქსულობა, საერთო მძიმე განწყობილება და გაბოროტება, უმოძრაობა დადებითს მუშაობაში. მეორე ყრილობის დროიდან პარტიას ნაწილებად გლეჯენ და ახლა ამ მხრივ ძლიერ და ძლიერ ბევრი რამ არის გაკეთებული: უმცირესობის ტაქტიკამ საშინლად დაასუსტა პარტია. მან ყველაფერი გააკეთა, რაც კი შესაძლო იყო, რომ სახელი გაეტეხა ცენტრალური კომიტეტისთვისაც, დევნა დაუწყო მას ჯერ კიდევ ყრილობაზე და ამ დევნას გაძლიერებით ეწევა პრესაშიც და სიტყვიერადაც; კიდევ უფრო მეტად გაუტეხა მან სახელი ცენტრალურ ორგანოს, პარტიული ორგანოდან გადააქცია იგი უმრავლესობასთან პირადი ანგარიშის **გასწორების ორგანოდ. «ისკრა» თუ წაიკითხეთ, მაშინ თქვენ**

ამაზე ჩემი თქმა აღარ გესაჭიროებათ. უთანხმოების ძებნაში მათ ახლა თავიანთ ლოზუნგად წამოაყენეს «მეოთხე — ისკრული — პერიოდის ლიკვიდაცია» და წვავენ ყველაფერს, რასაც გუშინ თაყვანს სცემდნენ, სავსებით ამახინჯებენ პერსპექტივას, ისკრელობას განმარტავენ ისე, როგორც მას წინათ მისი უბოროტესი მტრები განმარტავდნენ. პარტიული მუშაკები, რომლებსაც ახსოვთ ის, რასაც გუშინ იცავდნენ, არ მიჰყვებიან ცენტრალურ ორგანოს. კომიტეტების უდიდესი უმრავლესობა ყრილობის მომხრე უმრავლესობის თვალსაზრისზე დგას, და სულ უფრო და უფრო წყდება მათი სულიერი კავშირი პარტიულ ორგანოსთან.

მაგრამ საქმის ახლანდელი ვითარება ისეთ გავლენას ახდენს დადებითს მუშაობაზე, ისე აბრკოლებს მას, რომ მთელ რიგ პარტიულ მუშაკებს ასეთი განწყობილება შეექმნათ: შეუდგნენ დადებითს მუშაობას, სავსებით ჩამოშორდნენ მთელ იმ მძაფრ შინაბრძოლას, რომელიც პარტიაში წარმოებს. მათ სურთ დახუჭონ თვალები, დაიცონ ყურები, ამოაფარონ თავი დადებითი მუშაობის ფრთას, ისინი გაურბიან და ემალებიან ყოველივეს, რასაც ახლა, პარტიაში ყოფნის დროს, ვერსად ვერ გაექცევიან. ცენტრალური კომიტეტის ნაწილმა კიდევაც დაიკავა ასეთი «შემარიგებლური» პოზიცია, ცდილობს დუმილით აუაროს გვერდი მზარდ უთანხმოებას, ცდილობს დუმილით აუაროს გვერდი პარტიის დაშლის ფაქტს. უმრავლესობა (არა შემარიგებელი) ამბობს: საჭიროა რაც შეიძლება მალე გამოვნახოთ რაიმე გამოსავალი, საჭიროა ასე თუ ისე შევთანხმდეთ, საჭიროა ვცადოთ ვიპოვოთ ჩარჩოები, რომლებშიც იდეური ბრძოლა ცოტად თუ ბევრად ნორმალურად იწარმოებდა, საჭიროა ახალი ყრილობა. უმცირესობა ყრილობის წინააღმდეგია, ისინი ამბობენ: პარტიის უდიდესი უმრავლესობა ჩვენი წინააღმდეგია, და ყრილობა ჩვენთვის ხელსაყრელი არ არისო; «შემარიგებელი» უმრავლესობაც ყრილობის წინააღმდეგია, მას ეშინია იმ გაბოროტებისა, რომელიც უძლიერდება ყველას ცენტრალური ორგანოს წინააღმდეგაც და ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგაც. თუ ვიფიქრებთ, რომ ყრილობას შეუძლია მხოლოდ

გათიშვა გამოიწვიოს, ეს იმის აღიარება იქნება, რომ ჩვენ სრულიად არა გვაქვს პარტია, რომ პარტიული გრძნობა ყველას ისე სუსტად გვაქვს განვითარებული, რომ იგი ვერ დაძლევს ძველ წრეობანას. ამ მხრივ ჩვენ უკეთესი აზრისა ვართ ჩვენს მოწინააღმდეგეებზე, ვიდრე ისინი თავიანთ თავზე ფიქრობენ. რასაკვირველია, თავდებობა არაფრისათვის არ შეიძლება, მაგრამ კონფლიქტის პარტიულად გადაჭრისა და გამოსავლის გამონახვის ცდა უნდა მოვახდინოთ. უმრავლესობას გათიშვა, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა, მაგრამ შემდგომი მუშაობა იმ პირობებში, რომლებიც ახლა შეიქმნა, სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება. ყრილობის სასარგებლოდ აზრი გამოთქვა უკვე 10 კომიტეტზე მეტმა (პიტერი, ტვერი, მოსკოვი, ტულა, ციმბირი, კავკასია, ეკატერინოსლავი, ნიკოლაევი, ოდესა, რიგა, ასტრახანი), მაგრამ მაშინაც კი, როცა ყრილობის სასარგებლოდ აზრს გამოთქვამს კომიტეტების უდიდესი უმრავლესობა, ყრილობა ისე მალე ვერ შედგება, ვინაიდან ცენტრალური ორგანოც და ცენტრალური კომიტეტიც, ალბათ, და საბჭოც რუსეთელი ამხანაგების უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგი იქნებიან.

ლიტერატურის შესახებ იმ ამხანაგმა ცენტრალური კომიტეტიდან, რომელთანაც ამის შესახებ საუბარი მქონდა, მიპასუხა, რომ თქვენს კომიტეტში ლიტერატურა წესიერად მოდის. როგორც ჩანს, რაღაც არევ-დარევაა. ადამიანები ორჯერ გამოგიგზავნეთ, მაგრამ რუსეთში მათ სხვა ადგილებში გზავნიდნენ. ვეცდებით, თუ შემთხვევა იქნა, გამოგიგზავნოთ ახალი ლიტერატურა.

ამხანაგური სალამით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წ. 15 აგვისტოს
შვეიცარიის მთებში,
გაგზავნილია გომელში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას
მიერ დაწერილი პირის
მიხედვით

105

«ისკრის» რედაქციას

რუსეთის სდმ პარტიის ცენტრალურ ორგანოს

24. VIII. 04.

პატივცემულო ამხანაგებო! ჟენევიდან საკმაოდ შორს ვიმყოფები და მხოლოდ დღეს შევიტყვე, რომ ცენტრალური ორგანოს რედაქცია აპირებს დაბეჭდოს თითქოს ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული «დეკლარაცია» [183].

მოვალეობად მიმაჩნია გავაფრთხილო ცენტრალური ორგანოს რედაქცია, რომ მე ჯერ კიდევ 18. VIII. 04 განვაცხადე პროტესტი ამ დეკლარაციის კანონიერების წინააღმდეგ [184], ე. ი. ამ საკითხზე თითქოს ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების წინააღმდეგ.

ცენტრალური კომიტეტის წევრები ამჟამად ექვსია (ამხ. მიტროფანის გადადგომისა და, თუ ხმებს დავუჯერებთ, ზვერევისა და ვასილიევის ამასწინანდელი დაპატიმრების გამო).

იმ ცნობებით, რომლებიც მე მაქვს, დასაჯერებელიც კია ის ვარაუდი, რომ ექვსი წევრიდან მხოლოდ სამმა იკისრა გამბედაობა ილაპარაკოს მთელი ცენტრალური კომიტეტის სახელით და ილაპარაკოს ორი საზღვარგარეთელი წარმომადგენლის საშუალებითაც კი არა, რომლებიც შებოჭილი არიან 26. V. 04-ის ფორმალური ხელშეკრულებით (ეს ხელშეკრულება ხელმოწერილია გლებოვის, ზვერევისა და ჩემ მიერ).

ვურთავ რა ამას ჩემი 18. VIII. 04-ის განცხადების პირს, უნდა განვაცხადო, რომ ცენტრალური ორგანოს რედაქციას დაეკისრება პასუხისმგებლობა მ თ ე ლ ი ინ ც ი დ ე ნ ტ ი ს ა

და კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ი ს პრესაში გამოტანისათვის იმ შემთხვევაში, თუ «დეკლარაცია» გამოქვეყნდება მანამდე, სანამ დადგენილების სინამდვილის წინააღმდეგ ჩემი .პროტესტის მიხედვით საქმე ცენტრალური კომიტეტის შიგნით გადაწყდებოდეს.

ცენტრალური კომიტეტის წევრი და საზღვარგარეთელი
წარმომადგენელი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ყოველ შემთხვევაში უთუოდ სავალდებულოდ მიმაჩნია «დეკლარაციის» გამოქვეყნება გადაიდოს მანამდე, სანამ გადამწყვეტი საუბარი მექნება ამხ. გლებოვთან, რომელიც, ჩემ მიერ მიღებული ცნობების თანახმად, დღეს ბერლინიდან ჟენევას მოემგზავრება. ჩემთვის, ცენტრალური კომიტეტის წევრისათვის, უცნობია ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაც კი საერთოდ ამ დეკლარაციის გამოქვეყნების შესახებ.

თუ რედაქცია მაინც გადაწყვეტს გამოაქვეყნოს დეკლარაცია, მაშინ ჩემი აზრით რედაქცია ზნეობრივად ვალდებულია გამოაქვეყნოს ჩემი პროტესტიც დეკლარაციის კანონიერების წინააღმდეგ.

დაწერილია შვეიცარიის მთებში,
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას
მიერ დაწერილი პირის
მიხედვით

106

უმრავლესობის კომიტეტების წევრებს და უმრავლესობის ყველა აქტიურ მომხრეს რუსეთში

გთხოვთ დაუყოვნებლივ შეუდგეთ ყველა და ყოველგვარი კორესპონდენციების შეგროვებასა და გამოგზავნას ჩვენს ძისამართებზე წარწერით: ლენინისათვის. მეტად საჭიროა ფულიც. ამბები მწვავდება. უმცირესობა აშკარად ამზადებს გადატრიალებას ცენტრალური კომიტეტის ნაწილთან მორიგებით. ყოველივე უარესს მოველით. დაწვრილებით ამ დღეებში მოგწერთ.

დაწერილია დაახლოებით 1904 წ. 28 აგვისტოს
შვეიცარიის მთებში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

107

ვ. ა. ნოსკოვს

ცენტრალური კომიტეტის წევრს ამხ. გლებოვს

30. 8. 04.

პატივცემულო ამხანაგო! კოოპტაციის შესახებ კენჭისყრაში[185], რის წინადადებასაც თქვენ იძლევით, მონაწილეობას ვერ მივიღებ მანამდე, სანამ არ მივიღებ თქვენს წერილობითს პასუხს ჩემს 18. 8. 04-ის პროტესტზე და დაწვრილებითს ცნობებს იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებიც თითქოს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო. ჟენევაში ჩამოსვლა ახლა არ შემიძლია.

ცენტრალური კომიტეტის წევრი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია შვეიცარიის მთებში,
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

108

ვ. ა. ნოსკოვს

ამხ. გლებოვს. თქვენი 30. 8. 04-ის ქაღალდის პასუხად გაცნობებთ, რომ ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილებათა კანონიერება და სინამდვილე, რომლებსაც თქვენ იმოწმებთ, სადავოდ არის გამოცხადებული ცენტრალური კომიტეტის წევრის, ამხ. ლენინის მიერ. როგორც ცენტრალური კომიტეტის აგენტები, რომლებიც ინფორმირებული ვიყავით ცენტრალური კომიტეტის შიგნით კონფლიქტის მთელი მსვლელობის შესახებ, ჩვენი მხრივაც სადავოდ მიგვაჩნია ამ დადგენილების კანონიერება და ვაცხადებთ, რომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება არ შეიძლება კანონიერად იქნეს აღიარებული, ვინაიდან იგი იწყება აშკარად არასწორი ფაქტის გადმოცემით: აქ საზღვარგარეთ ჩვენ თვითონ ვნახეთ ცენტრალური კომიტეტის ორი წევრი, რომლებმაც არ იცოდნენ ცენტრალური კომიტეტის კრების ამბავი. რადგან თქვენ უკვე ერთხელ გვაცნობეთ აშკარა სიცრუე (ცენტრალური კომიტეტის მიერ ამხ. ლენინის წიგნის ვითომდა აკრძალვის შესახებ [186]), ჩვენ მით უფრო მეტად ეჭვით ვეკიდებით თქვენს განცხადებებს. ამიტომ წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ ზუსტი ცნობები ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების კანონიერების შესამოწმებლად (კრების შემადგენლობა* და თვითეული

* ყალბად გაგების თავიდან ასაცილებლად ვაცხადებთ, რომ კრების შემადგენლობის შესახებ პრესაში (დეკლარაციაში) არასწორი განცხადების შემდეგ ჩვენ აბსოლუტურად არავითარი შესაძლებლობა არა გვაქვს შევიტყოთ სიმართლე, თუ არ შევიტყობთ კრების შემადგენლობას.

მონაწილის წერილობითი განცხადებანი). ოდნავაც არ ვფიქრობთ წინააღმდეგობა გავუწიოთ ცენტრალური კომიტეტის ნამდვილი უმრავლესობის კანონიერ გადაწყვეტილებებს, მაგრამ მანამდე, სანამ ამ კანონიერებას არ დაგვიმტკიცებთ, ყველა თქვენს განცხადებას უყურადღებოდ დავტოვებთ.

დაწერილია 1904 წ. 30 ან 31 აგვისტოს
შვეიცარიის მთებში,
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

109

ვ. ა. ნოსკოვს

2. IX. 04. ამხ. გლებოვს

პატივცემულო ამხანაგო! გთხოვთ მაცნობოთ, აპირებთ თუ არა მიპასუხოთ ჩემს პროტესტზე იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც თითქოს ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობამ მიიღო?

ცენტრალური კომიტეტის რომელ «წინა მორიგ კრებაზე» განაცხადა ამხ. ოსიპოვმა თავისი წასვლის შესახებ?

სახელდობრ როდის და ვინ აუწყა ამის შესახებ ცენტრალური კომიტეტის იმ წევრებს, რომლებიც ოსიპოვის განცხადებას არ დასწრებიან?

მოახსენა თუ არა ამხ. ვალენტინმა ცენტრალურ კომიტეტს, თუ რა საუბარი ჰქონდა მას, ვალენტინს, ამხ. ვასილიევთან ამხ. ოსიპოვის ვითომდა წასვლის გამო?

ფორმალურად როდის და ვის შეატყობინა თავისი გადადგომა ამხ. ტრავინსკიმ? გთხოვთ გამომიგზავნოთ ამ შეტყობინების პირი და მთელი დაწერილებითი ცნობები. იქნებ ვინმემ უკვე მომწერა ამის შესახებ, მაგრამ წერილი დაიკარგა?

სანამ ცენტრალური კომიტეტის ყ ვ ე ლ ა წევრი «შეამოწმებდეს» (ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის და მისი... ივლისის გადაწყვეტილების) კანონიერებას, მე მიმაჩნია, რომ არც მე და არც ამხ. გლებოვს უფლება არა გვაქვს ვიყოთ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები პარტიის საბჭოში.

ცენტრალური კომიტეტის წევრი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია შვეიცარიის მთებში,
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

110

პარტიის საბჭოს მდივანს ი. ო. მარტოვს

ამხ. მარტოვს

2. IX. 04.

პატივცემულო ამხანაგო! თქვენი 31. VIII. 04-ის წერილის პასუხად, რომლითაც მიწვევთ დავესწრო საბჭოს სხდომას, უნდა განვაცხადო, რომ სანამ ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი შეამოწმებდეს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის და მისი უკანასკნელი, ვითომდა მორიგი, კრების კანონიერებას, მე მიმაჩნია, რომ არც მე და არც ამხ. გლებოვს უფლება არა გვაქვს ვიყოთ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები პარტიის საბჭოში. ასეთ შემოწმებამდე ამხ. გლებოვის ყველა ოფიციალური ნაბიჯი (ხოლო საბჭოში მონაწილეობაც ოფიციალური ნაბიჯია) უ კ ა ნ ო ნ ო ნაბიჯად მიმაჩნია.

დავჯერდები იმას, რომ აღვნიშნავ ერთ ა შ კ ა რ ა ს ი ც რ უ ე ს და ერთ უ ს წ ო რ ო ბ ა ს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის «შემოწმებაში», რომელიც ცენტრალური კომიტეტის სამმა წევრმა თავის... ივლისის «სხდომაზე» მოახდინა. 1) მიტროფანოვის გადადგომის შესახებ მე მაქვს ამხ. ოსიპოვის წერილობითი განცხადება. ტრავინსკის გადადგომის შესახებ არასოდეს და არავისგან არა მქონია უცილობელი წერილობითი განცხადება. ცენტრალური კომიტეტის სამმა წევრმა სულ ცოტა რომ ვთქვათ ნაადრევად მიიღო გადადგომა ისე, რომ დანარჩენ წევრებს არ შეჰკითხვიან. 2) ამხ. ოსიპოვის ყბადაღებული გადადგომის შესახებ მე მქონდა ცენტრალური კომიტეტის წევრის ვასილიევის

წერილობითი ცნობა ამხ. ვალენტინთან მისი კამათისა და იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომ კამათი განხილული იქნებოდა ცენტრალური კომიტეტის საერთო კრებაზე. ოსიპოვის გადადგომის შესახებაც არც ერთი ცნობა არა მაქვს. ცენტრალური კომიტეტის 3 წევრის განცხადება, რომ გასვლის შესახებ ოსიპოვმა ფორმალურად განაცხადა ცენტრალური კომიტეტის წინა მორიგ კრებაზეო, ა შ კ ა რ ა ს ი ც რ უ ე ა, რასაც დოკუმენტალურად აბათილებს 26. V. 04-ის ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ ზვერევი და გ ლ ე ბ ო ვ ი. ამ ხელშეკრულებაში, რომელიც დაიდო მაშინ, როცა თ ვ ე ე ბ ი გ ა ვ ი დ ა «ცენტრალური კომიტეტის წინა მორიგი კრების» შემდეგ და იმის შემდეგ, რაც ოსიპოვი თითქოს სპბ. კომიტეტში შევიდა, აღიარებულია, რომ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაშია 9 წევრი, ე. ი. ჩ ა თ ვ ლ ი ლ ი ა ო ს ი პ ო ვ ი ც.

ცენტრალური კომიტეტის წევრი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია შვეიცარიის მთებში,
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას
მიერ დაწერილი პირის
მიხედვით

111

პარტიის საბჭოს მდივანს ი. ო. მარტოვს

ამხ. მ ა რ ტ ო ვ ს

7. 9. 04.

პატივცემულო ამხანაგო! თქვენ მიერ გამოგზავნილი პირების შესახებ უნდა ვთქვა, რომ საბჭო ამაოდ გარჯილა და გაუმეორებია მიწვევა, როცა უკვე ერთხელ უარით ვუპასუხე მიწვევაზე. არასოდეს არ გამომითქვამს სურვილი, რომ ცენტრალური კომიტეტის შიგნით მომხდარი «კონფლიქტის» გარჩევა გადატანილ იქნეს საბჭოს განსახილველად. პირიქით, როგორც ამხ. გლებოვისათვის, ისე ამხ. მარტოვისათვის გაგზავნილ წერილებში პირდაპირ განვაცხადე, რომ ცენტრალური კომიტეტის მხოლოდ ყველა წევრის კომპეტენციას შეადგენს მისი შემადგენლობის კანონიერების შემოწმება. საბჭო წესდებითაც არ არის უფლებამოსილი იხილავდეს ცენტრალური კომიტეტის შიგნით მომხდარ კონფლიქტებს.

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო კონგრესის ბიურომ მიიღო ჩემ მიერ ჩ ე მ ი მანდატის ვადანდობა[187], მე მოვალე აღარა ვარ რაიმე ანგარიში ჩავაბარო რომელიმე საბჭოს. გ ა რ კ ვ ე უ ლ საკითხებზე ახსნა-განმარტება (წერილობითი თუ ბეჭდვითი) მზად ვარ ხალისით მივცე ყველა მსურველს.

ცენტრალური კომიტეტის წევრი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ღაწერილია ჟენევის მიდამოებში,
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

112

სამხრეთის კომიტეტების[188] კონფერენციის მონაწილეებს და სამხრეთის ბიუროს

ამხანაგებო! თქვენი იმ რეზოლუციის პასუხად, რომ სასურველია შეიქმნას უმრავლესობის საორგანიზაციო კომიტეტი, ვიჩქარით გაცნობოთ, რომ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ თქვენს იდეას. ოღონდ ჩვენ ვამჯობინებდით დარქმეოდა ჯგუფს არა საორგანიზაციო კომიტეტი, არამედ უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო. ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ვიკისროთ უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს დანიშვნა, ვჯერდებით იმას, რომ რეკომენდაციას ვაძლევთ ამხანაგებს მარტინს, დემონს და კ — ს, ბარონს, სერგეი პეტროვიჩს, ფელიქსს და ლებედევს, რომლებიც (როგორც თქვენ იცით) ფაქტიურად შეუდგნენ უმრავლესობის კომიტეტთა გაერთიანების საქმეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ რამდენიმე კომიტეტი პირდაპირ დაუჭერს მხარს ამ ამხანაგებს, მათ შეეძლებათ გამოვიდნენ როგორც კერძო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს უმრავლესობის მომხრეთა საქმიანობას.

(22-ის კონფერენციის მონაწილენი[189])

დაწერილია 1904 წ. 5 ოქტომბრის შემდეგ
გაგზავნილია ჟენევიდან ოდესაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

113

უმრავლესობის კომიტეტებს

აუცილებლად და დაუყოვნებლივ მიმართეთ ოფიციალურად რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს (ქაღალდის პირი ჩვენ გამოგვიგზავნეთ) და სთხოვეთ გამოგიგზავნოთ კომიტეტში ბონჩ-ბრუევიჩისა და ლენინის ახალი გამომცემლობის [190] ყველა გამოცემა და რეგულარულად გიგზავნოთ ისინი. მიაღწიეთ იმას, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა პასუხი მოგცეთ და პასუხი გამოგვიგზავნეთ. ისარგებლეთ ცეკისტებთან პირადი შეხვედრით და მათი პასუხის შესახებ შეეკითხეთ მოწმეების თანადასწრებით. მიიღეთ თუ არა № 73 — 74-ის დამატება — საბჭოს გადაწყვეტილებანი [191]? პროტესტი უნდა განაცხადოთ ამ უმსგავსობის წინააღმდეგ, ეს არის ყრილობის პირდაპირი გაყალბება, პერიფერიის პირდაპირი აგულიანება კომიტეტების წინააღმდეგ და კინკლაობის შეტანა საბჭოში. ეს გადაწყვეტილებანი თუ არ მიგიღიათ, ისევ ცენტრალურ კომიტეტს შეეკითხეთ და გვაცნობეთ. ჩვენთან მალე გამოვა საბჭოს ამ გადაწყვეტილებათა დაწვრილებითი განხილვა.

დაწერილია 1904 წ. 5 ოქტომბრის შემდეგ
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

114
ციმბირის კომიტეტს

ჟენევა. 30. X. 04.

ციმბირის კომიტეტს ნ. ლენინისაგან

პატივცემულო ამხანაგებო! მე მინდა თქვენი საშუალებით ვუპასუხო ამხ. სიმონოვს, რომელიც აქ იყო როგორც ციმბირის კავშირის წარმომადგენელი და წასვლის წინ დამიტოვა წერილი (მაშინ ჟენევაში არ ვიმყოფებოდი), რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი შემარიგებლური თვალსაზრისი. მინდა გესაუბროთ სწორედ ამ წერილის გამო, რომლის შინაარსი თქვენთვის ალბათ ცნობილია ამხ. სიმონოვისაგან. ამხ. სიმონოვის თვალსაზრისი აი რაში მდგომარეობს: რა თქმა უნდა, ისინი (უმცირესობა) ანარქისტები და დეზორგანიზატორები არიან, მაგრამ მათთან ხომ ვერაფერს გააწყობ; საჭიროა «დაზავება» (სიმონოვი სწორედ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი, სხვა შემარიგებლებისაგან განსხვავებით, ლაპარაკობს არა ზავზე, არამედ დაზავებაზე), რომ როგორმე მაინც გამოვიდეთ აუტანელი მდგომარეობიდან, რომ განვიმტკიცოთ ძალები უმცირესობის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლისათვის.

ჩემთვის მეტად საგულისხმო იყო ამხ. სიმონოვის, როგორც შემარიგებლობის იშვიათი გ უ ლ წ რ ფ ე ლ ი მომხრის, წერილის გაცნობა. შემარიგებელთა შორის ისეთი უსაზღვრო თვალთმაქცობაა, რომ ისვენებ, როდესაც გესმის ისეთი ადამიანის მსჯელობა (თუნდაც არასწორი), რომელიც ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობს. მისი მსჯელობა კი უთუოდ

არასწორია. მას თვითონ ესმის, რომ სიყალბესთან, არევ-დარევასთან და კინკლაობასთან შ ე რ ი გ ე ბ ა არ შეიძლება, მაგრამ რა აზრი აქვს ლაპარაკს დ ა ზ ა ვ ე ბ ა ზ ე? უმცირესობა ამ დაზავებას ხომ მხოლოდ თავისი პოზიციების განსამტკიცებლად გამოიყენებს. ფრაქციული პოლემიკა (რომლის შეწყვეტას თვალთმაქცურად დაგვპირდა თვალთმაქცი ცენტრალური კომიტეტი თავის უახლეს წერილში კომიტეტებისადმი, წერილში, რომელიც, ალბათ, თქვენც უკვე მიღებული გექნებათ) კი არ შეწყვეტილა, არამედ ის განსაკუთრებით საზიზღარი ფორმები მიიღო, რომლებსაც გმობდა კაუცკიც კი, რომელიც უმცირესობას უჭერდა მხარს. კ. კაუცკიც კი «ისკრისადმი» თავის წერილში აცხადებდა, რომ «ფარული» პოლემიკა ყოველგვარ სხვა პოლემიკაზე უარესია, რადგან საკითხი იხლართება, გადაკრული სიტყვები ბუნდოვანი რჩება, პირდაპირი პასუხი შეუძლებელია. და აიღეთ «ისკრა» — № 75-ის მოწინავეში, რომლის თემა ძლიერ დაშორებულია ჩვენს უთანხმოებას, თქვენ აქა-იქ ხედავთ უაზრო გაბოროტებულ ბებრულ ლანძღვას მრჩეველი ივანოვების, სრულიად უვიცების და სხვ. და სხვ. მიმართ. ჩვენი ცენტრალური კომიტეტიდან მოწინააღმდეგის მხარეზე გადასულთა თვალსაზრისით ეს, ალბათ, ფრაქციული პოლემიკა არ არის! არსებითად აღარ ვლაპარაკობ მოწინავის ავტორის (როგორც ჩანს, პლეხანოვის) საბუთებზე: მარქსი პრუდონისტებს ლ მ ო ბ ი ე რ ა დ ეკიდებოდაო. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ისტორიული ფაქტებისა და ისტორიული დიდი სახელების უფრო ყალბი გამოყენება? რას იტყოდა მარქსი, ლმობიერების ლოზუნგით მარქსიზმისა და პრუდონიზმის განსხვავების ა რ ე ვ ა რომ დაეფარათ? (და განა რაც ძალი და ღონე აქვს არ ურევს ახალი «ისკრა» განსხვავებას რაბოჩედელოელობასა და ისკრელობას შორის?). რას იტყოდა მარქსი, ლმობიერებით რომ დაეფარათ იმის აღიარება პრესაში, რომ პრუდონიზმი სწორია მარქსიზმთან შედარებით? (და განა პლეხანოვი ახლა არ ცბიერობს პრესაში, როცა ცდილობს მოგვაჩვენოს, რომ პრინციპულად ცნობს უმცირესობის სისწორეს?). უკვე მარტო ამ შედარებით პლეხანოვი თავს ამჟღავნებს, ამჟღავ-

ნებს, რომ უმრავლესობის დამოკიდებულება უმცირესობისადმი უდრის მარქსიზმის დამოკიდებულებას პრუდონიზმისადმი, რევოლუციური და ოპორტუნისტული ფრთის სწორედ იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ვხვდებით მარადსახსოვარ სტატიაში «რა არ უნდა გავაკეთოთ». აიღეთ პარტიის საბჭოს გადაწყვეტილებანი (№ 73 და დამატება №№ 73 — 74-ისა), და თქვენ დაინახავთ, რომ უმცირესობის საიდუმლო ორგანიზაციის შეწყვეტა, რომელიც გამოცხადებულია ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებულ წერილში კომიტეტებისადმი, სხვა არა არის რა, თუ არ ცენტრალური კომიტეტის სამი წევრის გადასვლა უმცირესობის საიდუმლო ორგანიზაციაში. ა მ აზრით საიდუმლო ორგანიზაცია მართლაც გაქრა,... ვინაიდან საიდუმლო (პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის) ორგანიზაციად გადაიქცა ახლა ჩვენი სამივე ეგრეთწოდებული ცენტრალური დაწესებულება: არა მარტო ცენტრალური ორგანო და საბჭო, არამედ ცენტრალური კომიტეტიც. ფორმალიზმთან და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის («პრინციპული» ბრძოლის) მომიზეზებით ისინი ახლა ომს უცხადებენ «სათაურებს», არაპარტიულად აცხადებენ რა უმრავლესობის გამომცემლობას. ისინი აყალბებენ ყრილობას, ყალბად ითვლიან რა ხმებს (16 × 4 = 61, ვინაიდან ჯამში — 61 შედის საბჭოს ხუთი წევრი, ხოლო ორგანიზაციების ნახევარში საბჭო ითვლება 2 ხმის მქონე ორგანიზაციად!!), უმალავენ პარტიას კომიტეტების რეზოლუციებს (დამალეს, რომ ყრილობის მომხრე იყვნენ ნიჟნი, სარატოვი, ნიკოლაევი და კავკასია: იხ. უკანასკნელი რეზოლუციები ჩვენს ბროშურაში «პარტიისადმი» და «ბრძოლა ყრილობისათვის» [192]). მათ კინკლაობა შეაქვთ საბჭოში, უსაზღვროდ ამახინჯებენ ამსტერდამის კონგრესზე წარმომადგენლობის საქმეს, ბედავენ ბეჭდონ ცნობები ჩრდილოეთის კომიტეტის «მოტყუების» შესახებ, მაშინ როცა ეს ინციდენტი არათუ გამოძიებული არ არის (თუმცა ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ი ვ ლ ი ს შ ი დაადგინა მისი გამოძიება), არამედ დღემდეც ა რ დ ა უ კ ი თ ხ ა ვ თ ამხანაგი, რომელსაც ვიღაც ჭორიკანამ ბრალი დასდო (ეს ამხანაგი სამ თვეს,

აგვისტოში, სექტემბერში და ოქტომბერში, საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ინახულა ცენტრალური კომიტეტის წევრი გლებოვი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გამოძიების შესახებ და თავი არ შეიწუხა ბრალდება წაეყენებინა თვით ბრალდებულისათვის!!). ისინი საბჭოს სახელით ხელს უწყობენ დეზორგანიზაციას, «პერიფერიებს» უსისიანებენ უმრავლესობის კომიტეტებს, აშკარა ტყუილს ლაპარაკობენ პიტერზე და ოდესაზე. ისინი კიცხავენ როგორც «ბოროტად გამოყენებას» ერთისა და იმავე ამხანაგებისათვის ხმის მიცემას სხვადასხვა კომიტეტში, როცა ამავე დროს საბჭოს სამი წევრი, პლეხანოვი, მარტოვი და აქსელროდი, ყრილობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ს ა მ ჯ ე რ აძლევენ ხმას: ერთხელ რედაქციაში, ერთხელ საბჭოში და ერთხელ ლიგაში! ისინი ყრილობის რწმუნებებს კისრულობენ და მანდატებს გაუქმებულად აცხადებენ. განა ეს ყრილობის გაყალბება არ არის? ნუთუ ა მ ტაქტიკის მიმართაც დაზავებას გვირჩევდა ამხ. სიმონოვი??

აიღეთ რუსულ ენაზე ახლახან გამოსული მოხსენება ამსტერდამის კონგრესისადმი. პარტიის სახელით აშკარად მისი ნების წინააღმდეგ ლაპარაკობს უმცირესობა, ფარული ფორმით იმეორებს რა იმავე სიცრუეს ძველი «ისკრის» წინააღმდეგ, რომელსაც ყოველთვის ქადაგებდა მარტინოვი და კომპანია, და რომელსაც ახლა გვთავაზობს ბალალაიკინ-ტროცკი. ან, იქნებ, ამხ. სიმონოვს სურს დაზავება ამ ბალალაიკინთანაც (მისი ბროშურა გამოცემულია «ი ს კ რ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ი თ, როგორც პირდაპირ არის განცხადებული «ისკრაში»)? იქნებ, აქაც სჯერა ფრაქციული პოლემიკის შეწყვეტა, რასაც ცენტრალური კომიტეტი გვპირდება??

არა, სოციალ-დემოკრატისათვის შეუფერებელი და არსებითად ღრმად მცდარი აზრია, რომ დასაშვებია შერიგება თვალთმაქცობასთან და დეზორგანიზაციასთან. სულმოკლეობაა ფიქრი, რომ ლიტერატორებთან, თუნდაც ისინი სახელოვანნი იყვნენ, «ვერაფერს გააწყობ», რომ მათ მიმართ დაგვრჩენია მხოლოდ ტაქტიკა, რომელიც გალიორკამ ჩამოაყალიბა («ძირს ბონაპარტიზმი») სიტყვებით: «თანაც სწყევლი და თა-

ნაც თავს უკრავ». პარტიის ყველა ცენტრალური დაწესებულების გადაქცევას პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის საიდუმლო ორგანიზაციად, საბჭოს მიერ ყრილობის გაყალბებას უმრავლესობა უპასუხებს თავისი დარაზმვის შემდგომი და გარდუვალი ნაბიჯით. ეზიზღება რა თვალთმაქცობა, იგი აშკარად გამოდის ბრძოლის პროგრამით (იხ. 22-ის რეზოლუცია, რომელიც მოიწონეს კავკასიის კავშირმა [193], სპბ-ის, რიგის, მოსკოვის, ოდესის, ეკატერინოსლავისა და ნიკოლაევის კომიტეტებმა. ცენტრალურმა ორგანომ ეს რეზოლუცია, რასაკვირველია, დაუმალა პარტიას, თუმცა იგი ორი თვის წინათ მიიღო). სამხრეთის კომიტეტებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება უმრავლესობის კომიტეტების დარაზმვის შესახებ და პარტიის აბუჩად აგდების წინააღმდეგ საბრძოლველად საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის შესახებ. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ უმრავლესობის ასეთი ორგანიზაცია დღეს თუ არა ხვალ შეიქმნება და აშკარად გამოვა. ცენტრალური კომიტეტიდან მოწინააღმდეგის მხარეზე გადასულთა ცრუ ლაყბობის მიუხედავად უმრავლესობის მომხრეთა რიცხვი რუსეთში იზრდება, და ახალგაზრდა ლიტერატურული ძალები, რომლებიც ჩამოშორდნენ აბნეულ თვალთმაქცურ «ისკრას», სხვადასხვა მხრიდან იწყებენ სწრაფვას უმრავლესობის ახლახან დაწყებული გამომცემლობისაკენ (ბონჩ-ბრუევიჩისა და ლენინის გამომცემლობა საზღვარგარეთ), რათა სულ სხვადასხვაგვარად დაუჭირონ მას მხარი, გარდაქმნან, გააფართოონ და განავითარონ.

არა, ტყუილად დაეცა სულით ამხ. სიმონოვი. ტყუილად აჩქარდა, როცა გადაწყვიტა: თუმცა საზიზღრობაა, მავრამ არაფერი გაეწყობაო. გაეწყობა! რაც უფრო უხეშად იგდებენ აბუჩად ყრილობას (ბალალაიკინ-ტროცკიმ, რომელიც «ისკრის» რედაქციით წერს, ყრილობა უკვე გამოაცხადა ისკრული გეგმების განმტკიცების რ ე ა ქ ც ი ო ულ ც დ ა დ. რიაზანოვი უფრო გულწრფელი და პატიოსანი იყო, როცა ყრილობას მილალვა უწოდა), რაც უფრო უხეშად იგდებენ აბუჩად ისინი პარტიას და რუსეთში მომუშავეებს, მით უფრო ულმობელი ხდება წინააღმდეგობა, რომელსაც ისინი

ხვდებიან, მით უფრო მჭიდროდ ირაზმება უმრავლესობა, რომელიც აერთიანებს ყველა პრინციპულ ადამიანს, შორდება პლეხანოვის, მარტინოვისა და ტროცკის არაბუნებრივ და უკვე თავისი არსით დამპალ პოლიტიკურ კავშირს. სწორედ ასეთ კავშირს ვხედავთ ახლა ახალ «ისკრაში» და «ზარიას» № 5-ში (გამოვიდა მარტინოვის სტატიის ანაბეჭდი). და ვინც თავისი ცხვირის ცოტა იქით მაინც ხედავს, ვინც მხარს არ უჭერს წუთიერი ინტერესებისა და თითოსაათიანი კოალიციების პოლიტიკას, ის მიხვდება, რომ ეს კავშირი, რომელიც მხოლოდ არევ-დარევასა და კინკლაობას წარმოშობს, სასიკვდილოდ არის განწირული და რომ ძველი «ისკრის» მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს მომხრენი, ადამიანები, რომლებსაც უნარი აქვთ განასხვაონ ეს მიმართულება თუნდაც წარჩინებული უცხოელების წრისაგან, ასეთი ადამიანები უნდა იყონ და იქნებიან ამ კავშირის მესაფლავენი.

მე მეტად მოხარული ვიქნებოდი, ამხანაგებო, თუ შემატყობინებდით ამ წერილის მიღებას, აგრეთვე იმას, მოახერხეთ თუ ვერა მისი გადაცემა ამხ. სიმონოვისათვის.

ამხანაგური სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

115

ა. მ. სტოპანის

ტუ — რას ლენინისაგან პირადად

ძვირფასო ამხანაგო! ძლიერ გამახარა თქვენმა წერილმა. გთხოვთ სისტემატურად ყოველკვირა მომწეროთ თუნდაც ორიოდე სტრიქონი და აუცილებლად ადევნოთ თვალი იმას, რომ ყველა მისამართი მოქმედებდეს და რომ იყოს სათადარიგო მისამართები წერილებისა და შეხვედრებისათვის. ეს ხომ პირდაპირ უმსგავსობაა, რომ უმრავლესობის მომხრენი ასე დაქსაქსული არიან! თუ რეგულარული კავშირი არ იქნა, ისე შეუძლებელია რაიმე საერთო საქმე, ჩვენ კი ნახევარ წელიწადზე მეტია თქვენგან არაფერი არ მიგვიღია.

ყოველივეს, რასაც თქვენ იწერებით უმრავლესობის გაერთიანების საჭიროების, უმრავლესობის კომიტეტთა დარაზმვისა და დარაზმული ყრილობის მომზადების შესახებ, რომელსაც შეეძლება გაიყვანოს რუსეთელი მუშაკების ნება-სურვილი, მე სავსებით და მთლიანად ვეთანხმები. ყოველივე ამისათვის საჭიროა უაღრესად მჭიდრო კავშირი, რადგან უამისოდ ჩვენ ცალ-ცალკე მივეხეტებით, და თქვენ სრულებით არაფერი არ იცით საერთო საქმეების შესახებ.

ახლა ცენტრალური კომიტეტი მთლიანად შეუერთდა უმცირესობას და ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ შევიდა მის საიდუმლო ორგანიზაციაში, რომლის მიზანია რადაც უნდა დაჯდეს იბრძოლოს ყრილობის წინააღმდეგ. საბჭოს ახალი გადაწყვეტილებანი პირდაპირ აყალბებენ ხმების სათვალავსაც და კომიტეტების ნება-სურვილსაც («ისკრის» № 73 — 4-ის დამატება. თუ ნახეთ?). ახლა მზად უნდა ვიყოთ იმისათვის,

რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ მოიწვევენ რაიმე ყრილობას, არ მოერიდებიან წესდების არავითარ დარღვევას, პარტიის არავითარ შემდგომ აბუჩად აგდებას. ისინი აშკარად დაგვცინიან: აბა სად არის თქვენი ძალა. და ჩვენ ბალღები ვიქნებოდით, თუ დავკმაყოფილდებოდით ყრილობისადმი რწმენით და ახლავე არ დავიწყებდით მზადებას ძალისათვის ძალის დასაპირდაპირებლად. ამისათვის ჩვენ 1) ახლავე უნდა გავაერთიანოთ უმრავლესობის ყველა კომიტეტი და შევქმნათ უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო (პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა ოდესამ + ნიკოლაევმა + ეკატერინოსლავმა) ცენტრალური დაწესებულებების ბონაპარტიზმთან საბრძოლველად; 2) ყველა ღონე ვიხმაროთ უმრავლესობის გამომცემლობის (რომელიც აქ წამოვიწყეთ ბონჩ-ბრუევიჩმა და მე; ბონჩ-ბრუევიჩი მხოლოდ გამომცემელია) ყოველმხრივი მხარდაჭერისა და გაფართოებისათვის. ამას უკვე მოჰკიდა ხელი რუს ლიტერატორთა ჯგუფმა, და თქვენ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოთ შეგროვება და გამოგზავნა ყოველგვარი მასალებისა, კორესპონდენციებისა, ფურცლებისა, შენიშვნებისა და სხვ. და სხვ., განსაკუთრებით მუშებისაგან და მუშათა მოძრაობის შესახებ. აუცილებლად და დაუყოვნებლივ. (თუ ამიერიდან არ დაიწყეთ ყოველკვირა თითო ცნობის გამოგზავნა, ვწყვეტთ თქვენთან ურთიერთობას.)

ბიუროს საკითხზე აი უკვე რა არის გაკეთებული. ოდესის + ნიკოლაევის + ეკატერინოსლავის კომიტეტებმა ერთობლივად მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება... 22-მა მათ ასე უპასუხა [194]: ...

აუცილებლად ეცადეთ რაც შეიძლება მალე ჩახვიდეთ თბილისში, გადასცეთ ერთიც და მეორეც. რაც შეიძლება მალე შემოგვიერთდნენ. რასაკვირველია, შეიძლება ბიუროს შევსება წევრებით კავკასიისაგან. მაშასადამე, კავკასიის ყველა კომიტეტი დაუყოვნებლივ გამოგვეხმაუროს ბიუროს შესახებ, ე. ი. მოგვწერონ ჩვენც და მისწერონ პიტერშიც (ან რიგაში?) (მისამართი..., გასაღები...), თანახმანი არიან თუ არა შეიქმნას ბიურო და მოითხოვენ თუ არა კანდიდატების შეცვლას ან შევსებას. ღვთის გულისათვის, ეცადეთ, რომ ეს

უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდეს გულმოდგინედ, აზრიანად და სწრაფად.

ზოგიერთი ამხანაგი მოითხოვს უმრავლესობის კომიტეტების კონფერენციას რუსეთში. ჩვენ აქ ვფიქრობთ, რომ ეს ძვირიც არის, სადავიდარაბოც და ნაკლებ ნაყოფიერიც. ჩვენ კი მთელი ძალ-ღონის დაძაბვით უნდა ვიჩქაროთ. ბიუროს ასარჩევად თავმოყრა არა ღირს; გაცილებით სჯობს ამის შესახებ შევთანხმდეთ წერილობით ანდა ერთი ან ორი ამხანაგის მიერ ჩამოვლით. ხოლო როდესაც ბიურო გამოვა და მას შეუერთდებიან ეკატერინოსლავი + ოდესა + ნიკოლაევი + სპბ. + მოსკოვი + რიგა + კავკასია, მაშინ ეს ბიურო მაშინვე გამოვა როგორც ორგანიზებული უმრავლესობის წარმომადგენელი.

ასე, იჩქარეთ ღვთის გულისათვის და მალე მიპასუხეთ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წ. 10 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან ბაქოში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

116

ა. ა. ბოგდანოვს

ძვირფასო მეგობარო! გთხოვთ დაუყოვნებლივ გადასცეთ რახმეტოვს, რომ ის პირდაპირ ღორულად გვექცევა. ის ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა მოუთმენლად ელის აქ ყველა შისგან გარკვეულ და ზუსტ, გამამხნევებელ ცნობებს, და არა დეპეშებს, რომლებსაც ის გზავნის. ხალხი პირდაპირ დაიტანჯა მუდმივი ლოდინით და გაურკვევლობით. აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ რახმეტოვს არაფერი ჰქონდეს მოსაწერი: იგი ნახულობს და ნახულობდა უამრავ ხალხს, ელაპარაკა ზემლიაჩკას, ხვდებოდა ბოროდას, მოსკოველ ადვოკატებსა და ლიტერატორებს და სხვ. და ა. შ. და სხვ. და სხვ.. ხომ უნდა გვამყოფებდეს au courant *, უნდა გვატყობინებდეს კავშირებს, გვაცნობებდეს ახალ მისამართებს, გვიგზავნიდეს კორესპონდენციებს, გვიამბობდეს საქმიან და საინტერესო შეხვედრებზე. რახმეტოვს ჩვენთვის არც ერთი ახალი კავშირი არ გამოუგზავნია! საშინელებაა. ა რ ც ე რ თ ი კორესპონდენცია, არც ერთი ცნობა მოსკოვის ლიტერატორთა ჯგუფზე. ხვალ რომ რახმეტოვი ჩავარდეს, ჩვენ ვერაფრით ვერ ვისარგებლებთ, თითქოს მას არც ეცხოვროს!! ეს უმსგავსობაა, მას შეეძლო სრულიად უშიშრად მოეწერა ყველაფერი და ყველაფერზე, ის კი მხოლოდ გადაკვრით გველაპარაკებოდა რომელიღაც ახალგაზრდა ძალებზე და სხვ.. (და ცნობები გაქვთ ბაზაროვზე, ფრიჩეზე, სუვოროვზე და

* — კურსში. რ ე დ.

სხვებზე?) საჭიროა კვირაში ერთხელ მაინც (ღმერთმანი, ეს ბევრი არ არის) 2 — 3 საათი მოანდომოს 10 — 15-გვერდიან წერილს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მართალს ვამბობ, ყოველგვარი კავშირი ფაქტიურად წყდება, რახმეტოვი და მისი უსაზღვრო გეგმები უსაზღვრო ფიქციად იქცევიან, ხოლო აქაური ხალხი პირდაპირ გარბის, რადგან შეშინებული ასკვნის, რომ არავითარი უმრავლესობა არ არსებობს და რომ უმრავლესობას არაფერი არ ექნება. უმცირესობის ტაქტიკა სავსებით გამოირკვა, მისი ახალი სახით: უმრავლესობის ლიტერატურის და უმრავლესობის არსებობის სრული უგულებელყოფა და მისთვის დუმილით გვერდის ავლა, ცენტრალური ორგანოდან პოლემიკის განდევნა და ბღინძვა იმის გამო, რომ დადებითს მუშაობას ვეწევითო (ამას წინათ ცენტრალური ორგანოს რედაქციამ გამოუშვა დაბეჭდილი, მაგრამ «მხოლოდ პარტიის წევრებისათვის» წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი საერობო კამპანიაში სოციალ-დემოკრატების მონაწილეობის გეგმის შესახებ: წარმოუდგენელი ბღინძვა წარმოუდგენელი უხამსობის გამო. აქ გამოვიდა ლენინის მიერ ამ წერილის გარჩევა და გაცამტვერება [195]). უმრავლესობისათვის აუცილებელია ჰქონდეს ოვისი ორგანო [196]: ამისათვის არ გვყოფნის ფული და კორესპონდენციები. გაძლიერებით უნდა დავაწვეთ ერთსაც და მეორესაც, მაგრამ როცა უაღრესად დაწვრილებითი და ზუსტი წერილები არ არის, არავითარი საქმე არ გამოდის. არ წარმოებს კავშირების გადაცემა, არ არის ერთსა და იმავე პირზე იერიშის სხვადასხვა მხრიდან მიტანის შესაძლებლობა, არ არის კოორდინაცია მრავალი ბოლშევიკის მუშაობაში, რომლებიც რუსეთში მიმოდიან და ერთსაც და მეორესაც ცალ-ცალკე აწყობენ. ყოველივე ამაში იგრძნობა დაქსაქსულობა, კომიტეტები კვლავ ჩამორჩებიან სიტუაციას, მათ ზოგჯერ არ იციან საბჭოს ახალი დადგენილებები («ისკრას» № 73 — 74-ის დამატება, ცალკე 10-გვერდიანი ფურცელი), ზოგჯერ არ უფიქრდებიან ამ დადგენილებებს და არ ესმით, რომ ეს დადგენილებანი ყრილობის იგივე სრული და მოურიდებელი გაყალბებაა. ახლა მხოლოდ ბალღებს შეუძლიათ

ვერ ხედავდნენ, რომ საბჭო და ცენტრალური კომიტეტი არაფერს არ მოერიდებიან ყრილობის ჩასაშლელად. ჩვენ უნდა დავუპირდაპიროთ **ძალა** = ორგანო + უმრავლესობის ორგანიზაცია რუსეთში, ან არა და უნდა დავიხოცოთ. ლენინს ლეგკომისლენი ჯერ არ უნახავს; უცნაურია, რომ ლეგკომისლენი გაგვერიდა და ლოდინის პოლიტიკას ადგას!

მაშ ასე, გადაეცით რახმეტოვს სამმაგი ლანძღვა და დასასჯელად აიძულეთ წეროს თავისი დღიური. m-me რახმეტოვა რატომ არ მიდის იქ, სადაც დაგვპირდა? ვიმეორებთ: ყველა და ყოველივე გაიფანტება (გალიორკაც კი კვნესის და ოხრავს), რადგან არ იგრძნობა არავითარი კავშირი რუსეთთან, არა ჩანს, რომ რახმეტოვი ცოცხალი იყოს, საერთო სამუშაოს აკეთებდეს, ღელავდეს და ზრუნავდეს მისთვის. უშერილებოდ არაფერია, გარდა სრული დაქსაქსულობისა!!

დაწერილია 1904 წ. 21 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

117

ნ. კ. კრუპსკაიას

3. XII. 04.

დღეს ბონჩს საქმიანი წერილი გავუგზავნე. დამავიწყდა დამემატებინა მნიშვნელოვანი: დაიბეჭდოს (ლეიტეიზენის ლექსიკონი) **3 000** ცალად, ამის ცოდნა სავალდებულოა ფასების გაანგარიშებისათვის. ახლავე უთხარი ეს ბონჩს.

ვგზავნი კავშირის კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის კავკასიის წარმომადგენლის განცხადებას[197], რომელიც დღეს რაისამ[198] მიიღო. ჩ ე მ ი ა ზ რ ი თ, **სავალდებულოა** დაუყოვნებლივ გამოვცეთ იგი **ფურცლად** ჩვენს გამომცემლობაში: გააკეთეთ ეს დაუყოვნებლივ და აუცილებლად; ფურცელს შეიძლება დაემატოს ნიკოლაევის და სხვ. რეზოლუციები, მაგრამ ფურცელი უნდა იყოს სულ პატარა, 2 — 4 (maximum) გვერდი (არ უნდა არავითარი სათაურები, მხოლოდ ქვევით იქნება აღნიშნული, ვისი გამომცემლობაა).

ამ წუთში მივიღე შენი წერილი. არ მესმის, რა დაემართა ლიადოვისა და რახმეტოვის «გეგმას», მაგრამ აქ რაღაც ვერ არის რიგზე. ვ ე ც დ ე ბ ი რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე ჩ ა მ ო ვ ი დ ე და დავაჩქარო მინონოსეცის ჩამოსვლა.

დართულ ფურცლებს უშედეგოდ ვათბობდი. იქნებ სხვა რეაქტივები სცადოთ.

მოულოდნელად გამომიჩნდა თავისუფალი საღამო. მეორე გვერდზე გიგზავნი წერილს, გირჩევთ ა ხ ლ ა ვ ე, საბჭოების მოუწვევლად, გაუგზავნოთ იგი 3-ვეს პირადად ჩემგან[199];

დაე ამან კარგად შეანჯღრიოს ისინი, შემდეგ კი გავერკვევით, თუ ცნობები გაზვიადებული აღმოჩნდება: ფაქტი ის არის, რომ დაქსაქსულობა იწყება, და სავალდებულოა თავიდანვე გავაფრთხილოთ და მაგრად გამოვლანძღოთ ისინი; ძალიან გირჩევთ ახლავე გაუგზავნოთ ეს წერილი 3-ვეს და სწორედ პირადად ჩემგან. ხვალ მოველაპარაკები მინონოსეცს და ის, ალბათ, მე დამიჭერს მხარს, აგრეთვე ვასილ ვასილის-ძე და შვარცი, მაგრამ სჯობს ტექსტი პირადად ჩემი იყოს. მინდოდა მიმეწერა მარტინ ნიკოლოზის-ძისათვის და გამელანძღა, მაგრამ ვფიქრობ, რომ არა ღირს; ჩამოვალ და მოველაპარაკები, რადგან აქ მას ჯერჯერობით ზიანის მოტანა არ შეუძლია. რუსეთში დაწყებულ ზიანს კი ჩემი წერილი ცოტა გაანელებს. შენ ტყუილად არ უთხარი მარტინ ნიკოლოზის-ძეს მაშინვე მოეწერა ჩემთვის პარიზში ყველაფერი, — ძალიან და ძალიან ტყუილად, ეს აუცილებელი იყო.

ერთხელ კიდევ გადავიკითხე წერილი რახმეტოვისადმი. შეიძლება გამოტოვოთ ერთი, ორი ლანძღვა, მაგრამ **დაბეჯითებით გირჩევთ** წერილი ახლავე გაუგზავნოთ და მეტად მკვახე კილოთი პირადად ჩემგან.

ვიყავი ლეიტეიზენთან. მან წამიკითხა პლეხანოვის წერილი მისდამი. პლეხანოვი ლენინს, რასაკვირველია, სასტიკად ლანძღავს. წერს, რომ «ტროცკის ბროშურა ისეთივე საძაგელია, როგორიც თვითონ იგია», ლეიტეიზენს სთხოვს «გაჰყვეს არა უმცირესობას, არამედ მას» (პლეხანოვს), უჩივის «თავისი ცხოვრების ტრაგედიას, რომ 20 წლის შემდეგ არა ჰყავს ამხანაგი, რომელსაც მისი სჯეროდეს», ამბობს, რომ თხოულობს «ამხანაგურ ნდობას, და არა ავტორიტეტისადმი დამორჩილებას», რომ «სერიოზულად ფიქრობს გადადგომაზე»... ეს ჯერჯერობით entre nous*.

დეიჩს ამ დღეებში მოუწერია ლეიტეიზენისათვის, ფულით დახმარება უთხოვნია, ჩვენ ფული არა გვაქვს და არაო. ამასვე სწერდა ზასულიჩი (წინათ) ეფრონს,

* — ჩვენ შორის. რედ.

თან ლანძღავდა გალიორკას და გალიორკად სთვლიდა სერგეი პეტრეს-ძეს (!!).

იმედი მაქვს, რომ ზეგ, ორშაბათს, წამოვალ; სამშაბათს და ოთხშაბათს წავიკითხავ ციურიხში, ხუთშაბათს ბერნში, პარასკევს შინ ვიქნები. მაგრამ, ალბათ, კიდევ რამდენიმე დღეს გაჭიანურდება.

მომწერე ციურიხში არგუნინის საშუალებით (წერილი ორ კონვერტში ჩადე და შიდა კონვერტი უფრო მაგარი იყოს, მეტი სიფრთხილე გამოიჩინე). ლოზანიდან ხომ არ მოუწერიათ და ჩემი ჩასვლა ხომ არ უთხოვიათ? მისამართი ხომ არ მოუციათ?

შენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

აუცილებლად და დაუყოვნებლივ მისწერეთ **ყველა** ჩვენს კომიტეტს გამოგვიგზავნონ ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ბ რ ძ ა ნ ე ბ ა, რომ გადაიბეჭდოს ა შ კ ა რ ა დ ყ ო ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს რედაქციის წერილი ერობის შესახებ. ეს ყოველი შემთხვევისათვის. გააკეთე ეს ყ ო ვ ე ლ მ ი ზ ე ზ ს გ ა რ ე შ ე. თვით წერილი იშოვნეთ (ან ხელახლა გამოეცით) და ჯერ კიდევ კონვერტებით დაუგზავნეთ უმრავლესობის კომიტეტებს.

გაგზავნილია პარიზიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

118

ა. ა. ბოგდანოვს, რ. ს. ზემლიაჩკას, მ. მ. ლიტვინოვს

ლენინისაგან პირადად რახმეტოვს, ზემლიაჩკას, პაპაშას

3. XII. 04.

ძვირფასო მეგობარო! მივიღე ცნობები მარტინ ნიკოლოზის-ძის ჩამოსვლის შესახებ (თვითონ არ ძინახავს) და ამ ცნობებიდან დავასკვენი, რომ საქმე ძალიან ცუდად გვაქვს. კვლავ გამოდის რაღაც დაქსაქსულობა რუსეთელ და საზღვარგარეთელ ბოლშევიკებს შორის. მე კი 3 წლის გამოცდილებით ვიცი, რომ ასეთ დაქსაქსულობას საშინელი ზიანი მოაქვს საქმისათვის. ამ დაქსაქსულობას მე ვხედავ შემდეგში: 1) აჭიანურებენ რახმეტოვის ჩამოსვლას; 2) სიმძიმის ცენტრი აქაური ორგანოდან გადააქვთ სხვაზე, ყრილობაზე, რუსეთის საორგანიზაციო კომიტეტზე etc.; 3) ყურს უყრუებენ და მხარსაც კი უჭერენ ცენტრალური კომიტეტის რაღაც გარიგებებს უმრავლესობის ლიტერატურულ ჯგუფთან და რუსეთის ორგანოს თითქმის იდიოტურ წამოწყებებს. თუ ცნობები, რომლებიც ამ დაქსაქსულობის შესახებ მაქვს, სწორია, უნდა ვთქვა, რომ უმრავლესობის უბოროტესი მტერიც კი უარესს ვერაფერს მოიფიქრებდა. რახმეტოვის წამოსვლის შეფერხება პირდაპირ მიუტევებელი სისულელეა, რომელიც ღალატს უდრის, რადგან ლაყბობა საშინლად მატულობს, და ჩვენ საფრთხე გველის დავკარგოთ აქ საჭირო სიდიდე იმ ბალღურად სულელური გეგმების გამო, რომ რუსეთში ახლავე გავაკეთოთ რაღაც. უმრავლესობის საზღვარგარეთული ორგანოს შექმნის გაჭიანურება (რომლისთვის მხოლოდ ფული არ გვყოფნის) კიდევ უფრო მიუტევებელია. მთელი

საქმე ახლა ეს ორგანოა, უიმისოდ ჩვენ ნამდვილი, უსახელო სიკვდილისაკენ მივდივართ. აუცილებლად, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვიშოვნოთ ფული, ორიოდე ათასი მაინც, და დაუყოვნებლივ დავიწყოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენივე ხელით ვიჭრით ყელს. ყრილობაზე მ თ ე ლ ი იმედის დამყარება შეუძლიათ მხოლოდ უიმედო სულელებს, რადგან ცხადია, რომ საბჭო ჩაშლის ყოველგვარ ყრილობას, ჩაშლის ჯერ კიდევ მოწვევამდე. კარგად მიმიხვდით, ღვთის გულისათვის: ჩემი წინადადება ის კი არ არის, რომ თავი დავანებოთ აგიტაციას ყრილობის სასარგებლოდ, უარი ვთქვათ ამ ლოზუნგზე, მაგრამ მხოლოდ ბალღებს შეუძლიათ დასჯერდნენ ახლა ამას, ვერ ხედავდნენ, რომ დედაარსი **ძ ა ლ ა ა.** დაე წინანდებურად ბევრი იყოს რეზოლუცია ყრილობის შესახებ (მარტინ ნიკოლოზის-ძის ჩამოვლამ რატომღაც არ მოგვცა რეზოლუციის არც ერთი გამეორება, ეს მეტისმეტად სამწუხაროა), მაგრამ მ თ ა ვ ა რ ი ე ს რ ო დ ი ა, ნუთუ შეიძლება ამას ვერ ვხედავდეთ? საორგანიზაციო კომიტეტი ან უმრავლესობის ბიურო საჭიროა, მაგრამ თუ ორგანო არ გვექნა, ეს იქნება უბადრუკი ნული, მხოლოდ კომედია, საპნის ბუშტი, რომელიც 1-ლი ჩავარდნისთანავე გასკდება. რადაც უნდა დაჯდეს უნდა გვქონდეს ორგანო და ფული, ფული გამოგზავნეთ, ვისაც გინდათ გამოსჭერით ყელი, ფული კი გამოგზავნეთ. საორგანიზაციო კომიტეტმა ან უმრავლესობის ბიურომ უნდა მოგვცეს რწმუნებები ორგანოს შესაქმნელად (მალე, რაც შეიძლება მალე) და ჩამოიაროს კომიტეტები, მაგრამ თუ საორგანიზაციო კომიტეტი განიზრახავდა ჯ ე რ «დადებითი მუშაობის» დაყენებას და ორგანოს ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ გ ა დ ა დ ე ბ ა ს, ჩვენ სწორედ ასეთი იდიოტური საორგანიზაციო კომიტეტი გამოგვჭრიდა ყელს. ბოლოს, რუსეთში რაიმეს გამოცემა, გარიგების დადება ბილწ არამზადებთან ცენტრალური კომიტეტიდან — ეს უკვე პირდაპირი ღალატია. ცენტრალურ კომიტეტს რომ სურს გათიშოს და დაქსაქსოს რუსეთელი და საზღვარგარეთელი ბოლშევიკები, ეს ცხადია, ეს მისი ძველისძველი გეგმაა, **და** მხოლოდ ყველაზე უსუსურ სულელებს შეუძლიათ წამოეგონ

ამ ანკეტს. ცენტრალური კომიტეტის დახმარებით რუსეთში ორგანოს წამოწყება უგუნურებაა, პირდაპირი უგუნურება ან ღალატია, ასე გამოდის და ასე გამოვა ამბების ობიექტური ლოგიკის მიხედვით, ვინაიდან ორგანოს ან პოპულარული ორგანოს მომწყობნი აუცილებლად გაბრიყვებულნი აღმოჩნდებიან ყოველგვარი საზიზღარი მღილის მიერ, როგორიც ცენტრალური კომიტეტია. მე ამას პირდაპირ ვწინასწარმეტყველებ და აქედანვე სავსებით ჩავიქნევ ხელს ასეთ ადამიანებზე.

ვიმეორებ: პირველ რიგში უნდა იყოს ორგანო, ორგანო და ორგანო, ფული ორგანოსათვის; სხვა რამეზე ფულის ხარჯვა ახლა უაღრესი უგუნურებაა. რახმეტოვი დაუყოვნებლივ უნდა გამოიგზავნოს აქ, დაუყოვნებლივ. კომიტეტების ჩამოვლა უწინარეს ყოვლისა საჭიროა კორესპონდენციებისათვის (ეს შეუწყნარებელი და სამარცხვინოა, რომ დღემდე კორესპონდენციები არა გვაქვს!! ეს პირდაპირ სამარცხვინოა და საქმის ჩაფუშვაა!!), ყრილობის სასარგებლოდ მთელი აგიტაცია კი მხოლოდ გ ზ ა დ ა გ ზ ა ს ა კ ე თ ე ბ ე ლ ი საქმე უნდა იყოს. უმრავლესობის ყველა კომიტეტმა ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ უნდა გაწყვიტოს კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან დაუყოვნებლივ და ყოველგვარი ურთიერთობა დაამყაროს საორგანიზაციო კომიტეტთან ან უმრავლესობის ბიუროსთან; ამ საორგანიზაციო კომიტეტმა დ ა უ ყ ო ვ ნ ებ ლ ი ვ უ ნ დ ა გამოუშვას დაბეჭდილი ცნობა თავისი შექმნის შესახებ, დაუყოვნებლივ და აუცილებლად გამოაქვეყნოს ეს.

თუ თავიდან არ ავიცილებთ უმრავლესობის ამ დაწყებულ დაქსაქსვას, თუ არ შევთანხმდებით ამ საკითხში როგორც წერილობით, ი ს ე (რ ა ც მ თ ა ვ ა რ ი ა) რახმეტოვთან შეხვედრით, მაშინ ყველანი აქ პირდაპირ ხ ე ლ ს ჩ ა ვ ი ქ ნ ე ვ თ და თ ა ვ ს მ ი ვ ა ნ ებ ებ თ მ თ ე ლ ს ა ქ მ ე ს. ერთად მუშაობა თუ გსურთ, ფეხშეწყობით უნდა ვიაროთ და შევთანხმდეთ ხოლმე, ვიმოქმედოთ შეთანხმებულად (და არა შეთანხმების საწინააღმდეგოდ და შეუთანხმებლად), ეს კი პირდაპირ სამარცხვინო საქმე და საძაგლობაა:

ორგანოსათვის ფულის საშოვნელად წავიდნენ, და ეშმაკმა იცის რა ბინძურ საქმეებს შეუდგნენ.

ამ დღეებში კიდევ უფრო გადაჭრით ვილაშქრებ ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ პრესაში. თუ ჩვენ კავშირს არ გავწყვეტთ ცენტრალურ კომიტეტთან და საბჭოსთან, მხოლოდ იმის ღირსი ვიქნებით, რომ ყველამ ცხვირ-პირში გვაფურთხოს.

ველი პასუხს და რახმეტოვის ჩამოსვლას.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

119

რ. ს. ზემლიაჩკას

ზ ე მ ლ ი ა ჩ კ ა ს ს ტ ა რ ი კ ი ს ა გ ა ნ

10. XII. 04.

ეს არის დავბრუნდი სარეფერატო მოგზაურობიდან და მივიღე თქვენი წერილი № 1. რუსალკას ველაპარაკე. მიიღეთ თუ არა ჩემგან გალანძღვის წერილი (რომელიც გავუგზავნე პაპაშასაც და სისოიკასაც)? რაც შეეხება საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას, მე, რასაკვირველია, ზოგად გადაწყვეტილებას ვიღებ. ჩემი აზრით, საჭიროა რიადოვი საქმეებში კი არ ჩააბათ, არამედ დაუყოვნებლივ აქ გამოგზავნოთ. შემდეგ აუცილებელია ჩამოყალიბდეს განსაკუთრებული ჯგუფი (ან შეივსოს საორგანიზაციო კომიტეტი) კომიტეტების ქრონიკული შემოვლისათვის და მათ შორის ყველა კავშირის განხორციელებისათვის. ჩვენი კავშირი კომიტეტებთან და რუსეთთან საერთოდ ჯერ კიდევ მეტად არასაკმარისია, და ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ საკორესპონდენტო და უბრალო ამხანაგური მიწერ-მოწერის განვითარებისათვის. რატომ არ გვაკავშირებთ ჩრდილოეთის კომიტეტთან? მოსკოველ მესტამბეებთან (ამას დიდი მნიშვნელობა აქვს!)? რიახოვსკისთან? ტულასთან? ნიჟნისთან? ეს დაუყოვნებლივ გააკეთეთ. შემდეგ, კომიტეტები რატომ არ გვიგზავნიან ჩ ვ ე ნ განმეორებითს რეზოლუციებს ყრილობის შესახებ? ეს საჭიროა. ძლიერ ვშიშობ, რომ თქვენ მე-

ტად ოპტიმისტურად ხართ განწყობილი ყრილობის მიმართ და ცენტრალური კომიტეტის მიმართ: ბროშურიდან «საბჭო პარტიის წინააღმდეგ» (უკვე გამოვიდა) დაინახავთ, რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ, ეშმაკმა უწყის, რა ოინებს არ სჩადიან იმისათვის, რომ ყრილობა ჩაშალონ. ჩემი აზრით, პირდაპირი შეცდომაა, რომ საორგანიზაციო კომიტეტი არ უშვებს დაბეჭდილ ცნობას. ჯერ-1, ცნობა საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენი აშკარა მოქმედება დავუპირდაპიროთ უმცირესობის საიდუმლო ორგანიზაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრალური კომიტეტი აუცილებლად დაგიჭერთ, ისარგებლებს სისოიკას ულტიმატუმებით და განაცხადებს, რომ თქვენ «საიდუმლო» ორგანიზაცია გაქვთ: ეს სამარცხვინო იქნება უმრავლესობისათვის, და ამ შერცხვენაში დამნაშავენი მხოლოდ თქვენ იქნებით. მე-2, ცნობის დაბეჭდვა საჭიროა, რომ პარტიულ მუშაკთა მასას ვაუწყოთ ახალი ცენტრის შესახებ. ამას დაახლოებითაც ვერასოდეს ვერ მიაღწევთ ვერავითარი წერილებით. მე-3, განცხადებას უმრავლესობის კომიტეტების დარაზმვის შესახებ უდიდესი ზნეობრივი მნიშვნელობა ექნება გულგატეხილი (განსაკუთრებით აქ საზღვარგარეთ) უმრავლესობის დასამშვიდებლად და გასამხნევებლად. ამის უგულებელყოფა უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა. ამიტომ კვლავ და კვლავ მოვითხოვ, რომ უმრავლესობის ბიურომ (ან კომიტეტთა უმრავლესობის საორგანიზაციო კომიტეტმა) ჩრდილოეთის კონფერენციის დამთავრებისთანავე დაბეჭდოს და გამოუშვას განცხადება, რომელშიც დაიმოწმებს ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, კავკასიის 4 კომიტეტის, რიგის, სპბ., მოსკოვის, ტვერის, ჩრდილოეთის და სხვ. (იქნებ, ტულის + ნიჟნი ნოვგოროდის) კომიტეტების, ე. ი. 12 — 14 კომიტეტის თანხმობასა და პ ი რ დ ა პ ი რ დ ა ვ ა ლ ე ბ ა ს. ყრილობისათვის ბრძოლის საქმეს ეს არა თუ არ ავნებს, არამედ ძლიერ დაეხმარება. დაუყოვნებლივ მიპასუხეთ, თანახმა ხართ თუ არა. რაც შეეხება საერობო კამპანიას, ძალიან გირჩევთ დაუყოვნებლივ და აშკარად გამოსცეთ

რუსეთში (არ გაუკეთოთ სულელური სათაური «პარტიის წევრებისათვის») ჩემი ბროშურაც[200] და «ისკრის» რედაქციის წერილიც. იქნებ კიდევ დავწერო ბროშურა, მაგრამ «ისკრასთან» პოლემიკა აუცილებლად ხელახლა უნდა გამოიცეს. ბოლოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასწრაფო: შემიძლია თუ არა აქაურ მანიფესტს ახალი ორგანოს შესახებ[201] მოვაწერო უმრავლესობის კომიტეტების საორგანიზაციო კომიტეტის (ან უმჯობესია უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს) სახელი? შეიძლება თუ არა აქ გამოვდიოდე ბიუროს სახელით? ბ ი უ რ ო ს დავარქვა ახალი ორგანოს გამომცემელი და სარედაქციო ჯგუფის მომწყობი? ეს მეტისმეტად საჭირო და სასწრაფოა. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ, წინასწარ ინახულეთ რიადოვოი, რომელსაც უთხარით და გაუმეორეთ, რომ უნდა წამოვიდეს მაშინვე, დაუყოვნებლივ, გადაუდებლად, თუ არ უნდა თავისი თავი ჩააგდოს და საქმეს საშინელი ზიანი მიაყენოს. წარმოუდგენლად ლაყბობენ ყველგან საზღვარგარეთ: მე თვითონ გამიგონია რეფერატებზე ყოფნისას პარიზში, ციურიხში და სხვ.. უკანასკნელი გაფრთხილება: ან ახლავე გამოიქცეს აქ, ან თავი დაიღუპოს და ერთი წლით უკან გადასწიოს მთელი ჩვენი საქმე. მე არ ვკისრულობ წავუყენო ვისმე აქ რაიმე ულტიმატუმი ყრილობის შესახებ და არც წავუყენებ, ვინაიდან ეს გამოიწვევს მხოლოდ დაცინვას და აბუჩად აგდებას; კომედიის თამაში საჭირო არ არის. ჩვენი პოზიცია ათჯერ უფრო სუფთა და უკეთესი იქნება, თუ ჩვენ აშკარად გამოვდივართ უმრავლესობის ბიუროსთან და აშკარად ვუჭერთ მხარს ყრილობას, და არა მივმართავთ რაღაც ფარულ სულელურ მოლაპარაკებას, რომელიც უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ხელს შეუწყობს საქმის გაჭიანურებას და ახალ ინტრიგებს გლებოვების, კონიაგინების, ნიკიტიჩებისა და სხვა ბილწთა მხრივ. აქ მთელი უმრავლესობა აქეთ-იქით აწყდება, იტანჯება და ორგანო სწყურია, ყველგან მოითხოვს მას. გამოცემა არ შეიძლება, ბიუროს პირდაპირი დავალება თუ არ იქნა, გამოცემა კი სა-

ჭიროა. რაც შეეხება ფულს, ყველა ზომას ვიღებთ და იმედი გვაქვს ვიშოვნით: იშოვნეთ თქვენც. ღვთის გულისათვის რაც შეიძლება მალე მოგვეცით რწმუნება ბიუროს სახელით გამოცემისათვის და მის შესახებ დაბეჭდეთ ფურცელი რუსეთში.

გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

120

კავკასიის კავშირის კომიტეტს

კავკასიის კავშირს ლენინისაგან

ძვირფასო ამხანაგებო! ამ წუთში მივიღეთ თქვენი კონფერენციის[202] რეზოლუციები. ერთხელ კიდევ აუცილებლად გამოგზავნეთ უფრო გულდასმით გაკეთებული პირი, — ბევრი რამ ვერ გავარჩიეთ. რაც შეიძლება მალე აუცილებლად განახორციელეთ აგრეთვე თქვენი საუცხოო გეგმა — აქ თქვენი სპეციალური დელეგატის გამოგზავნა. უამისოდ მართლაც მეტად ძნელია, თითქმის შეუძლებელია წესიერი შეთანხმება, ურთიერთ გაუგებრობათა თავიდან აცილება. ამჟამად კი ეს მეტად საჭიროა.

თქვენ ჯერ კიდევ არ იცით საბჭოს და ცენტრალური კომიტეტის ყველა დოკუმენტი და ყველა საზიზღრობა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მათ უკვე ჩაშალეს მე-3 ყრილობა და ახლა გათიშავენ ყველა კომიტეტს. საჭიროა დაუყოვნებლივ 1) შეიქმნას უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, 2) გადაეცეს მას ყველა საქმე ყრილობის შესახებ და კომიტეტების მთელი ხელმძღვანელობა, 3) მხარი დაეჭიროს ჩვენს ორგანოს «ვპერიოდს», 4) გამოქვეყნდეს თქვენი რეზოლუციები (გვაძლევთ თუ არა ამის რწმუნებას?) და განცხადება ბიუროს შესახებ.

გთხოვთ მალე გვიპასუხოთ.

თქვენი ლენინი

ჩვენთვის გაუგებარია, როგორია თქვენი (კავკასიის) ბიუროს დამოკიდებულება უმრავლესობის კომიტეტების საერთო-რუსული ბიუროსადმი. მოგვწერეთ მალე, ყველაფერს კი სჯობს გამოგზავნოთ დელეგატი.

დაწერილია 1904 წ. 12 დეკემბრის შემდეგ
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

121

კავკასიის კავშირის კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი წერილი «პროლეტარიატის ბრძოლის»[203] შესახებ. ვეცდები გწეროთ და გადავცემ ამხანაგებსაც რედაქციაში. ამჟამად გაძლიერებით ვმუშაობ ახალი ორგანოსათვის. ამის შესახებ უკვე გამოგიგზავნეთ დაწვრილებითი წერილი[204]. საჩქაროდ გვიპასუხეთ და გვიგზავნეთ, გეთაყვა, უფრო მეტი, მეტი და მეტი მუშათა კორესპონდენციები. განსაკუთრებით თქვენზეა ახლა დამოკიდებული ორგანოს წარმატება, ვინაიდან დასაწყისი განსაკუთრებით ძნელია.

თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია 1904 წ. 20 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

122

მ. მ. ესენს

ლენინისაგან ნინა ლვოვნას პირადად

24. 12. 04.

დიდი ხანია ვაპირებ მოგწეროთ, მაგრამ ფაციფუცი მიშლის ხელს. ჩვენ ახლა სულიერ აღმავლობას განვიცდით და ყველანი ძალიან მოუცლელი ვართ: გუშინ გამოვიდა განცხადება ჩვენი გაზეთის «ვპერიოდის» გამოცემის შესახებ. მთელი უმრავლესობა ზეიმობს და არაჩვეულებრივად გამხნევებულია. ძლივს დავაღწიეთ თავი ამ საზიზღარ კინკლაობას და შეთანხმებულად დავიწყებთ მუშაობას იმათთან ერთად, ვისაც მუშაობა სურს და არა სკანდალი! ლიტერატორთა ჯგუფი კარგი შეგროვდა, არის ახალი ძალები, ფული ცოტაა, მაგრამ მალე გვექნება. ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც გვიღალატა, ყოველგვარი კრედიტი დაკარგა, კოოპტაციის წესით (საზიზღრად — ფარულად) შეიყვანა მენშევიკები და აქეთ-იქით აწყდება ყრილობის წინააღმდეგ ბრძოლაში. უმრავლესობის კომიტეტები ერთიანდებიან, მათ უკვე აირჩიეს ბიურო, და ახლა ორგანო მათ სავსებით გააერთიანებს. ვაშა! სულით ნუ დაეცემით, ახლა ჩვენ ყველანი ვცოცხლდებით და გამოვცოცხლდებით. ასეა თუ ისე, იმედი გვაქვს, რომ ცოტა უფრო ადრე თუ ცოტა უფრო გვიან აუცილებლად გნახავთ თქვენც. მოგვწერეთ, როგორა ხართ და, რაც მთავარია, იყავით მხნედ; გახსოვდეთ, რომ მე და თქვენ ჯერ არც ისე მოხუცები ვართ, — მთელი მომავალი ჯერ წინა გვაქვს.

თქვენი ლენინი

გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

123

რ. ს. ზემლიაჩკას

ზემლიაჩკას ლენინისაგან პირადად

26. 12. 04.

ძვირფასო მეგობარო! მივიღე თქვენი რწმუნება. ამ დღეებში გამოვდივარ პრესაში თქვენი საქმის გამო[205]. ამ დღეებში მივიღე აგრეთვე ჩრდილოეთის კონფერენციის ოქმები. ვაშა! ჩინებულად იმუშავეთ, და (პაპაშასთან, მიშთან და სხვებთან ერთად) შეგვიძლია უდიდესი წარმატება მოგილოცოთ. ასეთი კონფერენცია უძნელესი საქმეა რუსეთის პირობებში, და იგი, როგორც ჩანს, საუცხოოდ ჩატარდა. მისი მნიშვნელობა უდიდესია; სწორედ კარგად დაემთხვა ჩვენს ანონსს ჩვენი გაზეთის («ვპერიოდის») შესახებ. ანონსი უკვე გამოვიდა. პირველი № გამოვა იანვრის დამდეგს ახალი სტილით. ახლა ამოცანა ასეთია: 1) რაც შეიძლება მალე გამოიცეს რუსეთში ნაბეჭდი ფურცელი უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შესახებ. ღვთის გულისათვის ამას ერთი კვირითაც ნუ გადადებთ. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

2) ერთხელ კიდევ შემოვლილ იქნეს სამხრეთის (**და ვოლგის**) კომიტეტები და გაძლიერებით განმარტებულ იქნეს «ვპერიოდის» ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მხარდაჭერის დიდი მნიშვნელობა.

ტრანსპორტი იქნება, სანამ პაპაშა არის. მან ყაღრეესად ენერგიული ზომები მიიღოს თავისი მემკვიდრეობის გადაცემისათვის ჩავარდნის შემთხვევაში.

რახმეტოვი რაც შეიძლება მალე გაგზავნეთ საშიში ადგილებიდან მისი დანიშნულების ადგილას. რაც შეიძლება მალე!

როცა ფული გვექნება, ბევრ ხალხს გამოვგზავნით.

პიტერში მომხდარ სამარცხვინო საქმეზე (დემონსტრაციის ჩაშლა უმცირესობის მიერ) ვბეჭდავთ «ვპერიოდის» № 1-ში [206].

რაც შეიძლება მალე გამოაქვეყნეთ ცნობა ბიუროს შესახებ და აუცილებლად ჩამოთვალეთ 13-ვე კომიტეტი [207]. რაც შეიძლება მალე, მალე და მალე! მაშინ ფულიც იქნება.

თქვენი ლენინი

მაგრად ვართმევ ხელს ყველა მეგობარს.

ეაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

124

ა. ი. ერამასოვს

მონახს ლენინისაგან პირადად

ძვირფასო ამხანაგო! ძლიერ გამეხარდა, როცა შევიტყვე, რომ თქვენთან ახლა შეიძლება უფრო წესიერი ურთიერთობის დამყარება. კარგი იქნებოდა, ამით რომ გესარგებლათ და თვითონ მოგეწერათ ჩემთვის რამდენიმე სტრიქონი თქვენი განწყობილებისა და უახლოესი გეგმების შესახებ. თორემ აქამდე თქვენს შესახებ ყველა ცნობა მოდიოდა შუამავალთა საშუალებით, რაც ყოველთვის რამდენადმე აძნელებს ურთიერთგაგებას.

ჩვენი პარტიული საქმეები, როგორც თქვენ, ალბათ, გაგიგონიათ, მთელი წლის მანძილზე უმსგავსო მდგომარეობაში იყო. უმცირესობამ საბოლოოდ ჩაშალა მეორე ყრილობა, შექმნა ახალი «ისკრა» (თქვენ ნახეთ თუ არა? როგორია თქვენი დამოკიდებულება მისდამი?) და ახლა, როდესაც იმ კომიტეტთა უმრავლესობამ, რომლებმაც საერთოდ აზრი გამოთქვეს, გადაჭრით გაილაშქრა ამ ახალი «ისკრის» წინააღმდეგ, უმცირესობამ მესამე ყრილობაც ჩაშალა. უმცირესობისათვის მეტად აშკარა გახდა, რომ პარტია არ შეურიგდება მათს ორგანოს, რომელიც წარმოადგენს ბრძოლაში ჭორისა და კინკლაობის, პრინციპებში რაბოჩედელოელობისადმი დაბრუნების, ორგანიზაცია-პროცესის ცხობილი თეორიისადმი დაბრუნების ორგანოს.

ახლა პოზიცია გამოირკვა. უმრავლესობის კომიტეტები გაერთიანდნენ (4 კავკასიის, ოდესის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, სპბ., მოსკოვის, რიგის, ტვერის, ჩრდილოეთისა და

ნიჟნი ნოვგოროდის). მე აქ დავიწყე (ახალი ლიტერატურული ძალებით) გაზეთ «ვპერიოდის» გამოცემა (ანონსი გამოვიდა, № 1 გამოვა იანვრის დამდეგს ახ. სტ.). მაცნობეთ, როგორ უყურებთ ამას და შეიძლება თუ არა ვიქონიოთ იმედი თქვენი მხარდაჭერისა, რომელსაც ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

დაწერილია 1904 წ. დეკემბრის დამლევს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

125

მ. მ. ლიტვინოვს

პაპაშას ლენინისაგან

ძვირფასო მეგობარო! ვჩქარობ გიპასუხოთ თქვენს წერილზე, რომელიც ძალიან, ძალიან მომეწონა. თქვენ ათასჯერ მართალი ხართ, რომ საჭიროა ვიმოქმედოთ მტკიცედ, რევოლუციურად და ვეჭიდოთ რკინა, სანამ ცხელია. აგრეთვე გეთანხმებით, რომ საჭიროა სწორედ უმრავლესობის კომიტეტების გაერთიანება. რუსეთის ცენტრისა და აქაური ორგანოს აუცილებლობა ახლა ყველა ჩვენგანისათვის ცხადია. უკანასკნელისათვის უკვე გავაკეთეთ ყველაფერი, რაც კი შეგვეძლო. რიადოვოი გაფაციცებით მუშაობს, მოიზიდა მონაწილენი, მთელ თავის ენერგიას ამას ახმარს, მთელი ძალღონით ეძებს მილიონერს და წარმატების შანსებიც მცირე როდი აქვს. ბოლოს, თქვენ აგრეთვე ათასჯერ მართალი ხართ, რომ საჭიროა აშკარა მოქმედება. ჩვენს შორის სადავო საკითხი მხოლოდ წვრილმანს ეხება და საჭიროა იგი მშვიდად განვიხილოთ, სახელდობრ: კომიტეტების კონფერენცია თუ პირდაპირ «უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს» შექმნა (ეს სახელწოდება უფრო მოგვწონს, ვიდრე საორგანიზაციო კომიტეტი, თუმცა საქმე, რასაკვირველია, სახელწოდება როდია) იმ პირობით, რომ ეს ბიურო ცნოს უმრავლესობის ჯერ რამდენიმე, ხოლო შემდეგ ყველა კომიტეტმა. თქვენ მხარს უჭერთ პირველს, ჩვენ მეორეს. კონფერენცია საზღვარგარეთ რომ იყოს შესაძლებელი, მე მთლიანად დავუჭერდი მხარს ამ კონფერენციას. რუსეთში კი ეს მეტისმეტად სახიფათო, სადავი-

დარაბო და ნაკლებ ნაყოფიერია. ოდესა + ნიკოლაევი + ეკატერინოსლავი კი უკვე შეთანხმდნენ და დაავალეს «22-ს» «დანიშნონ საორგანიზაციო კომიტეტი». ჩვენ იმით ვუპასუხეთ, რომ ვურჩიეთ სახელწოდება «უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო» და შვიდი კანდიდატი (რუსალკა, ფელიქსი, ზემლიაჩკა, პავლოვიჩი, გუსევი, ალექსეევი, ბარონი). ვწერთ ამის შესახებ ოდესას და ს.-პეტერბურგს. ალექსეევი უკვე წამოვიდა თქვენთან. უმჯობესი ხომ არ იქნება კანდიდატთა არჩევნები მოვაწყოთ რიგაში, ს.-პეტერბურგში + მოსკოვში, შემდეგ მაშინვე განვაცხადოთ ამის შესახებ საჯაროდ (გიგზავნით ცნობის პროექტს [208]), შემდეგ გავეშუროთ ჩრდილოეთის კომიტეტში, კავკასიაში, სარატოვში, ნიჟნიში და სხვ., ვთხოვოთ მათ შემოგვიერთდნენ და შეძლებისამებრ ლიბერალურად ბიუროში დამატებით შევიყვანოთ ორიოდე მათი კანდიდატი (თუმცა ნაკლებად დასაჯერებელია, რომ შემოერთებულმა კომიტეტებმა ბიუროს შემადგენლობის დიდი დამატება მოითხოვონ). მე სრულიად ვერ წარმომიდგენია, რომ სიძნელეები შეგვხვდეს ბიუროს შემადგენლობის გამო.

ასეთი ხერხი ხელსაყრელია სისწრაფით, სიიაფით, უშიშროებით. ამ ხელსაყრელობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სისწრაფე ახლა ყველაფერია. ბიურო იქნება კომიტეტების გაერთიანების ოფიციალური ორგანო და გათიშვის შემთხვევაში ფაქტიურად სავსებით შეცვლის ცენტრალურ კომიტეტს. ჩვენი მომავალი ცენტრალური ორგანოსათვის ლიტერატურული ჯგუფის შემადგენლობაც მთლიანად დასახულია (ხუთი ან ექვსი კაცი: რიადოვოი, გალიორკა, მე, შვარცი + **ლუნაჩარსკი** + შეიძლება **ბაზაროვი**). ტრანსპორტს ხელი მოჰკიდეთ თქვენ და რაც შეიძლება ენერგიულად. ჩვენ აქ გამოვნახეთ ერთი ყოფილი ბუნდისტი, რომელსაც ძალიან ბევრი უმუშავნია ორ საზღვარზე; გვპირდება თვეში 200 — 300 მანეთად მოაწყოს საქმე. ველით მხოლოდ ფულს და შემდეგ მას დაგიკავშირებთ.

თქვენი ხერხი არახელსაყრელია იმით, რომ საქმე ჭიანურდება. მე სრულიად უსარგებლოდ მიმაჩნია ცენტრალური

კომიტეტისა და საბჭოსათვის ულტიმატუმების წაყენება. ცენტრალური კომიტეტი თვალთმაქცობს, ახლა ერთ წამს არ მეპარება ეჭვი, რომ ისინი მთლიანად მიეყიდნენ უმცირესობას და სავსებით და უთუოდ უნდათ გააყალბონ ყრილობა. ილუზიებს არ უნდა ვიქმნიდეთ. ახლა, როცა ყველა ცენტრი მათს ხელშია, მათ ყრილობის გაყალბების ათასობით საშუალება აქვთ და მათ **ეს უკვე დაიწყეს.** ჩვენ ამას პრესაში დავამტკიცებთ საბჭოს გადაწყვეტილებათა ანალიზით («ისკრის» № 73 — 74, დამატება). ჩვენ, რასაკვირველია, ყრილობის მომხრე ვართ და ვიქნებით, მაგრამ ყველგან უნდა გავყვიროდეთ, რომ ისინი უკვე აყალბებენ ყრილობას და რომ ჩვენ ვამხილებთ გაყალბებას. ფაქტიურად კი მე ახლა მეცხრე ადგილს ვუთმობ ყრილობას, ხოლო პირველს — ორგანოს და რუსეთის ცენტრს. არალოიალობაზე ლაპარაკი სასაცილოა, როდესაც ჩვენ პირდაპირ გვაიძულეს გაგვეკეთებინა ეს, უმცირესობასთან გარიგება რომ დადეს. სიცრუეა, რომ უმცირესობის ფარული ორგანიზაცია დაშლილია; არა, ამ ფარულ ორგანიზაციაში შევიდა ცენტრალური კომიტეტის სამი წევრი, მეტი არაფერი. სამივე ცენტრი ახლა შეადგენს ფარულ ორგანიზაციას პარტიის წინააღმდეგ. ამას მხოლოდ რეგვენები ვერ ხედავენ ჩვენ უნდა ვუპასუხოთ აშკარა ორგანიზაციით და გამოვამჟღავნოთ მათი შეთქმულება.

გთხოვთ განუმტკიცებდეთ ყველას ჩვენი ორგანიზაციისა და მომავალი ორგანოს რწმენას. ოღონდ საჭიროა კიდევ მცირეოდენი მოთმინება, სანამ რიადოვი თავის საქმეს გაათავებდეს. აგროვეთ და გზავნეთ კორესპონდენციები (ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს წარწერით: ლენინს) და მასალები, **განსაკუთრებით** მუშებისაგან. მე და თქვენ ვერ ვთანხმდებით წვრილმანში, ვინაიდან მე, რასაკვირველია, მხოლოდ გამეხარდებოდა კონფერენცია. მაგრამ, სწორე გითხრათ, ჩიტი ბდღვნად არა ღირს; გაცილებით სჯობს ერთბაშად და დაუყოვნებლივ დავგზავნოთ შეტყობინება ბიუროს სახელით, ვინაიდან მისი პირადი შემადგენლობის შესახებ ჩვენ ადვილად შევთანხმდებით, და ამ ნიადაგზე კონფლიქტები წარ-

მოუდგენელია. ხოლო რაკი ბიურო განაცხადებს თავისი არსებობის შესახებ, მას სწრაფად ცნობენ, და იგი დაიწყებს ლაპარაკს ყველა კომიტეტის სახელით. ერთხელ კიდევ კარგად დაუფიქრდით ამას და მალე მიპასუხეთ.

დაწერილია 1904 წ. დეკემბერში
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

126

რსდმ პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციას

პიტერში არის მოსკოვის ზუბატოვის მუშათა საზოგადოების განყოფილება, იმავე წესდებით (მექანიკური წარმოების მუშები) და ნაწილობრივ იმავე პირადი შემადგენლობითაც კი, ე. ი. მასში შედიან ისინი, ვინც წინათ მუშაობდა პეტერბურგის ზუბატოვის საზოგადოებაში (უშაკოვი, სტაროეილოვი და გორშკოვი, პიკუნოვი და მოხნატკინი, ნიკიფოროვი და სხვ.). ამ საზოგადოებას მფარველობენ ლიტვინოვ-ფალინსკი, ჩიეოვი, ლანგოვოი. დაბეჯითებით გვირჩევენ ამ საზოგადოებასთან ურთიერთობაში გამოვიჩინოთ უ ა ღ რ ე ს ი სიფრთხილე, რადგან პროვოკატორები უ დ ი დ ე ს საშიშროებას ქმნიან. ეს საზოგადოება ახლა ოდნავ მობრუნდა მარცხნისაკენ, მაგრამ იგი მთლიანად ბურჟუაზიასა და პოლიციას ემსახურება.

(ეს ცნობა საქმეში ჩახედული კაცისაგან მივიღეთ.)

დაწერილია 1904 წ. ოქტომბერ-დეკემბერში
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1905 წ.

127

წერილი ამხანაგს რუსეთში

6. I. 05.

ძვირფასო მეგობარო! გმადლობთ დაწვრილებითი წერილისათვის. ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ უფრო ენერგიულად მოჰკიდებთ ხელს ადგილობრივ საქმეებს.

რაც შეეხება იმას, თუ რა აზრისა ვარ რედაქციის იმ მსჯელობაზე მის მე-2 «კონსპირაციულ» ფურცელში[209], რომელიც თქვენ მოგყავთ, ჯერჯერობით შემიძლია ვთქვა შემდეგი. უწინარეს ყოვლისა კაცს თვალში ეცემა «საიდუმლოების» აშკარა უაზრობა, როცა 1) არაფერი კონსპირაციული არ არის და 2) იგივე აზრები გამეორებულია № 79-ში (ეკატერინოდარის დემონსტრაცია, კორესპონდენტის სტატია და რედაქციის შენიშვნა). № 79 გარჩეულია «ვპერიოდის» № 1-ში[210]. თქვენ მას ორშაბათამდე მიიღებთ და დაინახავთ, როგორ ვაყენებთ საკითხს. ახლა ფურცლით კონსპირირება ძლიერ სასაცილოა, და ამას მე განსაკუთრებით მკვეთრად შევებრძოლებოდი.

არსებითად, რედაქციის «აზრები» მის ახალ ნაწარმოებში თითქოს ორ მთავარ დასაყრდენ პუნქტს იძლევა: 1) სტაროვერის პოზიცია, რომელსაც იმოწმებს რედაქცია და რომელიც გარკვეულია «ი ს კ რ ა ში» და 2) პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ა რ ი ზ მ ო ბ ა ნ ა ს თამაში, «პარადები და მანევრები», პროლეტარიატისადმი რწმენის უქონლობა, მორცხვი ცდა **უკან დახევისა** პანიკის შესახებ (პანიკის შესახებ სიტყვები იქნებ «ზედმეტი» (!) იყოო).

ამას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი

Ad 1 *. სტაროვერის პოზიცია, რომელმაც მკვეთრად იჩინა თავი № 77-შიც (მოწინავე) — NB NB, ჩემი აზრით, მეტისმეტი დომხალია. მე მას პრესაში გავარჩევ[211]. თავისი აბნეული რეზოლუცია რომ გაამართლოს, იგი იძულებულია «გამოიგონოს» კარგი ბურჟუაზია. ითხზვება «ერობელებისა» და ლიბერალებისაგან განსხვავებული «ბურჟუაზიული დემოკრატია» (თითქოს ერობელები ბურჟუაზიული დემოკრატები არ არიან!), რომელშიც, არსებითად, ხვდება ინტელიგენცია (თუ ყურადღებით წაიკითხავთ № 77 და 79-ს, ნათლად დაინახავთ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია გაიგივებულია «რადიკალურ ინტელიგენციასთან», «დემოკრატიულ ინტელიგენციასთან», «ინტელიგენტურ დემოკრატიასთან» — მაგალითად, № 78, გვ. 3, სვეტი 3, სტრიქონი 9 ქვევიდან, და passim **).

ინტელიგენციის მიკუთვნება, ერობელებისაგან etc. განსხვავებით, ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი უდიდესი სისულელეა. მოწოდებით მიმართვა ინტელიგენციისადმი, რომ «დამოუკიდებელი ძალა» გახდეს (№ 77, ხაზი «ისკრისაა»), უხამსობაა. აქ უგულებელყოფილია ფართო დემოკრატიის რეალური საფუძველი (გლეხები, შინამრეწველები etc.), უგულებელყოფილი არიან სოციალისტი-რევოლუციონერები, როგორც რადიკალური ინტელიგენციის ბუნებრივი და აუცილებელი მემარცხენენი. ეს დებულებანი აქ შემიძლია მხოლოდ მოვხაზო, რადგან საჭიროა ისინი უფრო დაწვრილებით ჩამოყალიბდეს პრესაში.

სტაროვერს აქვს უამრავი პრეტენციოზული აბდაუბდა, თითქოს «დემოკრატიული ინტელიგენცია» ლიბერალიზმის «მამოძრავებელი ნერვია» (!) და სხვ.. მისი ცდა — «ახალი სიტყვა» უწოდოს მითითებას «მე-3 ელემენტზე», კულტურის მუშაკებზე, ინტელიგენციაზე, ერობის მოსამსახურეებზე და სხვ. — სასაცილოა. იხ. ჩემი შინა მიმოხილვა «ზარიას»

* — 1-ლი პუნქტისათვის. რ ე დ.
** — სხვადასხვა ადგილას. რ ე დ.

№ 2 — 3-ში, სადაც არის მთელი თავი: «მე-3 ელემენტი»[212]. მხოლოდ ახალ «ისკრას» შეეძლო აქ «ახალი სიტყვა» გამოენახა.

სწორი არ არის, რომ სოციალ-დემოკრატებს, როგორც ავანგარდს, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მხოლოდ დემოკრატიულ ინტელიგენციაზე. გავლენის მოხდენა შეუძლიათ ერობელებზეც, და კიდევაც ახდენენ. ჩვენი გავლენა მათზე და ბ-ნ სტრუვეზე — ფაქტია, რომელსაც ვერ ამჩნევენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც საპარადო გამოსვლების «თვალსაჩინო, ხელშესახებ შედეგებზე» არიან შეყვარებული.

სწორი არ არის, რომ ერობელებისა და დემოკრატიული ინტელიგენციის გარდა არავინ არის, ვისზეც შეიძლებოდეს გავლენის მოხდენა (გლეხები, შინამრეწველები etc.).

სწორი არ არის, რომ «ბურჟუაზიულ დემოკრატიას», ლიბერალებისაგან განსხვავებით, ინტელიგენცია წარმოადგენს.

სწორი არ არის, რომ ფრანგი რადიკალები და იტალიელი რესპუბლიკელები კლასობრივ შეგნებას არ უბნელებდნენ პროლეტარიატს.

სწორი არ არის, რომ «შეთანხმებას» (რომელზეც რედაქცია წერდა 1-ლ ფურცელში) შეეძლო მხედველობაში ჰქონოდა სტაროვერის «პირობები». ეს აბსურდია. რედაქციას უნდა თავი დაიძვრინოს, რადგან ნათლად ხედავს, რომ პირობები სინამდვილეში გარიყული დარჩა.

Ad 2). მეორე პუნქტი, ჩემი აზრით, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მე-2 ფურცლის ფრაზაში:

«ჩვენი აზრით, ჩვენს კლასობრივ მოწინააღმდეგეს და დროებითს პოლიტიკურ მოკავშირეს უნდა გავყვეთ სწორედ იმ სფეროში, სადაც ისინი ასრულებენ მათთვის ისტორიისაგან დაკისრებულ პოლიტიკური ბელადის, ერის განთავისუფლების როლს; ამ სფეროში პროლეტარიატი ბურჟუაზიას უნდა შეეჭიდოს».

აი ეს არის ნამდვილი პარლამენტარიზმობანას თამაში! შეეჭიდოს — სადამდე ამცირებენ ამ დიად ცნებას ჩვენი ტკბილმოუბარი ინტელიგენტი არამზადები,

როცა ეს ცნება დაჰყავთ ერთი მუჭა მუშების მანიფესტაციამდე საერობო კრებაზე! რა ისტერიული ფუსფუსია, რომელიც წუთიერ კონიუნქტურას ებღაუჭება (ახლა «ავანსცენაზე» ერობელები არიან — ილაყბე იმ სფეროზე, სადაც ასრულებენ ისტორიისაგან დაკისრებულ როლს! შეგვიბრალეთ, ბატონებო! ნუ ლაპარაკობთ ასე ლამაზად!). «პროლეტარიატის **სრული** შეხვედრა პირისპირ ბურჟუაზიასთან, რომელსაც პოლიტიკური ავანსცენა უკავია». ამაზე «სრული» რაღა იქნება! თვით ეკატერინოდარის ქალაქის თავთან «ოფლს იდენდნენ პაექრობით».

«მობილიზაციის უმაღლესი ტიპის» იდეის დაცვა სავსებით ნათელი არ არის, რადგან თქვენ აქ ციტატა კი არ მოგყავთ, არამედ აზრს გადმოსცემთ. ეს იდეა კი მათს დომხალში თ ა ვ ი დ ა თ ა ვ ი ა. «ჩვეულებრივი» და «პოლიტიკური დემონსტრაციის» განსხვავება (ნუთუ სიტყვასიტყვით ასე სწერია მე-2 ფურცელში? ნაბეჭდია ეს ფურცელი? ვერ მიშოვნით პირს? ერთ ცალს?) — პირდაპირ მ ა რ გ ა ლ ი ტ ი ა. აი, ჩემი აზრით, სწორედ ამ ჩიხში უნდა მოვაქციოთ მოწინააღმდეგე, რადგან იგი სწორედ აქ ეფლობა ყელამდე. ერობებში მანიფესტაციები კი არ არის ცუდი, არამედ უ ხ ა მ ს ი ა მაღალფარდოვანი მსჯელობა უმაღლეს ტიპზე.

ჯერჯერობით ამით დავკმაყოფილდები. ვემზადები დღევანდელი რეფერატისათვის. ამბობენ, მენშევიკებმა გადაწყვიტეს არ მოვიდნენ.

«ვპერიოდის» № 1 დღეს გამოდის [213].

უფრო დაწვრილებით მომწერეთ «ვპერიოდისაგან» მიღებულ შთაბეჭდილებაზე, **იშოვნეთ** კორესპონდენციები, განსაკუთრებით მუშათა განყოფილებისათვის.

[გირჩევთ რედაქციის მეორე ფურცელი დაუკავშიროთ № 77 და № 78-ს, სტაროვერი, და № 79-ს.]

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

128

რ. ს. ზემლიაჩკას

ზ ე მ ლ ი ა ჩ კ ა ს ლ ე ნ ი ნ ი ს ა გ ა ნ პ ი რ ა დ ა დ

თქვენი წყრომის წერილი მივიღე და ვჩქარობ გიპასუხოთ. ტყუილად გეწყინათ. მე თუ ვილანძღებოდი, ღმერთმანი, სიყვარულით მომდიოდა, ამასთან პირობით: თუ ლიადოვის ცნობები სწორია. თქვენს უდიდეს მუშაობას 15 კომიტეტის მოზიდვისა და სამი კონფერენციის [214] მოწყობის საქმეში ჩვენ დიდად ვაფასებთ, როგორც დაინახეთ წინა წერილიდან ჩრდილოეთის კონფერენციის გამო [215]. უთქვენოდ ნაბიჯი არ გადაგვიდგამს და არცა ვდგამთ. პიტერს გამგზავრებული ქალიშვილი შეგვპირდა, რომ თავის პირად ნაცნობობას გამოიყენებს ფულის საშოვნელად, ლიზას კი თქვენთვის ვწერდით და სულაც არა იმიტომ, რომ თქვენთვის გვერდი აგვევლო (წარწერა: «პირადი» უკეთდებოდა მხოლოდ და მხოლოდ მტრების წინააღმდეგ). ლიზასადმი წერილების გამო მომხდარ გაუგებრობას ახლავე განვუმარტავთ მას. ლიზას, რასაკვირველია, ჯანაბამდე გზა ჰქონია.

კომიტეტებს დიდი მადლობა მისამართების გამოგზავნისათვის. გთხოვთ კიდევ გამოგზავნოთ. გუსევი გამოვისტუმრეთ, ლიადოვი წამოვა, როცა ფული იქნება.

ლიადოვმა ცოტა არასწორად აგვიწერა საქმის ვითარება რუსეთში ორგანოს შესახებ, და გთხოვთ მაპატიოთ, თუ გავცხარდი და გაწყენინეთ.

ბიუროს აშკარა გამოსვლის შესახებ აღარ ვიდავებ. ორი კვირა, რა თქმა უნდა, არაფერია. მერწმუნეთ, რომ ვაპირებ რუსეთის აზრს სავსებით და ყველაფერში უთუოდ გავუწიო-

ანგარიში და ერთ რამეს გთხოვთ სერიოზულად: ღვთის გულისათვის, უფრო ხშირად მომაწოდეთ ცნობები ამ აზრის შესახებ. თუ დამნაშავე ვარ, რომ საზღვარგარეთელი ბოლშევიკების განწყობილების გავლენაში ვექცევი, დამნაშავე ვარ უდანაშაულოდ, ვინაიდან რუსეთი ძალიან ცოტას და იშვიათად იწერება. ჩრდილოეთის კონფერენციის არჩევანს ვემორჩილები სავსებით [216] და, ღმერთმანი, ხალისით. ეცადეთ იშოვნოთ ფული და მოიწერეთ, რომ არ მიწყრებით.

მთელი არსებით თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. იანვრის დამდეგს
ვაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

129

უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს მდივანს

29. I. 05.

ძვირფასო მეგობარო! თქვენთან დიდი თხოვნა მაქვს: გთხოვთ გამოლანძღოთ რახმეტოვი, კარგა მაგრად გამოლანძღოთ. ის ხომ, ღმერთმანი, ჩვენ ისევე გვექცევა, როგორც ოსვობოჟდენიელები ან ხუცესი გაპონი ს.-დ-ებს. ახლა ვათვალიერებდი რუსეთთან ჩვენი კორესპონდენციის ცხრილს. გუსევმა 10 დღეში 6 წერილი გამოგზავნა, ხოლო რახმეტოვმა 30 დღეში 2. როგორ მოგწონთ? მისი კვალიც კი დაიკარგა. «ვპერიოდისათვის» ერთი სტრიქონიც არ გამოუგზავნია. არც ერთი სიტყვა საქმეებზე, გეგმებზე და კავშირებზე. ეს შეუწყნარებელი, წარმოუდგენელი, უმსგავსო რამ არის. ამ დღეებში გამოდის «ვპერიოდის» მე-4 ნომერი, მას მაშინვე (რამდენიმე დღის შემდეგ) მე-5 მოჰყვება, რახმეტოვისაგან კი არავითარი მხარდაჭერა არა გვაქვს. ღღეს მოვიდა ათი რიცხვის წერილები პიტერიდან, მეტად მოკლე წერილები. და არავის არ მოუწყვია საქმე ისე, რომ უხვად გამოეგზავნა ჯარგი კორესპონდენციები 9 იანვარზე!

კორესპონდირების შესახებ რახმეტოვისადმი ჩემს წერილზე არავითარი პასუხი არ მიმიღია[217]!

ბიუროსა და ყრილობის შესახებაც არაფერია. ამავე დროს რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დაჩქარდეს ბიუროს შესახებ განცხადება და ყრილობის მოწვევა. ღვთის გულისათვის, ნუ ენდობით მენშევიკებსა და ცენტრალურ კომიტეტს და უთუოდ, ყველგან და უაღრესად მტკიცედ გაატარეთ

გათიშვა, გათიშვა და გათიშვა. ჩვენ აქ, რევოლუციით გატაცებულნი, ერთ საჯარო კრებაზე კინაღამ შევუერთდით მენშევიკებს, მაგრამ მათ აქაც საძაგლად მოგვატყუეს. ვისაც არ უნდა, რომ გასულელებული დარჩეს, მას დაბეჯითებით ვაფრთხილებთ: გათიშვა და უთუო გათიშვა.

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

130

ა. ბებელს

7. II. 05.

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

იმავე დღეს, როცა თქვენ მწერდით, ჩვენ ვამზადებდით ამხანაგ გერმან გრეილიხისათვის[218] გასაგზავნ წერილს, რომელშიც აღვწერეთ, თუ ამჟამად როგორ და რატომ იქცა მომხდარ ფაქტად გათიშვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ამ წერილის პირს ჩვენ ვაცნობებთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტიულ გამგეობას.

ჩვენი პარტიის მესამე ყრილობას მოიწვევს უმრავლესობის კომიტეტთა რუსეთის ბიურო. «ვპერიოდის» რედაქცია და უმრავლესობის რუსეთის ბიურო მხოლოდ დროებითი ცენტრებია. ვერც მე და ვერც «ვპერიოდის» რომელიმე ჩემთვის ცნობილი რედაქტორი, თანამშრომელი და მომხრე ამჟამად ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას რაიმე ახალი მნიშვნელოვანი და მთელი პარტიის შემბოჭველი ნაბიჯების გადადგმისათვის, თუ პარტიული ყრილობის გადაწყვეტილება არ იქნა. ამრიგად, თქვენი წინადადება შეიძლება მხოლოდ ამ პარტიულ ყრილობას ეცნობოს.

გაგზავნილია ჟენევიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1905 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

თარგმანი გერმანულიდან

131

ს. ი. გუსევს

ხარიტონს

15. II. 05.

ძვირფასო მეგობარო! წერილებისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. კვლავაც აუცილებლად ასევე მოიქეცით, მხოლოდ აი კიდევ რა: 1) ნურასოდეს ნუ დასჯერდებით თქვენთვის გადმოცემული წერილებისა თუ ცნობების დაკონსპექტებას, არამედ აუცილებლად **მთლიანად** გვიგზავნეთ ისინი (თქვენი წერილების გარდა); 2) აუცილებლად დაგვაკავშირეთ **უშუალოდ** ახალ ძალებთან, ახალგაზრდობასთან, ახალ წრეებთან. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რევოლუციური ორგანიზაციის ძალას მის კავშირთა რაოდენობა შეადგენს. რუსეთში გაბმული იმ ა ხ ა ლ ი კავშირების რაოდენობის მიხედვით, რომელთა შესახებაც ცნობებს მივიღებთ, უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მეგობრების ქმედუნარიანობა და მათი მუშაობის შედეგები. დღემდე **ყველა** პიტერელს (სირცხვილი მათ) არ გამოუგზავნია ცნობა რუსეთში გაბმული ა რ ც ე რ თ ი ახალი კავშირის შესახებ (არც სერაფიმას, არც სისოიკას, არც ზემლიაჩკას, არც ნიკ. ივ — ს). ეს **სკანდალია,** ყელის გამოჭრაა, საქმის ჩაფუშვაა! ისწავლეთ მენშევიკებისაგან, ღვთის გულისათვის. «ისკრის» № 85-ში აუარებელი კორესპონდენციებია. აი თქვენ ხომ წაუკითხეთ ახალგაზრდობას «ვპერიოდი», რატომ არ დაგვაკავშირეთ ვინმესთან ამ ახალგაზრდობიდან? გახსოვდეთ, რომ საკმარისია თქვენ ჩავარდეთ, და ჩვენ გარიყული დავრჩებით. სანამ არ შეგვძენთ «ვპერიოდის» ა თ ი ო დ ე ახალ, ახალგაზრდა, ერთგულ

მეგობარს, რომლებმაც იციან მუშაობა, იციან კავშირის გაბმა, რომლებიც შეძლებენ მიწერ-მოწერას უთქვენოდაც. გახსოვდეთ ეს!! პროფესიონალი რევოლუციონერი ყოველ ადგილას ათობით უნდა ამყარებდეს ახალ კავშირებს, თავისი მეთვალყურეობით აკეთებინებდეს იმათ, ვისაც დაუკავშირდება, მთელ სამუშაოს, ასწავლიდეს მათ და ახალისებდეს არა ჭკუის სწავლებით, არამედ მუშაობით. შემდეგ უნდა წავიდეს სხვა ადგილას და ერთი-ორი თვის შემდეგ დაბრუნდეს ახალგაზრდა მოადგილეების შესამოწმებლად. გარწმუნებთ, რომ ჩვენში არის ახალგაზრდობის რაღაც იდიოტური, ფილისტერული, ობლომოვური შიში. გემუდარებით: მთელი ძალ-ღონით ებრძოლეთ ამ შიშს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

132

ს. ი. გუსევს

25. II. 05.

ამ წუთში ლიადოვის წერილიდან შევიტყვეთ, რომ ცენტრალური კომიტეტი დათანხმდა ყრილობის მოწვევას. ვემუდარებით ბიუროს არ დაუჯეროს ცენტრალურ კომიტეტს და არაფრის გულისთვის არ თქვას უარი თავის სრულ დამოუკიდებლობაზე ყრილობის მოწვევაში. ბიუროს უფლება არა აქვს იოტისოდენაც კი დაუთმოს ცენტრალურ კომიტეტს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ აქ ბუნტს ავტეხთ, და ყველა სალკლდოვანი კომიტეტი ჩვენთან იქნება. ცენტრალური კომიტეტი მოწვეულია ყრილობაზე და დაე მოვიდეს მენშევიკებთან ერთად, მაგრამ ყრილობას ვიწვევთ ჩვენ და მხოლოდ ჩვენ. ორშაბათს (28. II. 05) გამოდის «ვპერიოდი» № 8, რომელშიც გადაბეჭდილია ბიუროს ცნობა ჩვენი ენერგიული დამატებით [219]. ღვთის გულისათვის, მიიღეთ ყველა ზომა, რომ ეს წერილი რაც შეიძლება მალე გაუგზავნოთ ლიადოვს, სისოიკასა და ზემლიაჩკას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

138

ს. ი. გუსევს

ნაციას

ძვირფასო მეგობარო! წერილებისათვის უდიდესი მადლობა. თქვენ პირდაპირ გვიხსნით ხოლმე საზღვარგარეთული შთაბეჭდილებებისაგან. აუცილებლად ასევე განაგრძეთ. ღვთის გულისათვის, იშოვნეთ თვით მუშების კორესპონდენციები. რატომ ისინი არ იწერებიან?? ეს პირდაპირ სამარცხვინოა! შიდლოვსკის კომისიის არჩევნებში კომიტეტის აგიტაციის შესახებ თქვენი დაწვრილებითი ნაამბობი საუცხოოა. დავბეჭდავთ.

კიდევ შეკითხვა: მიიღეთ თუ არა კომიტეტში 6 შერჩეული მუშა? აუცილებლად მიპასუხეთ. გირჩევთ ყველა ღონისძიებით: მიიღოთ კომიტეტში მუშები, სულ ცოტა, შემადგენლობის ½. უამისოდ თქვენ ვერ გაუმაგრდებით მენშევიკებს, რომლებიც აქედან დიდ მაშველ ძალებს გამოგზავნიან.

ყრილობის შესახებ ბიუროდან არავინ არ იწერება. ჩვენ ეს გვაწუხებს, ვინაიდან რუსალკას (და ნაწილობრივ თქვენი) ოპტიმიზმი, რომ ყრილობის მოწვევაზე ცენტრალური კომიტეტის თანხმობა პლუსია, უდიდეს შიშს იწვევს. ჩვენთვის დღესავით ნათელია, რომ ცენტრალურ კომიტეტს თქვენი მოტყუება უნდოდა. ცენტრალური კომიტეტის მიმართ პესიმისტები უნდა ვიყოთ. ღვთის გულისათვის, ნუ დაუჯერებთ მას! გაძლიერებით ისარგებლეთ მომენტით, რომ ყრილობაზე გამოცხადებისათვის შეაგულიანოთ უმცირესობის და განსაკუთრებით ჭაობის კომიტეტები. გიგანტური მნიშვნელობა

აქვს იმას, რომ მთავარი ყურადღება მივაქციოთ კიევს, როსტოვს, ხარკოვს: ჩვენ ვიცით, რომ ამ 3-ვე ცენტრში არიან «ვპერიოდელები», მუშები და ინტელიგენტები. რადაც უნდა დაჯდეს საჭიროა ჩამოვიყვანოთ ყრილობაზე მათი დელეგატები სათათბირო ხმით*. იგივე უნდა ითქვას მოსკოველ მესტამბეებზე. საერთოდ საშინლად საწყენია, რომ ბიურომ არ გამოაქვეყნა ჩვენი გადაწყვეტილება ყრილობაზე მუშათა ორგანიზაციების მოწვევის შესახებ: ეს უდიდესი შეცდომაა. გამოასწორეთ იგი რაც შეიძლება მალე და აუცილებლად.

ძალიან გირჩევთ ს.-პეტერბურგის 300-სავე ორგანიზებულ მუშას შორის გასწიოთ აგიტაცია, რომ მათ თავიანთი ხარჯით ყრილობაზე გამოგზავნონ ერთი-ორი დელეგატი სათათბირო ხმით. მუშებს ეს, ალბათ, ძალიან აამებს, და ისინი ფიცხლად მოჰკიდებენ ხელს საქმეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მენშევიკები მთელი ძალით შეეცდებიან მუშების თვალში სახელი გაუტეხონ ყრილობას, იტყვიან: მუშები არ ყოფილანო. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ და აუცილებლად უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ მუშათა წარმომადგენლობას. ორი მუშა დელეგატისათვის სამას მანეთს ს.-პეტერბურგის მუშები, ალბათ, შეაგროვებენ (ან სპეციალურად ამისათვის შესწირავს რომელიმე მეცენატი), — შაურობით შეგროვებისათვის აგიტაცია გიგანტური იქნება, ყველას ეცოდინება. ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა. ეს აუცილებლად წაიკითხეთ კომიტეტში და ორგანიზატორთა და აგიტატორთა კრებებზე. ყველა ჩვენი ორგანიზატორი და აგიტატორი თუ ეუბნება მუშებს «ვპერიოდთან» პირდაპირ კავშირზე??

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

P. S. ბიუროს ორივე ფურცელი (როგორც № 1 აჯანყების შესახებ, ისე № 2 ლიბერალებისადმი დამოკიდებულების შესახებ) საუცხოოა, და ჩვენ მათ მთლიანად ვბეჭდავთ «ვპერიოდში»[220]. კარგი იქნება, ასევე რომ განაგრძონ!! ჰო:

* ეს ყველაფერი მისწერეთ რუსალკას და დემონს.

ლიტერატორთა ამ ჯგუფმა რატომ გამოაცხადა, სპბ. კომიტეტის ორგანიზაციას ვეკუთვნითო. ეს მიზანშეწონილი არ არის და აი რატომ. კომიტეტთან არსებულ ლიტერატორთა ჯგუფს ყრილობაზე დასასწრებად მანდატი არა აქვს. იგი რომ იყოს განსაკუთრებული, არა კომიტეტის, არამედ საერთო-რუსული «ლიტერატორთა ჯგუფი, რომელიც რუს. სდმ პარტიაში შედის», მას უფლება ექნებოდა გაეგზავნა (ბიუროს ნებართვით) დელეგატი სათათბირო ხმით. კარგი იქნება, ამას თუ მოაწყობთ! ჩვენ არ დავბეჭდავთ, რომ იგი პ. კ — თან არსებული ჯგუფია. 1) პ. კ — მა გამორიცხოს იგი თავისი შემადგენლობიდან. 2) იგი თუნდაც დროებით ცალკეული და განსაკუთრებული გახდება; 3) «შეიტანს თხოვნას» (რა ბიუროკრატიზმია!), რომ მის დელეგატს დაერთოს ნება დაესწროს ყრილობას სათათბირო ხმით; 4) ბიურო ნებას დართავს. ნუთუ ათიოდე ლიტერატორი 200 მან. ვერ იშოვნის დელეგატისათვის?? მართლაც ხომ შეიძლებოდა ყრილობისათვის სასარგებლო დელეგატი გამომდგარიყო (მაგალითად, რუმიანცევი ან ვინმე სხვა). ამის შესახებ მოახსენეთ ბიუროს ან, სჯობს, თვითონ გააკეთეთ ყველაფერი ეს ყოველგვარ მოხსენებათა გარეშე.

დაწერილია 1905 წ. მარტის დამდეგს
გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

134

ს. ი. გუსევს

ნაციას ლენინისაგან

11. III. 05.

ძვირფასო მეგობარო! ეს არის მივიღე № 10 და № 11 [221]. დიდად გმადლობთ, განსაკუთრებით ლანძღვისათვის № 10-ში. მიყვარს, როცა კაცი ილანძღება — მაშასადამე, იცის, რას აკეთებს, და ხაზიც აქვს. მარჯვედ კი გააძვრეთ ტყავი «ბებერ მგელს», მარტო წაკითხვითაც ფხანა აუტყდა! მაგრამ № 11-მა ცხადყო, რომ თქვენ მაინც მეტისმეტი ოპტიმისტი ყოფილხართ, თუ იმედი გაქვთ ადვილად გააწყოთ რამე პიტერელ მენშევიკებთან. ოჰ, მეშინია დანაელებისა [222] და თქვენც გირჩევთ გეშინოდეთ! დააკვირდით, ყველაფერი, რაც მათთვის ხელსაყრელი არ არის, ხომ ლაპარაკად, უდოკუმენტებოდ რჩება, — მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის თანხმობა ყრილობის მოწვევაზე. დღეს გამოვიდა «ისკრის» № 89, — იქ მოთავსებულია საბჭოს 8. III. 05-ის დადგენილება ყრილობის წინააღმდეგ, ცრუ, ცოფმორეული დადგენილება («ყრილობის მონაწილენი თავიანთი მოქმედებით თვითონ აყენებენ თავს პარტიის გარეთ»), 1. I. 05-სათვის დათვლილია 33 «უფლებაუნარიანი პარტიული ორგანიზაცია, გარდა ცენტრალური დაწესებულებებისა» (უსირცხვილო სიცრუეა, გამოცხობილია არარსებული კომიტეტები, როგორიც არის ყუბანის კომიტეტი და ყაზანის დაუმტკიცებელი კომიტეტი, ხოლო ორის — პოლესიეს და ჩრდილო-დასავლეთის კომიტეტებისა არეულია ვადები, ნაცვლად 1. IV. 05-ისა ნათქვამია 1. I. 05). ცხადია, რომ ყრილო-

ბაში საბჭოს და, მაშასადამე, ლიგის და ცენტრალური ორგანოს მონაწილეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მე ეს ძალიან მიხარია, და არა მჯერა, რომ რუსეთელი მენშევიკები წავლენ, არა მჯერა. დღემდე არც ერთ თქვენგანს არ გამოუგზავნია არც ერთი ქაღალდი ყრილობის მოწვევაზე რომელიმე მენშევიკური კომიტეტის თანხმობის შესახებ. ილუზიებს ნუ აჰყვებით! თუ პიტერელი მენშევიკები დათმობაზე მიდიან, მოსთხოვეთ მათ, როგორც conditio sine qua non *, ცნონ ყრილობა, რომელსაც ბიურო იწვევს, და ერთადერთ კანონიერ და მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებულ კომიტეტად ცნონ ს.-პეტერბურგის კომიტეტი, — აუცილებლად ქაღალდზე, აუცილებლად გამოგზავნეთ «ვპერიოდში» პირი (მათი საკუთარი ხელმოწერით), აუცილებლად უმცირესობის ს.-პეტერბურგის ჯგუფის უკლებლივ ყველა წევრის სახელით. მაგრამ მაშინაც მაინც ნუ გააგებინებთ მათ ნურც ერთ კავშირს, — წინააღმდეგ შემთხვევაში შინაურ მტრებს გაიჩენთ, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა!

რახმეტოვს დაუყოვნებლივ, სასწრაფო დეპეშით აცნობეთ, რომ აქ დაახლოებით 20. III. 05 იქნება უმნიშვნელოვანესი კონფერენცია ს.-რ-ებთან და ბევრ სხვა პარტიასთან ერთად აჯანყებისათვის შეთანხმების მისაღწევად [223], — საჭიროა რახმეტოვის დასწრება, გამოეშუროს, ერთ დღესაც ნუ დაკარგავს.

დასასრულ ერთხელ კიდევ გეტყვით: თქვენ არ იცით უმცირესობის ძალები მთელ რუსეთში და ილუზიებს ეძლევით. ტყუილად იქცევით ასე. მენშევიკები ახლა ჩვენზე ძლიერნი არიან, საჭიროა მძაფრი ბრძოლა, ხანგრძლივი ბრძოლა. ხატები საზღვარგარეთ [224] დიდძალ ფულს იღებენ. ბუნდთან etc. შეთანხმებაზე, ჩემი აზრით, პირდაპირ სირცხვილია კრინტი დავძრათ მას შემდეგ, რაც მოეწყო მათი (და ლატვიელების) კონფერენცია ცენტრალურ კომიტეტთან [225]

* — აუცილებელი პირობა. რედ.

(ოქმი «პოსლედნიე იზვესტიაში» და «ისკრის» № 89-ში). ეს იდიოტიზმი იქნებოდა: თითქოს კისერზე ვეკიდებოდეთ, ჩვენ კი გვეტყვიან: თქვენ ვერ გიცნობთ, ჩვენ უკვე ცენტრალურ კომიტეტს შევუთანხმდითო. თავი მოგვეჭრება, რას ბრძანებთ!!

მაგრად გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

185

ს. ი. გუსევს

გუსევს ლენინისაგან

16. III. 05.

ძვირფასო მეგობარო! ახლა შევიტყვე, რომ 18 ს.-დ. და სხვ. რევოლუციური პარტიების (მათ შორის ს.-რ. და P. P. S.) აქაური კონფერენცია, ბუნდის თხოვნით, გადაიდო აპრილის დასაწყისამდე. მეტად, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რახმეტოვთან ერთად გადავწყვიტოთ მთელი რიგი ძირითადი საკითხები ამ კონფერენციაში (მისი მიზანია შეთანხმება აჯანყებისათვის) ჩვენი მონაწილეობის შესახებ. «ისკრა» უსაზიზღრეს ინტრიგას ეწევა. თუ რახმეტოვი ჯერ არ წამოსულა, ყველა ღონე იხმარეთ, რომ დაუყოვნებლივ წამოვიდეს, და მაშინვე აუცილებლად მიპასუხეთ უფრო ზუსტად, რა იცით მისი წამოსვლის დროის შესახებ.

ყრილობის გამო აქ ცოტას როდი ვშფოთავთ. თქვენთვის, იგორისა და ლიადოვისათვის ადვილია წერა, სტარიკი ნერვიულობსო. მოდი და ნუ ინერვიულებ, როცა აქ გარს გვარტყიან მტრები, რომლებიც ყოველი ცნობით სარგებლობენ და ცნობებს ჩვენზე უფრო მალე იღებენ. ღმერთმანი, ბიუროს ეს არ ეპატიება. მაგალითად, აღმოსავლეთის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ ზემლიაჩკა ურალში მოგზაურობს და რომ ლიადოვი სარატოვში იყო. უკანასკნელი ადგილიდან პასუხი ბუნდოვანია, გარკვეული არა არის რა. არ ვიცით, როგორ არის მოწესრიგებული გამოცემა ფურცლებისა ხელმოწერით «აღმოსავლეთი რაიონის კომიტეტები». ეს სამარცხვინო და

სასკანდალოა!! ამას წინათ ს.-რ-ებმა გვიჩვენეს ერთი ასეთი ფურცელი გაპონის წინააღმდეგ, სულელური ფურცელი! ცხადია, რომ ეს ცენტრალური კომიტეტის ინტრიგაა, მაგრამ ნუთუ ბიუროს ორმა წევრმა, რომლებიც აღმოსავლეთში იმყოფებოდნენ, ვერ შეძლო გაეგო რამე და ჩვენთვის დროზე მოეწერა, რომ მტრების წინაშე იდიოტურ მდგომარეობაში არ ჩავეყენებინეთ? ნუთუ არა რცხვენიათ, რომ ისინი «ვპერიოდს» მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ? და არა მარტო უხერხულ მდგომარეობაში, რადგან «ისკრა» უსირცხვილოდ იყენებს ყველაფერს. «ისკრის» № 89-ში საბჭო პარტიისაგან განკვეთას უქადის ყველას, ვინც ყრილობაზე მიდის. ხმები იქ კვლავ გაყალბებულია. 1. I. 05-სათვის დათვლილია 75 ხმა (33 × 2 = 66 + 9 ცენტრალური კომიტეტისა, ცენტრალური ორგანოსი და საბჭოსი). გამოგონებულია ყაზანისა და ყუბანის კომიტეტები, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან დამტკიცებული, და შემდეგ მოყვანილია ტყუილი, რომ პოლესიეს და ჩრდილო-დასავლეთის კომიტეტები დამტკიცებულია 1. I. 05-სათვის. ნამდვილად ისინი დამტკიცებულია მხოლოდ 1. IV. 05-სათვის. ჩვენ ეს ვამხილეთ «ვპერიოდის» № 10-ში [226].

მხედველობაში გქონდეთ შემდეგი: «ისკრის» თვალსაზრისით ყრილობა კანონიერი რომ იყოს, მას უნდა ესწრებოდეს 19 კომიტეტი. ჩვენი ანგარიშით ეს სწორი არ არის. მაგრამ თუ რუსეთის სრულუფლებიანი ორგანიზაცია 1. I. 05-სათვის 28 იყო (ლიგის ჩაუთვლელად), ყრილობაში 14—15-ის მონაწილეობა ფრიად სასურველია, თითქმის აუცილებელია. ჩვენ კი გვყავს 13—1 (ეკატერინოსლავი) + 2 (ვორონეჟი და ტულა) = 14 და ისიც თბილისს თუ ჩავთვლით, რომელიც საეჭვოა. რა თქმა უნდა, ყრილობა სულ ერთია საჭიროა, თუნდაც თორმეტი კომიტეტისა, და რაც მალე იქნება, ისა სჯობს. როგორიც უნდა იყოს, ოღონდ ყრილობა იყოს. მაგრამ რატომ არ არის ცნობა, რომ ბიუროს ენახოს თუნდაც ერთი ნეიტრალური ან მენშევიკური კომიტეტი?? ხომ გადაწყდა, რომ ბიურო მოიწვევს და ინახულებს ყოველივეს? ლიადოვი რატომ არ იყო ყუბანის კომი-

ტეტში? როგორ მოხდა, რომ მან ყრილობაზე არ მოიწვია დონი, ხარკოვი, სამთამადნო რაიონი, კიევი, რომელთაც ახლოს ჩაუარა?? და ცალკეული ჯგუფები ამ ქალაქებში? მუშათა აჯანყების საუცხოო საშუალებაა: თ ვ ი თ ო ნ ისინი მოიწვიო ყრილობაზე. რატომ არ აკეთებენ ამას?? ამას ხომ უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა!! რატომ არ არის არც ერთი ცნობა კურსკზე, პოლესიეს კომიტეტზე და სხვ.? ჩვენ აქედან გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია, მაგრამ აქედან ბევრს ვერ გააკეთებ. პატარა ხელმოსაჭიდია ყაზანში, ციმბირში, კურსკში, პოლესიეში, სარატოვში, მაგრამ ყოველივე ეს საეგებისოა. ხოლო ამავე დროს თუ ყრილობაზე იქნებიან ხუთივე ესენი პლუს ურალი, მაშინ ყრილობის სრული კანონიერება, «ისკრის» ანგარიშითაც კი, უეჭველი იქნებოდა. მომწერეთ ხოლმე.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

136

რსდმ პარტიის ოდესის კომიტეტს

ოდესის კომიტეტს ლენინისაგან

ძვირფასო მეგობრებო! მინდა მოგელაპარაკოთ ყრილობის დელეგატთა შესახებ. თუ თქვენ რუსეთიდან გზავნით, მაშინ ჩემი წერილი ბათილდება. მაგრამ შევიტყვე, რომ ფიქრობთ მანდატი ერთ-ერთ აქაურს მისცეთ. თუ ეს ხმები მართალია, ჩემს თავს ნებას მივცემ გირჩიოთ, რომ მანდატი მისცეთ ორივე თქვენს აქაურ კანდიდატს, ე. ი. ჟოზეფინასაც და დანილასაც, სახელდობრ: ერთ მათგანს გადამწყვეტი ხმით, ხოლო მეორეს — სათათბირო ხმით (ე. ი. ყრილობას მისწეროთ წერილი, რომ ოდესის კომიტეტი **ყრილობას** სთხოვს სათათბირო ხმით დაუშვას ჟოზეფინა, როგორც სამხრეთის ბიუროს წევრი, სათათბირო მხრივ ძალიან სასარგებლო მუშაკი, ან, მაგალითისათვის ვამბობ, დანილა, როგორც პერიფერიის საუკეთესო მცოდნე, რომელმაც შესანიშნავი ენერგიულობით იმუშავა ოდესის პროლეტარიატში). შეიძლება დარწმუნებული იყოთ, რომ ყრილობა შეიწყნარებს კომიტეტის ასეთ თხოვნას. გთხოვთ ეს წერილი წაუკითხოთ კომიტეტის ყველა წევრს და მიპასუხოთ [227].

P. S. იღებთ თუ არა კომიტეტში მუშებს? ეს საჭიროა, უთუოდ საჭიროა! რატომ არ გვაკავშირებთ უშუალოდ მუშებთან? არც ერთი მუშა არა წერს «ვპერიოდში». ეს სკანდალია. ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა ათო-

ბ ი თ მუშა კორესპონდენტი. ძალიან გთხოვთ წერილის ეს ნაწილიც წაუკითხოთ არა მარტო კომიტეტის ყველა წევრს, არამედ უმრავლესობის ყველა ორგანიზატორსა და აგიტატორსაც.

სალამი ყველას! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. 25 მარტს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

187

ს. ი. გუსევს

ლენინისაგან პირადად გადაეცეს გუსევს

4. IV. 05.

ძვირფასო მეგობარო! თქვენ თვითონაც იწერებოდით, რომ თვალთვალი დაგიწყეს. გარდა ამისა, მოქმედების ადგილიდან ახლახან ჩამოსული პიტერელებისაგან აქ შევაგროვე ცნობები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ ამ ფაქტს. ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება. საკუთარი გამოცდილებითა და მრავალი ამხანაგის გამოცდილებით ვიცი, რომ რევოლუციონერისათვის თითქმის ყველაზე უფრო ძნელია საშიში ადგილის სწორედ დროზე მიტოვება. ყოველთვის სწორედ იმ დროისათვის, როცა მოცემულ ადგილას საჭიროა მუშაობის მიტოვება, იგი განსაკუთრებით საინტერესო და განსაკუთრებით საჭირო ხდება: მომუშავეს ყოველთვის, მუდამ სწორედ ასე ეჩვენება. ამიტომ ჩემ მოვალეობად მიმაჩნია უაღრესად დაჟინებით მოგთხოვოთ, რომ დროებით დატოვოთ პიტერი. ეს უთუოდ საჭიროა. არავითარი მომიზეზებით, საქმის ინტერესზე დამყარებული არავითარი მოსაზრებებით არ უნდა გადაიდოს ეს ნაბიჯი. გარდუვალი ჩავარდნით გამოწვეული ზიანი გიგანტური იქნება. წასვლით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელო და მოჩვენებითია: წასწიეთ ახალგაზრდა თანაშემწეები დროებით, ერთი-ორი თვით, უმაღლეს თანამდებობებზე და დარწმუნებული იყავით, რომ საქმისათვის მეტად ხანმოკლე ზიანთან ერთად საქმე საერთოდ და მთლიანად ძლიერ მოიგებს. ახალგაზრდობა ისწავლის უფრო პასუხსაგებ სამუშაოზე; მის შესაძლებელ შეცდომებს ჩვენ მალე გამოვას-

წორებთ. ჩავარდნა კი გაგვიფუჭებს ცენტრალური მუშაობის დაყენების უმნიშვნელოვანეს შანსებს. ერთხელ კიდევ: დაჟინებით გირჩევთ **დაუყოვნებლივ** წახვიდეთ პროვინციაში ერთი თვით. ყველგან აუარებელი საქმეა, და საერთო მიმართულება ყველგან საჭიროა. თუ **მოინდომებთ** (ხოლო ამის მონდომება საჭიროა), წასვლის მოწყობა ყოველთვის შეიძლება.

12. III. 05-ის ხელშეკრულებაზე [228] არა გწერთ. სალანძღავი აქ არაფერია. როგორც ჩანს, სხვანაირად არ შეიძლებოდა. საკითხი ახლა ის არის, რომ ენერგიულად ვამზადოთ ყრილობა და ვამრავლოთ დელეგატთა რაოდენობა. ფულს ხელგაშლილად ნუ დახარჯავთ, გაუფრთხილდით: ყრილობის შემდეგ უფრო საჭირო იქნება.

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

138

ო. ი. ვინოგრადოვას

ნიშჩის ლენინისაგან

ძვირფასო ამხანაგო! ინტერესით წავიკითხე თქვენი წერილი (№ 6) ხელოსანთა შორის ორგანიზაციის ძირეულ უჯრედზე. ფაბრიკებსა და ქარხნებში ასეთი უჯრედი უნდა იყოს საქარხნო კომიტეტი, ხელოსნებში კი? თქვენ მხარს უჭერთ პროფესიულ წრეებს, ხოლო თქვენი ოპონენტები — ? ვერ მივხვდი, ისინი რას უჭერენ მხარს. სამწუხაროდ, აგრეთვე არ ვიცი, როგორი იყო ეს ძველი პროფესიული «საბჭოები»? როდის არსებობდნენ? როგორ იქმნებოდნენ? როგორ ახამებდნენ სოციალ-დემოკრატიულ და პროფესიულ მუშაობას?

ვინაიდან ამ პრაქტიკული საკითხის პრაქტიკულ მხარეს არ ვიცნობ, ჯერჯერობით ვერ ვბედავ აზრის გამოთქმას. იქნებ შემდგომმა წერილებმა უფრო ახლოს გამაცნონ — მაშინ ვნახოთ. საჭიროა ვიცნობდეთ გამოცდილებას და გარდაქმნების დროს სიფრთხილეს ვიჩენდეთ, ეს სწორია. მაგრამ ჩემთვის ნათელი არ არის, რა შუაშია აქ ეკონომიზმი. განა საქარხნო კომიტეტებშიც უმთავრესად საქარხნო (იმავე პროფესიულ) ინტერესებზე არ ლაპარაკობენ? მაგრამ არავინ არ წასულა იმის წინააღმდეგ, რომ **სოციალ-დემოკრატიული** ორგანიზაციის ძირეული უჯრედი საქარხნო კომიტეტი უნდა იყოს. დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების პირობებს, კრებების პირობებს, შეხვედრათა პირობებს, ერთობლივი მუშაობის პირობებს, ვინაიდან ძირეული უჯრედი უნდა მუშაობდეს განსაკუთრებით ცოცხლად, ხშირად, რეგულარუ-

ლად. ბოლოს, სავალდებულოა თუ არა აქ წყობის ერთი ტიპი? უმჯობესი ხომ არ არის სხვადასხვაგვარი ტიპები სხვადასხვა პირობებთან შესაგუებლად და უფრო მდიდარი გამოცდილების მისაღებად.

წერილებისათვის მადლობა. კვლავ გვწერეთ, თორემ იშვიათად გვაქვს ცნობები მუშაობის ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი (ყველაზე საინტერესო) მხარის შესახებ.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. 8 აპრილს
გაგზავნილია ჟენევიდან ოდესაში
პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

139

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს
სამდივნოს

• ჟენევა, 1905 წ. 8 ივლისი.

ძვირფასო ამხანაგებო, თქვენმა 6 ივლისის წერილმა რამდენადმე გაგვაკვირვა. თქვენ უკვე უნდა გცოდნოდათ, რომ მოქალაქე პლეხანოვი აღარ არის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

«ი ს კ რ ი ს» № 101-ში მოქალაქე პლეხანოვმა მოათავსა შემდეგი წერილი, რომელსაც ჩვენ სიტყვასიტყვით ვთარგმნით და რომელიც მას, თითქოს, უნდა ეცნობებინა ბიუროსათვისაც:

«ამხანაგებო, კონფერენციის (პარტიისაგან გათიშული ნაწილის კონფერენციის. ვ. უ.) [229] გადაწყვეტილებანი, რომლებმაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს ჩვენი პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს, მაიძულებენ უარი ვთქვა ცენტრალური ორგანოს რედაქტორის და საბჭოს მეხუთე წევრის (მეორე, კ ა ნ ო ნ ი ე რ ი ყრილობის მიერ არჩეული წევრის) წოდებაზე. გ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი.

P. S. ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ პრესის საშუალებით შევეკითხო პარტიის იმ ნაწილს, რომელსაც სავალდებულოდ მიაჩნია «მესამე» ყრილობის გადაწყვეტილებანი, სურს თუ არა, რომ მე კვლავ ვიყო ამ, ახლა — სამწუხაროდ! — გათიშული პარტიის წარმომადგენელი საერთაშო-

რისო სოციალისტურ ბიუროში. რსდმ პარტიის წარმომადგენლად შემიძლია დავრჩე მ ხ ო ლ ო დ იმ შემთხვევაში, თუ ამას ო რ ი ვ ე ფრაქცია მოისურვებს.

Montreux, 1905 წ. 29 მაისი».

მოქალაქე პლეხანოვის ამ განცხადებას «პროლეტარის», პარტიის ცენტრალური ორგანოს, რედაქციამ უპასუხა შემდეგი შენიშვნით, რომელიც მოთავსებულია ა. წ. 13 ივნისის მე-5 ნომერში:

«ამხ. პლეხანოვის P. S-ის გამო შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საერთაშორისო ბიუროში ამხ. პლეხანოვის მიერ პარტიის წარმომადგენლობის საკითხი ამჟამად გადასაწყვეტად დასმულია პარტიის ცენტრალურ კომიტეტში».

საკითხი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, და, მაშასადამე, მოქალაქე პლეხანოვს ამჟამად არ შეუძლია საერთაშორისო ბიუროს სახელით გამომავალ რაიმე დოკუმენტს ხელი მოაწეროს როგორც პარტიის წარმომადგენელმა.

ამის გამო, თქვენს ყურადღებას, ძვირფასო ამხანაგებო, მივაპყრობთ იმას, რომ ჩვენთვის ძლიერ უხერხულია ბიუროსთან კავშირი ვიქონიოთ იმ ამხანაგის საშუალებით, რომელიც თვითონვე ს ა ჯ ა რ ო დ აცხადებს, რომ მას არ შეუძლია იყოს პარტიის წარმომადგენელი, სანამ პარტია გარკვეულად არ მისცემს საამისო რწმუნებას. კვლავ ვიმეორებთ ჩვენს თხოვნას საერთაშორისო სამდივნოსადმი, რომ მანამ, სანამ გადაწყდებოდეს საკითხი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში წარმომადგენლობის შესახებ, ყველაფერი, რაც ჩვენ შეგვეხება (წერილები, მანიფესტები, დოკუმენტები, ფული და სხვ.), გზავნოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისამართით (V. Oulianoff, Rue de la Colline, 3. Genève).

ერწმუნეთ, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენდამი ჩვენს ძმურ გრძნობებს.

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერი
პირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

140

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ლენინისაგან ცენტრალური კომიტეტის
წევრებს პირადად

11. VII. 05.

ძვირფასო მეგობრებო! მთელი რიგი წერილები რუსეთის ყველა კუთხიდან, ალექსანდროვის ცნობები, საუბარი კლეშჩითან და კიდევ რამდენიმე ჩამოსულთან, — სულ უფრო განმიმტკიცებენ რწმენას, რომ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში არის რაღაც შინაგანი დეფექტი, მუშაობის ორგანიზაციის, მოწყობის დეფექტი. ცენტრალური კომიტეტი არ არის, მას ვერავინ ვერ გრძნობს, ვერ ამჩნევს, — ასეთია საერთო ხმა. ფაქტებიც ამას ადასტურებენ. არა ჩანს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხელმძღვანელობა პარტიისადმი. ამავე დროს ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი გადაქანცვამდე მუშაობს! აბა რაშია საქმე?

ჩემი აზრით, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ რეგულარულად არ გამოდის ცენტრალური კომიტეტის ფურცლები. რევოლუციის დროს ზეპირი საუბრებით, პირადი ურთიერთობით ხელმძღვანელობა მეტისმეტი უტოპიაა. საჭიროა საჯაროდ ხელმძღვანელობა. მუშაობის ყ ვ ე ლ ა დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი სახე უნდა დაემორჩილოს ამ სახეს, მთლიანად და აუცილებლად. ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა ლიტერატორმა უწინარეს ყოვლისა იმისათვის უნდა იზრუნოს, რომ კვირაში ორჯერ დაწეროს (ან თანამშრომლებისაგან მიიღოს, — მაგრამ თვით რედაქტორი ყოველთვის მზად უნდა იყოს თვითონ დაწეროს) ფურცელი პარტიულ და პოლიტიკურ თემებზე (ლიბერალები, სოციალისტ-რევოლუ-

ციონერები, უმცირესობა, გათიშვა, ერობის დელეგაცია, პროფესიული კავშირები etc. etc.) და გამოსცეს იგი ყველა საშუალებით, მაშინვე დაბეჭდოს ჰექტოგრაფზე (თუ სტამბა არ არის) 50 ცალად და გამოსაცემად დაუგზავნოს კომიტეტებს. «პროლეტარში» მოთავსებული სტატიები ზოგჯერ იქნებ გამოდგეს ასეთი ფურცლებისათვის — ერთგვარი გადაკეთების შემდეგ. ვერ გამიგია, ეს რატომ არ კეთდება?? ნუთუ შმიდტსა და ვერნერს დაავიწყდათ ჩვენი ლაპარაკი ამის შესახებ? ნუთუ არ შეიძლება დაიწეროს და გაიგზავნოს კვირაში თითო ფურცელი მაინც?? «ცნობა» III ყრილობის შესახებ [230] რუსეთში დღემდე არსად არ გადაბეჭდილა მთლიანად: ეს ისეთი უმსგავსობაა, ისეთი ფიასკოა ცენტრალური კომიტეტის ყველა ამ ყბადაღებული «ტექნიკისა», რომ სრულიად ვერ გამიგია, რას უყურებდა ვინტერი? რას უყურებენ ზომერი და სხვები? ბოლოს, ხომ არსებობს კომიტეტის სტამბებიც?!?

როგორც ჩანს, ცენტრალური კომიტეტის წევრებს სრულიად არ ესმით «საჯარო გამოჩინების» ამოცანები. უამისოდ კი არ არის ცენტრი, არ არის პარტია! ისინი მუშაობენ ილაჯგაწყვეტამდე, მაგრამ მუშაობენ, როგორც თხუნელები, სახვედრებში, კრებებზე, აგენტებთან და სხვ. და ა. შ.. ეს პირდაპირ ძალების განიავებაა! თუ ხალხი არა გყავთ, — გააკეთებინეთ ეს მესამეხარისხოვან ძალებს, მეათეხარისხოვან ძალებს, მაგრამ თვითონ აუცილებლად განახორციელეთ პოლიტიკური ხელმძღვანელობა, უწინარეს ყოვლისა გამოუშვით ფურცლები. და უკვე შემდეგ — პირადი გამოსვლა რაიონულ ყრილობებზე (პოლესიეში ყრილობაზე არავინ ყოფილა. სკანდალია. ისინი კინაღამ ჩამოგვშორდნენ!), კონფერენციებზე და ა. შ.. პირდაპირ საჭიროა ცენტრალური კომიტეტის დღიურის მაგვარი, მისი ბიულეტენის მაგვარი რამის გამოცემა, ყოველ სერიოზულ საკითხზე გამოხმაურება ფურცლით კვირაში ორჯერ. მისი გამოცემა კი ძნელი არ არის: ჰექტოგრაფზე დაიბეჭდოს 50 ცალად და დაიგზავნოს, დაიბეჭდოს რომელიმე კომიტეტში, გამოიგზავნოს აქ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოვ ი დ ე თ და გამოვ დ ი ო დ ე თ აშკარად,

აღარ ვიყოთ მუნჯები. თორემ ჩვენც აქ სრულიად მოწყვეტილი ვართ.

იქნებ საჭიროა შევავსოთ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა? ავიყვანოთ კიდევ ექვსიოდე აგენტი? ამისათვის, დარწმუნებული ვარ, გამოინახება ადამიანები. პრაქტიკულად შემიძლია ახლავე შემოგთავაზოთ ერთი რამ: იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრებს შორის თითქმის სრულიად არ არის მიწერ-მოწერა (ვერნერისა და ვინტერისაგან სულ 2 წერილი მივიღეთ, ალექსანდროვისაგან — მხოლოდ ცნობებია გზიდან, «საგზაო შთაბეჭდილებანი», მეტი არაფერი), უთუოდ საჭიროა ს ი ს რ უ ლ ე შ ი მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ო თ ჩვენი 10. V. 05-ის საერთო გადაწყვეტილება ყრილობის 1. IX. 05-ისათვის მოწვევის შესახებ[231]. ღვთის გულისათვის, ნუ გადადებთ ამას, ნუ დაიშურებთ 200 — 300 მან. ხარჯს. უამისოდ — უდიდესი საფრთხეა, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ საქმის ჯეროვნად მოგვარებას. ახლა კი იგი სრულებით არ არის მოგვარებული. ეს ყველა ცნობიდან ჩანს.

1. IX-მდე კიდევ თვენახევარია. შეიძლება მოასწროთ საქმეების მოგვარება და დროზე მოაწყოთ გამომგზავრება, წერილობით შეუთანხმოთ ალექსანდროვსაც, თუ ვინ წამოვიდეს. ველი პასუხს.

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

141

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ცენტრალურ კომიტეტს ლენინისაგან

ძვირფასო მეგობრებო! თქვენი უკანასკნელი წერილების გამო უნდა ვთქვა, რომ ვეთანხმები ყველა დადგენილებას, გარდა ორისა. 1) აგენტად მატრიონას დანიშვნის წინააღმდეგ მტკიცე პროტესტს ვაცხადებ და დაბეჯითებით გთხოვთ გადასინჯოთ. 2) რაც შეეხება პლეხანოვს, ძალიან მიკვირს, რომ დუმილით აგივლიათ გვერდი იმ საკითხისათვის, რომელიც ჩვენთან წამოიჭრა, როცა ვინტერი ჯერ კიდევ აქ იყო. გვაქვს თუ არა უფლება პარტიის წარმომადგენლად დავნიშნოთ ადამიანი, რომელსაც არა სურს პარტიაში შესვლა და მე-3 ყრილობის აღიარება? ახლა ხომ მან პრესაში განაცხადა, რომ მე-3 ყრილობა კანონიერად არ მიაჩნია და წარმომადგენლად მ ხ ო ლ ო დ ორივე ფრაქციისაგან იქნება. აქ მთელმა რიგმა ამხანაგებმა უკვე მაშინ აღნიშნეს, როცა ვინტერი აქ იყო, რომ პლეხანოვი თუ დავნიშნეთ, ამით მას მხოლოდ გავანებივრებთ და საბოლოოდ გავაფუჭებთო. მე ჯერ პლეხანოვს ვუჭერდი მხარს, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ პირობების დაუდებლად მისი დანიშვნა არ შეიძლება. აბა ერთი კონკრეტულად წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს ბიუროში წარმომადგენლად გვყავდეს ადამიანი, რომელსაც არავინ არ ელაპარაკება, რომელიც შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ვაიძულოთ «წარმომადგენლობდეს» მართლა ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ ს და არა თავის თავს! ჩვენ ახლა როგორც იქნა მივაღწიეთ ბიუროს (საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს) პირდაპირ ურთიერთობას ჩვენთან და ვხედავთ, რომ საკმაოდ ბევრია საქმე როგორც ფულისა, ისე სხვაც (მიმართვები რუსეთის სახელით და რუსეთის გამო, რის შესახებაც მათ ამას წინათ

მივწერე; წარმომადგენლობის წესი, რის შესახებაც ამ დღეებში შემეკითხნენ, და სხვ.). ბიურო მწერდა, რომ კვლავ არის რაღაც «ბებელის წინადადება»[232] (რომელიც ჩვენამდე ჯერ არ მოსულა); ბებრუცუნამ, ალბათ, კვლავ დაგვიპირა «შერიგება» (კაუცკიმ უსაზიზღრესი სტატია მოათავსა «ცნობის» გერმანული გამოცემის გამო[233]). წარმოიდგინეთ, როგორია ჩვენი მდგომარეობა, თუ წარმომადგენელი პლეხანოვი იქნება და პლეხანოვს ექნება საქმე ბებელთან «ზავის» საკითხზე!?? ძალიან კარგად მესმის, რა ძლიერი მოსაზრებანი გვაიძულებენ ყველას და განსაკუთრებით თქვენ გვსურდეს «ზავი», გვსურდეს პლეხანოვის დანიშვნა, მაგრამ მე დავრწმუნდი, რომ ასეთი ნაბიჯები, თუ ზავი რ ე ა ლ უ რ ა დ არ იქნა უზრუნველყოფილი, მხოლოდ ყალბი ნაბიჯი იქნება, კიდევ უფრო არევს საქმეს, გამოიწვევს ახალ გათიშვებს, ხელშეკრულებათა დარღვევას, კამათს, ა ხ ა ლ გაბოროტებას და მხოლოდ დ ა გ ვ ა შ ო რ ე ბ ს გაერთიანების საქმეს. ჩემი აზრით, მთელი მითქმა-მოთქმა გაერთიანების შესახებ ფუჭი ფრაზა იქნება, სანამ გამოცდილებით არ გამომუშავდება მისი ისეთი გეგმა, რომლის გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი იქნება: საქმე ამისკენ მიდის, საჭიროა მოვიცადოთ რამდენიმე თვე, დაე ყველამ შეაფასოს კონფერენციის გადაწყვეტილებათა შეუსაბამობა, დაე გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა მ დაარღვიოს მათი იდიოტური «საორგანიზაციო წესდება», დაე გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა მ ცოტა შეკვეცოს მათი პრეტენზიები (ვინაიდან, საერთოდ, ჩვენ უკეთ გვაქვს საქმე და, აშკარაა, გამარჯვებისაკენ მივდივართ), — მაშინ დაიწყება პირდაპირი, უშუამავლო მოლაპარაკება ცენტრებს შორის, მაშინ გამოვიმუშავებთ (ერთბაშად თუ 2, 3 ცდის შემდეგ, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი) modus vivendi-ს *. ახლა კი საჭიროა ბრძოლა.

ჩემი წინადადებაა: პლეხანოვს «წინადადება» მიეცეს თქვენებურად, მ ა გ რ ა მ ი მ პ ი რ ო ბ ი თ, თუ ისურვებს ცნოს მე-3 ყრილობა, შემოვიდეს პარტიაში და დაემორჩილოს

* — მოქმედების წესი. რედ.

მის გადაწყვეტილებებს. ასეთი ნაბიჯით ჩვენ აპარანსსაც დავიცავთ და ყოველგვარ შესაძლო არევ-დარევასაც გავაუვნებლებთ.

თქვენგან პასუხის მიღებამდე პლეხანოვს არაფერს შევთავაზებ. ძალიან გთხოვთ გადაწყვეტილების მიღება გადადოთ ჩვენ შეხვედრამდე სექტემბერში.

მეტად გაკვირვებული ვარ, რატომ არაფერს არ იწერებით «ღია წერილის»[234] გამო, რომელიც მე მივიღე და რომელიც რეინერტის ხელით არის დაწერილი? რა? როგორ? არ მესმის. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ე ბ შ ი რატომ კრინტი არ არის დაძრული ამის შესახებ?? მალე მომწერეთ, დავბეჭდო თუ არა ცენტრალურ ორგანოში. თუ ჰო, ძალიან გთხოვდით შეგვეტანა პატარა ცვლილება ტაქტიკური უთანხმოების შესახებ, რომ არ გამოვიდეს წინააღმდეგობა ჩემს ბროშურასთან, რომელზეც ლიუბიჩი გიტყვით. იმედი მაქვს, ამაში აზრთა სხვადასხვაობა არ გვექნება, და, თუ შესაძლებელია, გთხოვდით ჩემთვის მოგენდოთ ამ ცვლილების შეტანა.

ძლიერ მიკვირს, რომ რუსეთში «ცნობა» სრულად არ გამოდის. ეს სკანდალია!!! დაარჩქარეთ ამ მხრივ ყველა ტექნიკა, ღვთის გულისათვის!!

დაწვრილებითი დადგენილებების, კომიტეტთა წერილებისა და ფურცლების გამოგზავნისათვის უდიდეს მადლობას მოგახსენებთ. როგორც იქნა, მყარდება თუნდაც ერთგვარი მსგავსება ჩვენს შორის წესიერი ურთიერთობისა! გთხოვთ, ნუ მიატოვებთ ამ ჩვეულებას, იშოვნეთ კარგი პიტერელი მდივანი. ჩვენ უკიდურესად გვესაჭიროება ცნობები პიტერიდან პარტიულ საქმეებზე, ლიბერალებზე, პარტიული ცხოვრების საკითხებზე, რომლებსაც წრეებში განიხილავენ, და სხვ. და სხვ.. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბუნდსა და მენშევიკებს აქ ცნობები უკეთესი აქვთ, ვიდრე ჩვენ!

მაგრად გართმევთ ხელს. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. 12 ივლისს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

142

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

28. VII. 05.

ძვირფასო მეგობრებო! საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაწყდეს 2 შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი: 1) პლეხანოვის შესახებ. სპეციალურ აგენტს (ლიადოვს) დავავალეთ ეამბნა თქვენთვის, როგორ დგას საკითხი. მოკლედ გავიმეორებ. პლეხანოვი წარმოუდგენლად უტიფრად მოიქცა, როცა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მისწერა, ორივე ფრაქციამ უკვე მცნოო (!), და გალანძღა, ყოველნაირად გააშავა ჩვენი მე-3 ყრილობა. მე მაქვს პირი მისი წერილისა, რომელიც ბიუროდან გამომიგზავნეს. ეს პირი გამოგეგზავნებათ. ძლივძლივობით მივაღწიე პირდაპირ ურთიერთობას საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან და უარვყავი პლეხანოვის განცხადება. მაშინ პლეხანოვმა უარი განაცხადა წარმომადგენლობაზე. თქვენ იცით, რომ მე სულაც არ ვყოფილვარ პლეხანოვის დანიშვნის უთუო წინააღმდეგი, მაგრამ ახლა ეს პირდაპირ წარმოუდგენელი იქნებოდა. ამით იმდენად დეზავუირებული ვიქნებოდი, რომ ჩემი მდგომარეობა აუტანელი გახდებოდა. ეს საბოლოოდ გაგვიტეხდა სახელს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თვალში. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თითქმის ყველა საზღვარგარეთელი სოციალ-დემოკრატი «ხატების» მხარეზეა და ჩვენ არაფრად არ მივაჩნივართ, აბუჩად გვიგდებენ. მთელ საქმეს გააფუჭებთ, გაუფრთხილებელ ნაბიჯს თუ გადადგამთ. ამიტომ დაბეჯითებით ვთხოვ ვერნერსა და შმიდტს

რაც შეიძლება მალე, თუნდაც პროვიზორულად, დაადასტურონ ჩემი ნაბიჯები. ეს ერთი. ხოლო მეორე: რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით შევთავაზოთ პლეხანოვს სამეცნიერო ორგანო, მაგრამ იმ პირობით, რომ პლეხანოვმა აღიაროს მე-3 ყრილობა და თავისთვის სავალდებულოდ მიიჩნიოს ამ ყრილობის გადაწყვეტილებანი. თუ პლეხანოვი ამას უარყოფს, მაშინ ბრალი მას დაედება, ხოლო ჩვენ დამტკიცებული გვექნება ჩვენი შემარიგებლობა. თუ მიიღებს, მაშინ ჩვენ გადავდგამთ შემდგომ ნაბიჯს შერიგებისაკენ. მაშასადამე: დაბეჯითებით გირჩევთ გააუქმოთ გადაწყვეტილება წარმომადგენლობის შესახებ, ხოლო რაც შეეხება სამეცნიერო ორგანოს, მისი რედაქტირება ხდებოდეს ამ პირობით. 2) საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მხრივ შუამავლობის წინადადების შესახებ. სრული ტექსტი გამოგეგზავნებათ, თუმცა ლიადოვმა თქვენთვის უკვე წამოიღო. შერიგებისათვის საერთაშორისო სოციალისტური ბიურო გვთავაზობს მოეწყოს ჩვენი და უმცირესობის კონფერენცია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრების თავმჯდომარეობით. საზღვარგარეთელი ს.-დ-ები (ბებელი და სხვ.) გაძლიერებით ეწევიან აგიტაციას იმისათვის, რომ საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ ჩვენზე ზეგავლენა მოახდინოს. ასეთ წერილებს ინგლისელებიც კი გვიგზავნიან («სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია», მე მაქვს პირი ჩვეულებრივი შემარიგებლური კილოთი დაწერილი წერილისა, ასეთ დროს ჩხუბი დანაშაულიაო და სხვ.). საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მივწერე, რომ ამ საკითხის გადაჭრა ჩემს კომპეტენციას არ შეადგენს, საჭიროა გადაწყვეტილება მთელი ცენტრალური კომიტეტისა, რომელსაც ახლავე ვწერ-მეთქი. შემდეგ შევეკითხე, მხედველობაში გაქვთ მხოლოდ შუამავლობა, თუ ორივე მხარისათვის სავალდებულო სამედიატორო სასამართლო, — ამის შესახებ საჭიროა ცენტრალურ კომიტეტს მივწერო-მეთქი. მათი პასუხი ჯერჯერობით არ მიმიღია.

ჩემი აზრი ასეთია. კონფერენციის მოწვევას აუცილებლად დავთანხმდეთ. დავნიშნოთ დრო დაახლოებით 1. IX. ამ

კონფერენციაზე აუცილებლად გამოიგზავნოს ცენტრალური კომიტეტის 1—2 წევრი რუსეთიდან (არ დაივიწყოთ, რომ 1. IX-სათვის დანიშნულია ჩვენი ყრილობა და რომ იგი ყოველი მხრივ უაღრესად საჭიროა). შუამავლობა მივიღოთ მადლობით. სავალდებულო სამედიატორო გადაწყვეტილებაზე უარი ვთქვათ მე-3 ყრილობის დადგენილების საფუძველზე [235], რომელმაც ჩვენ უთუოდ შეგვბოჭა და რომელშიც ნათქვამია, რომ უმცირესობასთან სრული შეერთების პირობები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს მე-4 ყრილობას. მე-3 ყრილობისაგან დავალებული გვაქვს მოვამზადოთ და შევიმუშაოთ ეს პირობები, მაგრამ არა საბოლოოდ დავამტკიცოთ ისინი. ვასრულებთ რა მე-3 ყრილობის დავალებას, ჩვენ ვიღებთ შუამავლობას, ვეცდებით შევიმუშაოთ ახლავე შეთანხმებისა და თანდათანობითი შეერთების უაღრესად დაწკრილებითი მოდუსი. თუ შევძლებთ, შეთანხმებას განვახორციელებთ ახლავე, ხოლო შეერთების გეგმას წარვუდგენთ მე-4 ყრილობას, რომელიც მაშინ საჭიროა მოწვეულ იქნეს ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას, უმცირესობის ყველა ორგანიზაციის აუცილებელ ყრილობასთან ერთად. დიდი მნიშვნელობა აქვს მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მენშევიკებს არა აქვთ ცენტრი, რომლის გადაწყვეტილებანი მათთვის სავალდებულო იქნებოდა. «ისკრა» არ ექვემდებარება საორგანიზაციო კომისიას. ჩვენ არ უნდა შევასრულოთ რეგვნების როლი და მოლაპარაკება არ უნდა გავმართოთ ადამიანებთან, რომლებსაც უფლება არა აქვთ და არ შეუძლიათ ილაპარაკონ მთელი უმცირესობის სახელით. ამიტომ საჭიროა თავიდანვე გავაფრთხილოთ, რომ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან მოწყობილ კრებაზე უმცირესობის დელეგატები უნდა იყვნენ საორგანიზაციო კომისიისგანაც და «ისკრისგანაც», გაოდა ამისა პირობა უნდა დადონ, რომ მოკლე ვადაში გამოკითხავენ უმცირესობის ყველა ორგანიზაციას და მოგვცემენ მათს სიას. თუმცა, თუ რუსული თვალსაზრისით თქვენთვის მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სჯარბობდნენ რუსი მენშევიკები, მაშინ მოითათბირეთ, საჭირო არიან თუ არა «ისკრის» განსაკუთრე-

ბული დელეგატები. ამაში თქვენ უკეთ გაერკვევით. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ თუ «ისკრის» თანხმობა არ იქნა, ყველა შეთანხმება ფიქცია იქნება. კიდევ ერთი კითხვა: საჭიროა თუ არა ეცნობოს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მე-3 ყრილობის საიდუმლო დადგენილება? გვაქვს თუ არა უფლება ეს გავაკეთოთ? მე ვყოყმანობ. რა თქმა უნდა, ევროპის ამხანაგ-სოციალისტებისათვის შეტყობინება «პუბლიკაცია» არ არის, და მათ შეიძლება დავავალოთ არ გამოაქვეყნონ. მაგრამ ეს მიზანშეწონილია თუ არა? თვითონ გადაწყვიტეთ. დამაკმაყოფილებელი განმარტების მიცემა ადვილია, თუნდაც რომ არ ვაცნობოთ მე-3 ყრილობის რეზოლუცია, რომელიც ჩვენ გვბოჭავს.

საორგანიზაციო კომისიის ღია წერილს დავბეჭდავ «პროლეტარის» № 11-ში (№ 10 უკვე გამოდის), წინათ იმიტომ არ ვბეჭდავდი, რომ თქვენგან ველოდი განმარტებას, რომელიც მხოლოდ გუშინ მოვიდა. ძალიან გთხოვთ ყოველ დოკუმენტს წააწეროთ, დავბეჭდოთ იგი თუ არა და მაშინვე დავბეჭდოთ თუ არა.

მაშასადამე, გვიპასუხეთ რაც შეიძლება მალე ვერნერისა და შმიდტის სახელით იმაზე მაინც: 1) თვითონ მისწერთ პასუხს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს თუ მე მავალებთ? 2) იწონებთ თუ არა ჩემს პასუხს? 3) თუ არა, ძალიან გთხოვთ დააჩქაროთ პასუხი, რომ სავსებით გავერკვიოთ ჩვენს ურთიერთობაში: ასეთ საქმეში ყოველგვარ გაუგებრობას ან ბუნდოვანობას ან ცნობის უქონლობას დიდი საფრთხე მოსდევს.

P. S. გთხოვთ ჩემი წერილები გადაუგზავნოთ ხოლმე დიუბუას, მისი მისამართი არა მაქვს.

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

143

ა. ვ. ლუნაჩარსკის

2. VIII. 05.

ძვირფასო ან. ვას.! გუშინ გამოგიგზავნეთ «საქმიანი» წერილი და გთხოვდით გამოგეგზავნათ «ისკრა» № 105 * და პლეხანოვის ლ. ფეიერბახი. დღეს მინდა გესაუბროთ მიმდინარე საქმეების მოუხსენიებლად.

ჩვენი ხალხი ჟენევაში ცუდ გუნებაზეა. ხშირად მიკვირს, რა ცოტაა იმისათვის საჭირო, რომ ადამიანები, რომლებიც არ არიან სავსებით დამოუკიდებელნი და მიჩვეული არ არიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ მუშაობას, სულით დაეცნენ და ჭმუნვამ შეიპყროს. ჩვენს ჟენეველ ბოლშევიკებს კი ჭმუნვა ძლიერ იპყრობს. სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს, მე-3 ყრილობას იგი, რასაკვირველია, სულაც არ დაუმთავრებია, არამედ მხოლოდ გახსნა მისი ახალი ფაზა, ისკრელები მოძრავნი და მოფუსფუსენი არიან, ვაჭრულად უსირცხვილონი, დემაგოგიის ხანგრძლივი გამოცდილებით გამოწრთობილნი, — ჩვენებში კი ჭარბობს რაღაც «კეთილსინდისიერი სისულელე» თუ «სულელური კეთილსინდისიერება». თვითონ არ იციან ბრძოლა, მოუხერხებლები, უმოქმედოები, მოუქნელები, მორცხვები არიან... კარგი ბიჭები არიან, მაგრამ სრულიად უვარგისი პოლიტიკოსები. არა აქვთ სიმტკიცე, საბრძოლო სულისკვეთება, სიმარჯვე, სისწრაფე. ვას. ვას. ამ მხრივ მეტად ტიპიურია: იგი, შესანიშნავი პიროვნება, უერთგულესი მუშაკი, უპატიოსნესი ადამიანი, ვშიშობ, ვერასოდეს ვერ

* ამბობენ, მოწინავე საშინელი სისულელეაო! ხომ არ დაწერთ რაც შეიძლება მალე მის წინააღმდეგ? თუ ჰო, მ ი დ ე პ ე შ ე თ.

გახდება პ ო ლ ი ტ ი კ ო ს ი. მეტად კეთილია, — არც კი გჯერა, რომ «გალიორკას» ბროშურები მისი დაწერილია. საბრძოლო სულისკვეთება არ შეაქვს არც ორგანოში (სულ ნანობს, რომ ნებას არ ვაძლევ წეროს კეთილი სტატიები ბუნდის შესახებ!), არც კოლონიაში. რაღაც წუწუნის განწყობილებაა გამეფებული, და მე (სულ სამი კვირაა აგარაკზე ვარ და ქალაქში ჩავდივარ 4 — 5 საათით კვირაში ს ა მ ჯ ე რ, ხან კი ო თ ხ ჯ ე რ ა ც!) მისაყვედურებს ყველა, რომ საქმეს თავს ვერ აბამენ, რომ მენშევიკები უფრო მარჯვე არიან და სხვ. და ა. შ.!!

ჩვენი ცენტრალური კომიტეტიც, ჯერ-1, ბევრი ვერაფერი «პოლიტიკოსია», ისიც მეტად კეთილია, მასაც აკლია სიმტკიცე, მოხერხებულობა, გულისხმიერება, იმის უნარი, რომ პარტიულ ბრძოლაში ყოველი წვრილმანი პოლიტიკურად გამოიყენოს. მე-2-ეც, მას ქედმაღლურად ეზიზღება უცხოეთი და დაჟინებით არ უშვებს აქ ყველა საუკეთესო ადამიანს ან აქედან მიჰყავს ისინი. და ჩვენ აქ, უცხოეთში, უკან აღმოვჩნდებით ხოლმე. არ გვყოფნის ფერმენტი, ბიძგები, იმპულსები. ადამიანებს უნარი არა აქვთ თვითონ იმოქმედონ და იბრძოლონ. არ გვყოფნის ორატორები ჩვენს კრებებზე. არავინ გვყავს მხნეობის ჩამნერგავი, საკითხის პრინციპულად დამყენებელი, ისეთი, რომ შეეძლოს ჟენევის ჭაობს ზევით აამაღლოს ხალხი, აიყვანოს უფრო სერიოზული ინტერესებისა და საკითხების სფეროში. და მთელი საქმე ზიანდება. პოლიტიკურ ბრძოლაში შეჩერება სიკვდილია. უამრავი მოთხოვნილებებია და ისინი სულ უფრო მატულობენ. ახალისკრელები არ თვლემენ (ახლა კიდეკ მათ «გადაიბირეს» ჟენევაში ჩამოსული მატროსები, აღბათ მიიტყუეს ისინი თავიანთი დამახასიათებელი ვაჭრული რეკლამიზმით პოლიტიკაში და გაძლიერებით marktschreien *, უკანა რიცხვით ოდესის ამბებს «იყენებენ» თავიანთი კოტერიის სასარგებლოდ). ჩვენ მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ ცოტა ძალები გვყავს. ვას. ვას. არ ვიცი როდის დაწერს, ხოლო როგორც ორატორი

* — ეპატიჟებიან თავიანთ დუქანში. რ ე დ.

და პოლიტიკური ცენტრი იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, უმალ თვითონ მოჰყვება წუწუნს, ვიდრე გაამხნეოს ადამიანები და პედაგოგიურად დატუქსოს ისინი. შვარცი აქ არ არის: იქიდან გულმოდგინედ და კარგად გვწერს, თითქოს უკეთესადაც წერს, ვიდრე აქ, მაგრამ მხოლოდ წერს. ხოლო ადამიანებზე პირადი ზემოქმედება და ხალხისა და კრებების წარმართვა მას იშვიათად შეუძლია მაშინაც კი, როცა ჟენევაშია. ცენტრი აქ დიდია, სერიოზული. მრავალია რუსეთელი. უამრავი მოდის. ზაფხული განსაკუთრებით გაცხოველებული მომენტიც კია, ვინაიდან ჟენევაში ჩამოსულ მრავალ რუსეთელ ტურისტთა შორის არის გარკვეული პროცენტი ადამიანებისა, რომლებიც საჭიროა და შეიძლება გამოვიყენოთ, ავამოქმედოთ, ჩავაბათ, გზა ვუჩვენოთ.

იფიქრეთ ყოველივე ამაზე და მომწერეთ უფრო დაწვრილებით (სჯობს პირადი მისამართით: 3. Rue David Dufour). გახსოვთ, თქვენ მწერდით: ჟენევაში ჩემი არყოფნა ზიანს არ მოიტანს, ვინაიდან შორიდანაც ბევრსა ვწერო. ეს სწორია, რომ ბევრსა წერთ, და გაზეთის გაძღოლა ძ ლ ი ვ ძ ლ ი ვ ო ბ ი თ შეიძლება (მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ძლივ-ძლივობით, ჩვენ კი საშინლად გვესაჭიროება უფრო მეტი რამ). მაგრამ ზიანი არამც თუ არის, არამედ უდიდესი ზიანიცაა, რომელიც დღითი დღე სულ უფრო გარკვეულად იგრძნობა. პირადი ზემოქმედება და კრებებზე გამოსვლა პოლიტიკაში ძალიან ბევრს ნიშნავს. უამისოდ არ არის პოლიტიკური მოღვაწეობა, და თვით წერაც ნაკლებ პოლიტიკური ხდება. ხოლო როცა გვყავს მოწინააღმდეგე, რომელსაც საზღვარგარეთ დიდი ძალები ჰყავს, ყოველკვირა იმდენს ვკარგავთ, რომ, ალბათ, ერთ თვეშიც ვერ ავანაზღაურებთ. პარტიისათვის ბრძოლა არ დამთავრებულა, და ნამდვილ გამარჯვებამდე მას ვერ მიიყვან, თუ მთელი ძალები არ დაძაბე...

ხელს გართმევთ. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან იტალიაში
პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

144

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ცენტრალური კომიტეტის წევრებს ლენინისაგან

14. 8. 05.

ძვირფასო მეგობრებო! ეს არის წავიკითხე «ი ს კ რ ა შ ი», № 107, ცენტრალურ კომიტეტსა და საორგანიზაციო კომისიას შორის 12. 7. 05 გამართული თათბირის ოქმი. მეტად სამწუხაროა, რომ თქვენი დაპირებული ოქმები დღემდე ა რ მ ი მ ი ღ ი ა. არ არის წერილებიც. სწორე გითხრათ, ასე მუშაობა არ შეიძლება! მე არაფერი არ ვიცოდი არც «ღია წერილის» გამოშვების გეგმის შესახებ, — არც მოლაპარაკების გეგმის შესახებ, — არც ამა და ამ დათმობათა გეგმის შესახებ. განა შეიძლება ასეთი დამოკიდებულება კოლეგიის წევრისადმი?? დაფიქრდით, რა მდგომარეობაში მაყენებთ! მდგომარეობა აბსოლუტურად შეუწყნარებელია, ვინაიდან სწორედ აქ, საზღვარგარეთ, აშკარა პასუხი ყველას მე უნდა გავცე, — თქვენ თვითონ უნდა აღიაროთ ეს, თუ დინჯად დაუფიქრდებით.

თქვენი პასუხი საორგანიზაციო კომისიისადმი მთელ რიგ გაუგებრობებს იწვევს. ვერაფერი გამიგია — თვალთმაქცობთ, თუ რა არის?? განა დაგავიწყდათ, რომ არსებობს მე-3 ყრილობის პირდაპირი რეზოლუცია, რომ საჭიროა ახალმა ყრილობამ დაამტკიცოს შეერთების პირობები?? როგორ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი კოოპტაციაზე ცენტრალურ კომიტეტში, როცა ორი მეტოქე ორგანო არსებობს?? როგორ შეიძლება უპასუხოდ იქნეს დატოვებული ორი ცენტრალური

ორგანოს დაშვება, ე. ი. სრული დარღვევა წესდებისაც და მე-3 ყრილობის გადაწყვეტილებებისაც?? როგორ შეიძლებოდა მენშევიკებისათვის არ წაგვეყენებინა პრინციპული ულტიმატუმი საორგანიზაციო საკითხში: (1) პლებისციტების მაგიერ ყრილობები, როგორც პარტიის უმაღლესი ორგანო; (2) პარტიული ლიტერატურის უთუო დაქვემდებარება პარტიისადმი; (3) ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი არჩევნები; (4) უმცირესობის (უბრჭყალებოდ) დამორჩილება უმრავლესობისადმი და სხვ.??

ნუთუ არ გაფრთხილებთ სავალალო გამოცდილება ტრანსპორტის შესახებ «შეთანხმებისა», რომელიც მაშინვე ჩაშალა სიურტუკმა და ამით ახალი დიდი გაბოროტება გამოიწვია?? მომავალი ერთიანობის საქმეს ისეთ ზიანს ვერაფერი ვერ მოუტანს, როგორსაც ფიქტიური შეთანხმება, რომელიც ვერავის ვერ აკმაყოფილებს და რომელიც ტოვებს ნიადაგს ბრძოლისათვის: ასეთი «შეთანხმება» მხოლოდ გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ გამოიწვევს ახალ გათიშვას და გაათკეცებულ გაბოროტებას!

ან იქნებ თვალთმაქცობთ? იმედი გაქვთ, რომ «მოატყუებთ» საორგანიზაციო კომისიას ან წააჩხუბებთ რუსეთელ მენშევიკებს საზღვარგარეთელ მენშევიკებთან?? განა საკმარისი არ იყო ამ საქმეში მიღებული გამოცდილება, რომელიც ცხადყოფს, რომ ასეთი ცდები ფუჭია?

სავსებით სერიოზულად ვიმეორებ: ა უ ტ ა ნ ე ლ მდგომარეობაში მაყენებთ. არ ვაზვიადებ. დაბეჯითებით გთხოვთ მიპასუხოთ: 1) გვექნება თუ არა ყრილობა 1. IX, როგორც გადავწყვიტეთ, თუ თქვენ გააუქმეთ ეს გადაწყვეტილება? 2) თუ გააუქმეთ, მაშინ როგორ, როდის და სად იქნება თქვენი (ცენტრალური კომიტეტის წევრების) ყრილობა და რა ზომების მიღებას აპირებთ, რომ შემეძლოს ხმა მოგაწვდინოთ და (რაც გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო მნიშვნელოვანია) გავიგო თქვენი ნ ა მ დ ვ ი ლ ი განზრახვები. შეხვედრა უაღრესად საჭიროა ათასი საქმის გამო. ფული არა გვაქვს. გერმანელები რატომღაც არ იძლევიან. 3 000 მანეთს თუ არ გამოგზავნით, გავკოტრდებით. თითქმის ყველა ოქმი [236] აწყო-

ბილია, გამოსაცემად საჭიროა 1 500 მან. სალარო ისეა ცარიელი, როგორც ჯერ ერთხელაც არ ყოფილა.

ეს რა რეზოლუციაა ორიოლ-ბრიანსკის კომიტეტისა? («ისკრა № 106) [237]. რაღაც გაუგებრობაა. ღვთის გულისათვის, მაცნობეთ, რა იცით. არ შეიძლება იქ გაიგზავნოს ვინმე, მაგალითად, ლიუბიჩი ვორონეჟიდან?

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

145

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ძვირფასო ან. ვ.!

მივიღე თქვენი წერილი. სჯობს მომწეროთ ხოლმე ჩემი პირადი მისამართით: 3. Rue David Dufour.

რაც შეეხება კოსტროვის ბროშურას, არ ვიცი როგორ მოვიქცე. დაბეჭდილი ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ ძველი ხელნაწერის მიხედვით ვიცი, რა ხილია. თქვენ სავსებით მართალი ხართ, რომ ეს სწორედ «შავრაზმული ლიტერატურაა». როგორ ვუპასუხოო? — მეკითხებით.

ვას. ვას. «პროლეტარისათვის» დაწერა წერილი — მკრთალია, არ მინდა დავბეჭდო. ოლინმა წაიკითხა რეფერატი და ისიც წერს, — მაგრამ ვერ შეძლებს. აქ, ჩემი აზრით, ორი რამ არის საჭირო: ჯერ-1, «გათიშვის ისტორიის მოკლე ნარკვევი». პოპულარული. თავიდან, ეკონომიზმიდან. ზუსტი დოკუმენტებით. დაყოფილი პერიოდებად: 1901 — 1903; 1903 (II ყრილობა); 26. VIII. 903 — 26. XI. 03; 26. XI. 03 — I. 04; I — VIII. 04; VIII. 04 — V. 05; V. 05 (III ყრილობა).

ვფიქრობ, ამის დაწერა შეიძლება ისე გარკვეულად, ზუსტად, მოკლედ, რომ წაიკითხავდნენ ისინიც, ვისაც კოსტროვი მიმართავს.

მე-2, საჭიროა ამ შავრაზმელების ცოცხალი, მკვეთრი, მ ა ხ ვ ი ლ ი და დაწვრილებითი დახასიათება (ლიტერატურულ-კრიტიკული) [238]. არსებითად ხომ ეს სიყალბე აქვს საფუძვლად აღებული ლ. მ — საც (წაიკითხეთ უმსგავსობა

№ 107-ში? შვარცი უპასუხებს სტატიით. არ ვიცი, ღირს თუ არა?) — და სტაროვერსაც. კარგი იქნება შეგროვებულ იქნეს მთელი რიგი ასეთი სტატიები და ბროშურები, გაშუქდეს უხეში სიცრუე, მ ხ ი ლ ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ს იგი ისე, **რომ** შეუძლებელი იყოს თავის დაძვრენა, გაიკიცხოს და სამარცხვინო ბოძზე გაიკრას სწორედ როგორც «შავრაზმული ლიტერატურა». ახალისკრელებმა ახლა აუარებელი მასალა მოგვცეს, და იგი რომ გულმოდგინედ დამუშავდეს, ჭ ო რ ი ს, მაბეზღარობის etc. etc. ეს ბილწი ხერხები რომ გაშუქდეს მთელი თავისი მშვენიერებით, — ძლიერი რამ გამოვიდოდა. მარტო ლ. მ — ს ეს ყრუ «პირადი გადაკრული სიტყვები» — რა უსაზღვრო სისაძაგლეა!!

პირველ თემას, იქნებ, მოვკიდო ხელი, მაგრამ ახლა ვერა, ვერც მალე; არა მცალია * (შემდეგ კი, შეიძლება, სულაც დაგვიანებული იყოს!).

მეორეს ხელს არ მოვკიდებდი და ვფიქრობ, რომ ამის გაკეთება მ ხ ო ლ ო დ თქვენ შეგიძლიათ. თქმა არ უნდა, ცუდი სამუშაოა, მყრალი, — მაგრამ ჩვენ ხომ აზიზი ხალხი კი არა, გაზეთის მუშაკები ვართ, და «საზიზღრობისა და გესლის» გაუკიცხავად დატოვება შეუწყნარებელია სოციალ-დემოკრატიის პუბლიცისტებისათვის.

იფიქრეთ ამაზე და მომწერეთ.

ბროშურა მასობრივი პოლიტიკური გაფიცვის შესახებ უნდა მივცეთ, — ეს თქვენ არ გაგიძნელდებათ.

აუცილებლად უნდა განაგრძოთ პოპულარული ბროშურების მიცემაც, შეარჩიოთ რომელიმე ყველაზე საჭირბოროტო თემა. სახელდობრ რომელი, — არ ვიცი. ბულიგინის სათათბიროს შესახებ? უნდა დაველოდოთ გამოქვეყნებას [240].

* ახლა ჩავუჯდები პასუხს პლეხანოვისადმი («სოციალ-დემოკრატი» № 2). ტყავი უნდა გავაძრო, რადგან მასაც ბლომად აქვს საზიზღრობანი და უბადრუკი არგუმენტები. იმედი მაქვს, ამას შევძლებ.

შემდეგ გონებაში მიტრიალებს გეგმა პოპულარული ბროშურისა: «მუშათა კლასი და რევოლუცია» [239] — დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების დახასიათება, შემდეგ დასკვნები აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ და სხვ.. ვფიქრობ ასეთი ბროშურა საჭიროა.

კარგი იქნება დავწეროთ მუშათა ორგანიზაციაზე. დავუპირდაპიროთ ერთმანეთს ჩვენი წესდება (მე-3 ყრილობა) და კონფერენციის წესდება, დავღეჭოთ, განვმარტოთ იდეა, მნიშვნელობა და ხერხები პროლეტარიატის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ორგანიზაციისა (განსაკუთრებით აჯანყებისათვის), განსხვავება პარტიული და პარტიის მომხრე ორგანიზაციებისა და სხვ.. ეს ნაწილობრივ იქნება კოსტროვისადმი პასუხიც, პოპულარული, მასისათვის, საჭირბოროტო თემაზე. აბა სცადეთ!

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. 15 და 19 აგვისტოს შუა
გაგზავნილია ჟენევიდან იტალიაში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

146

პ. ნ. ლეპეშინსკის

ამხ. ოლინს, რომელმაც ხელი მოაწერა
რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის
ჟენევის ჯგუფის მდივნის მაგიერ

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის დადგენილება, რომელიც მთლიანად წაკითხულ უნდა იქნეს ჯგუფის უახლოეს კრებაზე (ე. ი. 29 აგვისტოს, დღეს, თუ ამ დადგენილებას კრების დროს მოიტანენ) [241].

დღეს, 905 წლის 29 აგვისტოს საღამოს 8 საათზე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელმა წარმომადგენელმა მიიღო ექსპედიციის კოლეგიისადმი ჟენევის ჯგუფის წერილისა და ამ უკანასკნელისადმი პირველის პასუხის პირები.

ამ დოკუმენტების გამო რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენელი ჟენევის ჯგუფს განუმარტავს, რომ ამ ჯგუფმა გამოიჩინა პარტიული დისციპლინის გაუგებლობა და დაარღვია პარტიის წესდება. ექსპედიტორები ცენტრალური კომიტეტის აგენტები არიან. ცენტრალური კომიტეტის აგენტების მიმართ ყოველი უკმაყოფილება უწინარეს ყოვლისა თვით ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა განიხილოს. პარტიის შიგნით ყველა კონფლიქტს, წესდების მიხედვით, არჩევს ცენტრალური კომიტეტი, და მით უმეტეს კონფლიქტებს ცენტრალური კომიტეტის აგენტებსა და პარტიის იმ წევრებს შორის, რომლებიც პარტიის სხვადასხვა ორგანიზაციას ეკუთვნიან. ამიტომ ჯგუფის კრებაზე ცენტრალური კომიტეტის აგენტების მიწვევა ამ ჯგუფის მხრივ იყო ფორმალურად საერთოდ არასწორი და განსაკუთრებით უტაქტო ნაბიჯი.

ხოლო თუ ეს მიწვევა ნავარაუდევი იყო არა როგორც ფორმალური ნაბიჯი, იგი არ უნდა ყოფილიყო წერილობითი და ოფიციალური.

«თანამდებობის პირთა» «პირადი ქცევა» ან მართლაც მხოლოდ პირადია (თანამდებობის გარეშე, თანამდებობისაგან დამოუკიდებლად), და მაშინ ჯგუფის მიერ მისი გარჩევა კინკლაობაა. ანდა პირად მოქმედებას კავშირი აქვს თანამდებობასთან — მაშინ პარტიის ყოველი წევრი, რომელიც უკმაყოფილოა ამ ქცევით და მოითხოვს უკმაყოფილების ფორმალურად, ოფიციალურად გარჩევას, ვალდებულია უწინარეს ყოვლისა ფორმალურად მიმართოს ცენტრალურ კომიტეტს. როცა რსდმ პარტიის ჟენევის ჯგუფმა დაუშვა, რომ ცენტრალური კომიტეტის აგენტების მიმართ უკმაყოფილების შესახებ ფორმალურად გასარჩევი საკითხები ჯგუფის წინაშე «აღმოცენებულიყო» მანამდე, სანამ ამას ფორმალურადვე აცნობებდა ცენტრალურ კომიტეტს, ამით მან კვლავ დაუშვა პარტიული დისციპლინისა და პარტიის წესდების გაუგებლობა.

ჩემ მიერ ახლა აღნიშნული განსხვავება კინკლაობასა და თანამდებობის პირის კრიტიკას (კრიტიკას, რომელიც სავალდებულოა პარტიის ყოველი წევრისათვის, მაგრამ აშკარა და პირდაპირ ცენტრალური დაწესებულებებისა ან ყრილობისადმი მიმართული ფორმით, და არა არალეგალურ, კერძო და წრეობრივ კრიტიკას) შორის, ეს განსხვავება ჯგუფს, როგორც ჩანს, ბუნდოვნად ესმის.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელ წარმომადგენელს მოვალეობად მიაჩნია გააფრთხილოს ჯგუფის ყველა ახალგაზრდა ამხანაგი. საზღვარგარეთის «კოლონიურ» წრეში ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ დაავადდნენ კინკლაობის, ჭორების, მითქმა-მოთქმის სენით; ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ძალიან ცუდად ასრულებენ ცენტრალური კომიტეტის ან ყრილობის მიერ მათთვის დავალებულ ფუნქციას, მაგრამ ადვილად ლაყბობენ პარტიის სხვა წევრე-

ბის მიერ სხვა ფუნქციების არადამაკმაყოფილებლად შესრულებაზე. ხშირად შეიძლება ამ ადამიანებს სერიოზულად მოუსმინონ ამხანაგებმა გამოუცდელობის, ცნობისმოყვარეობის, უხასიათობის გამო. ნამდვილად კი ასეთ ადამიანებს არათუ არ უნდა მოვუსმინოთ, არამედ ისინი მაშინვე უნდა გავაჩეროთ, **ნება არ მივცეთ** აღძრან ფორმალური საკითხები «თანამდებობის პირთა პირადი ქცევის» შესახებ, სანამ ეს საკითხები ფორმალურადვე არ იქნება გადაცემული პარტიის სათანადო დაწესებულებათა განსახილველად და მათ მიერ არ იქნება გარჩეული, გადაჭრილი.

პარტიის საზღვარგარეთელი წევრები ადვილად დაავადდებიან ხოლმე ჩემ მიერ აღნიშნული სენით, მაგრამ ყველა ახალგაზრდა და საღი ნერვების პატრონმა ამხანაგმა მკაცრად უნდა ადევნოს თვალი თავის თავს და სხვებს, რადგან ამ სენთან ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა დაუყოვნებლივი და უაღრესად ულმობელი შეწყვეტა კინკლაობის და მითქმა-მოთქმის ყოველი ცდისა მის დასაწყისშივე.

აი ამიტომ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენელი ადგენს:

I — ეთხოვოს ჟენევის ჯგუფს უკან წაიღოს თავისი 28 აგვისტოს წერილი ექსპედიციისადმი.

ეს იქნებოდა საუკეთესო და უსწრაფესი შეწყვეტა ცუდი საქმისა, რომელსაც თვით ვითარების გამო შეიძლება მოჰყვეს უაღრესად არასასიამოვნო კინკლაობა და განხეთქილება.

ჯგუფი, რა თქმა უნდა, ვალდებული არ არის შეასრულოს თხოვნა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის სახელით შემომაქვს. ჩემს თავს ნებას ვაძლევ მოგმართოთ ამ თხოვნით, ვინაიდან საქმე მაქვს ამხანაგებთან, რომლებთანაც ჯერ ერთხელაც არ მქონია არც ერთი ფორმალური კონფლიქტი.

II. თუ ჯგუფი ჩემს თხოვნას უარყოფს, მაშინ დადგენილების I პუნქტი უქმდება. მაშინ ჯგუფს წინადადებას ვაძლევ:

1) მაცნობოს, აპირებს თუ არა იგი დაემორჩილოს პარტიის წესდების ზემოთ მოყვანილ განმარტებას, ე. ი. დაემორჩილოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს, რ ო მ ე ლ ი ც მ ე გ ა ვ ა კ ე თ ე ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ს ა ხ ე ლ ი თ (ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს (ა) ცენტრალური კომიტეტის სრულ კრებაზე და (ბ) ყრილობაზე, მაგრამ, სანამ მას უმაღლესი დაწესებულება გააუქმებდეს, იგი სავალდებულოა).

2) მომაწოდოს, პარტიის წესდების § 11-ის საფუძველზე, ყველა ცნობა ჯგუფის პირადი შემადგენლობის შესახებ და ამ უბედურ საქმეში «მთელი მისი საქმიანობის» (ხმის მიცემის და სხვ.) შესახებ.

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი
წარმომადგენელი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. 29 აგვისტოს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

147

პ. ნ. ლეპეშინსკის

ამხ. ვას. ვ — ის თხოვნით ვიძლევი ჩემი დადგენილების იმ ადგილის განმარტებას, რომელზეც მან მიმითითა (რომ შეიძლება აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმეს ცუდად ასრულებენ, მაგრამ ხალისით ლაყბობენ სხვის ნაკლოვანებებზე). უსაფუძვლოა ვარაუდი, რომ მე აქ მინდოდა ვინმესთვის დამედო ბრალი და სხვ.. თ ვ ი თ ე უ ლ პარტიულ მუშაკს აქვს თავისი ნაკლოვანებანი და მინუსები მუშაობაში, მაგრამ **სიფრთხილე** გვმართებს, რომ ნაკლოვანებათა კრიტიკის ან პარტიის ცენტრების წინაშე მათი გარჩევის დროს არ გადავცდეთ იმ საზღვარს, საიდანაც მითქმა-მოთქმა იწყება. ჩემი დადგენილების მთელი აზრი მდგომარეობს სწორედ ამ **გაფრთხილებასა** და თ ხ ო ვ ნ ა შ ი ერთბაშად შეწყდეს არასწორად და ცუდად დაწყებული საქმე.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. 29 აგვისტოს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

148

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ძვირფასო ან. ვ.!

ძლიერ გამახარა თქვენმა გეგმამ ბროშურისა: «3 რევოლუცია». სჯობს ჯერჯერობით თავი დაანებოთ პლეხანოვისადმი პასუხს: დაე იყეფოს ამ გაბოროტებულმა დოქტრინიორმა. ასეთ მომენტში ღირს ფილოსოფიის სპეციალურად ქექვა!? რაც ძალი და ღონე გვაქვს უნდა ვიმუშაოთ ს.-დ-სათვის, — ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ანგაჟირებული ხართ მ თ ე ლ ი თ ქ ვ ე ნ ი ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ი თ.

3 რევოლუციას კი რაც შეიძლება მალე მტკიცედ მოჰკიდეთ ხელი. ეს თემა გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე დ, კარგად უნდა დამუშავდეს. დარწმუნებული ვარ, რომ იგი თქვენ გამოგივათ. პოპულარულად უნდა ითქვას სოციალიზმის ამოცანებზე, მის არსზე და განხორციელების პირობებზე. შემდეგ — გამარჯვება ახლანდელ რევოლუციაში, გლეხთა მოძრაობის მნიშვნელობა (განსაკუთრებული თავი), ა ხ ლ ა რაში შეიძლება იყოს სრული გამარჯვება? დროებითი მთავრობა, რევოლუციური არმია, აჯანყება — ბრძოლის ახალი ფორმების მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა და პ ი რ ო ბ ე ბ ი. რევოლუცია à la 1789 და à la 1848. ბოლოს (ეს უმჯობესია გაკეთდეს მეორე ნაწილად, ხოლო წინა — მესამე ნაწილად), რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ, უფრო დაწვრილებით ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მხარის შესახებ, შემდეგ კი ოსვობოჟდენიელების მხილება, დაწვრილებით გარჩევა მთელი მათი ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ა, ტაქტიკისა, პოლიტიკანობისა.

მართლაც, მდიდარი და «ისკრის» უხამსთა წინააღმდეგ საბრძოლო თემაა. გთხოვთ მალე შეუდგეთ და რაც შეიძლება მეტი იმუშაოთ მასზე. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თემაზე შინაარსიანი პოპულარული ბროშურის დაწერას.

მერე გათიშვის შესახებ. თქვენ ვერ მიმიხვდით. თქვენთვის საჭირო არ არის მე მელოდოთ, ვინაიდან ეს სხვადასხვა თემებია: ერთი — ისტორიაა (ვეცადოთ ჩამოვაყალიბოთ ოგი); მეორე — ნარკვევი პოლემიკის მათი ხერხების შესახებ. ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევი თემაზე: ვთქვათ, «უხეირო ლიტერატურა». აქ უკვე გავარჩიოთ, მთელი ბროშურის რამდენიმე თავში, ციტატებითა და განმარტებით სტაროვერის, მარტოვის და სხვ. მთელი ეს უხამსობა «პროლეტართან» მათს პოლემიკაში, აგრეთვე გადამღერებანი «უმრავლესობა თუ უმცირესობაში» და სხვ.. სამარცხვინო ბოძზე გააკარით ისინი ომის მათი უ ბ ა დ რ უ კ ი **ხერხისათვის.** მათგან ტ ი პ ი გააკეთეთ. დახატეთ მათი მთლიანი პორტრეტი მათივე ნაწარმოებებიდან აღებული ციტატების მიხედვით. დარწმუნებული ვარ, ეს გამოგივათ, ოღონდ ცოტა ციტატების მოგროვებაა საჭირო.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. სტატია კუზმინ-კარავაევის შესახებ მივიღე. მივიღე ფელეტონიც 48 წ.

დაწერილია 1905 წ. აგვისტოს დამლევს
გაგზავნილია ჟენევიდან იტალიაში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

149

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ცენტრალური კომიტეტის წევრებს ლენინისაგან

7 სექტემბერი 1905 წ.

ძვირფასო მეგობრებო! დღეს მივიღე ცნობა, რომ თქვენ თანახმა ხართ მოეწყოს კონფერენცია ბუნდთან, ლატვიელებთან etc. ერთად სახელმწიფო სათათბიროს შესახებ [242]. მხოლოდ დღეს, თუმცა საქმე ერთი თვის წინათ მოხდა! ისღა დამრჩენია, რომ ერთხელ კიდევ მოგწეროთ «პროტესტი» (საქმე, რომელიც, მგონი, ჩემი პროფესია ხდება)...

პირდაპირ გეუბნებით, მე-4 ყრილობის წინაშე ფორმალურად დაგდებთ ბრალს დანაშაულში, რომელსაც «პარტიის წესდებისა და ნების საწინააღმდეგოდ ორცენტრიანობის აღდგენა» ეწოდება. ღმერთმანი, ვიზამ ამას. განა თქვენ ორცენტრიანობა არ შემოიღეთ, აბა დაუფიქრდით! მე ხომ თანამდებობის მიხედვით ვალდებული ვარ ვუხელმძღვანელო ცენტრალური კომიტეტის ორგანოს? ხომ ასეა? მაგრამ როგორ შემიძლია ამის შესრულება, როცა ტაქტიკის არც ერთ საკითხზე სრულებით არაფერს არ მწერენ, ხოლო ფორრრრმალურ შეკითხვას ახ. სტ. 1 სექტემბრისათვის «დანიშნული» შეხვედრის შესახებ უპასუხოდ ტოვებენ! აბა იფიქრეთ, რა გამოვა, ჩვენში უთანხმოება რომ დაიწყოს! ნუთუ ძნელია ვინმეს დროზე მოაწერინოთ «სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის» საქმეებზე მაინც??

სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მე ვწერდი «პროლეტარის» № 12, 14 და 15-ში. ვწერ № 16-შიც, რომელიც გა-

მოვა 12 სექტემბერს ახალი სტილით[243]. ბუნდი «პოსლედნიე იზვესტიაში» (1 სექტემბრისა ახ. სტ., № 247) სისულელეებს როშავს. ჩვენ მას ისე გავამათრახებთ, რომ თავის დღეში არ დაავიწყდება. ეს ბუნდელები ისეთი გონებაჩლუნგები და ბაქიები, რეგვნები და იდიოტები არიან, რომ კაცს პირდაპირ მოთმინება ეკარგება. «ისკრამ» ძალიან იცრუა, განსაკუთრებით მარტოვმა Wiener «Arbeiter-Zeitung»-ში * (24 აგვისტოსი ახ. სტ. — თარგმანი «პროლეტარის» № 15-ში). ღვთის გულისათვის, ნუ აჩქარდებით ოფიციალური რეზოლუციის მიღების საქმეში და ოდნავაც ნუ დაუთმობთ ბუნდელთა და ახალისკრელთა ამ კონფერენციას. ნუთუ უოქმებოდ იქნება?? განა შეიძლება ამ როსკიპებთან კონფერენციის ჩატარება უოქმებოდ?

განსაკუთრებით გაფრთხილებთ «სომხეთის ს.-დ. ფედერაციის» შესახებ. თუ დათანხმდით, რომ მან მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში, ჩაგიდენიათ ს ა ბ ე დ ი ს წ ე რ ო შეცდომა, რომელიც რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა გ ი ჯ დ ე თ უნდა გამოასწოროთ. ესენია ორიოდე ჟენეველი დეზორგანიზატორი, რომლებიც აქ ბეჭდავენ სულ უმნიშვნელო რაღაცეებს და რომლებსაც არავითარი ს ე რ ი ო ზ უ ლ ი კავშირი არა აქვთ კავკასიაში. ესენია ბ უ ნ დ ი ს კ რ ე ა ტ უ რ ა და მეტი არაფერი, სპეციალურად გამოგონებული კავკასიის ბუნდიზმის საზრდოობისათვის. თუ ამ ხალხს დაუშვებთ რ უ ს ე თ ი ს კონფერენციაზე, ე. ი. რუსეთში მომუშავე ორგანიზაციების კონფერენციაზე, უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით. ყველა კავკასიელი ამხანაგი წინააღმდეგია ლიტერატორ-დეზორგანიზატორთა ამ ხროვისა (ეს ბევრისაგან ვიცი); და მათ მალე გავანადგურებთ «პროლეტარში». თქვენ მხოლოდ კავკასიის პროტესტებს და «ზავისა» და «გაერთიანების» ნაცვლად ა ხ ა ლ კინკლაობას გამოიწვევთ. ერთი მიბრძანეთ, როგორ შეიძლება უგულებელყოთ კავკასიის კავშირი, რუსეთში მომუშავე მრავალი ადამიანი, და

* — ვენის «მუშათა გაზეთი». რ ე დ.

ურთიერთობა გქონდეთ ქენევის ჭაობის ნაძირალებთან!! გემუდარებით: ნუ იზამთ ამას.

მივიღე დადგენილება საორგანიზაციო კომისიასთან ფულის თანაბრად გაყოფის შესახებ. ზუსტად იქნება შესრულებული.

ხელს გართმევთ. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ქენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

150

პ. ა. კრასიკოვს

14. 9. 05.

ძვირფასო მეგობარო! ვჩქარობ გიპასუხოთ თქვენს პესიმისტურ წერილზე. ფაქტების შემოწმება არ შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, რომ აზვიადებთ, ეს ერთი. ცენტრალური კომიტეტის სახელდახელო ფურცლები კარგია, ხოლო «რაბოჩი» № 1 ძალიან კარგი[244]. ეს დიდი საქმეა. ფულის საქმე ახლა ცუდად არის, მაგრამ კავშირი გვაქვს და ვარაუდებიც ძალიან კარგია. ერთი დიდი წამოწყება, ძალიან სერიოზული და შემოსავლიანი, მოგვარებულია, ისე რომ «ფინანსისტს», უ ე ჭ ვ ე ლ ი ა, არა სძინავს. მეორე: თქვენ არასწორად უყურებთ მოვლენებს. ცენტრალურ კომიტეტში ან მისი აგენტების წრეში სრული სოლიდარობის მოლოდინი უტოპიაა. «წრე კი არა, პარტია», ძვირფასო მეგობარო! სიმძიმის ცენტრი გადაიტანეთ ადგილობრივ კომიტეტებში, ისინი **ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი** არიან, ისინი სრულ თავისუფლებას იძლევიან, ისინი არა ბოჭავენ ფულად და სხვა კავშირს, ლიტერატურაში გამოსვლას და სხვ. და სხვ.. მაშ ფრთხილად იყავით, თვითონ არ ჩაიდინოთ ის შეცდომა, რომელსაც სხვას უსაყვედურებთ: ნუ ხვნეშით, ნუ ოხრავთ, ხოლო თუ აგენტურა არ მოგწონთ, დააწექით კომიტეტების მუშაობას და თქვენს თანამოაზრეებსაც ურჩიეთ გააძლიერონ იგი. დავუშვათ, უთანხმოება გაქვთ «აგენტებთან». გაცილებით უფრო მიზანშეწონილია გაიყვანოთ თქვენი შეხედულებანი კომიტეტში, განსაკუთრებით თუ ყალიბდება შეთანხმებული, პრინციპული კომიტეტი, და გაატაროთ იქ აშკარა, პირდაპირი, მტკიცე ხაზი, ვიდრე ედავოთ

«აგენტებს». თუ თქვენ მართალი ხართ, რომ კომიტეტები ანემიას განიცდიან და «აგენტურები» უზომოდ გავსებულია, ამ სნეულების სამკურნალო საშუალება ხომ ხელთა გაქვთ: მასობრივად შედით კომიტეტებში. კომიტეტი ავტონომიურია. კომიტეტები ყრილობებზე ყველაფერს **წყვეტენ.** კომიტეტებს შეუძლიათ დაადგინონ რეზოლუციები. კომიტეტებს ბეჭდვის უფლება აქვთ. «უფროსებს» გულხელდაკრეფილნი კი ნუ უყურებთ, არამედ დამოუკიდებლად მოეკიდეთ ხელი საქმეს. ახლა ასპარეზი ფართო, თავისუფალი გაქვთ, მუშაობა დამოუკიდებელი, თავისთავადი, მადლიანი უმნიშვნელოვანეს კომიტეტში. მთელი ძალ-ღონე მოანდომეთ ამ მუშაობას, შეარჩიეთ ერთსულოვანი კომპანია, უფრო გაბედულად და უფრო ფართოდ წადით მუშებთან, ბეჭდეთ ფურცლები, **შეგვიკვეთეთ ისინი ჩვენ, შვარცს, მე, გალიორკას,** კომიტეტის სახელით ხმამაღლა განაცხადეთ თქვენი პარტიული აზრი. გარწმუნებთ, რომ ასეთი გზით თქვენ ათასჯერ მეტს გააკეთებთ იმისათვის, რომ მთელ პარტიასა და ცენტრალურ კომიტეტზე ზემოქმედება მოახდინოთ თქვენთვის სასურველი მიმართულებით, ვიდრე ცენტრალური კომიტეტის აგენტებსა და წევრებზე პირადი ზემოქმედებით. თქვენ, ჩემი აზრით, საქმეს უყურებთ ძველი, წრეობრივი, და არა პარტიული თვალსაზრისით. ცენტრალური კომიტეტი არჩევითია, ყრილობა კარზეა მომდგარი, თქვენი უფლებები ხელთა გაქვთ, ისარგებლეთ ამ უფლებებით და ყველა ენერგიული, მტკიცე თანამოაზრე წაიყვანეთ იმავე გზით: კომიტეტებში!! ზეგავლენას უნდა ახდენდეთ ფორმალურად, კომიტეტების საშუალებით, და არა აგენტებთან პირადი ლაპარაკის საშუალებით, ხომ არავინ არ არის ვალდებული გახდეს აგენტი, თუ სურს შევიდეს კომიტეტებში!

თქვენ წერთ: აგენტმა მიამლინმა განაცხადა, «ისკრის» ხლესტაკოვური შენიშვნა სამართლიანია[245]. კეთილი. ეს მისი უფლებაა. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა «ლეტუჩი ლისტოკის» № 1-ში განაცხადა, რომ ჩვენს მხარეზეა პარტიის ⅔. მაშასადამე, მიამლინმა თავი გაიმართახა! თქვენი საზრუნავია — ალაგმოთ მიამლინები და ამხილოთ, გამოააშკარაოთ

ისინი ს ა კ უ თ ა რ ი კომიტეტის საშუალებით და არა მათთან ლაპარაკით. კომიტეტები აირჩევენ ადამიანებს, რომლებიც ნიშნავენ მიამლინებს, და არა მიამლინები გადაწყვეტენ პარტიის ბედს. დაე ენერგიულმა ადამიანებმა ჩაიგდონ ხელში კომიტეტები: აი ლოზუნგი ყველასათვის, და მე გირჩევთ გაავრცელოთ იგი, შეაგნებინოთ, გაატაროთ.

აგენტი მიამლინი ორი ცენტრალური ორგანოს მომხრეა. კვლავ იბადება კითხვა: ვინ გადაწყვეტს? კომიტეტები და მათი დელეგატები მე-4 ყრილობაზე. მოამზადეთ ერთი, ორი კომიტეტი: აი თქვენთვის მადლიანი და ს ა ქ მ ი ა ნ ი ამოცანა. ვთქვათ, მიამლინებმა გაიმარჯვეს. კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ს უფლება აქვთ დააარსონ თავიანთი ორგანო, ერთ კომიტეტსაც კი!! აი რატომ სცდებით, გადადიხართ ძველ, პარტიამდელ თვალსაზრისზე, როცა წერთ: «ბეჭდავენ ტროცკის ფურცლებს» (არაფერი ცუდი აქ არ არის, თუ ფურცლები ვარგა და გასწორებულია. მე ს.-პეტერბურგის კომიტეტსაც ვურჩევ დაბეჭდოს მისი ფურცლები, ვთქვათ, თქვენ მიერ რედაქტირებული), ან როცა წერთ: «მოახლოებულია წაწყმედა à la ბორისი». არ მესმის. დავუშვათ, რომ ბორისები არიან. ასეთი განძი ყოველთვის ბევრია. დავუშვათ, რომ ბორისები და მიამლინები აღმოჩნდებიან უმრავლესობაში (კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს, ნუ დაგავიწყდებათ ეს, კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს უმრავლესობაში). მაშინ «აუარებელი წინა მუშაობა დაიღუპებაო», დაასკვნით თქვენ. რატომ? რამ დაღუპა ან როგორ დაიღუპება «პროლეტარი»?? «ორი ცენტრალური ორგანოს» უაზრობაც კი ვერ დაღუპავს «პროლეტარს», არამედ მხოლოდ აბსურდს შეიტანს წესდებაში. მაგრამ ცხოვრება ხომ დატოვებს «პროლეტარს» და აღგვის აბსურდს. «პროლეტარის» დახურვას მიამლინებიც ვერ გაბედავენ. და, ბოლოს, ავიღოთ ყველაზე უარესი ბოლო, თქვენი პესიმიზმის შესაფერი: დავუშვათ, რომ დაიხურა. და მაშინ გეკითხებით: პიტერის კომიტეტი რაღას აკეთებს? განა «პროლეტარი», როგორც პიტერის კომიტეტის ორგანო, უფრო სუსტი იქნება, ვიდრე ერთ-ერთი «ორ» ცენტრალურ ორგანოთაგან?? ახლავე მიიღეთ ენერგიული ზომები იმისათვის, რომ პიტერის კომიტეტს ჰქონდეს

არა ფორმალური, არამედ საქმიანი, მჭიდრო, მუდმივი ურთიერთობა «პროლეტართან», და — თქვენ ისე გააძლიერებთ თქვენს პოზიციას და თქვენი იდეების გავლენას, რომ ასობით მიამლინები არ იქნებიან საშიში. პიტერის კომიტეტი ისეთი ძალაა, რომელიც სამჯერ აღემატება ყველა «აგენტს» ერთად აღებულს. გახადეთ «პროლეტარი» პიტერის კომიტეტის ორგანოდ, ხოლო პიტერის კომიტეტი «პროლეტარის» ი დ ე ე ბ ი ს ა და ტაქტიკის მტკიცე გამტარებლად, ა ი რ ე ა ლ უ რ ი ბრძოლა მიამლინობასთან, და არა ბრძოლა ჩივილითა და ოხვრით. პიტერში შეიძლება მოინახოს ასობით მისამართი, შეიძლება გამოინახოს პიტერში გაგზავნის მრავალი შემთხვევა, მოწესრიგდეს საკორესპონდენტო ნაწილი, გამოცოცხლდეს ურთიერთობა, შეკვეთილ იქნეს ფურცლები, «პროლეტარის» სტატიები გამოიცეს ფურცლებად, მათი შინაარსი გადმოიცეს ფურცლებში, გადაკეთდეს ფურცლებად და სხვ. და სხვ.. ფურცლებში შეიძლება და საჭიროც არის ლაპარაკი საერთო-პარტიულ საკითხებზეც (ამ დღეებში კოსტრომის კომიტეტმა გამოგვიგზავნა რეზოლუცია საერთაშორისო ბიუროში პლეხანოვის დანიშვნის წინააღმდეგ: მარტო ცხვირ-პირის მტვრევაა, მეტი არაფერი). მიამლინობას უნდა ვებრძოლოთ კომიტეტის აგიტაციის ს ა ნ ი მ უ შ ო დაყენებით, პ ა რ ტ ი ი ს ა დ მ ი ს ა ბ რ ძ ო ლ ო ფ უ რ ც ლ ე ბ ი თ და არა შესაბრალისი საჩივრებით ცენტრალური კომიტეტისადმი!

«ზარიას» № 5-ის (??) ჩემს რა სტატიაზე (პროკოპოვიჩის შესახებ) მწერთ[246]? არ მესმის. რატომ ხართ რუბენის უკმაყოფილო? აუცილებლად უშუალოდ დამაკავშირეთ მასთანაც და ლალაიანცთანაც.

მაგრად გართმევთ ხელს. მწერეთ უფრო ხშირად და ნუ მოიწყენთ! მიამლინებს კი მიაფურთხეთ!

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

151

ს. ი. გუსევს

ნაციას ლენინისაგან

20. 9. 05.

ძვირფასო მეგობარო! გმადლობთ № 3 წერილისათვის. იქნებ მისი ნაწილი დაგბეჭდოთ. თქვენი თაოსნობაა საუბარი რედაქციასთან არა მარტო ფორმალურ საკითხებზე (წესდებაზე, კავშირებზე, მისამართებზე და სხვ.), არა მარტო საკორესპონდენტო თემებზე (მოხდა ესა და ეს ამბები), არამედ იმ თემაზე, თუ როგორია თქვენი შეხედულებების შინაარსი, როგორ გესმით ჩვენი ტაქტიკა, სახელდობრ **თქვენ** როგორ ატარებთ მას საქმით რეფერატებში, კრებებზე და სხვ.. ჩვენთან რუსი პრაქტიკოსების ასეთი საუბრები ჩვენთვის მეტად ძვირფასია, და უაღრესად დაბეჯითებით გთხოვთ ყველგან იქადაგოთ, მოაგონოთ, მოითხოვოთ, რომ ვისაც სურს ცენტრალური ორგანო თავის ცენტრალურ ორგანოდ მიაჩნდეს (ეს კი პარტიის ყველა წევრს უნდა სურდეს), ის ფორმალურ პასუხებს ან პატაკებს კი არ უნდა სჯერდებოდეს, არამედ სახელდობრ ესაუბრებოდეს, **არა დასაბეჭდად**, არამედ იდეური კავშირის შესაქმნელად ესაუბრებოდეს რედაქციას იმაზე, რომ ასეთ და ასეთ შეხედულებებს ახორციელებს. ასეთი საუბრების უბრალო ნებივრობად მიჩნევა ნიშნავს შეზღუდულ პრაქტიციზმში გადავარდნას და მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობის, მთელი აგიტაციის მთელი პრინციპული, იდეური მხარის საეგებისოდ მიტოვებას, ვინაიდან გარკვეული, მოფიქრებული, იდეური შინაარსის გარეშე აგიტაცია

ფრაზიორობად იქცევა. ხოლო გარკვეული იდეური შინაარსის გამოსამუშავებლად არ კმარა მარტო ცენტრალურ ორგანოში თანამშრომლობა, საჭიროა აგრეთვე იმის ერთობლივად განხილვა, თუ როგორ ესმით პრაქტიკოსებს ესა თუ ის დებულება, როგორ ახორციელებენ ისინი საქმით ამა თუ იმ შეხედულებას. უამისოდ ცენტრალური ორგანოს რედაქცია ჰაერში გამოკიდებული დარჩება, არ ეცოდინება, ითვისებენ თუ არა მის ქადაგებას, ეხმაურებიან თუ არა მას, ცხოვრება როგორ უცვლის მას სახეს, რა შესწორებები, რა დამატებებია საჭირო. უამისოდ სოციალ-დემოკრატები იქამდე დაქვეითდებიან, რომ მწერალი დროდადრო დაწერს, მკითხველი კი წაიკითხავს. ჩვენში ჯერ კიდევ სუსტია პარტიული კავშირის შეგნება, — მას უნდა განვამტკიცებდეთ სიტყვითაც და მაგალითითაც.

ვეცდები ვისარგებლო თქვენი მაგალითით, რომ დავბეჭდო თქვენი წერილის ნაწილი[247]. საერთოდ ჩვენ ვეთანხმებით ერთმანეთს და მოვრიგდით (თქვენი აზრები ისეთივეა, როგორც ჩემი აზრები «ორ ტაქტიკაში»). კერძოდ ვფიქრობ, რომ თქვენ ტყუილად ეხმით თავს მენშევიკებს სიტყვების გამო: მასების მომზადება აჯანყებისათვის. აქ კიდევაც თუ არის შეცდომა, იგი ძირითადი როდია.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

გაგზავნილია ჟენევიდან ოდესაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

152

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

მხოლოდ დღეს (3. X. 05 ახ. სტ.!!) მივიღე თქვენი 24. VI. 1905-ის სახელდახელო ფურცელი № 2. («ერთიანი ცენტრი» — რომელიც სამი თვის შემდეგ ატყობინებს თავის წევრებს...)

სტატია: «პარტიული ორგანიზაციის საფუძვლები» ძალიან კარგია. წარმოდგენილი მაქვს, როგორ გიხდებათ ანბანის დაღეჭვა მენშევიკებისათვის! მაგრამ მართლაც ხომ გიხდებათ. სტატიის ავტორს ეს ჩინებულად გაუკეთებია. ვფიქრობ დავბეჭდო იგი «პროლეტარში». რასაკვირველია, დაგვიანებულია, მაგრამ — სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

ამ სტატიამ მაფიქრებინა, რომ თქვენ შეგიძლიათ გახადოთ და კიდევაც უნდა გახადოთ ცენტრალური კომიტეტი არა უტყვად, არამედ მუდამ მოლაპარაკედ. წარსულს ბარდება ის დრო, როცა იდეური ხელმძღვანელობა «ჩურჩულით» ხორციელდებოდა თავშეყრისა და აგენტებთან შეხვედრის დროს! საჭიროა ხელმძღვანელობა პოლიტიკური ლიტერატურის საშუალებით. «რაბოჩი» საამისოდ არ ვარგა, მისი როლი სხვაა. თქვენთვის აუცილებლად საჭიროა უშვებდეთ ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენს ფორმატით არა უმეტეს 2 ნაბეჭდი ფურცლისა, მაგრამ უშვებდეთ კვირაში ორჯერ. იქ მოთავსდებოდა ერთი პატარა სტატია პოლიტიკურ, ტაქტიკურ ან საორგანიზაციო თემაზე, შემდეგ მოკლე წვრილი სამსტრიქონიანი ცნობები. მხოლოდ

საჭიროა 1) იბეჭდებოდეს, რადგან ჰექტოგრაფი ძალიან ცუდია (ნუთუ არა გაქვთ პატარა ტექნიკაც კი, სწრაფად რომ მუშაობდეს?) და 2) ეს სისტემატურად და ხშირად კეთდებოდეს.

ჩემთვის გაუგებარია თქვენი გეგმა «რაბოჩის» გადაქცევისა ყოველკვირეულ უფრო პატარა გაზეთად. ჩემი აზრით, ერთია პოპულარული ორგანო (მე მისი მომხრე არა ვარ, მაგრამ ყრილობამ გადაწყვიტა და ჯერჯერობით გათავდა), სხვა არის ნამდვილად ხელმძღვანელი ზოგადპოლიტიკური სტატიების ბიულეტენი. სამი-ოთხი კარგი თანამშრომელი გყავთ, მაშასადამე კვირაში 2 სტატიის მიღება სულ ადვილი საქმეა, მისი მნიშვნელობა კი უდიდესი იქნებოდა!

დაწერილია 1905 წ. 3 ოქტომბერს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

153

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

3. X. 05.

ძვირფასო მეგობრებო! მივიღე დოკუმენტების გროვა და შოვისმინე დელტას დაწვრილებითი ნაამბობი. ვჩქარობ გიპასუხოთ ყველა პუნქტზე.

1) დანიშნულ ვადაზე ვერ ჩამოვალ, რადგან ახლა გაზეთის მიტოვება შეუძლებელია. ვოინოვი იტალიაში ჩარჩა. ორლოვსკი საქმის გამო გავგზავნეთ. გაზეთს ვერავის ვერ დავუტოვებ. მაშასადამე, საქმე უნდა გადაიდოს რუსულ ოქტომბრამდე, როგორც თქვენ დანიშნეთ.

2) ვიმეორებ ყველაზე დაჟინებითს თხოვნას: ფორმალურად უპასუხეთ საერთაშორისო ბიუროს. გზავნით ვისმე თუ არა საზღვარგარეთის კონფერენციაზე. ზუსტად: ვის და როდის. ნიშნავთ ვისმე თუ არა, — ისიც ზუსტად. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ მეტისმეტად იტეხთ სახელს საერთაშორისო ბიუროს თვალში.

3) პლეხანოვის შესახებაც ფორმალურად და საბოლოოდ: ჰო თუ არა? ვინ უნდა დაინიშნოს? ამ საკითხის გადადება მეტად სახიფათოა.

4) ლეგალური გამომცემლობის შესახებ რაც შეიძლება მალე გადაწყვიტეთ ფორმალური დადგენილებით. მალიხთან[248] ხელშეკრულების პროექტით თქვენთვის ოდნავი ზიანიც არ მომიტანია, ვინაიდან ეს პროექტია. მხოლოდ ვიმეორებ, მალიხმა სამუშაო მისცა ბევრ აქაურ პირს, რომელთა რჩენა პარტიას არ შეუძლია. ამას ნუ დაივიწყებთ. ჩემი

რჩევაა მალიხთანაც დადოთ ხელშეკრულება და სხვებთანაც განაგრძოთ საქმეები შმიდტისებურად.

5) რაც შეეხება ცენტრალური კომიტეტის მიმართ თითქმის ყველა აგენტის ოპოზიციას, ვიტყვი შემდეგს. ჯერ-1, ინსაროვისა და ლიუბიჩის კოოპტაცია, რომელსაც მე სავსებით მივესალმები, ალბათ, ძლიერ გააუმჯობესებს საქმეს. მე-2, ნაწილობრივ აგენტები, ჩანს, რამდენადმე აზვიადებენ. მე-3, აგენტთა ნაწილი ხომ არ დავსვათ კომიტეტებში და დავავალოთ იზრუნონ 2—3 მეზობელი კომიტეტის მთელ რაიონზე? არ უნდა ვაზვიადებდეთ ტაქტიკის ერთიანობას: კომიტეტთა მოქმედებისა და გეგმების ერთგვარი სხვადასხვაობა არაფერს დააშავებს.

6) მეტისმეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია ზრუნვა მე-4 ყრილობისათვის[249]. დროა. იგი, ალბათ, minimum, ½ წლით ან იქნებ მეტითაც დაიგვიანებს. მაგრამ მაინც დროა. ჩემი აზრით, ჩვენ ცოტა ბრალი მიგვიძღვის იმაში, რომ ზოგიერთ კომიტეტს თავს გაუვიდა და შესაძლებლობა მიეცა არ შეასრულოს მე-3 ყრილობის გადაწყვეტილებანი მენშევიკთა შემოშვების პირობების შესახებ. თუ ეს კომიტეტები, რომლებიც მე-3 ყრილობას ერთსა და იმავე დროს კიდევაც ცნობენ და არც ცნობენ, მე-4 ყრილობისათვის გარკვეულ სახეს არ მიიღებენ, ქაოსი გამოვა. მათი ნაწილი მე-4 ყრილობაზე არ წავა. ეს ახალი სკანდალი იქნება. ნაწილი წავა და ყრილობაზე მოწინააღმდეგის მხარეზე გადავა. ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ვურევდეთ ორი ნაწილის გაერთიანების პოლიტიკასა და ორივე ნაწილის არევას. ორი ნაწილის გაერთიანებაზე თანახმა ვართ. ორი ნაწილის არევაზე — არასოდეს. გარკვეულად დაიყავით, უნდა მოვთხოვოთ კომიტეტებს, შემდეგ ორი ყრილობა და მაშინ გაერთიანება. ორი ყრილობა ერთსა და იმავე დროს, ერთ ადგილზე, და უკვე ისინი განიხილავენ და მიიღებენ შეერთების წინასწარ მომზადებულ პროექტებს.

ახლა კი უაღრესად მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ პარტიის ორი ნაწილის არევას. ჩემი რჩევაა სავსებით გარკვეულად მიეცეთ აგენტებს ასეთი ლოზუნგი და დაევალოთ მათ მისი განხორციელება.

ეს რომ არ გაკეთდეს, საშინელი დომხალი გამოვა. მენშევიკებისათვის ხელსაყრელია ყოველგვარი არევ-დარევა, და ისინი ყველანაირად ეცდებიან გაზარდონ იგი. მათთვის «უარესი არ იქნება» (რადგან მათს დეზორგანიზაციაზე უარესი არაფერი არ შეიძლება იყოს), ჩვენ კი ვაფასებთ ჩვენს ორგანიზაციას, თუნდაც ჩანასახოვან მდგომარეობაში, და დავიცავთ მას მუშტებითა და კბილებით. მენშევიკებისათვის ხელსაყრელია ყველაფერი არივ-დარიონ და შე-4 ყრილობისაგან გააკეთონ ახალი სკანდალი, ვინაიდან თ ა ვ ი ა ნ თ ყრილობაზე ისინი არც კი ფიქრობენ. ჩვენ კი მთელი ძალღონე და მთელი ფიქრები უნდა მივმართოთ პარტიის **ჩვენი** ნაწილის შემჭიდროებისაკენ, მისი უკეთესი ორგანიზაციისაკენ. ეს ტაქტიკა თითქოს «ეგოისტურია», მაგრამ იგი ერთადერთი გონივრულია. თუ ჩვენ კარგად დარაზმული, სავსებით ორგანიზებული ვიქნებით, თუ თავიდან მოვიშორებთ ყველა ბუზღუნასა და მოღალატეს, მაშინ ჩვენი მტკიცე ბირთვი, თუნდაც არც თუ ძალიან დიდი, გაიყოლიებს «ორგანიზაციული ბუნდოვნობის» მთელ ხროვას. ხოლო თუ ბირთვი არ გვექნება, მენშევიკები თავიანთი დეზორგანიზების შემდეგ ჩვენშიც შემოიტანენ დეზორგანიზაციას. თუ გვექნება მტკიცე ბირთვი, მალე ვაიძულებთ გაერთიანდნენ ჩვენთან. ხოლო თუ ბირთვი არ გვექნება, გაიმარჯვებს არა სხვა ბირთვი (იგი არ არსებობს), არამედ გაიმარჯვებენ ა მ რ ე ვ ნ ი, და მაშინ, გარწმუნებთ, იქნება ახალი კინკლაობა, ახალი გარდუვალი გათიშვა და წინანდელზე ასჯერ უარესი გაბოროტება.

მოდით ვამზადოთ რეალური გაერთიანება ს ა კ უ თ ა რ ი ძალის ზრდით და საწესდებო და ტაქტიკური ნორმების ნ ა თ ე ლ ი პროექტების შემუშავებით. ხოლო გაერთიანების შესახებ ფუჭ მოლაყბეებს, რომლებიც ხ ლ ა რ თ ა ვ ე ნ პარტიის ნაწილებს შორის ურთიერთობას, ჩემი აზრით, ულმობლად უნდა ვაძევებდეთ ჩვენი წრიდან.

ხელს გართმევთ. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

154

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

5. X. 05.

ძვირფასო მეგობრებო! ეს არის მივიღე რეინერტის ახალი წერილი. ყურადღებით მოვიფიქრე მისი წინადადება, ველაპარაკე დელტას და გადავსინჯე ჩემი უარყოფითი პასუხი, რომელიც 3. X. 05-ის წერილშია.

ორლოვსკი შემიძლია ერთი კვირის შემდეგ დავაბრუნო. მაშინ ორიოდე კვირას იქნებ როგორმე უჩემოდ წასულიყავით იოლად, მე წინასწარ დავწერდი რამდენიმე სტატიას, ხოლო ნაწილობრივ გზაშიც რაიმეს დავწერდი. მაგრამ თქვენი გეგმა მაინც უალრესად არარაციონალურად მეჩვენება. ყველა ცნობის მიხედვით, რომლებითაც ახლა სავსეა საზღვარგარეთული გაზეთები, ფინეთში ახლა საშინელი გაბოროტებაა. პირდაპირ იტყობინებიან, რომ მზადდება მთელი რიგი აფეთქებანი, მზადდება აჯანყება. ახლა იქ განსაკუთრებით ბევრ ჯარს გზავნიან. სანაპირო და საზღვაო პოლიცია ოთხმაგად არის გაძლიერებული. John Grafton-ის შემთხვევის შემდეგ [250] მთელი ყურადღება ექცევა სპეციალურად იმ გემებს, რომლებიც ნაპირს უახლოვდებიან. იარაღი ბევრ ადგილას არის ნაპოვნი და ახლა მას გაძლიერებით ეძებენ. სავსებით შესაძლებლად თვლიან, რომ განზრახ გამოიწვევენ შეტაკებებს, რომ შეიარაღებული ხელით ჩაერიონ.

ასეთ პირობებში იქ საერთო კრების მოწყობა ნიშნავს რისკის გაწევას, როცა ამას სრულიად არავითარი საჭიროება არ მოითხოვს. ეს პირდაპირ უიმედო წამოწყებაა. საკმარისია

ერთი უმნიშვნელო შემთხვევა (რომლის შესაძლებლობა ახლა ფინეთში განსაკუთრებით, დიდია), და მას მოჰყვება სრული კრახი, მთელი ცენტრალური კომიტეტისაც და ცენტრალური ორგანოსიც, ვინაიდან მაშინ აქ ყველაფერი დაიშლება. საგნებს პირდაპირ უნდა შევხედოთ: ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი პარტია საჯიჯგნად მივცეთ მენშევიკ ბელადებს. დარწმუნებული ვარ, მოფიქრების შემდეგ დამეთანხმებით, რომ უფლება არა გვაქვს ეს გავაკეთოთ.

გთხოვთ იმსჯელოთ, ხომ არ შეიძლება გეგმა შევცვალოთ ასე. ყველამ თავი მოვიყაროთ სტოკჰოლმში. ახლანდელ გეგმასთან შედარებით თქვენთვის ეს ნიშნავს მცირე უხერხულობას და უდიდეს სარგებლობას. უხერხულობაა დაგვიანება ½ დღით (თუ ვიანგარიშებთ აბოდან, რომლის მახლობლადაც ნავარაუდევია შეხვედრა) ან maximum ერთი დღით ერთი მიმართულებით. სულ კი 2, დავუშვათ თუნდაც 4 დღე. ეს სულ უმნიშვნელო რამ არის. სარგებლობაა უშიშროების გადიდება. საერთო კრახი მაშინ აბსოლუტურად შეუძლებელია. მაშასადამე, ცენტრალური ორგანოს და მთელი ცენტრალური კომიტეტის ბედს ჩვენ ოდნავაც არ ვაგდებთ საფრთხეში; არაფერს არ ვაკეთებთ უაზროსა და საშინელს. ზოგიერთ თქვენგანს შეუძლია სავსებით ლეგალურად ჩამოვიდეს: მათი დაპატიმრება არ შეეძლებათ. სხვები იშოვნიან სხვის პასპორტებს ან ჩამოვლენ (დელტა ამბობს, ფინელები გადასვლას ადვილად აწყობენო) უპასპორტოდ. ჩავარდნის შემთხვევაში ეს იქნება, ჯერ-1, ერთეული, და არა სრული, ჩავარდნა, ხოლო მე-2, არ იქნება აბსოლუტურად არავითარი მამხილებელი საბუთი, ისე რომ სასამართლოში საქმის წარმოების დროს პოლიცია სრულებით ვერაფერს სერიოზულს ვერ გამოჩხრეკს. მაშინ გარანტირებული გვექნება 2 — 3 დღის სავსებით საიმედო კრება; ამასთან გვექნება ყველა დოკუმენტი (მე მათ ჩამოვიტან, თქვენ კი თქვენსას ფოსტით გამოგზავნით და ა. შ.), გვექნება შესაძლებლობა შევადგინოთ ყოველგვარი ოქმები, მოწოდებანი და სხვ.. დასასრულ, მაშინ ვსინჯავდით, ხომ არ .შეიძლება უფრო ხშირად ვიარო სტოკჰოლმში, რომ

იქიდან ვიმუშაო თქვენთვის და ფურცლებისათვის და სხვ. (მენშევიკებმა, ვგონებ, რაღაც ამგვარი გააკეთეს სამხრეთში).

გთხოვთ ყურადღებით განიხილოთ ეს გეგმა. თუ მოიწონებთ, გამომიგზავნეთ დეპეშა მისამართით Kroupsky, 3. rue Dawid Dufour, Genève ბოლესლავის ხელმოწერით, შიგ ჩაწერეთ ერთი რიცხვი, რომელიც იმ თარიღის მაჩვენებელი იქნება, თუ როდის უნდა ვიყო სტოკჰოლმში (30 = უნდა ვიყო 30 სექტემბრისათვის: 2 ან 3 = უნდა ვიყო 2 ან 3 ოქტომბრისათვის და ა. შ.).

ხელს გართმევთ. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

155

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

8. X. 05.

ძვირფასო მეგობრებო! ვჩქარობ შეგატყობინოთ, რომ მოხდა საქმის ერთი მნიშვნელოვანი შემობრუნება საერთაშორისო ბიუროში წარმომადგენლობის საკითხზე. მენშევიკთა სამხრეთ რუსეთის კონფერენციამ ამის შესახებ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც 1) უხეში სიცრუეა პირადად ჩემ შესახებ. მე ვუპასუხებ «პროლეტარის» № 20-ში [251], რომელიც ზეგ გამოვა. 2) პლეხანოვს სთხოვენ იყოს **პარტიის მათი ნაწილის** წარმომადგენელი.

ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენ გვინდა! პლეხანოვი, რასაკვირველია, შეასრულებს მათს თხოვნას. მისი კვაზინეიტრალიტეტი, რომელიც დამღუპველია ჩვენთვის, ჩაიშლება, რის დამტკიცებაც გვინდოდა. დაე საერთაშორისო ბიუროში ორი იყოს: უმრავლესობისაგან ერთი და უმცირესობისაგან ერთი. ეს ყველას სჯობს. ამასთან, თუ პლეხანოვი უმცირესობისაგან იქნება, ეს კიდევ უკეთესი. ეს საუცხოო პრეცედენტია მომავალი გაერთიანებისათვის. დაბეჯითებით გთხოვთ: ახლა სულ უკუაგდეთ ფიქრი პლეხანოვზე და დანიშნეთ თქვენი დელეგატი უმრავლესობიდან. მხოლოდ მაშინ ვიქნებით სავსებით უზრუნველყოფილნი. კარგი იქნება დანიშნოთ ორლოვსკი. მან იცის ენები, შეუძლია ლაპარაკი და წარმოსადეგიც არის. ურთიერთობა მეტწილად წერილობითი უნდა იყოს, თითქმის ყველანი და, რასაკვირველია, ჩვენც, ერთმანეთს უნდა ვეთათბირებოდეთ. თუმცა სათათბიროც

არაფერი გვაქვს: გამოცდილებით გარწმუნებთ, რომ ეს წარმომადგენლობა წ მ ი ნ დ ა ფ ო რ მ ა ლ ო ბ ა ა. პლეხანოვს ეს წარმომადგენლობა ოდესღაც ბევრჯერ დაუვალებია კოლცოვისათვის, და ამით არასოდეს არავითარი ზიანი არ მომხდარა, თუმცა კოლცოვი ყოვლად უვარგისი «პარლამენტარი» და საერთოდ საშინელი დონდლოა.

ხელს გართმევთ. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

156

ა. ვ. ლუნაჩარსკის

11 ოქტომბერი.

ძვირფასო ან. ვას.! თქვენი სტატია, მეტისმეტად საინტერესო, უაღრესად თანამედროვე თემას ეხება. ამას წინათ «Leipziger Volkszeitung»-ი* მოწინავეში დასცინოდა ეროებელებს მათი სექტემბრის ყრილობისათვის, რომ ისინი «კონსტიტუციობანას თამაშობენ», თავი უ კ ვ ე პარლამენტარებად მოაქვთ etc. etc.. პარვუსისა და მარტოვის შეცდომას ამ მხრივ აუცილებლად ესაჭიროება გარჩევა. მაგრამ თქვენ გარჩევა როდი გამოგვიდათ. ჩემი აზრით, სტატია უნდა გადაკეთდეს ორიდან ერთ-ერთი მიმართულებით: ან სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნეს «პარლამენტარიზმის მოთამაშე» ჩვენს ახალისკრელებზე, დაწვრილებით იქნეს ნაჩვენები პარლამენტარიზმის პირობითი, დროებითი მნიშვნელობა, «საპარლამენტო ილუზიების» უხამსობა რევოლუციური ბრძოლის ეპოქაში და სხვ., ამასთან ეს განმარტებულ იქნეს ანბანიდან (რუსეთელებისათვის ფრიად სასარგებლოა!) და ჰილფერდინგი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ილუსტრაციისათვის, სულ ოდნავ. ან საფუძვლად აღებულ იქნეს ჰილფერდინგი და მაშინ სტატიას ნაკლები გადაკეთება დასჭირდება, გაუკეთდეს სხვა სათაური, მაგრამ უფრო ნათლად აისახოს საკითხის თვით დაყენება ჰილფერდინგის მიერ. რა თქმა უნდა,

* — «ლაიფციგის სახალხო გაზეთი». რ ე დ.

იქნებ თქვენ გადაკეთების სხვა გეგმაც მონახოთ, მაგრამ გთხოვთ აუცილებლად ერთბაშად მოჰკიდოთ ხელი გადაკეთებას. დრო არის, ვინაიდან ამ №-ში სტატია ვერ წავიდოდა (მოსკოვის ამბებმა [252] + ძველმა მასალამ ყველაფერი გაავსო). მაშასადამე, მისი გამოგზავნის ვადაა სამშაბათი 17. X. დაბეჯითებით გთხოვთ გააკეთოთ რიგიანი სტატია და გამოგზავნოთ 17. X-სათვის. უმჯობესი იქნება პირველი მიმართულებით გადააკეთოთ, იქნებ მოწინავე გამოვიდეს!

პარლამენტი უკვე რომ გვქონდეს, აუცილებლად დავუჭერდით მხარს კადეტებს, მილიუკოვსა და კომპანიას contra * «მოსკოვსკიე ვედომოსტისა». მაგალითად, ხელმეორედ კენჭისყრის დროს etc.. იქ ეს ოდნავაც ვერ დაარღვევდა ს.-დ. კლასობრივი პარტიის დამოუკიდებლობას. მაგრამ არა პარლამენტის, არამედ რევოლუციის ეპოქაში (თქვენ ეს განსხვავება უკვე სათაურში გაქვთ დასახული) იმ ადამიანებისათვის მხარის დაჭერა, რომლებსაც უნარი არა აქვთ რევოლუციურად იბრძოლონ, არის 1) ჩვენი პარტიის დამოუკიდებლობის დარღვევა. გარიგება არ შეიძლება ნათელი და აშკარა იყოს. ეს არის სწორედ «გაყიდვა» საკუთარი უფლებებისა რევოლუციაზე, როგორც თქვენ ამბობთ, და არა საკუთარი უფლებების გამოყენება მხარდასაჭერად. პარლამენტში ჩვენ მხარს ვუჭერთ და სულაც არა ვქრებით. ახლა ჩვენ ვქრებით, როცა ვავალებთ მილიუკოვებს ილაპარაკონ ჩვენ მაგიერ გარკვეული პირობებით. შემდეგ, მთავარია ის, რომ 2) ასეთი მხარდაჭერა რევოლუციის ღალატია. პარლამენტი ჯერ არ არის, არის მხოლოდ მილიუკოვების **ილუზიები**. რევოლუციურად უნდა ვიბრძოლოთ **პარლამენტისათვის**, და არა პარლამენტურად რევოლუციისათვის, რევოლუციურად უნდა ვიბრძოლოთ **ძლიერი** პარლამენტისათვის, და არა **უძლური** «პარლამენტში» ვიბრძოლოთ რევოლუციისათვის. ახლა რუსეთში რევოლუციის გაუმარჯვებლად ყველა გამარჯვება «პარლამენტში» (სახელმწიფო სათათბირო თუ ამის მაგვარი)

* — წინააღმდეგ. რედ.

ნულია, ნულზე უარესია, ვინაიდან თვალს აბნელებს **ფიქციით.** პარვუსმა ეს ვერ გაიგო.

კადეტები უკვე გახდნენ regierungsfähig * (ტრუბეცკოები და მანუილოვები რექტორის როლში etc.), უკვე აძვრნენ კრებების თავისუფლების მეორე სართულზე (კრებების გაუხამსების ფასად), კვაზიპარლამენტარიზმის სართულზე. მათ მარტო ის უნდათ, რომ პროლეტარიატმა, რომელიც სინამდვილეში სარდაფში რჩება, წარმოიდგინოს, რომ იგი მეორე სართულზეა, ოცნებით დასახოს თავისი თავი საპარლამენტო ძალად და დათანხმდეს «პიროზებს» «მხარდაჭერის» შესახებ და სხვ.. ეს მდიდარი თემაა! ჩვენ ახლა ძლიერი ვართ ხალხის რევოლუციური ბრძოლით და სუსტნი ვართ კვაზიპარლამენტარიზმის მხრივ. კადეტები პირიქით. მათთვის სავსებით ხელსაყრელია მიგვაღებინონ კვაზიპარლამენტარიზმი. «ისკრამ» გაასულელებინა თავი. სწორედ აქ კარგი იქნება **დაწვრილებით** გარჩეულ იქნეს «პარლამენტარიზმის» დამოკიდებულება რევოლუციისადმი» ((შეად. Marx საფრანგეთში 1848 წელს კლასობრივი ბრძოლის შესახებ)) [253].

აი ეს აზრები (მე მათ გადმოგცემთ, რასაკვირველია, მეტად ზოგადად და არაზუსტად), რომლებიც თქვენ დასახული გაქვთ, უნდა განავითაროთ, დაუღეჭოთ და პირში ჩაუდოთ. რუსეთელებს ახლა საშინლად ესაჭიროებათ, რომ მათ ანბანიდან განემარტოთ პარლამენტარიზმისა და რევოლუციის თანაფარდობა. მარტოვსა და კომპანიას კი ისტერიკა ემართებათ, ისინი გაიძახიან: ნეტავ მალე იქნებოდეს ლეგალურად! ნეტავ მალე იქნებოდეს აშკარად! როგორც უნდა იყოს, ოღონდ ლეგალურად იყოს! ჩვენ სწორედ ახლა გვჭირდება სიმტკიცე, გვჭირდება რევოლუციის განგრძობა, ბრძოლა უბადრუკ ნახევრადლეგალობასთან. «ისკრამ» ეს ვერ გაიგო. როგორც ყველა ოპორტუნისტს, მათაც არ სჯერათ მუშათა რევოლუციური ბრძოლის ენერგია და სიმტკიცე. მოსკოვი გაკვეთილია მათთვის.

---

* — მთავრობაში მონაწილეობის უნარის მქონენი. **რ ე დ.**

ახლა კიდევ უხამს პარვუსს რუსეთზე გადააქვს წვრილმან გარიგებათა ტაქტიკა!!

ჩემი წერილი თუ მიიღეთ? მაგრად გართმევთ ხელს. სალამი ან. ალ — ს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წ. 11 ოქტომბერს
გაგზავნილია ჟენევიდან იტალიაში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

157

ს. ი. გუსევს

ნაციას ლენინისაგან

13. X. 05.

ძვირფასო მეგობარო! ოდესის კომიტეტის რეზოლუცია პროფესიული ბრძოლის შესახებ («გადაწყვეტილებანი» № 6 თუ 5, გაურკვეველია; № 24 წერილში. დათარიღებულია 1905 წ. სექტემბრით) უაღრესად მცდარად მეჩვენება. ჩემი აზრით, მენშევიკებთან ბრძოლით გატაცება, რა თქმა უნდა, ბუნებრივად ხსნის მას, მაგრამ მეორე უკიდურესობაში არ უნდა ჩავვარდეთ. რეზოლუცია კი სწორედ მეორე უკიდურესობაში ვარდება. ამიტომ ჩემს თავს ნებას მივცემ კრიტიკულად გავარჩიო ოდესის კომიტეტის რეზოლუცია და ამხანაგებს ვთხოვ განიხილონ ჩემი შენიშვნები, რომლებიც სრულებითაც არ არის გამოწვეული შარის მოდების სურვილით.

რეზოლუციაში სამი (დაუნომრავი) ნაწილია მოტივებში და ხუთი (დანომრილი) ნაწილია საკუთრივ სარეზოლუციო ნაწილში. პირველი ნაწილი (მოტივების საწყისი პუნქტი) სავსებით კარგია: ვიკისროთ «პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა გამოვლინების ხელმძღვანელობა» და «არახოდეს არ დავივიწყოთ ამოცანა» პროფესიული ბრძოლის ხელმძღვანელობისა. ჩინებულია. შემდეგ, მეორე პუნქტი: «პირველ რიგში» ისმება შეიარაღებული აჯანყების მომზადების ამოცანა და (პუნქტი მე-3 ანუ მოტივების ბოლო) «ამის გამო პროლეტარიატის პროფესიული ბრძოლის ხელმძღვანელობის ამოცანა გარდუვალად მეორე პლანზე

გადადის». ეს, ჩემი აზრით, თეორიულად სწორი არ არის და ტაქტიკის თვალსაზრისით უმართებულოა.

თეორიულად სწორი არ არის დაპირისპირება ორი ამოცანისა, რომლებიც თითქოს თანასწორუფლებიანი არიან, თითქოს ერთ სიბრტყეზე მდებარეობენ: «შეიარაღებული აჯანყების მომზადების ამოცანისა» და «პროფესიული ბრძოლის ხელმძღვანელობის ამოცანისა». ერთი ამოცანა პირველ პლანზეა, მეორე — მეორეზეო. — ასე თქმა იმას ნიშნავს, რომ ერთმანეთს შევადაროთ და დავუპირისპიროთ სხვადასხვა ხასიათის საგნები. შეიარაღებული აჯანყება პოლიტიკური ბრძოლის საშუალებაა მოცემულ მომენტში. პროფესიული ბრძოლა მთელი მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი მუდმივი, კაპიტალიზმის დროს ყოველთვის საჭირო, ყველა მომენტში საკალდებულო გამოვლინებაა. ენგელსი ერთ ადგილას, რომელიც მე ციტირებული მაქვს «რა ვაკეთოთ?»-ში [254], განასხვავებს პროლეტარიატის ბრძოლის სამ ძირითად ფორმას: ეკონომიურ, პოლიტიკურ, თეორიულ ბრძოლას — ესე იგი პროფესიულ, პოლიტიკურ, თეორიულ (მეცნიერულ, იდეურ, ფილოსოფიურ) ბრძოლას. აბა როგორ შეიძლება ბრძოლის ერთი ამ ძირითად ფორმათაგანი (პროფესიული) გვერდით დავუყენოთ ბრძოლის მეორე ძირითადი ფორმის ხერხს მოცემულ მომენტში? მთელი პროფესიული ბრძოლა, როგორც «ამოცანა», გვერდით დავუყენოთ პოლიტიკური ბრძოლის ახლანდელ და სრულიადაც არა ერთადერთ საშუალებას? ეს პირდაპირ შეუსაბამო საქმეა, რაღაც იმის მაგვარია, მეათედები და მეასედები რომ შევკრიბოთ ისე, რომ არ გავაერთმნიშვნელიანოთ. ჩემი აზრით, მოტივების ეს ორივე (მეორე და მესამე) პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს. «პროფესიული ბრძოლის ხელმძღვანელობის ამოცანასთან» ერთად შეიძლება დაყენებულ იქნეს მხოლოდ საერთოდ მთელი პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობის ამოცანა, საერთოდ მთელი იდეური ბრძოლის წარმოების ამოცანა, და არა პოლიტიკური თუ იდეური ბრძოლის ესა თუ ის კერძო, მოცემული, თანამედროვე ამოცანები. ორივე ეს პუნქტი უნდა შეიცვალოს იმაზე მითითებით, რომ ერთი წუთითაც არ უნდა და-

ვივიწყოთ პოლიტიკური ბრძოლა, მუშათა კლასის განათლება სოციალ-დემოკრატიის იდეების მთელი მოცულობით, რომ საჭიროა ვცდილობდეთ მჭიდრო და მტკიცე კავშირის დამყარებას მუშათა მოძრაობის ყველა გამოვლინებათა შორის, რათა შევქმნათ მთლიანი, ჭეშმარიტად სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. ეს მითითება შეიძლებოდა ყოფილიყო მოტივების მეორე პუნქტი. მესამე პუნქტი შეიძლებოდა ყოფილიყო იმის აღნიშვნა, რომ საჭიროა გაფრთხილება პროფესიული ბრძოლის ვიწრო გაგებისა და ვიწრო დაყენების წინააღმდეგ, რომლებსაც გულმოდგინედ ავრცელებს ბურჟუაზია. მე, რასაკვირველია, არ გთავაზობთ რეზოლუციის პროექტს, არ ვეხები საკითხს, ღირს თუ არა ამაზე ცალკე ლაპარაკი; ჯერჯერობით მხოლოდ იმას ვარჩევ, თუ თქვენი აზრის როგორი გამოხატვა იქნებოდა თეორიულად სწორი.

ტაქტიკურად, ამ ფორმით მოცემული რეზოლუცია შეიარაღებული აჯანყების ამოცანებს ძლიერ უხეიროდ აყენებს. შეიარაღებული აჯანყება პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბრძოლის უმაღლესი საშუალებაა. მისი წარმატებისათვის პროლეტარიატის თვალსაზრისით, ე. ი. არა სხვა, არამედ პროლეტარული აჯანყების წარმატებისათვის, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, საჭიროა მუშათა მოძრაობის ყველა მხარის ფართოდ განვითარება. ამიტომ უაღრესად არასწორია იდეა აჯანყების ამოცანის დაპირდაპირებისა პროფესიული ბრძოლის ხელმძღვანელობის ამოცანასთან. ამით კნინდება, წვრილმანდება აჯანყების ამოცანა. ნაცვლად მუშათა მ თ ე ლ ი მოძრაობის შედეგისა და დაგვირგვინებისა გამოდის აჯანყების ამოცანის რაღაც გამოყოფა. თითქოს ერთმანეთში არეულია ორი რამ: რეზოლუცია საერთოდ პროფესიული ბრძოლის შესახებ (ამ თ ე მ ა ზ ე დაწერილია ოდესის კომიტეტის რეზოლუცია) და რეზოლუცია ოდესის კომიტეტის ახლანდელ მუშაობაში ძალთა განაწილების შესახებ (აქეთკენ იხრება თქვენი რეზოლუცია, ეს კი სულ სხვა, სულ სხვა საქმეა).

გადავდივარ იმ ნაწილის დანომრილ პუნქტებზე, რომელიც სარეზოლუციოა ვიწრო გაგებით.

Ad I. «გამოვააშკარაოთ ილუზიები», «რომლებიც უკავშირდება პროფესიულ კავშირებს»... ეს კიდევ არაფერი, თუმცა ამოღება სჯობს. ჯერ-1, ეს შედის მოტივებში, სადაც აღნიშნული უნდა იყოს მოძრაობის ყველა მხარის განუყრელი კავშირი. მე-2, ნათქვამი არ არის, რომელი ილუზიები. ხოლო თუ ამას ჩაურთავთ, მაშინ უნდა დაემატოს: ბურჟუაზიული ილუზიები კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშათა კლასის ეკონომიურ და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობის შესახებ.

...«გაძლიერებით გავუსვათ ხაზი მათს (კავშირების?) სივიწროვეს მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზნებთან შედარებით». გამოდის, რომ ყოველგვარი პროფესიული კავშირები «ვიწროა». რაღას იტყვით სოციალ-დემოკრატიულ პროფესიულ კავშირებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან პროლეტარიატის პოლიტიკურ ორგანიზაციასთან? სიმძიმის ცენტრი ის კი არ არის, რომ პროფესიული კავშირები «ვიწროა», არამედ ის, რომ ეს ერთი (და ამდენად ვიწრო, რადგან ერთია) მხარე სხვა მხარეებს დავუკავშიროთ. მაშასადამე, ეს ან ამოღებულ უნდა იქნეს, ან კვლავ უნდა ითქვას, რომ საჭიროა შეიქმნას და განმტკიცდეს ერთი მხარის კავშირი ყველა მხარესთან, პროფესიული კავშირები გაიმსჭვალონ ს.-დ. შინაარსით, ს.-დ. პროპაგანდით, ჩაბმულ იქნენ მთელ ს.-დ. მუშაობაში და სხვ.

Ad II. კარგია.

Ad III. სწორი არ არის, აღნიშნული მიზეზების გამო, პროფესიული კავშირების ამოცანის დაპირისპირება შეიარაღებული აჯანყების «საარსებო და უპირველეს ამოცანასთან». პროფესიული ბრძოლის შესახებ რეზოლუციაში შეიარაღებულ აჯანყებაზე ლაპარაკი საჭირო არ არის, ვინაიდან ეს არის საშუალება «მეფის თვითმპყრობელობის დამხობისა», რომელზეც ლაპარაკობს პუნქტი II. პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ გააფართოონ ის ბაზა, რომლიდანაც ჩვენ მოვიპოვებთ ძალას აჯანყებისათვის, ისე რომ, ერთხელ კიდევ ვიტყვი, ერთის დაპირდაპირება მეორისადმი შეცდომაა.

Ad IV. «ვაწარმოოთ ენერგიული იდეური ბრძოლა ეგრეთწოდებული უმცირესობის წინააღმდეგ», რომელიც უბრუნდება «ეკონომიზმს» «პროფესიული კავშირების საკითხებში». განა ეს მეტისმეტად ზოგადი არ არის ოდესის კომიტეტის რეზოლუციისათვის? განა ეს გაზვიადებას არა ჰგავს? პრესაში ხომ არ ყოფილა კრიტიკა ყველა მენშევიკთა არც ერთი რეზოლუციისა «პროფესიული კავშირების» შესახებ. მხოლოდ აღნიშნული იყო, ლიბერალები მენშევიკებს იმისათვის აქებენ, რომ მათ ტენდენცია აქვთ ამ საკითხს უგუნური გულმოდგინებით ელოლიავონო. მაგრამ აქედან მხოლოდ ის დასკვნა გამოდის, რომ ჩვენ «გონიერ» გულმოდგინებას უნდა ვიჩენდეთ, მაგრამ ჩვენც აუცილებლად უნდა ვიჩენდეთ გულმოდგინებას. ჩემი აზრით, ეს პუნქტი ან სულ ამოღებულ უნდა იქნეს და მხოლოდ აღინიშნოს გაფრთხილება ვიწროობის წინააღმდეგ და ბრძოლა ბურჟუაზიისა და ლიბერალების ტენდენციებთან — დაამახინჯონ პროფესიული კავშირების ამოცანები; — ან ჩამოყალიბდეს იგი სპეციალურად მენშევიკების რომელიმე მოცემულ რეზოლუციასთან დაკავშირებით (მე ასეთი რეზოლუციები ამჟამად არ ვიცი; თქვენთან სამხრეთში ხომ არ გამოჩენილა აკიმისებური რაიმე რეზოლუციები).

Ad V. აი ეს საქმეა. სიტყვებს «ხოლო თუ შესაძლებელია, ხელმძღვანელობა» მე შევცვლიდი «და ხელმძღვანელობა». ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ «თუ შესაძლებელია». ამ სიტყვების ჩამატება აქ და მხოლოდ აქ გამოიწვევს არასწორ გაგებას, თითქოს ხელმძღვანელობისაკენ ჩვენ ნაკლებ ვისწრაფოდეთ და სხვ.

ჩემი აზრით, საერთოდ რომ ითქვას, უნდა ვერიდოთ ამ საკითხში მენშევიკებთან ბრძოლის გაზვიადებას. ახლა, ალბათ, სწორედ მალე დაიწყება პროფესიული კავშირების აღმოცენება. განზე კი არ უნდა ვდგებოდეთ და უფრო მეტად საბაბს კი არ ვაძლევდეთ იფიქრონ, რომ საჭიროა განზე გადგომა, არამედ უნდა ვცდილობდეთ მონაწილეობა მივიღოთ, გავლენა მოვახდინოთ და სხვ.. ხომ არის განსაკუთრებული ფენა ხნიერი, ოჯახის პატრონი მუშებისა, რომლებიც ახლა

მეტისმეტად ცოტას მოგვცემენ პოლიტიკურ ბრძოლაში, მაგრამ ძალიან ბევრს პროფესიულ ბრძოლაში. უნდა გამოვიყენოთ ეს ფენა, ოღონდ უნდა წარვმართოთ მისი ნაბიჯები ამ დარგში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თავიდანვე სწორი კილო აიღოს პროფესიული კავშირების საკითხში, ერთბაშად შექმნას ტრადიცია სოციალ-დემოკრატიული თაოსნობისა ამ ნაწილში, სოციალ-დემოკრატიული მონაწილეობისა, სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობისა. რასაკვირველია, შეიძლება პრაქტიკაში ძალები საკმარისი არ იყოს, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა საკითხია, და ისიც უნდა ითქვას: თუ უნარი გვექნება გამოვიყენოთ მთელი სხვადასხვაგვარი ძალები, ყოველთვის გამოინახება პროფესიული კავშირებისთვისაც. ხომ გამოინახა ძალები პროფესიული კავშირების შესახებ რეზოლუციის დასაწერად, ე. ი. იდეურად წარმართვისათვის, ეს კი მთავარია!

გართმევთ ხელს და გთხოვთ მომწეროთ ამ წერილის მიღების შესახებ და რას ფიქრობთ მის გამო.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან ოდესაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

158

მ. მ. ესენს

26. X. 05.

ძვირფასო ზვერუშკა!

ამ დღეებში მივიღეთ თქვენი ვრცელი წერილი. დიდად გმადლობთ. ძალიან ცოტა ცნობებს ვიღებთ პიტერიდან და ყოველგვარ ფურცლებსაც ცოტას გვიგზავნიან. გთხოვთ ნუ მიატოვებთ თქვენს განზრახვას გვიგზავნოთ უკლებლივ ყველა და ყოველგვარი ახალი ამბები, აგრეთვე კორესპონდენციები.

რაც შეეხება პარტიაში საქმეების მდგომარეობას, ვგონებ, თქვენი პესიმიზმი ცოტა გადაჭარბებულია. ვმსჯელობ აქაური მდგომარეობის მიხედვით. მე აქ მუდამ მესმის «პერიფერიისაგან», რომ «პროლეტარი» აშკარა დაქვეითების გზას ადგას, რომ საქმე ძალიან ცუდად მიდის, გაზეთი უარესდება და სხვ. და სხვ.. სიზმარი საშინელია, მაგრამ ღმერთი მოწყალეა. ისეთი გიგანტური მოძრაობის დროს, როგორიც ახლა არის, მსოფლიოში ვერც ერთი ცენტრალური კომიტეტი, როცა პარტია არალეგალურია, ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებათა $^1/_{1000}$-საც. და ჩვენი ლოზუნგები, «პროლეტარის» ლოზუნგები რომ არა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, — ამას აშკარად ვხედავთ ლეგალური გაზეთებიდანაც კი, რომლებიც იტყობინებიან 10 — 15 ათასი კაცის მონაწილეობით გამართულ მიტინგებზე უნივერსიტეტში და სხვ.. კარგი რევოლუცია გვაქვს რუსეთში, ღმერთმანი! იმედი

გვაქვს მალე დავბრუნდეთ — ამისკენ მიდის საქმე საოცარი სისწრაფით.

ცენტრალურ კომიტეტთან შეხვედრას აუცილებლად მოვაწყობთ. ახლა ეს უკვე გადაწყვეტილი საკითხია და საქმეც მოგვარებულია.

უთანხმოების საკითხშიც თითქოს აჭარბებთ. მე აქ ვერ ვამჩნევ ვერავითარ უთანხმოებას «პროლეტარსა» და ცენტრალურ კომიტეტს შორის. აჯანყების დრო? ვინ იკისრებს მის განსაზღვრას? პირადად მე სიამოვნებით გადავდებდი მას გაზაფხულამდე და მანჯურიის არმიის დაბრუნებამდე, მე ვფიქრობ, რომ ჩვენთვის საერთოდ ხელსაყრელია მისი გადადება. მაგრამ ჩვენ ხომ სულ ერთია არ გვეკითხებიან. აიღეთ ახლანდელი გრანდიოზული გაფიცვა.

ცენტრალურ კომიტეტს სიმძიმის ცენტრი ლიტერატურულ ხელმძღვანელობაზე რომ გადააქვს, ეს, ჩემი აზრით, სწორი ტაქტიკაა. მე მხოლოდ ვისურვებდი, რომ «რაბოჩისთან» ერთად, რომელიც ახლანდელი დროის მიხედვით ძალიან სასარგებლოა, გვქონოდა პატარა, 2-გვერდიანი, maximum 4-გვერდიანი, ცოცხალი ს ა ა გ ი ტ ა ც ი ო ბიულეტენები, რომლებიც ხშირად გამოვიდოდა, კვირაში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც. პარტიის ხელმძღვანელობა მოძრაობის ახლანდელი გიგანტური, უმაგალითო ზრდის დროს მხოლოდ პრესის საშუალებით შეიძლება. და უნდა შეიქმნას ცოცხალი, მოძრავი, სწრაფი, მოკლე ფურცლები-ბიულეტენები, რომლებშიც დაიბეჭდება ძირითადი ლოზუნგები და ძირითადი ამბების შედეგები.

ცენტრალური ორგანოს შეჩერების შესახებ აქ გაუგებრობაა. მათ ეშინოდათ მთელი საქმის ჩაფუშვისა, და სულაც არ ფიქრობდნენ დაეხრჩოთ ცენტრალური ორგანო. მაგრამ საერთოდ საზღვარგარეთის მნიშვნელობა ახლა ყ ო ვ ე ლ ს ა ა თ შ ი ეცემა, და ეს გარდუვალია. რა თქმა უნდა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მივატოვებთ «პროლეტარს», სანამ არ მოხერხდება მისი ბეჭდვა პიტერში ნევის პროსპექტზე. მაგრამ ლეგალურ გაზეთსაც ახლა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. საზღვარგარეთი იძულებულია ნაწილობრივ უკვე

დახუროს დუქანი (პროპაგანდისტული ლიტერატურა), — მალე სულ დავხურავთ და პიტერში გავხსნით.

აჯანყების მომზადებაში მე გირჩევთ ახლავე ყველგან, უაღრესად ფართოდ, იქადაგოთ შექმნა მ რ ა ვ ა ლ ი, ასობით და ათასობით ძალიან პატარა (ს ა მ ი კაცით დაწყებული) ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი მებრძოლი რაზმებისა, რომლებიც თვითონ შეიარაღდებიან ვისაც რით შეუძლია და ყოველმხრივ მოემზადებიან. აჯანყების მომენტს, ვიმეორებ, **სიამოვნებით** გადავდებდი გაზაფხულამდე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემთვის ძნელია შორიდან განსჯა.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

159

რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ბ. კ-ს

გთხოვთ დაუყოვნებლივ მომწეროთ, მანდობთ თუ არა ჩვენს ფართო სარედაქციო კომიტეტში (შვიდნი) და «ნოვაია ჟიზნის» რედაქციაში მოვიწვიო პლეხანოვი. მიდეპეშეთ (ხელმოწერა — ბოლესლავი. მისამართი — კრუპსკაია): ჰო თუ არა. მე კიდევ ვცდი დავუახლოვდე მას, თუმცა იმედი არც თუ ძალიან დიდია.

დაწერილია 1905 წ. 27 ოქტომბერს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

160

გ. ვ. პლეხანოვს

დიდად პატივცემულო გიორგი ვალენტინის-ძევ!

მოგმართავთ ამ წერილით, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ სოციალ-დემოკრატიის გაერთიანების აუცილებლობის საკითხი უკვე საბოლოოდ მომწიფდა, ხოლო მისი შესაძლებლობა სწორედ ახლა განსაკუთრებით დიდია. ორმა საბაბმა მაიძულა აღარ გადამედო პირდაპირი მომართვა თქვენდამი: 1) პიტერში ს.-დ. ლეგალური გაზეთის «ნოვაია ჟიზნის» დაარსებამ და 2) უკანასკნელი დღეების ამბებმა. ამ ამბებს კიდევაც რომ არ მოჰყვეს ჩვენი ძალიან მალე დაბრუნება რუსეთში, ყოველ შემთხვევაში ეს დაბრუნება ახლა ძალიან, ძალიან მოახლოებულია, და ს.-დ. გაზეთი უაღრესად სერიოზული საერთო მუშაობის დაუყოვნებლივ ნიადაგს იძლევა.

ჩვენ, ბოლშევიკებს, მთელი გულით რომ გვსურს თქვენთან ერთად მუშაობა, თქვენთვის ამის გამეორება ვგონებ არა მჭირდება. პიტერში მივწერე, რომ ახალი გაზეთის ყველა რედაქტორმა (ჯერჯერობით შვიდნი ვართ: ბოგდანოვი, რუმიანცევი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი, ორლოვსკი, ოლმინსკი და მე) მოგმართოს თქვენ კოლექტიური და ოფიციალური თხოვნით შეხვიდეთ სარედაქციო კოლეგიაში. მაგრამ ამბები არ ითმენს, ფოსტა შეწყვეტილია, და მე მიმაჩნია, რომ უფლება არა მაქვს გადავდო აუცილებელი ნაბიჯი, ნამდვილად რომ ვთქვათ, ერთი ფორმალობის გულისათვის. არსებითად, მე სავსებით და უთუოდ დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი თანახმა და მოხარული იქნებიან ასეთი წინადადების გამო. მშვენივრად

ვიცი, რომ თქვენთან უთანხმოება ყველა ბოლშევიკს მუდამ მიაჩნდა განსაკუთრებული გარემოებებით გამოწვეულ რაღაც დროებით მოვლენად. უდავოა, რომ ბრძოლა ხშირად ისეთ ნაბიჯებს გადაგვადგმევინებდა, ისეთ განცხადებებს გაგვაკეთებინებდა, ისეთ გამოსვლებს ჩაგვადენინებდა ხოლმე, რომლებსაც არ შეეძლოთ არ გაეძნელებინათ მომავალი შეერთება, მაგრამ გაერთიანებისათვის მზადყოფნა, იმის უკიდურესი არანორმალურობის შეგნება, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების საუკეთესო ძალა მუშაობისაგან განზე დგას, იმის შეგნება, რომ მთელი მოძრაობისათვის უაღრესად საჭიროა თქვენი ხელმძღვანელი, ახლო, უშუალო მონაწილეობა, — ყოველივე ეს მუდამ გვქონდა. და ყველას მტკიცედ გვჯერა, რომ დღეს თუ არა, ხვალ, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც მოხდება ჩვენი შეერთება თქვენთან, მოხდება ყველა სიძნელისა და დაბრკოლების მიუხედავად.

მაგრამ სჯობს, რომ ეს დღეს იყოს და არა ხვალ. საქმე ახლა ისე შემობრუნდა, რომ შეიძლება დავიგვიანოთ, და ჩვენ განზრახული გვაქვს მთელი ძალ-ღონე ვიხმაროთ, რომ არ დავიგვიანოთ.

ისურვებთ თუ არა ჩვენთან ერთად მუშაობას? მე მეტისმეტად მოხარული ვიქნებოდი, თუ დათანხმდებოდით, რომ ჩვენ ორნი შევხვედროდით ერთმანეთს და გველაპარაკნა ამ თემაზე. დარწმუნებული ვარ, რომ პირადი შეხვედრისას ბევრი გაუგებრობა გაქარწყლდებოდა, ბევრი რამ, რაც თითქოს აძნელებს გაერთიანების საქმეს, ერთბაშად მოისპობოდა. მაგრამ იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენ საერთოდ არ დასთანხმდებით ან ახლა არ დასთანხმდებით, ჩემს თავს ნებას მივცემ წინასწარ შევეხო ზოგიერთ ამ სიძნელეს.

სიძნელეები ასეთია: 1) თქვენი უთანხმოება ახალი რედაქციის ბევრ წევრთან. 2) ის, რომ თქვენ არა გსურთ შეხვიდეთ სოციალ-დემოკრატიის ორი ნახევრიდან ერთ-ერთში. — პირველი სიძნელე, ჩემი აზრით, სავსებით შეიძლება აცილებულ იქნეს. ჩემი და თქვენი თანხმობა ეხება თეორიისა და ტაქტიკის საკითხების დაახლოებით $^9/_{10}$-ს, ხოლო $^1/_{10}$-სათვის ერთმა-

ნეთთან უთანხმოება ხელს არ მოგვცემს. თქვენ გსურდათ და გსურთ ჩემს ნაწარმოებებში გაასწოროთ ზოგიერთი მტკიცება, რომლებიც თქვენი შეხედულებით მცდარია. მაგრამ მე არსად და არასოდეს არა ვცდილვარ რომელიმე სოციალ-დემოკრატი შემებოჭა სპეციალურად ჩემი შეხედულებებით, და ახალი რედაქციიდან არავის, სრულებით არავის არ უკისრია არავითარი «ლენინისტობა». ბარსოვის სიტყვა მე-3 ყრილობაზე ამ მხრივ საერთო შეხედულებებს გამოხატავს. დასახელებული შვიდი პირიდან სამის ფილოსოფიური შეხედულებანი თქვენ მცდარად მიგაჩნიათ [255]. მაგრამ ამ სამსაც არ უცდია და არც ცდილობენ თავისი ეს შეხედულებანი დაუკავშირონ რომელიმე ოფიციალურ პარტიულ საქმეს. და ეს სამიც, — მე სიტყვებს დაუფიქრებლად კი არ ვისვრი, არამედ ვლაპარაკობ ჩემთვის ზუსტად ცნობილი ფაქტების საფუძველზე, — მეტისმეტად მოხარული იქნებოდა, თუ თქვენთან ერთად იმუშავებდა. ჩემი და თქვენი პოლიტიკური უთანხმოება ახლა, ასეთ დროს, როცა უმრავლესობის შეხედულებებისადმი თქვენი საერთო თანაგრძნობა ცნობილია თქვენი რეფერატიდანაც, ჩანს თქვენი უკანასკნელი ნაწარმოებიდან, არაპირდაპირ ჩანს თქვენთან იქნებ ყველაზე უფრო სოლიდარული პარვუსის პოზიციიდან, — პოლიტიკური უთანხმოება ჩვენს შორის ახლა მეტად არასასურველი, მეტად უადგილო, სოციალ-დემოკრატიისათვის მეტად საზიანო იქნებოდა.

ხოლო ახალი ლეგალური გაზეთი, რომელსაც აუდიტორიად ეყოლება ათეულ ათასობით მუშა, თუ ასეულ ათასობით არა, — და საერთოდ მთელი ხვალინდელი მუშაობაც რუსეთში ისეთ მომენტში, როცა თქვენი უდიდესი ცოდნა და უდიდესი პოლიტიკური გამოცდილება უაღრესად ესაჭიროება რუსეთის პროლეტარიატს, — ყოველივე ეს შექმნის ა ხ ა ლ ნ ი ა დ ა გ ს, რომელზეც ყველაზე ადვილი იქნება ძველის დავიწყება, ცოცხალ საქმეში შეხმატკბილება. ჟენევაში მუშაობიდან პიტერში მუშაობაზე გადასვლა ფსიქოლოგიურად და პარტიულად მეტისმეტად ხელსაყრელი გადასვლაა გათიშვიდან გაერთიანებაზე გადასასვლელად, და მე დიდი იმედი

მაქვს, რომ ჩვენ ხელიდან არ გავუშვებთ ასეთ მომენტს, რომელიც არ ყოფილა მე-2 ყრილობის დროიდან და რომელიც, ალბათ, მალე არ გამეორდება.

მაგრამ აქ არის მეორე სიძნელე. თქვენ, იქნებ, არ მოინდომებთ გაერთიანებას პარტიის ერთ ნახევართან. თქვენი ,,ითხოვნა იქნება, როგორც conditio sine qua non *, მთელი პარტიის გაერთიანება, რომ თქვენ მონაწილეობა მიიღოთ საქმეში. ასეთი გაერთიანება სასურველი და საჭირო რომ არის, ამაში თქვენ სავსებით მართალი ხართ, მაგრამ იგი შესაძლებელია თუ არა ახლა? თქვენ თვითონ მიდრეკილებას იჩენთ ამაზე უარყოფითად უპასუხოთ, ვინაიდან ამას წინათ მხოლოდ ფედერაციას გვთავაზობდით. ახლა პროლეტარიატზე ჩვენი ზემოქმედებისათვის ყველაზე ფართო ტრიბუნას წარმოადგენს პიტერის ყოველდღიური გაზეთი (ჩვენ შეგვეძლება გამოცემა ავიყვანოთ 100 000 ეგზემპლარამდე და ნომრის ფასი გავხადოთ 1 კაპიკი). შესაძლებელია ახლა კოალიციური რედაქცია მენშევიკებთან?? ჩვენც ვფიქრობთ, რომ არა. მენშევიკებიც ფიქრობენ, რომ არა. თქვენც, თუ ვიმსჯელებთ ფედერაციის შესახებ თქვენი წინადადების მიხედვით, ფიქრობთ, რომ არა. მაშ ნუთუ საჭირო იქნება სამი გაზეთი? ნუთუ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური ორგანოსათვის ჩვენ არ შეგვიძლია შეეერთდეთ, როცა საორგანიზაციო უთანხმოებანი, კაცმა რომ თქვას, არავითარი არა გვაქვს, და ლეგალურ მდგომარეობაზე პარტიის ხვალინდელი გადასვლა გაფანტავს იმ შიშის მთელ ნაშთებს, რომ ჩვენი პარტია შეთქმულთა პარტიაა. ჩვენს ტაქტიკურ უთანხმოებას კი რევოლუცია თვითონ სპობს საოცარი სისწრაფით, ამასთან მე-3 ყრილობის რეზოლუციების წინააღმდეგ თქვენ არავითარი უთანხმოება არ წამოგიყენებიათ, ხოლო ეს რეზოლუციები ხომ პარტიის ერთადერთი დირექტივაა, რომელიც ჩვენ, ბოლშევიკებს, ყველას გვაკავშირებს.

---

* — აუცილებელი პირობა. რედ.

ასეთ პირობებში, ვფიქრობ, თქვენი გადმოსვლა ჩვენთან სავსებით შესაძლებელია, და მომავალი გაერთიანების საქმეს იგი კი არ გააძნელებს, არამედ გააადვილებს და დააჩქარებს. ახლანდელი, თქვენი განზე გადგომის გამო გაჭიანურებული, ბრძოლის ნაცვლად მივიღებთ მთელი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უფრო მტკიცე სიტუაციას. ამის შედეგად ბრძოლაც უფრო მშვიდი, უფრო მტკიცე გახდება. ამის შედეგად სოციალ-დემოკრატების მთელი ფართო მასა მაშინვე თავს მტკიცედ, იმედიანად იგრძნობს, — მაშინვე საგრძნობი გახდება სხვა სულისკვეთება, და ახალი გაზეთი დაიწყებს სოციალ-დემოკრატიაში მოწინავე პოზიციის სწრაფად დაკავებას, აღარ დაიწყებს უკან ყურებას, ძველის წვრილმანთა გარჩევას, არამედ მხოლოდ მტკიცედ და დინჯად უხელმძღვანელებს მუშათა კლასს ბრძოლის ახლანდელ ასპარეზზე.

დავამთავრებ იმით, რომ ერთხელ კიდევ გთხოვთ დათანხმდეთ ჩემსა და თქვენს შეხვედრაზე და გამოვთქვამ ჩვენი, ბოლშევიკების, საერთო რწმენას, რომ სასარგებლო, მნიშვნელოვანი და საჭიროა თქვენთან ერთად მუშაობა.

გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი ვ. ულიანოვი

დაწერილია 1905 წ. ოქტომბრის დამლევს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

161

«ოდესის ორგანიზაციის «უმრავლესობის» წევრებს მოტიას და კოსტიას»[256]

ამხანაგებო! მივიღე თქვენი «წერილი ამხანაგებს». მე მას არ დავბეჭდავ და ნურც თქვენ მთხოვთ ამას. მაგრამ მოვალეობად მიმაჩნია გიპასუხოთ. პრესაში უკვე არა ერთხელ განმიცხადებია ის, რასაც თქვენც გაგიმეორებთ. გათიშვის გამო ჩივილი და ტირილი უსარგებლოა. საჭიროა საქმეს აკეთებდეთ მის აღმოსაფხვრელად, ფიქრობდეთ, თუ როგორ გავერთიანდეთ, და არა საერთო ადგილებსა და ნაღვლიან შეძახილებს ეძებდეთ. უჩიოდე ორი პარტიის ბრძოლას და ქმნიდე მესამეს, ისიც ფარულს, როგორც თქვენ აკეთებდით, ემალებოდით რა ორივე ორგანიზაციას, — ნიშნავს გათიშვის გაძლიერებას. თუ თქვენ გაგრიცხეს ორგანიზაციის წესების დარღვევისათვის, ეს ახი იყო თქვენზე, და ამაოდ ცდილობთ დახლართოთ საქმე, იგი ისე წარმოგვიდგინოთ, თითქოს თქვენი აზრებისათვის, თქვენი შემარიგებლობისათვის გაგრიცხეს, და არა თქვენი დეზორგანიზაციისათვის.

«დამფუძნებელი ყრილობა» ფუჭი ფრაზაა. მხოლოდ ოდნავ, ცოტა, ერთი ციცქნა იფიქრეთ, სახელდობრ რომელმა ჯგუფებმა და რამდენ-რამდენი წარმომადგენელი უნდა გაგზავნონ?? ერთი ბეწო იფიქრეთ, როგორ გამოეხმაურებოდით თქვენ დამფუძნებელი კრების იდეას, თუ **არ იქნებოდა** საარჩევნო უფლების საფუძვლები? განა ამას შარლატანობას არ უწოდებდით??

რატომ არაფერს არ ამბობთ იმ იდეაზე, რომ მოეწყოს ორი ყრილობა, უმრავლესობისა და უმცირესობისა, ერთსა

და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას?? ეს იდეა წამოაყენა ცენტრალურმა კომიტეტმა და «პროლეტარმა»[257]. განა უფრო ადვილი არ არის შედგენილ იქნეს ორი ყრილობა ა რ ს ე ბ უ ლ ი ორი პარტიისაგან, ვიდრე ჯერ შეიქმნას მ ე ს ა მ ე (ამას თქვენ მოანდომებთ თ ვ ე ე ბ ს, თუ წლებს არა) და მაშინ მოწვეულ იქნეს ს ა მ ი ყრილობა?? რომელი რეგვენი დაემორჩილება «დამფუძნ. ყრილობას», თუ წინასწარ არ ეცოდინება, იქ მართლაც სოციალ-დემოკრატები, სახელდობრ რომელი სოციალ-დემოკრატები და რა პროპორციით იქნებიან წარმოდგენილნი???

ლოზუნგს «ორი ყრილობა» საფუძვლად აქვს 1) ორი პარტიიდან ერთის თანხმობა; 2) სრული მზადყოფნა უმრავლესობის ყრილობისათვის და ის, რომ ცნობილია მ ი ს ი ნორმები მოწვევისათვის და მისი ყრილობის უ ფ ლ ე ბ ე ბ ი; 3) იმის შესაძლებლობა, რომ ძალიან სწრაფად მიღწეულ იქნეს იგივე მ ე ო რ ე პარტიის ჯგუფებსა და ორგანიზაციებში: გამოქვეყნდეს ყველა ჯგუფი, მოხდეს მათი გამოკითხვა, დაიბეჭდოს ყრილობის წესდების პროექტი.

ხოლო თქვენს ლოზუნგს — «დამფუძნ. ყრილობა» საფუძვლად აქვს მარტო ზოგიერთი მოწუწუნის წუწუნი, ვინაიდან პარტიის **არც ერთმა** ნაწილმა არავითარი მხრივ არ იცის ამ ყრილობის **საფუძვლები.** თქვენ მხოლოდ მცირედ მორწმუნე **და სუსტნერვებიანი** ადამიანები ხართ. დაინახეთ ჭუჭყიანი ავადმყოფობა, მყრალი მუწუკები და პირი მოარიდეთ. ეს, ადამიანურად რომ ვთქვათ, გასაგებია, მაგრამ რაციონალური არ არის. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ პირის მორიდება არ შეიძლება, რომ მესამე პარტია არავითარ შედეგს არ მოიტანს, ორი ახლანდელი კი მაინც გაერთიანდება, თუნდაც არა ერთბაშად და არა მტკივნეული ოპერაციების გარეშე.

დაწერილია 1905 წ. ოქტომბრის ბოლოს —
ნოემბრის დამდეგს
გაგზავნილია ჟენევიდან ოდესაში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1907 წ.

162

ა. მ. გორკის

ოთხშაბათი, 14. VIII. 07.

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ! მე და მეშკოვსკი დღეს აქ ჩამოვედით და ხვალ შტუტგარტს მივდივართ. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, თქვენც რომ იქ ყოფილიყავით [25*]. ჯერ-1, თქვენ გაყვანილი ხართ ოფიციალურად ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით (სათათბირო ხმით). მე-2, ძალიან კარგი იქნებოდა გვენახა ერთმანეთი, თორემ იქნებ დიდხანს ვეღარ შევხვდეთ. მე-3, თქვენგან სულ რაღაც ერთი დღე-ღამის სავალია და გასტანს ა რ ა უ მ ე ტ ე ს ერთი კვირისა (ეს ლონდონი როდია!). სულაც არ იქნება დაგვიანებული, თუ კვირას ან თუნდაც ორშაბათს წამოხვალთ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი თქვენი ჩამოსვლის სასარგებლოდ ლაპარაკობს. თუ კი ჯანმრთელად ხართ, გთხოვთ ჩამოხვიდეთ. ნუ გაუშვებთ შემთხვევას მ უ შ ა ო ბ ა შ ი ნახოთ საერთაშორისო სოციალისტები, — ეს სულ სხვა, სულ სხვა რამ არის, ვიდრე ზოგადი ნაცნობობა და მასლაათი. შემდეგი კონგრესი მხოლოდ სამი წლის შემდეგ იქნება. ჩვენი ყოველგვარი საქმეების შესახებაც მიწერ-მოწერით ვერასოდეს ხეირიანად ვერ შევატყობინებთ ერთმანეთს, თუ ერთმანეთი არა ვნახეთ. ერთი სიტყვით, აუცილებლად ჩამოდით. ნახვამდის!

დიდი მოკითხვა მარიამ თევდორეს ასულს.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

168

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ძვირფასო ან. ვას.!

მივიღეთ, როგორც იქნა, თქვენი ბროშურა[259] — პირველი ნაწილი კარგა ხანია, რაც მოვიდა. მე სულ ველოდი ბოლოს, რომ მთლიანად წამეკითხა, მაგრამ ვერ ვეღირსე. დღემდე არ არის მესამე დამატება («როგორ უყურებდა მარქსი» და სხვ.). ეს მეტად სამწუხაროა, ვინაიდან, როცა ყველაფერი მთლიანად არა გაქვს, გეშინია ასაწყობად გადასცე გამომცემელს. ეს მესამე დამატება თუ ჯერ კიდევ არ არის გამოგზავნილი, გთხოვთ ეცადოთ რაც შეიძლება მალე გამოგზავნოთ. ფული (200 მან.) გამოგეგზავნათ; მიიღეთ თუ არა?

რაც შეეხება თქვენი ბროშურის შინაარსს, მე ძალიან მომეწონა, ისევე როგორც ყველა ჩვენიანს. ფრიად საინტერესო რამ არის და საუცხოოდ დაწერილი. ერთი რამ კია: ბევრია, ასე ვთქვათ, გარეგანი გაუფრთხილებელი გამოთქმები, ე. ი. ისეთი გამოთქმები, რომელთა გამო შეიძლება შ ა რ ი მ ო გ ვ დ ო ნ ყოველგვარმა ესერებმა, მენშევიკებმა, სინდიკალისტებმა etc.. ჩვენ კოლექტიურად ვითათბირეთ, შევასწოროთ თუ წინასიტყვაობაში აღვნიშნოთ? გადავწყვიტეთ უკანასკნელი გავაკეთოთ, რადგან შესასწორებლად გვენანება; ამით ძალიან დავარღვევდით გადმოცემის მთლიანობას.

რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერი და დაკვირვებული მკითხველი შეძლებს სწორად გაგიგოთ, მაგრამ თქვენ მაინც ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ უ ნ დ ა ე მ ი ჯ ნ ე ბ ო დ ე თ ცრუ განმმარტებლებს, ვინაიდან სახელი მათი ლეგიონია. მაგალითად,

ბებელი რასაკვირველია უნდა გავაკრიტიკოთ, და მე არ ვუწონებ ტროცკის, რომელმაც ამას წინათ ესენის და საერთოდ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ერთი მთლიანი ხოტბა გამოგვიგზავნა. თქვენ მართალი ხართ, როცა აღნიშნავთ, რომ ესენში ბებელი მართალი არ იყო მილიტარიზმის საკითხშიც და კოლონიური პოლიტიკის (უფრო სწორად ამ პუნქტის გამო შტუტგარტში რადიკალების ბრძოლის ხასიათის) საკითხშიც. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეცდომები იმ ადამიანის შეცდომებია, — რომელთან ერთადაც მივდივართ ერთი გზით და რომ ამ შეცდომების გამოსწორება შეიძლება მხოლოდ ამ, მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ გზაზე. ვინაიდან ჩვენში ბევრია ისეთი ადამიანი (თქვენ, ალბათ, ვერ ნახულობთ მათს ლიტერატურას), რომლებიც ბოროტად ხითხითებენ ბებელზე ესერობის, სინდიკალიზმის (à la ეზერსკი, კოზლოვსკი, კრიჩევსკი — იხ. «ობრაზოვანიე» და სხვ.). ანარქიზმის ქ ე ბ ა-დ ი დ ე ბ ი ს გ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს.

მე ვფიქრობ, ყ ვ ე ლ ა თქვენი აზრი შეიძლება და საჭიროც არის ყოველთვის ისე გადმოიცეს, რომ კრიტიკა მიმართული იყოს არა ორტოდოქსიის, არა საერთოდ გერმანელთა წინააღმდეგ, არამედ ო პ ო რ ტ უ ნ ი ზ მ ი ს წინააღმდეგ. მაშინ თქვენს აზრებს დამახინჯებულად ვ ე ღ ა რ განმარტავენ. მაშინ დასკვნა ნათელი იქნება: ბოლშევიზმი, რომელიც სწავლობს არა მარტო გერმანელებისაგან, არამედ გ ე რ მ ა ნ ე ლ ე ბ ზ ე ც (თქვენი ეს მოთხოვნა ათასჯერ სწორია!), შეძლებს აიღოს სინდიკალიზმისაგან ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ც ო ც ხ ა ლ ი, **რათა მოკლას რუსული სინდიკალიზმი და ოპორტუნიზმი.** სწორედ ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, ყველაზე ადვილი და ბუნებრივია ამის გაკეთება, ვინაიდან რევოლუციაში ჩვენ ყველაზე მეტად ვიბრძოდით პარლამენტური კრეტინიზმისა და პლეხანოვური ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. და მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია რევოლუციური, და არა პლეხანოვისა და კომპანიის პედანტურ-კადეტური, თვალსაზრისით უკუვაგდოთ სინდიკალიზმი, რომელსაც უდიდესი (რუსეთისათვის განსაკუთრებით საშიში) არევ-დარევა მოაქვს.

გამოვიდა და გამოგეგზავნათ «პროლეტარის» № 17. გამოვიდა და გამოგეგზავნათ «ზარნიცი»[260]. მიიღეთ თუ არა? კითხულობთ თუ არა «ტოვარიშჩს»? ახლა როგორ მოგწონთ იგი? ძველს ხომ არ გაიხსენებთ და მათ ლექსად არ დასცინებთ? გთხოვთ მოიწეროთ ხოლმე.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1907 წ. 2 და 11 ნოემბერს შუა
გაგზავნილია კუოკალიდან (ფინეთი)
იტალიაში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1908 წ.

164

ა. მ. გორკის

9. I. 08. ჟენევა.

ძვირფასო ალ. მ.! ამ დღეებში ჩამოვედი აქ ცოლიანად. გზაში ორივე გავცივდით. აქ ასე თუ ისე ვეწყობიო, ჯერჯერობით დროებით და ამიტომ ყველაფერი ცუდად არის. ძალიან გამახარა თქვენმა წერილმა: მართლაც, რა ჩინებული იქნებოდა კაპრიზე გამოსეირნება! აუცილებლად როგორმე ვიხელთებ დროს, რომ თქვენთან ჩამოვიდე. მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, შეუძლებელია. აქ ჩამოვედით დავალებით — მოვაწყოთ გაზეთი: ფინეთიდან აქ გადმოვიტანოთ «პროლეტარი». ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ჟენევას ავირჩევთ თუ სხვა ქალაქს. ყოველ შემთხვევაში უნდა ვიჩქაროთ, და ახლად მოწყობას დიდი ფუსფუსი სჭირდება. აი ზაფხულში ან გაზაფხულზე რომ შევძლებდე თქვენთან სტუმრად ჩამოსვლას, როცა საქმე უკვე აწყობილი იქნება! თქვენთან კაპრიზე როდის არის ხოლმე განსაკუთრებით კარგი?

როგორა ხართ? თავს როგორა გრძნობთ? მუშაობაში ხომ მარჯვედ ხართ? ბერლინში გავლისას შევიტყვე, რომ თქვენ და ლუნაჩარსკის იტალია მოგივლიათ და კერძოდ რომში ყოფილხართ. კმაყოფილი დარჩით იტალიით? ბევრ რუსს ნახულობთ?

თქვენთან ჩამოსვლა, ვფიქრობ, მაშინ ემჯობინება, როცა დიდი სამუშაო არ გექნებათ, რომ შეგვეძლოს ერთად ვიხეტიალოთ და ვიმუსაიფოთ.

მიიღეთ თუ არა ჩემი წიგნი (12 წლის განმავლობაში დაწერილი სტატიების კრებულის პირველი ტომი)[261]? დავავალე პიტერიდან გამოეგზავნათ თქვენთვის.

უდიდესი მოკითხვა მ. თევდ. ასულს. ნახვამდის!

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი: Mr. Wl. O u l i a n o f f.

17. Rue des deux Ponts. 17. (chez Küpfer). G e n è v e.

გაგზავნილია კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

165

ა. მ. გორკის და მ. თ. ანდრეევას

15. I. 08.

ძვირფასო ა. მ. და მ. თ.!

დღეს მივიღე თქვენი ექსპრესი. დალახვროს ეშმაკმა, საოცრად მხიბლავს თქვენთან კაპრიზე ჩამოსვლა! თქვენ ისე კარგად ამიწერეთ ეს, რომ ღმერთმანი აუცილებლად წამოვალ და ვეცდები ცოლიც წამოვიყვანო. მხოლოდ როდის იქნება ეს, ჯერ არ ვიცი: ახლა არ შეიძლება «პროლეტარს» არ მივხედოთ და საჭიროა დ ა ვ ა ყ ე ნ ო თ იგი, ავაწყოთ მუშაობა რადაც უნდა დაჯდეს. ამას დასჭირდება ერთი-ორი თვე, minimum. ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. გაზაფხულზე კი ჩამოვალთ, რომ ვსვათ კაპრის თეთრი ღვინო, ვუცქიროთ ნეაპოლს და ვიმუსაიფოთ თქვენთან. მე სწორედ იტალიურის სწავლა დავიწყე და, როგორც მოსწავლე, მაშინვე ვეტაკე მარიამ თევდორეს ასულის მიერ დაწერილ მისამართს: espresso-ს ნაცვლად expresso! აბა ვნახოთ ლექსიკონი!

რაც შეეხება «პროლეტარის» გადატანას, თქვენს თავს დაემდურეთ, ეს რომ მოიწერეთ. ახლა ისე ადვილად ველარ მოგვიცილებთ თავიდან! მ. თ — ს ახლავე უნდა მივცეთ აუარებელი დავალება:

1) აუცილებლად იპოვოს მდივანი გემების მოსამსახურეთა და მუშათა კავშირისა (ასეთი კავშირი უნდა იყოს!) იმ გემებზე, რომლებიც რუსეთში დადიან.

2) გაიგოს მისგან, ს ა ი დ ა ნ და ს ა დ მიდიან გემები; რ ა მ დ ე ნ ა დ ხ შ ი რ ა დ. რომ მან აუცილებლად მოგვი-

წყოს გადაზიდვა ყოველკვირეულად. რა ეღირება ეს? უნდა გამოგვინახოს **აკურატული** კაცი (იტალიელები აკურატული არიან?). სჭირდებათ თუ არა მათ მისამართი რუსეთში (ვთქვათ ოდესაში) გაზეთის მისატანად, თუ შეეძლებათ დროებით მცირე რაოდენობით შეინახონ ხოლმე რომელიმე იტალიელ მიკიტანთან ოდესაში? ამას ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

3) თუ მ. თ — სთვის შეუძლებელია ყოველივე ეს თვითონ მოაგვაროს, იწვალოს, ძებნოს, განუმარტოს, შეამოწმოს და სხვ., აუცილებლად უშუალოდ დაგვაკავშიროს ამ მდივანთან: მაშინ ჩვენ თვითონ შევუთანხმდებით წერილობით.

ეს საშური საქმეა: იმედი გვაქვს, რომ სწორედ 2 — 3 კვირის შემდეგ აქ «პროლეტარს» გამოვუშვებთ და იგი დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს.

ახლა კი — კაპრიზე ნახვამდის! იცოდეთ, ა. მ., ჯანმრთელად იყავით!

თქვენი ვ. ულიანოვი

გაგზავნილია ჟენევიდან
ჯუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

166

ფ. ა. როტშტეინს

29. I. 08.

ძვირფასო ამხანაგო!

ფინეთში 2½ — 3 თვის წინათ მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც მოგვაგონებდით ვალს[262], და იგი ცენტრალურ კომიტეტს გადავეცი. ახლა «ფინეთის განადგურებამ» მაიძულა წამოვსულიყავი ჟენევაში, ხოლო გამომგზავრება ბევრ დროდ და დავიდარაბად დამიჯდა. დღეს ერთმა აქაურმა ამხანაგმა მაცნობა, რომ თქვენ დაჟინებით მოგვაგონებთ ვალს და რომ ინგლისელი გაზეთებში გამოქვეყნებასაც კი (!) იმუქრება და სხვ.

მე დაუყოვნებლივ კვლავ და კვლავ ვწერ რუსეთში, რომ საჭიროა ვალის დაბრუნება. მაგრამ, იცით, ახლა ეს მ ე ტ ა დ ძნელი გასაკეთებელია! ფინეთის განადგურებამ, ბევრი ამხანაგის დაპატიმრებამ, ქალალდების ხელში ჩაგდებამ, სტამბების გადატანის, საზღვარგარეთ ბევრი ამხანაგის გადაგზავნის საჭიროებამ, ყოველივე ამან მ რ ა ვ ა ლ ი სრულიად მოულოდნელი ხარჯი გამოიწვია. პარტიის საფინანსო მდგომარეობა მით უფრო სავალალოა, რომ ორი წლის განმავლობაში ყველა გადაეჩვია იატაკქვეშეთს და რომ ისინი «გაანებივრა» ლეგალურმა და ნახევრადლეგალურმა მუშაობამ. ფარული ორგანიზაციების შექმნა თითქმის ხელახლა გვიხდება. ამას დიდძალი ფული უნდა. ხოლო მთელი ინტელიგენტური, მეშჩანური ელემენტები ტოვებენ პარტიას: მრავალი ინტელიგენტი ჩამოგვშორდა. რჩებიან წმინდა პროლეტარები, რომლებსაც შესაძლებლობა არა აქვთ აშკარად მოაგროვონ ფული.

ეს უნდა განუმარტოთ ინგლისელს, ჩააგონოთ, რომ მე-2 სათათბიროს ეპოქის პირობები, როცა აღებულ იქნა სესხი, სულ სხვა იყო, რომ პარტია, რა თქმა უნდა, გადაიხდის თავის ვალებს, მაგრამ მათი მოთხოვნა ახლა შეუძლებელია, წარმოუდგენელია, რომ ეს მევახშეობა იქნებოდა და სხვ.

უნდა დაარწმუნოთ ინგლისელი. საეჭვოა, რომ მან ფული მიიღოს. სკანდალი ვერაფერს უშველის.

მახსოვს, ხელი მოაწერეს ფრაქციების წევრებმა ცალ-ცალკე და პასუხს ფრაქციების მიხედვით აგებენ?

ხელს გართმევთ.

თქვენი ნ. ლენინი

P. S. მე მივწერე კველჩს, რადგან თქვენი მისამართი არ ვიცოდი, და ვთხოვე მოეგროვებინა ზოგიერთი ლიტერატურა. მისი დიდი მადლობელი ვარ: ვშიშობ, რომ მას ყოველთვის როდი ესმის ჩემი საშინელი ინგლისური ენა!

ჩემი მისამართი: Vl. Oulianoff. 17. Rue des deux Ponts. Genève.

ბაგზავნილია ჟენევიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

167

ა. მ. გორკის

2. II. 08.

ძვირფასო ა. მ.!

გწერთ ორ საქმეზე.

ჯერ-1, სემაშკოს საქმეზე. თუ მას პირადად ა რ იცნობთ, არ ღირს ჩაერიოთ ქვემომოყვანილი გარემოების გამო. თუ იცნობთ, ღირს.

ლ. მარტოვმა ბერნის ს.-დ. გაზეთში მოათავსა «განცხადება», სადაც ამბობს, რომ სემაშკო შტუტგარტის კონგრესზე იყო არა როგორც დელეგატი, არამედ მხოლოდ როგორც ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ტ ი. ერთ სიტყვასაც არ ამბობს, რომ იგი ს.-დ. პარტიას ეკუთვნის. ეს არის მენშევიკის საზიზღარი გამოხდომა ბოლშევიკის წინააღმდეგ, რომელიც საპყრობილეში მოხვდა. მე, როგორც რსდმ პარტიის წარმომადგენელმა საერთაშორისო ბიუროში[263], უკვე გავგზავნე ჩემი ოფიციალური განცხადება. თუ სემაშკოს პირადად იცნობთ ან ნიუნში იცნობდით, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ მისწერეთ ამავე გაზეთს, რომ აღშფოთებული ხართ მარტოვის განცხადებით, რომ თქვენ პირადად იცნობთ სემაშკოს, როგორც ს.-დ-ს, რომ თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მას კავშირი არა აქვს იმ საქმეებთან, რომლებსაც აზვიადებს საერთაშორისო პოლიცია. ქვემოთ მომყავს გაზეთის მისამართი და სრული ტექსტი მარტოვის განცხადებისა, რომელსაც მ. თ. გითარგმნით. რედაქციას თქვენ თვითონვე მისწერეთ რუსულად, ხოლო მ. თ — ს სთხოვეთ დაურთოს გერმანული თარგმანი.

მეორე საქმე. ჩვენ ახლა აქ თავი მოვიყარეთ სამივემ, რომ-ლებიც რუსეთიდან ვართ გამოგზავნილი «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» დასაარსებლად (ბოგდანოვმა, მე და ერთმა «პრაქტიკოსმა»). ყველაფერი მოგვარებულია, ამ დღეებში გამოვუშვებთ ანონსს [264]. თანამშრომლად გაყენებთ თქვენ. მოგვწერეთ ორიოდე სიტყვა, შეგიძლიათ თუ არა მოგვცეთ რამე პირველი ნომრებისათვის (იქნება ეს ისეთივე რამ, როგორც შ ე ნ ი შ-ვ ნ ე ბ ი მ ე შ ჩ ა ნ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ-შ ი» რომ იყო მოთავსებული, თუ ნაწყვეტები მოთხრობიდან, რომელსაც წერთ [265], და სხვ.).

მაგრად გართმევთ ხელს. დიდი მოკითხვა მ. თ — ს!

თქვენი ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

გაზეთ «B e r n e r T a g w a c h t»-ის * (რედაქციის მისამართი: Kapellenstrasse. 6. Bern. ს.-დ. ორგანო) 1908 წლის 30 იანვრის 24-ე ნომერში მოთავსებულია შემდეგი:

«E r k l ä r u n g. In einigen Zeitungen stand zu lesen, dass der unlängst in Genf verhaftete D-r Simaschko ein Delegierter der Genfer Gruppe der russischen Sozialdemokratie in Stuttgart gewesen sei. Dem gegenüber erkläre ich, dass D-r Simaschko nicht Mitglied der russischen Section auf dem genannten Kongresse war und kein Delegiertenmandat besessen hat. Er war dort nur als Journalist tätig.

L. M a r t o f f, Delegierter der russischen Sozialdemokratie auf dem Stuttgarter Kongress» **.

---

* — «ბერნის გუშაგი». რ ე დ.

** — «გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა. ზოგიერთ გაზეთში შეიძლებოდა წაგეკითხათ, რომ დოქტორი სემაშკო, რომელიც ამას წინათ ჟენევაში დააპატიმრეს, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ჟენევის ჯგუფის დელეგატი იყო შტუტგარტში. ამის უარსაყოფად ვაცხადებ, რომ დოქტორი სემაშკო არ ყოფილა რუსული სექციის წევრი ხსენებულ კონგრესზე და არავითარი სადელეგატო მანდატი არ ჰქონია. იგი კონგრესში მონაწილეობდა მხოლოდ როგორც ჟურნალისტი.

ლ. მ ა რ ტ ო ვ ი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დელეგატი შტუტგარტის კონგრესზე». რ ე დ.

ეს არის და ეს. საზიზღრობა აქ ის არის, რომ არაპირდაპირ თითქოს მტვერს იბერტყავენ, სოციალ-დემოკრატია ხელს იღებს სემაშკოზე!

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

168

ა. მ. გორკის

7. II. 8.

ძვირფასო ა. მ.! თქვენი განცხადების შესახებ მოვეთათბირები ა. ა — ს: ჩემი აზრით, დაბეჭდვა არა ღირს, რადგან პირადად არ იცნობდით [266].

რომელ ბოლშევიკურ კრებულში გაგზავნეთ სტატია ცინიზმზე? გაოცებული ვარ, რადგან ბოლშევიკური კრებულების შესახებ გულმოდგინედ მწერენ, ამაზე კი არაფერი მსმენია. იმედი მაქვს, რომ პიტერის კრებულში. სენკევიჩისადმი წერილი, თუ პირი გაქვთ, გამოგზავნეთ (ზედ აღნიშნეთ, რ ო დ ი ს არის გაგზავნილი), — მაგრამ სენკევიჩი ალბათ გამოაქვეყნებს, რაკი ანკეტაა.

თქვენი გეგმები ძალიან საინტერესოა, და მე სიამოვნებით ჩამოვიდოდი. მაგრამ, დამეთანხმეთ, ხომ ვერ მივატოვებ პარტიულ საქმეს, რომელიც ფაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს [267]. ახალი საქმის მოგვარება ძნელია. მიტოვება არ შემიძლია. დაახლოებით ერთ-ორ თვეში მოვაგვარებ, და მაშინ თავისუფლად დავანებებ თავს ერთი-ორი კვირით.

ათასჯერ გეთანხმებით, რომ საჭიროა ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი ბრძოლა პოლიტიკურ დაცემულობასთან, რენეგატობასთან, წუწუნთან და სხვ.. რაც შეეხება «საზოგადოებას» და «ახალგაზრდობას», არა მგონია ამაში უთანხმოება გვქონდეს. ინტელიგენტების მნიშვნელობა ჩვენს პარტიაში ეცემა: ყოველი მხრიდან მოდის ცნობები, რომ ინტელიგენცია გ ა რ ბ ი ს პარტიიდან. ჯანაბამდე გზა ჰქონიათ ამ არამზადებს. პარტია

იწმინდება მეშჩანური ნაგვისაგან. მუშები უფრო მეტად ჰკიდებენ ხელს საქმეს. ძლიერდება პროფესიონალი მუშების როლი. ყოველივე ეს საუცხოოა, და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი «მუჯლუგუნებიც» ამავე აზრით უნდა იქნეს გაგებული.

ახლა — როგორ მოვახდინოთ ზეგავლენა, სახელდობრ როგორი «ლიტერატურა ვაკეთოთ»? კრებულები თუ «პროლეტარი»? რასაკვირველია, ყველაზე ადვილია პასუხი: არა თუ, არამედ და — პასუხი უზადო, მაგრამ ნაკლებად პრაქტიკული იქნება. ლეგალური კრებულები, რასაკვირველია, უნდა იყოს; ჩვენი ამხანაგები პიტერში ოფლის ღვრით მუშაობენ ამ კრებულებზე და მეც ვმუშაობდი, ლონდონის შემდეგ, კვაკალაში[268] რომ ვიჯექი. თუ შესაძლებელია, — **ყოველი** ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ხელი შევუწყოთ მათ და განვაგრძოთ ეს კრებულები.

მაგრამ ჩემმა გამოცდილებამ ლონდონიდან XI. 05-მდე (ნახევარი წელიწადი!) დამარწმუნა, რომ სისტემატურ ლეგალურ ლიტერატურას ახლა ვერ შექმნი. დარწმუნებული ვარ, რომ პარტიას ახლა სჭირდება პოლიტიკური ორგანო, რომელიც წესიერად გამოვა, მტკიცედ და ძლიერად გაატარებს დაშლასთან და გულგატეხილობასთან ბრძოლის ხაზს, — პარტიული ორგანო, პოლიტიკური გაზეთი. ბევრ რუსეთელს არა სწამს საზღვარგარეთული ორგანო. მაგრამ ეს შეცდომაა, და ჩვენმა კოლეგიამ ტყუილად როდი დაადგინა «პროლეტარის» აქ გადმოტანა. თქმა არ უნდა, ძნელია მისი მოგვარება, დაყენება, გამოცოცხლება. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს, და ეს გაკეთდება.

ამ ორგანოში რატომ არ უნდა იყოს შეტანილი ლიტერატურული კრიტიკა? ადგილი ცოტაა? მე, რა თქმა უნდა, არ ვიცნობ თქვენი მუშაობის სისტემას. სამწუხაროდ, შეხვედრის დროს უფრო მასლაათი გვქონდა ხოლმე, ვიდრე საქმიანი ლაპარაკი. თუ თქვენ ვერ ეწყობით პატარა, მოკლე, პერიოდულ (კვირეულ, ორკვირეულ) სტატიებს, თუ უკეთ გრძნობთ თავს, როცა დიდ სამუშაოს ეწევით, — მაშინ, რა თქმა უნდა, არ გირჩევთ მის შეწყვეტას. იგი მეტ სარგებლობას მოიტანს!

მაგრამ თუ გეხალისებათ ერთად მუშაობაც პოლიტიკურ გაზეთში, — რატომ არ უნდა განაგრძოთ, ჩვეულებად არ უნდა შემოიღოთ ის ჟანრი, რომელიც თქვენ დაიწყეთ «შენიშვნებით მეშჩანობის შესახებ» «ნოვაია ჟიზნში» და, ჩემი აზრით, კარგადაც დაიწყეთ? მე «წინასწარ მოფიქრებული განზრახვით» მოგწერეთ ამაზე ერთ-ერთ პირველსავე წერილში, და ვფიქრობდი: თუ მას ეს იზიდავს, ხელს ჩასჭიდებს-მეთქი. და მე ვფიქრობ, რომ უკანასკნელ წერილში თქვენ თითქოს ხელს სჭიდებთ. თუ ვცდები? რამდენად მოიგებდა პარტიული მუშაობაც გაზეთის საშუალებით, გაზეთისა, რომელიც არ იქნება ისეთი ცალმხრივი, როგორც წინათ იყო, — და ლიტერატურული მუშაობაც, რომელიც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდებოდა პარტიულ მუშაობას, პარტიაზე სისტემატურ, განუწყვეტელ ზემოქმედებას! რომ იყოს არა «თავდასხმები», არამედ მთლიანი შეტევა მთელი ხაზით, შეუჩერებლად. უხარვეზებოდ, რომ ს.-დ. ბოლშევიკები არა მარტო ნაწილ-ნაწილ ესხმოდნენ თავს ყოველგვარ ყეყეჩებს, არამედ იპყრობდნენ ყველაფერს და ყოველივეს ისე, როგორც იაპონელები იპყრობდნენ მანჯურიას რუსებთან ბრძოლაში.

სამი თემიდან, რომლებსაც თქვენ კრებულებისათვის ითვალისწინებთ (ფილოსოფია, ლიტერატურული კრიტიკა და მომენტის ტაქტიკა), ერთნახევარი გადავიდოდა პოლიტიკურ გაზეთში, «პროლეტარში»: მომენტის ტაქტიკა და ლიტერატურული კრიტიკის ნახევარი მაინც. ოჰ, სიკეთეს არ მოიტანს განსაკუთრებული, გრძელი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები — გაბნეულნი სხვადასხვა ნახევრადპარტიულ და არაპარტიულ ჟურნალებში! უმჯობესია ვსინჯოთ გადავდგათ ნაბიჯი ამ ინტელიგენტური ძველი, დიდკაცური ჩვეულებისაგან შორს, ესე იგი ლიტერატურული კრიტიკაც უ ფ რ ო მ ჭ ი დ რ ო დ დავუკავშიროთ პარტიულ მუშაობას, პარტიის პიმართ ხელმძღვანელობას. ასე აკეთებენ მოწიფული ს.-დ. პარტიები ევროპაში. ასევე უნდა ვაკეთებდეთ ჩვენც, არ უნდა გვეშინოდეს ასეთ საქმეში კოლეგიალური საგაზეთო მუშაობის პირველი ნაბიჯების სიძნელეებისა.

დიდი ლიტერატურულ-კრიტიკული შრომები — წიგნებში, ნაწილობრივ ჟურნალებში.

სისტემატური, პერიოდული სტატიები, პოლიტიკური გაზეთის კონცერტში, პარტიულ მუშაობასთან დაკავშირებით, იმ ხასიათისა, «ნოვაია ჟიზნმა» რომ წამოიწყო — თქვით, გაქვთ თუ არა ამის ხალისი?

მესამე სიუჟეტი ფილოსოფიაა. მე ძლიერ ვგრძნობ, რომ მოუმზადებელი ვარ ამ დარგში, რაც ხელს მიშლის საჯაროდ გამოვიდე. მაგრამ, როგორც რიგითი მარქსისტი, ყურადღებით ვკითხულობ ჩვენს პარტიულ ფილოსოფოსებს, ყურადღებით ვკითხულობ ემპირიომონისტ ბოგდანოვს და ემპირიოკრიტიკოსებს ბაზაროვს, ლუნაჩარსკის და სხვ. — და მთელ ჩემს სიმპათიას ისინი წარმართავენ პლეხანოვისაკენ! ხომ უნდა გქონდეს ფიზიკური ძალა, რომ არ აჰყვე განწყობილებას, როგორც პლეხანოვი აკეთებს! მისი ტაქტიკა უკიდურესი უხამსობა და სიმდაბლეა. ფილოსოფიაში იგი მართალ საქმეს იცავს. მე ვემხრობი მატერიალიზმს «ემპირიო-»'ების და სხვ. წინააღმდეგ.

განა შეიძლება, განა უნდა ვუკავშირებდეთ ფილოსოფიას პარტიული მუშაობის მიმართულებას? ბოლშევიზმს? ვფიქრობ, რომ ახლა არ შეიძლება ამას ვაკეთებდეთ. დაე ჩვენმა პარტიულმა ფილოსოფოსებმა ერთ ხანს კიდევ იმუშაონ თეორიაზე, იდავონ და... ბოლომდე თქვან ყველაფერი. მე კი ჯერჯერობით მხარს დავუჭერ იმას, რომ ისეთი ფილოსოფიური დავა, როგორიც მატერიალისტებსა და «ემპირიო-»'ებს შორის არის, გამოეყოს მთლიან პარტიულ მუშაობას.

ველი თქვენს პასუხს, ახლა კი უნდა დავამთავრო.

თქვენი ლენინი

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

169

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ანატ. ვახ.-ძეს

13. II. 08.

ძვირფასო ან. ვას.!

გუშინ გამოგიგზავნეთ წერილი ბრინგმანის შესახებ. ვჩქარობ გიპასუხოთ თქვენს 11. II-ის წერილზე.

კარგად არ მესმის, რატომ უნდა ყოფილიყო გულსატკენი თქვენთვის ჩემი წერილი? არა მგონია, რომ ფილოსოფიის გამო!

თქვენი პროექტი «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი» ბელეტრისტული განყოფილების დაარსებისა და ა. მ — სათვის მისი ჩაბარებისა შესანიშნავია და არაჩვეულებრივად მახარებს. მე სწორედ ვოცნებობდი იმაზე, რომ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ-კ რ ი ტ ი კ უ ლ ი განყოფილება მუდმივი გაგვეხადა «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი» და იგი ა. მ — სათვის ჩაგვებარებინა. მაგრამ მ ე შ ი ნ ო დ ა, საშინლად მეშინოდა პირდაპირ შემეთავაზებინა ეს, ვინაიდან ა რ ვ ი ც ნ ო ბ ა. მ — ს მუშაობის ხასიათს (და მუშაობისადმი მიდრეკილებას). თუ ადამიანი სერიოზულ დიდ სამუშაოს ასრულებს, და თუ ამ სამუშაოს ზიანს მიაყენებს ადამიანის მოწყვეტა წვრილმანებისათვის, გაზეთისათვის, პუბლიცისტიკისათვის, — მაშინ სისულელე და დანაშაული იქნება ხელი შევუშალოთ მას და მოვწყვიტოთ ამ სამუშაოს! ამას ძალიან კარგად ვხვდები და ვგრძნობ.

ადგილზე უკეთ გაერკვევით, ძვირფასო ან. ვას.. თ უ თ ქ ვ ე ნ ფ ი ქ რ ო ბ თ, რ ო მ ზ ი ა ნ ს ა რ მ ი ვ ა ყ ე ნ ე ბ თ ალ. მ — ს მუშაობას, თუ ჩავაბამთ მას რეგულარულ

პარტიულ მუშაობაში (პარტიული მუშაობა კი ამით ბევრს მოიგებს!), ეცადეთ ეს მოაგვაროთ.

«პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» № 21 გამოდის 13 (26) თებერვალს. მაშასადამე, დრო კიდევ არის. სასურველია ხელნაწერები გვქონდეს პ ა რ ა ს კ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს, რომ თავისუფლად მოვასწროთ იმ ნომრისათვის, რომელიც ოთხშაბათს გამოდის. თუ საჩქაროა, მოსწრება შეიძლება მაშინაც, როცა ხელნაწერი მოდის კვირას (საჩქარისათვის წერეთ და გზავნეთ პირდაპირ ჩემი მისამართით), — თუნდაც (უკიდურეს შემთხვევაში!) ორშაბათს.

აუცილებლად გვწერეთ თქვენც. № 21-სათვის ხომ არ გამოგზავნით ან პოლიტიკურ ფელეტონს რუსეთის საქმეებზე (10 — 16 ათას ასოს)? ან სტატიას ფერრის[269] წასვლის შესახებ (8 — 10 ათას ასოს)? უმჯობესია არა «ან — ან», არამედ «ისიც — ისიც».

მაგრად გართმევთ ხელს და გთხოვთ მიპასუხოთ, ეწყობა თუ არ ა. მ — ს თანამშრომლობა «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი». თუ ჰო, ახლავე დაიწყოს და ნ უ დ ა ე ლ ო დ ე ბ ა «ყრილობას»[270] და შეთანხმებას.

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

170
ა. მ. გორკის

13. II. 08.

ძვირფასო ალ. მ.!

ვფიქრობ, რომ ჩვენი უთანხმოების შესახებ თქვენ მიერ აღძრულ საკითხთაგან ზოგიერთი პირდაპირ გაუგებრობაა. რა თქმა უნდა, არც მიფიქრია «გამერეკა ინტელიგენცია», როკორც ამას სჩადიან სულელი სინდიკალისტები, ან უარმეყო მისი საჭიროება მუშათა მოძრაობისათვის. ყველა ამ საკითხზე არ შეიძლება ჩვენს შორის უთანხმოება იყოს; ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული და, რაკი ახლა არ შეიძლება შევხვდეთ ერთმანეთს, საჭიროა ერთბაშად დავიწყოთ ერთად მუშაობა. მუშაობაში ყველაზე ადვილად და ყველაზე უკეთ საბოლოოდ შევეწყობოდით ერთმანეთს.

თქვენი გეგმა, რომ «პროლეტარისათვის» დაწერთ პატარ-პატარა რამეებს (ანონსი გამოგეგზავნათ), ძალიან, ძალიან მახარებს. მაგრამ, რასაკვირველია, თუ დიდი სამუშაო გაქვთ, ხელს ნუ შეუშვებთ.

ტროცკის შესახებ მინდოდა თქვენთვის წინა წერილში მეპასუხნა, მაგრამ დამავიწყდა. ჩვენ (ე. ი. «პროლეტარის» აქაურმა რედაქციამ, ალ. ალ., მე და «ინოკმა» — ძალიან კარგი კოლეგაა რუსი ბოლშევიკებიდან) მაშინვე გადავწყვიტეთ მოგვეწვია იგი «პროლეტარში». მივწერეთ წერილი, დავსახეთ და შევთავაზეთ ერთი თემა. საერთო თანხმობით მოვაწერეთ ««პროლეტარის» რედაქცია», რადგან გვსურდა საქმე უფრო კოლეგიალურ ნიადაგზე დაგვეყენებინა (მაგალითად,

პირადად მე ტროცკისთან დიდი ომი, საშინელი ჩხუბი მქონდა 1903 — 5 წლებში, როცა ის მენშევიკი იყო). არ ვიცი, ტროცკის ეს ფორმა ეწყინა, თუ რა, მაგრამ გამოგვიგზავნა წერილი, რომელიც მისი დაწერილი არ იყო: «ამხ. ტროცკის დავალებით» «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» რედაქციას ატყობინებდნენ, რომ ტროცკიმ უარი თქვა წეროს, მოუცლელი ვარო.

ეს, ჩემი აზრით, პოზიორობაა. იგი ლონდონის ყრილობაზეც პოზიორობდა. აღარ ვიცი, გაჰყვება თუ არა ბოლშევიკებს...

მენშევიკებმა აქ გამოუშვეს ანონსი ყოველთვიურ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» შესახებ პლეხანოვის, აქსელროდის, დანის, მარტოვის, მარტინოვის ხელმოწერით. ვიშოვნი და გამოგიგზავნით. ბრძოლა შეიძლება გამწვავდეს. ტროცკის კი სურს იდგეს «მებრძოლ ფრაქციებზე მაღლა»...

მატერიალიზმის სწორედ როგორც მსოფლგაგების შესახებ ვფიქრობ, რომ არსებითად არ გეთანხმებით. სწორედ არა «ისტორიის მატერიალისტური გაგების» შესახებ (მას არ უარყოფენ ჩვენი «ემპირიო-»'ები [271]), არამედ ფილოსოფიური მატერიალიზმის შესახებ. «მატერიალიზმს» რომ უნდა უმადლოდნენ ანგლო-საქსები და გერმანელები თავიანთ მეშჩანობას, ხოლო რომანელები ანარქიზმს, — ამაზე მე გადაჭრით ვდავობ. მატერიალიზმს, როგორც ფილოსოფიას, ი ს ი ნ ი ყ ვ ე ლ გ ა ნ უ გ უ ლ ე ბ ე ლ ყ ო ფ ე ნ. «Neue Zeit»-ი *, ყველაზე მტკიცე და მცოდნე ორგანო, გულგრილად ეკიდება ფილოსოფიას, არასოდეს არ ყოფილა ფილოსოფიური მატერიალიზმის თავგამოდებული მომხრე, ხოლო უკანასკნელ ხანს ბეჭდავდა, სრულიად უშენიშვნოდ, ემპირიოკრიტიკოსების ნაწერებს. ი მ მატერიალიზმიდან, რომელსაც მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, მკვდარი მეშჩანობის გამოყვანა რომ შეიძლებოდეს, ეს სწორი არ არის, სწორი არ არის! სოციალ-დემოკრატიაში ყველა მეშჩანური მიმდინარეობა ყველაზე მეტად ომობს ფილოსოფიური მატერიალიზმის წინააღმდეგ, მიიწევენ კანტისაკენ, ნეოკანტიანობისაკენ, კრიტიკული ფილოსო-

* — «ახალი დროება». რ ე დ.

ფიისაკენ. არა, ის ფილოსოფია, რომელიც ენგელსმა «ანტი-დიურინგში» დაასაბუთა, მეშჩანობას ახლოსაც არ იკარებს. პლეხანოვი ზიანს აყენებს ამ ფილოსოფიას, როცა აქ ბრძოლას ფრაქციულ ბრძოლასთან აკავშირებს, მაგრამ ახლანდელი პლეხანოვი და ძველი პლეხანოვი არც ერთმა რუსმა სოციალ-დემოკრატმა არ უნდა არიოს ერთმანეთში.

ალ. ალ. ეს არის ახლა წავიდა ჩემგან. კვლავ და კვლავ გადავცემ მას «ყრილობის» შესახებ. თუ დაბეჯითებით მოითხოვთ, — შეიძლება ერთი-ორი დღით ადრეც მოეწყოს.

ხელს გართმევთ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

171

ა. მ. გორკის

16. III. 08.

ძვირფასო ა. მ.!

მწყინს, რომ ვერ ვახერხებ თქვენთან წამოსვლას. ბრიუსელიდან მივიღე პასუხი[272] და ამ მხრივ დაბრკოლება არ არის. მაგრამ არც ფულია, არც დრო, არც გაზეთის მიტოვება შეიძლება.

თხა რომ გყოლიათ და ეს რომ ფაქტია, აქედან ის დასკვნა გამომყავს, რომ კარგ გუნებაზე ხართ და სწორი გონებაგანწყობილება და ნორმალური ცხოვრება გაქვთ. ჩვენ კი არც თუ ძალიან კარგად გამოგვიდის საქმე. ამ ფილოსოფიის გამო თითქოს წაჩხუბებული ვართ ალ. ალ — თან. გაზეთს საკმაო ყურადღებას ვეღარ ვაქცევ, რადგან ფილოსოფიით ვარ გატაცებული: დღეს ერთ ემპირიოკრიტიკოსს წავიკითხავ და უშვერი სიტყვებით ვილანძღები, ხვალ — მეორეს და დედას ვიგინები. ინოკენტი კი მლანძღავს, სამართლიანადაც მლანძღავს «პროლეტარის» უგულებელყოფისათვის. შეწყობილად ვერ მიდის მუშაობა.

რას იზამ, სხვანაირად არ შეიძლება. დრო გავა — ყველაფერი მოგვარდება.

ჩანებული იქნება, რომ შეძლებდეთ «პროლეტარისათვის» წერას დიდი სამუშაოებისათვის ზიანის მიუყენებლად.

გართმევთ ხელს და დიდი მოკითხვა ა. ვას. და მარიამ თევდორეს ასულს.

თქვენი ლენინი

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

172

ა. მ. გორკის

ალ. მ.-ძეს პირადად

24. III. 03.

ძვირფასო ა. მ.! მივიღე თქვენი წერილი მახისტებთან ჩემი ჩხუბის შესახებ. სავსებით მესმის და პატივს ვცემ თქვენს გრძნობებს და უნდა ვთქვა, რომ პიტერელი მეგობრებისაგან რაღაც ამის მსგავსს ვიღებ, მაგრამ უღრმესად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ სცდებით.

თქვენ უნდა მიხვდეთ და, რა თქმა უნდა, მიხვდებით, რომ რაკი პარტიის ადამიანი დარწმუნდა, რომ უაღრესად არასწორი და ს ა ზ ი ა ნ ო ა გარკვეული ქადაგება, იგი მოვალეა გამოვიდეს მის წინააღმდეგ. მე ხმაურს არ ავტეხდი, უცილობლად რომ არ დავრწმუნებულიყავი (და ამაში დღითი დღე სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, როცა ვეცნობი ბაზაროვის, ბოგდანოვისა და კომპანიის სიბრძნის პირველწყაროებს), რომ მათი წიგნი მ თ ლ ი ა ნ ა დ, თავიდან ბოლომდე, ტოტებიდან ფესვამდე, მახამდე და ავენარიუსამდე უხამსი, მავნე, ფილისტერული, ხუცესურია. პლეხანოვი მათ წინააღმდეგ არსებითად ს ა ვ ს ე ბ ი თ მართალია, მხოლოდ ვერ ახერხებს, თუ არა სურს, თუ ეზარება თქვას ეს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ, დაწვრილებით, უბრალოდ, ისე, რომ ზედმეტად არ აშინებდეს ხალხს დახვეწილი ფილოსოფიური მსჯელობით. და მე რაც არ უნდა იყოს ამას ჩ ე მ ე ბ უ რ ა დ ვიტყვი.

აბა აქ რა «შერიგება» შეიძლება იყოს, ძვირფასო ა. მ.? რას ბრძანებთ, ამაზე კრინტის დაძვრაც კი სასაცილოა.

ბრძოლა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ გარდუვალია. და პარტიულმა ადამიანებმა თავიანთი ღონისძიებანი უნდა მიმართონ არა იქითკენ, რომ მიჩქმალონ ან შემდეგისათვის გადადონ ან თავი აარიდონ, არამედ იქითკენ, რომ პრაქტიკულად საჭირო პარტიულ მუშაობას ზ ი ა ნ ი არ მ ო ს დ ი ო დ ე ს. ამაზე თ ქ ვ ე ნ უნდა იზრუნოთ, და რუსი ბოლშევიკების $^{9}/_{10}$ დაგეხმარებათ ამაში და დიდ მადლობას გეტყვით.

ეს როგორ გავაკეთოთ? «ნეიტრალობით»? არა. ასეთ საკითხში ნეიტრალობა არ შეიძლება იყოს და ა რ ც ი ქ ნ ე ბ ა. ნეიტრალობაზე ლაპარაკი მხოლოდ პ ი რ ო ბ ი თ ი აზრით თუ შეიძლება: მთელი ეს ჩხუბი უნდა გ ა ვ ა ც ა ლ კ ე ვ ო თ ფრაქციისაგან. დღემდე წერდით «სხვაგან», ფრაქციულ გამოცემათა გარეშე, კვლავაც ასე წერეთ. მხოლოდ ამრიგად არ იქნება ფრაქცია ანგაჟირებული, არ იქნება ჩ ა რ ე უ ლ ი, იძულებული არ იქნება ხვალ, ზეგ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ო ს, ხ მ ა მ ი ს ც ე ს, ე. ი. ჩხუბი ქრონიკული, გაჭიანურებული, დაუსრულებელი გახადოს.

აი რატომ ვარ იმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი, რომ ჟურნალში რაიმე ფილოსოფია შევუშვა[273]. ვიცი, ამისთვის მლანძღავენ: უნდა სხვები ჩააჩუმოს, როცა ჯერ თვითონ პირი არ გაუღიაო! მაგრამ თქვენ გულდამშვიდებით დაუფიქრდით.

ჟურნალი ფილოსოფიით. № 1 — სამი სტატია ბაზაროვისა, ბოგდანოვისა, ლუნაჩარსკისა პლეხანოვის წინააღმდეგ. ერთი ჩემი სტატია, სადაც ნათქვამია, რომ «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები» = ბერდიაეველობა და ხუცობაა.

№ 2 — სამჯერ სამი სტატია ბოგდანოვისა, ბაზაროვისა, ლუნაჩარსკისა, მიმართული პლეხანოვისა და ლენინის წინააღმდეგ აღელვებული კილოთი. ერთი ჩემი სტატია. სადაც მეორე მხრივ ვამტკიცებ, რომ «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები» = ხუცობაა.

№ 3 — ღმუილი და ლანძღვა-გინება!

მე შემიძლია დავწერო ექვსი თუ თორმეტი სტატია «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევების» წინააღმდეგ, თითო

სტატია ყოველი ავტორისა და მათი შეხედულებების ყოველი მხარის წინააღმდეგ. შეიძლება ეს ასე გრძელდებოდეს? როდემდე? განა ეს გარდუვალს არ გახდის გათიშვას დაუსრულებელი გამწვავებისა და გაბოროტების გამო? ეს ფრაქციას არ შეგოჭავს გადაწყვეტილებით: მაშ გადაწყვიტე, მაშ გაერკვიე, მაშ დაამთავრე «დისკუსია» ვოტუშით...

კარგად იფიქრეთ ამაზე, თუ გათიშვისა გეშინიათ. იკისრებენ თუ არა პრაქტიკოსები ისეთი წიგნების გავრცელებას, სადაც ასეთი «ბრძოლაა»? უმჯობესი ხომ არ არის სხვა გზა: ძველებურად წერეთ სხვაგან, ფრაქციულ გამოცემათა გარეშე. იჩხუბეთ სხვაგან, ფრაქცია ჯერჯერობით მოიცდის. თუ შესაძლებლობა არის — ეს გარდუვალი გაბოროტება შესუსტდეს, ჩემი აზრით, ეს მხოლოდ ამგვარად შეიძლება.

თქვენ წერთ: ჩხუბით მენშევიკები მოიგებენო. სცდებით, ღრმად სცდებით, ა. მ.! ისინი მოიგებენ, თუ ბოლშევიკური ფრაქცია არ გაემიჯნება სამი ბოლშევიკის ფილოსოფიას. მაშინ ისინი საბოლოოდ მოიგებენ. ხოლო თუ ფილოსოფიური ჩხუბი ფრაქციის გარეთ იწარმოებს, მენშევიკები საბოლოოდ იქნებიან გადაყვანილი პოლიტიკაზე და აქ მათ სიკვდილი არ ასცდებათ.

მე ვამბობ: გავაცალკევოთ ჩხუბი ფრაქციისაგან. რა თქმა უნდა, ცოცხალ ადამიანებზე ამ გაცალკევების მოხდენა ძნელი, მტკივნეული საქმეა. საჭიროა დრო. საჭიროა მზრუნველი ამხანაგები. აქ დაგვეხმარებიან პრაქტიკოსები, აქ უნდა დაგვეხმაროთ თქვენ, — აქ «ფსიქოლოგიაა». ეს კი სწორედ სათქვენო საქმეა. მე ვფიქრობ, რომ თქვენ აქ დიდი დახმარების გაწევა შეგიძლიათ, — თუ, რა თქმა უნდა, «ნარკვევების»[274] წინააღმდეგ ჩემი წიგნაკის წაკითხვის შემდეგ ისევე არ გააფთრდებით ჩემ წინააღმდეგ, როგორც მე მათ წინააღმდეგ გავაფთრდი.

კარგად იფიქრეთ ჟურნალის შესახებ და რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ. მე ცოტა ვეჭვობ, ღირს თუ არა, რომ ერთად წამოვიდეთ თქვენთან ახლა? რა საჭიროა ნერვების

ზედმეტად გაღიზიანება? «შორ გზაში გაცილება»... უჩხუბრად კი საქმე არ გამოვა. უმჯობესი ხომ არ იქნება თავი დავანებოთ ხანგრძლივ მოლაპარაკებას და საზეიმო და არაფრის მაქნის ყრილობებს და უფრო მარტივად გადავწყვიტოთ ჟურნალის საქმე? მე მხოლოდ შეკითხვებს გაძლევთ, რომ მოგეთათბიროთ.

დიდი მოკითხვა მ. თ — ს. კაპრიზე აუცილებლად ჩამოვალ და ვეცდები ცოლიც წამოვიყვანო, ოღონდ მინდა ეს გავაკეთო ფილოსოფიური ჩხუბისაგან დამოუკიდებლად.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ვურთავ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ცნობას, რომ თქვენთან ჯაშუშია.

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

178

ა. მ. გორკის

რა მიზეზით არ ვიღებთ თქვენგან ცნობებს, ძვირფასო ა. მ.? იწერებოდით, კარგა ხანია დავამთავრე დიდი საქმეშაოო, და აპირებდით დაგვხმარებოდით «პროლეტარში». როდისღა? რა იქნება ფელეტონი რომ დაწეროთ ტოლსტოიზე ან ა. შ.? მოიწერეთ, აპირებთ თუ არა?

ალ. ალ. თქვენთან წამოვიდა. მე ვერც გაზეთს მივატოვებ, ვერც მუშაობას დავანებებ თავს. მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით, ჩამოსვლას მაინც ვაპირებ.

როგორია, თქვენი აზრით, «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი»? მიმხედავი არა ჰყავს. ასე უყურადღებოდ ჯერ არასოდეს არ მოვკიდებივარ ჩემს გაზეთს: მთელი დღეობით ვკითხულობ წყეულ მახისტებს, გაზეთისათვის კი სტატიებს მეტისმეტად ნაჩქარევად ვწერ.

აბა, ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მ. თ — ს ათასი მოკითხვა! ველოსიპედით ჩამოვალ მასთან!

ანატ. ვას — საც დაავალეთ წეროს «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი»! საშუალება მომეცით ერთ ხანს ვილანძღო ფილოსოფიურად, ჯერჯერობით დაეხმარეთ «პროლეტარს»!

დაწერილია 1908 წ. აპრილის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

174

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ანატ. ვას—ძეს

16. IV. 08.

ძვირფასო ა. ვ.!

თქვენი წერილი მივიღე. ძ ა ლ ი ა ნ მოხარული ვარ, რომ თქვენ ჰკიდებთ ხელს «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს». ეს მეტისმეტად ს ა ჭ ი რ ო ა, გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ კი სწორედ თქვენ მიერ დასახული თემები + კორესპონდენციები იტალიიდან. აბა თქვენ იცით, ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ პარტიული გაზეთის თანამშრომელი ხართ და გარშემო მყოფთაც ნუ დაავიწყებთ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S ფილოსოფიის შესახებ კ ე რ ძ ო დ: ქათინაურებს ვერ დაგიბრუნებთ და ვფიქრობ, რომ მათ მალე უკანვე წაიღებთ. ჩემი გზები კი დაშორდა (და ალბათ, დიდი ხნით) «რელიგიასთან მეცნიერული სოციალიზმის შეერთების» მქადაგებლებისა და აგრეთვე ყველა მახისტის გზებს.

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

175

ა. მ. გორკის

16. IV. 08.

ძვირფასო ალ. მ.!

დღეს მივიღე თქვენი წერილი და ვიჩქარი გიპასუხოთ. ჩემი წამოსვლა უსარგებლო და საზიანოა: იმ ადამიანებთან, რომლებმაც რელიგიასთან მეცნიერული სოციალიზმის შეერთების ქადაგება დაიწყეს, ლაპარაკი მე არ შემიძლია და არც ვილაპარაკებ. რვეულების[275] დრომ განვლო. დავა არ შეიძლება, ნერვების ამაოდ მოშლა სისულელეა. პარტიული (ფრაქციული) საქმეებისაგან უნდა გავაცალკევოთ ფილოსოფია: ამას გვავალებს ბც — ის[276] გადაწყვეტილებაც.

მე უკვე გავგზავნე დასაბეჭდად ომის უაღრესად ფორმალური გამოცხადება[277]. დიპლომატიას აქ უკვე არა აქვს ადგილი, — მე, რა თქმა უნდა, დიპლომატიაზე ვლაპარაკობ არა ცუდი, არამედ კარგი აზრით.

თქვენი მხრივ, ძვირფასო ა. მ. (თუ თქვენც არ განიმსჭვალეთ ღმერთისადმი რწმენით), «კარგი» დიპლომატია ის იქნება, თუ ჩვენს საერთო (ე. ი. ჩემი ჩათვლითაც) საქმეებს განაცალკევებთ ფილოსოფიისაგან.

ფილოსოფიის გარდა სხვა საქმეებზე საუბარი ახლა არ გამოდგება: არაბუნებრივი გამოვა. თუმცა, ეს სხვა საქმეები, არა ფილოსოფიური საქმეები, არამედ, მაგალითად, «პროლეტარი», თუ მართლა მოითხოვს საუბარს სწორედ ახლა სწორედ თქვენთან, მე შემეძლო ჩამოვსულიყავი

(არ ვიცი, ვიშოვნი ფულს თუ არა: სწორედ ახლა გაჭირვება გვაქვს), მაგრამ ვიმეორებ: მხოლოდ იმ პირობით, რომ ფილოსოფიასა და რელიგიაზე მე არ ვლაპარაკობ.

თქვენთან კი აუცილებლად ვაპირებ სასაუბროდ ჩამოსვლას, როცა მუშაობას დავამთავრებ და თავისუფალი ვიქნები.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მ. თ — ს დიდი მოკითხვა: ის, იმედია, ღვთის მომხრე არ არის, ჰა?

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

176

ა. მ. გოგრაკის

19. IV. 08.

ძვირფასო ა. მ.!

მივიღე თქვენი და მ. თ — ს დეპეშა და დღეს თუ ხვალ დილით გიგზავნით ჩემს უარს. ერთხელ კიდევ ვიმეორებ, არ ავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შეწყნარებულ იქნეს, რომ ლიტერატორების დავა ფილოსოფიაზე და პარტიული (ე. ი. ფრაქციული) საქმე ერთმანეთში ავრიოთ. ეს უკვე მივწერე ან. ვას — ს[278] და ყოველგვარი მითქმა-მოთქმისა ან ჩამოსვლაზე ჩემი უარიდან უმართებულო დასკვნების თავიდან ასაცილებლად ვიმეორებ ყველა ამხანაგისათვის. ჩვენს ფრაქციულ საქმეს წინანდებურად შეწყობილად უნდა ვაკეთებდეთ: ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებდით და რევოლუციის განმავლობაში განვახორციელეთ, არავის ჩვენგანს სანანებლად არ გახდომია. მაშასადამე, ჩვენი მოვალეობაა ვიცავდეთ მას და დავიცვათ კიდევაც პარტიის წინაშე. ამის გაკეთება შეგვიძლია მხოლოდ ყველას ერთად და ეს უნდა გავაკეთოთ «პროლეტარში» და მთელ პარტიულ მუშაობაში.

თუ ამასთან ა გალანძღავს ბ-ს ან ბ გალანძღავს ა-ს ფილოსოფიისათვის, ეს უნდა გავაკეთოთ განსაკუთრებულად, ესე იგი საქმისათვის ზიანის მოუტანლად.

დაბეჯითებით გთხოვთ თქვენ და ამხანაგებსაც ცუდი აზრით ნუ გაიგებთ ჩემს უარს ჩამოსვლაზე. ძალიან ბოდიშს

ვიხდი, რომ საქმეების მთელი ვითარებისა და რედაქციის მდგომარეობის გამო წამოსვლა არ შემიძლია.

ყველას მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ან. ვას — საგან ველით დაპირებულ სტატიას რომის გაფიცვის შესახებ. რაც შეიძლება მალე გამოგზავნოს.

ყველა ლიტერატორისაგან ველით დახმარებას «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს ა დ მ ი»: ყველანი პასუხს ვაგებთ რუსეთელების წინაშე, რომლებიც უკანასკნელით უკმაყოფილონი არიან.

ალ. ალ.-ძემ კარგად **იზრუნოს** ფულზე!! რუსეთში უფულობას ტირიან.

გაგზავნილია ჟენევიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

177

ვ. ვ. ვოროვსკის

ძვირფასო მეგობარო! მადლობა წერილისათვის. თქვენი ორივე «ეჭვი» უმართებულოა. მე არ ვნერვიულობდი, მაგრამ ძნელი მდგომარეობა გვაქვს, ახლოვდება ბოგდანოვთან განხეთქილება. ჭეშმარიტი მიზეზი ის არის, რომ ეწყინა მისი ფილოსოფიური შეხედულებების მკვეთრი კრიტიკა რეფერატებში (და არა რედაქციაში). ახლა ბოგდანოვი ყოველგვარ უთანხმოებას ეძებს. დღის სინათლეზე გამოათრია ბოიკოტი ალექსინსკისთან ერთად, რომელიც თავზეხელაღებით მართავს სკანდალებს და რომელთანაც იძულებული გავხდი ყოველგვარი ურთიერთობა გამეწყვიტა.

განხეთქილებას ისინი ემპირიომონისტურ-ბოიკოტისტურ ნიადაგზე აგებენ. საქმე მალე ატყდება. ჩხუბი გარდუვალია უახლოეს კონფერენციაზე. განხეთქილება წავსებით მოსალოდნელია. მე ფრაქციიდან გამოვალ, როგორც კი «მემარცხენე» და ჭეშმარიტი «ბოიკოტიზმის» ხაზი გაიმარჯვებს. ჩამოსვლას გთხოვდით იმ მოსაზრებით, რომ თქვენი მალე ჩამოსვლა ხელს შეუწყობდა დაშოშმინებას. მაინც იმედი გვაქვს, რომ აგვისტოში ახალი სტილით აუცილებლად იქნებით კონფერენციაზე როგორც მონაწილე. უთუოდ მოაწყვეთ ისე, რომ შეგეძლოთ საზღვარგარეთ წამოსვლა. წამოსასვლელ ფულს ყველა ბოლშევიკს გამოვუგზავნით. ადგილებზე მიეცით ლოზუნგი: მანდატები მისცენ მხოლოდ ადგილობრივ და მხოლოდ ნამდვილ მუშაკებს. დაბეჯითებით გთხოვთ

წეროთ ჩვენი გაზეთისათვის. ახლა შეგვიძლია სტატიებში ფული ვაძლიოთ და წესიერად გადავიხდით.

ხელს გართმევთ.

ხომ არ იცნობთ რომელიმე გამომცემელს, რომელიც იკისრებდა გამოეცა ჩემი ფილოსოფია, რომელსაც დავწერ [279]?

დაწერილია 1908 წ. 1 ივლისს
გაგზავნილია ჟენევიდან ოდესაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით

178

პ. იუშკევიჩს

10. XI.

მ. ხ.! თანახმა არა ვარ არც მარქსიზმის გაწყალწყალებაზე, არც იმაზე, რომ თავისუფალი ტრიბუნა დაგეთმოს ჩემთვის უცნობ რედაქციაში[280].

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1908 წ. 10 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ნ. კ. კრუპსკაიას მიერ
დაწერილი პირის მიხედვით

1909 წ.

179

როზა ლუქსემბურგს

18. V. 09.

Werte Genossin! *

გუშინ დაზღვეული ბანდეროლით გამოგიგზავნეთ ჩემი ფილოსოფიური წიგნის ერთი ეგზემპლარი — მახის შესახებ იმ ჩვენი საუბრის სახსოვრად, რომელიც ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას გვქონდა.

თუ შეიძლება, ძალიან გთხოვთ მისცეთ «Neue Zeit»-ისათვის ** შენიშვნა ამ წიგნის შესახებ [281] «Verzeichnis der in der Redaktion eingelaufenen Druck-Schriften»-ში ***. თუ ამისათვის საჭიროა სახელდობრ ფორმალობის შესრულება, ე. ი. წიგნის გაგზავნა თვით რედაქციაში (რომელსაც რუსული არ ესმის), გთხოვთ მომწეროთ ამის შესახებ და მე შევეცდები გავგზავნო განსაკუთრებული ცალი «Neue Zeit»-ის რედაქციაში.

ბოლშევიკებს შორის ჩვენი შინაგანი ბრძოლის შესახებ თქვენ, რა თქმა უნდა, ამხ. ტიშკოსაგან გაიგებდით. თქვენი სტატია ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების წინააღმდეგ ყველას ძალიან მოსწონს [282]: ოღონდ სამწუხაროა, რომ თქვენ ასე იშვიათად წერთ რუსულად, გერმანელთა მდიდარი სოციალ-დემოკრატიული პარტია გირჩევნიათ რუსეთელთა ღარიბ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

---

* — პატივცემულო ამხანაგო! რ ე დ.

** — «ახალი დროება». რ ე დ.

*** — «რედაქციაში შემოსული ბეჭდვითი ნაწარმოებების სია». რ ე დ.

გისურვებთ ყოველივე კარგს! მოკითხვა ტიშკოს. გართმევთ ხელს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. «Neue Zeit»-ის რედაქციის შენიშვნა როტშტეინის (ჩინებული) სტატიისადმი № 33-ში მაფიქრებინებს, რომ კაუცკის ახლა თვითონ არც თუ ძალიან მოსწონს, რომ ბრიუსელში იცავდა I. L. P-ს * [283]... ასეა თუ არა?

გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* — Independent Labour Party — დამოუკიდებელი მუშათა პარტია. **რ ე დ.**

180

ა. ი. ლიუბიმოვს

ძვირფასო მარკ!

გიგზავნით ლიოვასათვის ჩემს პასუხს კაპრიელებისადმი[284]. თუ იგი საჭიროდ მიიჩნევს, გადაიღოს პირი ინოკისათვის, შემდეგ კი გაგზავნოს წერილი კაპრიზე — მისამართი არ ვიცი. ვფიქრობ, რომ შეიძლება გაიგზავნოს 2 კონვერტით: გარეთა კონვერტზე დაიწეროს: Signor Massimo Gorki. Villa Blaesus. Capri. Italie, — ხოლო შიგნითაზე: სკოლის აღმასრულებელი კომისიისათვის.

სხვა მისამართი არ ვიცი.

ტროცკის შესახებ უნდა ვთქვა, რომ გადაჭრით წინააღმდეგი ვიქნები დახმარება გაეწიოს მას, თუ იგი უარყოფს (მან კი უკვე უარყო!) თანასწორობას რედაქციაში, რაც მას ცენტრალური კომიტეტის წევრმა შესთავაზა. თუ ეს საკითხი ბოლშევიკური ცენტრის აღმასრულებელმა კომისიამ არ გადაწყვიტა, არ შეიძლება დაშვებულ იქნეს ტროცკის დასახმარებლად **არავითარი** ნაბიჯები. ამიტომ «პროლეტარის» სტამბაში «პრავდის»[285] ბეჭდვაზე სამეურნეო კომისიას უფლება აქვს დათანხმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება არა დახმარება ახალი ფრაქციისადმი (ვინაიდან ტროცკი ახალ ფრაქციას აარსებს, ხოლო ცენტრალური კომიტეტის წევრმა ბოლშევიკმა მას წინადადება მისცა ამის ნაცვლად პარტიაში შესულიყო) — არამედ **წმინდა** კომერციული გარიგება, ფასის გადახდით, როგორც ყველა სხვის-

თვის, იმ პირობით, თუ ასოთამწყობები თავისუფალი არიან და სხვ.. უაღრესად მტკიცედ მოვითხოვ, რომ «პ რ ა ვ დ ი-ს ა დ მ ი» დამოკიდებულების საკითხს კიდევ გადაწყვეტს ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ც ე ნ ტ რ ი ს ა ღ მ ა ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი კ ო მ ი ს ი ა და რომ ამ გადაწყვეტილებამდე არ შეიძლება **დასახმარებლად** არც ერთი ნაბიჯის გადადგმა, არ შეიძლება თავის რ ა ი მ ე თ ი შებოჭვა.

ხელს გართმევთ. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. კაპრიელებისადმი ჩემი წერილის პირი გთხოვთ გადაიღოთ ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი. შეიძლება საჭირო გახდეს ბოლშევიკური ცენტრისათვის.

დაწერილია 1909 წ. 18 აგვისტოს
გაგზავნილია ბონბონიდან (საფრანგეთი,
სენისა და მარნის დეპარტამენტი)
პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

181

გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას

მივიღე «სოციალ-დემოკრატის» № 7 — 8. პროტესტს ვაცხადებ ტროცკის ხელმოწერის წინააღმდეგ: ხელმოწერები ამოღებულ უნდა იქნეს. (სტატიების წაკითხვა ჯერ ვერ მოვასწარი.)

«პროლეტარის» შესახებ ვფიქრობ, რომ მასში მოთავსებულ უნდა იქნეს 1) სტატია სპბ. არჩევნების შესახებ («რეჩისა» და ვოდოვოზოვის უხამსობასთან დაკავშირებით, თუ მის შესახებ «რეჩმა» ტყუილი არა თქვა); 2) შვეიცის გაფიცვის შესახებ — აუცილებლად შემაჯამებელი სტატია; 3) იგივე ესპანეთის ამბების შესახებ; 4) მენშევიკების შესახებ ჟენეველ (Georgien [286]) ანტილიკვიდატორთან მათი (უსაზიზღრესი) პოლემიკის გამო; 5) დამატებაში განსაკუთრებულ ფურცლად პასუხი მაქსიმოვისა და კომპანიის [287] «ღია წერილზე». მათ პასუხი უნდა გაეცეთ როგორც საჭიროა, რომ ეს არამზადები თავიანთი სიცრუით თავგზას არ უბნევდნენ ხალხს.

3 კვირის დასვენების შემდეგ ვიწყებ კალაპოტში ჩადგომას. შესაძლოა, ვიკისრებდი № 4 და 5-ს, — უკიდურეს შემთხვევაში № 1-საც, მაგრამ კიდევ მეშინია დაპირებისა. მომწერეთ თქვენი აზრი და **ვადები** (ზუსტად). რა გაქვთ კიდევ «პროლეტარის» № 3-სათვის?

№ 2 და 3 შეიძლება შედგენილ იქნეს «Vorwärts»-ის * მიხედვით: გამოგიგზავნით, თუ იკისრებთ დაწერას.

---

* — «წინ». რედ.

«პ რ ა ვ დ ი ს» შესახებ თუ წაიკითხეთ ტროცკის წერილი ინოკისადმი? თუ წაიკითხეთ, იმედი მაქვს დარწმუნდებოდით, რომ ტროცკი ისე იქცევა, როგორც უსაზიზღრესი კარიერისტი და რიაზანოვისა და კომპანიის ტ ი პ ი ს ფრაქციონერი? ან თანასწორობა რედაქციაში, დ ა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ცენტრალური კომიტეტისადმი და პარიზში მხოლოდ და მხოლოდ ტროცკის გადაყვანა (ამ არამზადას სურს ჩვენს ხარჯზე «მოაწყოს» «პ რ ა ვ დ ი ს» **მთელი** თბილი კომპანია!) — ან კავშირის გაწყვეტა ამ ვიგინდარასთან და მისი მხილება ცენტრალურ ორგანოში. ლაყბობს პარტიის შესახებ, თვითონ კი ყველა დანარჩენ ფრაქციონერზე უარესად იქცევა.

ხელს გართმევთ. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი: Mr. Wl. Oulianoff. (Chez madame Lecreux). B o m b o n (Seine-et-Marne).

P. S. კამენევზე ვგონებ ხელს ჩავიქნევთ? 1½ თვის (თუ ნახევარი წლის) წინათ დაპირებული ფელეტონი «საზოგადოებრივი მოძრაობის» შესახებ??...

დაწერილია 1909 წ. 24 აგვისტოს
გაგზავნილია ბონბონიდან (საფრანგეთი,
სენისა და მარნის დეპარტამენტი)
პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

182

ა. ი. ლიუბიმოვს

ძვირფასო **მარკ!**

რა თქმა უნდა, სავსებით თანახმა ვარ ყოველნაირად გამოიყენოთ ჩემი წერილი მოხსენებაში და დასაბეჭდად[288]. მხოლოდ მხედველობაში იქონიეთ, რომ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს ა თ ვ ი ს» ვწერ სტატიას *, სადაც პირდაპირ რ ო გ ო რ ც მ უ დ რ ე გ ე ბ ს ვაბიაბრუებ მაქსიმოვისა და კომპანიის **ამ** არამზადათა ხროვას, ხოლო მათს სკოლას სხვას არაფერს ვუწოდებ, თუ არ «ეროგინის ბინას»[289]. მაშასადამე, **გაუგებრობა რომ არ იყოს:** თანახმა ვარ «რბილად» ველაპარაკო მხოლოდ **მუშებს,** რომლებმაც **პირადად** მომმართეს **თავისი** ხელმოწერით.

მაქსიმოვი და კომპანია კი ხროვაა ავანტიურისტებისა, რომლებმაც ზოგიერთი მუშა ეროგინის ბინაში შეიტყუეს. წინააღმდეგობა რომ არ გამოვიდეს, ჩემს წერილს ხალხში ნ უ გ ა ა ვ რ ც ე ლ ე ბ თ, არამედ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ გ ა გ ზ ა ვ ნ ე თ ორგანიზაციაში, ამასთან **გაუკეთეთ შენიშვნა** (სჯობს ეს შენიშვნაც დაბეჭდოთ):

«ჯეროვანი პასუხი განაწყენებულ ლიტერატორთა, არაღიარებულ ფილოსოფოსთა და საცინლად აგდებულ ღვთისმშენებელთა იმ კომპანიისადმი, რომელმაც პარტიას დაუმალა თავისი ეგრეთწოდებული «ს კ ო ლ ა», მოცემული

---

* დამთავრება თუ მოვასწარი, ხვალ ექსპრესით გამოგიგზავნით — **იქნებ** მოუსწროს **მოხსენებას.**

იქნება «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი». ეს წერილი კი ლენინის პირადი პასუხია მხოლოდ იმ მუშებისადმი, რომლებმაც პირადად მიმართეს».

ბოგდანოვის მოხსენებაზე გირჩევთ ან ნ უ რ ა კ ი ნ ნუ წახვალთ — ან უპასუხოთ მას ისე, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაუკარგოთ მეტიჩრობის ხალისი. ეს საზიზღარი ლაჩრობაა — ძვრებოდეს ს ხ ვ ი ს ფრაქციაში, როცა უკვე გააგდეს. ახლა ლოლიაობაზე საზიანო არაფერია. ს რ უ ლ ი გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ა და **უფრო ძლიერი** ომი, **ვიდრე მენშევიკებთან.** ეს ომი სწრაფად ასწავლის ჭკუას სულელებს, რომლებიც ჯერ კიდევ «ვერ გარკვეულან».

ხელს გართმევთ. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს «დ ღ ი უ რ ი»!!! ა რ დ ა-გ ა ვ ი წ უ დ ე თ, რ ო მ ვ ე ლ ი.

დაწერილია 1909 წ. სექტემბრის დამდეგს
გაგზავნილია ბონბონიდან (საფრანგეთი,
სენისა და მარნის დეპარტამენტი)
პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

183

ა. მ. გორკის

16. XI. 09.

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ! მე მუდამ სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ და ამხ. მიხეილი ახალი ფრაქციის ყველაზე მტკიცე ფრაქციონერები ხართ, რომლებთანაც მეგობრულად ლაპარაკის ცდა ჩემთვის უაზრობა იქნებოდა. დღეს პირველად ვნახე ამხ. მიხეილი, გულახდილად ვისაუბრეთ საქმეებზეც და თქვენზეც და ვნახე, რომ სასტიკად ვცდებოდი. ღმერთმანი, მართალი იყო ფილოსოფოსი ჰეგელი: ცხოვრება წინააღმდეგობებით მიდის წინ, და ცოცხალი წინააღმდეგობანი ბევრად უფრო მდიდარი, მრავალმხრივი და შინაარსიანია, ვიდრე ადამიანის გონებას თავდაპირველად ეჩვენება. სკოლას ვუყურებდი მ ხ ო ლ ო დ როგორც ახალი ფრაქციის ცენტრს. აღმოჩნდა, რომ ეს სწორი არ არის — არა იმ აზრით, რომ იგი არ იყოს ახალი ფრაქციის ცენტრი (სკოლა იყო ეს ცენტრი და ახლაც ასეთად რჩება), არამედ იმ აზრით, რომ ეს სრული არ არის, რომ ეს სავსებით მართალი არ არის. სუბიექტურად ზოგიერთი ადამიანი სკოლიდან ასეთ ცენტრს აკეთებდა, ობიექტურად იგი ასეთი ცენტრი იყო, და გარდა ამისა სკოლამ ნამდვილი მუშათა ცხოვრებიდან ნამდვილი მოწინავე მუშები მიიღო. გამოვიდა ისე, რომ ძველი და ახალი ფრაქციის წინააღმდეგობის გარდა კაპრიზე გაჩაღდა წინააღმდეგობა ს.-დ. ინტელიგენციის ნაწილსა და რუს მუშებს შორის, რომლებიც რ ა დ ა ც

უ ნ დ ა დ ა ჯ დ ე ს და რაც უნდა მოხდეს გამოიყვანენ სოციალ-დემოკრატიას სწორ გზაზე, გამოიყვანენ წინააღმ-დეგ საზღვარგარეთის ყველა კინკლაობისა და შფოთისა, «ის-ტორიებისა» და სხვ. და ა. შ.. ამის საწინდარი მიხეილისთანა ადამიანები არიან. კიდევ აღმოჩნდა, რომ სკოლაში გაჩაღდა წინააღმდეგობა კაპრის ს.-დ. ინტელიგენციის ელემენტებს შორის.

მიხეილის სიტყვებიდან ვხედავ, ძვირფასო ა. მ., რომ ახლა ძალიან გიმძიმთ. მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრა-ტიის დანახვა ერთბაშად მოგიხდათ ისეთი მხრიდან, ისეთ გა-მოვლინებებში, ისეთი ფორმებით, რომლებსაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიაში უკვე არაერთხელ მოუყვანიათ ინტელიგენტი მცირედ მორწმუნეები მუშათა მოძრაობასა და სოციალ-დემოკრატიაზე გულის გატეხამდე. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ეს არ დაგემართებათ, და მიხეილთან ლაპარა-კის შემდეგ მინდა მაგრად ჩამოგართვათ ხელი. თქვენი მხატვ-რული ნიჭით რუსეთის — და არა მარტო რუსეთის — მუშათა მოძრაობას თქვენ ესოდენ დიდი სარგებლობა მოუტანეთ, მოუტანთ კიდევ იმდენ სარგებლობას, რომ არავითარ შემთხვე-ვაში უფლება არა გაქვთ აჰყვეთ საზღვარგარეთული ბრძო-ლის ეპიზოდებით გამოწვეულ მძიმე განწყობილებებს. არის ხოლმე პირობები, როცა მუშათა მოძრაობის ცხოვრება გარ-დუვალად წარმოშობს ამ საზღვარგარეთულ ბრძოლას, გა-თიშვებსა და შფოთს და წრეების ჩხუბს, — იმიტომ კი არა, რომ მუშათა მოძრაობა შინაგანად სუსტი იყოს ან სოციალ-დემოკრატია შინაგანად მცდარი, არამედ იმიტომ, რომ მე-ტისმეტად სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა ყაიდისა არიან ის ელემენტები, რომლებიდანაც მუშათა კლასს უხდება თავისი პარტიის გამოჭედვა. გამოჭედავს ყოველ შემთხვევაში, გა-მოჭედავს საუკეთესო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას რუსეთში, გამოჭედავს უფრო მალე, ვიდრე ზოგჯერ გვეჩ-ვენება სამგზის წყეული ემიგრანტული მდგომარეობის თვალსაზრისით, გამოჭედავს უფრო დანამდვილებით, ვიდ-რე გვეჩვენება, თუ ვიმსჯელებთ ზოგიერთი გარეშე

გამოვლინებისა და ცალკეული ეპიზოდების მიხედვით. ამის საწინდარი არიან მიხეილისთანა ადამიანები.

მაგრად გართმევთ ხელს თქვენც და მარიამ თეოდორეს ასულსაც, ვინაიდან ახლა იმედი მაქვს, რომ ერთმანეთს კიდევ მტრებად როდი შევხვდებით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Wl. Oulianoff.
4. Rue Marie Rose. 4.
Paris. XIV.

გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

184

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! ჩამოსვლის შესახებ ამაოდ იწერებით. აბი რა საჭიროა ვეჩხუბო მაქსიმოვს, ლუნაჩარსკის და სხვ.? ხომ თვითონვე იწერებით: თქვენს დავას გარეთ ნუ გამოიტანთო — და გვეძახით, რომ საჯაროდ ვიდავოთ. ეს საქმე არ არის. რაც შეეხება მუშებისათვის ხელისკვრას, ამასაც ტყუილად იწერებით. აი თუ მიიღებენ ჩვენს მოწვევას და ჩამოვლენ ჩვენთან, — ჩვენ მათ ვესაუბრებით, ვიომებთ მათთან ერთი გაზეთის[290] შეხედულებათათვის, რომელსაც ზოგიერთი ფრაქციონერი ლანძღავს (ეს ლიადოვისაგან და სხვ. დიდი ხანია მსმენია) როგორც უაღრესად მოსაწყენს, უმეცრულს, რომელიც არავის არ ესაჭიროება, რომელსაც არა სწამს პროლეტარიატი და სოციალიზმი.

ახალი გათიშვის შესახებ საკმაოდ კარგად ვერ გამოგიდით. ერთი მხრივ, ორივე ნიჰილისტია (და «სლავი ანარქისტი» — ე, ძამია, არასლავი ევროპელები ოდესღაც ჩვენსავით ჩხუბობდნენ, ერთმანეთს ლანძღავდნენ და ითიშებოდნენ ასჯერ უფრო უარესად!) — ხოლო მეორე მხრივ, გათიშვა ნაკლები სიღრმისა არ იქნება, ვიდრე ბოლშევიკებისა და მენშევიკების გათიშვა. თუ საქმე იმ ზოგიერთ «მოდავეთა» «ნიჰილიზმია», მცირემცოდნეობაა და სხვ., რომელსაც არა სწამს ის, რასაც წერს, და ა. შ., — მაშინ, მაშასადამე, გათიშვა ღრმა არ არის, და არც არის გათიშვა. ხოლო თუ გათიშვა უფრო ღრმაა, ვიდრე ბოლშევიკებისა და მენშევიკებისა, — მაშასადამე, საქმე ყოფილა არა ნიჰილიზმი და არა ის მწერლები, რომლებსაც არა სწამთ თავიანთი ნაწერი. კარგად ვერ გამოგიდით, ღმერთმანი! ახლანდელი გათიშვის შესახებ თქვენ

სცდებით და სამართლიანად * ამბობთ: «ადამიანებისა მესმის, მათი საქმეები კი ვერ გამიგიაო».

ის, რაც თქვენ და მაქსიმოვს «პროლეტარში» გეჩვენებათ არაგულწრფელობად და უმაქნისობად და სხვ., აიხსნება სულ სხვა თვალსაზრისით მთელ თანამედროვე მომენტზე (რა თქმა უნდა, მარქსიზმზეც). ჩვენ თითქმის ორი წელიწადია ერთ ადგილს ვტკეპნით, ვღეჭავთ იმ საკითხებს, რომლებიც მაქსიმოვს ჯერ კიდევ «სადავოდ» ეჩვენება, რომლებიც დიდი ხანია გადაწყვიტა ცხოვრებამ. და მათ შესახებ «დავა» რომ განგვეგრძო, ახლაც ამაო ტკეპნაში ვიქნებოდით. დაშორების შემდეგ კი მუშებს ნათლად, პირდაპირ, გარკვეულად ვუჩვენებთ ორ გამოსავალს. სოციალ-დემოკრატი მუშები არჩევანს ადვილად და სწრაფად გააკეთებენ, ვინაიდან ტაქტიკა 05—06 წლის რევოლუციური სიტყვების (კონსერვებად) შენახვისა იმის ნაცვლად, რომ რევოლუციური მეთოდი შევუფარდოთ ახალ, სხვა ვითარებას, შეცვლილ ეპოქას, რომელიც სხვა ხერხებსა და ორგანიზაციის სხვა ფორმებს მოითხოვს, მკვდარი ტაქტიკაა. პროლეტარიატი მიდის რევოლუციისაკენ და მივა კიდეც, — მაგრამ არა ისე, როგორც 1905 წლამდე: მათ, ვისაც «სწამს», რომ მიდის და მივა კიდეც, მაგრამ არ ესმის ეს «არა ისე», — მათ ჩვენი პოზიცია უნდა ეჩვენებოდეს არაგულწრფელად, უმაქნისად, მოსაწყენად, პროლეტარიატისა და სოციალიზმისადმი ურწმენობაზე დამყარებულად და სხვ. და სხვ.. აქედან გამომდინარე სხვადასხვაობა, უეჭველია, საკმაოდ ღრმაა, რომ გათიშვა — ყოველ შემთხვევაში, საზღვარგარეთ — გარდუვალი გახადოს. მაგრამ იგი ოდნავადაც ვერ უახლოვდება ბოლშევიკებისა და მენშევიკების გათიშვის სიღრმეს, თუ ვილაპარაკებთ პარტიის, სოციალ-დემოკრატიის, მარქსისტების გათიშვის სიღრმეზე.

---

* დამატება «სამართლიანად»-ის შესახებ: შევნიშნავ. თუ საქმეები არ გესმის, ადამიანებსაც ვერ გაუგებ სხვანაირად, თუ არ... გარეგნულად. ე. ი. შეიძლება გაიგო ბრძოლის ამა თუ იმ მონაწილის ფსიქოლოგია, მაგრამ არა ბრძოლის აზრი, არა მისი პარტიული და პოლიტიკური მნიშვნელობა.

თქვენ გიკვირთ, როგორ ვერ ვხედავ მიხეილის ისტერიულობას, უდისციპლინობას (ამას თქვენ როდი უნდა ამბობდეთ, მიხეილი როდი უნდა ისმენდეს) და დანარჩენ ავ თვისებებს. აი მე შემთხვევა მქონდა მცირეზე შემემოწმებინა იგი: ვფიქრობდი, რომ ჩემი და თქვენი საუბარი არ გამოვა, რომ მოწერას აზრი არ აქვს-მეთქი. მიხეილთან ლაპარაკის შთაბეჭდილებით დავწერე ერთბაშად, ფიცხლად, წერილი არც კი გადამიკითხავს, ხვალამდე არ გადამიდვია. მეორე დღეს ვიფიქრე: სისულელე ჩავიდინე, მიხეილს დავუჯერე-მეთქი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ, რა გატაცებაც უნდა სჩვეოდეს მიხეილს, იგი ი მ დ ე ნ ა დ მართალი გამოვიდა, რომ ჩემი და თქვენი საუბარი მ ა ი ნ ც შედგა, — რა თქმა უნდა, არცთუ დავის გარეშე, არცთუ «პროლეტარის» გაულანძღავად, მაგრამ აბა რას იზამ!

მაგრად გართმევთ ხელს. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1909 წ. ნოემბერ-დეკემბერში
გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

185

ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს

ძვირფასო მეგობარო! მივიღე თქვენი 20. IX. 09-ის წერილი და მეტისმეტად გამახარა თქვენი ამბის გაგებამ. სამწუხაროა, რომ წინათ თქვენგან არ ვიღებდით ცნობებს — აქ ახლა საშინლად ვართ მოწყვეტილი, ვცადეთ დაგკავშირებოდით თქვენ და ვიაჩ — ს, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. წლები მართლაც ჯოჯოხეთურად ძნელია, და ძველ მეგობრებთან ურთიერთობის შესაძლებლობა ამიტომ ერთიათად უფრო ძვირფასია. გიპასუხებთ თანმიმდევრობით. თქვენ ხედავდით გაზეთს XII. 08-მდე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ეგრეთწოდებულ «მემარცხენეებთან» სრული გათიშვა გვაქვს, რომელიც 1909 წლის გაზაფხულზე განმტკიცდა. თუ შემთხვევა გექნებათ ნახოთ ჩემი წიგნი ფილოსოფიაში (ეს წიგნი გამოგიგზავნეთ გამოსვლისთანავე, ე. ი. 1909 წლის ზაფხულის დამდეგს) და 1909 წლის გაზეთი, არა მგონია თქვათ, რომ ჩვენ ვუთმობდეთ მემარცხენე რეგვნებს. მაქსიმოვთან და მაქსიმოველებთან სრული და ფორმალური გათიშვა გვაქვს. გაჩაღებულია ჩხუბი. შესაძლოა, რომ ისინი შექმნიან თავიანთ ორგანოს, — შესაძლოა არა. მათ არევ-დარევა შეაქვთ ს.-პეტერბურგსა და ოდესაში, მაგრამ არ შეუძლიათ ძალა გახდნენ: ეს, ჩემი აზრით, «ოტზოვიზმ-ულტიმატიზმის» აგონიაა. მაქსიმოვთან და კომპანიასთან გათიშვამ საკმაოდ ბევრი ძალა და დრო წაგვართვა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ იგი გარდუვალი იყო და საბოლოო ანგარიშით სასარგებლო იქნება. თქვენს შეხედულებებს რომ ვიცნობ,

ვფიქრობ, დარწმუნებულიც კი ვარ, რომ ამაში ერთმანეთს ვეთანხმებით.

მაგრამ იმაში კი, რომ დროა «აღმოიფხვრას საერთოდემოკრატიული შეტევის მეორედ მოსვლის რწმენა», სრულებით ვერ გეთანხმებით. ამით თქვენ მხოლოდ სარგებლობას მოუტანდით ოტზოვისტებს (რომლებსაც დიდი მიდრეკილება აქვთ ასეთი «მაქსიმალიზმისაკენ»: ბურჟუაზიული რევოლუცია უკან მოვიტოვეთ, წინ არის «წმინდა პროლეტარული») და უკიდურეს მემარჯვენე მენშევიკ-ლიკვიდატორებს. (ჰო: იცით თუ არა, რომ მენშევიკებში გათიშვაა? პლეხანოვი გამოვიდა მათი გაზეთის «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციიდან და მათი კოლექტიური შრომის — «საზოგადოებრივი მოძრაობა XX ს. რუსეთში» — რედაქციიდან. 1909 წლის აგვისტოში მან გამოუშვა «დღიური» № 9, სადაც მენშევიკებს ლიკვიდატორების ხელშემწყობნი უწოდა, პოტრესოვზე კი დაწერა, ის ჩემი ამხანაგი არ არის, პოტრესოვი რევოლუციონერი აღარ არისო და სხვ.. ჩვენში საქმე მიდის მენშევიკ-პლეხანოველებთან დაახლოებისაკენ პარტიის განმტკიცების მიზნით.) მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარია ის, რომ ასეთი შეხედულება თეორიულად სწორი არ არის. «გერმანული რელსები» შ ე ს ა ძ ლ ო ა — თქმა არ უნდა. და ეს ჩვენ პირდაპირ ვაღიარეთ ჯერ კიდევ 1908 წლის დამდეგს. მაგრამ ეს შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა მხოლოდ მთელი რიგი «საერთოდემოკრატიული» შეტევების (ან აღმავლობების, ან კრიზისების და სხვ.) შემდეგ, მსგავსად იმისა, როგორც საფრანგეთი მივიდა «საერთოდემოკრატიული» შეტევების დასასრულამდე არა 1789 — 1793-ის შემდეგ, არამედ 1871-ის შემდეგ (ე. ი. 1830, 1848 და 1871-ის შემდეგ), — გერმანია არა 1849 — 1850-ში, არამედ აგრეთვე 1871-ის შემდეგ, ე. ი. 60-იანი წლების Verfassungsstreit-ის * შემდეგ. სტრუვე, გუჩკოვი და სტოლიპინი წელებზე ფეხს იდგამენ, რომ «შეუღლდნენ» და შვან ბისმარკული რუსეთი, — მაგრამ არ გამოდის. არ გამოდის. იმპოტენტები არიან. ყველაფრით ჩანს, და თვითონაც

* — კონსტიტუციური კონფლიქტის. რ ე დ.

ალიარებენ, რომ არ გამოდის. სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა ბისმარკელობის თვალსაზრისით სწორია. მაგრამ სტოლიპინი თვითონ «ითხოვს» 20 წელიწადს, რათა იგი იქამდე მიიყვანოს, რომ «გამოვიდეს». ხოლო ოცი წელიწადი და უფრო ნაკლები ვადაც კი რუსეთში შეუძლებელია, თუ არ იქნა 30 — 48 — 71 წწ. (თუ საფრანგეთის მიხედვით ავიღებთ) ან 63 — 65 წწ. (თუ გერმანიის მიხედვით ავიღებთ). შეუძლებელია. სწორედ ყველა ეს თარიღი კი (30 — 48 — 71-იც და 63 — 65-იც) არის «საერთოდემოკრატიული შეტევა».

არა, ჩვენ არ შეგვიძლია «აღმოვფხვრათ» «საერთოდემოკრატიული შეტევის» იდეა: ეს ძირითადი შეცდომა იქნებოდა. ჩვენ უნდა ვაღიაროთ «გერმანული რელსების» შესაძლებლობა, მაგრამ არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ ისინი ჯერ ა რ ა რ ი ს. არ არის და არა. პროლეტარული პარტიის ბედს ჩვენ არ უნდა ვუკავშირებდეთ ბურჟუაზიული რევოლუციის წარმატებასა თუ წარუმატებლობას, — ეს უდავოა. მუშაობა ისე უნდა დავაყენოთ, რომ იგი ამბების ყოველგვარი მსვლელობის დროს მტკიცე, განუყრელი შენაძენი იყოს, — ეს სწორია. მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ დემოკრატიული, «საერთოდემოკრატიული», მოძრაობის ხელმძღვანელთა ჩვენი ვალი შევასრულოთ ბოლომდე, რუსეთის 1871 წლამდე, გლეხობის სრულ მობრუნებამდე Ordnungspartei-საკენ *. ხოლო რუსეთში ამ მობრუნებამდე ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან შორსა ვართ! ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოფდეთ «საერთოდემოკრატიული» საკითხების «გერმანული» ანუ «დამპალი» გადაჭრის შესაძლებლობას, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გავაკეთოთ, მოვალენი ვართ დიდხანს და ბეჯითად ვმუშაობდეთ იმაზე, რომ ეს გადაჭრა იყოს არა «დამპალი», არა გერმანული, არამედ ფრანგული, ე. ი. 30 — 48 — 71-ის ტიპის მიხედვით და არა 63 — 65-ის ტიპის მიხედვით (მხოლოდ «კონსტიტუციური» კრიზისი). თავდებობა არ შეიძლება, ჩვენი 63 — 65 «დამპალი» გამოგვივა თუ წარმატებითი, მაგრამ ჩვენი საქმეა, მუშათა პარტიის საქმეა ყველაფერი გავა-

* — წესრიგის პარტიის. რ ე დ.

კეთოთ, რომ «დ ა მ პ ლ ი დ ა ნ» განვითარდეს წ ა რ მ ა-ტ ე ბ ი თ ი, გერმანული Verfassungsstreit-იდან კარგი ფრანგული შეხლა-შემოხლა. და არ არის ისტორიის ისეთი კანონები, რომ დამპალი კრიზისი არ შეიძლებოდეს გადაიქცეს კარგ შეხლა-შემოხლად. არ არის ასეთი კანონები. ყველაფერი დამოკიდებულია გარემოებაზე, გლეხების (რომლებიც სტოლიპინმა კი არ დააკმაყოფილა, შეავიწროვა) ღატაკ მასაზე, მუშათა პარტიის ძალაზე, პირობებზე, გუჩკოვსა და «სფეროებს» შორის უთანხმოებასა და კონფლიქტებზე და სხვ. და სხვ.. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უფრო ძლიერი ვიყოთ (და უფრო ძლიერი ვიქნებით ჩვენი 63 — 65-სათვის, ვიდრე მაშინ გერმანელები), რომ მაშინ გლეხებმა ჩვენ დაგვიჯერონ და არა ლიბერალებს. მხოლოდ ბრძოლა გადაწყვეტს, რამდენად მოვახერხებთ ამას. უნდა მოვითხოვოთ ყველაფერი «საერთოდემოკრატიული შეტევის» აზრით: წარმატების შემთხვევაში მივიღებთ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს, წარუმატებლობის შემთხვევაში — ნაწილს; მაგრამ როდესაც ბრძოლაში მივდივართ, არ შეიძლება ნაწილის მოთხოვნას დავჯერდეთ. ახლებურად დავეწყოთ, ახლებურად დავირაზმოთ, ახლებურად ვიაროთ კრიზისისაკენ — ასეთია მომენტის ა რ ს ი, მაგრამ მხარი დავუჭიროთ ყ ვ ე ლ ა ძველ ლოზუნგს, განვავითაროთ, გავაძლიეროთ ისინი, მოვითხოვოთ «ყ ვ ე ლ ა-ფ ე რ ი». მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას.

მთელი არსებით თქვენი ს ტ ა რ ი კ ი

დაწერილია 1909 წ. 2 დეკემბერს
პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1922 წელს

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

1910 წ.

186

«შემნახველებისადმი» წერილის მონახაზი [291]

წერილი გერმანელთა სამეულისადმი

რომ აგიხსნათ უცნაური (პირველი შეხედვით) წინადადება და თხოვნა, რომლითაც მოგმართავთ ჩვენ და ცენტრალური კომიტეტი, უნდა აგიხსნათ ჩვენი პარტიის მდგომარეობა.

ეს მდგომარეობა რომ გამოვარკვიოთ, უნდა გავითვალისწინოთ, ჯერ-1, კონტრრევოლუციის მძვინვარებისა და ს.-დ. ორგანიზაციისა და ს.-დ. მუშაობის საშინელი რღვევის ფაქტი; მე-2, ძირითადი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობანი ჩვენს პარტიაში.

1-ლ საკითხზე საკმარისია აღინიშნოს ორგანიზაციების უდიდესი დაცემა ყველგან, თითქმის შეწყვეტა ბევრ ადგილას. მთელი ინტელიგენციის გაქცევა. დარჩნენ მუშათა წრეები და ერთეულები. ძნელად იკვლევს გზას ახალგაზრდა, გამოუცდელი მუშა.

მე-2 საკითხზე. რევოლუციაში ს.-დ-ს ჰქონდა **ორი** მიმდინარეობა (და ორი ფრაქცია, tatsächlich Spaltung-ი *): მენშევიკები და ბოლშევიკები. Stockholm-ი 1906 და London-ი 1907 [292]. ოპორტუნისტული და რევოლუციური ფრთა.

1907 — 8 წლების რღვევამ გამოიწვია (α) მენშევიკებში **ლიკვიდატორობა** (განსაზღვრა), (β) ბოლშევიკებში — ო ტ ზ ო ვ ი ზ მ ი (და ულტიმატიზმი). განსაზღვრა.

(α) III. 08-დან დაწყებული მენშევიკები ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ არ იღებდნენ მონაწილეობას პარტიის ცენტ-

---

* — ფაქტიურად გათიშვა. რ ე დ.

რალურ მუშაობაში და მის ჩაფუშვასაც კი ცდილობდნენ (VIII. 08). საზღვარგარეთ ბატონობა (სტუდენტებისა, მოუმწიფებელი ბურჟუაზიული ინტელიგენციისა etc.) მათია. სრული გათიშვა საზღვარგარეთ (მენშევიკების მეოხებით) და მათ მიერ მონაწილეობის ს რ უ ლ ი მიუღებლობა **პარტიულ** მუშაობაში პლუს პარტიასთან ბრძოლა.

XII. 08-ის კონფერენცია გმობს ამას [293].

β) ბოლშევიკების ოტზოვიზმ-ულტიმატიზმი 1908 — 9 წლებში. მათ წინააღმდეგ ბოლშევიკების გადამწყვეტი ბრძოლა და ოტზოვისტ-ულტიმატისტების Kaltstellung-ი *. ჩამოცილება.

რუსეთში რღვევა მატულობს.

პლეხანოვის VIII. 09-ის გამოსვლა ((«რას ინებებთ» [294], «გოლოსის» ლიკვიდატორობა; ლიკვიდატორობის გამოცხადება წვრილბურჟუაზიულ ოპორტუნიზმად; პარტიის კრიზისის აღიარება (სენი საშიშია); გამოსვლა «ო ბ შ ჩ ე ს ტ ვ ე ნ ნ ო ე დ ვ ი ჟ ე ნ ი ე ს» რედაქციიდან, რომელიც bürgerlich-liberalen Verlag'ს ** შეჰკედლებია)).

პლეხანოვის გამოსვლის მნიშვნელობა = სუსტი გამოძახილი, რომლითაც **ბოლშევიკების ფრაქციული მტერი** ადასტურებს მათს ყველა ბრალდებას.

მენშევიკების ლტოლვა რ უ ს ე თ შ ი პარტიისაკენ (განსაკუთრებით მუშებისა: პეტერბურგი, მოსკოვი).

ცდა **პარტიული** გაერთიანებისა ამ ნიადაგზე, 2 ფრონტზე ბრძოლის: ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმ-ულტიმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აღიარებაზე.

გაერთიანების პირობები ჩვენი მხრივ: ლიკვიდატორობასთან ბრძოლის უსიტყვოდ აღიარება (ცენტრალური კომიტეტის ნახევარზომა: პირადი დათმობა); ფრაქციული ბრძოლის შეწყვეტა (=განსაკუთრებით გათიშვისა საზღვარგარეთ) და **ლოიალური დამორჩილება** პარტიის **უმრავლესობისადმი** (ბოლშევიკები+პოლონელები კერძოდ), რომელმაც პარტია

---

* — ჩამოცილება. რ ე დ.

** — ბურჟუაზიულ-ლიბერალურ გამომცემლობას. რ ე დ.

1907 — 9 წლების კრიზისიდან გამოიყვანა და 2 ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლის გზაზე დააყენა.

მენშევიკების პირობები: ლიკვიდატორობის ნათელი განსაზღვრის დაფარვა (ნახევარზომა **ერთხმივ** რეზოლუციაში) და **თანასწორობა** ცენტრალური ორგანოს რედაქციაში ((ფაქტიურად მეთაური საერთოპარტიული დაწესებულება, როცა ცენტრალური კომიტეტი რუსეთში მეტად სუსტია და არამტკიცე)).

ცენტრალურ კომიტეტში ტარდება მ ე ტ ა დ ა რ ა-მ ტ კ ი ც ე კ ო მ პ რ ო მ ი ს ი 1) ერთხმივი რეზოლუცია ლიკვიდატორობის სახელწოდების **ამოშლით**[295]; 2) 3 და 2 ცენტრალურ ორგანოში და მენშევიკების განცხადება «მექანიკური დათრგუნვის», «საალყო წესების» შესახებ etc.; 3) მენშევიკების უარი იმაზე, რომ მტკიცედ, ნათლად და საბოლოოდ აეღოთ ხელი ფრაქციულ გაზეთსა და ფრაქციულ ორგანიზაციაზე, ეღიარებინათ **ლოიალური** დამორჩილება უმრავლესობისადმი.

აქედან წარმოდგება ჩვენი შიში. ბოლშევიკების ფრაქცია რომ დავშალოთ, ფული ცენტრალურ კომიტეტს გადავცეთ (ფაქტიურად 5 შემნახველია შემთხვევითი და მერყევი უმრავლესობის დროს, რომელიც ოტზოვიზმ-ულტიმატიზმით არის გაფუჭებული), ჩვენ გვეშინია (ყველა საფუძველი გვაქვს გვეშინოდეს) მენშევიკების გათიშვისა საზღვარგარეთ და მათ მიერ ლიკვიდატორობის გატარებისა (რედაქციაში თანასწორობის სახით).

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მენშევიკების მიერ საზღვარგარეთიდან მოწყობილი გათიშვის ცდების დროს ცენტრალური კომიტეტი (ესე იგი ბოლშევიკები+ნაციონალები) ვერ შეძლებს ებრძოლოს ლიკვიდატორობას, და საჭირო გახდება **განვაახლოთ** ფრაქციული ბრძოლა, გათიშვაზე გათიშვით ვუპასუხოთ.

«დაზავების» ცდა: ბოლშევიკები განიარაღდნენ. «ცხოვრების პარტიული წესის» ცდა.

მენშევიკებისადმი წარსადგენი პირობები: (α) სრული განიარაღება — ფრაქციული გაზეთის, ფრაქციული სალაროს,

საზღვარგარეთ ფრაქციული გათიშვის შეწყვეტა; (β) ლ ო ი ა ლ უ რ ა დ განხორციელება რეზოლუციისა ლიკვიდატორობასთან ბრძოლის შესახებ; (γ) ლ ო ი ა ლ უ რ ი დამორჩილება უმრავლესობისადმი ცენტრალურ ორგანოში; (δ) ლ ო ი ა ლ უ რ ი ხელშეწყობა ცენტრალური კომიტეტისათვის რუსეთში.

Si non — non *.

მენშევიკების ლაქუცი ოტზოვისტ-ულტიმატისტებთან. ტროცკის უძლურება და ლიკვიდატორებისათვის ხელშეწყობა.

დაწერილია 1910 წ. თებერვალ-მარტში
პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — თუ არა — არა. რ ე დ.

187

ნ. ე. ვილონოვს

27. III. 10.

ძვირფასო ამხანაგო მიხეილ! როგორა ხართ? თუ მოიკეთეთ? მომწერეთ ეს, ზუსტად მაცნობეთ, მატულობთ თუ არა წონაში და სახელდობრ რამდენს.

ჩვენში შერიგება-გაერთიანების ბურუსი გაფანტვას იწყებს. გიგზავნით ანაბეჭდს № 12 «სოციალ-დემოკრატიდან» [296]. ამ ანაბეჭდიდან დაინახავთ, რომ გოლოსელებთან დიდი ჩხუბი გაჩაღდა. ახლა საკითხი იმაში მდგომარეობს, არიან თუ არა ქვეყნად პლეხანოველები, არიან თუ არა ქვეყნად პ ა რ ტ ი ე ლ ი მენშევიკები, თუ ყველა მენშევიკი გოლოსელია, ხოლო პლეხანოვი მხოლოდ ერთეული.

დაწყებულ უნდა იქნეს გაძლიერებული აგიტაცია გოლოსელთა ჯგუფებიდან პლეხანოველების გამოსვლის სასარგებლოდ, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში — გოლოსელის პლეხანოველით შეცვლის სასარგებლოდ და სხვ. — და ასეთი აგიტაციით ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი შემოწმდეს, პარტიული გაერთიანებიდან გამოვა თუნდაც ჩვენი გაერთიანება პლეხანოველებთან თუ სრულებით არაფერი არ გამოვა.

ბოლშევიკების აქაური ჯგუფი აპირებს შეუდგეს ასეთ აგიტაციას; — როცა შეუდგება, თქვენ ცნობას მიიღებთ.

«ვპერიოდელებს» აქ რაღაც ყრილობის მაგვარი აქვთ· ამბობენ, ჩამოვიდა ბოგდანოვი და სტანისლავიო. რას აპირებენ ისინი, არ ვიცით. თავი სულელურად უჭირავთ და, ალ-

ბათ, მათთანაც მოუხდება ომი ცენტრალურ ორგანოს მათი პირველი გამოსვლისთანავე პრესაში. რუსეთიდან მოვიდა წერილი, რომ მოსკოველ ვპერიოდელებს ალექსინსკი სწერდა მათი გეგმის შესახებ მოაწყონ თ ა ვ ი ა ნ თ ი სკოლა 50 კაცისათვის (ალბათ ფული იშოვნეს?), ვპერიოდელები კი მოსკოვში საერთო, პარტიულ სკოლას ემხრობიანო.

გორკისთან მიწერ-მოწერა არა მაქვს. გავიგეთ, რომ მას იმედი გაუცრუვა ბოგდანოვმა და რომ იგი მიხვდა ბოგდანოვის ქცევის სიყალბეს. გაქვთ თუ არა ცნობები კაპრიდან?

რუსეთში ძალები ცოტაა. ეჰ, აქედან რომ შეიძლებოდეს კარგი მუშაკის გაგზავნა ცენტრალურ კომიტეტში ან კონფერენციის მოსაწვევად! მაგრამ აქ ყველა «ყოფილი ადამიანია».

იყავით ჯანმრთელად და მწერეთ.

ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან
დავოსში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

188

გ. ვ. კლეხანოვს

29. III. 10.

ძვირფასო და დიდად პატივცემულო ამხანაგო! სავსებით ვიზიარებ რა «დღიურის» № 11-ში გამოთქმულ თქვენს აზრს ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ჭეშმარიტად სოციალ-დემოკრატიული ელემენტების მჭიდროდ და გულწრფელად დაახლოების საჭიროების შესახებ, ძალიან მინდოდა პირადად მომელაპარაკნა თქვენთან პარტიაში საქმეების მდგომარეობის შესახებ, რომელიც ახლა შეიქმნა. თუ ეს თქვენც სასარგებლოდ მიგაჩნიათ და თუ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნებას გაძლევთ, კეთილინებეთ მომწეროთ (მიდეპეშოთ) ორიოდე სიტყვა, თუ როდის შეგეძლებათ დამინიშნოთ შეხვედრა სან-რემოში. მე მზად ვარ ჩამოვიდე ამ მიზნისათვის.

ამხანაგური სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

Vl. Oulianoff. 4. Rue Marie Rose. Paris. XIV.

გაგზავნილია პარიზიდან
სან-რემოში (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

189
ნ. ე. ვილონოვს

7. IV. 10.

ძვირფასო ამხ. მ.! გიგზავნით აქაურ პლეხანოველთა ანუ, უფრო სწორად, მენშევიკ პარტიელთა რეზოლუციას [297]. თუ მართალია, რომ თქვენთან დავოსში პარტიელები სჭარბობენ მენშევიკებს შორის, მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, რომ ისინი დაუყოვნებლივ გამოეხმაურონ და ასე თუ ისე დაირაზმონ და აშკარად გამოვიდნენ. რა თქმა უნდა, ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ძალიან ფრთხილად უნდა მიმართავდნენ ასეთი რჩევებით მენშევიკებს, ვინაიდან პლეხანოველებს შორისაც კი არ არის იმაზე უფრო საშინელი, შემაძრწუნებელი, აუტანელი ბრალდება, ვიდრე ბრალდება «ბოლშევიკებისადმი დახმარებისა» ან «ბოლშევიკებისათვის» მუშაობისა და სხვ.

ახლანდელ დახლართულ მდგომარეობაში, ჩემი აზრით, მხოლოდ ორი გამოსავალია: ან უკან საკუთარი, ბოლშევიკური, ფრაქციისაკენ, ან პლეხანოველებთან ერთად გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი ბ რ ძ ო ლ ა გოლოსელთა წინააღმდეგ პარტიისათვის. მეორე უფრო სასურველია, მაგრამ ჩვენზე როდია დამოკიდებული. სანამ შეიძლება, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი შეიძლება, მეორე გამოსავლისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გამოვცდით **ყველა** შესაძლებლობას, ყველა საშუალებას მეორე გამოსავლისათვის, დავუბრუნდეთ პირველს. —

— ძალიან მოხარული ვარ, რომ პრაგმატიზმის გაცნობამ მახიზმზე გული აგაყრევინათ. ახლა რუსეთში გაძლიერებით

თარგმნიან ყველა ამ «უახლეს» ფილოსოფოს არამზადებს: პეტცოლდტსა და კომპანიას, პრაგმატისტებს და სხვ.. ეს კარგია: როცა რუსი საზოგადოება და განსაკუთრებით რუსი მუშები ნ ა ტ უ რ ა შ ი ნახავენ ჩვენი ბოგდანოვისა და კომპანიის მასწავლებლებს, — ისინი მალე შეაქცევენ ზურგს მასწავლებლებსაც და მოწაფეებსაც.

ჭეშმარიტების მიჩნევა შემეცნების იარაღად ნიშნავს უკვე არსებითად გადასვლას აგნოსტიციზმის მხარეზე, ე. ი. მატერიალიზმის მიტოვებას. ამაში, და ყოველივე ძირითადში, პრაგმატისტები, მახისტები, ემპირიომონისტები ერთი ჯურის ხალხი არიან.

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ მალე და საფუძვლიანად გამოჯანმრთელებას.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან
დავოსში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

190

ა. მ. გორკის

ალ. მაქს.-ეს

11. IV. 10.

ძვირფასო ა. მ.! მხოლოდ დღეს ძლივს მივიღე თქვენი და მ. თ — ს წერილი, მ. ს. ბოტკინას ხელით გამოგზავნილი. რომ არ დამავიწყდეს: შეიძლება მომწეროთ ჩემი პირადი მისამართითაც (Oulianoff. 4. Rue Marie Rose. 4. Paris. XIV) და პარტიის მისამართითაც — მაშინ სჯობს 2 კონვერტით, და შიდა კონვერტზე დაიწეროს: პირადად ლენინისათვის (110. Avenue d'Orléans. Mr. Kotliarenko. Paris. XIV).

ვეცდები ხვალვე გამოგიგზავნოთ გამოცემები, რომლებსაც მთხოვთ.

გაგლანძღეთ თუ არა და სად? ალბათ, «დისკუსსიონნი ლისტოკში» № 1 (გამოდის ცენტრალურ ორგანოსთან) [298]. გიგზავნით მას. თუ მათ, ვინც თქვენ ცნობა მოგაწოდათ, ეს არ ჰქონდათ მხედველობაში, სხვა ამჟამად არ მაგონდება. ამ ხნის განმავლობაში მეტი არაფერი დამიწერია.

ახლა გაერთიანების შესახებ. ფაქტია თუ ანეგდოტიო — მეკითხებით. ამაზე დამჭირდება შორიდან მოგიყვეთ, ვინაიდან ამ ფაქტში, ჩემი რწმენით, არის რაღაც «ანეგდოტურიც» (უფრო წვრილმანი) და სერიოზულიც.

პარტიული გაერთიანებისაკენ მივყავდით და მივყავართ სერიოზულ, ღრმა ფაქტორებს: ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაგან სოციალ-დემოკრატიის გაწმენდის საჭიროებას, იდეურ სფეროში; პარტიის და მთელი ს.-დ. მუშაობის საშინლად ძნელ მდგომარეობას და ს.-დ. მუშის ახალი ტიპის მომწიფებას, პრაქტიკულ სფეროში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე («გრძელ პლენუმზე», — სამ კვირას ვჯახირობდით, ნერვები მთლად აგვეშალა, დალახვროს ეშმაკმა!) ამ სერიოზულ და ღრმა ფაქტორებს, რომლებიც ყველას როდი შეუგნია, მიემატა წვრილი, წვრილმანი ფაქტორები, მიემატა «საერთოდ შემარიგებლობის» განწყობილება (მოკლებული ნათელ აზრს, ვისთან, რისთვის, როგორ), მიემატა სიძულვილი ბოლშევიკური ცენტრისადმი მისი ულმობელი იდეური ომისათვის, მიემატა კინკლაობა და მენშევიკების სურვილი სკანდალის ატეხისა — და გამოვიდა წყლულებიანი ბავშვი.

ახლა კი ვჯახირობთ. ან — უკეთეს შემთხვევაში — წყლულებს გამოვრწყავთ, ჩირქს გამოვუშვებთ, ბავშვს მოვარჩენთ და გავზრდით.

ან — უარეს შემთხვევაში — ბავშვი მოკვდება. მაშინ ერთ ხანს უშვილოდ ვიცხოვრებთ (ესე იგი: კვლავ აღვადგენთ ბოლშევიკურ ფრაქციას), შემდეგ კი უფრო ჯანმრთელ ბავშვს ვშობთ.

მენშევიკებს შორის სერიოზული გაერთიანებისაკენ მიდიან (არა სავსებით შეგნებულად, ნელა, ბარბაცით, მაგრამ მიდიან და, რაც მთავარია, არ შეუძლიათ არ მიდიოდნენ) პლეხანოველები, მიდიან პ ა რ ტ ი ე ლ ე ბ ი, მიდიან მუშები. გოლოსელები კი პირდაპირ პასუხს გაურბიან, ურევენ, აფუჭებენ საქმეს. ისინი ქმნიან ძლიერ, ლეგალურ, ოპორტუნისტულ ცენტრს რუსეთში (პოტრესოვი და კომპანია ლიტერატურაში: იხ. «ნაშა ზარია» № 2 — რა არამზადაა ეს პოტრესოვი! — და მიხეილი, რომანი, იური+16 ავტორი «გოლოსის» № 19/20-ში მოთავსებული «ღია წერილისა» — პრაქტიკულ, ორგანიზაციულ მუშაობაში).

ცენტრალური კომიტეტის პლენუმს სურდა გაეერთიანებინა ყ ვ ე ლ ა. ახლა გოლოსელების საკითხი მ ო ხ ს ნ ი ლ ი ა. ეს წყლული მოშორებულ უნდა იქნეს. უკინკლაოდ, უსკანდალოდ, უჯახიროდ, უჭუჭყოდ და «უხენჯოდ» ამას ვერ გააკეთებ.

ჩვენ ახლა ამ კინკლაობის შიგ შუაგულში ვართ. ან რუსეთის ცენტრალური კომიტეტი ფრთებს შეაკვეცს გოლოსე-

ლებს, მოაშორებს მათ მნიშვნელოვან დაწესებულებებს (როგორიც არის ცენტრალური ორგანო და სხვ.), — ან საჭირო გახდება ფრაქციის აღდგენა.

პლეხანოვმა «დღიურის» № 11-ში ისეთი შეფასება მისცა პლენუმს, რომელმაც ცხადყო, რომ მას **ახლა** ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გულწრფელი და სერიოზული სურვილი უფრო აქვს, ვიდრე წვრილი და წვრილმანი სურვილი ოპორტუნისტ-გოლოსელთა გ ა მ ო ყ ე ნ ებ ი ს ა ბოლშევიკების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. აქაც რთული და გაჭიანურებული საქმეა, მაგრამ რუსეთში ჩამოყალიბებული მენშევიკთა ლეგალისტური, ლიკვიდატორული ცენტრი გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ იწვევს იმას, რომ მათ შორდებიან სერიოზული სოციალ-დემოკრატები.

ახლა «ვპერიოდელთა» შესახებ. ერთ დროს მეგონა, რომ ამ პარტიის შიგნითაც ორი მიმდინარეობა იყო: პარტიისაკენ, მარქსიზმისაკენ, მახიზმსა და ოტზოვიზმზე უარის თქმისაკენ, — და პირიქით. პირველისათვის პარტიული გაერთიანება გახსნიდა მარჯვე, არა უხერხულ, პარტიულ გზას ოტზოვიზმის აშკარა უაზრობათა გამოსწორებისაკენ და სხვ.. მაგრამ მათში, როგორც ჩანს, მეორე მიმდინარეობა იმარჯვებს. ალექსინსკი (სავსებით ბალღი პოლიტიკაში, მაგრამ გაგულისებული ბალღი, რომელიც ზედიზედ სჩადის სისულელეს) სკანდალით გამოვიდა «დისკუსსიონნი ლისტოკის» რედაქციიდანაც და პარტიული სასკოლო კომისიიდანაც. ალბათ, ისინი მაინც მოაწყობენ თ ა ვ ი ა ნ თ სკოლას, ისევ ფრაქციულს, ისევ სადმე განზე. ასე თუ იქნა, — კვლავ ვიომებთ, მათ ომით წავართმევთ მუშებს.

და აი ისე გამოდის, რომ ის, რაც «ანეგდოტურია» გაერთიანებაში, ახლა ჭარბობს, მას პირველ პლანზე აყენებენ, იგი იძლევა საბაბს ხითხითისათვის, სიცილისათვის და სხვ.. ამბობენ, რომ ს.-რ. ჩერნოვმა ვოდევილიც კი დაწერა ს.-დ-ების გაერთიანების გამო სახელწოდებით «ქარიშხალი ჭიქა წყალში» და რომ ამ ვოდევილს აქ ამ დღეებში დადგამენ ემიგრანტთა კოლონიის ერთ-ერთ (სენსაციების მოყვარულ) ჯგუფშიო.

ამ «ანეგდოტურის», ამ კინკლაობისა და სკანდალის, ჯახირისა და «ხენჯის» შიგ შუაგულში ჯდომა გულისამრევია; ყოველივე ამის ცქერაც გულისამრევია. მაგრამ არ შეიძლება განწყობილებას ავყვეთ. ემიგრანტობა ახლა 100-ჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე რევოლუციამდე იყო. ემიგრანტობა და კინკლაობა განუყოფელია.

მაგრამ კინკლაობა მოისპობა; კინკლაობა $^{9}/_{10}$-ით საზღვარგარეთ რჩება; კინკლაობა აქსესუარია. ხოლო პარტიის განვითარება, ს.-დ. მოძრაობის განვითარება სულ წინ მიდის ახლანდელი მდგომარეობის ყველა ჯოჯოხეთური სიძნელის გადალახვით. ს.-დ. პარტიის გაწმენდა მისი საშიში «გადახრებისაგან», ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაგან განუხრელად მიდის წინ; გაერთიანების ფარგლებში მან მნიშვნელოვნად უფრო შორს წაიწია, ვიდრე წინათ. ოტზოვიზმს იდეურად უკვე მოვუღეთ ბოლო, არსებითად, პლენუმამდე. ლიკვიდატორობას მაშინ ვერ მოვუღეთ ბოლო, მენშევიკებმა მოახერხეს დროებით დაემალათ გველი, ახლა კი მზის სინათლეზე გამოათრიეს, ახლა მას ყველა ხედავს, ახლა მის მოსპობას მივყოფთ ხელს და მოვსპობთ!

და ეს გაწმენდა სულაც არ არის მარტო «იდეური» ამოცანა, სულაც არ არის მარტო «ლიტერატურულობა», როგორც ფიქრობს რეგვენი (თუ გაიძვერა) პოტრესოვი, რომელიც ისევე ესარჩლება მახისტებს, როგორც მენშევიკები პლენუმში «ვპერიოდელებს» ესარჩლებოდნენ. არა, ეს გაწმენდა განუყრელად დაკავშირებულია ღრმა მუშათა მოძრაობასთან, რომელიც ს.-დ. მუშაობის დაყენებას სწავლობს ახლანდელ ძნელ დროში, სწავლობს სწორედ უარყოფის გზით, გამოდის გზაზე ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის უარყოფის გზით. მხოლოდ ყბედ ტროცკის წარმოუდგენია, რომ ამ უარყოფას შეიძლება გვერდი აევლოს, რომ ეს ზედმეტია, რომ ეს მუშებს არ ეხება, რომ ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის საკითხებს აყენებს არა ცხოვრება, არამედ ბოროტა პოლემისტების პრესა.

შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ უმძიმთ ახალი ს.-დ. მოძრაობის ამ მძიმე ზრდის ცქერა იმათ, ვისაც არ უნახავს და არ განუცდია 80-იანი წლების დამლევისა და 90-იანი წლების დამდეგის მძიმე ზრდა. მაშინ ასეთი ს.-დ-ები ათეულები იყვნენ, თუ ერთეულები არა. ახლა ასობით და ათასობით არიან. აქედან წარმოდგება კრიზისი და კრიზისები. და მ თ ე ლ ი სოციალ-დემოკრატია აშკარად იშორებს და პატიოსნად მოიშორებს მათ თავიდან.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან
ყუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

191

ნ. ა. სემაშკოს

4. X. 10.

ძვირფასო ნ. ა.! რაც შეიძლება მალე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, რომ მოვილაპარაკოთ ბოლშევიკების (ანტივპერიოდელების) კრების ს ა ს წ რ ა ფ ო დ მოწვევის შესახებ. გუშინ მარკმა + ლოზოვსკიმ + ლიოვამ პროტესტი განაცხადეს ფრაქციული გაზეთის [299] წინააღმდეგ და წავიდნენ. რა სასაცილოები არიან! მოხარული ვარ, ამრევ-დამრევები რომ წავიდნენ, მაგრამ საჭიროა რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე გამოვარკვიოთ დანარჩენთა დამოკიდებულება. თუ შეიძლება, მალე ჩამოდით და მიიღეთ ზომები კრების დასაჩქარებლად.

თ ქ ვ ე ნ ი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან
შატილიონში (საფრანგეთი)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

192

Ი. Ი. მარხლევსკის

7. X. 10.

ძვირფასო ამხანაგო! გუშინ გვიან საღამოს მივიღე თქვენი და ვურმის წერილი და თქვენი სტატია. თანახმად თქვენი და კაუცკის თხოვნისა lasse ich es bei Ihrem Artikel bewenden *.

უკვე დავწერე დაახლოებით ნახევარი დიდი სტატიისა მარტოვისა და ტროცკის წინააღმდეგ ერთად [300]. უნდა მივატოვო. შევუდგები პატარა სტატიის წერას ტროცკის წინააღმდეგ. რაკი კაუცკის ნახულობთ, გთხოვთ უთხრათ რომ ტროცკისათვის პასუხის გაცემას მაინც ჩემზე თვლიდეს. თუ გერმანელებს ასე ეშინიათ პოლემიკისა, ვფიქრობ არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ერთი კვირით ადრე თუ ერთი კვირით გვიან მოვა პასუხი?

მეტისმეტად საწყენია, რომ Kautsky und Wurm-იც ** კი ვერ ხედავენ ისეთი სტატიების უხამსობასა და საზიზღრობას, როგორიც მარტოვისა და ტროცკის სტატიებია. ვცდი მივწერო კაუცკის კერძო წერილი მაინც, რომ საქმე გამოვარკვიო. ეს ხომ პირდაპირ სკანდალია, რომ მარტოვი და ტროცკი დაუსჯელად ცრუობენ და წერენ პასკვილებს «მეცნიერული» სტატიების სახით!!

ერთი მითხარით, ხომ ვერ დამეხმარებით ორი პრაქტიკული საკითხის გამორკვევაში. 1-ლი: შეიძლება თუ არა

---

* — თანახმა ვარ დავჯერდე თქვენს სტატიას. რ ე დ.

** — კაუცკი და ვურმი. რ ე დ.

ბერლინში მოინახოს მთარგმნელი («Neue Zeit»-ის * სტატიებისათვის) რუსულიდან გერმანულად? ან იქნებ ეს საიმედო არ არის და ძვირი ღირს, ისე რომ უმჯობესია აქ მოიძებნოს? ყოველ შემთხვევაში ვცდი აქ მოვნახო, მაგრამ მინდა ვიცოდე თქვენი აზრი, რადგან ამ დარგში თქვენ ხომ დიდი გამოცდილება გაქვთ.

მე-2: რა იქნება, მე რომ დავწერო ბროშურა (ზომით à la ჩერევანინი: Das Proletariat in der russischen Revolution**) რუსეთის რევოლუციის თემაზე, მის გაკვეთილებზე, კლასობრივ ბრძოლაზე და სხვ.. მოიძებნებოდა თუ არა პარტიული გერმანელი გამომცემელი? იხდიან გერმანელები საფასურს ასეთ რამეებში თუ საფასური მხოლოდ რუსებს უნდა მოეთხოვოს, გერმანელებს კი nebenbei *** უნდა გაეწიოთ მომსახურება?

მარტოვისადმი პასუხთან დაკავშირებით მე «შევტოპე» კიდევ 1905—8 წლების გაფიცვების უაღრესად საინტერესო სტატისტიკაში და ძალიან მინდა დავამუშაო იგი. თემა ისეთია, რომ წიგნს ან ბროშურას უფრო უხდება, ვიდრე სტატიას [301]. გერმანელები კი სამარცხვინოდ «შეუგნებელი» არიან რუსეთის რევოლუციის შეფასების საკითხებში!

ვურთავ იმის მოკლე ნუსხას, რის დამატებაც სასურველია მარტოვის წინააღმდეგ. თუნდაც ნაწილს თუ შეიტანთ თქვენს სტატიაში, ძალიან კარგი იქნება [302].

Beste Grüsse ****.

ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

რას იტყვით, ფინალი მაგდებურგის მასობრივი გაფიცვის საკითხისა (როზას რეზოლუციის მიღება და მის მიერ მე-2 ნაწილის უკან წაღება) ხელს ხომ არ შეუწყობს ზ ა ვ ხ

---

* — «ახალი დროება». რ ე დ.

** — პროლეტარიატი რუსეთის რევოლუციაში. რ ე დ.

*** — სხვათა შორის. რ ე დ.

**** — საუკეთესო სურვილები. რ ე დ.

როზასა და კაუცკის შორის? როზასა და Vorstand'-ს * შორის? თუ ეს მალე არ მოხდება? [303] ((როზა ლუქსემბურგს მივწერე 2 კვირის წინათ სტოკჰოლმიდან.))

ჩემი მისამართი: Vl. Oulianoff. 4. Rue Marie Rose. 4. Paris. XIV.

აი, ჩემი აზრით, უმთავრესი (ისიც ყველა როდი) პუნქტები მარტოვის სიცრუისა და სიყალბისა, რომლებიც (თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც) სასურველია აღინიშნოს:

როცა ამბობს, ამხ. რადეკს ციტატი არასწორად მოჰყავსო, ამხ. მარტოვს ეჭვი მიაქვს, დამტკიცებით კი არ ამტკიცებს. ჩვენ კი ზუსტი საბუთი გვაქვს, რომ მარტოვს ციტატები ყალბად მოჰყავს. «აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით ფრანგულად» («Neue Zeit»-ი 1910) — მოჰყავს მარტოვს ციტატი ლენინიდან. ციტატი დამახინჯებულია. ლენინმა თქვა: «ჩვენ რევოლუციის დროს ვისწავლეთ «ფრანგულად» ლაპარაკი» («პროლეტარი» № 46) [304]. ციტატის დამახინჯებით მარტოვი ფარავს სწორედ იმას, რომ იგი (ყველა ოპორტუნისტის მსგავსად) მოუწოდებს მუშებს **დაივიწყონ** რევოლუციური ბრძოლის ხერხები.

«ფრანგულად ლაპარაკი» — «richtiger gesagt: blanquistisch» **, ასწორებს მარტოვი. გმადლობთ გულახდილობისათვის. საფრანგეთის რევოლუციებში საფრანგეთის პროლეტარიატის მონაწილეობისათვის «ბლანკიზმის» დარქმევა — სწორედ ეს არის მარტოვისა და კვესელის [305] შეხედულებათა «არსი».

«In ganz Westeuropa — წერს მარტოვი — betrachtet man die Bauernmassen in dem Masse für bündnisfähig, als sie die schweren Folgen der kapitalistischen Umwälzung der Landwirtschaft zu spüren bekommen...; für Russland malte man sich ein Bild aus, wie mit dem Proletariat sich die 100 Millionen Bauern vereinigen... die noch nicht von der kapitalistischen Bourgeoisie in

* — გამგეობას. რ ე დ.

** — «უფრო სწორად რომ ვთქვათ: ბლანკისტურად». რ ე დ.

die Schule genommen worden sind» («Neue Zeit», Seite 909). Das ist eben russisches Quesseltum! *

რუს კვესელს დაავიწყდა ეთქვა, რომ რუსი სოციალ-დემოკრატების აგრარულ პროგრამაში (რომელიც მიღებულია სტოკჰოლმში, 1906, როცა მენშევიკებს უმრავლესობა ჰქონდათ!!) შეტანილია «გლეხობის რევოლუციური გამოსვლებისათვის მხარდაჭერა მემამულეთა მიწების თვით კონფისკაციამდე». არის ამის მსგავსი რამ «ევროპაში», ო, რუსო კვესელო? არა, რადგან ევროპაში აღარ არის ბურჟუაზიული რევოლუციის საკითხების რევოლუციური დაყენება. რუსი გლეხებისათვის «კაპიტალისტური ბურჟუაზიის სკოლა» არის სკოლა ლიბერალური ბურჟუაზიის (რომელიც გლეხებს ღალატობდა მემამულეებისა და აბსოლუტიზმის სასარგებლოდ) ღალატისა და გამცემლობისა, და ასეთი სკოლის დაცვა მხოლოდ უკიდურეს ოპორტუნისტებს შეუძლიათ.

დასცინის რა «პროლეტარიატთან 100 მილიონი გლეხის შეერთებას», მარტოვი დასცინის მთელ რევოლუციას, რომელმაც ასეთი შეერთება საქმით ცხადყო როგორც აჯანყების ასპარეზზე (X, XI—XII. 1905), ისე ორივე პირველი სათათბიროს ასპარეზზეც (1906 და 1907).

მარტოვი უმწეოდ ქანაობს ლიბერალებსა (ისინი «მიწის კონფისკაციის» წინააღმდეგი, «გლეხობის რევოლუციური გამოსვლების» წინააღმდეგი არიან) და სოციალ-დემოკრატებს შორის, რომლებსაც დღემდე სრულებითაც არ აუღიათ ხელი გლეხთა **აჯანყების** მხარდაჭერაზე და იმაზე, რომ ეს თავიანთ **პროგრამაში** განაცხადონ.

---

* — «მთელ დასავლეთ ევროპაში გლეხთა მასებს კავშირისათვის გამოსადეგად თვლიან მხოლოდ იმის მიხედვით, თუ როგორ ეცნობიან ისინი მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური გადატრიალების მძიმე შედეგებს...; რუსეთისათვის დაიხატეს სურათი პროლეტარიატთან 100 მილიონი გლეხის შეერთებისა..., რომლებიც ჯერ არ ყოფილან კაპიტალისტური ბურჟუაზიის სკოლაში» («Neue Zeit», გვ. 909). აი სწორედ ეს არის **რუსული** კვესელობა! **რედ.**

მარტოვი ფიქრობს, რომ რევოლუციის წლებში (1905 — 7) დღის წესრიგში იდგა არა საკითხი რესპუბლიკის შესახებ, არამედ «die Frage der Unabhängigkeit der Volksvertretung» (S. 918) *. დამოუკიდებლობა **ვისგან?** მონარქიისაგან, რომელიც Staatsstreiche-ს ** ახდენდა? რუს ოპორტუნისტებს ავიწყდებათ თუნდაც კავშირი აგრარული და პოლიტიკური რევოლუციისა (შეიძლება თუ არა მიწების კონფისკაციისათვის ბრძოლა რესპუბლიკისათვის უბრძოლველად?), ავიწყდებათ, რომ ეპოქა der Staatsstreiche, der Aufstände, der Niederwerfungsstreiks *** თავისი **ობიექტური** პირობების, და არა ჩვენი ნება-სურვილის, გამო დღის წესრიგში აყენებს საკითხს რესპუბლიკის შესახებ. «რესპუბლიკა» როგორც დღის ლოზუნგი 1905 წელს = «რომანტიზმი»; «დამოუკიდებლობა» (მონარქიისაგან, რომელიც ახდენს Staatsstreiche და ეწევა den Bürgerkrieg ****) = Realpolitik *****, — ასე არ არის, ო, რუსო კვესელო?

A propos ******. Rosa Luxemburg-ი ეკამათებოდა Kautsky-ს იმაზე, დადგა თუ არა გერმანიისათვის Niederwerfungsstrategie-ს******* მომენტიო, ამასთან Kautsky-მ ნათლად და პირდაპირ თქვა, ეს მომენტი გარდუვალად და მოახლოებულად მიმაჩნია, მაგრამ იგი არ დამდგარაო. მარტოვი კი, «აღრმავებს» რა (verballhornend) კაუცკის, უარყოფს der Niederwerfungsstrategie-ს გამოსადეგობის შესაძლებლობას 1905 წლისადმი რუსეთში!! მარტოვს მიაჩნია, რომ XII. 05-ის აჯანყება «künstlich» ********

---

* — «სახალხო წარმომადგენლობის დამოუკიდებლობის საკითხი» (გვ. 918). რედ.

** — სახელმწიფო გადატრიალებებს. რედ.

*** — სახელმწიფო გადატრიალებებისა, აჯანყებებისა, მასობრივი პოლიტიკური გაფიცვებისა. რედ.

**** — სამოქალაქო ომს. **რედ.**

***** — რეალური პოლიტიკა. **რედ.**

****** — სხვათა შორის. **რედ.**

******* — დამხობის სტრატეგიის. **რედ.**

******** — «ხელოვნურად». **რედ.**

იყო გამოწვეული («Neue Zeit», S. 913). Die Leute, welche so glauben, können nur künstlich zur Sozialdemokratie gerechnet werden. Natürlich sind sie Nationalliberale *.

მარტოვი დასცინის იმ შეხედულებას, რომ პროლეტარიატი არის «die ausschlaggebende Macht» (S. 909) ** რევოლუციაში. დღემდე მხოლოდ ლიბერალები ბედავდნენ (ისიც ყოველთვის ვერა) უარეყოთ უდავო ისტორიული ფაქტი, რომ რუსეთის პროლეტარიატმა 1905 წელს სინამდვილეში შეასრულა როლი «der ausschlaggebenden Macht». და როცა თეორიამ, რომელიც უარყოფს «პროლეტარიატის ჰეგემონიას რუსეთის რევოლუციაში», გაიმარჯვა ხუთტომიან «საზოგადოებრივ მოძრაობაში» (მარტოვისა და პოტრესოვის რედაქციით), პლეხანოვი გამოვიდა ამ რედაქციიდან და «საზოგადოებრივი მოძრაობა» ლიკვიდატორების შრომად გამოაცხადა. მარტოვი ახლა წარმოადგენს არა მთელ მენშევიზმს, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც უარყო და რომელიც ოპორტუნიზმად გამოაცხადა მენშევიკად დარჩენილმა პლეხანოვმა.

მარტოვი ანარქისტების მიერ ბოიკოტის («პოლიტიკური თავშეკავების» ბოიკოტის) დაცვას «in ganz Westeuropa» *** უპირდაპირებს 1906 წლის ბოიკოტს რუსეთში. 1906 წლის ბოიკოტის შესახებ ჩვენ ცალკე ვილაპარაკეთ (თქვენ უკვე ნათქვამი გაქვთ). მაგრამ, საერთოდ ბოიკოტზე რომ ლაპარაკობდა, მარტოვმა რად დაივიწყა ბოიკოტის მთავარი გამოყენება რუსეთის რევოლუციაში, ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი (05-ის 6 აგვისტოს კანონი)?? ამ ბოიკოტის წინააღმდეგი იყო ყველა ლიბერალი, მემარცხენეებიც კი («განთავისუფლების კავშირი»), ამ ბოიკოტის მომხრენი იყვნენ სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკები. იმიტომ ხომ არ

* — ადამიანები, რომლებიც ასე ფიქრობენ, შეიძლება მხოლოდ ხელოვნურად მივაკუთვნოთ სოციალ-დემოკრატიას. არსებითად ისინი ნაციონალ-ლიბერალები არიან. რედ.

** — «წამყვანი, ხელმძღვანელი ძალა» (ჰეგემონი), გვ. 909. რედ.

*** — «მთელ დასავლეთ ევროპაში». რედ.

დუმს მის შესახებ მარტოვი, რომ ამ ბოიკოტმა გაიმარჯვა? იმიტომ ხომ არა, რომ ეს ბოიკოტი ძლევამოსილი Niederwerfungsstrategie-ს ლოზუნგი იყო?

ყველა მენშევიკი (განსაკუთრებით «ნაშა ზარიაში», «ვოზროჟდენიესა» და «ჟიზნში») გამოეხმაურა როზა ლუქსემბურგისა და კაუცკის დავას, რათა კ. კაუცკი «მენშევიკად» გამოეცხადებინა. და მარტოვი წელებზე ფეხს იდგამს, იყენებს kleinliche und miserable Diplomatie-ს*, რომ გაღრმავოს უფსკრული როზა ლუქსემბურგსა და კ. კაუცკის შორის. ეს elende ** ხერხები არ გამოდგება. რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს შეეძლოთ ეკამათნათ გერმანიაში Niederwerfungsstrategie-ს დადგომის დროის შესახებ და არა Niederwerfungsstrategie-ს მართებულობის შესახებ 1905 წლის რუსეთში. 1905 წლის რუსეთისათვის **მისი** მართებულობის უარყოფა კაუცკის აზრად არ მოსვლია. ამის უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ ლიბერალებსა და გერმანელ და რუს კვესელებს!

დაწერილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს

იბეჭდება ხელნაწერის **მიხედვით**

---

* — წვრილმან და უბადრუკ დიპლომატიას. **რ ე დ.**

** — საცოდავი. **რ ე დ.**

193

გ. შკლოვსკის

ძვირფასო ამხანაგო! დიდად გმადლობთ წერილისათვის და პლეხანოვის აგიტაციის შესახებ ცნობებისათვის. ჩვენთვის ახლა მეტად, მეტად ძვირფასია ყველა ასეთი ცნობა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად ვიმსჯელოთ საზღვარგარეთელი სოციალ-დემოკრატების განწყობილებაზე. მეც ვფიქრობ გავემგზავრო რეფერატის წასაკითხავად შვეიცარიაში (ჟენევა, ლოზანა, ბერნი, ციურიხი). არ ვიცი, ეს მგზავრობა ხარჯს გაასწორებს თუ ვერა.

რაც შეეხება პლეხანოვთან ბლოკს, ჩემი აზრით, თქვენ სავსებით მართალი ხართ, რომ ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ბლოკს. მე ს ა ვ ს ე ბ ი თ ვუჭერ მხარს, 1909 წლიდან დაწყებული, პლეხანოველებთან დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა ს. ხოლო ახლა კიდევ უფრო მეტად. მხოლოდ პლეხანოველებთან შეგვიძლია ვაშენოთ და უნდა ვაშენოთ პარტია — «ვპერიოდელებზე» და «გოლოსელებზე» დიდი ხანია დროა ჩავიქნიოთ ხელი. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ პლეხანოველები სუსტნი, «ნულები» (როგორც ზოგჯერ ამბობენ) არიან და სხვ.. ეს საზღვარგარეთული შთაბეჭდილებაა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთში მენშევიკი მუშების $^{9}/_{10}$ პლეხანოველებია. რევოლუციაში მენშევიზმის მთელი ისტორია იმის თავდებია, რომ პლეხანოველობა ყველაზე უკეთესი (და ამიტომ უაღრესად სიცოცხლისუნარიანი) პროდუქტია მენშევიკების პროლეტარული კალაპოტიდან.

მე და პლეხანოვს კოპენჰაგენში ლაპარაკი გვქონდა პოპულარული გაზეთის გამოცემის შესახებ. იგი საჭიროა. (ტროცკიმ აშკარად იბრუნა პირი ლიკვიდატორებისაკენ, გოლოსელების მხარდაჭერისაკენ, ბოლშევიკებისა და პლეხანოველების პარტიული ბლოკის ჩ ა შ ლ ი ს ა კ ე ნ.) პლეხანოვს ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, რომ ტროცკისთან არაფერი გვესაქმება. პოპულარულ გაზეთს ან ცენტრალურ ორგანოსთან დავაარსებთ, **ან** ბოლშევიკების ჯგუფისაგან **ცალკე**. პლეხანოვი თანამშრომლობას შეგვპირდა. საჭირო იქნება ფული — ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს. იმედი მაქვს ყოველგვარი დახმარებისა თქვენი მხრივ. ვცდილობთ შევქმნათ ჟურნალი რუსეთში (à la «ვ ო ზ რ ო ჟ დ ე ნ ი ე» და «ჟ ი ზ ნ»-ი). არა გვაქვს ხელჩასაჭიდი, არა გვყავს მდივანი, არავინა გვყავს მომწყობი — ჩვენები მუდამ ჩავარდებიან ხოლმე. უბედურებაა! ჟურნალი კი აუცილებელია[306].

ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1910 წ. 14 ოქტომბერს
გაგზავნილია პარიზიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

194
ა. მ. გორკის

14. XI. 10.

ძვირფასო ა. მ.! ძალიან დიდი ხანია თქვენგან და მ. თ — საგან არავითარი ცნობები არ მომსვლია. მომენატრა კაპრის ამბები. რაშია საქმე? შეუძლებელია, რომ თქვენ წერილების ანგარიშს ეწეოდეთ, როგორც ზოგიერთი ადამიანი, თურმე, ვიზიტების ანგარიშს ეწევა.

აქ ყველაფერი ძველებურად არის. აუარებელი წვრილი საქმეები და ყოველგვარი უსიამოვნება, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა «სამთავროების» ბრძოლასთან პარტიის შიგნით. უუუ!.. კაპრიზე კი, ალბათ, კარგია...

კინკლაობისაგან დასასვენებლად შევუდექით «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» გამოცემის დიდი ხნის გეგმის განხორციელებას. ძლივს შევაგროვეთ 400 frs *. გუშინ როგორც იქნა გამოვიდა № 1. გიგზავნით მას ფურცელთან და ფულის შესაგროვებელ სიასთან ერთად [307]. კაპრ-ნეაპოლის კოლონიის წევრებს, რომლებიც თანაუგრძნობენ ასეთ წამოწყებას (და პლეხანოვთან ბოლშევიკების «დაახლოებას»), ვიწვევთ გაგვიწიონ ყოველმხრივი დახმარება. «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» საჭიროა, ხოლო ტროცკისთან, რომელიც ინტრიგებს ეწევა ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტ-ვპერიოდელების სასარგებლოდ, შეთანხმებას ვერ მიაღწევ. მე და პლეხანოვმა უკვე კოპენჰაგენში ენერგიული პროტესტი

* — francs — ფრანკი. რ ე დ.

განვაცხადეთ ტროცკის უსაზიზღრესი სტატიის წინააღმდეგ «Vorwärts»-ში *. ახლა კიდევ რა საძაგლობა დაბეჭდა მან «Neue Zeit»-ში ** რუს სოციალ-დემოკრატებს შორის ბრძოლის ისტორიული აზრის შესახებ [308]! ახლა ლუნაჩარსკიმ ბელგიურ «Le Peuple»-ში *** — არ გინახავთ?

ვაარსებთ პატარა ლეგალურ ჟურნალს «ნაშა ზარიასთან» და «ეიზნთან» საბრძოლველად, იმასაც პლეხანოვის მონაწილეობით. იმედი გვაქვს მალე გამოვუშვებთ № 1.

ასეთია ჩვენი საქმეები. ცოტცოტაობით, ნელ-ნელა, ძლივძლივობით, მაგრამ მაინც ვაღწევთ თავს კინკლაობას და გზაზე გამოვდივართ.

რა გაქვთ ახალი? მისწერეთ თუ არა სტროევს და რა პასუხი მიიღეთ? ჩვენ მას მივწერეთ პირველი წერილი «კავშირისათვის», მიუღია და გვიპასუხა, ვერ მივხვდი ვინა მწერსო. კიდევ მივწერეთ. დუმს. საშინელი უკაცურობაა, ბებრები კი წავიდ-წამოვიდნენ.

თითქმის მოვაწყვეთ პიტერში ყოველკვირეული გაზეთი სათათბიროს ფრაქციასთან ერთად (იქაური მენშევიკები, საბედნიეროდ, ლიკვიდატორებისაკენ კი არა, პლეხანოვისაკენ იხრებიან), მაგრამ საქმე ისევ შეფერხდა რაღაც ჯანაბის გამო [309].

მოიწერეთ როგორა ხართ, რასა იქმთ. თქვენი მუშაობა ბარაქიანი თუა? გამოდის თუ არა იმ ჟურნალის საქმე, რომელზეც ზაფხულში ვილაპარაკეთ? «ზნანიეს» [310] საქმე როგორ არის?

უფლება მაქვს გაჯავრებული ვიყო მ. თ — ზე. დამპირდა, მოგწერთო. არაფერი არ მოუწერია. დამპირდა, გაგიგებთ რუსეთის რევოლუციის ისტორიაზე პარიზის ბიბლიოთეკაში რა არისო. არაფერი არ მოუწერია. არ ვარგა.

ხელს გართმევთ. თქვენი ლენინი

---

* — «წინ». რედ.

** — «ახალი დროება». რედ.

*** — «ხალხი». რედ.

ტრიას მოხსენება კი, ალბათ, მაინც დაიბეჭდება. ეს დაადგინა ცენტრალური ორგანოს რედაქციამ. რა კინკლაობაა ამ რედაქციაში, წარმოუდგენელი...

გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

195

ა. მ. გორკის

22. XI. 10.

ძვირფასო ა. მ.! რამდენიმე დღის წინათ მოგწერეთ, გამოგიგზავნეთ «რ ა ბ ო ჩ ი ა გ ა ზ ე ტ ა» და შეგეკითხეთ, რა გამოვიდა იმ ჟურნალიდან, რომელზეც ზაფხულში ვსაუბრობდით და რომლის შესახებაც მოწერას დამპირდით-მეთქი.

დღეს «რ ე ჩ შ ი» წავიკითხე განცხადება «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ი კ ზ ე», რომელიც გამოდის «ამფიტეატროვის უახლოესი და გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი (სწორედ ასეა დაბეჭდილი! უვიცობაა, მაგრამ მით უფრო პრეტენციოზული და დიდმნიშვნელოვანია) მონაწილეობით» და თქვენი მუდმივი თანამშრომლობით.

რა? როგორ? «დიდი ყოველთვიური» ჟურნალი, რომელსაც ექნება «პოლიტიკის, მეცნიერების, ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების» განყოფილებები, — ეს ხომ სულაც, სულაც არ არის ის, რაც კრებულები, რომელთა მისწრაფებაა მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ძალების კონცენტრაცია. ასეთ ჟურნალს ხომ ან სავსებით გარკვეული, სერიოზული, მტკიცე მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა უნდა ჰქონდეს, ან იგი აუცილებლად შეირცხვენს ხოლმე თავს და შეარცხვენს თავის მონაწილეებს. მიმართულება აქვს «ვ ე ს ტ ნ ი კ ე ვ რ ო პ ი ს» — ცუდი, უბადრუკი, უნიჭო, მაგრამ მიმართულება, რომელიც ემსახურება გარკვეულ ელემენტს,

ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებს, რომელიც აგრეთვე აერთებს პროფესორთა, მოხელეთა ინტელიგენციისა და ეგრეთწოდებულ «წესიერ» (უფრო სწორად, რომლებსაც სურთ წესიერი იყვნენ) ლიბერალთა ინტელიგენციის გარკვეულ წრეებს. მიმართულება აქვს «რუსკაია მისლს» — საძაგელი, მაგრამ მიმართულება, რომელიც ძალიან კარგ სამსახურს უწევს კონტრრევოლუციურ ლიბერალურ ბურჟუაზიას. მიმართულება აქვს «რუსკოე ბოგატსტვოს» — ნაროდნიკული, ნაროდნიკულ-კადეტური, მაგრამ მიმართულება, რომელიც ათეული წლებია იცავს თავის ხაზს, მომსახურებას უწევს მოსახლეობის გარკვეულ ფენებს. მიმართულება აქვს აგრეთვე «სოვრემენნი მირს» — ხშირად მენშევიკურ-კადეტური (ახლა პარტიული მენშევიზმისაკენ გადახრით), მაგრამ მიმართულება. ჟურნალი უმიმართულებოდ — უაზრო, შეუსაბამო, სკანდალური და მავნე რამ არის. მაგრამ რა მიმართულება შეიძლება იყოს ამფიტეატროვის «განსაკუთრებული მონაწილეობისას»? გ. ლოპატინს ხომ არ შესწევს უნარი მიმართულება მისცეს, ხოლო თუ სწორია ლაპარაკი (ამბობენ, ეს ლაპარაკი გაზეთებშიც მოხვდაო) კაჩოროვსკის მონაწილეობაზე, — ეს «მიმართულებაა», მაგრამ გონებაჩლუნგი, ესერული მიმართულება.

მე და თქვენ ზაფხულში რომ ვსაუბრობდით და რომ გიამბეთ, თითქმის დაწერილი ძქონდა თქვენდამი წყენის წერილი «აღსარების» შესახებ, მაგრამ არ გამოგიგზავნეთ მახისტებთან მაშინ დაწყებული გათიშვის გამო-მეთქი, თქვენ მიპასუხეთ: «ტყუილად არ გამომიგზავნეთო». შემდეგ თქვენვე მისაყვედურებდით, კაპრის სკოლაში რომ არ წამოვედი, და ამბობდით, საქმეს სხვანაირი მიმართულება რომ მიეღო, მახისტ-ოტზოვისტების ჩამოშორება ნერვების ნაკლებ მოშლად, ძალების ნაკლებ ხარჯვად დამიჯდებოდაო. ეს საუბრები მახსოვს, და ამიტომ ახლა გადავწყვიტე მოგწეროთ გადაუდებლად, არ დაველოდო არავითარ შემოწმებას, მოგწეროთ ახალი ამბის ახალი შთაბეჭდილებით.

ვფიქრობ, რომ პოლიტიკური და ეკონომიური სქელი ჟურნალი ამფიტეატროვის განსაკუთრებული მონაწილეო-

ბით — ბევრად უარესი რამ არის, ვიდრე მახისტ-ოტზოვისტების განსაკუთრებული ფრაქცია. ამ ფრაქციაში ცუდი ის იყო და არის, რომ ი დ ე უ რ ი მიმდინარეობა შორდებოდა და შორდება მარქსიზმს, სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ არ მიდის მარქსიზმთან კავშირის გაწყვეტამდე, არამედ მხოლოდ ურევს.

ამფიტეატროვის ჟურნალი (კარგი გააკეთა მისმა «კრასნოე ზნამიამ», დროზე რომ მოკვდა!) არის პოლიტიკური გამოსვლა, პოლიტიკური წამოწყება, რომელშიც იმის შეგნებაც კი არ არის, რომ პოლიტიკისათვის ცოტაა საერთო «მემარცხენეობა», რომ 1905 წლის შემდეგ პოლიტიკაზე სერიოზული ლაპარაკი მარქსიზმისადმი და სოციალ-დემოკრატიისადმი დამოკიდებულების გაურკვევლად შეუძლებელია, წარმოუდგენელია.

ცუდად გამოდის. ცუდ გუნებაზე ვარ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მ. თ — ს salut et fraternité! *

გაგზავნილია პარიზიდან
ჟუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — ძმური სალამი! რ ე დ.

196

ნ. გ. პოლეტაევს

მივიღე თქვენი ორი წერილი, რომლებმაც ძალიან გამაკვირვა. იმაზე უბრალო, თითქოს, რაღა იქნება, რომ მოგვწეროთ მარტივად და ნათლად, რაშია საქმე? დღემდე ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ძნელი არ არის ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც კვირაში ერთხელ მაინც მოგვწერს გასაგებად, ნათლად, პირდაპირ.

თქვენი ცდა — განაცალკევოთ ლიკვიდატორები ლიკვიდატორობისაგან უაღრესად უხეიროა. ამ განსხვავებას ჩვენ არასოდეს არ ვიწონებდით. მას მხოლოდ სოფისტები აკეთებენ. დაბეჯითებით გთხოვთ ნუ დაუჯერებთ სოფისტებს და ნუ გააკეთებთ ამ განსხვავებას. ყოველივე სხვას შეიძლება შეურიგდე, მაგრამ ლიკვიდატორებთან შერიგება შეუძლებელია, და თუ არ გინდათ ჩაფუშოთ საქმე, ნუ მოუშვებთ მათ.

ერთ აქაურ გამომცემელთან დიდი გაჭირვებით ვიშოვნეთ კიდევ ათასი მანეთი და ხვალ გიგზავნით. თუ ეს გამომცემელი კიდევ მოგმართავთ შეკითხვებით, რჩევებით, პირობებით და სხვ., — სულ ნუ უპასუხებთ ან უპასუხეთ, როგორც ჩვენ ერთხელ გირჩიეთ.

პატარა ჟურნალის შესახებ არავისგან არაფერი არ მიგვიღია.

ასე, ერთხელ კიდევ ვიმეორებთ უდიდეს თხოვნას: ჩვენ გიშოვნეთ, რაც საჭირო იყო, თქვენც ნუ გვიღალატებთ, ნუ მოუშვებთ ლიკვიდატორებს (ლიკვიდატორობა ულიკვიდატორებოდ არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. ნეტავ ასე

ბოროტად ვინ აგიგდოთ მასხარად და დაგარწმუნათ, ლიკვიდატორობასა და ლიკვიდატორებს შორის განსხვავება არსებობსო?) და შემდეგ მიაღწიეთ იმას, რომ ყოველკვირა გვწერონ გასაგებად, ნათლად, პირდაპირ, დაწვრილებით. გარწმუნებთ, ორივე ეს თხოვნა არც სამძიმოა, არც დიდი; უამისოდ არ შეგვიძლია.

თქვენი...

დაწერილია 1910 წ. 7 დეკემბერს
გაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

1911 წ.

197

ა. მ. გორკის

3. I. 11.

ძვირფასო ა. მ.! დიდი ხანია ვაპირებ გიპასუხოთ თქვენს წერილზე, მაგრამ აქაური კინკლაობის* (100 000 ეშმაკს წაუღია იგი!) გამწვავება მიშლიდა ხელს.

საუბარი კი მინდა.

უწინარეს ყოვლისა, რომ არ დამავიწყდეს: ტრია დაუპატიმრებიათ ჟორდანიასთან და რამიშვილთან ერთად. გადმოგვცემენ როგორც მართალ ამბავს. დასანანია კარგი ყმაწვილი. რევოლუციონერია.

«სოვრემენნიკის» შესახებ. დღეს «რეჩში» ვკითხულობდი 1-ლი წიგნაკის შინაარსს და ვილანძღებოდი, ვილანძღებოდი. ვოდოვოზოვი მურომცევზე... კოლოსოვი მიხაილოვსკიზე, ლოპატინი «ჩვენი არ არიან» და სხვ.. მოდი და ლანძღვას ნუ დაიწყებ! თქვენც კიდევ თითქოს მახელებთ: «რეალიზმი, დემოკრატია, აქტიურობაო».

გგონიათ ეს კარგი სიტყვებია? ცუდი სიტყვებია, რომლებსაც იყენებს ყველა ბურჟუაზიული გაიძვერა მსოფლიოში, დაწყებული კადეტებითა და ესერებით ჩვენში და დამთავრებული ბრიანით ან მილიერანით აქ, ლოიდ ჯორჯით ინგლისში და სხვ.. სიტყვებიც ცუდია, გაბერილი, შინაარსიც ესერულ-კადეტური იქნება. არ ვარგა.

---

* არამზადა ტროცკი გოლოსელებსა და ეპერიოდელებს ჩვენ წინააღმდეგ ერთიანებს. ომია!

ტოლსტოის შესახებ სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს, რომ თვალთმაქცები და თაღლითები მის წმიდანად გადაქცევას ეცდებიან. პლეხანოვიც გაუგულისებია სიცრუესა და ტოლსტოის წინაშე ქედის მოხრას, და აქ ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ამისათვის ის «ნაშა ზარიას» ლანძღავს ცენტრალურ ორგანოში (შემდეგი ნომერი). მე «მისლში» [311] (დღეს მოვიდა № 1. მოგვილოცეთ — ჩ ვ ე ნ ი ჟურნალია მოსკოვში, მარქსისტული. რა სიხარული გვქონდა დღეს). «ზვეზდის» (გამოვიდა ს.-პეტერბურგში 16. XII) № 1-შიც არის პლეხანოვის კარგი ფელეტონი უ ხ ა მ ს ი შენიშვნით, რომლისთვისაც უკვე გამოვლანძღეთ **რედაქცია**. ალბათ, იმ რეგვენმა იორდანსკიმ და ბონჩმა შეთხზეს! მაგრამ სად შეუძლია «სოვრემენნიკს» ებრძოლოს «ლეგენდას ტოლსტოისა და მისი რელიგიის შესახებ». ვოდოვოზოვი და ლოპატინი უნდა ებრძოლონ? ეს ხომ ხუმრობაა.

სტუდენტებს რომ ურტყამენ, ეს, ჩემი აზრით, სანუგეშოა, ტოლსტოის კი არ უნდა ეპატიოს არც «პასივიზმი», არც ანარქიზმი, არც ნაროდნიკობა, არც რელიგია.

რაც შეეხება დონკიხოტიზმს ს.-დ. საერთაშორისო პოლიტიკაში, ჩემი აზრით, მართალი არა ხართ. ეს ხომ რევიზიონისტები გაიძახიან დიდი ხანია, კოლონიური პოლიტიკა პროგრესულია, კაპიტალიზმს ნერგავს, ამიტომ «სიხარბესა და გულქვაობაში მის მხილებას» აზრი არა აქვს, რადგან კაპიტალს «ეს თვისებები თუ არა აქვს», იგი თითქოს «უხელოაო».

დონკიხოტიზმი და ოხვრა იქნებოდა, ს.-დ-ები მუშებს რომ ეუბნებოდნენ, კიდევ სადმე შეიძლება იყოს ხსნა, გარდა კაპიტალიზმის განვითარებისა, არა კაპიტალიზმის განვითარების საშუალებითო. მაგრამ ჩვენ ამას როდი ვეუბნებით. ჩვენ ვეუბნებით: კაპიტალი გჭამთ თქვენ, შეჭამს სპარსელებს, შეჭამს ყველას და ეს ჭამა მანამდე გაგრძელდება, სანამ მას არ დაამხობთო. ეს მართალია. და არ ვივიწყებთ დავსძინოთ: კაპიტალიზმზე გამარჯვების ერთადერთი საწინდარი კაპიტალიზმის ზრდა არის.

მარქსისტები არ იცავენ არც ერთ რეაქციულ ლონისძიებას, როგორიც არის ტრესტების აკრძალვა, ვაჭრობის შეზღუდვა და სხვ.. მაგრამ თვითეული თავის საქმეს უნდა აკეთებდეს: ხომიაკოვებმა და კომპანიამ აშენონ რკინიგზები სპარსეთში, გზავნონ ლიახოვები[312], ხოლო მარქსისტების საქმეა მხილება მუშების წინაშე. გჭამთ და შეგჭამთ, გახრჩობთ და დაგახრჩობთ, წინააღმდეგობა გაუწიეთო.

კოლონიური პოლიტიკისა და საერთაშორისო ძარცვისადმი წინააღმდეგობა პროლეტარიატის დარაზმვის გზით, პროლეტარული ბრძოლისათვის თავისუფლების დაცვის გზით კი არ აფერხებს კაპიტალიზმის განვითარებას, არამედ აჩქარებს მას, საჭიროს ხდის კაპიტალიზმის უფრო კულტურული, ტექნიკურად უფრო მაღალი ხერხების გამოყენებას. კაპიტალიზმიც არის და კაპიტალიზმიც. არის შავრაზმულ-ოქტიაბრისტული კაპიტალიზმი და ნაროდნიკული («რეალისტური, დემოკრატიული, აქტიურობით» აღსავსე) კაპიტალიზმი. მუშების წინაშე რაც უფრო მეტად ვამხილებთ კაპიტალიზმს «სიხარბისა და გულქვაობისათვის», მით უფრო გაუძნელდება არსებობა პირველი ხარისხის კაპიტალიზმს, მით უფრო აუცილებელი იქნება მისი გადასვლა მეორე ხარისხის კაპიტალიზმში. ეს კი ჩვენთვის არის ხელსაყრელი, ეს პროლეტარიატისათვის არის ხელსაყრელი.

გგონიათ, წინააღმდეგობაში ჩავვარდი? წერილის დასაწყისში სიტყვები «რეალიზმი, დემოკრატია, აქტიურობა» ცუდად მიმაჩნდა, ახლა კი კარგად მიმაჩნია? აქ არ არის წინააღმდეგობა: პროლეტარისათვის ცუდია, ბურჟუასათვის კარგი.

გერმანელებს აქვთ ოპორტუნისტების სანიმუშო ჟურნალი «სოციალისტური ყოველთვიური» («Sozialistiche Monatshefte»). იქ უკვე დიდი ხანია შიპელისა და ბერნშტეინისთანა ბატონები თავს ესხმიან რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საერთაშორისო პოლიტიკას იმაზე ყვირილით, რომ

მათი პოლიტიკა «გულმოწყალე» ადამიანთა «ლამენტაციებ-ში» გადადისო. ეს, ძამიავ, ოპორტუნისტი თაღლითების ფან-დია. სთხოვეთ გიშოვნონ ნეაპოლში ეს ჟურნალი და გითარგ-მნონ მათი სტატიები, თუ საერთაშორისო პოლიტიკა გაინ-ტერესებთ. ალბათ, იტალიაშიც გყავთ ასეთი ოპორტუნის-ტები, — მხოლოდ მარქსისტები არ არიან იტალიაში, აი რით არის იგი საზიზღარი.

საერთაშორისო პროლეტარიატი კაპიტალს ორგვარად ავიწროებს: იმით, რომ ოქტიაბრისტულიდან დემოკრატიუ-ლად აქცევს მას, და იმით, რომ, იშორებს რა თ ა ვ ი დ ა ნ ოქტიაბრისტულ კაპიტალს, გ ა დ ა ა ქ ვ ს იგი ველურებთან. ეს კი აფართოებს კაპიტალის ბაზას და აახლოებს მის სიკვდილს. დასავლეთ ევროპაში თითქმის აღარ არის ოქტიაბრის-ტული კაპიტალი; თითქმის მთელი კაპიტალი დემოკრა-ტიულია. ოქტიაბრისტული კაპიტალი ინგლისიდან, საფრან-გეთიდან რუსეთში და აზიაში გადავიდა. რუსეთის რევოლუ-ცია და რევოლუციები აზიაში = ბრძოლა ოქტიაბრისტული კაპიტალის განდევნისა და დემოკრატიული კაპიტალით მისი შეცვლისათვის. ხოლო დემოკრატიული კაპიტალი = ნაბოლა-რა. მეტი გასაქანი აღარა აქვს. შემდეგ მისი აღსასრულია.

როგორ მოგეწონათ «ზ ვ ე ზ დ ა» და «მ ი ს ლ ი»? პირ-ველი, ჩემი აზრით, უფერულია. მეორე კი მ თ ლ ა დ ჩვენია და უზომოდ მახარებს. მხოლოდ მალე დახურავენ.

ვერ მომიწყობთ აგრარული საკითხის შესახებ წიგნის გა-მოცემას ზ ნ ა ნ ი ე შ ი? მოელაპარაკეთ პიატნიცკის. ვერ ვშოულობ გამომცემელს და ეს არის. ხსნას ვერ ვხედავ [313].

ვკითხულობ თქვენს მინაწერს: «ხელები მიკანკალებს და მეყინებაო» და აღშფოთებული ვარ. რა საძაგელი სახლებია კაპრიზე! ეს ხომ უმსგავსობაა! აქაც კი ორთქლით გათბობა გვაქვს, სავსებით თბილა, თქვენ კი «ხელები გეყინებათ». უნდა აჯანყდეთ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ბოლონიიდან მიწვევა მივიღე — სკოლაში ჩამოდითო (20 მუშაა). უარი შევუთვალე[314]. ვპერიოდელებთან არ მინდა ვიქონიო საქმე. მუშებს ისევ აქეთ ვეწვევით.

გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

198

ა. რიკოვს

შაბათი 25. II. 11.

ახლა მივიღე თქვენი წერილი და ვიჩქარი დაუყოვნებლივ გიპასუხოთ, აღარ ვუცდი გრიგოლს, რომელმაც დღეს გამოგიგზავნათ სამოვაროვის წერილი.

ლიუბიჩს ნადია სწერს დღეს. საშინლად საწყენია, რომ გვიან მოგაგონდათ. ახლა უკვე უნდა მივწეროთ მას არა წამოსასვლელად მზადებაზე, არამედ დაუყოვნებლივ წამოსვლაზე. კიდევ მისწერეთ მას და უაღრესად დაბეჯითებით მოსთხოვეთ დაუყოვნებლივ წამოვიდეს, თორემ მტერს ეყოლება 4 (ბუნდელი + ლატვიელი + 2 მენშევიკი) და არც ჩვენ გვეყოლება იმაზე მეტი (3, რომელთაგან 1 ? ქვეშ არის, + 1 პოლონელი).

დეკლარაციის შესახებ თქვენმა წერილმა ძალიან მატკინა გული, რადგან იქიდან ვხედავ, კიდევ როგორ არასაკმარისად შევთანხმებულვართ და ამიტომ «არამტკიცეა» ჩვენი ხელშეკრულება (რაც მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ მ წ ყ ი ნ ს).

თქვენ მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებში არის ისეთები, რომელთა საწინააღმდეგო არ შეიძლება რამე გვქონდეს. ესენია — საზღვარგარეთის საკითხის გამოყოფა განსაკუთრებულ რეზოლუციად; დეკლარაციაში ჩამატება განსაკუთრებული §-ისა სათათბიროს მნიშვნელობის შესახებ და იმის შესახებ, რომ ისინი, ვინც ხელს არ უწყობს IV სათათბიროს არჩევნებს, მოღალატეები არიან; — გ ა მ ო ყ ო ფ ა საკითხისა უჯრედების განახლების შესახებ (თუმცა ჩემთვის

გაუგებარია, რა საჭიროა მისი გამოყოფა და სად უნდა გამოიყოს? ხომ უნდა ითქვას მის შესახებ? აბა სად?).

მაგრამ უფრო მეტს გვთავაზობთ მიუღებელ და მავნე ცვლილებებს.

(«მიჩნეულ იქნეს, რომ კონფერენციის მოწვევა გადაუდებელია»?? რა საჭიროა ცბიერება? თქვენ თვითონ არა გჯერათ იგი! თვალთმაქცობისა და თვითმოტყუების გამრავლება — ამჟამად ამაზე მავნე არაფერია!)

«გამოითქვას კმაყოფილება, რომ ოტზოვიზმ-ულტიმატიზმი არსებითად გაქრნენ პოლიტიკური ჰორიზონტიდან»...

ეს მართალი არ არის. მე ვნახე ვპერიოდელი მუშები, და ევგენიც კი თავისი სიტყვებით უარყოფს ამ სიცრუეს.

«მივესალმოთ «ვპერიოდის» ჯგუფის გადაწყვეტილებას არჩევნებში მონაწილეობის შესახებ»...

ასეთი გადაწყვეტილება დღემდე **არ არის**. ხოლო თუ ხვალ იქნა, გამთიშველებისადმი «მისალმება» მათ მიერ მოვალეობის შესრულების გამო და ექსისტურ ფულზე დუმილი სკანდალია.

თქვენ წერთ: «მე არ ვიცი «ვპერიოდის» ოტზოვისტური ან ულტიმატისტური განცხადებანი პლენუმის შემდეგ»...

ტყუილად არ იცით. იხილე: 1) «ვპერიოდის» ჯგუფის ფურცელი პლენუმის შემდეგ: ცენტრების ლანძღვა თავიდან ბოლომდე — არც ერთი სიტყვა ოტზოვისტურ-ულტიმატისტური პლატფორმის უარყოფის შესახებ. — 2) კრებული № 1 — იგივე. არც ერთი სახელმძღვანელო სტატია სათათბიროზე და სათათბიროში მუშაობის შესახებ. — 3) ლუნაჩარსკი «Le Peuple»-ში* (ციტირებულია ცენტრალურ ორგანოში — ლუნაჩარსკი ოფიციალურად დელეგირებული იყო «ვპერიოდის» **ჯგუფის** მიერ კოპენჰაგენის კონგრესზე). — 4) ფურცელი ვპერიოდელთა ენენვის ჯგუფისა (ნაწილობრივ ციტირებულია «გოლოს ს.-დ».-ში), რომელიც სოლიდარობას უცხადებს ლუნაჩარსკის.

---

* — «ხალხი». რედ.

«ვპერიოდი» ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი იყო პლენუმის შემდეგ გამოეშვა ა ხ ა ლ ი პლატფორმა, ვინაიდან ძ ვ ე ლ ი (გამოვიდა 27. XII. 09, ე. ი. plenum-ის* წ ი ნ ა დ ღ ე ს) ო ტ ზ ო ვ ი ს ტ უ რ-უ ლ ტ ი მ ა ტ ი ს ტ უ რ ი პლატფორმაა. «ვპერიოდს» ეს **არ** გაუკეთებია!

თქვენი ძირითადი შეცდომა ის არის, რომ გჯერათ ს ი ტ ყ ვ ე ბ ი და თვალს ხუჭავთ ს ა ქ მ ე ე ბ ზ ე. დომოვისა თუ ალექსინსკის ან კიდევ არ ვიცი ვისმა მსგავსმა სხვადასხვა ადამიანებმა «კეთილი სიტყვები» გითხრეს და თქვენც გჯერათ და წერთ: «ვ პ ე რ ი ო დ ი» «დაშლის პირზეა ან ჩვენი შესაძლო მოკავშირეა», იგი «თავისუფლდება ოტზოვისტურ-ულტიმატისტური პლატფორმისაგან».

ეს მ ა რ თ ა ლ ი ა რ ა რ ი ს. ეს ცრუ სიტყვებია თაღლითებისა, რომლებიც მზად არიან ყოველგვარი პირობა დადონ, ოღონდ მ ი ჩ ქ მ ა ლ ო ნ ის, რაც არის, მათი განსაკუთრებული სკოლა, ექსებისაგან მიღებული მათი 85 000 მან.

თუ დომოვი შორდება «ვპერიოდს», დომოვი ხომ გიმნაზიის მასწავლებელია, ობივატელია, დიაცია და არა პოლიტიკოსი. თუ ალექსინსკი «ეჩხუბებოდა» ბოგდანოვს და კომპანიას, ახლა, ბოლონიიდან დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს შემდეგ, იგი კვლავ სავსებით შეურიგდა და გუშინ წაიკითხა რეფერატი «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» ჯგუფის ს ა ხ ე ლ ი თ!!

თქვენ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს ემყარებით და ს ა ქ მ ი თ უძლურად ტოვებთ თ ა ვ ს — ეს ნიშნავს გაიმეოროთ პლენუმის ს ა ბ ე დ ი ს წ ე რ ო შეცდომა, რომელმაც პარტია minimum ე რ თ ი წ ლ ი თ დააუძლურა. თუ თქვენ ახლა, პლენუმის იდიოტური შემარიგებლური შეცდომების ერთი წლის შემდეგ, გ ა ი მ ე ო რ ე ბ თ მათ, — თქვენ საბოლოოდ დადუპავთ მთელ «გაერთიანებას». ამას სრული რწმენით გეუბნებით, რადგან გამოცდილებით ვიცი დაწვრილებით. დაე სამოვაროვმა იყვიროს, რომ მე ვფუშავდი «გაერთიანებას» (ეს ტროცკისა და იონოვის სიტყვებია!!). სამოვაროვს ს ჭ ი რ დ ე ბ ა იყვიროს ეს სისულელე (რომლის თქმას იგი

* — პლენუმის. რ ე დ.

ვერ ბედავს პრესაში და რომელიც მე საჯაროდ გავარჩიე და უარვყავი «დისკუსსიონნი ლისტოკის» № 2-ში [315]), ვინაიდან მას რცხვენია აღიაროს, რომ შემარიგებლებმა შეცდომა დაუშვეს პლენუმზე. მათი შეცდომა ის იყო, რომ მათ თითქმის დაღუპეს პარტიელ მენშევიკებთან გაერთიანების საქმე, რადგან დაუჯერეს ანტიპარტიელი გოლოსელების სიტყვებს და შესაძლებლობა მისცეს მათ **საქმით** განმტკიცებულიყვნენ.

ფრთხილად იყავით, ნუ გაიმეორებთ ამ შეცდომას!

ვპერიოდელები მეტად ძლიერი არიან. მათ აქვთ სკოლა = კონფერენცია = აგენტურა. ჩვენ (და ცენტრალურ კომიტეტს) იგი არა გვაქვს. მათ აქვთ ფული — 80 000 მანეთამდე. მერე რა, თქვენ მოგცემენ?? ნუთუ ასე გულუბრყვილო ხართ?

ხოლო თუ არა, როგორ შეგიძლიათ «მოკავშირეებად» მიგაჩნდეთ ფრაქციონერები, რომლებსაც თქვენ წინააღმდეგ ფრაქციული ფონდი აქვთ!?

იმაზე გულუბრყვილო არაფერია, ვიდრე ამის დაწერა: «არ მინდა «ვპერიოდის» ნამსხვრევებს გავუძნელო დაახლოების შესაძლებლობა».

ისინი დაუახლოვდნენ ლიკვიდატორებს, მათ თქვენ წინააღმდეგ მოაწყვეს სკოლა, ისინი თვალთმაქცობენ, როცა ამბობენ: ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ჩვენ ოტზოვისტები არა ვართო, თქვენ კი უჯერებთ სიტყვებს და აარ ებრძვით საქმეებს. ეს ხომ ყოვლად შეუწყნარებელია!

«მე არ მინდა (წერთ თქვენ), რომ საზღვარგარეთული, საერთოპარტიული (არა ფრაქციული) ორგანიზაციიდან გაირიცხონ ვპერიოდელები».

ორში ერთი: ან თქვენ ხელს აფარებთ განსაკუთრებულ ფრაქციას და უტოვებთ მას თავის ფულს. მაშინ ჩვენ ვაქვეყნებთ ჩვენს განცხადებას ცენტრალური კომიტეტისადმი (საგამომძიებლო კომისიის მოთხოვნის შესახებ) და ვამბობთ: დაე ვპერიოდელები დაეხმარონ ასეთ ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენ არ დავეხმარებით.

ან თქვენ გმობთ ვპერიოდელთა ფრაქციულობას, მაგრამ მაშინ თანმიმდევრული უნდა იყოთ. მარტო სიტყვით როცა გმობთ, **სასაცილოდ** იხდით თავს.

მაშინ უნდა თქვათ: სანამ ვპერიოდელები (1) ახალ პლატფორმას არ გამოუშვებენ, (2) პარტიულ განცხადებებს არ გააკეთებენ, (3) თავიანთ **ფრაქციულ** სკოლას არ დაშლიან, (4) თავიანთ **ფრაქციულ** ფულს არ მისცემენ პარტიას, — მანამდე **ისინი** = ანტიპარტიული ფრაქციაა.

თუ ამას არ იტყვით, თქვენ კარგავთ ჩვენს თანამშრომლობას და არ იძენთ ვპერიოდისას. განა ეს პოლიტიკაა?

ხოლო რაც შეეხება ნამსხვრევებს (**მომავალ** ნამსხვრევებს!!), ნუ წუხართ. ძლიერნი თუ ვიქნებით — ყველა ჩვენთან მოვა. თუ სუსტნი ვიქნებით, სიტყვებს დავუჯერებთ, — ყველა მასხარად აგვიგდებს, მეტი არაფერი. ფორმის გამონახვა ხომ ძნელი არ არის: მაგალ., დაგმოთ «ვპერიოდის» ფრაქცია და თქვათ, რომ ვპერიოდელ მუშათა ნაწილი მხარს უჭერს არჩევნებს, ლეგალურ შესაძლებლობებს, პარტიულობას, რომ ასეთ მუშებს, ასეთ ვპერიოდელებს თქვენ ეძახით **ფრაქციიდან პარტიისაკენ** და სხვ. და ა. შ.

რეზოლუციაში საზღვარგარეთის შემჭიდროების შესახებ ზუსტად და მკაფიოდ უნდა ითქვას, ვის შეაქვს დეზორგანიზაცია; დასახელებულ უნდა იქნენ **გოლოსელები** და **ვპერიოდელები** და განმარტებულ უნდა იქნეს, რაში მდგომარეობს მათი «დეზორგანიზატორობა და ანტიპარტიულობა»: არა იდეებში (ამაზე იდავეთ და წერეთ «დისკუსსიონნი ლისტოკშიო» და სხვ.), არამედ განსაკუთრებულ სკოლაში, განსაკუთრებულ სასკოლო ფონდში, განსაკუთრებულ ორგანოში («გოლოსში»), ფულის განსაკუთრებულ შეგროვებაში «გოლოსისათვის», განსაკუთრებულ ფრაქციულ ჯგუფებში (რომლებსაც მიწერ-მოწერა აქვთ რუსეთთან ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ).

თუ ზუსტად და ვარკვევით არ იქნებიან დასახელებული გოლოსელები და ვპერიოდელები, მაშინ მთელი რეზოლუცია = 0. მაშინ თქვენ გვაიძულებთ გამოვიდეთ გაერთიანების ამ თამაშის წინააღმდეგ.

თუ ისინი ზუსტად იქნებიან დასახელებული და გარკვევით იქნება ნათქვამი, რაში მდგომარეობს ფრაქციულობა, თქვენ ერთბაშად და უთუოდ მოიპოვებთ **უმრავლესობას** საზღვარგარეთ (ბოლშევიკები + პლეხანოველები + პარტიული მუშები + მრავალი ჯგუფი «პროვინციაში» და ამერიკაში, სადაც არ არიან გოლოსელობის **ბელადები).**

თუ ცენტრალური კომიტეტის «ბრძოლა» ფრაქციებთან ის იქნება, რომ იგი ლოლიაობას დაუწყებს «გოლოსისა» და «ვპერიოდის» ანტიპარტიულ ფრაქციებს, შეაფერხებს ჩვენს მუშაობას (პარტიული მიმართულებით) მრავალსართულიანი ფორმალობებით (პოლონელი, კომისია, საქმის არ მცოდნე ადამიანთა კოლეგია, ვპერიოდელთა «მიწვევა», კინკლაობა ალექსინსკისთან და სხვ. და ა. შ.), ჩვენ ამის თანახმა არა ვართ.

ეს არის ახლა მივიღეთ წერილი სპბ-დან. სამოვაროვმა სათათბიროს ს.-დ. ფრაქციას წინადადება მისცა გამოუშვას საარჩევნო პლატფორმა!!!

ეს — მენშევიკთა უმრავლესობას!! (ჩვენ კი არც ერთი სიტყვა). თუ სამოვაროვს სურს ასე წაიყვანოს საქმე, გპირდებით დავიწყო სერია ფურცლებისა პირდაპირ სამოვაროვის წინააღმდეგ.

თუ ჩვენში შეთანხმება შესაძლებელია, მაშინ ბოლშევიკები **მიმდინარეობად** უნდა დაირაზმონ და ერთსულოვნად (შეთანხმების საფუძველზე) მუშაობდნენ, და არა ხრიკებს აწყობდნენ და მენშევიკებთან გადადიოდნენ.

მოგვწერეთ თქვენი აზრი. რაც შეიძლება მალე.

გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

P. S. ნიკიტიჩი ხომ არ გინახავთ? ჯერ ხომ არ აუხვევია თქვენთვის თვალი «ვ პ ე რ ი ო დ ი ს» მშვიდობისმოყვარეობის შესახებ?? იგი დაპირებებისა და თვალისახვევის ოსტატია.

დაწერილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

199

ა. მ. გორკის

27. V. 11.

ძვირფასო ა. მ.!

ამ დღეებში მივიღე პოლეტაევის წერილი. იგი, სხვათა შორის, მწერს: «მივიღეთ წერილი გორკისაგან. იგი ნ. ი — ს სთავაზობს წამოვიდეს საზღვარგარეთ რომელიმე ორგანოს გარშემო გაერთიანების გეგმის შესამუშავებლად, დასძენს, რომ ამის შესახებ საუბარი ჰქონდა თქვენთან და მენშევიკ მ — თან» (ვფიქრობ, მარტოვთან).

პოლეტაევი დასძენს, საეჭვოა, რომ ნ. ი. ვარგოდეს ამ გეგმისათვის, და თუ წამოსვლაზე მიდგა საქმე, კიდევ ვინმე უნდა წამოვიდესო. არა მგონია პოკროვსკი დათანხმდეს წამოსვლასო.

პოლეტაევის წერილში ეს რომ წავიკითხე, შემეშინდა — ღმერთმანი შემეშინდა.

ჩვენი გაერთიანება მარტოვისთანა მენშევიკებთან ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ უიმედოა, როგორც აქ კიდევაც გითხარით. «ყრილობას» ასეთი უიმედო გეგმისათვის თუ მოვაწყობთ,— მხოლოდ სამარცხვინო საქმე გამოვა (პირადად მე მარტოვთან სათათბიროდაც არ წავალ).

როგორც პოლეტაევის წერილიდან ჩანს, ნავარაუდევია სათათბიროს ფრაქციის მონაწილეობა; განა ეს საჭიროა? თუ ლაპარაკია ჟურნალზე, — მაშინ სათათბიროს ფრაქცია არაფერ შუაშია. თუ გაზეთზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ «ზ ვ ე ზ დ ა ს თ ა ნ» ჩვენ **საკმაოდ** გვქონდა და

გვაქვს უთანხმოება: მათ ხაზი არა აქვთ, ეშინიათ ჩვენთან ერთად სიარულისა, ეშინიათ ლიკვიდატორებთან ერთად სიარულისა, იშმუშნებიან, იბერებიან, მეოყეობენ.

ამასთან, თუ დავსახავთ პლეხანოველების + ჩვენს + სათათბიროს ფრაქციის გაერთიანებას, ამით შეიძლება უმეტესობა მიეცეს პლეხანოვს, რადგან სათათბიროს ფრაქციაში მენშევიკები ჭარბობენ. განა სასურველი და გონივრულია, რომ პლეხანოვს მიეცეს უმეტესობა?

ძალიან ვშიშობ, რომ იორდანსკი გამოუსადეგარია ასეთი გეგმებისათვის (ვინაიდან მას «**თავისი**» ჟურნალი აქვს და იგი დაიწყებს ან დამუხრუჭებას, ან «თავის» ჟურნალში გადაბირებას, დატოვებს მას თავისად = ნახევრადლიბერალურად).

გულის გატეხა და უიმედო კინკლაობა თავიდან რომ ავიცილოთ, ჩემი აზრით, დიდი სიფრთხილე გვმართებს «გაერთიანების» მიმართ. ღმერთმანი, ახლა გაერთიანება კი არა, გამიჯვნაა საჭირო! თუ გამოჩნდება გამომცემელი ჟურნალისა ან გაზეთისათვის, თქვენ ერთპიროვნულად უნდა დაუდოთ მას ხელშეკრულება (ან უხელშეკრულებოდ გამოართვათ ხოლმე ფული, თუ შეიძლება), «ყრილობის» მოწყობისას კი დომხალი გამოვა. გარწმუნებთ, დომხალი გამოვა.

გწერთ, რადგან ყველაზე ნაკლებად მინდა დომხალისათვის დაგაკარგვინოთ თქვენ დრო, ნერვები და სხვ.. თვითონ მე 1908 — 1911 წლების მწარე გამოცდილებით **ვიცი**, რომ ახლა «გაერთიანება» შეუძლებელია. მაგალითად, ჩვენთან «მისლში» პლეხანოვს არაერთხელ უჭირვეულნია — მაგალ., უკმაყოფილოა ჩემი სტატიით გაფიცვებზე და პოტრესოვზე [316], ამბობს, «მე» მლანძღავდიო! მოგვარებით მოვაგვარეთ და ჯერჯერობით პლეხანოვთან მუშაობა შეიძლება და საჭიროც არის, მაგრამ ფორმალური გაერთიანებები და ყრილობები ნაადრევია და შეიძლება ყველაფერი გააფუჭონ.

ყრილობის საქმეში ნუ ჩქარობთ!

ჩვენთან დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ არის სტოლიპინის ცირკულარი ყველა ს.-დ. ორგანოს დახურვის

შესახებ. ეს სიმართლეს წააგავს. IV სათათბიროს წინ სიმ-კაცრეს, ალბათ, კიდევ გააათკეცებენ.

ლეგალური შესაძლებლობანი ახლო მომავალში, როგორც ჩანს, შემცირდება. უნდა დავაწვეთ არალეგალურ მუშაობას.

მ. თ. მწერდა თქვენზე, «ზნანიედან» სულ წავიდაო. მაშასადამე, პიატნიცკისთან კავშირი სავსებით გაგიწყვეტიათ და ჩემს წინა წერილს დაუგვიანია?

ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ბაქოშიც «სოვრემენნაია ჟიზნი» დაუპატიმრებიათ და ჩაუხრჩვიათ!

გაგზავნილია პარიზიდან
კუნძულ კაპრიზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

200

ა. ნემეცს[317]

პარიზი, 1 ნოემბერი 1911.

პატივცემულო ამხანაგო!

ძლიერ დამავალებთ, თუ შეძლებთ დამეხმაროთ რჩევითა და საქმით შემდეგ გარემოებაში. ჩვენი პარტიის მთელ რიგ ორგანიზაციებს განზრახული აქვთ მოიწვიონ კონფერენცია (რა თქმა უნდა — საზღვარგარეთ)[318]. კონფერენციის წევრთა რაოდენობა დაახლოებით 20 — 25-ია. შესაძლებელი ხომ არ იქნება ეს კონფერენცია პრაღაში მოეწყოს (იგი ერთ კვირამდე გასტანს)?

ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საქმის უ ა ღ რ ე-ს ა დ კ ო ნ ს პ ი რ ა ც ი უ ლ ა დ მოწყობის შესაძლებლობა. არავინ, არავითარმა ორგანიზაციამ არ უნდა იცოდეს ეს. (კონფერენცია ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ა, მაშასადამე ევროპული კანონების მიხედვით ლეგალურია, მაგრამ დელეგატთა უმრავლესობას პ ა ს პ ო რ ტ ე ბ ი არ ა ქ ვ ს და არ შეუძლია თავისი ნამდვილი სახელი თქვას.)

ძალიან გთხოვთ, პატივცემულო ამხანაგო, თუ კი ეს შესაძლებელია, დაგვეხმაროთ და მაცნობოთ, შეძლებისამებრ მალე, იმ ამხანაგის მისამართი პრაღაში, რომელსაც (დადებითი პასუხის შემთხვევაში) შეუძლია პრაქტიკულად განახორციელოს ეს საქმე. ყველაზე კარგი იქნება, რომ ამ ამხანაგს ესმოდეს რუსული, — ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ჩვენ მას შევუთანხმდებით გერმანულადაც.

პატივცემულო ამხანაგო, იმედი მაქვს მომიტევებთ, რომ ამ თხოვნით გაწუხებთ. წინასწარ მოგახსენებთ მადლობას.

პარტიული სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართი:

Vl. Oulianoff.

4. Rue Marie Rose. 4.

Paris XIV.

გავზავნილია პრაღაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

თარგმანი გერმანულიდან

შენიშვნები

1 ეს შენიშვნა ლენინს გაკეთებული აქვს იმიტომ, რომ წერილში ქალაქთა სახელები კონსპირაციის მიზნით დაშიფრული ჰქონდა. — 1.

2 ლაპარაკია საზღვარგარეთ არაპერიოდული კრებულის — «რაბოტნიკის» გამოცემის მომზადებაზე. «რაბოტნიკის» გამოცემის ინიციატორი ლენინი იყო. 1895 წლის მაისში, საზღვარგარეთ, შვეიცარიაში ყოფნისას ლენინი შეუთანხმდა გ. ვ. პლეხანოვს, პ. ბ. აქსელროდს და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის სხვა წევრებს კრებულის გამოცემაზე. როდესაც 1895 წლის სექტემბერში რუსეთში დაბრუნდა, ლენინმა დიდი მუშაობა გააჩაღა იმისათვის, რომ უზრუნველეყო კრებული სტატიებითა და კორესპონდენციებით რუსეთიდან, აგრეთვე მოეწყო მატერიალური დახმარება ამ გამოცემისათვის. ვილნოში, მოსკოვსა და ორეხოვო-ზუევოში მოგზაურობის დროს ლენინი ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს შეუთანხმდა კრებულის გამოცემისათვის ხელის შეწყობის შესახებ. — 1.

3 სიტყვა «პალ.» გაშიფრული არ არის. — 1.

4 ლაპარაკია სოციალ-დემოკრატების დაპატიმრებებზე მოსკოვში და მოსკოვის გუბერნიაში. — 1.

5 იგულისხმება ანგარიში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრესლავლის 1895 წლის ყრილობის შესახებ. ის კორესპონდენცია საზღვარგარეთიდან, რომელზეც ლაპარაკია აქ, გამოგზავნილი იყო წიგნის ყდაში ჩაწებებული. — 4.

6 ლაპარაკია გაზეთ «რაბოჩეე დელოზე», რომელსაც ამზადებდა პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი». — 5.

7 ლენინი გულისხმობს თავის ბროშურას «განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს

ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ». ბროშურა დაწერილია 1895 წლის შემოდგომაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 19—74). — 6.

8 ვ. ი. ლენინი გადასახლებიდან თავის წერილებს აქსელროდს მეტ წილად წიგნების ყუაში ჩაწებებულს უგზავნიდა. ორ-სამ ხელს რომ გაივლიდა, ეს წერილები საზღვარგარეთ მიდიოდა ა. ი. ელიზაროვასთან, რომელიც იმ დროს ბერლინში ცხოვრობდა, ის კი აქსელროდს უგზავნიდა. ეს წერილი გადაწერილია ანა ილიას ასულის ხელით და მოთავსებულია აქსელროდისადმი მისი საკუთარი წერილის ტექსტის შუაგულში. — 6.

9 ალბათ იგულისხმება ა. ი. ელიზაროვა. — 6.

10 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი მუშაობა სტატიებზე სამეცნიერო-ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალის — «ნოვოე სლოვოსათვის» და წიგნზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». — 6.

11 ლაპარაკია გერმანულ ჟურნალზე «Archiv für soziale Gesetzgebung und Statistik» («სოციალური კანონმდებლობისა და სტატისტიკის არქივი»). ამ შემთხვევაში ლენინს მხედველობაში აქვს ამ ჟურნალის მე-12 ტომი, რომელიც 1898 წელს გამოვიდა. — 8.

12 «მოწაფეები» — მარქსისა და ენგელსის მიმდევრები. ამ გამოთქმას ხმარობდნენ XIX საუკუნის 90-იან წლებში რუს მარქსისტთა ლეგალურად აღნიშვნისათვის. — 8.

13 წიგნის «Beiträge zur Geschichte des Materialismus» («მატერიალიზმის ისტორიის ნარკვევები») ავტორი გ. ვ. პლეხანოვი იყო. — 9.

14 ლაპარაკია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალ «Die Neue Zeit»-ზე («ახალი დროება»). — 9.

15 იგულისხმება ყოველთვიური ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი «ნაჩალო». ლენინმა ამ ჟურნალში მოათავსა მთელი რიგი თავისი რეცენზიები (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 68—77; 103—115) და წიგნის «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» III თავის პირველი ექვსი პარაგრაფი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 3, გვ. 204—242). — 11.

16 ლაპარაკია ლენინის სტატიაზე «რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 609—668). — 12.

17 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 627. — 12.

18 «Soziale Praxis» («სოციალური პრაქტიკა») — გერმანული ყოველკვირეული; გამოდიოდა 1895 წლიდან. — 15.

19 ლაპარაკია ჟურნალ «ნაჩალოზე». — 17.

20 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 117—187. — 19.

21 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 55—67. — 19.

22 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 78—102. — 20.

23 იგულისხმება ა. ი. ელიზაროვა. — 20.

24 ლაპარაკია ლენინის ნაწარმოებთა კრებულზე «ეკონომიური ეტიუდები და სტატიები», რომელიც 1898 წლის ოქტომბერში გამოვიდა (კრებულის გარეკანსა და სატიტულო ფურცელზე ნაჩვენებია 1899 წელი) და რომელშიც შესულია ლენინის ხუთი ნაწარმოები (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 2, გვ. 143—323, 435—566, 567—607, 609—668; ტომი 4, გვ. 1—42). — 20.

25 ლაპარაკია გათიშვაზე, რომელიც მოხდა «რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირის» I ყრილობაზე 1898 წლის ნოემბერში ციურიხში (შვეიცარია). გათიშვის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ კავშირის წევრთა უმრავლესობა (ეგრეთწოდებული «ახალგაზრდები») «ეკონომიზმს» მიემხრო. ამასთან დაკავშირებით «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა უარი განაცხადა კავშირის გამოცემათა რედაქტირებაზე. საბოლოო გათიშვა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის გასვლა კავშირიდან მოხდა 1900 წლის აპრილში კავშირის მეორე ყრილობაზე, როცა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი და მისი თანამოაზრენი ყრილობიდან წავიდნენ და შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატი». — 22.

26 ლაპარაკია ლენინის წიგნზე «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 3). — 22.

27 ლენინს მხედველობაში აქვს კრებული «მასალები ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის» კრებულში მოთავსებული იყო ლენინის სტატია (ვ. ტულინის ფსევდონიმით) «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში (მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)», რომელიც მიმართულია «ლეგალური მარქსიზმის» წინააღმდეგ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 1, გვ. 397—616) — 23

28 ლაპარაკია ჟურნალ «Die Neue Zeit»-ზე («ახალი დროება»). — 26

29 იგულისხმება ლენინის წიგნი «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». — 25.

30 ლენინს მხედველობაში აქვს სტატია «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში (კაუტსკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 117—187). სტატია დაიბეჭდა 1900 წლის იანვარ—თებერვალში ჟურნალ «ეიზნში», ვლ. ილინის ხელმოწერით. — 26.

31 იგულისხმება ნ. კ. კრუპსკაია. — 27.

32 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 78—102. — 28.

33 «მესამენაირი ლიტერატურა» — არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა. — 30.

34 ადრესატი გამორკვეული არ არის. — 32.

35 24 აგვისტოს (6 სექტემბერს) ლენინი ნიურენბერგიდან წავიდა მიუნხენში, რომელიც არჩეული იყო საერთო-რუსული არალეგალური მარქსისტული გაზეთის — «ისკრის» ადგილსამყოფელად. — 32.

36 ლაპარაკია «რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთულ კავშირზე». — 32.

37 იგულისხმება «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი. — 32.

38 იგულისხმება «ხმები» გაზეთ «ისკრის» გამოცემის მომზადების შესახებ. — 33.

39 ლაპარაკია გაზეთ «ისკრაზე». — 34.

40 Anti-Credo — «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი», რომელიც ლენინმა დაწერა გადასახლებაში 1899 წელს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 197 — 215). «პროტესტი» ლენინმა საზღვარგარეთ გადაუგზავნა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს. 1900 წლის დამდეგს «პროტესტი» გადაიბეჭდა გ. ვ. პლეხანოვის კრებულში «Vademecum (გზის მაჩვენებელი. რ ე დ.) «რაბოჩეე დელოს» რედაქციისათვის» — 35.

41 ლაპარაკია ლენინის პასუხზე პლეხანოვისადმი, რომელმაც ლენინს მიმართა რჩევისათვის «ეკონომისტების» იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ ეთანამშრომლნა მათს გაზეთ «რაბოჩაია მისლში». — 43.

42 იგულისხმება ა. ნ. პოტრესოვი (იგივე «მეგობარი»). — 43.

43 ლაპარაკია დობროჯანუ-გერეაზე (ცაცი). — 50.

44 Dietz (დიტცი) — სტამბის პატრონი შტუტგარტში; ამ სტამბაში იბეჭდებოდა მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი «ზარია».

G. m. b. H. — «Gesellschaft mit beschränkter Haftung» («საზოგადოება განსაზღვრული პასუხისმგებლობით») — დიტცის წიგნის გამომცემლობა. — 50.

45 Goldene Wanze («ოქროს ბაღლინჯოა»; ოქროს ქისა) — დ. ნ. ჟუკოვსკი. — 51.

46 მეფის მინისტრის ს. ი. ვიტეს საიდუმლო ბარათი სათაურით «თვითმპყრობელობა და ერობა», პ. ბ. სტრუვეს (რ. ნ. ს — ს ფსევდონიმით) წინასიტყვაობით არალეგალურად გამოსცა «ზარიამ» 1901 წელს. ლენინმა ბარათი და წინასიტყვაობა მკაცრად გააკრიტიკა თავის ნაშრომში «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 25 — 89). — 51.

47 იგულისხმებიან მ. ი. ულიანოვა და მ. ტ. ელიზაროვი. — 51.

48 იგულისხმება ი. ო. მარტოვი. — 51.

49 ლაპარაკია 1901 წლის საერთოპარტიული საპირველმაისო ფურცლის ბეჭდვაზე. — 51.

50 პ ა რ ი ზ ე ლ ე ბ ი — საზღვარგარეთის ლიტერატურული ჯგუფი «ბორბა», რომელიც თავს რსდმ პარტიას აკუთვნებდა; პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებით დაშლილ იქნა. ც ი უ რ ი ხ ე ლ ე ბ ი — ციურიხში მცხოვრები ლატვიელი სოციალ-დემოკრატები, სტუდენტები, რომლებიც ეწეოდნენ არალეგალურ გამოცემათა გადაგზავნას რუსეთში. — **53.**

51 ავტორი «შენიშვნებისა «რაბოჩეე დელოს» პროგრამაზე» დ. რიაზანოვია. — **53.**

52 იგულისხმება «ისკრის» ხელშემწყობი ბერლინის ჯგუფი. — **54.**

53 ლენინის მიერ დასახული გეგმა განხორციელდა 1901 წლის ოქტომბერში, როცა დაარსდა «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგა». — **55.**

54 ფსევდონიმი «ლ ე ო პ ო ლ დ ი» გახსნილი არ არის. ეტყობა, ასე ეწოდებოდა მთელ სატრანსპორტო ჯგუფს, რომელიც დაკავშირებული იყო ნ. ე. ბაუმანთან. — **60.**

55 ლაპარაკია «ისკრის» საზღვარგარეთული ორგანიზაციის გეგმაზე (იხ. ეს ტომი, გვ. 54 — 56). — **61.**

56 ლენინს გეგმა ჰქონდა აეწყოთ «ისკრა» საზღვარგარეთ, დაემზადებინათ ანაწყობიდან მატრიცები და სტერეოტიპის ჩამოსასხმელად და დასაბეჭდად გამოეგზავნათ მატრიცები რუსეთში. — **65.**

57 ვისზეა ლაპარაკი, გამოურკვეველია. — **66.**

58 იხ. ეს ტომი, გვ. 65. — **67.**

59 ლენინს მხედველობაში აქვს ი. ხ. ლალაიანცთან ერთად მოსკოვის სამხატვრო თეატრში ყოფნა, რის შესახებ იგი სწერდა მ. ა. ულიანოვას (იხ. ვ. ი. ლენინი. წერილები მახლობლებისადმი, 1934, გვ. 262) — **67**

60 S t r u v e f r e u n d l i c h e P a r t e i (სტრუვესადმი მეგობრული პარტია) — ა. ნ. პოტრესოვი და ვ. ი. ზასულიჩი. — **71.**

61 იგულისხმება წიგნები: ნ. შახოვსკოი. «სასოფლო-სამეურნეო გარესამუშაოები», მ., 1896; ნ. ი. ტეზიაკოვი. «სოფლის მეურნეობის მუშები

და მათდამი სანიტარული ზედამხედველობის ორგანიზაცია ხერსონის გუბერნიაში. (სამკურნალო-სასურსათო პუნქტების 1893 — 1895 წლების მასალების მიხედვით) (მოხსენება ხერსონის გუბერნიის ექიმთა და ერობის გამგეობების წარმომადგენელთა XIII საგუბერნიო ყრილობას)», ხერსონი, 1896. — 72.

62 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 25 — 89. — 72.

63 ვ. ი. ლენინის სტატია «რ ი თ დ ა ვ ი წ ყ ო თ?» დაიბეჭდა მოწინავე სტატიად «ისკრაში» № 4 (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 1 — 15). — 72.

64 «ი უ ჟ ნ ი რ ა ბ ო ჩ ი» — სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; არალეგალურად უშვებდა იმავე სახელწოდების ჯგუფი 1900 წლის იანვრიდან 1903 წლის აპრილამდე. პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებით ჯგუფი დაშლილ იქნა. ჯგუფის ხელმძღვანელი შემადგენლობის უმრავლესობა მენშევიკები გახდა. — 74.

65 ჯ გ უ ფ ი «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ი» — პოლიტიკური შემადგენლობით სხვადასხვაგვაროვანი ჯგუფი, რომელიც 1900 წლის ზაფხულში მოეწყო პეტერბურგში. — 77.

66 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 119 — 277. — 79.

67 იგულისხმება ლენინის სტატია «ე რ ო ბ ი ს მ დ ე ვ ნ ე ლ ნ ი დ ა ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ჰ ა ნ ი ბ ა ლ ე ბ ი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 25 — 89). — 80.

68 «E n t w i c k l u n g d e s S o z i a l i s m u s v o n d e r U t o p i e z u r W i s s e n s c h a f t»-ის A n h a n g — «D i e M a r k» (დანართი ნაშრომისა «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ» — «მარკა») — იხ. ფ. ენგელსი. «სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ», 1940, გვ. 82— 98. — 81.

69 იხ. ეს ტომი, გვ. 47 — 49. — 83.

70 ა. მ. კალმიკოვას წიგნის საწყობი ჰქონდა პეტერბურგში; ეს საწყობი სოციალ-დემოკრატების შეხვედრათა ადგილი იყო. — 84.

71 იგულისხმება ვ. კულემანის წიგნი «პროფესიული მოძრაობა. ნარკვევები მუშათა და მეწარმეთა პროფესიული ორგანიზაციისა ყველა ქვეყანაში», სპბ., 1901. — 84.

72 იხ. ეს ტომი, გვ. 80 — 81. — 84.

73 ლენინი მუშაობდა სტატიაზე «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 119 — 277). — 84.

74 ლაპარაკია ფ. ენგელსის სტატიაზე «1891 წ. სოციალ-დემოკრატიული პროგრამის პროექტის კრიტიკისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVI, ნაწილი II, 1936, გვ. 101 — 116). — 86.

75 ლენინი ლაპარაკობს იმ სტატიის მასალებზე, რომელიც მან დაწერა «ზარიას» № 2 — 3-სათვის სათაურით «შინაური მიმოხილვა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 311 — 375). — 86.

76 ლაპარაკია ლენინის გამგზავრებაზე ციურიხში რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციების: «ისკრის»-«ზარიას», «სოციალ-დემოკრატის» (რომელშიც შედიოდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი), «რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთული კავშირის», ბუნდისა და ჯგუფ «ბორბას» «გამაერთიანებელ» ყრილობაზე. ყრილობა შედგა 1901 წლის 21 — 22 სექტემბერს (4 — 5 ოქტომბერს). — 86.

77 ლენინს მზედველობაში აქვს წიგნი «რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 5, გვ. 431 — 673). — 86.

78 ლაპარაკია რეცენზიაზე წიგნისა: «Aus dem literarischen Nachlass von Karl Marx, Friedrich Engels und Ferdinand Lassalle. Herausgegeben von Franz Mehring. I. Gesammelte Schriften von Karl Marx und Friedrich Engels. Von März 1841 bis März 1844». Stuttgart, Verlag von J. H. W. Dietz Nachfolger, 1902 («კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსისა და ფერდინანდ ლასალის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან. გამოცემულია ფრანც მერინგის მიერ. ტომი I. თხზულებანი კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსისა. მარტი 1841 — მარტი 1844». გამომცემლობა ი. ჰ. ვ. დიტცის მემკვიდრეებისა. შტუტგარტი, 1902). — 87.

79 ხუთი მოყვანილი პუნქტით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც ეს წერილი უნდა გაგზავნილიყო. მეოთხე პუნქტში ლენინი გულისხმობს ტვერის ს.-დ. ორგანიზაციას, რომლისთვისაც წერილი გაიგზავნა ა. ბაკუნინის მისამართით. უკანასკნელი პუნქტი 5, რომელიც ლენინს

ბრჭყალებში აქვს ჩასმული, ნიშნავს იმ წერილის სახელწოდებას, რომელიც რუსეთიდან იყო გაგზავნილი «ისკრის» ერთ-ერთი წარმომადგენლის მიერ. ეს წერილი მთლიანად გამოაქვეყნა ლენინმა თავის სტატიაში «საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 388 — 397). მოჰყავდა რა ეს პუნქტი, ლენინს მხედველობაში ჰყავდა «ისკრის» ის წარმომადგენელი, რომელმაც მას აღნიშნული წერილი გაუგზავნა. — **89.**

80 «საზღვარგარეთ მომხდარ კონფლიქტად» ლენინი გულისხმობს «ისკრის» და ორგანიზაცია «სოციალ-დემოკრატის» წარმომადგენლების წასვლას რსდმ პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციების «გამაერთიანებელი» ყრილობიდან. — **89.**

81 ლაპარაკია ლენინის ნაშრომზე «რ ა ვ ა კ ე თ ო თ?». — **89.**

82 «ვ ე პ ე რ ი ო დ» — «ეკონომისტური» მიმართულების გაზეთი; გამოდიოდა კიევში 1896 — 1900 წლებში. — **92.**

83 კიშინიოვში მოეწყო «ისკრის» არალეგალური სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა გაზეთის ცალკეული ნომრები რუსეთში გასავრცელებლად. წერილში ლენინს მხედველობაში აქვს ცნობა კიშინიოვის სტამბაში «ისკრის» № 10-ის დაბეჭდვის შესახებ. — **94.**

84 როგორც ჩანს, ლაპარაკია ი. ბ. ბასოვსკიზე. — **94.**

85 1901 წლის 20 დეკემბრის № 13 «ისკრაში» მოთავსებულია ლენინის მიერ დაწერილი მოწინავე სტატია «დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი ს დ ა ს ა წ ყ ი ს ი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 399 — 403). — **94.**

86 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 30 — 31. — **96.**

87 ლაპარაკია ლენინის სტატიაზე «რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა გ რ ა რ უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 121 — 178). — **98.**

88 იგულისხმება გვერდები ლენინის ხელნაწერისა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 164 — 167). — **98.**

89 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტომი 6, მე-4 გამოც., გვ. 171. — **100.**

90 პროგრამის კომისიის პროექტის ტექსტი შედეგი იყო იმ შემთანხმებელი კომისიის მუშაობისა, რომელიც გაზეთ «ისკრის» რედაქციამ გამოყო რსდმ პარტიის პროგრამის ერთიანი პროექტის შესადგენად ლენინისა და პლეხანოვის მიერ წინათ შემუშავებული პროექტების საფუძველზე. «ისკრის» რედაქციის წევრებს უნდა მიეცათ თავიანთი შენიშვნები პროგრამის კომისიის პროექტზე, შემთანხმებელ კომისიას კი შეემუშავებინა პროგრამის საბოლოო პროექტი. კომისიის პროექტის დამტკიცება მოხდა «ისკრის» რედაქციის წევრთა თათბირზე ციურიხში 1902 წლის 14 აპრილს (ახ. სტ.) ლენინის დაუსწრებლად. — **100.**

91 ვისზეა ლაპარაკი, გამორკვევა არ მოხერხდა. — **101.**

92 ლენინს მხედველობაში აქვს «ისკრის» რედაქციის გადასვლა მიუნხენიდან ლონდონში. — **102.**

93 «ს ა შ ა» — პირობითი აღნიშვნა რსდმ პარტიის კომიტეტთა კონფერენციისა, რომელიც გაიმართა 1902 წლის 23 — 28 მარტს (5 — 10 აპრილს) ბელოსტოკში. კონფერენციამ შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი პარტიის II ყრილობის მოსაწვევად. — **103.**

94 ლენინს მხედველობაში აქვს პარტიის II ყრილობის მოწვევის მომზადება. — **104.**

95 იგულისხმება პლეხანოვის შენიშვნები ლენინის სტატიაზე «რ უ ს ე თ ი ს ს ო ც ი ა ლ - დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა გ რ ა რ უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ა». — **105**

96 ლენინს მხედველობაში აქვს დასაწყისი უთანხმოებისა პარტიული პროგრამის პროექტის გამომუშავებასთან დაკავშირებით, რომლის პირველი განხილვა მოხდა «ისკრის» რედაქციის თათბირზე მიუნხენში 1902 წლის 8 (21) იანვარს. ამ თათბირზე ლენინმა გააკრიტიკა პროგრამის პირველი პროექტი, რომელიც შედგენილი იყო პლეხანოვის მიერ, და შეიტანა თავისი შესწორებანი და წინადადებანი. — **106.**

97 ვ. ი. ლენინის შეხვედრა მ. ა. ულიანოვასთან და ა. ი. ელიზაროვასთან მოხდა არა გერმანიაში, არამედ საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაპირზე ლოგივიში. — **107.**

98 ლაპარაკია ლენინის წიგნზე «რ ა ვ ა კ ე თ ო თ?». — **109.**

99 წერილის ადრესატი გამორკვეული არ არის. — **110.**

100 იხ. ლენინის წიგნი «რ ა ვ ა კ ე თ ო თ?» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 590 — 593). — **110.**

101 იგულისხმებიან ჯგუფ «ბორბას» წევრები. — **115.**

102 ლაპარაკია «რსდმ პარტიის ჩრდილოეთ კავშირზე». კავშირი აერთიანებდა ვლადიმირის, იაროსლავლისა და კოსტრომის (შემდეგ აგრეთვე ტვერის) გუბერნიების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. 1901 წელს კავშირმა ურთიერთობა დაამყარა ლენინურ «ისკრასთან». — **117.**

103 ვიშიბალო — პეტერბურგელი «ეკონომისტების» ხელმძღვანელი — ტოკარევი. ტოკარევმა, რომელიც პეტერბურგის «ბრძოლის კავშირის» წევრი იყო, პროტესტი განაცხადა პეტერპურგის კომიტეტის ივლისის იმ განცხადების წინააღმდეგ, რომლითაც «ისკრა» და «ზარია» აღიარებული იყვნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ ორგანოებად. იგი აგრეთვე მოითხოვდა პეტერბურგის «ბრძოლის კავშირის» კომიტეტიდან «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის წარმომადგენლის მოშორებას. — **121.**

104 ლაპარაკია რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის ივლისის განცხადებაზე გაზეთ «ისკრასთან» და ჟურნალ «ზარიასთან» სოლიდარობისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელ ორგანოებად მათი აღიარების შესახებ. განცხადება გამოშვებულ იქნა 1902 წლის ივლისში ცალკე ფურცლად, შემდეგ კი დაიბეჭდა «ისკრის» № 26-ში 1902 წლის 15 ოქტომბერს. — **122.**

105 იგულისხმება «ისკრის» რედაქციის თათბირი, რსდმ პარტიის პეტერბურგის კომიტეტის, «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციისა და «რსდმ პარტიის ჩრდილოეთი კავშირის» წარმომადგენლებთან 1902 წლის 2 (15) აგვისტოს. თათბირზე შეიქმნა პარტიის II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის ისკრული ბირთვი. — **123.**

106 იგულისხმებიან ვ. პ. კრასნუხა და პ. ა. კრასიკოვი. — **123.**

107 ლენინის ინიციატივით 1902 წლის ნოემბერში სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების თათბირზე ფსკოვში შეიქმნა ახალი საორგანიზაციო კომიტეტი. ახალ კომიტეტში დიდი უმრავლესობა ისკრელებს ეკუთვნოდათ.

ლენინის ხელმძღვანელობით საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია პარტიის II ყრილობის მოსამზადებლად. — **123.**

108 «თეკლე» — «ისკრის» რედაქციის კონსპირაციული სახელწოდება. — **125.**

109 იგულისხმება ბუნდი. — **125.**

110 ლაპარაკია II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესზე, რომლის მოწვევაც ნავარაუდევი იყო 1903 წელს. კონგრესი შედგა 1904 წლის 14 — 20 აგვისტოს (იხ. სტ.). — **126.**

111 იგულისხმება ლენინის ნაშრომი «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 281 — 308). — **127.**

112 ლაპარაკია პლეხანოვის გამოსვლაზე კ. ტარასოვის (ნ. ს. რუსანოვის ფსევდონიმი) სტატიის წინააღმდეგ, რომელიც დაიბეჭდა ესერულ ჟურნალში «ვესტნიკ რუსსკოი რევოლუციი». — **129.**

113 ჟიზნელები — ჟურნალ «ჟიზნის» რედაქციის წევრები. ჟურნალი გამოდიოდა პეტერბურგში 1897-დან 1901 წლამდე; 1902 წელს ჟურნალი საზღვარგარეთ გამოდიოდა. — **131.**

114 ვისზეა ლაპარაკი, გამორკვევა ვერ მოხერხდა. — **131.**

115 ლენინმა ი. ვ. ბაბუშკინისაგან მიიღო წერილი, სადაც ბაბუშკინი სთხოვდა დაესახა კითხვები, რომლებითაც შეიძლებოდა «გამოცდა მოეწყოთ» პროპაგანდისტთა ჯგუფის წევრებისათვის, ე. ი. გამოერკვიათ მათი პოზიცია «ისკრის» პრინციპების მიმართ. — **136.**

116 საორგანიზაციო კომიტეტის წევრი პეტერბურგიდან — ვ. პ. კრასნუხა დაპატიმრებულ იქნა 1902 წლის ნოემბერში. — **139.**

117 ლაპარაკია ბროშურაზე «მუშათა სალაროების ფურცელი» (ნაკვეთი მე-2, მუშათა პროფესიულ ორგანიზაციებში დარაზმული ხარკოველი მუშების გამოცემა) და ჰექტოგრაფირებულ ჟურნალ «ხარკოვსკი პროლეტარზე», რომელიც 1901 წლის ოქტომბერში გამოვიდა. — **141.**

118 გაზეთ «რაბოჩაია მისლის» № 16-ში «ეკონომისტები» გამოვიდნენ პროტესტით პეტერბურგის კომიტეტის ივლისის იმ განცხადების წინააღმდეგ, რომელიც «ისკრისა» და «ზარიას» აღიარებას შეეხებოდა. — **142.**

119 იგულისხმება «ისკრის» ბაქოს ჯგუფის კონსპირაციული სახელწოდება. — **145.**

120 იგულისხმება ნ. კ. კრუპსკაია. — **145.**

121 ლაპარაკია პარტიის II ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროზე. — **146.**

122 იხ. ეს ტომი, გვ. 148 — 149. — **150.**

123 იგულისხმება ჯგუფი «იუჟნი რაბოჩი». — **152.**

124 ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტმა გადაწყვეტილება გამოიტანა, რომ სორმოვოს და ნიჟნი-ნოვგოროდის მსჯავრდადებულ მუშებს არ შეეტანათ კასაცია განაჩენისა 1902 წლის 1 მაისის დემონსტრაციის საქმეზე. — **153.**

125 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ის ლექციები საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმაღლეს რუსულ სკოლაში და რეფერატი რუს პოლიტიკურ ემიგრანტთა კრებაზე, რომლებიც მან პარიზში წაიკითხა 1903 წლის თებერვალში. — **159.**

126 ლენინი ლაპარაკობს თავის ბროშურაზე «ს ო ფ ლ ი ს ღ ა რ ი ბ ე ბ ს». ბროშურა გამოქვეყნდა 1903 წლის მაისში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის გამოცემით (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 445 — 537). — **159.**

127 ლაპარაკია ლენინის სტატიაზე «თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ა ი რ ყ ე ვ ა...» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 426 — 433). სტატია დაიბეჭდა «ისკრის» № 35-ში; მოწინავედ რედაქციამ მოათავსა პლეხანოვის სტატია. — **159.**

128 განცხადება რსდმ პარტიასთან პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის სოლიდარობის შესახებ «ისკრაში» არ გამოქვეყნებულა. ესდ წარმომადგენლები პარტიის II ყრილობას სათათბირო ხმით დაესწრნენ. — **161.**

129 ბუნდის «გამოხდომა» რსდმ პარტიის ეკატერინოსლავის კომიტეტის წინააღმდეგ დაწვრილებით გადმოცემულია ლენინის მიერ სტატიაში «ესაჭიროება თუ არა ებრაელ პროლეტარიატს «დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია»» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 405 — 412). — **162.**

130. «ბ უ ნ ა გ ი» — საერთო ოთახი ვ. ი. ზასულიჩის, ი. ო. მარტოვისა და ი. ს. ბლიუმენფელდის ბინაზე ლონდონში. ამ ოთახს «ბუნაგი» დაარქვეს იმის გამო, რომ იქ მუდამ არევ-დარევა იყო. — **66.**

131 ლაპარაკია «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფზე. — **166.**

132 იგულისხმება მატერიალური სახსრები «ისკრისათვის». — **175.**

133 ლაპარაკია პ. ბ. აქსელროდზე. — **179.**

134 «ეგორელები», «ეგორის ქვეყნები» — ქენევაში მყოფი მარტოველები, მენშევიკები. — **181.**

135 იგულისხმება დაპატიმრების, ჩავარდნის შესაძლებლობა. — **181.**

136 ლაპარაკია პარტიის საბჭოზე. — **182.**

137 იხ. ეს ტომი, გვ. 177. — **183.**

138 რეზოლუციის ნომერი მოცემულია რსდმ პარტიის II ყრილობის ოქმის ხელნაწერი მასალების მიხედვით. ტექსტი რეზოლუციისა საფაბრიკო მამასახლისების შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1940, გვ. 30. — **186.**

139 ««რაბოჩაია ვოლიას» მანიფესტი» — ოდესის სოციალ-დემოკრატიული კავშირის «რაბოჩაია ვოლიას» განცხადება «ისკრის» შეხედულებებისა და ტაქტიკის სისწორის აღიარების, რსდმ პარტიის ოდესის კომიტეტთან შეერთებისა და ამასთან დაკავშირებით კავშირის დახურვის შესახებ. მანიფესტი გამოქვეყნდა «ისკრაში» № 50 1903 წლის 15 ოქტომბერს. — **187.**

140 «ტყავის გახდა» — ე. ი. არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა. — **192.**

141 იგულისხმებიან მენშევიკები. — **192.**

142 კავკასიაში საქმის ვითარებაზე, რაც შეიქმნა თბილისის დელეგატ თოფურიძის (ისარი) ქცევასთან დაკავშირებით, რომელიც II ყრილობის შემდეგ მენშევიკებთან გადაბარგდა, უფრო დაწვრილებით ლაპარაკი ლენინის წერილში კავკასიის კავშირის კომიტეტისადმი (იხ. ეს ტომი, გვ. 195 — 196). — **192.**

143 იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის ცნობა II პარტიული ყრილობის შესახებ; ცნობის პროექტი რუსეთში გაიგზავნა. — **193.**

144 ლაპარაკია დონის კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე პარტიის II ყრილობის შედეგების შესახებ. — **197.**

145 ლაპარაკია სამთამადნო მუშების კავშირის კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე პარტიის II ყრილობის შედეგების შესახებ. — **198.**

146 იხ. ეს ტომი, გვ. 188 — 189. — **199.**

147 ლენინს მხედველობაში აქვს «ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე მორიგი ყრილობის შესახებ», რომელიც რსდმ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოსცა. — **200.**

148 1904 წლის მაისში გამოქვეყნდა ლენინის წიგნი «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან (კრიზისი ჩვენს პარტიაში)». (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 239 — 530). — **204.**

149 იხ. ვ. ი. ლენინის 1903 წლის 4 ნოემბრის (ახ. სტ.) წერილი გ. მ. კრჟიჟანოვსკისადმი (ეს ტომი, გვ. 202 — 203). — **205.**

150 ლაპარაკია ლენინის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ მან მოიხსნა პარტიის საბჭოს წევრისა და ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრის მოვალეობა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 94). — **207.**

151 ლაპარაკია ცნობაზე პარტიის II ყრილობის შესახებ. — **207.**

152 წერილზე ლენინის ხელით აღნიშნულია: «გაუგზავნელი წერილი». — **210.**

153 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 72 — 85. — **211.**

154 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «რსდმპ II ყრილობის ამბავი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 1 — 25). — **215.**

155 ლაპარაკია სტატიაზე «მონაროდნიკე ბურჟუაზია და განიავებული ნაროდნიკობა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 110 — 121). — **217.**

156 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 122. — **217.**

157 შვაიცერი, ი.-ბ. — ლასალიანელთა ლიდერი გერმანიის მუშათა მოძრაობაში XIX საუკუნის 60-იან წლებში; დიქტატორულად ხელმძღვანელობდა გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირს და თავგამოდებით

ებრძოდა ეიზენახელებს, რომლებსაც სათავეში ედგნენ ბებელი და ლიბკნეხტი. — **218.**

158 წერილი დაწერილია ლენინის მიერ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენლის ფ. ვ. ლენგნიკის სახელით. — **220.**

159 ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის მოლაპარაკებაზე მენშევიკებთან იმ მდგომარეობის შესახებ, რაც პარტიაში შეიქმნა II ყრილობის შემ. დეგ. — **220.**

160 ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის ულტიმატუმზე, რომელიც მენშევიკებს წარედგინათ 1903 წლის 12 (25) ნოემბერს. ულტიმატუმის ძირითადი პუნქტები ჩამოაყალიბა ლენინმა თავის 1903 წლის 22 ოქტომბრის (4 ნოემბრის) წერილში ცენტრალური კომიტეტისადმი (იხ. ეს ტომი, გვ. 204). — **220.**

161 ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომისია შეიქმნა 1903 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში (ახ. სტ.) ცენტრალური კომიტეტის სამი წევრის: გ. მ. კრჟიჟანოვსკის, ლ. ბ. კრასინისა და ფ. ვ. გუსაროვის შემადგენლობით. — **222.**

162 ლაპარაკია საზღვარგარეთის (ჟენევის) მენშევიკურ ოპოზიციასთან ცენტრალური კომიტეტის მოლაპარაკების შესახებ მასალების გამოქვეყნებაზე. — **224.**

163 იგულისხმება ლენინის წერილი «რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 131 — 139). — **224.**

164 ნ. ე. ვილონოვის წერილი მცირე შემოკლებებით ლენინმა შემდეგ გამოაქვეყნა თავისი ბროშურის — «წერილი ამხანაგს ჩვენი ორგანიზაციული ამოცანების შესახებ» — ბოლოსიტყვაობაში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 151 — 158). — **226.**

165 ლენინმა ეს ბროშურა დაწერა. იგი გამოვიდა სახელწოდებით «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან». — **227.**

166 ლენინს მხედველობაში ჰყავს გ. მ. კრჟიჟანოვსკი, ფ. ვ. ლენგნიკი და ვ. ა. ნოსკოვი. — **228.**

167 ცენტრალურმა კომიტეტმა მას შემდეგ, რაც გ. მ. კრჟიჟანოვსკი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა, მენშევიკებთან მოლაპარაკების შედეგე-

ბის შესახებ მისი ინფორმაციის საფუძველზე, კომიტეტებს დაუგზავნა წერილი, რომელშიც ჩქმალავდა მწვავე პარტიულ ბრძოლას და ქადაგებდა მენშევიკების მიმართ შემარიგებლურ პოლიტიკას. — **231.**

168 ლაპარაკია ლენინის წერილზე «რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?». — **232.**

169 წერილი დაწერილია ლენინის მიერ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ფ. ვ. ლენგნიკის სახელით. — **233.**

170 ლაპარაკია ახალი, მენშევიკური «ისკრის» რედაქციის მიერ მიღებულ რეზოლუციაზე იმის გამო, რომ ცალკე ფურცლად გამოქვეყნდა ლენინის წერილი «რატომ გამოვედი «ისკრის» რედაქციიდან?». — **233.**

171 იხ. ეს ტომი, გვ. 218 — 219. — **235.**

172 წერილი წარმოადგენს წინა, 1903 წლის 30 დეკემბრის წერილის პოსტსკრიპტუმს და მასთან ერთად გაიგზავნა 1904 წლის 5 იანვარს. — **239**

173 ლაპარაკია მენშევიკურ (ქენევის) ოპოზიციასთან ცენტრალური კომიტეტის მოლაპარაკების შესახებ მასალების გამოქვეყნებაზე. — **243.**

174 წერილი წარმოადგენს ჩამატებას ფ. ვ. ლენგნიკის იმ წერილის შავ მონახაზში, რომელიც ამ უკანასკნელმა მარტოვის წერილის პასუხად გაგზავნა. — **245.**

175 აქ წყდება წერილის ლენინის ტექსტი. ფრაზა დამთავრებულია ლენგნიკის მიერ ასე: «აზრებისა წარმოადგენს გარანტიას ცენტრების შესაძლო შეცდომების წინააღმდეგ». — **246.**

176 ეს და შემდეგი წერილი დაწერილია ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენლის ფ. ვ. ლენგნიკის სახელით. — **247.**

177 გამორკვეული არ არის, ვისზეა ლაპარაკი. — **251.**

178 ეს წერილი ნ. კ. კრუპსკაიას წერილის დამატებაა. ლაპარაკია იმაზე, რომ კოლი (ლენგნიკი) არ გამოვიდეს ცენტრალური კომიტეტიდან.—**263.**

179 ხელშეკრულება ნილთან — ეს არის ხელშეკრულება ლენინისა ნოსკოვთან, რომელიც იმ დროს საზღვარგარეთ ჩავიდა როგორც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი საზღვარგარეთ და საბჭოს

მეორე წევრი ცენტრალური კომიტეტისაგან რუსეთში წასული ლენგნიკის შესაცვლელად, — ლენინთან ერთად და მასთან სოლიდარულად გამოსვლის შესახებ საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის სახელით. «ხელშეკრულება» ხელმოწერილ იქნა 13 (26) მაისს ცენტრალური კომიტეტის მესამე წევრის მ. მ. ესენის თანადასწრებით და მონაწილეობით, რომელიც მაშინ საზღვარგარეთ იყო (იხ. თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 536 — 537). — **264.**

180 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 531 — 535. — **266.**

181 «რ ბ ი ლ ე ბ ი» — ცენტრალური კომიტეტის წევრები — შემარიგებლები — ნოსკოვი, გალპერინი და კრასინი. — **268.**

182 ლაპარაკია პარტიის საბჭოს 1904 წლის 31 მაისის (13 ივნისის) გადაწყვეტილებაზე II ინტერნაციონალის მომავალ ამსტერდამის კონგრესზე წარმომადგენლობის შესახებ. — **270.**

183 იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის წევრების — შემარიგებლების კრასინის, ნოსკოვისა და გალპერინის მიერ 1904 წლის ივლისში ცენტრალური კომიტეტის სახელით მიღებული დადგენილება. ამ დადგენილებაში შემარიგებლებმა კანონიერად მიიჩნიეს პლეხანოვის მიერ კოოპტირებული შემადგენლობა «ისკრის» მენშევიკური რედაქციისა. მათ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტაციით შეიყვანეს კიდევ სამი შემარიგებელი. შემარიგებლები გამოვიდნენ პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ და გამოიტანეს გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიუროს დაშლის შესახებ, რომელიც აგიტაციას ეწეოდა ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ. მათ ლენინს ჩამოართვეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის უფლებები და ცდილობდნენ აეკრძალათ მისი ნაწარმოებების ბეჭდვა ცენტრალური კომიტეტის კოლეგიის ნებადაურთველად.

«ივლისის დეკლარაციის» მიღება ნიშნავდა ცენტრალური კომიტეტის წევრების — შემარიგებლების მხრივ რსდმ პარტიის II ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი სრულ ღალატს და მათს აშკარა გადასვლას მენშევიკების მხარეზე. — **275.**

184 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 576 — 578. — **275.**

185 ნოსკოვმა ლენინს აცნობა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ცენტრალურ კომიტეტში სამი ახალი წევრის — ლ. კარპოვის, ა. ლიუბიმოვის, ი. დუბროვინსკის კოოპტაციის შესახებ და წინადადება მისცა

ლენინს ერთი კვირის განმავლობაში მიეცა ხმა დასახულ კანდიდატთა სასარგებლოდ ან წინააღმდეგ. — 278.

186 ლაპარაკია ლენინის წიგნზე «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან». — 279.

187 ლენინი არ ყოფილა ამსტერდამის კონგრესზე და თავისი მანდატი გადაანდო მ. ნ. ლიადოვსა და პ. ა. კრასიკოვს, რომლებიც კონგრესზე რსდმ პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ. — 284.

188 1904 წლის სექტემბერ — დეკემბერში გაიმართა ბოლშევიკური ადგილობრივი კომიტეტების სამი კონფერენცია: 1) სამხრეთის (ოდესის, ეკატერინოსლავისა და ნიკოლაევის კომიტეტები); 2) კავკასიის (ბაქოს, ბათუმის, თბილისისა და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტები); 3) ჩრდილოეთისა (პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის, რიგის, ჩრდილოეთისა და ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტები).

კონფერენციებმა აირჩიეს უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო, რომელმაც ლენინის ხელმძღვანელობით გააჩაღა პრაქტიკული მზადება პარტიის III ყრილობისათვის. — 285.

189 იგულისხმება 22 ბოლშევიკის თათბირი, რომელიც ლენინის ხელმძღვანელობით გაიმართა შვეიცარიაში 1904 წლის აგვისტოში (ახ. სტ.). თათბირში მონაწილეობდა 19 კაცი, უფრო გვიან თათბირის გადაწყვეტილებებს შეუერთდა კიდევ 3 კაცი. თათბირმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა «პარტიისადმი», რომელიც ბოლშევიკებმა რსდმ პარტიის III ყრილობის მოწვევისათვის ბრძოლის პროგრამად გაიხადეს. — 285.

190 ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ნ. ლენინის გამომცემლობა სოციალ-დემოკრატიული პარტიული ლიტერატურისა ბოლშევიკებმა შექმნეს მას შემდეგ, რაც «ისკრის» მენშევიკურმა რედაქციამ უარი თქვა დაებეჭდა იმ ორგანიზაციების და პარტიის იმ წევრების განცხადებანი, რომლებიც გამოდიოდნენ II ყრილობის გადაწყვეტილებათა დასაცავად და პარტიის III ყრილობის მოწვევას მოითხოვდნენ. — 286.

191 «ისკრის» №№ 73 და 74-ის ცალკე დამატებაში გამოქვეყნებული იყო რსდმ პარტიის საბჭოს გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებათაგან პირველში, რომელიც III ყრილობის მოწვევის წესის საკითხს ეხებოდა, ლაპარაკი იყო მთელ რიგ ღონისძიებათა მიღებაზე იმ მიზნით, რომ გაეძნელებინათ ყრილობის სასარგებლო აგიტაცია და არ დაეშვათ მისი მოწვევა უახლოეს დროში. — 286.

192 ლაპარაკია ბროშურაზე «პ ა რ ტ ი ი ს ა დ მ ი», რომელშიც დაბეჭდილი იყო ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა ასეთივე სახელწოდებით (იხ. თხზულებანი, 4 გამოც., ტომი 7, გვ. 565 — 575), და ნ. შახოვის ბროშურაზე «ბ რ ძ ო ლ ა ყ რ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს», რომლისთვისაც ლენინმა წინასიტყვაობა დაწერა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 613 — 614). — 289.

193 კ ა ვ კ ა ს ი ი ს კ ა ვ შ ი რ ი აერთიანებდა კავკასიის (თბილისის, ბაქოს, ბათუმის, ქუთაისის, გურიის და სხვ.) ს.-დ. მუშათა ორგანიზაციებს. კავკასიის კავშირის პირველ ყრილობაზე 1903 წლის მარტში შექმნილ იქნა ხელმძღვანელი პარტიული ორგანო — რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტი. ი. ბ. სტალინი, რომელიც ამ დროს პატიმრობაში იყო, დაუსწრებლად აირჩიეს კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში. გადასახლებიდან გამოქცევისა და 1904 წლის დამდეგს თბილისში დაბრუნების შემდეგ ი. ბ. სტალინი სათავეში უდგება კავკასიის კავშირის კომიტეტს. ლენინსა და კავკასიის კავშირის კომიტეტს შორის მუდამ მჭიდრო კავშირი არსებობდა. 1904 წლის სექტემბერში კავკასიის კავშირის კომიტეტი შეუერთდა «22-ის» თათბირის რეზოლუციას და გააჩაღა აგიტაცია პარტიის III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევისათვის. — 291.

194 ხელნაწერში არის ლენინის შენიშვნა: «(მოყვანილ იქნეს მთლიანად)», რის შემდეგაც დასმულია მრავალწერტილი და განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ წერილის ამ ადგილას მოყვანილი უნდა ყოფილიყო სამხრეთის კომიტეტების კონფერენციის სათანადო რეზოლუციის ტექსტი. ამ რეზოლუციის ტექსტი წერილში მოყვანილი არ არის; არ არის აგრეთვე «22-ის» პასუხი (იხ. ეს ტომი, გვ. 285). — 294.

195 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 621 — 648). — 297.

196 ლენინი ლაპარაკობს არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის «ვ პ ე ე ა ი ო დ ი ს» შექმნის საჭიროებაზე; გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1905 წლის 4 იანვარს (1904 წლის 22 დეკემბერს). — 297.

197 ლაპარაკია კავკასიის კავშირის კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტის კავკასიის წარმომადგენლის განცხადებაზე, სადაც პროტესტი იყო გამოთქმული პარტიის საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, რომლებიც «ისკრის» №№ 73 და 74-ის დამატებაში გამოქვეყნდა. — 299.

198 ფსევდონიმი გამოცნობილი არ არის. — 299.

199 იხ. ეს ტომი, გვ. 302 — 305. — **299**.

200 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 621 — 648. — **308**.

201 ლენინს მხედველობაში აქვს «წ ე რ ი ლ ი ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი ს ა დ მ ი (პ ა რ ტ ი უ ლ ი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ს გ ა მ ო ს ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს)» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 653 — 660). — **308**.

202 კავკასიის ბოლშევიკების გულმოდგინე მუშაობის შედეგად, რომლებმაც ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ენერგიული ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკების წინააღმდეგ, 1904 წლის ნოემბერში გაიმართა კავკასიის კომიტეტების კონფერენცია. «22-ის» რეზოლუციასთან შეერთებისა და პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევის შესახებ კავკასიის კომიტეტების მიერ წინათ მიღებულ დადგენილებათა საფუძველზე კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება III ყრილობის სასარგებლოდ ფართო აგიტაციისა და ბრძოლის მოწყობის შესახებ და ამ მიზნით აირჩია სპეციალური ბიურო, რომელსაც დაავალა დაკავშირებოდა «22-ის» ბოლშევიკურ ჯგუფს. ამ წერილის მინაწერში ლენინი არკვევს უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროსა და კავკასიის კომიტეტების კონფერენციის მიერ შექმნილ ბიუროს შორის ურთიერთობის საორგანიზაციო ფორმებს და სთხოვს გაგზავნონ დელეგატი. კავკასიის კავშირის კომიტეტმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო პარტიის III ყრილობისათვის ბრძოლაში. — **310**.

203 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ბ რ ძ ო ლ ა» — ქართული არალეგალური გაზეთი, რსდმ პარტიის კავკასიის კავშირის ორგანო. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1904 წელს, გაზეთის რედაქციას სათავეში ჩაუდგა ი. ბ. სტალინი.

პარტიის ლენინური ცენტრალური ორგანოს «პროლეტარის» შემდეგ გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა» ყველაზე უკეთესი და ყველაზე დიდი ბოლშევიკური გაზეთი იყო. გაზეთის თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ლენინის სტატიები «პროლეტარიდან». ბევრი უმნიშვნელოვანესი სტატია დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ.

ლენინის ეს წერილი დაწერილია იმ წერილის პასუხად, რომლითაც კავკასიის კავშირის კომიტეტი იწვევდა მას ეთანამშრომლა «პროლეტარიატის ბრძოლაში». — **312**.

204 იგულისხმება «წ ე რ ი ლ ი ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი ს ა დ მ ი (პ ა რ ტ ი უ ლ ი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ო ს გ ა მ ო ს ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს)» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 653 — 660). — **312**.

205 ლენინს მზედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 661 — 668). — 314.

206 იგულისხმება ლენინის სტატია «დროა გავათაოთ», რომელიც დაბეჭდილია გაზეთ «ვპერიოდის» № 1-ში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 24 — 29). — 315.

207 იგულისხმება კომიტეტები, რომელთა კონფერენციებზე არჩეულ იქნა უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო. — 315.

208 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 674 — 677. — 319.

209 იგულისხმება მეორე მენშევიკური «წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი», ფურცლის სახით დაბეჭდილი 1904 წლის დეკემბერში «ისკრის» რედაქციის ხელმოწერით. კრიტიკული გარჩევა «ისკრის» პირველი წერილისა, რომელსაც ლენინი ქვემოთ იხსენიებს, მას მოცემული აქვს ბროშურაში «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 621 — 648). ამ წერილებზე ლენინი ჩერდება აგრეთვე სტატიაში «ორი ტაქტიკა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 163 — 164). — 323.

210 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 16 — 23. — 323.

211 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ 69 — 82. — 324

212 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 349 — 359. — 325.

213 «ვპერიოდის» № 1-ის თარიღია 1905 წლის 4 იანვარი (1904 წლის 22 დეკემბერი). — 326.

214 ლაპარაკია ბოლშევიკური ადგილობრივი კომიტეტების (სამხრეთის, კავკასიის, ჩრდილოეთის) სამ კონფერენციაზე, რომლებიც გაიმართა 1904 წლის სექტემბერ — დეკემბერში. — 327.

215 იხ. ეს ტომი, გვ. 314. — 327.

216 ლაპარაკია უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს არჩევნებზე. ბიურო არჩეულ იქნა რსდმ პარტიის III ყრილობის მოსაწვევად. — 328.

217 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 33 — 37. — 329

218 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 134 — 142. — 331.

219 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 197 — 200. — 334.

220 უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს ფურცლები: პირველი — «საარსებო საკითხები» (აჯანყების შესახებ) — დაიბეჭდა გაზეთ «ვპერიოდის» № 9-ში 1905 წლის 8 მარტს (23 თებერვალს); მეორე — «რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის დამოკიდებულება ლიბერალებისადმი» — № 10-ში 1905 წლის 15 (2) მარტს. — 336.

221 № 10 და 11 — ს. ი. გუსევის წერილები ვ. ი. ლენინისადმი. — 338.

222 გამოთქმა აღებულია რომაელ პოეტ ვერგილიუსის ნაწარმოებიდან «ენეიდა»; თარგმანი: «მეშინია დანაელებისა, ძღვენიც რომ მოჰქონდეთ». — 338.

223 კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 488 — 494. — 339.

224 «ხ ა ტ ე ბ ი ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ» — მენშევიკთა ლიდერების ირონიული სახელწოდება. — 339.

225 ლაპარაკია რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბუნდის, ლატვიის სდმ პარტიისა და უკრაინის რევოლუციური პარტიის წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც საზღვარგარეთ 1905 წლის იანვარში გაიმართა. კონფერენცია მოწვეულ იქნა ბუნდის ინიციატივით ვაერთიანების საკითხზე. — 339.

226 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 258 — 260. — 342.

227 ამ წერილის პასუხად რსდმ პარტიის ოდესის კომიტეტის წევრი ლ. მ. კნიპოვიჩი აუწყებდა ლენინს, რომ ყრილობის მანდატი, რომელიც ოდესის კომიტეტისაგან წინათ მიცემული ჰქონდა ვ. ვ. ვოროვსკის, უნდა გადაეცეს ლენინს და რომ ვ. ვ. ვოროვსკის მანდატი ექნება ნიკოლაევის კომიტეტისაგან. — 244.

228 ლაპარაკია რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს ხელშეკრულებაზე, რომელიც 1905 წლის 12 (25) მარტს დადებულ იქნა პარტიის III ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის საკითხზე. — **247.**

229 იგულისხმება მენშევიკთა კონფერენცია, რომელიც ჟენევაში გაიმართა იმავე დროს, როცა რსდმ პარტიის III ყრილობა მიმდინარეობდა. — **350.**

230 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 510—517. — **353.**

231 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1905 წლის 10 მაისის (ახ. სტ.) პლენუმის გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის შემდეგი პლენუმის 1 სექტემბრისათვის (ძვ. სტ.) მოწვევის შესახებ ჟენევაში. ეს გადაწყვეტილება არ განხორციელებულა. — **354.**

232 «ბ ე ბ ე ლ ი ს წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს» შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 167—169. — **356.**

233 ც ნ ო ბ ა რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს I I I ყ რ ი ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ დ ა ყ რ ი ლ ო ბ ი ს რ ე ზ ო ლ უ ც ი ე ბ ი გამოქვეყნდა ბროშურაში: «Bericht über den III. Parteitag der S.-D. A.-P. R. ...», München («ცნობა რსდმ პარტიის III ყრილობის შესახებ...», მიუნხენი). კაუცკიმ გაზეთ «Leipziger Volkszeitung»-ში («ლაიპციგის სახალხო გაზეთი») დაბეჭდა სტატია ამ ბროშურის გავრცელების წინააღმდეგ. კაუცკის სტატიის პასუხად ლენინმა დაწერა «ღია წერილი «Leipziger Volkszeitung»-ის რედაქციას» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 632—634). ლენინის წერილი გაზეთში არ დაბეჭდილა. — **356.**

234 ლაპარაკია რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილზე საორგანიზაციო კომისიისადმი. წერილი დაწერილი იყო ა. ბოგდანოვის მიერ.

ბროშურა, რომელზეც ლაპარაკია ქვემოთ, არის «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ო რ ი ტ ა ქ ტ ი კ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ულ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა შ ი» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 1—162). — **257.**

235 «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1940, გვ. 53. — **360.**

236 ლაპარაკია რსდმ პარტიის III ყრილობის ოქმების გამოცემის შესახებ. — 366.

237 რსდმ პარტიის ორიოლ-ბრიანსკის კომიტეტის რეზოლუცია მიღებულ იქნა პარტიის III ყრილობის შესახებ მოხსენების გამო. — 367.

238 გამანადგურებელი კრიტიკა ნ. ჟორდანიას (კოსტროვის) სტატიებისა, რომლებიც შემდეგში შევიდა მის ბროშურაში (««უმრავლესობა» თუ «უმცირესობა»?»), ი. ბ. სტალინის მიერ მოცემული იყო ნაშრომში «გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე» (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი. ტომი 1, 1947, გვ. 86 — 124). — 368.

239 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 248 — 249. — 369.

240 მანიფესტი ბულიგინის სათათბიროს შესახებ გამოქვეყნდა 1905 წლის 6 (19) აგვისტოს. აგვისტოს შუა რიცხვებში გაზეთ «პროლეტარში» დაიბეჭდა ლენინის სტატია ««მეფის ერთობა ხალხთან და ხალხისა მეფესთან»» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 228 — 239). — 369.

241 ლენინის ეს წერილი (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის დადგენილება) დაწერილია იმ კონფლიქტთან დაკავშირებით, რომელიც ბოლშევიკების ჟენევის ჯგუფის ცალკეულ წევრებს შორის წარმოიშვა. — 371.

242 სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია რუსეთში, რომელსაც ლენინი იხსენიებს, გაიმართა 1905 წლის სექტემბრის დამდეგს. კონფერენციამ ერთხმად მიიღო სახელმწიფო სათათბიროს აქტიური ბოიკოტის ტაქტიკა. მენშევიკების საორგანიზაციო კომისიამ უარი თქვა ხელი მოეწერა კონფერენციის რეზოლუციისათვის. კონფერენციის გადაწყვეტილებათა შეფასება ლენინს მოცემული აქვს სტატიებში «პოლიტიკური დაჯგუფების პირველი შედეგები» და «დამარცხებულთა ისტერიკა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ 488 — 498, 499 — 501). — 378.

243 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 212 — 222, 228 — 239, 253 — 268, 297 — 304. — 379.

244 «რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელდახელო ფურცლები» გამოდიოდა 1905 წლის ივნისი —

სექტემბერში. სულ გამოვიდა 4 ნომერი. № 1 დაიბეჭდა პეტერბურგის კომიტეტის სტამბაში. არასრულად გადაიბეჭდა მოსკოვის კომიტეტის სტამბაში. № 2-დან «სახელდახელო ფურცლები» ჰექტოგრაფზე იბეჭდებოდა.

«რ ა ბ ო ჩ ი» — არალეგალური პოპულარული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; პარტიის III ყრილობის დადგენილებით უშვებდა რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტი 1905 წლის აგვისტო—ოქტომბერში. — 381.

245 ჰენშეევიკური «ისკრის» ამ შენიშვნის შესახებ ლენინი წერდა სტატიაში «ჩ ვ ე ნ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი ს ა ქ მ ე ე ბ ი ს გ ა ც ნ ო ბ ა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ი ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ა თ ვ ი ს» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 273 — 274). — 382.

246 წერილში მოხსენიებული მარქსისტულ ჟურნალ «ზარიას» მეხუთე ნომერი მზადდებოდა, მაგრამ არ დაბეჭდილა. — 384.

247 ს. ი. გუსევის წერილის ნაწყვეტები დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 20-ში 1905 წლის 10 ოქტომბერს (27 სექტემბერს). წერილს წამძღვარებული ჰქონდა ლენინის მიერ დაწერილი სარედაქციო წინასიტყვაობა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 413). — 386.

248 მ ა ლ ი ხ ი, მ. ა. — ლეგალური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გამომცემელი 1905 წელს. — 389.

249 რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს I V (გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ებ ე ლ ი) ყ რ ი ლ ო ბ ა ვაიმართა 1906 წ. 10 — 25 აპრილს (23 აპრილს — 8 მაისს) სტოკჰოლმში. — 390.

250 1905 წლის 26 აგვისტოს (8 სექტემბერს) ფინეთის ნაპირებთან მეჩეჩზე დაჯდა გემი «John Grafton» («ჯონ გრაფტონი»), რომლითაც გადაჰქონდათ იარაღი რევოლუციური მიზნებისათვის. იარაღის ნაწილი გადაზიდულ იქნა ნაპირზე, რის შემდეგაც ეკიპაჟმა გემი ააფეთქა. — 392.

251 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 409 — 412. — 395.

252 იგულისხმება მუშათა საყოველთაო გაფიცვა მოსკოვში. — 398.

253 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 137 — 261. — 399.

254 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 462—466. — 402.

255 ლაპარაკია ა. ბოგდანოვსა, ვ. ბაზაროვსა და ა. ლუნაჩარსკიზე. —413

256 ვისი იყო ეს შერქმეული სახელები, ამის გამორკვევა ვერ მოხერხდა. — 416.

257 «ორი ყრილობის», უმრავლესობისა და უმცირესობის ყრილობების «ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე ადგილას» მოწვევის საჰიროების შესახებ ლენინი წერდა რედაქციის შენიშვნაში, რომელიც დაიბეჭდა «პროლეტარის» № 20-ში 1905 წლის 10 ოქტომბერს (27 სექტემბერს) (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 403—404). — 417.

258 ლენინი დელეგირებული იყო საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე შტუტგარტში (1907 წლის აგვისტო) რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1907 წლის 16 (29) ივლისის დადგენილებით.

ა. მ. გორკი შტუტგარტის კონგრესს არ დასწრებია. — 418.

259 ლაპარაკია ა. ვ. ლუნაჩარსკის ბროშურაზე პროფესიული კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ. ბროშურის გარჩევა და კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 193—203. — 419.

260 «ზ ა რ ნ ი ც ი» — ბოლშევიკური ლეგალური კრებული, გამოვიდა ერთი ნაკვეთი პეტერბურგში 1907 წელს. — 421.

261 ლაპარაკია ლენინის ნაწარმოებთა კრებულის «1 2 წ ლ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე» პირველი ტომის შესახებ. ტომი გამოიცა 1907 წლის ნოემბერში (გარეკანზე აღნიშნულია 1908 წელი) პეტერბურგში. ლენინის წინასიტყვაობა კრებულისა «12 წლის მანძილზე» იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 106—130. — 423.

262 რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის დროს (1907 წლის 30 აპრილი — 19 მაისი (13 მაისი — 1 ივნისი)) პარტიის მჭიმე ფინანსური მდგომარეობის გამო ა. მ. გორკის დახმარებით ერთი ინგლისელისაგან აღებულ იქნა სესხი იმ პირობით, რომ ვალი გადახდილი იქნებოდა 1908 წლის 1 იანვრისათვის. ეს ვალი ბოლშევიკურმა პარტიამ გადაიხადა 1922 წელს. — 426.

263 ნ. ა. სემაშკო დაპატიმრებულ იქნა ჟენევაში 1908 წლის იანვრის დამლევს. ლენინის განცხადება დაიბეჭდა გაზეთ «Berner Tagwacht»-ის («ბერნის გუშაგი») № 29-ში 1908 წლის 5 თებერვალს. — 428.

264 ანონსი — განცხადება ბოლშევიკურ გაზეთ «პროლეტარის» გამოსვლის შესახებ, დაიბეჭდა ცალკე ფურცლად. განცხადებაში ნათქვამი იყო გამოცემის რუსეთიდან ჟენევაში გადატანის, გაზეთის გამოსვლის ვადების, თანამშრომელთა შემადგენლობის, ხელმოწერის პირობების შესახებ. — 429.

265 «შენიშვნები მეშჩანობის შესახებ» ა. მ. გორკისა დაიბეჭდა ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «ნოვაია ჟიზნში» 1905 წლის ოქტომბერ — ნოემბერში — 429.

266 ლაპარაკია ა. მ. გორკის ნავარაუდევ გამოსვლაზე პრესაში იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში დააპატიმრეს ნ. ა. სემაშკო. — 431.

267 ლენინი მუშაობდა გაზეთ «პროლეტარის» გამოშვებაზე, რომლის გამოცემა 1907 წლის დამლევს გადატანილ იქნა ფინეთიდან ჟენევაში. — 431.

268 კვაკალა — ირონიული სახელწოდება დაბისა ფინეთში — კუოკალასი, სადაც ლენინი ცხოვრობდა 1907 წლის მაის — ნოემბერში. — 432.

269 იგულისხმება ე. ფერის — იტალიის სოციალისტური პარტიის მაშინდელი ცენტრისტული უმრავლესობის ხელმძღვანელის — უარი პარტიის ცენტრალური ორგანოს «Avanti!»-ს რედაქტირებაზე. — 436.

270 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ნავარაუდევ შეხვედრაზე საზღვარგარეთ მყოფ ა. ბოგდანოვთან და მის მომხრეებთან, რაც უნდა მომხდარიყო ა. მ. გორკის ინიციატივით. შეხვედრა მოხდა 1908 წლის აპრილში, როცა ვ. ი. ლენინმა ა. მ. გორკი ინახულა კუნძულ კაპრიზე. ამ შეხვედრას ლენინი იხსენიებს კაპრის პარტიული სკოლის მოწაფეებისათვის 1909 წ. 30 აგვისტოს (ახ. სტ.) გაგზავნილ წერილში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 581). — 436.

271 ლენინს მხედველობაში აქვს ჯგუფი ემპირიოკრიტიკოსებისა და ემპირიომონისტებისა, მახისა და ავენარიუსის რეაქციული, იდეალისტური ფილოსოფიის მომხრეებისა: ა. ბოგდანოვი, ვ. ბაზაროვი, ა. ლუნაჩარსკი. — 438.

272 ლაპარაკია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე ლენინის მიწვევის შესახებ. — 440.

273 ლაპარაკია ჟურნალზე, რომლის გამოცემასაც ვარაუდობდა ა. მ. გორკი; ჟურნალის გამოცემა არ განხორციელებულა. — 442.

274 იგულისხმება წიგნი «მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი დ ა ე მ პ ი რ ი ო კ რ ი ტ ი ც ი ზ მ ი», რომელსაც ლენინი იმ დროს წერდა. — **443.**

275 «რ ე ვ ე უ ლ ე ბ ი» — «რიგითი მარქსისტის შენიშვნები ფილოსოფიაზე» — ნაშრომი, რომელიც ლენინმა 1906 წელს დაწერა ა. ბოგდანოვის წიგნის «ემპირიომონიზმის» შესახებ (ნაკვ. III). «შენიშვნების» შესახებ ლენინი უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს ა. მ. გორკისათვის 1908 წლის 25 თებერვალს (ახ. სტ.) გაგზავნილ წერილში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 567, 568). — **447.**

276 ბ ც — ბოლშევიკური ცენტრი, არჩეული რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის მიერ 1907 წელს. — **447.**

277 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატია «მ ა რ ქ ს ი ზ მ ი დ ა რ ე ვ ი ზ ი ო ნ ი ზ მ ი», რომელიც დაიბეჭდა კრებულში «კარლ მარქსი (1818 — 1883)». ამ სტატიაში ლენინი პირველად გამოვიდა პრესაში ბოგდანოვის, ბაზაროვისა და სხვ. ფილოსოფიის მკვეთრი კრიტიკით (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 19 — 32). — **447.**

278 ეს წერილი აღმოჩენილი არ არის. — **449.**

279 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი წიგნი «მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი დ ა ე მ პ ი რ ი ო კ რ ი ტ ი ც ი ზ მ ი. კ რ ი ტ ი კ უ ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი ე რ თ რ ე ა ქ ც ი უ ლ ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ზ ე», რომელიც 1909 წლის მაისში გამომცემლობა «ზვენომ» მოსკოვში გამოსცა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 14, გვ. 5 — 461). — **452.**

280 წერილი არის ლენინის პასუხი მენშევიკ-მახისტ იუშკევიჩისადმი, რომელიც ლენინს სთავაზობდა ეთანამშრომლა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ კრებულებში. — **453.**

281 ცნობა («შენიშვნა») ლენინის წიგნის «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმის» გამოსვლის შესახებ დაბეჭდილი იყო ჟურნალ «Die Neue Zeit»-ის № 2-ში 1909 წლის 8 ოქტომბერს (ახ. სტ.). — **454.**

282 იგულისხმება რ. ლუქსემბურგის სტატია «რევოლუციური გაბრუება», რომელიც დაიბეჭდა გაზეთ «პროლეტარის» № 44-ში 1909 წლის 8 (21) აპრილს. — **454.**

283 ლაპარაკია იმ პოზიციის შესახებ, რომელიც კაუცკის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს 1908 წლის 11 ოქტომბრის (ახ. სტ.) სხდომაზე

ეკავა II ინტერნაციონალში ინგლისის მუშათა პარტიის მიღების სა. კითხში. ამის შესახებ იხ. ლენინის სტატიაში «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15. გვ. 278 — 286). — **455.**

284 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 574 — 575. — **456.**

285 ლაპარაკია მენშევიკურ-ლიკვიდატორულ გაზეთ «პრავდაზე» (ვენის). ტროცკის ფრაქციულ ორგანოზე — **456.**

286 «Georgien» («ქართველი») — ვისზეა ლაპარაკი, გამორკვეული არ არის. — **458.**

287 აქ ლაპარაკია გაზეთ «პროლეტარის» მორიგი 47 — 48 ნომრის შინაარსის შესახებ. ნომერში დაბეჭდილი იყო ლენინის სტატიები: «მხილებული ლიკვიდატორები», «მოსკოვის საოლქო კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის ღია წერილის გამო», «პეტერბურგის არჩევნებისათვის» და ნომრის დამატებაში — სტატია «ოტზოვიზმისა და ღვთიმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ» (იხ. თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 1 — 64). — **458.**

288 იგულისხმება ლენინის წერილი კაპრის პარტიული სკოლის მოწაფეებისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 578 — 586). — **460.**

289 იხ. ლენინის სტატია «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 20— 64). — **460.**

290 ლაპარაკია გაზეთ «პროლეტარზე». — **465.**

291 ეს დოკუმენტი პროექტია ვ. ი. ლენინის წერილისა კ. კაუცკის, ფ. მერინგისა და კ. ცეტკინისადმი — «შემნახველებისადმი», რომლებსაც გარკვეული პირობებით, რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად, გადაეცათ ბოლშევიკური ფრაქციის ფულადი ქონება. ამის შესახებ იხ. ლენინის სტატია ««შემნახველთა» სამედიატორო სასამართლოს შედეგები» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 434 — 436). — **472.**

292 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმ პარტიის ყრილობები: IV (გამაერთიანებელი), რომელიც შედგა სტოკჰოლმში 1906 წლის 10 — 25 აპრილს (23 აპრილს — 8 მაისს), და V (ლონდონის), რომელიც შედგა 1907 წლის 30 აპრილს — 19 მაისს (13 მაისს — 1 ივნისს). — **472.**

293 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია რსდმ პარტიის მეხუთე (საერთო-რუსეთის) კონფერენციისა, რომელმაც დაგმო ლიკვიდატორობა (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1940, გვ. 125). — **473.**

294 «რ ა ს ი ნ ე ბ ე ბ თ?» — გამოთქმა, რომელიც გ. ვ. პლეხანოვმა იხმარა მენშევიკ-ლიკვიდატორთა გაზეთის «გოლოს სოციალ-დემოკრატას» მიმართ. — **473.**

295 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია «საქმეთა მდგომარეობა პარტიაში», რომელიც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1910 წლის იანვარში მიიღო (იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1940, გვ. 154 — 155). ამ რეზოლუციის კრიტიკული გარჩევა ლენინს მოცემული აქვს სტატიაში «პუბლიცისტის შენიშვნები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 265 — 295). — **474.**

296 «სოციალ-დემოკრატის» 1910 წლის 23 მარტის (5 აპრილის) № 12-დან ცალკე ანაბეჭდად გამოშვებულ იქნა ლენინის სტატია «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ (პასუხად «გოლოს სოციალ-დემოკრატას»)» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 188 — 199). — **476.**

297 ლაპარაკია რეზოლუციაზე, რომელიც 1910 წლის 4 აპრილს მიიღეს (პარიზში მყოფმა) მენშევიკმა-პარტიელებმა ლიკვიდატორულ გაზეთ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» დახურვის საჭიროების შესახებ რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილების თანახმად. — **479.**

298 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 254 — 255. — **481.**

299 აქ და ქვემოთ (იხ. გვ. 494, 496) ლაპარაკია ბოლშევიკურ «რაბოჩაია» გაზეტას» საზღვარგარეთ გამოცემის ორგანიზების შესახებ. — **486.**

300 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 468 — 492. — **487.**

301 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 493 — 528. — **488.**

302 ი. ი. მარხლევსკის (კარსკის) სტატია მარტოვის წინააღმდეგ, ლენინის დამატებებით, დაიბეჭდა ჟურნალ «Die Neue Zeit»-ის № 4-ში 1910

წლის 28 ოქტომბერს (ახ. სტ.) სახელწოდებით «Ein Mißverständnis» («გაუგებრობა»). — 488.

303 იგულისხმება რ. ლუქსემბურგის პოლემიკა კ. კაუცკისთან გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის საკითხზე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მაგდებურგის ყრილობაზე, რომელიც 1910 წლის 18 — 24 სექტემბერს (ახ. სტ.) მიმდინარეობდა, პრუსიაში საარჩევნო რეფორმისათვის ბრძოლის საშუალებად მიღებულ იქნა პირველი ნაწილი რ. ლუქსემბურგის მიერ წარდგენილი რეზოლუციისა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის აღიარების შესახებ; რეზოლუციის ნაწილი, რომელზეც ლენინი წერს, ეხებოდა საყოველთაო გაფიცვის პროპაგანდის საკითხს.

ვ. ი. ლენინის წერილი როზა ლუქსემბურგისადმი აღმოჩენილი არ არის. — 489.

304 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 562. — 489.

305 კ ვ ე ს ე ლ ი, ლ. — გერმანელი სოციალ-დემოკრატი, უკიდურესი ოპორტუნისტი, რომელიც პრესაში გამოდიოდა 1905 წლის რევოლუციის ოპორტუნისტული შეფასებით. — 489.

306 ამ და შემდეგ წერილში (194) ლენინი წერს ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალის «მისლის» გამოცემის მომზადების შესახებ. — 495.

307 ««ვ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა «რ ა ბ ო ჩ ა ი ი ა გ ა ზ ე ტ ა ს» გ ა მ ო ც ე მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 361 — 369. — 496.

308 საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის დროს კოპენჰაგენში (1910 წლის 28 აგვისტო — 3 სექტემბერი (ახ. სტ.)) ვ. ი. ლენინმა გ. ვ. პლეხანოვთან ერთად გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას გადასცა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში გაზეთ «Vorwärts»-ში გამოქვეყნებული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში არსებული მდგომარეობის შესახებ ანონიმური ცილისმწამებლური სტატია, რომლის ავტორი ტროცკი იყო.

ტროცკის ცილისწამების წინააღმდეგ ლენინმა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 17-ში 1910 წლის 25 სექტემბერს (8 ოქტომბერს) დაბეჭდა სტატია «იმის შესახებ, თუ როგორ აცნობს ზოგიერთი სოციალ-დემოკრატი ინტერნაციონალს რსდმ პარტიის საქმეთა მდგომარეობას», აგრეთვე «დისკუსსიონნი ლისტოკის» № 3-ში 1911 წლის

29 აპრილს (12 მაისს) სტატია «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 355 — 358, 468 — 492). — **497.**

309 ლაპარაკია ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის «ზვეზდის» გამოცემის შესახებ. — **497.**

310 «ზ ნ ა ნ ი ე» — წიგნის გამომცემლობა, დაარსებული 1898 წელს პეტერბურგში ლიტერატორთა ჯგუფის მიერ; შემდეგში ამ გამომცემლობაში ახლო მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი. — **497.**

311 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 460 — 467. — **505.**

312 ლ ი ა ხ ო ვ ი, ვ. — მეფის არმიის პოლკოვნიკი; სარდლობდა რუსეთის ჯარებს, რომლებიც 1908 წელს რევოლუციურ მოძრაობას ახშობდნენ სპარსეთში. — **506.**

313 როგორც ჩანს, ლენინს მხედველობაში აქვს თავისი ნაშრომი «ა გ რ ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ი რ უ ს ე თ შ ი XIX ს ა უ კ უ ნ ი ს დ ა მ ლ ე ვ ს», რომელიც 1908 წელს დაწერა ძმების გრანატების ამხანაგობის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის. ცენზურის პირობების გამო ეს ნაშრომი ლექსიკონში არ გამოქვეყნებულა, და ლენინი, როგორც ეს წერილიდან ჩანს, აპირებდა გამოეშვა იგი წიგნის გამომცემლობა «ზნანიეში». ნაშრომის იმ დროს გამოცემა არ მოხერხდა. პირველად იგი 1918 წელს გამოსცა მოსკოვში ცალკე ბროშურად წიგნის გამომცემლობამ «ჟიზნ ი ზნანიე» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 69 — 163). — **507.**

314 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 408 — 410. — **508.**

315 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 239 — 323). — **512.**

316 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 493 — 528. ტომი 17, გვ. 52 — 79. — **517.**

317 ნ ე მ ე ც ი, ა. — ჩეხიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. — **519.**

318 ლაპარაკია პრაღის 1912 წლის პარტიული კონფერენციის მომზადებაზე. — **519.**

ალფაბეტური მაჩვენებელი წერილების ტექსტში მოყვანილი ფსევდონიმების, მეტსახელების და ინიციალების გაშიფრვისა

ა. ა., ალ. ალ., ალ. ალ-ძე — ა. ა. ბოგდანოვი
ა. ვას., ან. ვას., ან. ვას-ძე, ანატ. ვას-ძე—ა. ვ. ლუნაჩარსკი
ა. მ-ძე, ალ. მ-ძე — ა. მ. გორკი
ა. ნ. — ა. ნ. პოტრესოვი
ან. — ა. ი. ელიზაროვა
ან. ალ. — ა. ა. ლუნაჩარსკაია
ა. პ. — ა. ნ. პოტრესოვი
აბსოლუტი — ე. დ. სტასოვა
აკიმი — ლ. ი. გოლდმანი
აკიმის ძმა — ბ. ი. გორევ-გოლდმანი
ალექსანდრე — ა. ი. კრემერი
ალექსანდროვი — დ. ს. პოსტოლოვსკი
ალექსი — ი. ო. მარტოვი
ანდრეევსკი — დ. ი. ულიანოვი
არსენიევი — ა. ნ. პოტრესოვი

ბ. — ს. ვ. ანდროპოვი
ბ. ნ. — ვ. ა. ნოსკოვი
ბალალაიკინი — ლ. ტროცკი
ბარონი — ე. ე. ესენი
ბარსოვი — მ. გ. ცხაკაია
ბელტოვი — გ. ვ. პლეხანოვი
ბერგი — ი. ო. მარტოვი
ბოგდანი — ი. ვ. ბაბუშკინი
ბონჩი — ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი
ბორისი, ბორის ნიკოლოზის-ძე — ვ. ა. ნოსკოვი
ბოროდა — ვ. ა. დესნიცკი
ბროდიაგინი — მ. ა. სილვინი
ბრუსკოვი — ს. ვ. ანდროპოვი
ბრუტი — გ. მ. კრჟიჟანოვსკი
ბუნდისტი — კ. პორტნოი
ბიჩკოვი — პ. ნ. ლეპეშინსკი

B., G. — ც. კოპელზონი
B. V. — გ. ვ. პლეხანოვი
გალიოტკა — მ. ს. ოლმინსკი
განსი — გ. მ. კრჟიჟანოვსკი
გვოზდიოვი — რ. ე. ციმერმანი
GENOSSE — ო. ა. ერმანსკი
გლებოვი — ვ. ა. ნოსკოვი
გრაჩი — ნ. ე. ბაუმანი
გრიგოლი — გ. ზინოვიევი
გრიშინი — ც. კოპელზონი
გურვიჩი — თ. ი. დანი

დანევიჩი — ე. ლ. გურევიჩი
დანილა — დ. ი. ნოვომირსკი

დვინსკაია — ე. ს. ეტინგერ-დავიდსონი
დელტა — ე. დ. სტასოვა
დემენტიევი — ი. ბ. ბასოვსკი
დემონი — რ. ს. ზემლიაჩკა
დერევო — თ. ი. დანი
დომოვი — მ. ნ. პოკროვსკი
დიუბუა — დ. ს. პოსტოლოვსკი
დიადენკა, დიადინი — ლ. მ. კნიპოვიჩი

ეგენი — ი. კ. ვულპე
ეგორი — ი. ო. მარტოვი
ემბრიონი — ე. ვ. ბარამზინი
ერიომა — ა. ა. შნეერსონი
ერნსტი — ე. ხ. როლაუ

ვას. ვას., ვას. ვ-ძე, ვასილი ვასილის-ძე — მ. ს. ოლმინსკი
ვ. ი., ვ. ივ. — ვ. ი. ზასულიჩი
ვ. ი — ნ — ვ. პ. ივანშინი
ვ. უ. — ვ. ი. ლენინი
ვიაჩ. — ნ. ა. როეკოვი
ვადიმი — ვ. ა. ნოსკოვი
ვალენტინი — ლ. ე. გალპერინი
ვანია — ვ. პ. კრასნუხა
ვარვარა ივანეს ასული — ე. დ. სტასოვა
ვასილიევი — ფ. ვ. ლენგნიკი
ველიკა, ველიკა დმიტრიევნა — ვ. ი. ზასულიჩი
ვერნერი — ა. ა. ბოგდანოვი
ვინტერი — ლ. ბ. კრასინი
ვიშიბალო — ა. ს. ტოკარევი
ვლასი — ა. ე. რერიხი
ვოინოვი — ა. ვ. ლუნაჩარსკი
ვოლგინი — გ. ვ. პლეხანოვი
ვოლფი — ფ. ვ. ლენგნიკი

ზარინი — ფ. ვ. ლენგნიკი
ზვერევი, ზვერუშკა, ზვერი — მ. მ. ესენი
ზერნოვა — მ. მ. ესენი
ზომერი — ა. ი. ლიუბიმოვი

იაგლოჩკოვი — ვ. პ. ნოგინი
იაკობი — ს. ო. ცედერბაუმი
იგნატი — პ. ა. კრასიკოვი
იგორი — ბ. ი. გორევ-გოლდმანი
ილინი — ვ. ი. ლენინი
ინოკი, ინოკენტი — ი. ფ. დუბროვინსკი
ინსაროვი — ი. ხ. ლალაიანცი
ი. ო., იული, იული ოსიპის-ძე — ი. ო. მარტოვი
ისარი — დ. თოფურიძე
იუდა — პ. ბ. სტრუვე
იურდანოვი — ნ. ი. იორდანსკი
იური — პ. ა. ბრონშტეინი
იურიევი — მ. გ. ვეჩესლოვი

კ. — რ. ს. გალბერშტადტი
კამენსკი — გ. ვ. პლეხანოვი
კარელინი — ვ. ი. ზასულიჩი
კასიანი — ი. ი. რადჩენკო
KIROFF — ვ. ი. ზასულიჩი
კლეშჩი — ი. ი. ბიბიკოვი
კლერი — გ. მ. კრეიჟანოვსკი
კოლი — ფ. ვ. ლენგნიკი
კოლცოვი — ბ. ა. გინზბურგი
კონიაგა, კონიაგინი — ლ. ე. გალპერინი
კოსტროვი — ნ. ჟორდანია
კრასავეცი — ვ. ნ. კროხმალი
კურცი — ფ. ვ. ლენგნიკი

ლ. გრ. — ლ. გ. დეიჩი
ლ. მ. — ი. ო. მარტოვი
ლანიხა — ზ. პ. კრეიჟანოვსკაია

ლანი — გ. მ. კრეიქანოვსკი
ლეგედევი — ს. ი. გუსევი
ლიოვა — მ. კ. ვლადიმიროვი
ლეგკომისლენი — ა. ვ. ლუნა-ჩარსკი
ლიდინი — მ. ნ. ლიადოვი
ლიზა — მ. ნ. ლემანი
ლოშადი — ლ. ბ. კრასინი
ლიუბიჩი — ი. ა. სამერი

მ. — ნ. ე. ვილონოვი
მ. თ., მ. თეოდ. ასული — მ. თ. ანდრეევა
მაქსიმოვი — ა. ა. ბოგდანოვი
მარიამ თეოდორეს ასული — მ. თ. ანდრეევა
მარკი — ა. ი. ლიუბიმოვი
მარტუშა — ი. ო. მარტოვი
მარტინ, მარტინ ნიკოლოზის-ძე — მ. ნ. ლიადოვი — 285, 300, 302, 303
მარტინ — ვ. ნ. როზანოვი — 218, 221, 242
მატრიონა — პ. გ. სმიდოვიჩი
მედვედი — მ. ი. ულიანოვა
მეიერი, MEYER — ვ. ი. ლენინი
მეშკოვსკი — ი. პ. გოლდენბერგი
მინონოსეცი — ა. ვ. ლუნაჩარსკი
მიტროფანი, მიტროფანოვი — ფ. ვ. გუსაროვი
მიხეილი — ნ. ე. ვილონოვი — 462, 463, 467, 476
მიხეილი — ი. ა. ისუკი — 482
მონახი — ა. ი. ერამასოვი
მონისტი — გ. ვ. პლეხანოვი
მიშა — პ. ი. კულიაბკო
მიამლინი — ა. მ. ესენი

ნ. ბ. — ხ. ქიტლოვსკი
ნ. ი. — ნ. ი. იორდანსკი
ნიკ. ივ. — ი. ხ. ლალაიანცი
ნ. — ონი — ნ. ფ. დანიელსონი
ნადიოჟა — თ. ი. დანი
ნადია — ნ. კ. კრუპსკაია
ნატალია ივანეს ასული — ე. ბ. ალექსანდროვა
ნაცია — ს. ი. გუსევი
ნევზოროვი — ი. მ. სტეკლოვი
ნიკიტიჩი — ლ. ბ. კრასინი
ნიკოლოზი — ე. ხ. როლაუ
ნილი — ვ. ა. ნოსკოვი
ნინა ლვოვნა — მ. მ. ესენი
ნიშჩი — ო. ი. ვინოგრადოვა
ნოვიცკაია — ი. ვ. ბაბუშკინი
ნოვოგრანცევი — ა. ვ. პეშეხონოვი

ოლინი — პ. ნ. ლეპეშინსკი
ონა — ბ. ი. გორევ-გოლდმანი
2ვ3ბ — პ. ნ. ლეპეშინსკი
ორლოვსკი — ვ. ვ. ვოროვსკი
ორტოდოქსი — ლ. ი. აქსელროდი
ოშა — ლ. ნ. რადჩენკო
ოსიპოვი — რ. ს. ზემლიაჩკა

პ. — ვ. პ. ნოგინი
პ. ა., პ. ანდრ. — პ. ა. კრასიკოვი
პ. ბ. — პ. ბ. აქსელროდი — 47, 71, 80, 85, 98
პ. ბ., პ. ბ-ძე — პ. ბ. სტრუვე — 19, 20, 21, 29
პავლოვიჩი — პ. ა. კრასიკოვი
პანკრატი — პ. ა. კრასიკოვი
პაპაშა — მ. მ. ლიტვინოვი
პახომი — ი. ო. მარტოვი
პახომის ძმა — ს. ო. ცედერბაუმი
პერო — ლ. ტროცკი
პეტროვი, PETROFF — ვ. ი. ლენინი

პოვარი — ფ. ი. შჩეკოლდინი
პოლეტაევი — ნ. ე. ბაუმანი
«პრაქტიკოსი» — ი. ფ. დუბროვინსკი
პუტმანი — ა. ნ. პოტრესოვი

ქაკი — ე. მ. ალექსანდროვა
ქოზეფინა — ვ. ვ. ვოროვსკი
ქორეი — გ. ვ. პლეხანოვი

რ. ნ. ს. — პ. ბ. სტრუვე
რაზნოცვეტოვი — ი. ს. ბლიუმენფელდი
რახმეტოვი — ა. ა. ბოგდანოვი
რახმეტოვა — ნ. ბ. ბოგდანოვა
რაშიდ-ბეგი — ა. გ. ზურაბოვი
რეინერტი — ა. ა. ბოგდანოვი
როზა — რ. ლუქსემბურგი
რომანი — კ. მ. ერმოლაევი
რუ — ლ. ე. გალპერინი
რუბენი — ბ. მ. კნუნიანცი
რუსალკა — მ. ნ. ლიადოვი
რიადოვოი — ა. ა. ბოგდანოვი

სამოვაროვი — ვ. პ. ნოგინი
სერაფიმა — ს. ნ. აფანასიევა
სერბი პეტრეს-ძე — პ. ა. კრასიკოვი
სიმონოვი — ვ. ა. გუტოვსკი
სკალდინი — ფ. პ. ელენევი
სმიტი — გ. მ. კრეიჟანოვსკი
სოკოლი — მ. მ. ესენი
სოკოლოვსკი — მალკინი
სტანისლავი — ა. ვ. სოკოლოვი
სტარიკი — ვ. ი. ლენინი
სტაროვერი — ა. ნ. პოტრესოვი
სტროევი — ვ. ა. დესნიცკი
სისოიკა — ა. ა. ბოგდანოვი
სიურტუკი — ვ. ლ. კოპი

ტელიონოკი — პ. ბ. სტრუვე
ტიოტკა — ვ. ი. ზასულიჩი — 50
ტიოტკა — ა. მ. კალმიკოვა — 177
ტრავინსკი — გ. მ. კრეიჟანოვსკი
ტრია — ვ. დ. მგელაძე
ტუ — რა — ა. მ. სტოპანი

უფროსი და — ვ. ი. ზასულიჩი

ფელიქსი — მ. მ. ლიტვინოვი
ფელდი — ი. ს. ბლიუმენფელდი
ფრეი — ვ. ი. ლენინი
ფრედი — მ. კ. ვლადიმიროვი

შვარცი — ვ. ვ. ვოროვსკი
შმიდტი — პ. პ. რუმიანცევი
შპილკა — პ. ა. კრასიკოვი

ცაპლია — ე. დ. სტასოვა
ცვეტოვი — ი. ს. ბლიუმენფელდი
ცხოვრების მოძღვარი — ე. ი. სპონტი

წიგნის გამყიდველი — ა. ნ. პოტრესოვი

ხ. — ლ. მ. კნიპოვიჩი
ხარიტონი — ს. ი. გუსევი

Ъ/Э — ლ. ე. გალპერინი

ZZ — ი. ხ. ლალაიანცი

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1895 წ.

1. პ. ბ. აქსელროდს. ნოემბრის დამდეგი . 1—3
2. პ. ბ. აქსელროდს. შუა ნოემბერი . . 4—5

1897 წ.

3. პ. ბ. აქსელროდს. 16 აგვისტო . . . 6—7

1898 წ.

4. ა. ნ. პოტრესოვს. 2 სექტემბერი 8—10

1899 წ.

5. ა. ნ. პოტრესოვს. 26 იანვარი . . . 11—16
6. ა. ნ. პოტრესოვს. 27 აპრილი . . . . 17—24
7. ა. ნ. პოტრესოვს. 27 ივნისი . . . . 25—31

1900 წ.

8. *** 5 სექტემბერი . . . . . 32—36
9. ნ. კ. კრუპსკაიას. სექტემბერი . . . 37—41
10. ა. ა. იაკუბოვას. 26 ოქტომბერი . . . 42—46

1901 წ.

11. ბ. ვ. პლეხანოვს. 30 იანვარი . 47—49
12. პ. ბ. აქსელროდს. 20 მარტი . 50—52
13. პ. ბ. აქსელროდს. 25 აპრილი 53—58

14. ნ. ე. ბაუმანს. 24 მაისი . . . 59 — 60
15. პ. ბ. აქსელროდს. 25 მაისი . . . 61 — 64
16. ლ. მ. ქნიპოვიჩს. 28 მაისი . . . 65
17. «ისკრის» ხელშემწყობ ჯგუფს. 5 ივნისი . . . 66
18. ლ. ე. გალპერინს. ივნისი, 18-ის შემდეგ . . . 67 — 68
19. ნ. ე. ბაუმანს. 26 ივნისი . . . 69 — 70
20. გ. ვ. პლეხანოვს. 7 ივლისი . . . 71 — 73
21. ს. ო. ცედერბაუმს. ივლისის მეორე ნახევარი . . . 74 — 78
22. გ. ვ. პლეხანოვს. 25 ივლისი . . . 79 — 81
23. პ. ბ. აქსელროდს. 26 ივლისი . . . 82 — 83
24. გ. ვ. პლეხანოვს. 30 ივლისი . . . 84 — 85
25. გ. ვ. პლეხანოვს. 21 ოქტომბერი . . . 86
26. გ. ვ. პლეხანოვს. 2 ნოემბერი . . . 87 — 88
27. ისკრულ ორგანიზაციებს რუსეთში. შუა დეკემბერი . . . 89 — 91
28. ი. გ. სმიდოვიჩს. 18 დეკემბერი . . . 92 — 93

1902 წ.

29. ლ. ი. გოლდმანს. 3 იანვარი . . . 94 — 95
30. გ. ვ. პლეხანოვს. 7 თებერვალი . . . 96 — 97
31. გ. ვ. პლეხანოვს. 4 აპრილი . . . 98 — 100
32. პ. ბ. აქსელროდს. 3 მაისი . . . 101 — 102
33. გ. მ. კრჟიჟანოვსკის. 6 მაისი . . . 103 — 104
34. გ. ვ. პლეხანოვს. 14 მაისი . . . 105
35. გ. ვ. პლეხანოვს. 23 ივნისი . . . 106 — 107
36. გ. დ. ლეიტეიზენს. 24 ივლისი . . . 108 — 109
37. ჩ — ს. 2 აგვისტო . . . 110 — 112
38. ვ. ა. ნოსკოვს. 4 აგვისტო . . . 113 — 118
39. ე. ი. ლევინს. 22 აგვისტო . . . 119 — 120
40. ვ. პ. კრასნუხას და ე. დ. სტასოვას. 24 სექტემბერი . . . 121 — 122
41. პ. ა. კრასიკოვს. ნოემბერი . . . 123 — 124
42. ვ. ი. ლევინს. დეკემბერი, არა უადრეს 11-ისა . 125 — 128
43. გ. ვ. პლეხანოვს. 14 დეკემბერი . . . 129 — 131
44. ვ. ი. ლავროვს და ე. დ. სტასოვას. 27 დეკემბერი . . . 132 — 133
45. ფ. ვ. ლენგნიკს. 27 დეკემბერი . . . 134 — 135

1903 წ.

46. ი. ვ. ბაბუშკინს. 6 იანვარი . 136 — 137
47. ე. დ. სტასოვას. 15 იანვარი . 138 — 139
48. ხარკოვის კომიტეტს. 15 იანვარი . 140 — 141
49. ე. დ. სტასოვას. 16 იანვარი . 142
50. ი. ვ. ბაბუშკინს. 16 იანვარი . 143 — 144
51. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 27 იანვარი . 145 — 147
52. რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირს საზღვარ-
გარეთ. 4 ან 5 თებერვალი . 148 — 149
53. ი. ო. მარტოვს. 5 თებერვალი . 150 — 152
54. ნიჟნი-ნოვგოროდის კომიტეტს. თებერვალი,
25-ზე ადრე . 153 — 154
55. საორგანიზაციო კომიტეტს. 5 ან 6 მარტი . 155 — 156
56. საორგანიზაციო კომიტეტს. 6 და 9 მარტს
შუა . 157 — 158
57. ბ. ვ. პლეხანოვს. 13 მარტი . 159 — 160
58. საორგანიზაციო კომიტეტს. 31 მარტი . 161
59. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 3 აპრილი . 162 — 163
60. საორგანიზაციო კომიტეტს. 6 აპრილი . 164 — 165
61. ე. მ. ალექსანდროვას. მაისი, 22-ის შემდეგ . 166 — 170
62. ა. მ. კალმიკოვას. 7 სექტემბერი . 171 — 176
63. ა. ნ. პოტრესოვს. 13 სექტემბერი . 177 — 180
64. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 10 და 14 სექტემბერს
შუა . 181 — 182
65. ა. მ. კალმიკოვას. 30 სექტემბერი . 183 — 185
66. ოდესის კომიტეტს. 2 ოქტომბერი . 186 — 187
67. ი. ო. მარტოვს. 6 ოქტომბერი . 188 — 189
68. ბ. დ. ლეიტეიზენს. 10 ოქტომბერი . 190 — 191
69. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 20 ოქტომბერი . 192 — 194
70. კავკასიის კავშირის კომიტეტს. 20 ოქტომ-
ბერი . 195 — 196
71. დონის კომიტეტს. ოქტომბერი . 197
72. სამთამადნო მუშათა კავშირს. ოქტომბერი . 198 — 199
73. ბ. ვ. პლეხანოვს. 1 ნოემბერი . 200 — 201
74. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 4 ნოემბერი . 202 — 203
75. ცენტრალურ კომიტეტს. 4 ნოემბერი . 204
76. ვ. ა. ნოსკოვს და ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 5 ნო-
ემბერი . 205
77. ბ. ვ. პლეხანოვს 6 ნოემბერი . 206 — 207

78. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 8 ნოემბერი . 208 — 209
79. მ. ნ. ლიადოვს. 10 ნოემბერი 210 — 216
80. ბ. ვ. პლეხანოვს. 18 ნოემბერი 217
81. ცენტრალურ კომიტეტს. 10 დეკემბერი 218 — 219
82. «ისკრის» რედაქციას. 12 დეკემბერი 220 — 221
83. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 18 დეკემბერი . 222 — 225
84. ნ. ე. ვილონოვს. დეკემბერი, არა უგვიანეს 22-ისა . . . . . 226 — 230
85. ცენტრალურ კომიტეტს. 22 დეკემბერი . 231 — 232
86. «ისკრის» რედაქციას. 27 დეკემბერი . . 233 — 234
87. ცენტრალურ კომიტეტს. 30 დეკემბერი 235 — 238

1904 წ.

88. ცენტრალურ კომიტეტს. 2 იანვარი . . 239 — 240
89. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 4 იანვარი . . 241 — 244
90. «ისკრის» რედაქციას. 8 იანვარი . . . . 245 — 246
91. პარტიის საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ვ. პლეხანოვს. 23 იანვარი . . . . . 247 — 248
92. პარტიის საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ვ. პლეხანოვს. 27 იანვარი . . . . . 249 — 250
93. ცენტრალურ კომიტეტს. 31 იანვაოი . . 251 — 253
94. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 2 და 7 თებერვალს შუა 254 — 255
95. ცენტრალურ კომიტეტს. თებერვლის მეორე ნახევარი . . . . . 256 — 258
96. რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანოს რედაქციას. 26 თებერვალი 259
97. ცენტრალურ კომიტეტს. 13 და 14 მარტი . 260 — 261
98. პპს-ის ცენტრალურ კომიტეტს. 7 აპრილი . 262
99. ფ. ვ. ლენგნიკს. 26 მაისი 263
100. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. მაისი, არა უადრეს 26-ისა 264 — 265
101 ლ. ბ. კრასინს. მაისი, არა უადრეს 26-ისა . 266 — 267
102 ე. დ. სტასოვას და ფ. ვ. ლენგნიკს. 19 ივნისი . 268 — 269
103. პარტიის საბჭოს მდივანს ი. ო. მარტოვს. 10 აგვისტო . . . . . 270 — 271
104. მ. ძ. ვლადიმიროვს. 15 აგვისტო . . 272 — 274
105. «ისკრის» რედაქციას. 24 აგვისტო . . . 275 — 276
106. უმრავლესობის კომიტეტების წევრებს და უმრავლესობის ყველა აქტიურ მოამხრეს რუსეთში. 28 აგვისტოს ახლო ხანებში 277

107. ვ. ა. ნოსკოვს. 30 აგვისტო . . . 278
108. ვ. ა. ნოსკოვს. 30 ან 31 აგვისტო . . . 279 — 280
109. ვ. ა. ნოსკოვს. 2 სექტემბერი . . . 281
110. პარტიის საბჭოს მდივანს ი. ო. მარტოვს. 2 სექტემბერი . . . . . 282 — 283
111. პარტიის საბჭოს მდივანს ი. ო. მარტოვს. 7 სექტემბერი 284
112. სამხრეთის კომიტეტების კონფერენციის მონაწილეებს და სამხრეთის ბიუროს. ოქტომბერი, 5-ის შემდეგ 285
113. უმრავლესობის კომიტეტებს. ოქტომბერი, 5-ის შემდეგ 286
114. ციმბირის კომიტეტს. 30 ოქტომბერი . 287 — 292
115. ა. მ. სტოპანის. 10 ნოემბერი . . 293 — 295
116. ა. ა. ბოგდანოვს. 21 ნოემბერი . 296 — 298
117. ნ. კ. კრუპსკაიას. 3 დეკემბერი . . 299 — 301
118. ა. ა. ბოგდანოვს, რ. ს. ზემლიაჩკას, მ. მ. ლიტვინოვს. 3 დეკემბერი . . . . . 302 — 305
119. რ. ს. ზემლიაჩკას. 10 დეკემბერი . . 306 — 309
120. კავკასიის კავშირის კომიტეტს. დეკემბერი, 12-ის შემდეგ . . . . . 310 — 311
121. კავკასიის კავშირის კომიტეტს. 20 დეკემბერი 312
122. მ. მ. ესენს. 24 დეკემბერი . . . 313
123. რ. ს. ზემლიაჩკას. 26 დეკემბერი . . 314 — 315
124. ა. ი. ერამასოვს. დეკემბრის დამლევი . 316 — 317
125. მ. მ. ლიტვინოვს. დეკემბერი . . . 318 — 321
126. რსდმ პარტიის პეტერბურგის ორგანიზაციას. ოქტომბერ-დეკემბერი 322

1905 წ.

127. წერილი ამხანაგს რუსეთში. 6 იანვარი . 323 — 326
128. რ. ს. ზემლიაჩკას. იანვრის დამდეგი . 327 — 328
129. უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს მდივანს. 29 იანვარი . . . . . 329 — 330
130. ა. ბებელს. 7 თებერვალი . . 331
131. ს. ი. გუსევს. 15 თებერვალი . 332 — 333
132. ს ი. გუსევს 25 თებერვალი 334

133. ს. ი. გუსევს. მარტის დამდეგი . 335 — 337
134. ს. ი. გუსევს. 11 მარტი . . 338 — 340
135. ს. ი. გუსევს. 16 მარტი . . . 341 — 343
136. რსდმ პარტიის ოდესის კომიტეტს. 25 მარტი . 344 — 345
137. ს. ი. გუსევს. 4 აპრილი . . 346 — 347
138. ო. ი. ვინოგრადოვას. 8 აპრილი . . 348 — 349
139. საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს. 8 ივლისი . . . . . 350 — 351
140. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. 11 ივლისი . . . . . 352 — 354
141. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. 12 ივლისი . . . . . 355 — 357
142. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. 28 ივლისი . . . . . 358 — 361
143. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 2 აგვისტო . . . 362 — 364
144. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. 14 აგვისტო . . . . . 365 — 367
145. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 15 და 19 აგვისტოს შუა 368 — 370
146. ბ. ნ. ლეპეშინსკის. 29 აგვისტო . . 371 — 374
147. ბ. ნ. ლეპეშინსკის. 29 აგვისტო . . 375
148. ა. ვ ლუნაჩარსკის. აგვისტოს დამლევი . 376 — 377
149. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. 7 სექტემბერი . . . . . 378 — 380
150. ბ. ა. კრასიკოვს. 14 სექტემბერი . . 381 — 384
151. ს. ი. გუსევს. 20 სექტემბერი . . 385 — 386
152. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. 3 ოქტომბერი . . . . . 387 — 388
153. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. 3 ოქტომბერი . . . . . 389 — 391
154. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 5 ოქტომბერი . . . . . 392 — 394
155. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 8 ოქტომბერი . . . . . 395 — 396
156. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 11 ოქტომბერი 397 — 400
157. ს. ი. გუსევს. 13 ოქტომბერი . 401 — 406
158. მ. მ. ესენს. 26 ოქტომბერი . 407 — 409
159. რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. 27 ოქტომბერი 410
160 ზ. ვ ბლეხანოვს. ოქტომბრის დამლევი 411 — 413

161. «ოდესის ორგანიზაციის «უმრავლესობის» წევრებს მოტიას და კოსტიას». ოქტომბრის ბოლო—ნოემბრის დამდეგი . . . 416—417

1907 წ.

162. ა. მ. გორკის. 14 აგვისტო 418
163. ა ვ. ლუნაჩარსკის. 2 და 11 ნოემბერს შუა 419—421

1908 წ.

164. ა. მ. გორკის. 9 იანვარი . . . . . 422—423
165. ა მ. გორკის და მ. თ. ანდრეევას. 15 იანვარი 424—425
166. ფ. ა. როტშტეინს. 29 იანვარი . . . 426—427
167. ა. მ. გორკის. 2 თებერვალი . . . . 428—430
168. ა. მ. გორკის. 7 თებერვალი . . . . 431—434
169. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 13 თებერვალი . . 435—436
170. ა. მ. გორკის. 13 თებერვალი . . . 437—439
171. ა. მ. გორკის. 16 მარტი 440
172. ა. მ. გორკის. 24 მარტი . . . . . 441—444
173. ა. მ. გორკის. აპრილის პირველი ნახევარი 445
174. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 16 აპრილი . . . 446
175. ა. მ. გორკის. 16 აპრილი . . . . 447—448
176. ა. მ. გორკის. 19 აპრილი . . . . 449—450
177. ვ. ვ. ვოროვსკის. 1 ივლისი . . . . 451—452
178. ბ. იუშკევიჩს. 10 ნოემბერი 453

1909 წ.

179. როზა ლუქსემბურგს. 18 მაისი . . . . 454—455
180. ა. ი. ლიუბიმოვს. 18 აგვისტო . . . 456—457
181. გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას. 24 აგვისტო . . . . . 458—459
182. ა. ი. ლიუბიმოვს. სექტემბრის დამდეგი . 460—461
183. ა. მ. გორკის. 16 ნოემბერი . . . . 462—464
184. ა. მ. გორკის. ნოემბერ-დეკემბერი . . . 465—467
185. ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს. 2 დეკემბერი . 468—471

1910 წ.

186. «შემნახველებისადმი» წერილის მონახაზი. თებერვალ-მარტი . . . . . 472—475
187. ნ. ე. ვილონოვს 27 მარტი . . . . 476—477

188. გ. ვ. პლეხანოვს. 29 მარტი 478
189. ნ. ე. ვილონოვს. 7 აპრილი . . . . 479 — 480
190. ა. მ. გორკის. 11 აპრილი . . . . 481 — 485
191. ნ. ა. სემაშკოს. 4 ოქტომბერი . . . 486
192. ი. ი. მარხლევსკის. 7 ოქტომბერი . . . 487 — 493
193. გ. შკლოვსკის. 14 ოქტომბერი . . . 494 — 495
194. ა. მ. გორკის. 14 ნოემბერი . . . 496 — 498
195. ა. მ. გორკის. 22 ნოემბერი . . . 499 — 501
196. ნ. გ. პოლეტაევს. 7 დეკემბერი . . 502 — 503

1911 წ.

197. ა. მ. გორკის. 3 იანვარი . . . . 504 — 508
198. ა. რიკოვს. 25 თებერვალი . . . 508 — 515
199. ა. მ. გორკის. 27 მაისი . . . . 516 — 518
200. ა. ნემეცს. 1 ნოემბერი . . . . 519 — 520

შენიშვნები . . . . . 521 — 555

ალფაბეტური მაჩვენებელი წერილების ტექსტში მოყვანილი ფსევდონიმების, მეტსახელების და ინიციალების გაშიფრვისა . 556 — 559

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/I-1953.
უე 01219. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 36,25.
ფასი 8 მან.

•

საქპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი
სიტყვის კომბინატი. თბილისი.
მარჯანიშვილის ქ., 5.
შეკვეთის № 427.